ისტორია

11

მოსწავლის წიგნი

სარჩევი

I თემა შუა საუკუნეები

I ქვეთავი – როგორ და რატომ შეიცვალა განვითარებულ შუა საუკუნეებში ევროპისა და წინა აზიის პოლიტიკური რუკა?

1-3. როგორ შეიქმნა ახალი სახელმწიფოები ევროპაში X-XI საუკუნეებში? 6
4. რა ცვლილებები მოჰყვა აბასიანთა სახალიფოს დაშლას? არაბული ესპანეთი 16
5. ბიზანტია აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ 25
6-7. რა შედეგები მოსდევდა ევრაზიის სტეპებიდან მომთაბარე ტომების მიგრაციებს? როგორ შეცვალა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ახლო აღმოსავლეთის რუკა? 33

II ქვეთავი – რა ცვლილებები მოხდა განვითარებულ შუა საუკუნეებში ევროპულ საზოგადოებაში?

8. ახალი ქალაქების დაარსება. ხელოსნები და ვაჭრები 43
9-10. შუა საუკუნეების სამწევროვანი საზოგადოება 49
11. ბრძოლა ქალაქების თვითმმართველობისთვის 60
12. განათლება შუა საუკუნეებში. „უნივერსიტეტების ხანა“ ევროპაში 67
13. ბრძოლა ძალაუფლებისთვის: დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყარო, სქიზმა. იმპერატორი და რომის პაპი 73

III ქვეთავი – ჯვაროსნული ლაშქრობებიდან მონღოლთა იმპერიის ჩამოყალიბებამდე. რას მოგვითხრობს ისტორიული წყაროები?

14-15. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყება. I ჯვაროსნული ლაშქრობა 83
16. რაინდთა ორდენები 96
17. II და III ჯვაროსნული ლაშქრობები 103
18-19. IV ჯვაროსნული ლაშქრობა. „ლათინთა იმპერიის“ შექმნა. როგორ გაგრძელდა და რა შედეგები მოჰყვა ჯვაროსნულ ლაშქრობებს? 110
20. მონღოლთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დაპყრობითი ომები 123

IV ქვეთავი – წარმომადგენლობითი ორგანოები – განვითარებული შუა საუკუნეების მახასიათებელი

21. ინგლისი განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში. „თავისუფლების დიდი ქარტია“ 135
22. სამეფო ხელისუფლების განმტკიცება საფრანგეთში. გენერალური შტატების მოწვევა 143

II თემა - გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

V ქვეთავი – ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება – მიზეზები, შედეგები. კონსტანტინოპოლისა და გრანადის დაცემა

23. ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობა 152
24. რატომ ვერ შეძლეს რაინდებმა ოსმალების შეჩერება? 159
25. კონსტანტინოპოლის დაცემა. მიზეზები და შედეგები 168
26. რეკონკისტის დასასრული. გრანადის დაცემა 177

VI ქვეთავი – შუა საუკუნეებიდან ახალი დროისკენ. ჰუმანიზმიდან რეფორმაციამდე

27-28. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები 184
29-30. ჰუმანიზმი. რენესანსი 195
31. რეფორმაცია 209
32-33. რეფორმაციის გავრცელება. კონტრრეფორმაცია 218
34. ნიდერლანდების რევოლუცია. რელიგიური ომის განახლება ევროპაში – ოცდაათწლიანი ომი 227

VII ქვეთავი – ირან-ოსმალეთის ომები და გავლენის სფეროები

35. სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის პირველი დაპირისპირება. ოსმალეთის გაფართოება სულეიმან I-ის მმართველობის ხანაში 233
36. ირან-ოსმალეთის დაპირისპირება XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში. შაჰ-აბასი სეფიანთა ირანის სათავეში 240

VIII ქვეთავი – როგორ შეიცვალა მმართველობის ფორმები ახალ დროში. აბსოლუტიზმიდან ახალი ტიპის სახელმწიფომდე

37. კარდინალების ხანა. ლუი XIII 246
38. აბსოლუტიზმი საფრანგეთში. ლუი XIV 250
39. ინგლისი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში 260
40. ინგლისის სამოქალაქო ომის მიზეზები 266
41. სამოქალაქო ომი შედეგები 269
42. მოსკოვის სამთავროდან – რუსეთის იმპერიამდე 276
43. განმანათლებლობა 286
44. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია. ინგლისური კოლონიური სისტემა 293
45-46. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა 302

III თემა „ხანგრძლივი XIX საუკუნე“

IX ქვეთავი – ახალ დროში ახალი პოლიტიკური სისტემისთვის ბრძოლა

47-48. საფრანგეთის რევოლუცია 315
49-50. რესპუბლიკიდან იმპერიამდე. ნაპოლეონ ბონაპარტი 330
51. ვენის კონგრესი. საფრანგეთში ბურბონების რესტავრაციიდან ივლისის რევოლუციამდე 346

X ქვეთავი – ცვლილებები საზოგადოებაში. ბრძოლა უფლებებისთვის

52-53. გამოგონებები და ცვლილებები ინდუსტრიულ ეპოქაში 354
54. „ვიქტორიანული ეპოქის“ კულტურა 366
55. სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში. მუშათა მოძრაობის გააქტიურება. 370
56. იდეოლოგიები და მოძრაობა ქალთა უფლებებისთვის 375
57. ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი (1861-1865 წწ.) 381

XI ქვეთავი – როგორ დასრულდა ახალ დროში ნაციონალური სახელმწიფოების, იმპერიებისა და კოლონიური სისტემის ჩამოყალიბება

58. გერმანიის გაერთიანება 388
59. იტალიის გაერთიანება 396
60-61. რუსეთის იმპერია და „აღმოსავლეთის საკითხი“. კოლონიური პოლიტიკა 402
62. საერთაშორისო ვითარება XX საუკუნის დასაწყისში 410

რუკების საძიებელი

1. დასავლეთ ევროპა IX ს.-ის შუა ხანებში 6
2. საღვთო რომის იმპერია X-XI სს. 9
3. საფრანგეთის სამეფო XI ს. 12
4. უილიამ დამპყრობლის სახელმწიფო XI ს.-ის მიწურულს 15
5. არაბთა სახალიფოს დაშლა 17
6. პირენეს ნახევარკუნძული XI ს.-ში 23
7. ევროპა XI ს.-ის დასაწყისში 24
8. ბიზანტიის მცირეაზიული თემები X ს.-ის მიწურულს 29
9. ბიზანტიის იმპერია 1025 წლისთვის 30
10. სელჩუკთა სახელმწიფო XI ს.-ში 40

11. I ჯვაროსნული ლაშქრობა 88
12. I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულები 95
13. II ჯვაროსნული ლაშქრობა 104
14. III ჯვაროსნული ლაშქრობა 107
15. IV ჯვაროსნული ლაშქრობა 114
16. მონღოლთა დაპყრობები 129
17. მონღოლთა სახელმწიფოები ერთიანი საყაენოს დაშლის შემდეგ 130
18. ფილიპ II ოგიუსტის დაპყრობები 144
19. ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბება 158
20. რეკონკისტა 178
21. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები 187
22. ევროპის რელიგიური რუკა პროტესტანტული რეფორმაციის შემდეგ (XVI საუკუნის შუა ხანები) 224
23. საღვთო რომის იმპერია ოცდაათწლიანი ომის დროს 231
24. ოსმალეთისა და ირანის დაპირისპირება XV-XVII სს.-ში 235
25. საფრანგეთის ეკონომიკური რუკა ლუი XIV-ის დროს 253
26. სამოქალაქო ომი ინგლისში 268
27. რუსეთი პეტრე დიდის მმართველობისას 283
28. კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში XVII ს. 292
29. ინგლისური კოლონიები ამერიკაში 294
30. ევროპა 1810 წლისთვის 338
31. ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ 345
32. გერმანიის გაერთიანება 391
33. იტალია ვენის კონგრესის შემდეგ 394
34. იტალიის გაერთიანება 399
35. კავკასია XIX ს.-ის დასაწყისში 401
36. მსოფლიო ეკონომიკა 1914 წლისთვის 409
37. მსოფლიოს კოლონიები XIX ს.-ის ბოლოს 409
38. დაპირისპირებული ალიანსები 411

პირობითი ნიშნები



თემა I.

შუა საუკუნეები

მეცნიერები შუა საუკუნეებს პერიოდებად: ადრეულ, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებად ყოფენ. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები აქვს, რაც წინა პერიოდისგან გამოარჩევს. ადრეეულ შუა საუკუნეებს X კლასში უკვე გაეცანი, . ამჯერად შენი შესწავლის საგანი განვითარებული შუა საუკუნეები იქნება.

წარსულში დარჩება ის ეპოქა, რომლისთვისაც და დამახასიათებელი იყო: მსხვილი მიწათმფლობელური საკუთრება ფეოდალური მამულის სახით; ამ მამულში მცხოვრები გლეხობა, რომლებსაც სარგებლობაში ჰქონდათ მცირე ნაკვეთები, მაგრამ არ იყვნენ მისი მესაკუთრენი; სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე და მისი განვითარების დაბალი ტემპი; მეურნეობის ნატურალური ხასიათი; მამულის კარჩაკეტილობა და გარე სამყაროსგან სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

განვითარებულ შუა საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდება ფეოდალიზმი – რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო სისტემით, რომელიც ტიპური გამოვლინებით ქრისტიანული დასავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი. აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთისთვის კი ეს სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ იქნება დამახასიათებელი.

ევროპაში მოსახელობის რაოდენობის ზრდასა და სამუშაო იარაღების გაუმჯობესებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფა მოყვება. ამ პროცესების შედეგად კი ჩამოყალიბდება ახალი ქალაქები – ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები. სწორედ საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას მიზეზ-შედეგობრივად მოჰყვება ისეთი ცვლილებები, რომელიც განვითარებულ შუა საუკუნეებს თავის დამახასიათებელ ნიშნებს შეძენს. ქალაქის მოსახლეობა გარკვეული პროფესიის პირთა ორგანიზაციებად, ამქრებად და გილდიებად გაერთიანდება, დაწინაურდება, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა; ქალაქები საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას დაიწყებენ და შეიქმნა საქალაქო თვითმმართველობები; ქალაქების განვითარებას ნასწავლ ხალხზე მოთხოვნილების გაჩენა მოჰყვება და დაარსდება პირველი დამოუკიდებელი უნივერსიტეტები...

ამგვარად სწორედ განვითარებულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ის განსაკუთრებული ცხოვრების წესი, რაც მომავალში ახალი ევროპული ცივილიზაციის საფუძველი გახდება.

თემის ფარგლებში საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების გარდა, ასევე ბევრ საინტერესო ისტორიულ პირს შეხვდები: მეფეების, იმპერატორებისა და რომის პაპების გვერდით ცნობილი ჯვაროსანი რაინდები, მათ შორის ქალი მეომრებიც შეგხვდებიან.



§1-3. როგორ შეიქმნა ახალი სახელმწიფოები ევროპაში X-XI საუკუნეებში?

X-XI საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ახალი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. X კლასში შენ უკვე შეისწავლე მათი ფორმირების პროცესი. ქვემოთ მოცემული რუკები და შუა საუკუნეების მინიატურა სწორედ ამ პროცესის გახსენებაში დაგეხმარება.



სურ. 1 შუა საუკუნეების მინიატურა „დიდი ფრანგული ქრონიკიდან“, XV ს.



რუკა 1. დასავლეთ ევროპა IX ს.-ის შუა ხანებში

1. რომელი ისტორიული პროცესია რუკასა და ვიზუალურ წყაროზე ასახული? პასუხი დაასაბუთე.

2. შენი აზრით, ვინ არიან შუა საუკუნეების მინიატურაზე გამოსახული?

3. რატომ ახურავთ მინიატურის მარცხენა ნაწილში დახატულ ფიგურებს გვირგვინები?

4. რომელი სამეფოებია რუკაზე დატანილი?

5. შენი აზრით, რომელ მათგანს ჰქონდა ხელსაყრელი მდებარეობა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით? პასუხი დაასაბუთე.

ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბება შემდეგ პირობებში მოხდა: სამეფოებს თანდათან უფრო მომცრო სამფლობელოები ჩამოსცილდა. თავის დროზე მეფის მიერ დანიშნული გრაფებიც კი მათთვის გამოყოფილ მამულებში თავს უკვე სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ, ერთმანეთს ეომებოდნენ და მიწებს თავისი სურვილისამებრ გადასცემდნენ მემკვიდრეობით. მეფეებს იმდენი ძალა აღარ შესწევდათ, რომ ძლიერი ჯარი შეეკრიბათ და შინაურ თუ გარეულ მტერს გამკლავებოდნენ.

საღვთო რომის იმპერია

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ არსებობას განაგრძობდა მარადიული რომის იდეა. იმპერიის აღორძინების პირველი მცდელობა კარლოს დიდს ჰქონდა, რომელიც იმპერატორად რომის პაპმა აკურთხა. ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ მის აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილი სახელმწიფოს მეფე ოტო I-მა კარლოს დიდის ტრადიციის გაგრძელება გადაწყვიტა და 962 წელს წმინდა პეტრეს ტაძარში რომის პაპმა ოტო I საზეიმოდ აკურთხა იმპერატორად ასე შეიქმნა ახალი იმპერია. ყველა შემდგომი იმპერატორი ტიტულის მისაღებად რომში ჩადიოდა.

ოტო I ხშირად „რომაელებისა და ფრანკების იმპერატორად“ იწოდებოდა. ოტო I-ის ვაჟი, ოტო II (973-983 წწ.), უკვე „რომის იმპერატორის“ ტიტულს ატარებდა.

ამ ტიტულის გამოყენებამ ბიზანტიის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან რომის იმპერიის მემკვიდრეებად ბიზანტიის იმპერატორები მიიჩნეოდნენ.

ახალი რომის იმპერატორები თავს ევროპული ქრისტიანული ეკლესიის დამცველებად მოიაზრებდნენ და საკუთარ სახელმწიფოში უზენაეს სასულიერო ხელისუფლებაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას. ამიტომ დროთა განმავლობაში რომის იმპერიის სახელწოდებას დაემატა სიტყვა „საღვთო“.

საღვთო რომის იმპერია გერმანული და რომაული ელემენტების სინთეზი იყო.



სურ. 2 ოტო I-ის ვიტრაჟული გამოსახულება სტრასბურგის საკათედრო ტაძრიდან, XII ს.

6. როგორ ფიქრობ, არის თუ არა საკათედრო ტაძრის ვიტრაჟი ისტორიული წყარო? რის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას?

7. რატომ მიიჩნეოდნენ რომის იმპერიის მემკვიდრეებად ბიზანტიის იმპერატორები?

8. რატომ იყო მნიშვნელოვანი ოტო I-თვის, რომ რომის პაპს ეკურთხებინა იმპერატორად?

ოტო I-ის იმპერია არაერთგვაროვანი იყო. სახელმწიფოში ბევრი ფეოდალური სამფლობელო – საჰერცოგო – იყო გაერთიანებული. მის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქები: აუგსბურგი, აახენი, ვორმსი, სტრასბურგი, მაგდებურგი, ნიურნბერგი, ლიუბეკი, ჰამბურგი, ბრემენი და სხვ.

X ს.-ში გერმანიის მოსახლეობა თავიანთ ჰერცოგებს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე იმპერატორს. საკუთრივ გერმანული მიწების გარდა, იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალია, შვეიცარია, ბურგუნდიის ნაწილი, **სლავი ტომებით** დასახლებული ცენტრალური ევროპის ნაწილი.

ხელისუფლების განსამტკიცებლად ოტო I-მა დასაყრდენი ეკლესიაში პოვა. მან ეპისკოპოსებსა და აბატებს ბევრი პრივილეგია მისცა, ეკლესია მატერიალურად გააძლიერა. იმპერატორი საეკლესიო თანამდებობებზე ერთგულ ადამიანებს ნიშნავდა. ეკლესია იმპერიის მორჩილი იარაღი გახდა. ასეთი ვითარება ას წელზე მეტხანს გაგრძელდა.

სლავები – მონათესავე ხალხები, რომლებიც თავდაპირველად მდინარეების ვისლასა და დნეპრს შორის მოსახლეობდნენ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში უფრო ვრცელ ტერიტორიაზე განსახლდნენ და სამ ჯგუფად: დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ სლავებად გაიყვნენ. მათგან წარმოდგნენ თანამედროვე სლავი ხალხები.

(დასავლეთ სლავები: ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები; სამხრეთ სლავები: სლოვენელები, ბულგარელები, სერბები, მაკედონელები, ხორვატები; აღმოსავლეთ სლავები: უკრაინელები, ბელორუსები, რუსები).

9. შენი აზრით, რა სახის პრობლემებს შეუქმნიდა ოტო I-ის ხელისუფლებას იმპერიის ეთნიკური და სოციალურ-პოლიტიკური არაერთგვაროვნება?

10. შენი აზრით, რატომ ემორჩილებოდა გერმანიის მოსახლეობა საკუთარ ჰერცოგებს უფრო მეტად, ვიდრე იმპერატორებს?

11. შენი აზრით, რატომ ცდილობდა ოტო I დასაყრდენი სასულიერო ფენაში ეძებნა და არა ჰერცოგებსა და გრაფებში?

12. T დიაგრამის საშუალებით ჩამოწერე ოტო I-ის იმპერიის ერთიანობის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები (**მოსწავლის რვეული, დავ. 1**)



სურ. 3 ოტო I. მინიატურა ოტო ფრაიზენგელის ხელნაწერიდან, XIII ს. გამოსახულებაზე წარწერა: ოტო პირველი, გერმანელების მეფე.

13. დააკვირდი მინიატურას. გამოთქვი ვარაუდები, რა სცენაა მასზე გამოსახული? ვინ არის ოტოს გარემოცვა? წარმოიდგინე რომ ისტორიკოსი ხარ. გააგრძელე ნახატისთვის იმ კითხვების დასმა, რომელიც წყაროდან ინფორმაციის დეტალურად ამოკრეფაში მოგეხმარება.



რუკა 2. საღვთო რომის იმპერია X–XI სს.

14. რუკის მიხედვით, როგორია საღვთოს რომის იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა? რომელი პოლიტიკური ერთეულებისგან შედგება? რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? რაზე მეტყველებს მათი სახელწოდებები? რაზე მეტყველებს რომის საღვთო იმპერიაში ქალაქების სიმრავლე? შენი აზრით, რით არის განპირობებული, რომ ზოგ საჰერცოგოში მეტი ქალაქია, ზოგში კი ნაკლები?

15. როგორ შეიცვალა საღვთო რომის იმპერიის საზღვრები X-დან XI საუკუნემდე? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ცვლილების მიზეზი?

ოტო I-ისა და მისი მემკვიდრეების, ოტო II-ისა და ოტო III-ის, მმართველობის პერიოდი კულტურული აღმავლობით ხასიათდება და მას „ოტოების აღორძინების“ ხანას უწოდებენ. ოტო I-ის დროს, ისევე როგორც კარლოს დიდის „კაროლინგური აღორძინების“ პერიოდში, განათლებული ადამიანები აკადემიაში იკრიბებოდნენ. ეკლესია-მონასტრებთან გაჩნდა სკოლები, სადაც ძველ ხელნაწერებს იწერდნენ, რომაულ ლიტერატურას თარგმნიდნენ. სწავლულ ბერებს შორის გამოირჩეოდა ჰერბერტი. შემორჩენილია მისი თხზულებები მათემატიკაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურასა და ისტორიაში. ჰერბერტი ოტო III-ის მასწავლებელი და არქიეპისკოპოსი იყო, რომელიც 999 წელს იმპერატორის ხელშეწყობით რომის პაპი გახდა სილვესტერ II-ის სახელით.

განათლების მიღება, სასულიერო პირების გარდა, საერო პირებსაც შეეძლოთ, თან არა მხოლოდ ბიჭებს, არამედ გოგონებსაც. ამ პერიოდის წარჩინებული საზოგადოების ქალები თავს იწონებდნენ ლათინური წერა-კითხვის ცოდნით. ცნობილი მწერალი ქალი იყო როსვითა განდერსჰაიმელი.

ოტო II დაქორწინებული იყო ბიზანტიის იმპერატორის, იოანე I ციმისხის ძმისშვილზე – თეოფანა. ამ ქორწინებას ბიზანტიასთან კულტურული დაახლოება მოჰყვა და გარკვეული როლი ითამაშა ამ პერიოდის გერმანული კულტურის აღორძინებაში.

განსაკუთრებით განვითარდა წიგნის მინიატიურული მხატვრობა.



*სურ. 3 ოტო III-ის მიუნხენის სახარება. XI ს. ნახატ ზე გამოსახულ ფიგურებს თავ ზე აწერიათ: **სკლავინია**, გერმანია, გალია და რომი.*

სკლავინია – ადრეულ ბიზანტიელ და ევროპელ ავტორებთან სლავების ეთნონიმი.



სურ. 4 ოტო III-ის მიუნხენის სახარება. XI ს. ნახატზე გამოსახულია ოტო III.

16. შენი აზრით, რატომ აწერიათ პირველი ნახატის გამოსახულებებს თავზე გეოგრაფიული სახელები?

17. რა შინაარსის მატარებელია პირველი ნახატი?

18. ნახატების მიხედვით იმსჯელე იმდროინდელ ჩაცმულობაზე. რით განსხვავდება მეფის სამოსი? ტანსაცმლისა და ატრიბუტების მიხედვით იმსჯელე იმპერატორის გარემოცვაზე.

19. შენი აზრით, როგორ წარმოაჩენს ოტო III-ის საიმპერატორო ხელისუფლებას სახარებაში არსებული მინიატურა? იმპერატორის ქვეშევრდომებს? რატომ?

საფრანგეთი

ფრანკების იმპერიის დაშლის შემდეგ მის დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებული საფრანგეთის პოლიტიკური გაერთიანება ილ-დე ფრანსის გარშემო დაიწყო, რომელიც ნორმანდიასთან ერთად სამეურნეო თვალსაზრისით შედარებით განვითარებულ მხარეს წარმოადგენდა. რეგიონს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, ამიტომ პოლიტიკური ცენტრიც აქ ჩამოყალიბდა.

კაპეტინგების სამეფო დინასტიას წინააღმდეგობას უწევდა შამპანის საგრაფო, მაგრამ დიდი ძალისხმევით, ომებით, დინასტიური ქორწინებით, მიწების შესყიდვით სამეფო **დომენის** გაფართოება მაინც მოხერხდა და XI-XII საუკუნეებში მიწები პარიზის ირგვლივ მათ მფლობელობაში გადავიდა. ამ დროისთვის კაპეტინგების მთავარ მოწინააღმდეგეს უკვე ინგლისის სამეფო დინასტია – **პლანტაგენეტები** წარმოადგენდნენ. კონტინენტზე მათ ფრანგული საგრაფოები – აკვიტანია, ნორმანდია და ბრეტანი ეკუთვნოდათ, რაც საფრანგეთსა და ინგლისს შორის მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების მიზეზი გახდა.

დომენი – (ლათ. საკუთრება) მეფის ან მსხვილი ფეოდალის მემკვიდრეობითი სამფლობელო (მამული) მოიცავდა არამარტო სახნავ-სათეს მიწებს, საძოვრებს, ტყეებს, არამედ სოფლებს, ციხე-სიმაგრეებსა და ქალაქებსაც, საიდანაც შემოსავალს იღებდა მფლობელი.

პლანტაგენეტები (იგივე ანჟუს დინასტია) – ინგლისის სამეფო საგვარეულო 1154-1399 წლებში.



■ *რუკა 3. საფრანგეთის სამეფო XI ს.*

20. რომელი ქალაქები მდებარეობდა სამეფო დომენში? როგორ ფიქრობ, ექნებოდათ მათ უპირატესობა სხვა ქალაქებთან შედარებით, პასუხი დაასაბუთე?

21. შენი აზრით, ფართობისა და მდებარეობის მიხედვით რომელ საგრაფოს ჰქონდა უკეთესი მდგომარეობა? რატომ?

22. იმსჯელე, როგორ განსაზღვრავდა გეოგრაფიული მდებარეობა საგრაფოების პოლიტიკას როგორც მეფესთან, ისე მეზობლებთან, მაგ., რა განსხვავებულ მდგომარეობაში იქნებოდნენ საფრანგეთის აღმოსავლეთსა და დასავლეთში მდებარე პოლიტიკური ერთეულები?

23. შეადარე საფრანგეთის პოლიტიკური რუკა ფიზიკურს და ჩამოთვალე, რომელ საგრაფოში იქნებოდა განვითარებული მიწათმოქმედება. გაიხსენე შუა საუკუნეების მეურნეობის ხასიათი და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა საგრაფოსთვის სამიწათ-მოქმედო დარგების განვითარებას.

24. რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან დასავლეთ და აღმოსავლეთფრანკულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები: სახელმწიფოს სათავეში ახალი მეფეებისა და სამეფო საგვარეულოების მოსვლა; მეფის ძალაუფლების ხარისხი, დიდებულებთან ურთიერთობა?

ინგლისის სამეფოს ჩამოყალიბება

XI საუკუნეში ინგლისის ისტორიაშიც ახალი ეტაპი იწყება. საინტერესოა, რით განსხვავდება ბრიტანეთის კუნძულზე მიმდინარე პროცესი დასავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენებისგან, რის მიხედვით გამოიყოფა ქვეყნის ისტორიაში ახალი ეტაპი.

XI საუკუნეში ინგლისი ნორმანდიის ჰერცოგმა, უილიამმა, დაიპყრო.

ისტორიკოსების გამოთვლებით უილიამის ლაშქარი მრავალრიცხოვანი არ იყო. მათი აზრით, ნორმანდიიდან, 1 200-მდე მძიმედ შეიარაღებული რაინდის გამოყვანა შეიძლებოდა, კიდევ 800-მდე მეზობელი ოლქებიდან, დანარჩენი ასევე ნორმანდიელი მეომრები, დაახლოებით 3 ათასიდან 5 ათას კაცამდე, ქვეითები, მეისრეები და იმ ხომალდების მეზღვაურები იყვნენ, რომლებმაც ლაშქარი ლა-მანშის სრუტეზე გადაიყვანა.

უილიამის ლაშქარი კარგად იყო გაწვრთნილი და ბრძოლის ისეთ მეთოდებს იყენებდა, რაც ანგლოსაქსებისთვის უცხო იყო. შეტევას მეისრეები იწყებდნენ და როგორც კი მოწინააღმდეგის წინა ხაზის გარღვევას მოახერხებდნენ, მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდები მათ რიგებში შეიჭრებოდნენ და გააფრთებულ ბრძოლას იწყებდნენ.



სურ. 5 ბაიოს გობელენი. XI ს.-ის ნაქარგობა , ამჟამად გობელენი დაცულია საფრანგეთის ქალაქ ბაიოში, ნორმანდიაში.

უილიამის მეომრებმა დიდი იალქნიანი ნავებით ლა-მანშის სრუტე გადაცურეს და ინგლისის სამხრეთ ნაპირებს მიადგნენ. უილიამის ჯარი ანგლოსაქსების მეფის, ჰაროლდის, ჯარზე მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. ამას გარდა, უილიამს მტკიცედ ეპყრა ძალაუფლება და მისმა ვასალებმა, ფრანგმა ბარონებმა, მასთან ერთად გაილაშქრეს ინგლისში. ანგლოსაქსების მეფეს კი მსხვილი მიწათმფლობელები არ ემორჩილებოდნენ. შუა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის დიდებულებს ბრძოლაში მონაწილეობა არც კი მიუღიათ. ნორმანდიელებსა და ანგლოსაქსებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა 1066 წელს ჰასტინგსთან გაიმართა. ანგლოსაქსებმა მტერს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ. მეფე ჰაროლდი ბრძოლაში დაიღუპა, უილიამმა კი ლონდონი აიღო და თავი ინგლისის მეფედ გამოაცხადა. ისტორიაში იგი უილიამ დამპყრობლის (1066-1087 წწ.) სახელითაა ცნობილი და ინგლისის გაერთიანებული სამეფოს პირველ მეფედ ითვლება.

25. როგორ ფიქრობ, შეგვიძლია თუ არა XI საუკუნის ნაქარგობა ისტორიულ წყაროდ მივიჩნიოთ? რა თვალსაზრისით შეიძლება იყოს ის საინტერესო ისტორიკოსისთვის?

ინგლისის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ უილიამმა მასობრივად დაიწყო ანგლოსაქსი დიდებულებისთვის მიწების ჩამორთმევა და მათი ნორმანდიელი ბარონებისთვის გადაცემა. ეს თანდათანობით ხდებოდა. ნორმანდიელი ბარონების ხელში მოხვდა მიწები, რომლებიც ინგლისის სხვადასხვა კუთხეში იყო მიმოფანტული. ეს ხელს უშლიდა მეფისგან დამოუკიდებელი დიდი ფეოდალური მამულების ჩამოყალიბებას.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით ინგლისი 50 საგრაფოდ დაიყო. ადგილობრივ მმართველებს მეფე ნიშნავდა ან ადგილზე ირჩევდნენ და შემდეგ მეფე ამტკიცებდა.

თავად მეფის მამულებში შევიდა დამუშავებული მიწების თითქმის მეშვიდედი და ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მეფის სანადირო ნაკრძალებად გადაიქცა.

1085 წელს სამეფო კარის საბჭოზე გადაწყდა, რომ სახელმწიფოში საყოველთაო აღწერა ჩაეტარებინათ. ინგლისის ყველა საგრაფოში დაგზავნეს მეფის წარმომადგენლები.

მათ კი ადგილებზე კომისიები შექმნეს. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ბარონები და მათი რაინდები, მღვდელი და თითოეული სოფლიდან ექვსი გლეხი. ამ კომისიას კონკრეტულ საგრაფოში ჩატარებული აღრიცხვისა და ჩანაწერების სისწორე ფიცით უნდა დაემტკიცებინა. სასტიკი სასჯელი ელოდა იმას, ვინც აღწერის დროს სიმართლეს არ იტყოდა და საკუთარ ქონებას დამალავდა. ჩანაწერების წიგნში შედიოდა: მამულის მფლობელის სახელი, სახნავი მიწის ფართობი, მამულში მცხოვრები სხვადასხვა გლეხის (თავისუფალი გლეხების, ვილანების) რაოდენობა, საძოვრები, მდელოები და ტყეები, წისქვილებისა და სათევზაო ადგილების რაოდენობა.

აღრიცხვის შედეგები მეფეს მიართვეს. შემდეგში ეს ჩანაწერები ორ წიგნად გაერთიანდა. ხალხმა მას „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ უწოდა, რადგან კომისიის წინაშე წარმდგარ ადამიანებს კომისიის წინაშე უნდა დაეფიცათ და როგორც **საშინელი სამსჯავროს** დროს ქრისტეს წინაშე არ შეიძლებოდა ტყულის თქმა, ისე მეფის ემისრების წინაშეც. ამიტომაც მათ თავი საშინელ სამსჯავროზე ეგონათ..

საშინელი სამსჯავრო – ქრისტიანული წარმოდგენების მიხედვით, სამყაროს დასასრულის წინ გამართული უკანასკნელი სამსჯავრო, სასამართლო, სადაც თითოეული ადამიანის ბედი გაირკვევა.

სამსჯავროს შემდეგ ცოდვილები ჯოჯოხეთში მოხვდებიან, უცოდველნი კი – სამოთხეში.



სურ. 7 ლონდონის თეთრი თაუერი

უილიამმა გაატარა სახელმწიფო მმართველობის და საკანონმდებლო რეფორმები. მის დროს დაიწყო ინგლისში ქვის ციხეს-იმაგრეების მშენებლობა (პირველი 1078 წელს აგებულია თაუერია).

უილიამ დამპყრობლის მოღვაწეობას ცვლილებები მოჰყვა თითქმის ყველა სფეროში. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ინგლისში ნორმანების შესვლამ სოციალური ცვლილებებიც კი გამოიწვია. მათ კუნძულზე შეიტანეს ფეოდალური ინსტიტუტები ევროპის კონტინენტიდან, სადაც ფეოდალიზმი უფრო ადრე ჩამოყალიბდა და თუკი ევროპაში მეფეების მსხვილი ვასალები თავს უკვე დამოუკიდებლად გრძნობდნენ და თვლიდნენ, რომ მამული მემკვიდრეობით მიიღეს, ინგლისში მათ ჯერ კიდევ მეფის წინაშე ვალდებულება ჰქონდათ. მეფე აძლევდა მიწას მსხვილ ფეოდალს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, იმავე პირობით მსხვილი ფეოდალი გადასცემდა თავისი ფეოდის ნაწილს იერარქიულად მასზა დაბლა მდგომ ვასალს.

ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ ინგლისურ ენაში ნორმანულ-ფრანგული ენიდან ბევრი სიტყვა შევიდა. დიდი ხნის განმავლობაში ნორმანულ-ფრანგულს (ძველი ფრანგულის დიალექტს) იყენებდნენ სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურებში, ეკლესიაში. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ ნორმანდიელი დიდებულებიც. მაგრამ დამპყრობლები არც ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ საკუთარი ენა შეუცვლელად მოეხვიათ თავს ადგილობრივი ანგლოსაქსებისთვის. თანდათანობით ადგილობრივი და მოსული ხალხები ერთმანეთს შეერივნენ. ძირითადად ანგლოსაქსების, სკანდინავებისა (დანიელების) და ფრანგ-ნორმანების შერევის საფუძველზე წარმოიშვნენ ინგლისელები. ანგლოსაქსურისა და ძველი ფრანგულის სინთეზით ჩამოყალიბდა ინგლისური ენაც.



რუკა 4. უილიამ დამპყრობლის სახელმწიფო XI ს.-ის მიწურულს

26. რუკის მიხედვით ჩამოთვალე, რომელი ტერიტორია შევიდა უილიამ დამპყრობლის სამეფოში; კიდევ რომელი მიწების შემოერთება სცადა, მაგრამ უშედეგოდ?

27. იმსჯელე, რამდენად მყარი იქნებოდა მეფის ხელისუფლება ინგლისში? რატომ დაურიგა უილიამმა ნორმანდიელ ბარონებს მიწები სხვადასხვა კუთხეში და არა ერთ რომელიმე მხარეში?

28. რატომ იყო ინგლისში მეფესა და ადგილობრივ მმართველებს, მიწათმფლობელებს შორის საფრანგეთისა და გერმანიისგან განსხვავებული ვითარება?

29. როგორ ჩამოყალიბდა ინგლისელი ერი და რა ეთნოკულტურული პროცესების შედეგია ის?

30. რა მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეებში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ მოწყობას მეფის ხელისუფლების სიმტკიცისთვის?

§ 4. რა ცვლილებები მოჰყვა აბასიანთა სახალიფოს დაშლას? არაბული ესპანეთი

1. გაიხსენე, ადრეულ შუა საუკუნეებში (VII საუკუნეში) რა მოვლენამ დაუდო საფუძველი ახლო აღმოსავლეთის ერთ კულტურულ-გეოგრაფიულ სივრცეში გაერთიანებას?

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან აბასიანთა სახალიფომ დაშლა დაიწყო. ერთ დროს ერთი ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებულ სივრცეში მრავალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული წარმოიშვა. მათი უმეტესობა ფორმალურად აღიარებდა აბასიანთა ხალიფის უზენაესობას, მაგრამ, ფაქტობრივად, სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. ზოგ შემთხვევაში ისინი აბასიანთა ხალიფას ტიტულშიც კი ეცილებოდნენ.

ირანის ცენტრალურ და აღმოსავლეთ პროვინციებშიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთა სათავეში ძირითადად ადგილობრივი, სპარსელი მხედართმთავრები იდგნენ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ დინასტიებს, მაგ., **თაჰირიანებს**, **საფარიანებს**, **სამანიანებს** და სხვ. დიდი სახელმწიფოების გარდა, იყო პატარა ფეოდალური სამთავროებიც. ისტორიკოსთა ნაწილი ირანის ისტორიის IX-XI საუკუნეებს – არაბებისა და თურქ-სელჩუკების პერიოდებს შორის მოქცეულ, შუალედურ მონაკვეთს – **„ირანულ ინტერმეცოს“** უწოდებს.

სახალიფოს ფეოდალური დაშლის პროცესმა ერაყი და სირიაც მოიცვა. აქ დამოუკიდებელი წვრილი ფეოდალური საამიროები ჩამოყალიბდა. თავად ბაღდადის სახალიფოშიც ხალიფის ხელისუფლება შესუსტდა. დამოუკიდებელი საამიროები გაჩნდა სამხრეთ კავკასიაშიც.

ჩრდილოეთ აფრიკაში, დღევანდელი ტუნისის ტერიტორიაზე, ჩამოყალიბდა აღლაბიანთა სახელმწიფო. მართალია, აღლაბიანები ამირებად იწოდებოდნენ, მაგრამ აბასიანთა ხალიფას მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდნენ. თანამედროვე მაროკოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა იდრისიანთა სახელმწიფო. იდრისიანთა შიიტური საამირო ძალიან შორს იყო აბასიანთა სახალიფოს დედაქალაქისგან და არავითარ ზეწოლას იქიდან არ განიცდიდა.

X საუკუნეში ჩრდილოეთ აფრიკაშიც შეიქმნა კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო – ფატიმიანთა სახალიფო, რომლის მმართველთა მიზანი ბაღდადის დაკავება და აბასიანთა ხელისუფლებიდან ჩამოშორება იყო.

XI ს.-ის დასაწყისში ფატიმიანებმა სირია-პალესტინა დაიკავეს და ჩრდილოეთ სირიის ქალაქებისთვის ბიზანტიას ექიშპებოდნენ. ფატიმიანთა ხალიფა ალ-ჰაქიმი (985-1021 წწ.) ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში პოტენციურ მოკავშირედ საქართველოს მეფე გიორგი I-ს მოიაზრებდა, მაგრამ ეს ალიანსი ვერ შედგა ალ-ჰაქიმის უეცარი გაუჩინარების გამო.

პირენეს ნახევარკუნძულზე აბასიანთა სახალიფოს გამოეყო **ანდალუსია**, სადაც ჯერ კორდობის ომაიანთა საამირო შეიქმნა, ხოლო 929 წლიდან – კორდობის ომაიანთა სახალიფო.

თაჰირიანები – მმართველი დინასტია აღმოსავლეთ ირანში 821-873 წლებში.

საფარიანები – მმართველი დინასტია აღმოსავლეთ ირანისა და ავღანეთის ტერიტორიის ნაწილზე 861-900 წლებში.

სამანიანების დინასტიის (819-1005 წწ.) მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა ცენტრალური აზიის და ირანის დიდი ნაწილი. ფორმალურად სამანიანები აბასიანთა ხალიფის ვასალებად ითვლებოდნენ, მათი ორივე დედაქალაქი – ბუხარა და სამარყანდი – ისლამური კულტურისა და მეცნიერების დონით ბაღდადსაც უწევდა მეტოქეობას.

ირანული ინტერმეცო (იტალ. ინტერმეცო – შუალედური, გარდამავალი) – ისტორიოგრაფიაში მიღებული ტერმინი, რომლითაც ირანის ისტორიის IX-XI საუკუნეები – არაბთა და თურქ-სელჩუკთა დაპყრობებს შორის მოქცეული დროის მონაკვეთი აღინიშნება.

ანდალუსია – ისტორიული ოლქი სამხრეთ-დასავლეთ ესპანეთში



■ *რუკა 5. არაბთა სახალიფოს დაშლა*

2. დააკვირდი რუკას, რომელი მხარეები გამოეყოფოდა აბასიანთა სახალიფოს უფრო ადრე? რატომ?

3. გაიხსენე, არაბობის შემდეგ რომელი სამეფო-სამთავროები ჩამოყალიბდა საქართველოს ტერიტორიაზე?

4. იმსჯელე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ: ა) არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოების მმართველ დინასტიებსა და სამოხელეო აპარატში ზოგში ადგილობრივი, ზოგში კი არაბული ელემენტი ჭარბობდა; ბ) ახლო და შუა აღმოსავლეთში საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველობით, ყოფით და კულტურულ ასპექტში უპირატესობა სპარსულმა ელემენტმა მოიპოვა.

5. იმუშავე კონტურულ რუკაზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 2**).

6. ერთმანეთს შეადარე აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური სივრცეები. რატომ შეიცვალა ადრეული შუა საუკუნეების შემდეგ ორივე არეალში პოლიტიკური რუკა? რა პროცესებმა განაპირობა ეს ცვლილებები? რამდენად მსგავსია ან განსხვავებული ერთმანეთისგან ევროპასა და აზიაში მიმდინარე პროცესები?

არაბული ესპანეთი

პირენეს ნახევარკუნძულზე არაბების დამკვიდრების შემდეგ ესპანელებმა მათ წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლა – რეკონკისტა წამოიწყეს, რაც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

განვითარებული შუა საუკუნეებიც ამ ბრძოლის ფონზე წარიმართა, რომლის ფარგლებში თანდათან ყალიბდებოდა ესპანური სამეფო-სამთავროების საზღვრები. რეკონსკისტის დროს დიდ როლი კასტილიის სამეფომ ითამაშა და ისლამური სამყაროს საზღვარი მდინარე ტახოს შუა და ქვემო დინებამდე ჩასწია.

შედარებით სუსტი პოზიციები ჰქონდა პირენეს აღმოსავლეთით მდებარე ნავარასა და არაგონს, რომელთა საზღვრებიც არაბებთან ტუდელა-ბარსელონის ხაზზე გადიოდა. XI საუკუნეში რეკონკისტა დროებით შენელდა, რადგან ჩრდილოეთ აფრიკიდან ესპანეთში ბერბერული ტომები – ალმორავიდები და ალმოჰადები – გადავიდნენ.

არაბების მიერ იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ ალ-ანდალუსი – არაბული ესპანეთი – ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო. ალ-ანდალუსის ტერიტორია ჯერ ომაიანთა სახალიფოს შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი სახალიფოს გამოეყო და კორდობის საამირო ჩამოყალიბდა. 929 წელს კორდობის ამირამ ხალიფის ტიტული მიიღო. ასე ჩამოყალიბდა ესპანეთის ტერიტორიაზე კორდობის სახალიფო.

7. იმსჯელე, როგორ მოახერხეს არაბებმა განვითარებულ შუა საუკუნეებამდე პირენეს ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის შენარჩუნება?

8. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე არაბობის შემდეგ განვითარებული პროცესები და შეადარე პირენეს ნახევარკუნძულზე განვითარებულ მოვლენებს. იმსჯელე, იყო თუ არა ეს პროცესები მსგავსი? ან რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან?

წყაროები ალ-ანდალუსის შესახებ მოგვითხრობს.

წყარო ა) მუჰამად ალ-იდრისი, XII ს., გეოგრაფი და მოგზაური, „გასართობი წიგნი სხვადასხვა მხარეში მოგზაურობას დანატრებულთათვის“

„კურტუბა (კორდობის არაბული სახელი) ალ-ანდალუსის დედაქალაქი და ისლამური სახალიფოს სამყოფელია. მისი ხალხი მრავალრიცხოვანია და განთქმულია ცოდნით, განსწავლულობით, რელიგიური სიწმინდის დაცვით, ჩაცმითა თუ საკვებით. მას არასოდეს აკლდა გამოჩენილი მეცნიერები. აქაა გაცხოველებული ვაჭრობა, მოედინება ფული და

მრავლადაა ღია თუ დახურული ბაზრები, აბანოები ასევე შენობები ყველა პროფესიის ხალხისთვის. ქალაქი სიგრძეში 3 მილია (დაახლოებით 6 კმ.), სიგანეში კი ხიდის კარიბჭიდან იუდეველთა კარიბჭემდე 1 მილი (დაახლოებით 2 კილომეტრი)“.



სურ. 1 ღვთისმსახურება სინაგოგაში. შუა საუკუნეების მინიატურა არაბული ესპანეთიდან



სურ. 2 არაბული წიგნი მცენარეთა შესახებ



სურ. 3 შუა საუკუნეების მინიატურა არაბული ესპანეთიდან



სურ. 4 სარწყავი ბორბალი კორდობასთან

9. რა ინფორმაციას გვაწვდის მოყვანილი წყაროები არაბულ ესპანეთზე?

10. რა თვალსაზრისით ავსებს წერილობით წყაროს მოყვანილი ვიზუალური წყაროები?

11. რატომ არის ეს წყაროები ეპოქის რეკონსტრუქციისთვის მნიშვნელოვანი?

კორდობის სახალიფოში სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობდნენ: ადგილობრივი მოსახლეობა (დასავლეთ იბერიელების, ბასკებისა და ვესტგოთების შთამომავლები), ებრაელები, არაბები და ბერბერები. ადგილობრივი მოსახლეობა არაბებსა და ბერბერებს მავრებს ეძახდა (რადგან ისინი აფრიკის იმ ოლქიდან მოვიდნენ, რომელსაც ევროპელები მავრიტანიას უწოდებდნენ).

აღმსარებლობის მიხედვით, კორდობის სახალიფოს მცხოვრებლები მუსლიმები, ქრისტიანები და იუდეველები იყვნენ. ქრისტიანები და იუდეველები არამუსლიმთათვის დაწესებულ გადასახადს – ჯიზიას იხდიდნენ, თუმცა მათ საკუთარი რელიგიური დღესასწაულებისა და რიტუალების ჩატარებას არავინ უშლიდა. პირიქით მუსლიმი მმართველი ვალდებულიც კი იყო თავის ქვეშევრდომებზე ეზრუნა. ის, ვინც ისლამს მიიღებდა, ამ გადასახადისგან თავისუფლდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობამ საკუთარი რელიგია შეინარჩუნა, ზოგმა კი შეიცვალა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც, მართალია, საკუთარ რელიგიაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ არაბული ენა, ჩაცმულობა და ზოგიერთი ტრადიცია გადაიღეს. ისტორიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ იუდეველთა მდგომარეობა მუსლიმურ ესპანეთში ბევრად უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ევროპის უმეტეს ნაწილში. უფრო მეტიც, კორდობის სახალიფოს დაშლის შემდეგ, იყო შემთხვევები, როცა იუდეველებს მაღალი სამოხელეო თანამდებობებიც ეკავათ მაგ., XI საუკუნეში, გრანადაში, იუდეველი იოზეფ იბნ ნაღრილა (1035-1066 წწ.) ვეზირი იყო; სხვადასხვა მუსლიმი მმართველის კარზე არაერთი იუდეველი ექიმი თუ პოეტი მოღვაწეობდა.

წყარო ბ) იბრაჰამ იბნ დაუდი (1110-1180 წწ.), ებრაელი ისტორიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი ესპანეთიდან, ტრადიციების წიგნი:

„ფლოტის მეთაურს, რომელიც ესპანეთის მუსლიმმა მეფემ, აბდ არ-რაჰმანმა (929-961 წწ.) გააგზავნა, დავალებული ჰქონდა შეეპყრო ქრისტიანთა გემები და დაელაშქრა ზღვისპირა ქალაქები. ფლოტმა გაცურა შორს ვიდრე პალესტინამდე და ბერძენთა ზღვამდე. იქ ერთ-ერთ დაპყრობილ ხომალდზე აღმოჩნდა რაბინი – მოსე რაბი შემარია და სხვები. მეთაურმა რაბი შემარია ალექსანდრიაში გაყიდა, რომელიც შემდეგ ფუსტატში (დღევანდელი კაიროს ნაწილი) სასწავლებლის ხელმძღვანელი გახდა. როცა მეთაური კორდობაში მოვიდა, მან რაბინი მოსე გაყიდა, მაგრამ ადგილობრივმა ებრაელებმა გამოისყიდეს. ახლა სადაც კორდობას სინაგოგაა, ადრე იქ სინაგოგას სასწავლებელი და სასამართლო იყო. რაბინი მოსე მალე კორდობას იუდეველთა თემის მოსამართლედ აირჩიეს და ყველასგან პატივცებული გახდა. ფლოტის მეთაურს მისი გაყიდვის საბუთის უკან გამოეწვევა სურდა, მაგრამ მეფემ ამის ნება არ მისცა“.

წყარო გ) ბენიამინ ტუდელელის საგზაო დღიური:

„გავემგზავრე ჩემი მშობლიური ქალაქიდან სარაგოსაში, საიდანაც მდინარე ებროთი ტორტოსაში ჩავედი. იქიდან ორი დღე დამჭირდა უძველეს ქალაქ ტარაგონამდე, რომელშიც ციკლოპური და ბერძნული ნაგებობებია. ეს ქალაქი ზღვის პირასაა და ორი დღის სავალზეა ქალაქ ბარსელონადან, სადაც იუდეველთა წმინდა კონგრეგაციაა. იქ არიან ბრძენი და სახელგანთქმული კაცები“.

ბენიამინ ტუდელელმა (1130-1173 წწ.) ნავარას სამეფოდან შუა აზიამდე და უკან იმოგზაურა. მისი მარშრუტი შემდგომში მარკო პოლომაც გაიარა. ბენიამინ ტუდელელი ნავარას სამეფოს მის სახლს, სამშობლოს უწოდებს და გვიყვება იუდეველთა იმ თემების შესახებ რომლებიც მას ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში შეხვდა.

არაბული ესპანეთი აყვავებული, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა იყო. არაბებმა სამხრეთ ესპანეთში სარწყავი არხები გაიყვანეს, რის შემდეგაც მოსავლიანობა ყანებსა და ბაღ-ვენახებში ერთიორად გაიზარდა. მათ აზიიდან შემოიტანეს და დანერგეს ისეთი კულტურები, როგორებიცაა შაქრის ლერწამი, ბრინჯი, ბამბა, თუთის ხეები (აბრეშუმის ჭიის საკვებად), რაც ესპანეთისთვის მანამდე უცხო იყო. არაბული ესპანეთი განთქმული იყო აბრეშუმისა და შალის ქსოვილებით, ლითონის, მინისა და ტყავის ნაწარმით. არაბებს კარგი ფლოტიც ჰყავდათ და გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ აფრიკასთან, ბაღდადის სახალიფოსთან, იტალიასა და ბიზანტიასთან.

ალ-ანდალუსში ქალაქების რიცხვი 400-მდე აღწევდა. მათ შორის თავისი სილამაზით გამოირჩეოდა ქალაქი კორდობა. არაბული ესპანეთი კულტურული თვალსაზრისითაც განვითარებული მხარე იყო. ის ევროპის საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცა, ეს იყო მუსლიმურ და ქრისტიანულ კულტურათა შეხვედრისა და სამეცნიერო მიღწევების გაცვლა-

გამოცვლის ადგილი. ევროპელებმა არაბებისგან ბევრი რამ გადაიღეს. მათ შორისაა ქარის წისქვილები, რომლებიც სწორედ მუსლიმური ესპანეთიდან შევიდა ევროპაში. ქაღალდი და მისი წარმოების ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ ექიმ იბნ სინას (980-1037 წწ.) იგივე ავიცენას წიგნი „მედიცინის კანონი“ სწორედ არაბული ესპანეთიდან მოხვდა ევროპაში, რომელიც XII საუკუნეში ითარგმნა ლათინურად და ევროპელი ექიმებისთვის სამაგიდო წიგნად იქცა. ასევე ცნობილ კორდობელი ფილოსოფოსი და ქირურგი აზ-ზაჰრავის (936-1013 წწ.) წიგნი „მედიცინის მეთოდოლოგია“, რომელშიც მან აღწერა სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციების ჩატარების მეთოდები და შეიმუშავა საჭირო ხელსაწყოები. აზ-ზაჰრავის ქირურგიული ტრაქტატებიც XII საუკუნეში ითარგმნა ლათინურად და შემდგომი 500 წლის მანძილზე, ევროპელი ქირურგებისთვის პირველწყაროს წარმოადგენდა.

მუსლიმური ესპანეთი წარმოადგენდა ერთგვარ კულტურულ ხიდს დასავლეთ ევროპასა და მუსლიმურ აღმოსავლეთს შორის.

კორდობის სახალიფომ 1031 წლამდე იარსება და შემდეგ წვრილ მუსლიმურ სამთავროებად – ტაიფებად დაიშალა. XI საუკუნის შუა წლებიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე გამათავისუფლებელ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა





სურ 5-6. გვერდები აზ-ზაჰრავის ქირურგიული ტრაქტატიდან (ზემოთ) და მისი ლათინური თარგმანიდან (ქვემოთ)

12. შენი აზრით, რა ფაქტორები უწყობდა ხელს დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში არაბული სამეცნიერო-კულტურული მიღწევების სწრაფ გავრცელებას და აღმოსავლური ცოდნით დაინტერესებას?

13. არაბული ესპანეთის მაგალითზე იმსჯელთ, რა დადებთი შედეგები აქვს კულტურულ მრავალფეროვნებას. მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები.

მიღწეული, რადგან ერთმანეთთან ბრძოლაში ჩაბმული მუსლიმური სამთავროები ქრისტიანი მმართველებისთვის შედარებით ადვილად დასამარცხებელი გახდნენ. XI საუკუნის ბოლოს ქრისტიანებმა აიღეს ქალაქი ტოლედო და მალე იქ კასტილიის სამეფოს დედაქალაქი გადაიტანეს. მოგვიანებით არაგონმა დაიკავა მსხვილი მუსლიმური ცენტრი – სარაგოსა, ხოლო პორტუგალიელებმა აიღეს ლისაბონი და ის საკუთარ დედაქალაქად გამოაცხადეს.

1212 წელს კასტილიისა და სხვა ქრისტიანული სამეფოების გაერთიანებულმა ჯარებმა არაბები დაამარცხეს და ესპანურმა სამეფოებმა კიდევ უფრო გააფართოეს საზღვრები. არაბებს პირენეს ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მხოლოდ ერთი მდიდარი ოლქი – გრანადის საამირო – დარჩათ.

14. დროის ხაზზე დაიტანე ის ტერიტორიული ცვლილებები, რომლებიც პირენეს ნახევარკუნძულზე X - XIII საუკუნეებში რეკონკისტის პერიოდში მოხდა (**მოსწავლის რვეული, დავ. 3**).







სურ. 7-9 ილუსტრაციები კასტილიის მეფე ალფონსო X-ის (1252-1284 წწ.) დროს შედგენილი კრებულიდან - „წმინდა მარიას გალობა“

15. ესპანურ სამეფოებს, მათ შორის კასტილიის სამეფოსა და მუსლიმურ სამთავროებს შორის მუდმივად ომი მიმდინარეობდა, მაგრამ კასტილიის სამეფო კარზე შექმნილ კრებულში ქრისტიანი და მუსლიმი ერთად არიან ჭადრაკის თამაშის დროს გამოსახული. იმსჯელე, რატომ?

16. როგორ ფიქრობ, გავრცელდებოდა თუ არა არაბული ესპანეთის მიღწევები მეზობელ ესპანურ სამეფოებში?

17. რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატიურები ალფონსო X-ის სამეფო კარზე?

18. მინიატიურაზე გადმოცემული რომელი სიმბოლოები გვიქმნის წარმოდგენას კულტურული მრავლფეროვნების შესახებ? რატომ?

19. ტექსტსა და მინიატიურაზე დაყრდნობით იმსჯელე, რა დამოკიდებულება ჰქონდათ არაბებსა და ესპანელებს რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ? პასუხი დაასაბუთე.



რუკა 6. პირენეს ნახევარკუნძული XI ს.-ში

20. რა წინააღმდეგობები არსებობდა პირენეს ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხებს შორის, რაც მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას უშლიდა ხელს?

21. რატომ მიმდინარეობდა რეკონკისტა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ?

22. რომელმა გეოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობა სამხრეთში არაბობის გახანგრძლივება?

23. რა გავლენა მოახდინა არაბობამ პირენეს ნახევარკუნძულის განვითარებაზე?

24. შეავსე სქემა: რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები გამოიწვიეს არაბებმა პირენეს ნახევარკუნძულზე? (**მოსწავლის რვეული, დავ. 4**)

კორტესები – წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო ესპანეთში

რეკონკისტის დროს პირენეს ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბებული სახელმწიფოები წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიები იყო. თავდაპირველად კასტილიაში დაიწყეს მეფის კარზე საბჭოში მსხვილი მიწათმფლობელებისა და უმაღლესი სასულიერო პირების მიწვევა. შემდგომში თათბირზე ქალაქების წარმომადგენლებსა და ხანდახან თავისუფალ გლეხებსაც იწვევდნენ. ასე ჩამოყალიბდა ესპანურ სამეფოში მეფეების კარზე წოდებრივ-წარმომადგენლობითი გაერთიანება – კორტესები (რომლის სახელიც კორტ-იდან – „სამეფო კარიდან“ – მომდინარეობს). კორტესები კასტილიაში სამი პალატისგან შედგებოდა. კორტესები ამტკიცებდა ახალ გადასახადებს და მონაწილეობას იღებდა კანონების შემუშავებაში. წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები პირენეს ნახევარკუნძულზე დაარსებულ სხვა სამეფოებშიც ჩამოყალიბდა. კასტილიის კორტესები ევროპაში პირველი იყო, რომელშიც თავისუფალი გლეხები მონაწილეობდნენ.

თავიდან კორტესები მხოლოდ რჩევებს აძლევდა მეფეს. XIII საუკუნიდან მათი მნიშვნელობა გაიზარდა, თუმცა დამოუკიდებლად კანონების მიღება არასდროს შეეძლო. კორტესების წინაშე დებდნენ ტახტზე ასული მეფეები ფიცს, კორტესზე განიხილავდნენ მემკვიდრეობის, ომისა და მშვიდობის საკითხებს, მაგრამ ესპანურ სამეფოებში მათ განსხვავებული უფლებები ჰქონდათ, მაგ., არაგონის სამეფოში მეფის ხელისუფლებას ზღუდავდა, კასტილიაში კი არა.

25. საზოგადოების რომელი სოციალური ფენის, რომელი წოდებების წარმომადგენლები იყვნენ კორტესებში გაერთიანებული?

26. შენი აზრით, რატომ ჩამოყალიბდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ესპანეთის ქრისტიანულ სამეფოებში და არა მუსლიმურ სამთავროებში?

27. რა მნიშვნელობა ექნებოდა საზოგადოებისთვის წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნას?

28. გაიხსენე განვლილი მასალიდან რომის რესპუბლიკური მმართველობის სისტემა და ცხრილის სახით ერთმანეთს შეადარე კორტესები და სენატი. (**მოსწავლის რვეული, დავ. 5**)



■ *რუკა 7. ევროპა XI ს.-ის დასაწყისში*

29. რომელმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცის ფორმირება?

30. იმუშავე კონტურულ რუკაზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 6**).

§ 5. ბიზანტია აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ

1. გაიხსენე, რომელი ტერიტორია დაკარგა ბიზანტიამ არაბთა ლაშქრობების შემდეგ. როგორ ფიქრობ, შეეცდებოდა თუ არა აბასიანების სახალიფოს დაშლის შემდეგ ბიზანტია მიწების დაბრუნებას?

2. თავის დროზე არაბთა დაპყრობებს თან სდევდა დამორჩილებული ხალხების ისლამიზაცია და არაბიზაცია. როგორ ფიქრობ, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი ბიზანტიის მიერ ისეთი რეგიონის დაბრუნება, სადაც მოხდა როგორც ისლამიზაცია, ისე არაბიზაცია, მაგ., ეგვიპტის?

X საუკუნის II ნახევარში პოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთში შეიცვალა. არაბთა სახალიფოს დაშლით ისარგებლა ბიზანტიის იმპერიამ და აღმოსავლეთში თავისი საზღვრების გაფართოება დაიწყო. ბიზანტიელი სარდლები არაბულ სამფლობელოებზე აწყობდნენ ლაშქრობებს. მათ თანდათან თითქმის მთელი მცირე აზია დაიბრუნეს და სირიის ქალაქებისთვის დაიწყეს ბრძოლა. ეს პერიოდი თანხმდება ბიზანტიის სათავეში მაკედონელთა დინასტიის (867 - 1056 წწ.) მოსვლას.

მაკედონელთა დინასტია ბიზანტიის სათავეში

მაკედონელთა დინასტიის მმართველობის პერიოდში ბიზანტიის იმპერატორები ყველაფერს აკეთებდნენ იმპერიის ძველი დიდების აღორძინებისა და გამარჯვებისათვის. მაკედონელთა დინასტიის წიაღში ჩაისახა პირველად აზრი იმპერატორობის მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ, რათა დაფუძნებულიყო ერთი მძლავრი დინასტია და ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო შინააშლილობებს.

სწორედ მათი მოღვაწეობის დროს გახდა ბიზანტიაში საიმპერატორო ძალაუფლება მემკვიდრეობითი.

მაკედონელთა ეპოქაში კიდევ უფრო ცენტრალიზებული გახდა იმპერიის ადმინისტრაცია. კიდევ უფრო გაიზარდა ეკლესიის პრესტიჟი. ბიზანტიის იმპერატორი „ღვთის სწორად“ იწოდებოდა, სამეფო კარის მთელი ცერემონიალი თუ რიტუალები მისი პიროვნების განდიდებისკენ იყო მიმართული. სახელმწიფოს მოხელეთა მთელი ძალისხმევა, დევიზით „ერთი იმპერატორი, ერთი სარწმუნოება“ იმისკენ იყო მიმართული, რომ ბერძნული ენის, ელინური კულტურის პროპაგანდა-გავრცელებით იმპერიის სხვადასხვა ხალხებს შორის ერთობა განემტკიცებინათ.



სურ. 1 ქრისტე აკურთხებს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტს. სპილოს ძვალზე ნაკეთობა. X ს.

მაკედონელთა დინასტიის მმართველები მუდმივად ზრუნავდნენ იმ წინააღმდეგობათა დაძლევაზე, რაც შინაგანად ღრღნიდა იმპერიას. მსხვილი ფეოდალები ერთიანდებოდნენ საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ავიწროვებდნენ წვრილ მიწათმფლობელებს.

ხშირი იყო დიდებულთა აჯანყება და შეთქმულება იმპერატორის წინააღმდეგ. გაღარიბებულ ხაზინას უჭირდა დაქირავებული ჯარის შენახვა, ამიტომ არმიას გლეხებით ავსებდნენ, იმპერატორი საგანგებო ბრძანებებით აძლიერებდა სახელმწიფო არმიას.

წყარო ა) იმპერატორ რომანოზ ლაკაპინის (919-944 წწ.) კანონებიდან

„თუ მიწისმფლობელი საკუთარი მიწის სრულად ან ნაწილობრივ გაყიდვის აუცილებლობის წინაშე დადგება, ეს მიწა გასაყიდად შესთავაზოს თავისივე თემის წევრს. ყველა სხვაგვარი გარიგება უკანონოდ გამოცხადდება და მიწა ძველ მფლობელს დაუბრუნდება. ჩვენ ამას ვადგენთ არა მდიდართა მიმართ სიძულვილის, არამედ ღარიბების ინტერესებისა და ზოგადი კეთილდღეობისათვის. ვინაიდან მათ, ვინც უფლის წყალობით ხალხზე აღზევდნენ სიმდიდრითა და ძალაუფლებით დაივიწყეს ღარიბები და ყოველმხრივ ცდილობენ მათ შევიწროვებას. რაც ბადებს უკმაყოფილებას და იწვევს აჯანყებებს. საგლეხო მიწათმფლობელობა ქმნის სახელმწიფოს 2 ძირითად საყრდენს: გლეხები იხდიან გადასახადებს და მსახურობენ არმიაში. თუ გლეხთა რაოდენობა შემცირდება, დაკნინდება სახელმწიფოს 2 ბურჯი“.

წყარო ბ) იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959 წწ.) კანონებიდან

„როგორც თავი სჭირდება სხეულს, ისე არმია სჭირდება სახელმწიფოს. და ვინც არ ზრუნავს არმიაზე, საკუთარ კეთილდღეობას აყენებს საფრთხის წინაშე. დროთა მანძილზე მეომართა არსებობისთვის საჭირო ქონება განიავდა, ამიტომ ვბრძანებ:

აეკრძალოთ მეომრებს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიწის გაყიდვა. ეს მიწა გადასცენ მემკვიდრეობით, მხოლოდ ამ მიწაზე სამხედრო ვალდებულების შენარჩუნებით. ეს მიწა არ შეიძლება გადაეცეს არასამხედრო პირებს“.

3. რატომ იყო დაინტერესებული იმპერატორი გლეხების უფლებების დაცვით? რა მიზანს ისახავდა კანონი?

4. რატომ გახდა იძულებული, იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი მსგავსი კანონი მიეღო და იმსჯელე, რამდენად ეფექტური იქნებოდა ის მიზნის მისაღწევად?

5. წყაროების მიხედვით, ბიზანტიურ საზოგადოებაში რომელი სოციალური ფენა იყო იმპერატორის დასაყრდენი?

6. კიდევ რას (რესურსებს/ინსტიტუციებს) ეფუძნებოდა იმპერატორის ძალაუფლება ბიზანტიაში?

7. ერთმანეთს შეადარე ბიზანტიასა და ინგლისში არსებული ის მოდელები, რომლებიც მეფის, იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცების მიზნით შეიქმნა. იმსჯელე, მათი ეფექტურობის შესახებ. როგორ ფიქრობ, რა რისკები შეიძლება ჰქონოდა თითოეულ მოდელს?

ბიზანტიის საგარეო პოლიტიკა

იმპერია არაბთა სახალიფოს არსებობის პერიოდში ხელს უწყობდა წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებას. მეტიც, მათთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც ამყარებდა. თანამშრომლობის ამგვარი ფორმა ორივე მხარისათვის მისაღები იყო, ვინაიდან ის საერთო მტრის – არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა, როდესაც არაბთა სახალიფომ პოზიციები დათმო, სახალიფოს დასუსტებასა და დაშლასთან ერთად ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური კურსი შეიცვალა და ის დიპლომატიურ ბრძოლაზე გადავიდა.

სამხრეთ კავკასიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ბიზანტიისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ხშირად ხდებოდა ჩრდილოეთის მხრიდან ბიზანტიისა და აზიური მომთბარე ტომების, სამხრეთის მხრიდან კი – წინა და შუა აზიის პოლიტიკურ ერთეულებთან დაპირისპირების ასპარეზი. ამიტომ ბიზანტიური დიპლომატიის მიზანი იყო კავკასიონის მთისწინა ზოლში სპარსელების, შემდეგ არაბების წინააღმდეგ გარკვეული ბარიერის შექმნა იმპერიის მცირეაზიული სამფლობელოების დასაცავად. ამ ბარიერის ფუნქცია უნდა შეესრულებინათ კავკასიის მოკავშირე და ვასალურ სახელმწიფოებს.

საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე:

8. რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის რეგიონს ბიზანტიისთვის ადრეულ შუა საუკუნეებში? მოიყვანე მაგალითები, როგორ იყენებდა მას ბიზანტია საკუთარი ინტერესებისთვის.

9. რა შედეგი მოჰყვა საქართველოსთვის არაბთა სახალიფოს დასუსტებას? როგორ შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა?

10. რა როლი შეასრულა ბიზანტიამ ტაო-კლარჯეთის ჩამოყალიბებაში?

11. რატომ ატარებდნენ ტაო-კლარჯეთის მთავრები ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს?

ბიზანტიის მიზანი იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკურ გავლენის გავრცელება გახდა. ამ მიზნის მიღწევას ის რეგონში მცხოვრები ხალხის, სხვადასხვა სამეფო-სამთავროს ან სამეფო-სამთავროში ფეოდალების ერთმანეთთან წაქეზებითა და გადამტერებით ცდილობდა. იმავდროულად ამ მოკავშირე ან ვასალურ სახელწიფოებთან ხელშეკრულებებსაც აფორმებდა. არასტაბილური იყო ბიზანტიის ურთიერთობა კავკასიის ქრისტიანულ სამეფო-სამთავროებთანაც. ხშირად ბიზანტიასა და ამ სახელმწიფოებს შორის საზღვარი იცვლებოდა. ჯერ კიდევ X საუკუნის II ნახევარში, როდესაც სომხეთის რამდენიმე სამხრეთი ოლქი გათავისუფლდა არაბთა ბატონობისგან, ბიზანტიამ ისარგებლა სიტუაციით და აღარ დააყოვნა ზოგი მათგანის დაპყრობა. სომხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა წვრილი ფეოდალური სამთავროს (ვასპურაკანი, ტაშირ-ძორაგეტი, ვანანდი, სივნიეთი, ანისი) ერთმანეთთან დაპირისპირება ბიზანტიას უადვილებდა მათ მოქცევას საკუთარი გავლენის სფეროში.

არაბთა სახალიფოს საბოლოოდ დაკნინებამ ხელი შეუწყო, რომ XI საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ ექსპანსიური პოლიტიკა ეწარმოებინა, რაც გამოჩნდა კიდეც ბასილი II-ისა (976-1025 წწ.) და მისი მემკვიდრეების საგარეო პოლიტიკაში.

12. მოიყვანე ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობიდან ბიზანტიის დიპლომატიის დასახასიათებლად მაგალითები, როგორ იყენებდა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ტაოელ თუ კლარჯ ბაგრატიონებს შორის დაპირისპირებას.

13. გაიხსენე, რატომ და რა პირობით გადასცა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ დავით III კურაპალატს საჩუქრად მიწები და შემდეგ რატომ მოსთხოვა უკან დაბრუნება?

14. გაიხსენე, რატომ, რომელი სამფლობელოსთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II და საქართველოს მეფე გიორგი I. რატომ იყო ეს ტერიტორია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი? რა შედეგით დასრულდა ეს დაპირისპირება და როგორ შეიცვალა როგორც საქართველოს, ისე ბიზანტიის საზღვრები?

ბიზანტიის მიერ სამხრეთ ტაოს დაპყრობას უდიდესი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში იმპერიის პოლიტიკის გასატარებლად. ბასილი II-ის მიერ მიერთებულ დავით კურაპალატის მიწებზე შეიქმნა სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი – იბერიის თემი, რომლის შემადგენლობაში შემდგომში სხვა ტერიტორიებიც შევიდა.

VII საუკუნიდან ბიზანტიის იმპერია რეფორმის შედეგად სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულებად – თემებად იყოფოდა. თემები ცენტრალურ ხელისუფლებას გადასახადებს არ უხდიდნენ და შემოსავალი ადგილობრივ მმართველობას რჩებოდა, თავის მხრივ, არც კონსტანტინოპოლიდან იგზავნებოდა თანხები ჯარის შესანახად. თემის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი სამხედრო სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. ადმინისტრაციულ იერარქიაში თემებს განსხვავებული ადგილი ეკავათ. იმპერიის ძირითად დასაყრდენად აზიური თემები ითვლებოდა.



სურ. 1 ბასილი II გიორგი I-ს მისდევს. მინიატურა ბიზანტიელი ქრონისტის იოანეს სკილაცეს წიგნიდან „ისტორიის მიმოხილვა“. XII ს.

15. დააკვირდი ბიზანტიურ მინიატურას. როგორ გადმოსცემს მხატვარი დევნის სცენას? რა საშუალებებს იყენებს გარემოების აღსაქმელად?

16. როგორ ფიქრობ, რამდენად მყარი იქნებოდა აღმოსავლეთ თემებში იმპერატორის ძალაუფლება?

ბიზანტიის მიერ სამხრეთ ტაოს მიერთების შემდეგ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მეზობელი **ანისისა** და **ვასპურაკანის** სომხური სამეფოებიც. როგორც სამხრეთ ტაოს, ისე ანისისა და ვასპურაკანის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები გადიოდა.

ანისის სამეფო – არაბთა მფლობელობის დასუსტების შემდეგ სომხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ერთ-ერთი სამეფო, რომელიც 885-1045 წლებში არსებობდა. აერთიანებდა სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილს, დედაქალაქით ანისში. სამეფოს სათავეში ედგა ბაგრატუნთა საგვარეულო. სამეფოს ცენტრალური ოლქი იყო შირაქი, ამიტომ ხშირას მას შირაქის სამეფოსაც უწოდებენ.

ვასპურაკანის სამეფო – სომხური ფეოდალური სამეფო, რომელიც არსებობდა 908-1021 წლებში.

მოიცავდა ტერიტორიას ვანის, ურმიის ტბებსა და მდინარე არაქსს შორის. სამეფოს სათავეში ედგა არწრუნთა საგვარეულო.

წყარო ა) იაჰია ანტიოქიელი, „მატიანის გაგრძელება“, XI ს.

„სენექერიმმა, ვასპურაკანის მეფემ გადასცა ყველა თავისი ციხესიმაგრე და მთელი ვასპურაკანი ბასილი კეისარს... ყველა ისინი კეისარმა შეუერთა თავის სამეფოს, ციხესიმაგრეების რაოდენობა იყო 40-ზე მეტი... ჩაასახლა ციხესიმაგრეებში მეომრები და დაუნიშნა მათ უფროსები. სენექერიმს მისცა ვრცელი მამულები, დიდძალი ფული და მაღალი ტიტულები“.



სურ. 2 ანისის ნანგრევები

17. რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი მტკიცე და დიდი გალავანი ქალაქ ანისს? რაზე მეტყველებს ანისის გალავნის ნანგრევები? გამოთქვი მოსაზრებები, რატომ შეიძლებოდა, ანისი ბიზანტიისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარი გამხდარიყო?

18. შენი აზრით, რატომ გადასცა სენექერიმმა ბასილს ციხესიმაგრეები?

19. რატომ ჩაასახლა ბასილიმ ციხეებში თავისი მეომრები? რა წარმოადგენდა ბიზანტიის პოლიტიკური ინტერესის სფეროს და რა იყო ამის მიზეზი?

ბიზანტიის მიერ ანისის მიერთების შემდეგ ის იბერიის თემის შემადგენლობაში შევიდა და მის მთავარ ქალაქად იქცა. იბერიის თემი უკვე აერთიანებდა შემდეგ მხარეებს: იმიერტაოს, ჩრდილოეთ ბასიანს, ოლთისს, თორთომს, კოლას, არტაანს, შავშეთს, ჯავახეთს, ზემო ქვეყნებს არაქს-ევფრატის აუზში, კლარჯეთის ნაწილს, ანისს.

20. ქვემოთ მოცემულია X საუკუნის შუა ხანების ბიზანტიის მცირეაზიული თემებისა და XI საუკუნის ბიზანტიის რუკები. შეადარე ისინი ერთმანეთს და ჩამოთვალე მცირე აზიის ის თემები, ტერიტორიები, რომლებიც დაემატა ბიზანტიას ამ ხნის განმავლობაში.

21. შენი აზრით, რატომ ითვლებოდა აღმოსავლეთის თემები ბიზანტიის იმპერიის მთავარ დასაყრდენად? რა მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიისთვის ამ თემებში სტაბილურობის შენარჩუნებას?



რუკა 8. ბიზანტიის მცირეაზიული თემები X ს.-ის მიწურულს



რუკა 9. ბიზანტიის იმპერია 1025 წლისთვის

X საუკუნიდან იმპერიას ჩრდილოეთის მხრიდან საფრთხეს უქმნიდა ბულგარეთი. მეფე სიმონმა პრესლავში დამოუკიდებელი ბულგარული საპატრიარქო დააარსა და თავი „ბულგარელთა მეფედ და რომაელთა იმპერატორად“ გამოაცხადა. კონსტანტინოპოლი ბეწვზე გადარჩა დაცემას. ბიზანტიამ ხარკი იკისრა და ნახევარი საუკუნე იხდიდა კიდეც. მხოლოდ შედარებით მოძლიერებულმა **ნიკიფორე ფოკამ** გაბედა უარის თქმა ამ სამარცხვინო ხარკზე 967 წელს, როცა ბულგარეთი ძლიერ დაასუსტა **ბოგომილთა** რელიგიურმა მოძრაობამ. ამ ვითარებით ისარგებლა **კიევის დიდმა მთავარმა სვიატოსლავმა** და ბიზანტიელებისაგან დასახმარებლად მიწვეულმა მთელი ბულგარეთი დაიპყრო, შემდეგ ბალკანეთი დალაშქრა და საფრთხე თავად კონსტანტინოპოლსაც შეუქმნა.

ბულგარეთის და რუსეთის საკითხი მოაწესრიგა ბასილი II-მ. 988 წელს ბასილი II-ის გავლენით კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმირმა ქრისტიანობა მიიღო. ვლადიმირის ვაჟმა იაროსლავ ბრძენმა კიდევ უფრო განავრცო ქრისტიანობა და კონსტანტინოპოლის მიბაძვით გაამშვენა ქალაქი კიევი. XI ს.-ის დასაწყისში ბულგარეთი კვლავ აღორძინდა და ბასილი II-ს 30-წლიანი ომი მოუწია მათი საბოლოოდ დამორჩილებისათვის. გადამწყვეტ ბრძოლაში 1014 წელს მან ბულგარელების დამარცხება მოახერხა და 14 ათასი მეომარი ჩაიგდო ტყვედ.

ბიზანტიამ ბულგარეთი მიიერთა და საზღვარმა მდინარე დუნაიმდე გადაიწია, ხოლო ბულგარეთის დამოუკიდებელი საპატრიარქო გაუქმდა.

ბასილი II-მ წარმატებით იმოქმედა სამხრეთ იტალიაშიც და იგი იმპერიის ნაწილად აქცია.

იმპერატორმა ტყვედჩავარდნილი ბულგარელი მეომრების დაბრმავება ბრძანა, ოღონდ ყოველ მეასეს ერთი თვალი დაუტოვეს. თვალდამწვარი მეომრები ბასილი II-მ ბულგარეთის მეფესთან გაგზავნა. ამ სისასტიკისთვის ბასილს „ბულგართმმუსვრელი“ უწოდეს.

22. რუკა 9-ის მიხედვით რა საფრთხეები არსებობდა ბიზანტიისთვის ჩრდილოეთის საზღვრებთან და ამ თვალსაზრისით, რა სტრატეგიულ მნიშვნელობას შეიძენდა ბულგარეთი?

23. რატომ იყო ბიზანტიის იმპერატორი დაინტერესებული კიევის რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებით?

24. რუკის 9-ის მიხედვით, მაკედონელთა მმართველობის პერიოდში რომელ ზღვებს აკონტროლებდა ბიზანტია და რატომ იყო მნიშვნელოვანი მათი კონტროლი?

25. იმსჯელე, ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაზე მაკედონელთა მმართველობის პერიოდში. როგორ ფიქრობ, მოცემულ ეტაპზე არსებობდა თუ არა რამე საფრთხე იმპერიისთვის? შენი აზრით, როგორ უნდა განვითარებულიყო იმპერიის საგარეო პოლიტიკა მომავალში და რა უნდა ყოფილიყო მისი წარმატების საწინდარი?

ნიკიფორე ფოკა – ბიზანტიის იმპერატორი 963-969 წწ.

ბოგომოლები – ქრისტიანული მიმდინარეობა, რომელიც X საუკუნეში ბულგარეთში მღვდელმა ბოგომილმა დააარსა. ბოგომილები („ღმრთის მეგობრები“) თვლიდნენ, რომ ღმერთმა მხოლოდ სულიერი არსებანი შექმნა, მატერია კი ეშმაკის შექმნილი იყო. ამ დებულებაზე დაყრდნობით უარყოფდნენ ყოველივე იმას, რაც დაკავშირებული იყო სხეულთან და ზოგადად, მატერიასთან.

კიევის დიდი მთავარი სვიატოსლავი – აღმოსავლეთ სლავების სახელმწიფოს - კიევის რუსეთის - მთავარი 945-972 წწ. თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა მხედართმთავარმა.

მაკედონური რენესანსი

მაკედონური დინასტიის მმართველობის პერიოდი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით გამოირჩეოდა, რაც კულტურული აღმავლობის საწინდარი გახდა.

ისტორიკოსის კომენტარი
შარლ დილი, „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“

ფინანსების გონივრული გამოყენება და მრეწველობისა თუ ვაჭრობის მანამდე არნახული განვითარება იმპერიისათვის არა მარტო ძლიერების, სიმდიდრის წყაროც იყო... დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამავალი დიდი სავაჭრო გზების გასაყარზე თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით, კონსტანტინოპოლი თითქოს გრანდიოზული საწყობი იყო, სადაც მილეთის ხალხი იყრიდა თავს და მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავის ნაწარმს ეზიდებოდა.

მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების კვალდაკვალ, სულიერი ცხოვრებაც უჩვეულო აღმავლობას განიცდიდა. კონსტანტინოპოლის აღდგენილ უნივერსიტეტში, რომელსაც მფარველობას არ აკლებდნენ იმპერატორები, სახელგანთქმული მასწავლებლები ფილოსოფიის, რიტორიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში წვრთნიდნენ თავიანთ მსმენელებს, და მათი კათედრების ირგვლივ თავს იყრიდნენ შეგირდები, რომლებიც აქეთკენ ბიზანტიისა და არაბული აღმოსავლეთის ყოველი კუთხიდან მოეშურებოდნენ.

აზროვნების ყველა სფეროში შეინიშნება აშკარა გამოცოცხლება, რაც უშუალოდ უკავშირდება ანტიკურობის აღორძინებას. რაც შეეხება ხელოვნებას, მაკედონური დინასტიის ეპოქა მისთვისაც ნამდვილი ოქროს ხანა იყო. იუსტინიანეს მსგავსად, ბასილი პირველი და მისი მემკვიდრეებიც სააღმშენებლო საქმიანობის ჭეშმარიტი ტრფიალნი იყვნენ, და მათი ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი ფანტაზია მომხიბლავი ეკლესიების მთელ ანსამბლში ოსტატურად იმეორებდა წმიდა სოფიოს ტაძრის არქიტექტურულ ტიპს. ამ ეპოქის ხელოვნებაში, ისევე როგორც მწერლობაში, აშკარად დომინანტობს აღორძინებული ანტიკურობის ტრადიციები და საერო ელემენტები. ბიზანტია ელინურ კონცეფციებს, მარტივ წესრიგსა და სკულპტურულ საწყისებს უბრუნდება...

კონსტანტინოპოლი იყო ამ ცივილიზებული სამყაროს დედაქალაქი, მშვენიერების დედოფალი. წმინდა სოფიის ტაძარი, „წმიდა სასახლე“, იპოდრომი, სადაც ხელისუფლება მართავდა ყოველნაირ სანახაობას, რასაც შეიძლებოდა ხალხი გაერთო, - აი, სამი ცენტრი, რომელთა ირგვლივ დუღდა და გადმოდიოდა ბიზანტიის მთელი ცხოვრება. მათ გვერდით, ეკლესიებისა და მონასტრების ურიცხვი სიმრავლე, დიდებული სასახლენი, მდიდრული ბაზრები, ანტიკური ხელოვნების შედევრებით უხვად შემკული ქუჩები და მოედნები უმომხიბლავეს მუზეუმად აქცევდნენ ქალაქს.



სურ. 3 ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება, აია სოფია, სტამბული. IX ს.



სურ. 4 ოსიოს ლუკას მონასტერი, საბერძნეთი. X ს. მონასტერი მაკედონური რენესანსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად ითვლება.

26. გაიხსენე, რა ნიშნები ახასიათებდა ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურას და რატომ იყო მაკედონური რენესანსის დროს ანტიკურობის აღორძინება სიახლე?

§6-7. რა შედეგები მოსდევდა ევრაზიის სტეპებიდან მომთაბარე ტომების მიგრაციებს? როგორ შეცვალა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ახლო აღმოსავლეთის რუკა?

მომთაბარეები ევრაზიის სტეპებიდან

ევრაზიის კონტინენტზე აღმოსავლეთ ევროპიდან თითქმის წყნარ ოკეანემდე ვრცელი ველებია გადაჭიმული. გვალვა და ყინვაგამძლე ბალახით დაფარულ ამ თვალუწვდენელ ტრამალებს ევრაზიულ სტეპებს უწოდებენ. ოდითგანვე ევრაზიულ სტეპებში ჯერ ირანულენოვანი, შემდეგ კი თურქულენოვანი და მონღოლური ტომები ცხოვრობდნენ.

1. როგორ ფიქრობ, რა იქნებოდა ამ რეგიონში მცხოვრები ხალხის საქმიანობა? რა გავლენას მოახდენდა ეს კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო აქ მცხოვრები ხალხების ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე?

საშინელმა გვალვამ ევრაზიის სტეპებში IX საუკუნის ბოლოს იქ მცხოვრები მომთაბარე ხალხების დასავლეთით მიგრაცია გამოიწვია. პაჭანიკები, რომლებიც სხვა თურქულენოვანმა ხალხებმა – **ოღუზებმა** – შეავიწროვეს, დასავლეთისკენ დაიძრნენ და ხაზართა სახაკანოს ტერიტორიაზე მივიდნენ. რამაც ხელი შეუწყო სახაკანოს დაცემას. პაჭანიკები ახალი სამხედრო და პოლიტიკური ძალა გახდა.

XI საუკუნის პირველ ნახევარში პაჭანიკების შევიწროება დაიწყო აღმოსავლეთიდან მოსულმა ახალმა ხალხმა – **ყივჩაყებმა**, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში.

XI საუკუნის დასაწისში პაჭანიკები მდინარე დუნაის აუზში გააქტიურდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ მეზობელ სახელმწიფოებს: ბულგარეთსა და ბიზანტიას. ბულგარეთის სამეფო ცდილობდა, პაჭანიკები ბიზანტიის წინააღმდეგ გამოეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ბიზანტიამ დაიწყო მათი დაქირავება უფრო ხელსაყრელი პირობებით. იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა (1042-1055 წწ.) მათ საშუალება მისცა, დუნაის ნაპირებზე დასახლებულიყვნენ. მომთაბარეები ბიზანტიის **ფედერატები** გახდნენ, ბიზანტიურ ჯარში მსახურობდნენ. ისინი ბიზანტიის ჩრდილოეთის საზღვრებს ახლა უკვე სხვა თურქულენოვანი ტომების – ოღუზების – შემოსევებისგან იცავდნენ.

ოღუზები — თურქულენოვანი მომთაბარე ტომები, რომლებიც VII-XI საუკუნეებში შუა და ცენტრალურ აზიაში ცხოვრობდნენ.

ყივჩაყები – თურქულენოვანი ხალხი, რომელიც XI საუკუნისათვის გავრცელდა ევრაზიის სტეპების ზონაში, ტიან-შანიდან დუნაის შესართავამდე. ყივჩაყებს ერთიანი სახელმწიფო არ შეუქმნიათ, ისინი ცალკეულ ტომებად იყოფოდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა მომთაბარე მესაქონლეობა და ალაფისთვის ლაშქრობა იყო. მათ, როგორც კარგ მეომრებს, ხშირად ქირაობდა სხვადასხვა სახელმწიფო, მაგ., ხორეზმი, რუსული სამთავროები, საქართველო, ბიზანტია, უნგრეთი და ბულგარეთი. XIII საუკუნეში ყივჩაყები მონღოლებმა დაიპყრეს.

ფედერატები (მოკავშირეები) – რომაელთა სამსახურში მყოფი ბარბაროსი ტომები, რომლებიც რომის იმპერიის საზღვრებში იყვნენ განლაგებული.

XI საუკუნის ბოლოს ოღუზთა თავდასხმებისგან შევიწროებულმა პაჭანიკებმა თრაკიისკენ დაიწყეს გადაადგილება. გზად ბიზანტიის შემადგენლობაში შემავალ ბულგარეთის მიწებს არბევდნენ და ბიზანტიის ჯარებთანაც უწევდათ დაპირისპირება.

ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნენოსმა (1081-1118 წწ.) ჩრდილოეთის საზღვრების პრობლემის მოგვარება და მომთაბარეებთან ბრძოლის გამართვა გადაწყვიტა. 1088 წელს დიდი ჯარით პაჭანიკების მიწებზე შეიჭრა, თუმცა დამარცხდა. პაჭანიკებმა აღმოსავლეთიდან გამოჩენილი ახალი მომთაბარეების — ყივჩაყების – მოგერიებაც მოახერხეს და თრაკიამდე ბიზანტიის სამფლობელოების რბევაც გააგრძელეს. ალექსი კომნენოსმა პაჭანიკების წინააღმდეგ ყივჩაყებთან შეკრა კავშირი და 1091 წელს ისინი დაამარცხეს.

დუნაისპირეთიდან პაჭანიკები ყივჩაყებმა და ოღუზებმა განდევნეს, რის შემდეგაც ნაწილი თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიაზე დასახლდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეერია. უკანასკნელად პაჭანიკები წყაროებში მოხსენიებული არიან XII საუკუნეში, როცა ოღუზებთან და ყივჩაყებთან ერთად ისევ თავს დაესხნენ ბიზანტიას, თუმცა მნიშვნელოვანი როლი აღარ შეუსრულებიათ.

2. გაიხსენე ისტორიიდან ხალხთა მიგრაციის მაგალითი. რა შედეგით დასრულდა ეს პროცესი?

3. რა საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა ბიზანტიას, თუ პაჭანიკები თრაკიას დაიკავებდნენ?

4. სად ცხოვრობდნენ ყივჩაღები და რატომ გაერთიანდნენ ისინი ბიზანტიელებთან პაჭანიკების წინააღმდეგ?

5. შეავსე ცხრილი, სადაც ერთმანეთს შეადარებ ორ მიგრაციულ პროცესს. (**მოსწავლის რვეული, დავ. 7**)

როგორ შეცვალა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ახლო აღმოსავლეთის რუკა?

XI საუკუნეში ცენტრალური აზიიდან სხვა თურქულენოვანმა ტომებმა – თურქ-სელჩუკებმაც დაიწყეს მიგრაცია, თუმცა მათი მარშრუტი პაჭანიკებისა და ყოვჩაყების მარშრუტისგან განსხვავდებოდა. სელჩუკები წინა აზიაში იწყებენ შემოსვლას. იმის მიუხედავად, რომ X საუკუნეში ცალკეული მცირერიცხოვანი თურქული ტომები ამ რეგიონში უკვე მოსახლეობდნენ, სელჩუკთა მოსვლა თურქულენოვან ხალხთა პირველი მსხვილმასშტაბიანი ჩამოსახლება იყო.

სელჩუკები ოღუზების სახელით ცნობილი თურქულენოვანი მომთაბარე ტომები იყვნენ. ისინი შუა აზიაში, კასპიისა და არალის ზღვებს შორის მომთაბარეობდნენ. მათ შესახებ ცოტა რამ ვიცით. ისტორიული წყაროები, რომლებიც მოცემულ პერიოდში ოღუზთა ტომის შესახებ მოგვითხრობს, საკმაოდ მწირია, თუმცა მათი ცხოვრების წესზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

წყარო ა) უცნობი სპარსელი ავტორი, X ს., „ქვეყნის საზღვრები აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“

ამ ქვეყნის აღმოსავლეთით (სადაც ოღუზები ცხოვრობენ) ჩინეთია, სამხრეთით – ტიბეტის მხარეები..... ეს ქვეყანა სხვა თურქულ ქვეყნებზე დიდია... ოღუზები მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. ისინი კარგი მეომრები არიან. ბევრი იარაღი აქვთ. ზამთარსა და ზაფხულში საძოვრებისთვის ადგილიდან ადგილზე გადადიან, სადაც უკეთესი კლიმატია. მათ მხარეში ბინადრობენ შავი, წითელი და ზოლიანი მელიები, მოიპოვება მუშკი, რუხი ციყვის ქურქი, სხვა ტყავები, იაკის ეშვები. ქვეყანაში ბევრი სიკეთე არ არის, ესაა მათი საქონელი, რაც ჩამოვთვალეთ და ასევე თხები, ძროხები და ცხენები.

6. იმსჯელე, რატომ არ ჩამოაყალიბეს ოღუზებმა იმ რეგიონში სახელმწიფო, სადაც მოსახლეობდნენ და რატომ დაიწყეს მიგრაცია?

ოღუზთა ტომები 24 შტოდ იყოფოდა და სელჩუკები ერთ-ერთი მათგანი იყო. სახელწოდება მათი მეთაურის, სელჩუკის, სახელიდან მოდის, რომელმაც ცალკეული ტომები გააერთიანა. სელჩუკებმა ისლამი მიიღეს.

X საუკუნიდან ამ ტომებმა მშობლიური სტეპების დატოვება და მეზობელ სახელმწიფოებზე თავდასხმები დაიწყეს. ამ დროიდან მოყოლებული ირანის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოებს სულ უფრო ხშირად უწევდათ თურქული ტომების შემოსევების მოგერიება.

სელჩუკებს ბევრი აქლემი, ცხენი და ცხვარი ჰყავდათ, ამიტომ ვრცელი საძოვრები სჭირდებოდათ. სელჩუკის შვილიშვილების ჩაღრი-ბეგისა და თოღრულ-ბეგის თაოსნობით სელჩუკები ღაზნევიანთა სახელმწიფოს მიადგნენ. მათ **ღაზნევიანების** სახელმწიფოს მეთაურს – მასუდ იბნ მუჰამედს (1030-1041 წწ.) სამხედრო სამსახურისა და გადასახადების სანაცვლოდ მიწების გამოყოფა სთხოვეს. მასუდს **ხორასანის** დაკარგვის შეეშინდა, რადგან იქ სელჩუკები დაბანაკებულიყვნენ და 1035 წელს მოსული მომთაბარეების წინააღმდეგ ჯარებს მოუყარა თავი. სელჩუკებმა ღაზნევიანების არმია ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს. მასუდი იძულებული გახდა, სელჩუკებთან მოლაპარაკება დაეწყო და მათ წინადადებას დასთანხმებოდა.

1038 წელს ღაზნევიანებმა კვლავ დაიწყეს სელჩუკების წინააღმდეგ შეტევა, მაგრამ ამ შეტაკებაშიც დამარცხდნენ. ამის შემდეგ თოღრულ-ბეგი ქალაქ ნიშაბურში შევიდა, მასუდის ტახტზე დაჯდა და თავი სულთნად გამოაცხადა. ეს წელი სელჩუკთა სახელმწიფოს დაარსების თარიღად ითვლება.

სელჩუკი იყო პირველი, რომელმაც თურქთა წინამძღოლთან კავშირი გაწყვიტა, ისლამი მიიღო, ოღუზი ტომები გააერთიანა. შემდეგ დინასტიის სახელწოდება – სელჩუკები მთლიანად მის მიერ გაერთიანებულ ტომებზე გავრცელდა. თურქ-სელჩუკებმა ისლამი მიიღეს და შემდგომ კი ისლამის გავრცელებას დაპყრობითი ომები დაუკავშირეს.

ღაზნევიანების სახელმწიფო – სახელმწიფო ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ღაზნი. აქედან წარმოდგა მისი სახელწოდებაც. ის სამანიანთა სახელმწიფოს გამოეყო და ასე ჩამოყალიბდა. სიძლიერის პერიოდში მის შემადგენლობაში შედიოდა თანამედროვე ავღანეთის, ირანის, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის ბევრი რეგიონი. არსებობდა X-XII საუკუნეებში.

ხორასანი – ისტორიული ოლქი შუა აღმოსავლეთში. მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. აქ მდებარეობდა ოაზისები. მთავარი ქალაქები იყო მარვი, ნიშაბური, ბალხი და სხვ.

ნიშაბური X საუკუნიდან ირანში ერთ-ერთი უმსხვილესი და ეკონომიკურად განვითარებული ქალაქი გახდა. მისი ფართობი დაახლოებით 40 კვ.კმ. იყო. არაბული წყაროს მიხედვით, ქალაქი 44 კვარტლისგან შედგებოდა და ბაღდადზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო. აქ ასეულ ათასობით კაცი ირეოდა. ქალაქის მთავარ ბაზარში გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. ნიშაბური ცნობილი იყო აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებით, რომლებიც ისლამურის სამყაროს საზღვრებს გარეთაც კი გაჰქონდათ.



სურ. 1 ძველი ბაღდადი. რეკონსტრუქცია

დაპირისპირება სელჩუკებსა და ღაზნევიანებს შორის ამით არ დასრულებულა. 1040 წელს ღაზნევიანებსა და თურქ-სელჩუკებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა დანდანაკანის ციხესიმაგრესთან გაიმართა. მასუდმა მთელ ჯარს მოუყარა თავი, აღჭურვილი საბრძოლო სპილოებიც კი გამოიყვანა. ბრძოლა სამ დღეს გრძელდებოდა. სელჩუკებმა სრულად გაანადგურს ღაზნევიანთა არმია. სულთანმა მასუდმა 100 მხედართან ერთად თავს გაქცევით უშველა. ბრძოლის ველზე დარჩენილი ღაზნევიანთა არმიის იარაღ-საჭურველი სელჩუკი მეომრების ალაფად იქცა. ღაზნევიანთა სახელმწიფოს ტერიტორიის დიდი ნაწილი სელჩუკებმა დაიპყრეს.

თოღრულ-ბეგმა და ჩაღრი-ბეგმა დანდანაკანის ბრძოლის შემდეგ ხორასანი დაიკავეს და ლაშქრობები დასავლეთით გააგრძელეს. ჩაღრი-ბეგი ხორასნის მმართველი გახდა, თოღრულ-ბეგი კი სულთანი.

სულთან თოღრულ-ბეგის (1038-1063 წწ.) დროს სელჩუკებმა დაიპყრეს ხორეზმი, ირანი, ერაყი, ქურთისტანი და ბიზანტიას მიუახლოვდნენ.

1055 წ. თოღრულ-ბეგმა ბაღდადის სახალიფოს დედაქალაქი აიღო. ხალიფამ ის სულთნად დალოცა. თორღულ-ბეგმა თავზე ორრქიანი გვირგვინი დაიდგა. ორი რქა სიმბოლურად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელს აღნიშნავდა. თოღრულ-ბეგმა ხალიფისგან ლეგიტიმაცია მიიღო. ამიერიდან ბაღდადის ხალიფას სასულიერო ხელისუფლება დარჩა, ხოლო საერო თოღრულ-ბეგს გადაეცა. ის მუსლიმთათვის უზენაესი ხელისუფალი გახდა.

7. რატომ შეეშინდა მასუდს ხორასნის დაკარგვის და რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ოლქს ღაზნევიანთა სახელმწიფოსთვის?

8. რა მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკებისთვის ნიშაბურის, ბაღადადის დაკავებას?

9. დააკვირდი თანამედროვე მხატვრის მიერ რეკონსტრუირებულ ბაღდადის გეგმას. როგორ იყო ქალაქი დაგეგმარებული? გამოთქვი ვარაუდი, რა მნიშვნელობა ექნებოდა მდინარეს ქალაქის ცხოვრებაში? რაზე მეტყველებს ქალაქის ირგვლივ დამუშავებული მიწების რაოდენობა? იმსჯელე, შეცვლიდა თუ არა ნაყოფიერი მიწებისა და სავაჭრო ქალაქების დაკავება სელჩუკების ცხოვრების წესს.

10. ევროპის ისტორიიდან გაიხსენე საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთობის ანალოგიური მაგალითები, როცა საერო ხელისუფალმა ლეგიტიმაცია სასულიერო პირისგან მიიღო და შეადარე ეს პროცესები ერთმანეთს.



სურ. 2 სელჩუკი მეომრები. ირანული მინიატურა XIII ს.

11. როგორ ფიქრობ, არის თუ არა XIII საუკუნის ეს ირანული მინიატიურა ისტორიული წყარო? პასუხი დაასაბუთე. რის შესახებ გვაწვდის ის ინფორმაციას?

თოღრულ-ბეგის შემდეგ სულთანი მისი ძმისშვილი – ალფ-არსლანი (1063-1072 წწ.) გახდა. დაპყრობები მის დროსაც გაგრძელდა. დასავლეთით ლაშქრობების გაგრძელებამ ბიზანტიასთან დაპირისპირება გამოიწვია. ალფ-არსლანის დროს სელჩუკებმა ილაშქრეს საქართველოსა და ბიზანტიაშიც.

საქართველოში სელჩუკები პირველად 1064 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის (1027-1072 წწ.) დროს, შემოვიდნენ. თურქ-სელჩუკები მისგან დამორჩილებასა და ხარკის გადახდას მოითხოვდნენ, რაზეც ბაგრატი არ დათანხმდა და ბრძოლა გააგრძელა. 1068 წელს ალფ-არსლანმა საქართველოში მეორედაც ილაშქრა.

ალფ-არსლანმა აქტიურად შეუტია ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებს. ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ IV დიოგენემ (1067-1071 წწ.) გადაწყვიტა, ამ ლაშქრობებისთვის ბოლო მოეღო, მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრიბა და ქალაქ მანასკერტში ჩავიდა. შემორჩენილია ისტორიული წყაროები, რომლებიც ამ დაპირისპირებაზე მოგვითხრობს.

წყარო ბ) სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი, XI ს., „ცნობები სელჩუკთა სახელმწიფოს შესახებ“

„(ჰიჯრით) 463 წელს სულთანი ალფ-არსლანს ხმები მოუვიდა, რომ არ-რუმის (ბიზანტიის) მეფემ... 300 ათასამდე საუკეთესო მხედარი და ქვეითი მეომარი შეკრიბა... მათ დაემატნენ სომხები, სპარსელები, პაჭანიკები, ფრანკები – ხალხი, რომლის მხოლოდ შეხედვაც კი შიშის ზარს სცემდა მნახველს.

მათ დაიფიცეს, რომ ხალიფას გააგდებდნენ და მის ადგილზე კათალიკოსს დასვამდნენ, მეჩეთებს დაანგრევდნენ და მის ნაცვლად ეკლესიებს ააშენებდნენ. მაშინ სულთანმა თავის ცოლსა და ვეზირს, ნიზამ ალ-მულქს, შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მტერთან შესაბმელად მივდივარ იმ ჯარით, რომელიც თან მყავს. თუ ცოცხალი გადავრჩები, ალაჰის

კეთილ ნებად ჩავთვლი. თუ დავიღუპები – მის წყალობად. ჩემი მემკვიდრე ჩემი ვაჟი — მალიქ-შაჰი იქნება“.

სულთანს 15 ათასი გულადი მხედარი ჰყავდა და თითოეულ მათგანს, საკუთარის გარდა, სათადარიგო ცხენიც ჰყავდა...

სულთანმა არ-რუმის მეფეს დაზავება შესთავაზა, მან კი უარი თქვა.

როცა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ, აღმოჩნდა, რომ რუმიელებს საკუთარი ჯარის ირგვლივ თხრილი შემოევლოთ. მაშინ სულთანმა თქვა: „ვფიცავ ალაჰს, ისინი განადგურდებიან! ამ რაოდენობის მეომრები ჰყავთ და ჯარს თხრილს ავლებენ, ეს სიმხდალისა და სულმოკლეობის ნიშანია“.

ჯარები ერთმანეთს პარასკევს დაუპირისპირდნენ... უცებ ქარი ამოვარდა და მუსლიმები მტვერმა დააბრმავა. სულთნის ჯარებს ცოტა აკლდათ, რომ არ გაქცეულიყვნენ. მაშინ სულთანი ცხენიდან ჩამოხტა და ლოცვა დაიწყო... ის ლოცულობდა მანამ, სანამ ქარმა მიმართულება არ შეიცვალა და მტვერმა ურწმუნოთა დაბრმავება არ დაიწყო. ბრძოლა გაცხარდა. სულთნის ერთი მეომარი ოქროს უნაგირიან ცხენს გადააწყდა, რომლის გვერდით ოქროს მუზარადიანი კაცი იჯდა. მეომარს მისი მოკვლა სურდა, მაგრამ მან უთხრა: „მე არ-რუმის მეფე ვარ. არ მომკლა. მეფის მოკვლა სირცხვილია“. მეომარმა ამ კაცს ხელები შეუკრა და სულთნის ბანაკში წაიყვანა. სულთანი ლოცულობდა, როცა მასთან მეფე მიიყვანეს. კართან მდგარმა მცველებმა მეფეს თმაში ხელი სტაცეს და დააჩოქეს, რომ მიწისთვის ეკოცნა. მაგრამ მეფემ სულთნის წინაშე მიწას არ აკოცა, რადგან მეფის თავმოყვარეობა და სიამაყე ამის საშუალებას არ აძლევდა. მაშინ სულთანმა თქვა: „დაანებეთ თავი, რადგან ისიც საკმარისია, რაც დღეს იხილა“...

მე (ავტორი) ერთი ხოჯასგან მსმენია ეს ამბავი, როცა არ-რუმის მეფემ თარჯიმანს უთხრა: „გადაეცი სულთანს, ჩემს დედაქალაქში დამაბრუნონ, სანამ არ-რუმის მცხოვრებლები სხვა მეფის ირგვლივ დადგებიან და კვლავ ომს გამოგიცხადებენ, მე კი შენს მონებზე მეტად შენი მორჩილი ვიქნები, ყოველწლიურად ათასობით დინარს გადაგიხდი“.

სულთანმა მეფე გაათავისუფლა, მასთან ერთად დატყვევებულებიც გაათავისუფლა და მეფეს აჩუქა, ძვირფასი ტანსაცმლით დაასაჩუქრა და საკუთარ დედაქალაქში გაუშვა. მეფე თავისი სიტყვის ერთგული დარჩა“.



სურ. 3 მანასკერტის ბრძოლა.
შუა საუკუნეების ფრანგული მინიატურა. XV ს.

12. აღწერე მინიატურაზე გამოსახული ამბები და ახსენი რას უნდა ნიშნავდეს წინა პლანზე არსებული გამოსახულება?

13. რამდენად შეესაბამება წერილობით წყაროებში აღწერილი ამბავი ილუსტრაციაზე გამოსახულს და სანდოა თუ არა მინიატურაზე გადმოცემული ინფორმაცია?



სურ. 4 ბიზანტიელების და სელჩუკების ბრძოლა. ბიზანტიური მინიატურა

წყარო გ) მიქაელ ატალიატე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ისტორია“, XI ს.

„თურქების ელჩობა ჯერ კიდევ იმპერატორთან მიღებას ელოდა, როდესაც რომანთან (რომანოზთან) დაახლოებულმა პირებმა მისი დარწმუნება დაიწყეს, ზავს არ დასთანხმებოდა. ისინი უმტკიცებდნენ რომანს, ზავს მნიშვნელობა არა აქვს, სულთანი მხოლოდ დროის მოგებას ცდილობს და მის დასახმარებლად მომავალ არმიას ელოდებაო, ანუ იმპერატორს ომისკენ უბიძგებდნენ. ამგვარად, თურქები ზავის დადებას ცდილობდნენ, როდესაც რომანმა მოულოდნელად შეტევა წამოიწყო... თურქები უკან იხევდნენ, იმპერატორი კი ჯარითურთ კვალდაკვალ მისდევდა. როდესაც მოსაღამოვდა, რომანმა გადაწყვიტა, მტრის დევნა შეეწყვიტა, რათა მისი ჯარი თურქი მშვილდოსნების მახეში არ მოქცეულიყო. როდესაც ბიზანტიელთა რაზმმა, რომელიც იმპერატორის უკან მოდიოდა, იმპერატორის შემობრუნებული დროშა დაინახა, ჩათვალა, რომ რომანი ბრძოლაში დამარცხდა. ისინიც შეტრიალდნენ და გაიქცნენ. იმპერატორმა გაქცეული ჯარის შეჩერება სცადა. შემაღლებულ ადგილზე მყოფმა თურქებმა დაინახეს, რომ რომაელები უმიზეზოდ უკან გარბოდნენ და ამის შესახებ სასწრაფოდ სულთანს შეატყობინეს. სულთანმაც იმპერატორის ალყაში მოქცევა ბრძანა... რომანი მტერს დიდხანს ვაჟკაცურად იგერიებდა, შემდეგ ხელში დაჭრეს, მის ცხენსაც ისარი მოხვდა. იმპერატორმა ბრძოლა ქვეითად გააგრძელა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო და თურქების ტყვეობაში აღმოჩნდა“.

14. რა ტიპისაა მოყვანილი ისტორიული წყაროები? პირველადია თუ მეორეული? პასუხი დაასაბუთე.

15. შენი აზრით, რამდენად სანდოა მოყვანილი წყაროები?

16. რით განსხვავდება ერთმანეთისგან წყაროების მონათხრობი?

17. რა არის მომხდარი მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზი?

18. რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მოცემული წყაროების ინტერპრეტაციისას?

19. შეავსე სქემა, სადაც ერთმანეთს შეადარებ მოყვანილ წყაროებს და მომხდარ მოვლენას შეაფასებ. (**მოსწავლის რვეული, დავ. 8**)

რუკა 10. სელჩუკთა სახელმწიფო XI ს.-ში

20. დააკვირდი თურქ-სელჩუკთა რუკას. რა ტერიტორია დაკარგა ბიზანტიამ მანასკერტის ბრძოლის შემდეგ? რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიისთვის ამ რეგიონის დაკარგვას?

21. გაიხსენე, აბასიანთა სახალიფოს დაშლის შემდეგ როგორი იყო წინა აზიის პოლიტიკური რუკა და როგორ შეიცვალა ის თურქ-სელჩუკთა დაპყრობების შემდეგ?

22. რა გავლენას მოახდენდა საქართველოზე წინა აზიაში მომხდარი მოვლენები?

მანასკერტის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თურქებმა მყარად მოიკიდეს ფეხი მცირე აზიაში. მანასკერტთან გამარჯვების შემდეგ მალევე, 1072 წელს, გარდაიცვალა ალფ-არსლანი და სელჩუკთა იმპერიის ტახტზე ავიდა მის შვილი, მალიქ-შაჰი (1072-1092 წწ.). მისი მმართველობის პერიოდში სელჩუკთა იმპერიამ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. სელჩუკთა მარბიელი ლაშქრობები უკვე ეგეოსის ზღვის სანაპიროებს აღწევდა. მათ არაბეთის ნახევარკუნძულზეც გაილაშქრეს და იემენამდე ჩავიდნენ, შეძლეს, კონტროლი დაემყარებინათ სირიასა და პალესტინაზე.

თურქ-სელჩუკებმა საქართველოში მალიქ-შაჰის დროსაც ილაშქრეს. პირველი ლაშქრობა 1074 წელს იყო. საქართველოს მეფემ გიორგი II-მ მათი დამარცხება მოახერხა, თუმცა 1080 წლიდან სელჩუკებმა თარეში, ოჯახებითა და საქონლით შემოსვლა და მტკვრის, ივრისა და ალაზნის ნაპირებზე დასახლება დაიწყეს. ქართველი მემატიანის სიტყვით, საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო. გიორგი II იძულებული გახდა, მალიქ-შაჰს ხლებოდა, დამარცხება ელიარებინა და ხარკის გადახდას დათანხმებოდა. ამგვარად, მალიქ-შაჰის სულთნობის პერიოდში საქართველო თურქ-სელჩუკების ვასალი გახდა.

მალიქ-შაჰის დროს სამეფო ხელისუფლება კიდევ უფრო გამყარდა და ცენტრალიზებული გახდა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის პირველ ვეზირს ნიზამ ალ-მულქს, რომლის ხელმძღვანელობით რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. ნიზამ ალ-მულქი პირველი ვეზირი იყო ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის კარზე. თურქ-სელჩუკი სულთნები ირანის დაპყრობის შემდეგ იძულებული გახდნენ, ადგილობრივი, ირანელი მოხელეები დაეწინაურებინათ. მათ ქვეყნის მართვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ირანული სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატია სწრაფად შეურიგდა სელჩუკი სულთნების ბატონობას. ნიზამ ალ-მულქიც ერთ-ერთი მათგანი იყო. ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის დროს ის სელჩუკთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სულისჩამდგმელი გახდა. მას მიეწერება პოლიტიკური ტრაქტატი „სიასეთ-ნამე“.

1092 წელს მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ სელჩუკთა სახელმწიფოში მემკვიდრეებს შორის დაპირისპირება დაიწყო, რაც შინა ომებში გადაიზარდა და სახელმწიფომ დაშლა დაიწყო. წინა აზიაში შექმნილ თურქულ სამთავროთა შორის გამოირჩეოდა მცირე აზიაში დაარსებული რუმის სასულთნო, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეარულა რეგიონის ისტორიაში.

23. შეაჯამე, როგორ შეცვალა წინა აზიის ეთნიკური სურათი თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებმა. გაიხსენე, რა შედეგები მოჰყვა ადრეულ შუა საუკუნეებში წინა აზიაში არაბთა სახალიფოს შექმნას?

24. ადრეულ შუა საუკუნეებში რომელი დიდი იმპერიების შემადგენლობაში იყო მოქცეული წინა აზია ან წინა აზიის უდიდესი ნაწილი? რა თანამიმდევრობით შეცვალეს მათ ერთმანეთი და რა გავლენა მოახდინეს რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და იკვლევ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში (XI ს.). საკითხის შესწავლის პროცესში აღმოაჩინე ისტორიული წყაროები და გადაწყვიტე, გააანალიზო ისინი, მათზე დაყრდნობით შექმნა ისტორიული რუკა, რომელსაც თან ახლავს განმარტებითი ტექსტი. მათი საშუალებით გსურს, წარმოაჩინო, როგორ ყალიბდებოდა ამ გეოგრაფიულ სივრცეში იმდროინდელი სახელმწიფოები. რუკაზე აღნიშნე მნიშვნელოვანი ქალაქები, სახელმწიფო საზღვრები, ბრძოლის ადგილები და ხალხთა გადაადგილების მარშრუტი

რუკასა და განმარტებით ბარათებში წარმოადგინე

- რა ტიპის წყაროებზე მუშაობა დაგეხმარა განვითარებული შუასაუკუნეების შესწავლის პროცესში და რამდენად სანდო და ობიექტურია ისინი მოვლენების წარმოჩენისას? იწვევს თუ არა ეს წყაროები აზრთა სხვადასხვაობას?

- როგორ გამოიწვია არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა გარემომ, სელჩუკთა მიგრაცია და რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს?

- რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობის წარმოქმნა (კორდობის სახალიფოს დაშლა, ბრიტანეთის ექსპანსია, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკა) და შეიძლება თუ არა, ის ერთიან სოციალურკულტურულ სივრცედ ჩაითვალოს?რატომ?

§ 8. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ. ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ

X-XI საუკუნეებში ევროპაში ახალი ქალაქების დაარსება დაიწყო, რაც მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის: მემარცვლეობის, მებაღეობა-მევენახეობის, მებოსტნეობის განვითარებასთან ერთად მოსავლის რაოდენობაც გაიზარდა. გლეხს პროდუქტის ის რაოდენობა მოჰყავდა, რაც არა მხოლოდ მისი ოჯახის და სენიორის გამოსაკვებად იყო საკმარისი, არამედ შემოსავლის მისაღებად. პროდუქტი გროვდებოდა იქ, სადაც გლეხი თავისუფლად და უშფოთველად შრომობდა, ყოველ წუთში არ ელოდა შინაური თუ გარეული მტრის შემოსევას და გასაქცევად არ ეჭირა თვალი. ევროპაში შეწყდა ნორმანებისა და მადიარების თავდასხმები. მშვიდობიანობის დროს გლეხს შეეძლო ეზრუნა იმაზე, რომ გაეუმჯობესებინა შრომის იარაღები, მიწის დამუშავების და საქონლის მოვლის მეთოდები. ჭარბი პროდუქტის გაჩენის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი ხელოსნურ ნაწარმზე გადაცვლა.



სურ. 1 ციხესიმაგრე ინგლისში, დასავლეთ სასექსში

თავის მხრივ, განვითარდა ხელოსნობაც და თანდათან სოფლის მეურნეობას გამოეყო. ხელოსნები უკვე მხოლოდ თავისი საქმით იყვნენ დაკავებული. საკუთარი ნაწარმის გაყიდვას კი შემდეგ ხალხმრავალ ადგილებში ცდილობდნენ, იქ, სადაც ხელოსნის მიერ შექმნილი ნაწარმის მყიდველი შეიძლებოდა გამოჩენილიყო, მაგ., სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, მდინარეების ფონებთან, ხიდებთან, ეპისკოპოსის ან ფეოდალის ციხის კედლებთან. ხელოსნების გარდა, ასეთ ადგილებში მოდიოდნენ ვაჭრებიც, ახლო სოფლებიდან გლეხები და საკუთარი პროდუქტის გაყიდვას ცდილობდნენ. დროთა განმავლობაში ამ ადგილებში ხელოსანთა მუდმივი დასახლებები ჩამოყალიბდა და შემდეგ ქალაქებად გადაიქცა. დაწინაურდა ძველი ქალაქებიც, რომლებსაც ვაჭრობისთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა.

წყარო ა) ქალაქ ბრიუგეს დაარსების შესახებ, XI ს.

„ციხესიმაგრეში შესასვლელ ხიდთან მოვაჭრეებმა დაიწყეს მოსვლა. ამიტომ ციხესიმაგრის მცხოვრებლები უფრო ხარისხიანი და ძვირფასი ნივთების საყიდლად ხიდთან ჩადიოდნენ ხოლმე. შემდეგ დახლები გაჩნდა, დახლებს ეზოები მოჰყვა მათთვის, ვინც მუდმივად ვაჭრობით იყო დაკავებული და თავშესაფარი და საკვები სჭირდებოდა. ხშირად ბატონიც იქვე იყო ხოლმე. შემდეგ სახლებისა და სასტუმროების აშენება დაიწყეს მათთვის, ვინც ციხესიმაგრეში ვერ გაჩერდებოდა.

თანდათან ხიდთან იმდენი ხალხი დასახლდა, რომ ეს ადგილი ქალაქად გადაიქცა და მას ბრიუგე ეწოდა, რაც ხიდს ნიშნავს“.

1. როგორ ხსნის წყარო ა) ქალაქ ბრიუგეს დაარსების მიზეზს?

2. გაიხსენე, როგორი იყო ფეოდალური მეურნეობა? როგორ ცხოვრობდნენ ფეოდალის მამულში გლეხები? რა ვალდებულებებს ასრულებდნენ? ვინ ამზადებდა მათთვის საჭირო იარაღებს? ნივთებს?

3. წყარო ა)-ს მიხედვით ციხესიმაგრეების მცხოვრებლები უფრო ხარისხიანი ნივთების საყიდლად ციხის გარეთ, ხიდთან, ჩადიოდნენ. როგორ ფიქრობ, ციხესიმაგრესთან ბაზრის გაჩენა, შემდეგ კი იქ ვაჭრებისა და ხელოსნების დასახლება რა გავლენას მოახდენდა ციხესიმაგრის მეურნეობაზე?

4. შენი აზრით, რა აიძულებდა ადამიანებს, დაეტოვებინათ ძველი საცხოვრისი და ქალაქში გადასახლებულიყვნენ?

5. რა გავლენას მოახდენდა ეკონომიკის ზრდა ქალაქის მოსახლეობაზე?

6. რა თანამედროვე ტერმინს გამოიყენებდი ქალაქის მოსახლეობის ზრდის აღსანიშნავად? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ პროცესს?

ქალაქის მოსახლეობა

ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ბიურგერები (გერმანული სიტყვიდან: ბურგი – ციხესიმაგრე, ბიურგერი – ბურგში მცხოვრები) შეადგენდნენ. ნაწილი ქალაქისა და ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებლებისთვის საჭირო ნივთებს ამზადებდა და ყიდდა, შედარებით შეძლებულები სხვა ქალაქებთან და მხარეებთან ვაჭრობდნენ, თუმცა ქალაქის მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს მტვირთავები, წყლის დამტარებლები, ყასბები, ხაბაზები და კიდევ მომსახურების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები შეადგენდნენ.

რადგან შუა საუკუნეებში მიწა ფეოდალებს ეკუთვნოდათ, სადაც უნდა დაეარსებინათ ქალაქი, ის ფეოდალის მიწაზე აღმოჩნდებოდა. შესაბამისად, ქალაქები მეფის, ჰერცოგის, ეპისკოპოსის ან რომელიმე დიდებულის მიწაზე მდებარეობდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მეფე თავის ვასალს სამსახურის სანაცვლოდ ქალაქს ან ქალაქის რომელიმე ნაწილს გადასცემდა. ხშირად სენიორები და მეფეებიც კი ციხესიმაგრეებს ტოვებდნენ და საცხოვრებლად ქალაქში გადადიოდნენ. მათთან ერთად მიდიოდნენ მსახურები. მდიდარი ქალაქებისკენ მიისწრაფოდნენ მოხეტიალე მსახიობები, მევახშეები, ღარიბ-ღატაკები და თავგადასავლის მაძიებლები. მოსახლეობის ასეთი ზრდა კი ქალაქის გაფართოების აუცილებლობას იწვევდა. შენდებოდა ახალი სიმაგრეები, იზრდებოდა ქალაქების საზღვრები. სენიორები და მათთან დაახლოებული მდიდარი ბიურგერები ქალაქის წარჩინებულ წრეს – პატრიციატს – ეკუთვნოდნენ. ქალაქს საკუთარი სასამართლო და მმართველობა ჰქონდა. მოქალაქეთა უფლებები სხვადასხვა დოკუმენტში იყო ჩაწერილი.

პატრიციატი	ქალაქის მოხელეები, ფეოდალები, მდიდარი ვაჭრები
რიგითი ბიურგერები-მოქალაქეები	ხელოსნები, ვაჭრები
არაბიურგერები – არამოქალაქეები	ქალაქის ღარიბობა

7. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა ქალაქის მოსახლეობა იმის გამო, რომ მიწა გაბატონებული წოდებების წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ?

8. ქალაქების ჩამოყალიბების ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებზე შეავსე დიაგრამა. (**მოსწავლის რვეული, დავ. 9**).

ხელოსნები და ამქრები

შუა საუკუნეების ქალაქები, უპირველეს ყოვლისა, როგორც ხელოსნობის ცენტრები, ისე ვითარდებოდა. გლეხებისგან განსხვავებით, ხელოსნები პროდუქციას გასაყიდად ამზადებდნენ. სახელოსნო, როგორც წესი, ოსტატის სახლის პირველ სართულზე მდებარეობდა. ყველაფერი ხელით, მარტივი სამუშაო იარაღებით მზადდებოდა, ერთი ხელოსანი იწყებდა და ასრულებდა პროდუქტს. როგორც წესი, სახელოსნო მაღაზიაც იყო. ამგვარად, ხელოსანი სახელოსნოსა და მაღაზიის მფლობელიც იყო.

ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსნები გაერთიანებებს, ამხანაგობებს – ამქრებს – ქმნიდნენ.



სურ. 2 სამღებრო. შუა საუკუნეების მინიატურა

წყარო ბ) პარიზის ოქრომჭედელთა სტატუტები

1. ვინც ოქრომჭედლის ხელობა იცის და პარიზში მუშაობა სურს, ამქრის წესებს უნდა დაემორჩილოს.

2. არც ერთ ოქრომჭედელს არ შეუძლია პარიზში ოქროს დამუშავება, თუ ის პარიზული სინჯის არ არის. რადგან პარიზული სინჯი საუკეთესოა.

3. ოქრომჭედელს უფლება აქვს, ჰყავდეს ერთი უცხო შეგირდი, ხოლო თავისი ან ცოლის ნათესავებიდან შეუძლია, იმდენი ჰყავდეს, რამდენიც სურს.

4. ოქრომჭედელს ღამით მუშაობის უფლება არ აქვს, თუ ამ სამუშაოს მეფისთვის, დედოფლისთვის, მათი შვილებისა და ძმებისთვის, ან პარიზის ეპისკოპოსისთვის არ ასრულებს.

5. მოციქულების დღეს... ოქრომჭედლებს არ შეუძლიათ სახელოსნოს გახსნა, გარდა ერთისა, რომელსაც ყოველ დღესასწაულზე ხელოსნები მორიგეობით ხსნიან და იმ დღეს შემოსული თანხა ღარიბების სახელზე ოქრომჭედელთა ამხანაგობის სალაროში შეაქვთ. შემდეგ სალაროში შეგროვილ მთელ ფულს პარიზის ჰოსპიტალს აძლევენ ღარიბი ავადმყოფების სააღდგომო სადილისთვის.

6. პარიზის ოქრომჭედლები ღამის ყარაულობის ვალდებულებისგან გათავისუფლებულები არიან, მაგრამ დანარჩენი მოქალაქეების მსგავსად, სხვა ვალდებულებები უნდა შეასრულონ.

7. ამქრის ღირსეული წევრები ამქრის წესების დასაცავად თვალყურის სადევნებლად ორ მსაჯულს აირჩევენ. თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ მათ სამი წლის განმავლობაში აღარ შეუძლიათ ამ თანამდებობის დაკავება.

8. თუ მსაჯულები ისეთ ოქრომჭედელს იპოვიან, ვინც ცუდ ოქროზე მუშაობს და მონანიება არ სურს, პარიზის მოსამართლესთან წაიყვანენ, ის კი ქალაქიდან 4 ან 6 წლით გააგდებს.



სურ. 3 ფრანგული ოქროს ნაკეთობები. XIII ს.

9. როგორ და რატომ ზრუნავდნენ სახელოსნოები საკუთარი პროდუქციის ხარისხზე?

10. შენი აზრით, რატომ უნდა ჰყავდეს ხელოსანს მხოლოდ ერთი უცხო შეგირდი, როცა ნათესავ შეგირდებზე შეზღუდვა არ აქვს დაწესებული? რას შეიძლება არეგულირებდეს ეს წესი?

11. გამოთქვი ვარაუდი, რატომ უკრძალავს წესდება ოქრომჭედელს ღამე მუშაობას?

12. როგორი სტრუქტურა აქვს ამქარს? რას ეფუძნება ამქარში იერარქია? რით განსხვავდება ფეოდალური იერარქიისგან?

13. როგორ ზრუნავდა ამქარი თითოეული წევრის თანაბარ მდგომარეობაზე?

14. წესდებიდან გამომდინარე, შენი აზრით, რატომ იქმნებოდა ამქრები?

ხელოსანთა ამხანაგობის წევრები ერთმანეთს სიახლეების ათვისებაში ეხმარებოდნენ, იმავდროულად ამ სიახლეებს სხვა ამქრებისგან საიდუმლოდ ინახავდნენ. ამქრის მმართველთა საბჭო თვალყურს ადევნებდა, რომ გაერთიანების წევრები თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ, ერთმანეთის დამკვეთები არ გადაებირებინათ. სწორედ ამიტომაც წესდებაში მკაფიოდ განსაზღვრული იყო წესები, მათ შორის რამდენი საათი უნდა ემუშავათ, რამდენი დანადგარი უნდა ჰქონოდათ და ა. შ. წესების დარღვევის შემთხვევაში ოსტატ-ხელოსანს გაერთიანებიდან აგდებდნენ.

საქმიანობის გარდა, ამქრის წევრებს ყოველდღიური ყოფა, ტრადიციები და დღესასწაულები აერთიანებდათ. ერთ ეკლესიაში დადიოდნენ, ალყის დროსაც კი ქალაქის დამცველთა ცალკე რაზმს ქმნიდნენ და ამქრის დროშით იბრძოდნენ.

ვაჭრები და ვაჭრობა განვითარებულ შუა საუკუნეებში

ქალაქებში სახლდებოდნენ ვაჭრებიც. ევროპიდან და შორეული ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი ქალაქებში იყრიდა თავს. როგორც წესი, ვაჭრები ქალაქის მოსახლეობის უმდიდრეს ნაწილს შეადგენდნენ. ვაჭრებიც ქმნიდნენ გაერთიანებებს – გილდიებს და ერთად უზრუნველყოფდნენ

საქონლის ერთი ქალაქიდან მეორეში გადატანას, ყაჩაღებისა და მეკობრეებისგან თავდაცვას, გასაღების ბაზრების მოძიებას, ბაზრობების დაარსებას. ვაჭართა გილდიების შექმნამ ხელი შეუწყო საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას.

ყიდვა-გაყიდვის გარდა, ვაჭრები ბაზარში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ხელშეკრულებას დებდნენ. ბაზარი იყო ის ადგილი, სადაც ძირითადი სავაჭრო ოპერაციები მიმდინარეობდა.

ზოგი ბაზარი თავისი მნიშვნელობით საერთო-ევროპულ, საერთაშორისო მნიშვნელობის ბაზრობად გადაიქცა. ასეთი იყო შამპანის ბაზრობა, რომელიც ოთხ ქალაქში მიმდინარეობდა. შამპანის რეგიონის დაწინაურებას ხელი შეუწყო უაღრესად მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. საგრაფო იმ გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, რომელიც ინგლისიდან იტალიისკენ, ფლანდრიიდან გერმანიაში და ხმელთაშუაზღვისპირეთში მიემართებოდა. შამპანის ტერიტორიაზე მიედინებოდა სანაოსნო მდინარეები სენა, მაასი.

ბაზრობა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. არსებობდა საქონლის გაყიდვის გარკვეული განრიგი, მაგ., პირველი კვირა საქონლის გახსნა-ამოლაგებას და დახლებზე მოთავსებას ეთმობოდა. მეცხრე დღეს მაუდითა და სხვა ქსოვილებით ვაჭრობა იმართებოდა. მეათე დღეს სპეციალური მაცნე მოუწოდებდა, რომ ქსოვილები აეღოთ. იწყებოდა ტყავეულითა და ბეწვეულით ვაჭრობა. სანელებლებით, წამლებით, საღებავებით, მარილით, ლორით, სელით, კანაფით, საფეიქრო ნედლეულით, ცხოველებითა და სხვა ყოველდღიური მოხმარების საქონლით ვაჭრობა მთელი წელი მიმდინარეობდა. წესრიგს სპეციალური მოხელეები იცა-

ვდნენ. **ზარაფები** სხვადასხვა ფულს ახურდავებდნენ და ამისთვის გასამრჯელოს იღებდნენ. შამპანის გრაფები ყოველმხრივ მფარველობდნენ ვაჭრებს და ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ.

ზარაფი – საფასურის აღებით ფულის გადამხურდავებელი

15. შენი აზრით, რატომ არსებობდა საქონლის გაყიდვის გარკვეული განრიგი?

16. რა ფაქტორები უწყობდა ხელს ბაზრების წარმოშობას?

17. რატომ იყვნენ დაინტერესებული სენიორები ბაზრების მფარველობით?

18. რა იყო შუა საუკუნეებში ძირითადი სავაჭრო პროდუქცია? შეადარე თანამედროვე ბაზარს. იმსჯელე, რა პრობლემების წინაშე იდგებოდნენ შუა საუკუნეების ვაჭრები?

ჩრდილოეთ ევროპაში დაწინაურებული მდგომარეობა გერმანელ ვაჭრებს ეჭირათ. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სამხრეთ სანაპიროზე მდებარე გერმანული ქალაქები ქალაქ ლიუბეკის მეთაურობით გაერთიანდნენ სავაჭრო კავშირში, რომელსაც „ჰანზა“ ეწოდა. დროთა განმავლობაში ჰანზას სხვადასხვა ქალაქი და გილდია შეუერთდა. კავშირს საკუთარი ფლოტიც ჰყავდა. ჰანზას ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან ხეტყე, ცვილი, ქარვა, ბეწვეული, დამარილებული თევზი, ჭვავი და ხორბალი შემოჰქონდა.

წყარო გ) ჰანზის კანტორის სტატუტები ბრიუგეში, 1265 წ. დადგენილება:

„ჩვენ შევიკრიბებით წელიწადში ერთხელ, რათა ერთობლივად განვიხილოთ ქალაქების საქმეები...

თუ ვინმე, ვინც ჩვენს სამართალს არ ექვემდებარება, ზიანს მიაყენებს რომელიმე ჩვენგანს და არ სურს, ამის გამო შესაბამისი ჯარიმა გადაიხადოს, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მამასახლისებს.

მამასახლისებმა უნდა აცნობონ ყველა ვაჭარს, რომ არ მისცენ საშუალება ამ ადამიანს, მათთან ფული გამოიმუშაოს, სანამ ის ჯარიმას არ გადაიხდის. თუ ვინმეს ეთაკილება გერმანული სამართალი და უარყოფს მას, ის ვაჭართა სამართალმა არ უნდა დაიცვას. თუ ვინმეს ამ ადამიანთან აქვს შეთანხმება უძრავი ქონების შესახებ ან წილი სავაჭრო გემში, ეს შეთანხმება უნდა დაირღვეს. არც ერთი ადამიანი, რომელიც სარგებლობს გერმანული სამართლით, არ უნდა შედიოდეს ამხანაგობაში და არ უნდა ფლობდეს უძრავ ქონებას ფლანდრიელებთან ერთად“.

19. წყაროს მიხედვით, რა პრინციპით მოქმედებს ვაჭართა კორპორაცია და რა არის მათი გაერთიანების საფუძველი?

20. შენი აზრით, რატომ კრძალავს ჰანზა ფლანდრიელებთან ერთად საქმიანობას?



სურ. 4 ვაჭრობა. შუა საუკუნეების მინიატურა. XIV ს.

ქალაქების განვითარებას ბიძგი მისცა ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ლევანტის რეგიონზე ევროპელების მიერ კონტროლის დაწესებამ. აღმოსავლეთიდან შემოდიოდა ფუფუნების საგნები, ძვირფასი ქსოვილები, ფაიფური, სანელებლები, ნელსაცხებლები და სხვა

იშვიათი საქონელი. აღმოსავლეთთან ვაჭრობა, უმთავრესად, იტალიის სამხრეთ და ცენტრალურ საფრანგეთისა და ბიზანტიის ვაჭრების შუამავლობით ხორციელდებოდა. იტალიური ქალაქებიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში ვაჭრობაში განსაკუთრებულ როლს გენუა, ვენეცია, ფლორენცია და პიზა ასრულებდა.

ქვემოთ მოყვანილია ვენეციის **დოჟის**, პომაზო მოჩენიგოს, ანგარიში, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით იტალიური ქალაქების ვაჭრობის მოცულობასა და საქონლის ნაირსახეობაზე.

წყარო დ) ვენეციის დოჟის, პომაზო მოჩენიგოს, ანგარიში

„ყოველწლიურად ვენეციას ლომბარდიაში შეაქვს შემდეგი ღირებულების საქონელი – 100 000 **დუკატის** კანაფი, 250 000 დუკატის ბამბა, 30 000 დუკატის ქაღალდის ნართი, 120 000 დუკატის იტალიური მატყლი, 120 000 დუკატის ფრანგული მატყლი, 250 000 დუკატის აბრეშუმის ქსოვილები, 30 000 დუკატის პილპილი, 64 000 დუკატის დარიჩინი, 95 000 დუკატის შაქარი, 120 000 დუკატის საღებავების ხე, 50 000 დუკატის სხვა საღებავები, 250 000 დუკატის ცარცი და 30 000 დუკატის მონები. აქ არ ითვლება მარილის გაყიდვით შემოსული შემოსავალი.

დამეთანხმებით, რომ ასეთი ვაჭრობა ძალიან სასარგებლოა. შეხედეთ, რამდენი ხომალდი დაცურავს, რათა გავიტანოთ საქონელი ლომბარდიაში, რათა საქონლის წამოსაღებად წავიდეთ სირიაში, რომანიაში (ბიზანტიაში), კატალონიაში, საფრანგეთში, კვიპროსზე, სიცილიაში და დედამიწის ყველა კუთხეში. ვაჭართა შემოსავალი 600 000 დუკატზე ნაკლები არ არის“.



სურ. 5 ვენეციელი მევახშეები. შუა საუკუნეების მინიატურა

დოჟი – იტალიურ ქალაქ-რესპუბლიკებში – ვენეციაში, გენუაში – ქალაქის მთავარი, მმართველი.

დუკატი – ვენეციური ოქროს მონეტა.

21. შენი აზრით, რა პროცესია ასახული მინიატურაზე? შეეცადეთ გააცოცხლოთ სურათი და წარმართოთ დიალოგი, რომელიც ნახატზე ასახულ სცენაზე გაიმართებოდა.

22. იმსჯელე, ვაჭრების როლზე ვენეციის საზოგადოებაში. ერთმანეთს შეადარე ფეოდალური საზოგადოების ორი წევრი – ვაჭარი და ჰერცოგი.

23. იმსჯელე, შუა საუკუნეების სამწევროვან საზოგადოებაში რომელ ჯგუფს ეკუთვნიან ვაჭრები და ხელოსნები: მლოცველებს, მეომრებს თუ მუშაკებს? პასუხი დაასაბუთე. ვენის დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე მესამე წოდების წარმომადგენლების: ვაჭრების, ხელოსნებისა და გლეხების მდგომარეობა. (**მოსწავლის რვეული, დავ. 10.**)

24. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი იტალიის ტერიტორიაზე მსხვილი სავაჭრო ქალაქების წარმოშობას?

25. რას გეუბნება სავაჭრო პროდუქცია ევროპის საზოგადოების მოთხოვნილებებზე?

26. ევროპაში შემოტანილი პროდუქციიდან გამომდინარე იმსჯელე, როგორი იყო სავაჭრო მარშრუტები, რომელი ტერიტორიებიდან შემოჰქონდათ გასაყიდი საქონელი?

27. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 11**), სადაც გამოყოფ სავაჭრო ქალაქების გაერთიანების მიზეზებს.

§9-10. შუა საუკუნეების სამწევროვანი საზოგადოება

შუა საუკუნეებში ადამიანის მთავარი სიმდიდრე მიწა იყო. ვისაც მიწა ჰქონდა, ის არა მარტო მდიდარი, არამედ წარჩინებულიც იყო, ანუ მიწის ფლობა საზოგადოებრივ მდგომარეობასაც განსაზღვრავდა.

შენ უკვე იცი, რომ:

- შუა საუკუნეებში მიწისმფლობელებს ფეოდალებს უწოდებენ, რაც ლათინური სიტყვა „ფეოდიდან“ მომდინარეობს.
- ფეოდალებზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ გაღარიბებული თემის წევრები – გლეხები გარკვეული ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ ფეოდალის მამულში დასახლდნენ და მათზე დამოკიდებული გახდნენ.
- ფეოდალებს შორის არსებობდნენ მსხვილი, დიდი მამულების მფლობელი ფეოდალები და უფრო მცირე მამულების მფლობელი ფეოდალები. მათ შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა. ისინი მეომარი-მიწისმფლობელები იყვნენ.
- ყველაზე მსხვილი მიწისმფლობელი – მეფე დიდებულებს, ხოლო დიდებულები, თავის მხრივ, მათზე დამოკიდებულებს განსაზღვრული სამსახურისთვის მიწებს გადასცემდნენ. ვინც მიწას გადასცემდა, სენიორად იწოდებოდა, ხოლო ვინც იღებდა – ვასალად. წარჩინებულთა იერარქიის ქვედა საფეხურზე რაინდები იდგნენ, რადგან მათ ვასალები არ ჰყავდათ.
- ფეოდალურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სასულიერო ფენა.
- საზოგადოების ამ ჯგუფებს ცხოვრების საკუთარი სტილი და მდგომარეობა ჰქონდათ.

ვასალი სენიორისგან მიწის მიღების დროს შემდეგ ცერემონიას ასრულებდა: სენიორის წინაშე მუხლს მოიდრეკდა, მლოცველის მსგავსად ხელებს აღაპყრობდა და სენიორს ხელებში ჩაუდებდა, შემდეგ ერთგულების ფიცს წარმოთქვამდა. სენიორი მას ფეოდის მფლობელობის ნიშნად რამე სიმბოლოს, მაგალითად დროშას ან მახვილს, გადასცემდა. სენიორი, თავის მხრივ, იღებდა ვალდებულებას, დაეცვა ვასალის მამული და მისი ღირსება. ვასალისა და სენიორის შეთანხმების ცერემონიას ომაჟი ეწოდებოდა. შემდეგ დაემატა ე.წ. „ფუაჟი“ ვასალის ერთგულების ფიცი (ფრანგულად ფუა - ერთგულება), რომელიც ომაჟის ცერემონიას თან ახლდა.

ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ეს ურთიერთობები ადრეულ შუა საუკუნეებში დაიწყო და საბოლოოდ განვითარებულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

საზოგადოებაში მიმდინარე ეს ცვლილებები კარგად დაინახეს მაშინდელი ევროპის განათლებულმა ადამიანებმა, რომლებმაც XI საუკუნეში „სამი წოდების თეორია“ ჩამოაყალიბეს. ამ თეორიის თანახმად, ღმერთმა ყველა ადამიანს განუსაზღვრა ადგილი ერთ-ერთ ჯგუფში – მლოცველებში, მეომრებსა და მუშაკებში. პირველი ჯგუფია სასულიერო ფენა, მეორე – საერო სენიორები და მესამე – ვინც საზოგადოების დანარჩენ წევრებს საკვებითა და ყველა საჭირო ნივთით უზრუნველყოფს. საზოგადოებრივი მდგომარეობა მემკვიდრეობითია: გლეხის შვილი გლეხი უნდა იყოს, რაინდისა – რაინდი ან, შეიძლება, სასულიერო პირი.

შუა საუკუნეების ტრადიციული გაგებით თითოეულ ფენას მნიშვნელოვანი მოვალეობები ჰქონდა ერთმანეთის მიმართ: სამღვდელოება ზრუნავდა ყველას სულზე, სენიორები ქვეყანას იცავდნენ, გლეხები, ხელოსნები კი საკვებსა და ნივთებზე



სურ. 1 სამი წოდება. შუა საუკუნეების გრავიურა. იაკობ მეიდენბახი. XIV ს.

ზრუნავდნენ. უფრო კარგად რომ გამოეხატათ ეს იდეა, საზოგადოებას ადამიანის სხეულს ადარებდნენ: ფეხები – მუშაკებია, ხელები – მეომრები, ხოლო მკერდი – მლოცველები. შეუძლებელია, ხელები და ფეხები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ორივე ერთად კი – მკერდს. ასეთმა საზოგადოებამ ჰარმონიულად უნდა იცხოვროს და თითოეულმა მათგანმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს. საზოგადოების ეს მოწყობა საკმაოდ მყარი აღმოჩნდა, რადგან შუა საუკუნეების ადამიანის მსოფლმხედველობა **პროვიდენციალურ** აღქმას ეფუძნებოდა, პროვიდენციალიზმის თანახმად კი ნებისმიერი მოვლენა ღმერთის მიერ იყო განსაზღვრული.

პროვიდენციალიზმი - რელიგიურ-იდეალისტური შეხედულება, რომელიც ცდილობს ახსნას ისტორიული მოვლენები არა მათი შინაგანი კანონზომიერებით, არამედ განგების ძალით.

1. როგორ და რატომ განსაზღვრავდა შუა საუკუნებში მიწა ადამიანის სოციალურ სტატუსს?

2. შენი აზრით, რატომ იმართებოდა ცერმონიალი ვასალისათვის ფეოდის გადაცემის დროს?

3. შენი აზრით, რომელი წოდების წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ „სამი წოდების თეორიის“ შემოქმედნი? რატომ ფიქრობ ასე?

4. რატომ იყო „პირველი წოდება“ სასულიერო ფენა? როგორ გესმის, ეკლესიის როლი შუა საუკუნეების ევროპაში?

გლეხები დასავლეთ ევროპაში

შუა საუკუნეების საზოგადოების ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ერთეული იყო ფეოდალური მამული. ის ორ ნაწილად იყოფოდა: საბატონო (ანუ დომენად) და საგლეხო მიწად. საგლეხო მიწაზე ფეოდალზე დამოკიდებული გლეხი ცხოვრობდა. მიწით სარგებლობის სანაცვლოდ იხდიდა ნატურალურ გადასახადს – ღალას და ასრულებდა ყველა სახის სამეურნეო სამუშაოს – ბეგარას.

გლეხები ორ ნაწილად იყოფოდნენ: ფეოდალზე დამოკიდებული ყმა-გლეხები, რომლებსაც შეზღუდული პირადი თავისუფლება ჰქონდათ და ეკონომიკურად ფეოდალზე დამოკიდებული და პირადად თავისუფალი გლეხები.



სურ. 2 შუა საუკუნეების ინგლისური მინიატურა. XIV ს.

5. რა წარმოდგენას გვიქმნის მინიატურა შუა საუკუნეებში გლეხების ყოფაზე? შეეცადე მინიატურიდან დეტალურად ამოკრიბო ყველა სახის ინფორმაცია, რასაც მინიატურა, როგორც ისტორიული წყარო გვაწვდის.

ქვემოთ მოყვანილი წყაროები გლეხების ყოველდღიურობასა და ყოფას ასახავს.

წყარო ა) ნორმანდიის ვილანების ვალდებულებები. ნაწყვეტი XIII საუკუნის პოემიდან

„ვილანებმა უნდა გათიბონ ბალახი, გათიბული ბალახი შეაგროვონ, ზვინებად დადგან და შემდეგ მებატონის კარ-მიდამოში წაიღონ. ამის შემდეგ ისინი ვალდებული არიან, საკუთარი ნიჩ-ბებით გაიტანონ ნაკელი და გაასუფთაონ წისქვილის არხები.

აგვისტოდან სხვა საბეგრო სამუშაოები იწყება. ვილანები ვალდებული არიან, მომკან პური, შეაგროვონ მომკილი თავთავები, შეკრან ძნებად და მინდორში ზვინებად დადგან.

ვილანებს ეკისრებათ ღალა – მოსავლის ნაწილისა და ყველანაირი სანოვაგის გადახდა ფეოდალისათვის. ისინი ძალზე უხალისოდ ტვირთავენ თავიანთ ორთვალას მოსავლით და ღალის შემგროვებელს ფეოდალის ბეღელში ატანენ... პურს რომ ჩააბარებენ, საბრალო ვილანები შინ ბრუნდებიან და თან გზადაგზა წყევლიან ყველას და ყველაფერს, რომ მათ ასეთი ბედი აქვთ.

ახლოვდება სექტემბერიც და ღვთისმშობლობის დღეებში იმართება ბაზრობა, სადაც ვილანებს გამოჰყავთ გოჭები და ისინი ვალდებული არიან, ფეოდალსაც ჩააბარონ.

შობამდე ერთი კვირით ადრე, ანდრია პირველწოდებულის დღეს, უნდა ჩააბარონ კვერები, ხოლო შობის დღეს – ქათმები. შემდეგ დგება ლუდის ხარშვის დროც: ჩასაბარებელია ქერი და ხორბალი“.

წყარო ბ) შეთანხმება გლეხების შვილების განაწილებაზე, XI ს. ფრანგული დოკუმენტი

„მე, მავრიკი, პარიზის ეპისკოპოსი, ვაცნობებ ყველას ახლა და მომავალში, რომ ვიტრიაკელ ჰიროლდსა და წმ. მარკელის ეკლესიის მსახურებს შორის დავაა იმაზე, რომ ჰიროლდმა, რომელიც ამ ეკლესიის მოსამსახურე იყო, ცოლად შეირთო ჩვენი ყმა. ამ ეკლესიის მსახურებს პრეტენზია ჰქონდათ იმ მიწებსა და ვენახებზე, რომლებიც ჰიროლდმა მშობლებისგან მიიღო. საბოლოოდ ეს დავა ჩვენი ჩარევით გადაწყდა: ჰიროლდის ამჟამინდელი და მომავალი შვილებისგან პირველი გვეკუთვნის ჩვენ, მეორე – ეკლესიას, მესამე – ჩვენ, მეოთხე – ეკლესიას... ჰიროლდისა და მისი ცოლის მემკვიდრეობა კი მათ ვაჟებს შორის თანაბრად განაწილდება“.

წყარო გ) გიიომ ჟიუმეჟელი, ნორმანი მემატიანე, „ნორმანი ჰერცოგების საქმეები“, XI ს.

„ნორმანდიაში, სხვადასხვა საგრაფოში, გლეხებმა დაიწყეს შეკრება და მიიღეს გადაწყვეტილება, ეცხოვრათ საკუთარი წესებით – ტყეებითა და წყლის რესურსებით ესარგებლათ საკუთარი კანონებით, ადრე დადგენილი წესების გვერდის ავლით. და რომ დაემტკიცებინათ ეს გადაწყვეტილებები, ბრბოს ყველა შეკრებაზე აირჩიეს ორ-ორი წარმომადგენელი, რომლებსაც მათი მოთხოვნები დასამტკიცებლად ქვეყნის საერთო კრებაზე უნდა წარედგინათ. როდესაც ჰერცოგმა ეს ამბავი გაიგო, მათ წინააღმდეგ გრაფი რაული გაგზავნა რაინდებთან ერთად, რათა ამ სასოფლო შეკრებისთვის ბოლო მოეღოთ. და მან ჩუმად დაიჭირა ეს წარმომადგენლები ზოგიერთ სხვა გლეხთან ერთად, ხელები და ფეხები მოაჭრა, რათა მათ უარი ეთქვათ თავიანთ მოთხოვნებზე. ამის შემხედვარე გლეხებმა სასწრაფოდ შეწყვიტეს შეკრებები და თავიანთ მინდვრებს დაუბრუნდნენ“.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეოდალზე დამოკიდებულ ყმა-გლეხებს – სერვებს უწოდებდნენ, ხოლო ეკონომიკურად ფეოდალზე დამოკიდებულ, მაგრამ პირადად თავისუფლებს – ვილანებს.

6. მოყვანილი წყაროებიდან რომელი ეხება ყმა და რომელი თავისუფალ გლეხებს? პასუხი დაასაბუთე.

7. წყარო ა)-ს მიხედვით გლეხების მიერ შესრულებული სამუშაოები დააჯგუფე ვალდებულებების მიხედვით.

8. წყარო ა)-დან გამომდინარე, რის მიხედვით განისაზღვრება გლეხების ვალდებულებების თანამიმდევრობა? მაგ., რატომ უნდა მომკან პური აგვისტოში, გამართონ ბაზრობა სექტემბერში ან ჩააბარონ ქათმები შობის დღეს? რაზეა დამოკიდებული გლეხის კალენდარი?

9. როგორ ფიქრობ, ასეთივე კალენდრით ისარგებლებდნენ საზოგადოების სხვა წევრებიც? პასუხი დაასაბუთე.

10. როგორი მეთოდებით ცდილობდა მმართველი ფენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებას?

11. რა განასხვავებს შუა საუკუნეების თავისუფლებაშეზღუდულ გლეხს მონის მდგომარეობისგან?

12. შეავსე ცხრილი, სადაც თითოეულ წოდებას საკუთარ უფლება-მოვალეობებს მიუწერ. (**მოსწავლის რვეული, დავ. 12**).

ფეოდალური ურთიერთობები

ფეოდალური მამული, ანუ სენიორია, პატარა სახელმწიფოს ჰგავდა. მისი მფლობელი ფეოდალ-სენიორი ამ მამულში მცხოვრებთათვის უმაღლესი მოსამართლე და კანონმდებელი იყო. მას დასჯისა და შეწყალების უფლებაც ჰქონდა. მეზობელ ფეოდალებთან იწყებდა ომს და დებდა ზავს. ასეთი ფეოდალ-სენიორი, თავის მხრივ, უდრო დიდი ფეოდალ-სენიორის ქვეშევრდომი, ანუ ვასალი, იყო. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების, ერთგვარი ფეოდალური კიბის უმაღლეს საფეხურზე მეფე იდგა. ასეთი იერარქიული ხასიათი ჰქონდა არა მარტო საერო, არამედ სასულიერო წოდებასაც. ევროპულ ფეოდალურ საზოგადოებაში გამოირჩეოდა სენიორთა ორი ჯგუფი: მეფე და მისი უშუალო ვასალები, მსხვილი ტერიტორიული მთავრები, ჰერცოგები და გრაფები. ფეოდალური საზოგადოების ქვედა ფენას ეკუთვნოდნენ ბარონები, რაინდები და სხვ. მათ ქონებაც ნაკლები ჰქონდათ და უფლებებიც. რაინდებს ჰყავდათ საჭურველმტვირთველები, რომლებასაც შეეძლოთ უმცროს (მცირე) რაინდთა კატეგორიამდე ამაღლებულიყვნენ.

აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობები განსხვავებულად ვითარდებოდა. ბიზანტიელი ფეოდალი საკუთარი მამულის სრული ბატონ-პატრონი არ იყო. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების ზომებს, გლეხების რაოდენობას იმპერატორი აკონტროლებდა და ფეოდალის სამფლობელოშიც კი არეგულირებდა გადასახადებს. ბიზანტიელი ფეოდალები საკუთარი გლეხებისთვის უზენაესი მოსამართლეები არ იყვნენ.

სახელმწიფო უზარმაზარი სამფლობელოების მესაკუთრე იყო და ამ მიწებზე სახელმწიფო გლეხები – გადასახადების გადამხდელები – მუშაობდნენ. ამიტომ მსხვილი ფეოდალური საკუთრება ძალიან ნელა იზრდებოდა და ვითარდებოდა. ბიზანტიაში გაცილებით ნელა ჩამოყალიბდა ფეოდალური მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, რასაც ხელს უშლიდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების არსებობა, თუმცა ამ მიმართულებით იმპერატორებს არათანმიმდევრული პოლიტიკა ჰქონდათ. ერთი მხრივ, სახელმწიფო თავად ხელს უწყობდა ფეოდალური მიწათსარგებლობის განვითარებას, როცა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიწებს არიგებდა და, მეორე მხრივ, ფეოდალურ სამფლობელოებზე ინარჩუნებდა კონტროლს და ჯერ კიდევ თავისუფალი თემების ფეოდალებისგან დაცვას ცდილობდა. ფეოდალთა მიწები კი სწორედ თავისუფალი თემების ხარჯზე იზრდებოდა. ბიზანტიაში ასევე არ ჩამოყალიბდა ფეოდალური ურთიერთობების ისეთი იერარქიული სტრუქტურა, როგორც დასავლეთ ევროპაში იყო.

ფეოდალიზაციის პროცესი მომთაბარე ხალხებშიც მიმდინარეობდა, თუმცა ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლა დაკავშირებული იყო გვაროვნული თემის დაშლასთან, დაპყრობითი ომების წარმოებასთან (მაგ., არაბები, თურქ-სელჩუკები). მომთაბარეები დაპყრობითი ომების შემდეგ სხვა ქვეყნებში იმ ხალხის გვერდით სახლდებოდნენ, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი უკვე მიმდინარეობდა. ეს კი აჩქარებდა ფეოდალიზაციის პროცესის დაწყებას თავად მომთაბარეებთან.

13. რა იყო დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების მიზეზები?

14. რომელი ჯგუფები გამოიყოფოდა სენიორთა ფენაში და რა მსგავსება-განსხვავება იყო მათ შორის?

15. დაუბრუნდი პარ. 5-ის ა) და ბ) წყაროს და ამჯერად, ისინი ბიზანტიაში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესის ფონზე განიხილე.

16. T დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე ბიზანტიური და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმი. (**მოსწავლის რვეული, დავ. 13**)

როგორ აღიქვამდნენ დროს შუა საუკუნეებში?



სურ. 4 იანვარი



სურ. 5 თებერვალი



სურ. 6 მარტი



სურ. 7 აპრილი



სურ. 8 მაისი



სურ. 9 ივნისი



სურ. 10 ივლისი



სურ. 11 აგვისტო



სურ. 12 სექტემბერი



სურ. 13 ოქტომბერი



სურ. 14 ნოემბერი



სურ. 15 დეკემბერი

სურ. 4-15 „ბარის ჰერცოგის ბრწყინვალე ჟამნი“. XV საუკუნეში ბარის ჰერცოგმა ჟან დე ვალუამ მხატვრებს - ძმებ ლიმბურგებს ჟამნის გადაწერა და გაფორმება შეუკვეთა. ხელნაწერში არის ნახატების ციკლი, რომელიც „წელიწადის დროებად“ იწოდება და 12 მინიატიურას აერთიანებს. თითოეული მათგანი ამა თუ იმ თვეს შეესაბამება.

ჟამნი – ყოველდღიური საეკლესიო ლოცვების კრებული.

17. როგორ არის ხელნაწერში წლის განმავლობაში დრო დაყოფილი?

18. რას უკავშირდება თითოეული მინიატიურა და რა ნიშნის მიხედვით შეგვიძლია მათი დაჯგუფება?

19. შეგვიძლია, მინიატიურების მიხედვით ვიმსჯელოთ, როგორ აღიქვამდა ჰერცოგი დროს?

20. რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლებია მინიატურაზე გამოსახული? რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები მათ ურთიერთობებსა და ყოფაზე?

21. რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატურები ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ?

აგრარულ საზოგადოებაში დროს ბუნებრივი რიტმი განსაზღვრავდა. გლეხები დროს სეზონების ცვლილებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიხედვით ითვლიდნენ. მაგ., გერმანელები ივლისს თიბათვეს უწოდებდნენ, სექტემბერს – „თესვის თვეს“, ოქტომბერს – „ღვინის თვეს“, აპრილს – „ბალახის თვეს“ და ა. შ. თუმცა სამეურნეო სამუშაოები ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მიხედვით, მთასა თუ ბარში, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში, შეიძლებოდა, სხვადასხვა დროს ჩატარებულიყო და ერთი და იმავე სახელწოდებით სხვადასხვა თვე აღენიშნათ. მაგ., „ხვნის თვეს“ ზოგ მხარეში აგვისტოს ეძახდნენ, ზოგან კი – მარტს ან აპრილს. სკანდინავიელებისთვის მაისი „კვერცხების შეგროვების თვე“ იყო, ივნისი – „მზის თვე“, დეკემბერი კი – „ცხვრების თვე“.

22. შეადარე გერმანელებისა და სკანდინავიელების და ქართველების თვეების ძველი ხალხური სახელწოდებები ერთმანეთს. იმსჯელე, რატომაა ისინი მსგავსი? შეასრულე დავალება (**მოსწავლის რვეული, დავ. 14**).

23. იმსჯელე, როგორ შეიძლება სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის განსხვავებული იყო დროის აღქმა?

24. რატომ უკავშირებდნენ შუა საუკუნეებში დროის აღრიცხვას სამეურნეო ცხოვრებას?

25. გაიხსენე, როგორ აღრიცხავდნენ დროს შუა საუკუნეებში ისტორიულ თხზულებებსა თუ საეკლესიო ლიტერატურაში.

რაინდები და რაინდული ეთიკა

შუა საუკუნეებში დასავლეთევროპული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფენა რაინდები იყვნენ, რადგან ფეოდალური არმიის ძირითად ძალას ისინი შეადგენდნენ.

რაინდის აღზრდა და რაინდად კურთხევა

მომავალ რაინდს 7-წლიანი მოსამზადებელი ეტაპი უნდა გაევლო. მას რაინდულ ეტიკეტს, ცხენოსნობას, ფარიკაობას, შუბით ბრძოლას, ცურვასა და ნადირობას ასწავლიდნენ. სწავლების დროს ჭაბუკები მასწავლებლების პაჟები იყვნენ და ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ, 21 წლის ასაკში, ანიჭებდნენ მას რაინდის ტიტულს.

რაინდად კურთხევა მეტად მნიშვნელოვანი ცერემონია იყო. ის რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. რაინდად კურთხევის წინა ღამეს ჭაბუკი სამრეკლოში ატარებდა. მას უნდა ელოცა და შემდეგ იარაღი საკურთხეველზე დაეწყო, რაც ნიშნავდა, რომ რაინდი მომავალ გამარჯვებას ღმერთს უძღვნიდა. წირვის შემდეგ რაინდი ეზიარებოდა.

რაინდად კურთხევას თან ახლდა რიტუალები – განბანა, მუხლის მოდრეკა სიუზერენის წინაშე, სილის გაწვნა.

თავიდან ჭაბუკს ყველაზე გამოცდილი და სახელოვანი რაინდი წელზე მახვილს შეაბამდა და სილას გააწნავდა, ეს სიმბოლურად ბოლო შეურაცხყოფა იყო, რომელიც რაინდს უნდა აეტანა. ამის შემდეგ ყველა შეურაცხყოფაზე პასუხი უნდა გაეცა.

რიტუალის დასასრულს, აწ უკვე რაინდს, თავისი ხელმარჯვეობა და ცხენოსნობის ნიჭი უნდა ეჩვენებინა და ცხენზე ამხედრებულს შუბი მიზანში ესროლა.

კურთხევის რიტუალის დროს დიდ როლს ასრულებდა ფერები და სიმბოლოები. მომავალ რაინდს თეთრი ფერის ტილოს პერანგს აცმევდნენ, რაც მისი უმწიკვლოების სიმბოლო უნდა ყოფილიყო; ზემოდან წითელ შემოსაცმელს მოასხამდნენ, რაც მომავალში ეკლესიისთვის დაღვრილ სისხლს განასხიერებდა; წინდები ყავისფერი ეცვა, რაც ადამიანის მიწასთან კავშირზე მიუთითებდა და ბოლოს – თეთრი ფერის ქამარი სიწმინდის დასტურად ითვლებოდა. ამ რიტუალების ჩატარების შემდეგ მომავალი რაინდი საზეიმოდ დებდა ერთგულების ფიცს და სრულუფლებიანი რაინდი ხდებოდა.

წყარო დ) ფიცი, რომელიც რაინდს უნდა დაედო

„მე არ შევიპყრობ და დავაკავებ ვილანს, დაქირავებულ ადამიანს ან ვაჭარს, არ წავართმევ მათ ფულს, არ მოვთხოვ გამოსასყიდს, არ მივითვისებ და არ გავანადგურებ მათ ქონებას.

მე არ გადავწვავ და დავანგრევ მათ სახლებს, თუ იქ ჩემი მტერი – შეიარაღებული რაინდი ან ქურდი არ აღმოვაჩინე.

არ ავჩეხავ ვენახს, არ ავიღებ მოსავალს და თავს არ ვიმართლებ, რომ იქ ომს ვაწარმოებდი, თუ ეს ჩემი მიწა არ არის, ანდა მამული, რომელიც ჩემი უნდა გახდეს...

ხელს არ ვახლებ გლეხის საქონელს (პირუტყვს), თუ ეს ჩემი ამაღლის გამოსაკვებად აუცილებლობას არ წარმოადგენს“.



სურ. 16 რაინდად კურთხევა. შუა საუკუნეების ფრანგული მინიატურა. XIV ს.

26. რაზე მეტყველებს, რომ რაინდად კურთხევის ცერემონია ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოშია მოქცეული?

27. რას გეუბნება კურთხევის ცერემონიალზე გამოყენებული სიმბოლიკა რაინდის ცხოვრების წესის შესახებ?

28. შენი აზრით, რატომ ეკრძალებოდათ მკაცრად რაინდებს მესამე წოდების ადამიანებზე (გლეხები, ვაჭრები) თავდასხმა?

29. რა საფრთხე შეიძლება შეექმნა ევროპის საზოგადოებისთვის მრავალრიცხოვან, კარგად გაწვრთნილ რაინდთა ფენას, რომელსაც მკაფიო მიზანი და სტაბილური ეკონომიკური შემოსავალი არ ჰქონდა?

რაინდული ტურნირები

რაინდის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს ტურნირები წარმოადგენდა. ტურნირების პირობები განსხვავებული იყო. მას მეფეები და დიდი ფეოდალები მართავდნენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა და სანახაობა იყო საზოგადოების ცხოვრებაში, ამიტომ ტურნირებზე თავს წარჩინებული ფეოდალები და ბარონები იყრიდნენ. კაცებთან ერთად ტურნირებს მაღალი წრის ქალებიც ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოება ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდა. ტურნირი სპეციალურად მომზადებულ მოედანზე ტარდებოდა. სარბიელს ჯებირი ჰქონდა შემოვლებული. მოედნის გვერდით ფიცარნაგზე მაყურებლებისათვის მოწყობილი იყო დასაჯდომი ადგილები, სადაც ძირითადად მანდილოსნები ისხდნენ.

სანახაობა რაინდების ორთაბრძოლით იწყებოდა. მათი მიზანი მეტოქის ცხენიდან ჩამოგდება ან მისთვის შუბის ძგერება იყო. შუბმოღერებული მხედრები ერთმანეთისკენ გამოექანებოდნენ და გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც შუბის ძგერებას და მეტოქის ცხენიდან ჩამოგდებას პირველი მოასწრებდა. ტურნირი რამდენიმე დღე გრძელდებოდა და ასობით ასეთი ბრძოლა იმართებოდა. ზოგჯერ ერთმანეთს ორი რაზმი უპირისპირდებოდა. ასეთი შერკინებები ბევრად უფრო სახიფათო იყო და შეიძლებოდა, მსხვერპლიც მოჰყოლოდა.



სურ. 18 რაინდთა ორთაბრძოლა. შუა საუკუნეების გერმანული მინიატურა

30. რა ინფორმაციას გვაწვდის შუა საუკუნეების ნახატები რაინდების შესახებ? როგორია რაინდთა სამოსელი და აღჭურვილობა?

31. წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ და შუა საუკუნეების ციხესიმაგრის შესწავლის დროს გამოსახულებებიანი მოსასხამი იპოვე. რა კითხვებზე პასუხის მიღებას შეეცდები ამ არტეფაქტის დახმარებით?

32. შენი აზრით, რა მნიშვნელობა და დანიშნულება ჰქონდა რაინდებისთვის ტურნირებს?

33. შენი აზრით, რაინდული კოდექსი ყველა ევროპულ ქვეყანას თავისებური ჰქონდა თუ ის საერთო იყო?

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის რაინდთა წრეში, ფეოდალიზმისა და მემკვიდრეობითი არისტოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად წარმოიშვა ჰერალდიკა, როგორც სიმბოლიკის განსაკუთრებული ფორმა.

გერბი ნიშანია, რომელიც სიმბოლურად მოგვითხრობს მისი მფლობელის შესახებ. გერბებზე გამოსახულია სხვადასხვა მოტივები, ცხოველები, ფრინველები, საგნები. ისინი განსხვავებული ფერისაა. გერბის ყველა გამოსახულებას, დეტალს, თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და გარკვეული შინაარსის მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას ფერზეც, რადგან სიმბოლური მნიშვნელობა ფერსაც გააჩნია.

რაინდის გერბი ამკობდა არა მარტო მის სამხედრო აღჭურვილობას, არამედ ცხენის აღკაზმულობასაც კი. ეს გერბი მემკვიდრეობით გადაეცემოდა მის შთამომავლობას.

რაინდი ფეოდალის საგვარეულო გერბი მისი ციხესიმაგრის გერბად იქცა, შემდეგ – მთლიანად მისი სამფლობელოსი. შესაბამისად, სამეფო დინასტიის საგვარეულო გერბი საფუძვლად დაედო სახელმწიფო გერბს.



სურ. 19 შუა საუკუნეების გერბები

რაინდებს საკუთარი იდეალები და შეხედულებები ჰქონდათ. რაინდული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი იყო ხელგაშლილობის, სიმამაცისა და მსახურების კულტი. მათთვის უმთავრესი რაინდული ღირსების კოდექსის დაცვა იყო.

წყარო ე) რაინდული ღირსების კოდექსი, XIII ს.

1. რაინდული ღირსების კოდექსი სავალდებულოა ყველა იმ კეთილშობილი წარმომავლობის პირისათვის, ვინც საკუთარ თავს რაინდს უწოდებს;
2. რაინდული ღირსების კოდექსის დარღვევის შემთხვევაში რაინდის ბედს გადაწყვეტს სიუზერენი. სიუზერენის ნების შეუსრულებლობის შემთხვევაში რაინდი მაშინვე დაკარგავს კეთილშობილის ტიტულს, მიწასა და პრივილეგიას;
3. რაინდმა საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდა დაიცვას სიუზერენის სიცოცხლე;
4. რაინდმა უნდა შეასრულოს მიცემული სიტყვა;
5. თითოეულმა რაინდმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტურნირებში, სადაც საკუთარ თავს წარმოაჩენს;
6. რაინდმა არ უნდა ავნოს უიარაღო ადამიანს;
7. რაინდმა არ უნდა ავნოს თავისზე ნაკლებად შეიარაღებულ ადამიანს (თუ ეს არ ხდება ბრძოლის ველზე);
8. რაინდი კეთილი და მიმტევებელი უნდა იყოს სუსტის მიმართ და დაეხმაროს მათ, ვინც შველას ითხოვს;
9. რაინდი თავაზიანი უნდა იყოს კეთილშობილი ქალების მიმართ;

10. თუ რაინდებს შორის კამათი მოხდა და ერთმა მეორეს სიტყვით ან საქციელით შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ ამ რაინდს შეუძლია, საკუთარი ღირსების დასაცავად მოწმეების თანდასწრებით შერკინება მოითხოვოს, ან პირველმა უკან წაიღოს თავისი სიტყვები და საქციელისთვის პატიება ითხოვოს;

11. რაინდთა ტურნირზე უღირსი ილეთების გამოყენება აკრძალულია;

12. რაინდისთვის ყველაზე საძულველი საქციელი ღალატია;

13. ღირსეულ შებრძოლებაში რაინდს არა აქვს უფლება, გაუსწორდეს დაცემულ ან ისეთ მოწინააღმდგეს, რომელიც შეწყალებას ითხოვს;

14. რაინდი დაუნდობლად უნდა გაუსწორდეს სიუზერენის, ქალბატონისა და საკუთარი ღირსების შემლახავს.

34. რამდენად სამართლიანად მიგაჩნია ის ფაქტი, რომ რაინდის ბედი სიუზერენის ხელში იყო? პასუხი დაასაბუთეთ

35. რაინდული ღირსების კოდექსის მიხედვით დაახასიათე რაინდი (**მოსწავლის რვეული, დავ.15**) და ჩამოაყალიბე რაინდის იდეალები.

36. შენი აზრით, რატომ ავალდებულებს რაინდს ერთ-ერთი მუხლი, რომ თავაზიანი იყოს კეთილშობილი ქალების მიმართ და არა ზოგადად ქალების მიმართ?

რაინდთა ბრძოლები, სასიყვარულო და საგმირო თავგადასავალი აისახა შუა საუკუნეების საგმირო ეპოსში. რაინდები ხშირად თხზავდნენ სიმღერებს, რომლებიც წარსულ დროებასა და გმირობებს ასახავდნენ. ამ სიმღერებიდან წარმოიშვა სარაინდო ეპოსები: ნიბელუნგების სიმღერა, ისტორიები პარცეფალისა, ლოენგრინისა და მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ და სხვ. XI საუკუნიდან საფრანგეთში, პროვანსში, გაჩნდნენ პოეტი-რაინდები – ტრუბადურები. ისინი თხზავდნენ ლირიკულ ლექსებს, რომლებსაც ხშირად მუსიკის თანხლებით ასრულებდნენ ან მათზე სიმღერებს წერდნენ.

ტრუბადურებმა შექმნეს **კურტუაზიული** ლიტერატურა, რომლის მთავარი თემა კურტუაზიული სიყვარული, ანუ „წრფელი სიყვარული“, იყო. ჩვეულებრივ, რაინდს უყვარდებოდა იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი გათხოვილი ქალი, რომლის ქორწინება გადაულახავ ბარიერად იქცეოდა. ამის მიუხედავად, რაინდი ერთგულებითა და სიმამაცით მისი კეთილგანწყობისა და სიყვარულის მოპოვებას ცდილობდა.



სურ. 20 მინიატურა გერმანული ხელნაწერიდან – მანესის კოდექსიდან. XIV ს.

კურტუაზია – ლიტერატურული მიმდინარეობა და ერთგვარი ქცევის კოდექსი, თვისებების ერთობლიობა, რომელიც შუა საუკუნეების ევროპაში სამეფო კარის წარჩინებულებს უნდა ჰქონოდათ. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ქცევის წესები ქალების მიმართ, რაც კურტუაზიულ სიყვარულში გამოიხატა. ურთიერთობა შეყვარებულსა და ქალბატონს შორის ვასალსა და სენიორს შორის ურთიერთობას წააგავდა.

37. ივარაუდე, ქალის ლირიკული ასახვა ლიტერატურაში იქნებოდა თუ არა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის სოციალური როლის ცვლილების შედეგი? პასუხი დაასაბუთე.

წყარო ვ) რობერ დე ბლუა, „კარგი ტონი ქალბატონებისთვის“

ქალი, რომელიც ადგილიდან არ დგება და სახეს მალავს, როცა სენიორი ესალმება, შეიძლება, ცუდად აღზრდილად ჩაითვალოს და იფიქრონ, რომ კბილები სტკივა.

თუ ქალი ცხენზეა ამხედრებული, ვუალი უნდა ჰქონდეს ჩამოფარებული. თუ გაიცინებს, პირზე ხელი მომხიბლავად უნდა აიფაროს. თუ კარგი ხმა გაქვთ, იმღერეთ, მაგრამ არა დიდხანს, რადგან ეს არცთუ იშვიათად დამღლელია. თუ ქალბატონი ისეთ ვითარებაში აღმოჩნდება, როცა შეუფერებელი მანერით ესაუბრებიან, ყველაზე კარგი გამოსავალი გაჩუმებაა.

ძალიან მნიშვნელოვანია, თვალყური ადევნო სუფრასთან საკუთარ თავს. იცინეთ ცოტა, ისაუბრეთ ზომიერად. თუ თქვენ ერთი თეფშიდან ვინმესთან ერთად მიირთმევთ, კარგი ნაჭრები მას დაუტოვეთ. არ ჩაიდოთ პირში არც ძალიან ცხელი და არც დიდი ნაჭრები.ყოველ ჯერზე, როცა სვამთ, ტუჩები გაიწმინდეთ, მაგრამ გაფრთხილდით, რომ ხელსაწმენდი თვალთან ან ცხვირთან არ მიიტანოთ, რათა თითები არ დაგესვაროთ. დაე, თქვენი ხელები სუფთა იყო, ფრჩხილები კი – დაჭრილი. არ არსებობს ისეთი სილამაზე. რომელიც მოუწესრიგებლობას დაგავიწყებს.

38. რატომ არის რობერ დე ბლუას ნაწარმოები საინტერესო ისტორიული წყარო?

39. რას გვეუბნება წყარო ქალბატონების ქცევის წესებზე?

40. რაზე მეტყველებს რობერ დე ბლუას „კარგი ტონი ქალბატონებისთვის“? წყაროს მიხედვით იმსჯელე, რამდენად თანასწორი იყვნენ კაცები და ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

41. პარაგრაფის მიხედვით შეადგინე ევროპის შუა საუკუნეების ძირითადი ნიშნების სქემა.

42. შეადარე რობერ დე ბლუას ქალთა ქცევის წესები თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ეტიკეტს და იმსჯლე მსგავსება-განსხვავებებზე.

§11. ბრძოლა ქალაქების თვითმმართველობისთვის

ქალაქი ფეოდალის მიწაზე მდებარეობდა. ქალაქის სათავეში სენიორის მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე ადამიანი იდგა. ქალაქები ვალდებული იყვნენ, მისთვის გადასახადი გადაეხადათ ან გამოემუშავებინათ, მაგ., ხელოსნებს – საკუთარი ნაწარმით, ვაჭრებს – საქონლით ან ფულით, დანარჩენებს – სხვადასხვა სახის სამუშაოთი. სენიორებს ქალაქებიდან მეტი შემოსავლის მიღება უნდოდათ, მოქალაქეები კი, პირიქით, ვალდებულებისგან გათავისუფლებას ცდილობდნენ. XI-XIII საუკუნეებში ქალაქებმა თავისუფლებისა და პრივილეგიებისთვის დაიწყეს ბრძოლა.

ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტები ქალაქ ფრაიბურგის სამოქალაქო სამართლიდან. სამართლის წიგნში კანონები წლების მიხედვითაა დაყოფილი. მათი გაანალიზება საშუალებას მოგვცემს, თვალი მივადევნოთ შუა საუკუნეების ქალაქში განვითარებულ პროცესებს.

წყარო ა) ქალაქ ფრაიბურგის სამოქალაქო სამართალი

„დაე, ყველასთვის ცნობილი იყოს, რომ მე, **კონრადმა**, 1120 წელს ადგილ ფრაიბურგში, რომელიც კანონით ჩემი საკუთრებაა, დავაარსე ბაზარი. ეს ბაზარი სარგებლობისთვის ვაჭრებს გადავეცი... თითოეულ მათგანს სახლის ასაშენებლად საკუთრების უფლებით მოედანზე მიწები დავურიგე და თითოეული ნაკვეთისთვის ყოველწლიური გადასახადი 1 სოლიდი დავაწესე. ეს გადასახადი მე და ჩემს მემკვიდრეებს წმინდა მარტინის დღეს უნდა გადაგვიხადონ. თუ ამ სიგელს ხელს მოვაწერთ და ბეჭდით დავამტკიცებთ, მაშინ ჩემს ვაჭრებსა და მათ მემკვიდრეებს მიცემული პრივილეგიები სამუდამოდ ექნებათ.

1. ჩემი ძალაუფლებისა და სამფლობელოების ფარგლებში ბაზარში ყველა მოსულს მშვიდობასა და უსაფრთხოებას ვპირდები. თუ ამ ტერიტორიაზე ვინმეს გაძარცვავენ და მძარცველი დასახელდება, ნაძარცვის დაბრუნებას ვაიძულებ ან თავად გადავიხდი.

2. თუ ჩემი ბიურგერებიდან ვინმე გარდაიცვლება, ქონება მის ცოლსა და ბავშვებს დარჩებათ; მაგრამ თუ გარდაცვლილს ცოლი, შვილები ან სხვა კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავს, მაშინ მთელი ქონება ერთი წლის ვადით ბაზრის 24 ნაფიც მსაჯულს გადაეცემა. თუ ამ ხნის განმავლობაში კანონიერი მემკვიდრე არ გამოჩნდება, მაშინ ქონების მესამედი გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად ღარიბებს მიეცემა, მეორე მესამედი ქალაქის მშენებლობასა და ტაძრის მორთულობას მოხმარდება, დარჩენილი კი – ჰერცოგს.

3. ვაჭრები არ გადაიხდიან სავაჭრო გადასახადს – ბაჟს (შუა საუკუნეებში ყველა სავაჭრო გარიგება იბეგრებოდა; სავაჭრო გადასახადს იხდიდნენ ვაჭრები და ზოგჯერ მყიდველებიც კი).

4. ჩემს მოქალაქეებს არასდროს დავუნიშნავ სხვა მმართველსა და მღვდელს. ვისაც თავად აირჩევენ, მას დავამტკიცებ.

5. მოქალაქეებს შორის დავას მე ან მმართველი საკუთარი ნება-სურვილით არ გადავწყვეტთ, მას ადგილობრივი წესებითა და ყველა ვაჭრის კანონიერი უფლებით განვსჯით.

მოქალაქეების ნდობისთვის ჩემს თორმეტ **მინისტერიალთან** ერთად სიწმინდეებზე დავიფიცე, რომ ერთგული ვიქნები მიცემული პირობის და სამუდამოდ შევასრულებ ნათქვამს. და რადგან არ ვაპირებ მოცემული სიტყვის დარღვევას, მარჯვენა ხელი საკუთარი ნება-სურვილით გავუწოდე თავისუფალ ადამიანებსა და ბაზრის მსაჯულებს. ამინ“.

კონრად ფონ ცერინგენი – კარინტიის ჰერცოგი (საღვთო რომის იმპერიაში). მისი საკუთრება იყო ის მიწებიც, სადაც დაარსდა ქალაქი ფრაიბურგი.

მინისტერიალი – წვრილი რაინდობის წარმომადგენელი, მიწის მცირე ნაკვეთის მფლობელი, რომელიც ამ წოდებას არა ვასალური ვალდებულებების (სამხედრო სამსახურის), არამედ თავის ბატონთან დაკავებული გარკვეული თანამდებობის სანაცვლოდ იღებდა.

1. რა მიზნით დაარსდა ქალაქი ფრაიბურგი და ვინ არის მისი მესაკუთრე?

2. ვინ არიან ქალაქის ძირითადი მცხოვრებლები და რა ვალდებულებები აქვთ ჰერცოგის მიმართ?

3. როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღებია ვაჭრებისთვის ის პირობები, რომლებსაც ჰერცოგი თავის მიწაზე სთავაზობს?

4. რატომ არის ჰერცოგი თავის მიწაზე ბაზრის დაარსებით დაინტერესებული?

5. შენი აზრით, ვინ არის ბაზრის 24 ნაფიცი მსაჯული და რა ფუნქციები უნდა ჰქონდეთ მათ?

1120-1178 წლებში დამატებული კანონები

1. თუ ვინმეს გაჭირვება აიძულებს, შეუძლია, ქონება გაყიდოს და იმას მიჰყიდოს, ვისაც სურს.

2. თუ ჰერცოგი იმპერატორის ლაშქრობაში მიდის, მაშინ მის მსახურს ბაზარში თითოეული მეწაღისგან იმდენი წყვილი ჩექმის აღება შეუძლია, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს, გარდა საუკეთესო წყვილისა.

3. ქალაქში ყველა მოსულს თავისუფლად შეუძლია დარჩენა, თუ ის ვინმეს სერვი (ყმა-გლეხი) არ არის. თუ სერვი ბატონის ყოლას უარყოფს, ბატონმა ჰერცოგის წინაშე შვიდ ახლობელთან უნდა დაამტკიცოს, რომ მისი სერვია და მაშინ მას დაიბრუნებს.

5. დაე, ჰერცოგის ამალიდან, მინისტერიალებიდან ან რაინდებიდან არავინ იცხოვროს ქალაქში, თუ მოქალაქის საერთო ნება და თანხმობა არ იქნება.

6. არც ერთ უცხოს მოქალაქის წინააღმდეგ მოწმედ გამოსვლა არ შეუძლია. დამოწმება შეუძლია ორ კანონიერ პირს, რომლებმაც მოისმინეს და დაინახეს.

7. თუ მოქალაქეები ქალაქიდან გავლენ და კედლის გარეთ ერთმანეთში იკამათებენ, თითოეულმა მათგანმა ჯარიმა 3 სოლიდი უნდა გადაიხადოს. თუ იჩხუბებენ ან ერთმანეთს დაჭრიან, მაშინ ჰერცოგის მფარველობას დაკარგავენ.

6. ჰერცოგის წინაშე რა ვალდებულებები დაემატათ მოქალაქეებს? შენი აზრით, რატომ?

7. რაზე მეტყველებს დამატებული კანონები? რა ინფორმაციას გვაწვდის, როგორც ისტორიული წყარო, ქალაქში მიმდინარე პროცესებზე? მაგ.,

რატომ დართეს ნება ბიურგერებს, გაეყიდათ საკუთარი ქონება?

რატომ შეუძლია ქალაქში ყველა მოსულს თავისუფლად დარჩენა, გარდა სერვისა?

რატომ არ შეუძლიათ მინისტერიალებსა და რაინდებს მოქალაქეების ნებართვის გარეშე ქალაქში დასახლება?

რატომ უნდა გადაუხადონ ჰერცოგს ერთმანეთში კამათის გამო ჯარიმა?

კანონების დარღვევის შემთხვევაში რატომ ემუქრება ჰერცოგი მოქალაქეებს მფარველობაზე უარის თქმით?

რატომ შეიძლება ეშინოდეთ მოქალაქეებს მფარველობის დაკარგვის?

რა პრივილეგია აქვს მოქალაქეს არამოქალაქესთან შედარებით?

1178 წელს დამატებული კანონები

1. თუ მოქალაქე, რომელსაც თავისი ბატონი ჰყავს, გარდაიცვალა, მისი ცოლი ბატონს გადასახადს არ გადაუხდის.

2. თუ ვინმე სენიორის მფარველობას დაკარგავს, მისი სიცოცხლე და ქონება, ქალაქში თუ მის კედლებს გარეთ, ექვსი კვირის განმავლობაში ხელშეუხებელია, გარდა ქალაქში არსებული სახლისა, რომლის გაყიდვა და დაგირავება არ შეუძლია. თუ ამ ხნის განმავლობაში მოქალაქე სენიორის მფარველობას ვერ დაიბრუნებს, მაშინ სახლს და ქალაქში არსებულ ქონებას მთლიანად დაკარგავს.

3. მოქალაქე ვალდებული არ არის, სენიორთან ერთად ერთ დღეზე მეტხანს ილაშქროს. მას მომდევნო ღამეს შინ დაბრუნება უნდა შეეძლოს... მაგრამ თუ ლაშქრობა ყველასთვის

განკუთვნილია და ვინმე არ წავიდა, მაშინ მან თავი კანონის წინაშე უნდა იმართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სახლს საფუძვლიანად დაანგრევენ.

4. ყველა მოაქალაქე, ვისაც ქალაქის დატოვება მოუნდება, უნდა შეეძლოს საჰერცოგოს ფარგლებში თავისუფლად გადაადგილება და ქონების წაღება.

5. მოქალაქეებმა ყოველწლიურად უნდა აირჩიონ **შულტჰაისი** და სენიორმა დაამტკიცოს.

6. ყველა საზომი და საწონი, საწყაო: ღვინისა და მარცვლის, ოქროსა და ვერცხლის, უნდა ჰქონდეს **კონსულს**. მას შემდეგ რაც ყველა მათგანი შემოწმდება, შესანახად ერთ კაცს უნდა ჩააბარონ. ვინც სხვა საწონი ერთეულით ისარგებელებს, გაყიდის ან იყიდის, ქურდობად ჩაითვლება.

7. ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს და სასამართლოს მოსაკრებელი არ უნდა გადაიხადონ.

8. მოქალაქედ ითვლება ის, ვისაც ქალაქში ისეთი თავისუფალი საკუთრება აქვს, რომელიც ვალდებულებებით არ არის დატვირთული.

9. ნებისმიერი ქალი უთანაბრდება კაცს და პირიქით; კაცი შეიძლება იყოს ქალის მემკვიდრე და პირიქით.

10. ცოლს შეუძლია თავისუფლად ჰქონდეს დედის მხრიდან მემკვიდრეობა.

შულტჰაისი – თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს მოქალაქეების, თემის მიერ ვალდებულებების შესრულებას.

კონსული – უმაღლესი არჩევითი მოხელე შუა საუკუნეების გერმანულ თვითმმართველ ქალაქებში

8. რა თანამდებობები და ინსტიტუტები გაჩნდა ქალაქში?

9. რაზე მეტყველებს ახალი კანონები?

10. შენი აზრით, რატომ მოიმატა კანონებში რეგულაციებმა?

11. რა ცვლილებები მოხდა ქალაქის თემში დაარსებიდან 1178 წლამდე?

12. როგორ ფიქრობ, რატომ ათავისუფლებენ გარდაცვლილი მოქალაქის ცოლს გადასახედებისგან?

13. შენი აზრით რატომაა მნიშვნელოვანი მოქალაქის სტატუსის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის საკუთრება, რომელიც არ არის ვალდებულებით დატვირთული?

14. როგორ ფიქრობ რატომ უკრძალავს კანონი სენიორის მმფარველობის გარეშე დარჩენილ მოქალაქეს ქალაქში სახლის გაყიდვასა და დაგირავებას?

15. რა მნიშვნელობა აქვს საკუთრებას შუა საუკუნეების საზოგადოებაში? მემკვიდრეობის წესის მიხედვით რა შეგიძლია თქვა კაცისა და ქალის უფლებებზე?

16. შენი აზრით, რატომ იღებენ მემკვიდრეობას ქალები დედის მხრიდან?

1200 წელს დამატებული კანონები

11. სენიორი ქალაქს ფლობს მემკვიდრეობით და მისი გარდაცვალების შემდეგ, ვინც უნდა იყოს მისი მემკვიდრეებიდან უფროსი, ქალაქი მას დარჩება.

12. **ტელონარიუსმა** (სავაჭრო ბაჟის ამკრეფი) თვალყური უნდა ადევნოს ქალაქის ყველა ხიდს და წესრიგში ჰქონდეს ქალაქის თხრილთან ერთად. მათზე საქონლის დაღუპვის შემთხვევაში ზარალი თავად უნდა აანაზღაუროს.

13. ტელონეარიუსისაა: ცხენიდან 4 დინარი, კამეჩიდან – 16 დინარი,

ტელონარიუსი – მოხელე, სავაჭრო ბაჟის ამკრეფი შუა საუკუნეების გერმანულ ქალაქებში.

ვირიდან – 8 დინარი, ხარიდან – 1 დინარი, ტყავიდან – 1 დინარი, ღორიდან, ცხვრიდან – თითო დინარი. წიწაკიდან – 1 ფუნტი, დაფნის ფოთლიდან – 4 დინარი, ამდენივე – ჩამოტანილი მარილიდან.

14. ქალაქში ყველამ უნდა გადაიხადოს სავაჭრო მოსაკრებელი.

15. ბერი, ეკლესიის მსახური და ჰერცოგის მინისტერიალები არ იხდიან სავაჭრო გადასახადს.

16. თუ რომელიმე საკითხზე მოქალაქეები ვერ შეთანხმდებიან, ერთ ნაწილს რამე გადაწყვეტილება სჭირდება, მეორე კი – არა, ქალაქის 24 კონსულიდან ორმა კონსულმა (არარიგითი მოქალაქეებიდან) გადაწყვეტილების მისაღებად ქალაქ კელნს უნდა მიმართოს და როგორც კელნი გადაწყვეტს, იმის მიხედვით გადაიხდიან დაპირისპირებული მხარეები ჯარიმას.

17. თუ ქალაქში ვინმეს სახლი დაიწვება, სანამ სახლის პატრონი მიწისა და სხვა გადასასახადებს იხდის, მოქალაქეობას ინარჩუნებს.

18. თუ ვინმე დამწვარი სახლის ეზოს იყიდის, ის მოქალაქედ არ ითვლება, სანამ სახლს არ ააშენებს.

19. კონსულიდან თითოეული საკუთარი კარიდან დაიტოვებს 12 დინარს და, საჩივრის მიუხედავად, ისინი არ დაექვემდებარებიან სასამართლოს, თუ წინა დღეს ამის შესახებ სიტყვიერად არ შეატყობინეს.



სურ. 1 შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ვაჭართა სახლი ფრაიბურგში

17. რა ცვლილებები მოხდა ა) ფრაიბურგის საზოგადოებაში 1178-იდან 1200 წლამდე? ბ) მოქალაქეთა ვალდებულებებში? გ) ქალაქის მმართველობით სტრუქტურაში?

18. შენი აზრით, რატომ არის გათავისუფლებული გადასახადებისგან ბერი, კლერიკი და ჰერცოგის მინისტერიალები? ვის უკმაყოფილებას შეიძლება იწვევდეს აღნიშნული კანონი და რა შედეგი შეიძლება მოყვეს მას?

19. რატომ არის საჭირო მოქალაქეობის სტატუსის მისაღებად უძრავი ქონება?

20. წარმოიდგინე, რომ ფრაიბურგის მცხოვრებლები ხართ. დაიყავით ჯგუფებად და ჩამოწერეთ ჰერცოგის სახელზე თქვენი უკმაყოფილების მიზეზები და მოთხოვნები.

21. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 16**), სადაც ერთმანეთს შეადარებ ქალაქ ფრაიბურგში სხვადასხვა დროს მიღებულ კანონებს, განაზოგადებ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და ქალაქის მმართველობაში მომხდარ ცვლილებებს და იმსჯელებ, რა გავლენას მოახდენდა ისინი ქალაქის საზოგადოებაზე.

როგორია შუა საუკუნეების ქალაქების თვითმმართველობის სისტემა, კარგად ჩანს ქალაქ სტრასბურგის სამოქალაქო სამართალში.

წყარო ბ) ქალაქ სტრასბურგის II სამოქალაქო სამართალი

დადგინდა, რომ 12 კაცი, და თუ საჭირო იქნება – მეტიც, წესიერი და ღირსეული, ბრძენი და საიმედო, ყოველწლიურად დაინიშნოს ქალაქის კონსულად (მმართველად). ხოლო მათგან ერთ-ერთი (ან, თუ საჭირო იქნება, ორიც) აირჩევა ქალაქის თავად (ბურგომისტრად). სასამართლო სხდომებს კონსულები მართავენ კვირაში ორჯერ. სასამართლოს წარუძღვება ბურგომისტრი, ხოლო განაჩენს დაამტკიცებენ კონსულები. კონსულებს ეკრძალებათ, გაანდონ ვინმეს რამე სხდომაზე განხილული საკითხის შესახებ, ხოლო ბურგომისტრისა და კონსულთა საერთო თანხმობის გარეშე ეკრძალებათ, მიმართონ უცხო (გარეშე) პირს

ან მეგობარს რჩევისთვის. დაუშვებელია, კონსულებად ერთდროულად იქნენ არჩეული მამა-შვილი ან ძმები.

22. გაავლე პარალელი სტრასბურგისა და ფრაიბურგის მოხელეებსა და მმართველობის სისტემებს შორის.

23. რა თვისებების მიხედვით ირჩევენ ქალაქის თვითმართველობის მოხელეებს და რა ვალდებულებები აქვთ მათ?

24. რატომ იკრძალება კონსულებად ახლო ნათესავების არჩევა?

25. რატომ იყო მნიშვნელოვანი შუა საუკუნეებში ქალაქების თვითმართველობის განვითარება?

განვითარებულ შუა საუკუნეებში ქალაქების პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის წერილობითი წყაროები გვაწვდის. საკუთრივ ისტორიული დოკუმენტების, ქალაქების სამართლის გარდა, არსებობს ისტორიული თხზულებები, სამონასტრო ქრონიკები, ჩანაწერები. ისინი ერთმანეთს ავსებს და ისტორიული პროცესის შედარებით სრულად წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს. ქვემოთ მოყვანილია ქალაქ კელნის არქიეპისკოპოსის ჩანაწერი და ნაწყვეტი არქიეპისკოპოსების ანონიმური ქრონიკიდან.

წყარო გ) კელნის ეკლესიის ჩანაწერებიდან

არნოლდი, ღმერთის განგებით კელნის არქიეპისკოპოსი.

ჩვენ გამოვედით სალაშქროდ ჩვენი ეპარქიის უკიდურეს საზღვრებთან და მივედით ქალაქში, რომელსაც უბრალო ხალხი მედებახს ეძახის. ვაკურთხეთ იქაური ეკლესია და ცოტა ხანს ხალხის დასამშვიდებლად შევჩერდით. ჩვენი სურვილი იყო, ქალაქის როგორც ამჟამინდელ, ისე მომავალ მცხოვრებლებს სცოდნოდათ, რომ ეს პატივსაცემი ქალაქი, რომელსაც საზოგადოებრივი და იმპერატორის ძალაუფლებით დამტკიცებული ბაზარი აქვს, თავდაპირველად კელნის არქიეპისკოპოსის კათედრას ემსახურებოდა. შემდეგ ჩვენმა წინამორბედებმა ის რაინდებს ნაწილებად დაურიგეს, ამჟამად კი ბევრი პირის მიმართ ვალდებულებითაა დამძიმებული. ამიტომ შეჩერებისას დაჩაგრული ხალხის საჩივარი მოვისმინეთ, კერძოდ კი, ქალაქში ჩვეული და აუცილებელი სამსახურების შესუსტება, კანონების დარღვევა, ხორცის ბაზარში ვაჭართა რიგებში ახალი მოსაკრებლის დაწესება, რის გამოც ბაზარი ბევრმა დატოვა. ამ საჩივრებზე პასუხის გასაცემად მოვიწვიეთ მედებახის ფოგტი და კიდევ ზოგიერთი პირი, რომლებზეც ამბობდნენ, რომ სწორედ მათი ძალმომრეობა იყო ქალაქის დაღმასვლის მიზეზი. მათ კი სახალხო შეკრებაზე ყველაფერი იუარეს. აი, ამიტომ, რადგან დამნაშავე ვერ ვიპოვეთ, ჩვენ ქალაქს თავისი სამართალი და ადათები დავუბრუნეთ და ასევე დავუმატეთ, რომ ბაზარში მშვიდობა შეენარჩუნებინათ.

26. რით განსხვავდება ქალაქი მედებახი ფრაიბურგისგან?

27. წყაროს მიხედვით, როგორ შეიცვალნენ მედებახის სინიორები? ივარაუდე, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ქალაქის ბაზარი იმპერატორის ძალაუფლების ქვეშ, შემდეგ კი რაინდთა შორის დანაწილებულიყო.

28. რაზე მეტყველებს არქიეპისკოპოსის ჩანაწერი? რატომ ჩავიდა ის თავის მომხრეებთან ერთად მედებახში? შენი აზრით, რა იყო ამ ვიზიტის მიზანი?

29. როგორ ფიქრობ, სუბიექტურია თუ არა წყარო? პასუხი დაასაბუთე.

30. წარმოიდგინე, რომ რაინდი ხარ და იმპერატორმა მედებახის ბაზრის ნაწილი გადმოგცა. გააკეთე ჩანაწერი არქიეპიკოპოსის საპირისპიროდ და ქალაქთან დაკავშირებით შენი პოზიცია დაასაბუთე.

31. ვენის დიაგრამის საშუალებით შეადარე ერთმანეთს საქალაქო ცხოვრება ქალაქ მედებახსა და ფრაიბურგში (**მოსწავლის რვეული, დავ. 17**)



სურ. 2 კელნის საკათედრო ტაძარი

წმინდა მედარდი – მედარდ ნოიონელი, ნოიონის ეპისკოპოსი V-VI სს.-ში.

წყარო დ) ქალაქ კელნის არქიეპისკოპოსების ანონიმური ქრონიკა

1192 წელს კელნში ხანძრისგან დაიწვა წმინდა მოციქულთა ეკლესია.

1237 კელნის არქიეპისკოპოსად აირჩიეს კონრადი. ის ამ თანამდებობაზე 23 წელი და 6 თვე იყო.

1248 წელს, წმინდა ქალწულის დიდების დღეს, არქიეპისკოპოსმა კონრადმა კელნის საკათედრო ტაძრის მშენებლობა დაიწყო.

1261 წელს არქიეპისკოპოსად აირჩიეს ენგელბერტი.

1262 წელს **წმინდა მედარდის** დღეს კელნის მოქალაქეების შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს ქალაქის ჭიშკარი და გალავნის კოშკები.

1263 წელს, წმინდა ეკატერინეს დღესასწაულიდან მესამე დღეს, ენგელბერტი კელნში შეიპყრეს და 20 დღე ტყვეობაში ჰყავდათ.

1265 წელს, 5 სექტემბერს, კელნის არქიეპიკოპოსმა, ენგელბერტმა უზარმაზარი ჯარით ალყა შემოარტყა კელნს. ალყა იმავე თვის 13 რიცხვამდე გაგრძელდა.

1267 წელს, ნეტარი ბერის პავლეს ხსენების დღეს, ქალაქის დიდებულებმა ნაკადულთან ბრძოლაში კელნის მოქალაქეთა თემზე გაიმარჯვეს. ბრძოლის ველზე დაეცნენ ფოგტი რუთგერი, ბურგომისტრი ლუდვიგი და ბევრი სხვა დაიღუპა. ხალხისგან ენით აუწერელი გადასახადები აკრიფეს.

იმავე წელს, ნეტარი ლუკას ხსენების წინა დღეს, არქიეპისკოპოსი ენგელბერტი თავის მომხრეებთან ერთად იულიხის გრაფმა (ვილჰელმ IV-მ) ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო და 4 წელი დატყვევებული ჰყავდა.

1269 წლს, მავრების (წმინდა მოწამეთა) ღამეს, ქალაქი კელნი არქიეპისკოპოს ენგელბერტსა და მის მეგობრებს გადაეცა. ამის გამო ქალაქში დიდი დაპირისპირება იყო და მოქალაქეებმა გაიმარჯვეს.

1274 წელს არქიეპიკოპოსი ენგელბერტი გარდაიცვალა.

1277 წელს, წმინდა ჰერიბერტის დღეს, ჩვენს ხალხს ბედ-იღბალი დაუბრუნდა, რადგან იულიხის გრაფი აახენელებმა მოკლეს და მასთან ერთად დაიღუპა მისი ამალის 40 კაცი. რის შემდეგაც, როცა წმინდა ბენედიქტეს დღე დადგა, იულიხელები კელნელებმა დაამარცხეს და სათავეში ეპიკოპოსი ზიგფრიდი ედგათ, რომელიც იმჟამად მართავდათ.

1279 წელს, წმინდა მოწამეთა დღეს, არქიეპიკოპოს ზიგფრიდსა და იულიხის გრაფინიასა და მის შვილებს შორის შეთანხმება დაიდო ზაინის გრაფის, გოტფრიდის, შუამდგომლობით.

32. რა განსხვავებაა გ) და დ) წყაროებს შორის? რა სახის ინფორმაციას გვაწვდის თითოეული მათაგნი?

33. შენი აზრით, რომელი წყარო უფრო სანდოა? რატომ?

34. რატომ არის ქრონიკა კელნის პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად მნიშვნელოვანი წყარო?

35. როგორ ათარიღებს წყარო მოვლენებს? წლის აღნიშვნის გარდა, კიდევ რას იყენებს ავტორი დროის დასაზუსტებლად? რით არის ეს განპირობებული?

36. რას მოგვითხრობს წყარო კელნში დაპირისპირებაზე? ვინ და რატომ უპირისპირდება ერთმანეთს? რა როლი აქვთ ამ დაპირისპირებაში მოქალაქეებს?

37. რა რესურსებს ეყრდნობიან მხარეები ერთმანეთთან დაპირისპირებისას?

ქალაქების სენიორებთან ბრძოლა XI საუკუნიდანვე დაიწყო. მოქალაქეები სენიორის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. ეს ბრძოლა სხვადასხვა შედეგით სრულდებოდა. ზოგ ქალაქში დამოუკიდებლობას აღწევდნენ და თვითმმართველობის ორგანოებს ქმნიდნენ. ასეთ თვითმმართველ ქალაქებს კომუნები ეწოდებოდა. ზოგ ქალაქში მმართველობა სენიორსა და მოქალაქეებს შორის იყო განაწილებული. იმ ქალაქებში, სადაც სენიორის ძალაუფლება მყარი იყო, კომუნებმა დიდხანს ვერ იარსებეს.

პირველი კომუნები XI საუკუნეში ჩრდილოეთ იტალიაში შეიქმნა. მოქალაქეებმა ისარგებლეს რომის პაპებსა და საღვთო რომის იმპერატორებს შორის დაპირისპირებით და თვითმმართველობა გამოაცხადეს.



სურ. 3 ქალაქ მანჩესტერის რატუშა, დიდი ბრიტანეთი

ქალაქების სენიორებთან ბრძოლის უმთავრესი შედეგი თვითმმართველობა და ქალაქების საერო და საეკლესიო სენიორებისგან დამოუკიდებლობა იყო, რაც ქალაქს განვითარების საშუალებას აძლევდა. ევროპაში ჩვეულებრივ მოქმედებდა წესი: „ქალაქის ჰაერი თავისუფალ ადამიანად გაქცევს“. თუ ბატონისგან გამოქცეული გლეხი ქალაქში ერთ წელსა და ერთ დღეს დაიმალებოდა, როგორც წესი, მას თავის ბატონს აღარ უბრუნებდნენ

ქალაქის თვითმმართველობის სიმბოლო იყო ქალაქის ცენტრში აღმართული რატუშა – შენობა, სადაც თვითმმართველობის ორგანოები მდებარეობდა.



სურ. 4 რატუშა ქალაქ პრაღაში, ჩეხეთი



სურ. 5 რატუშა ქალაქ ვროცლავში, პოლონეთი

38. იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა განვითარებული შუა საუკუნეების საზოგადოებაზე ქალაქების განვითარება? გამოყავი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები.

39. როგორ ფიქრობ, როგორი იქნებოდა განვითარებული შუა საუკუნეების ბიურგერების, მოქალაქეების ახალი ფენა?

§12. განათლება შუა საუკუნეებში. „უნივერსიტეტების ხანა“ ევროპაში

შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში სკოლები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. მასწავლებლები თავდაპირველად მხოლოდ სასულიერო პირები იყვნენ. სკოლაში განსაზღვრული პროგრამა და გაწერილი წესები ჰქონდათ. დისციპლინას ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა და სკოლაში სიმკაცრე სუფევდა. ბავშვებს ზუსტად ისე ექცეოდნენ, როგორც ბერებსა და მღვდლებს. არ ითვალისწინებდნენ არც ასაკობრივ სხვაობას და არც ინდივიდუალურ თვისებებს. შუა საუკუნეების სკოლებში ერთ კლასში ხშირად შეხვდებოდით სხვადასხვა ასაკის ადამიანებს. შეიძლებოდა, ერთ კლასში ყოფილიყვნენ 8 წლის ბავშვი და 20 წლის ახალგაზრდა. ისინი უმცროს და უფროს შეგირდებად იყოფოდნენ. სკოლას მიბარებული ბავშვები გამუდმებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ თავისუფლად ლაპარაკი და თამაში არ შეეძლოთ არც სამლოცველოში, არც სატრაპეზოსა და საძინებლებში. ბავშვებს ხმამაღლა სიცილი და თამაში ეკრძალებოდათ. ხშირი იყო გაროზგვა და დასჯა.

ეკლესია თავდაპირველად სკოლებში საერო მეცნიერებათა შესწავლას ზღუდავდა.

წყარო ა) რომის პაპის, გრიგოლ I-ის (540-604 წწ.) წერილი ერთ-ერთ ეპისკოპოსს:

„ჩვენამდე ხმები მოვიდა, რაც არ შეგვიძლია სირცხვილის გარეშე გავიხსენოთ. კერძოდ, რომ თქვენ მავანს გრამატიკას ასწავლით. არ შეიძლება ერთი პირით ქება შევასხათ ქრისტესაც და იუპიტერსაც. თუ თქვენ ნათლად დაამტკიცებთ, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეესაბამება და საერო მეცნიერებით არ ხართ დაკავებული, მაშინ ვიფიქრებთ, იმის ნება დაგრთოთ, რის შესრულებასაც გვთხოვდით“.



სურ. 1 ბავშვები მიჰყავთ მონასტრის სკოლაში. შუა საუკუნეების მინიატურა

1. რაზე მეტყველებს რომის პაპის წერილი?

2. შენი აზრით, რატომ კრძალავდა ადრეულ შუა საუკუნეებში ეკლესია საერო განათლებას?

3. შენი აზრით, რამდენ ხანს შეძლებდა ეკლესია ასეთი შეზღუდვების შენარჩუნებას?

წყარო ბ) ნაწყვეტი შვაბური (ერთ-ერთი გერმანული) სამართლის წიგნიდან:

„თუ მასწავლებელი დაარტყამს მოსწავლეს ჯოხს ან ხელს და მოსწავლეს სისხლი არ წამოუვა, ის ამისათვის პასუხს არ აგებს; თუ იგი გაუტეხს ცხვირს და ამას სისხლდენა მოჰყვება, ამ შემთხვევაშიც პასუხს არ აგებს; თუ იგი სხეულის სხვა ნაწილებს დაუსისხლიანებს, ამისთვის პასუხი უნდა აგოს, ხოლო თუ ის მოკლავს მოსწავლეს, სასამართლოს გადაეცემა“.

4. შენი აზრით, რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასკოლო დისციპლინის დასამყარებელი კანონები სამართლის წიგნშია შეტანილი?

5. როგორ ფიქრობ, რატომ იყო შუა საუკუნეების საზოგადოებაში დამკვიდრებული ასეთი მკაცრი წესები და კანონები?

დროთა განმავლობაში ეკლესია-მონასტრებთან სკოლების გვერდით გაჩნდა უმაღლესი სკოლებიც – აკადემიები, სადაც ძირითადად 7 საგანს (გრამატიკას, **რიტორიკას**, **დიდაქტიკას**, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას) ასწავლიდნენ. თუმცა ზოგ აკადემიაში ამ დისციპლინების გარდა, შეიძლებოდა, ახალგაზრდას მედიცინა ან სამართალიც შეესწავლა. ნასწავლ ხალხზე მოთხოვნა ქალაქების განვითარებამ განაპირობა.

მუსლიმურ სამყაროშიც სწავლა-განათლების კერები მეჩეთთან არსებული სკოლები – მაქთაბები და მედრესეები – იყო. „მაქთაბა“ არაბულად სიტყვასიტყვით ნიშნავს ადგილს, სადაც წერენ, სწავლობენ.

მაქთაბებში მოსწავლეები დაწყებით სასულიერო განათლებას იღებდნენ და იქ ძირითადად არაბულ დამწერლობასა და მუსლიმთა წმინდა წიგნს – ყურანს შეისწავლიდნენ. სწავლის მიზანი იყო კეთილშობილი მუსლიმის ჩამოყალიბება. მედრესეებში მოსწავლეები იმ დროისთვის უმაღლეს განათლებას იღებდნენ. სასწავლო გეგმაში შემავალი დისციპლინები იყო: რიტორიკა და არაბული ფილოსოფია, კალიგრაფია, ლოგიკა, მათემატიკა, ასტრონომია, სამართალი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდები სასულიერო პირები ან სახელმწიფო მოხელეები ხდებოდნენ.

რიტორიკა – მჭევრმეტყველების თეორია; მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

დიდაქტიკა – (ბერძნ. დამრიგებლობითი) მოძღვრება სწავლების შინაარსის, მეთოდების შესახებ.

შუა საუკუნეების საქართველოში უმაღლესი სკოლები – გელათისა და იყალთოს აკადემიები – დავით აღმაშენებლის თაოსნობით დაარსდა. სასწავლო პროგრამაში ის შვიდი დისციპლინა შედიოდა, რომლებიც ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ იყო მიღებული: გეომეტრია – „ქვეყნის სამზომლო“, არითმეტიკა – „რიცხუნი“, მუსიკა – „სამუსო“, რიტორიკა – „რიტორობა“, გრამატიკა – „ღრამატიკოსობა“, ფილოსოფია – „ფილოსოფოსობა“, ასტრონომია – „ვარსკვლავთმრიცხუელობა“.

6. რა საერთო აქვს შუა საუკუნეების ქრისტიანულ და მუსლიმურ სკოლებს ერთმანეთთან?

7. რა განსხვავებაა შუა საუკუნებისა და თანამედროვე სკოლას შორის? შენი აზრით, რა იყო განათლების მიზანი შუა საუკუნეებში და რა არის ახლა?

შუა საუკუნეების ფილოსოფიური მიმდინარეობა – სქოლასტიკა

შუა საუკუნეებში ქრისტიანული იდეოლოგიით გაჟღენთილი იყო მეცნიერება. ყველაზე გავლენიან მსოფლმხედველობას წარმოადგენდა სქოლასტიკა – „სასკოლო ფილოსოფია“. სქოლასტიკოსები მიზნად ისახავ-დნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ლოგიკურ დასაბუთებას.

ქრისტიანული მოძღვრება განავითარეს წმინდა მამებმა. მაგრამ ზოგჯერ ნაშრომებში ერთი და იგივე დებულება სხვადასხვანაირად იყო გაშუქებული, რაც მათ კრიტიკას იწვევდა. სქოლასტიკის მიზანი ამ წინააღმდეგობების დაძლევა და სხვადასხვა მოსაზრებათა შეთანხმება იყო. მათი მიზანი არა ახალი ცოდნის მოპოვება, არამედ ავტორიტეტების გამოთქმული აზრის კომენტირება, ლოგიკური გააზრება იყო. უმთავრესი ავტორიტეტი იყო საღვთო წერილი.

ისტორიკოსის კომენტარი

ჯოზეფ ჰიპერი, სქოლატიკა: ისტორია და პრობლემები

სქოლასტიკა, რომელიც ფიქსირებულ რელიგიურ დოგმებზე იყო დაფუძნებული, საერთო ფილოსოფიური პრობლემების (როგორიცაა, რწენა და აზრი, ნება და გონიერება და

სხვ.) ხელახლა გადაწყვეტას ცდილობდა, თავდაპირველად პატრისტიკული – წმინდა მამების შემუშავებული ადრექრისტიანული ფილოსოფიის, შემდეგ კი არისტოტელეს გავლენით. არსებული დამკვიდრებული შეხედულებების გარდა, ჩნდებოდა კითხვებიც, რომლებსაც განხილვა და პასუხის გაცემა სჭირდებოდა. ზოგჯერ ერთი და იგივე დებულება ქრისტიან ფილოსოფოსთა ნაშრომებში განსხვავებულად იყო განხილული. სქოლასტიკოსები მათ შეთანხმებას ცდილობდნენ.

ალბერტ დიდი (1191-1280 წწ.) – შუა საუკუნეების ყველაზე ცნობილი გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი. პირველი სქოლასტიკოსი იყო, რომელმაც არისტოტელე შეისწავლა და კომენტარები მიუძღვნა. მისი მოძღვრება მიზნად ისახავ-და მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთდამო- კიდებულების გაღრმავებას.

თომა აკვინელი (1225 - 1274 წწ.) – შუა საუკუნეების ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი იყო. მან არისტოტელეს მოძღვრება ქრისტიანული ჭეშმარიტების გასამყარებლად გამოიყენა. მის მოძღვრებაში რწმენა და გონება ჰარმონიაშია მოყვანილი. მისი აზრით, სამყაროში მიმდინარე ნებისმიერი ქმედება ღვთის განგებით ხორციელდებოდა.

ბონავენტურას (1221 - 1274 წწ.) აზრით, არისტოტელეს მოძღვრების ქრისტიანობასთან სინთეზი რწმენისათვის სახიფათო იყო.

იოანე დუნს სკოტი (1266 - 1308 წწ.) აღიარებდა ნების უპირატესობას გონებასთან როგორც ადამიანში, ისე ღმერთში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის თავისუფალ ნებას.

8. რატომ გახდა საჭირო ქრისტიანული მოძღვრებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრებათა შეთანხმება? რა პრობლემა შეიძლება გამოეწვია იდეათა წინაღმდეგობრივ გაგებას?

უნივერსიტეტების დაარსება

XII საუკუნე ევროპის ისტორიაში გარდამტეხი მომენტია. ქალაქების ზრდასთან ერთად მოქალაქეებმა აქტიურად დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. ისინი ხშირად უპირისპირდებოდნენ სენიორებსა თუ ეპისკოპოსებს და თავისუფლებისკენ სწრაფვით ფეოდალური საზოგადოების სხვა წევრებისგან განსხვავდებოდნენ. ქალაქის ახალგაზრდობაში სულ უფრო იზრდებოდა ინტერესი სწავლის მიმართ. ისინი იმ ქალაქებისკენ მიეშურებოდნენ, სადაც სახელგანთქმული მასწავლებლები მოღვაწეობდნენ, იმ იმედით, რომ ბევრ კითხვაზე მიიღებდნენ პასუხს. ქალაქის მოსახლეობას ღარიბი რაინდები და დაბალი რანგის სასულიერო პირებიც უერთდებოდნენ. გარემომცველი სამყაროს მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდებოდა.

ამავე პერიოდში დასავლეთ ევროპაში ძირითადად ესპანეთში მცხოვრები არაბი მეცნიერების მეშვეობით გაიცნეს არისტოტელეს, ევკლიდეს, პტოლემაიოსისა და ანტიკური ხანის სხვა მეცნიერების (ფიზიკოსების, არითმეტიკოსების) შრომები, ასევე რომაული სამართლის ტექსტები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უცნობი იყო ევროპელთათვის. ამ სიახლემ ახალგაზრდა თაობის თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა.

ქალაქში თავმოყრილ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ადგილობრივი ეკლესიისა და ქალაქის ხელისუფალნი არ სწყალობდნენ. მათ უსაფრთხოებას არავინ იცავდა, ამიტომ იძულებული იყვნენ, გაერთიანებულიყვნენ. ეს გაერთიანებები ხელოსანთა ამქრებისა და ვაჭართა გილდიების მსგავსად, ურთიერთდახმარებისთვის და უფლებების დასაცავად იქმნებოდა. ისინი ხელისუფლების მხრიდან აღიარების მოპოვებას ცდილობდნენ, რათა კერძო საკუთრება, არჩეული მმართველობა, საკუთარი სტატუტები და სასამართლო ჰქონოდათ. ამ უფლებებისთვის ბრძოლას უნივერსიტეტების დაარსება მოჰყვა.

ახალგაზრდებმა ბოლონიასა და პარიზში ჩამოაყალიბეს სამეცნიერო წრეები, რომლებმაც შემდეგ უკვე უნივერსიტეტები — ოსტატებისა და მეცნიერების საზოგადოება შექმნეს. 1158 წლიდან საღვთო რომის იმპერატორის ფრიდრიხ I ბარბაროსას (1155-1190 წწ.) გადაწყვეტილებით ბოლონიის უნივერსიტეტს დამოუკიდებლად სწავლების უფლება მიენიჭა.

წყარო გ) საღვთო რომის იმპერატორის, ფრიდრიხ I ბარბაროსას (1155-1190 წწ.) ბოძებული სიგელი ბოლონიის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის

„გვაქვს რა აღებული მზრუნველობა ყველა მოსწავლეზე, რომლებიც ცოდნის მისაღებად მოგზაურობენ და განსაკუთრებით პროფესორებზე, რომლებიც საღვთო და წმინდა წესებს ასწავლიან, ვიხელმძღვანელეთ ღვთის ნებით და წყალობა ვყავით, რათა შეძლონ მათ უსაფრთხოდ მოგზაურობა და იმ ადგილებში ყოფნა, სადაც მეცნიერებებში დახელოვნდებიან.

და ვფიქრობთ, რომ კეთილი საქმეები ჩვენი მხრიდან ხელშეწყობას და მფარველობას მოითხოვს, ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულით დავიცავთ ყველას, ვისი ცოდნაც სამყაროს ამშვენებს, ვისი გულმოდგინებითაც ჩვენი ქვეშევრდომები ღმერთისა და ჩვენი თაყვანისცემისკენ მიემართებიან....

და ვინც არ თანაუგრძნობს მათ, ვინც მხოლოდ მეცნიერებისადმი სიყვარულის გამო დევნილები ხდებიან, სიმდიდრეს სიღარიბეზე ცვლიან, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ და რაც განსაკუთრებით საწყენია... ხშირად უმიზეზოდ ფიზიკურ ზიანსაც კი იღებენ.

ამგვარად, ამ საერთო კანონით ვადგენთ: ვერავინ გაბედოს **სკოლარების** შეპყრობა და წყენის ან ზიანის მიყენება... ის ადამიანები, ვისაც ეცოდინება ამ წმინდა კანონის დამრღვევთა შესახებ და ადგილობრივ ხელისუფლებს დროულად არ აცნობებს, სპეციალური გადაწყვეტილებით ოთხმაგ ჯარიმას გადაიხდიან. დაე, მუდმივად შერცხვენილი იყვნენ.

თუკი ვინმე მათთან სასამართლო დავას გადაწყვეტს, მოსწავლეებმა თავად აირჩიონ, საქმის განსახილველად ვის მიმართონ: საკუთარ ბატონს და მასწავლებელს თუ ქალაქის ეპისკოპოსს“.

სკოლარი – მოსწავლე, სტუდენტი შუა საუკუნეების ევროპაში.

9. სიგელის მიხედვით, რატომ გადაწყვიტა იმპერატორმა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სიგელის ბოძება?

10. რა მნიშვნელობა აქვს მოყვანილ ისტორიულ წყაროს? რამდენად სანდოა ის, როგორც ისტორიული წყარო?

11. რას ვიგებთ სიგელიდან? შენი აზრით, რატომ არის ქალაქებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიმართ უარყოფითი განწყობა?

12. ფეოდალური საზოგადოების რომელ წევრებს ექნებათ უნდობლობა მოსწავლეების მიმართ?

13. რა მიზნით გამოსცემს სიგელს იმპერატორი? იმსჯელე, შეიძლება თუ არა, რომ იმპერატორი ახალგაზრდებისა და მასწავლებლების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდეს ან მათი სახით ქვეშევრდომებს ეძებდეს?

XIII საუკუნეში ბოლონიის უნივერსიტეტში უკვე მთელი ევროპიდან 10 ათასამდე სტუდენტი სწავლობდა. ყველაზე ძველი უნივერსიტეტები იყო პარიზის (სორბონის), ოქსფორდის, კემბრიჯის, მონპელიეს, პადუის და სხვები, რომლებიც XIII საუკუნის დასაწყისში დაარსდა. უნივერსიტეტებში ძირითადად თეოლოგია, ხელოვნება, სამართალი და მედიცინა ისწავლებოდა. სწავლებასთან ერთად აქტიური კვლევითი სამუშაოებიც წარმოებდა. შუა საუკუნეების

უნივერსიტეტებში ერთ-ერთ საგნად ასწავლიდნენ ბუნების ფილოსოფიას, ანუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. უნივერსიტეტებში მოღვაწეობდნენ ცნობილი სქოლასტიკოსებიც ალბერტ დიდი და თომა აკვინელი.



სურ. 2 ლექცია ბოლონიის უნივერსიტეტში. შუა საუკუნეების მინიატურა

შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში სტუდენტები ძირითადად 15 წლის ასაკში შედიოდნენ და არტისტულ ფაკულტეტზე ირიცხებოდნენ, სტუდენტები მოსამზადებელ საფეხურზე **ტრივიუმსა** და **კვადრიუმს** სწავლობდნენ, რაც უმაღლესი დისციპლინებისათვის მოსამზადებელ ფაკულტეტად ითვლებოდა. უნივერსიტეტში სწავლის მსურველისადმი ძირითადი მოთხოვნა ლათინურის ცოდნა იყო. გარკვეული სასწავლო კურსების მოსმენის შემდეგ სტუდენტი ბაკალავრის ხარისხს იღებდა, მაგისტრად გახდომას კი საშუალოდ 6-7 წელი მაინც ჭირდებოდა.

ტრივიუმი - სასწავლო საგნების ერთ-ერთი ციკლი, რომელშიც შედიოდა გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.

კვადრიუმი - საერო განათლების მაღალი კურსი, რომელშიც შედიოდა ოთხი საგანი: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია და ასტრონომია.

ამის შემდეგ იგი აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას ან მასწავლებელი ხდებოდა. უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რადგან ისინი საეკლესიო პირებად იყვნენ მიჩნეული და, შესაბამისად, დიდი იმუნიტეტიც ჰქონდათ. გარდა ამისა, უნივერსიტეტებს, როგორც თვითმმართველ ორგანიზაციებს, ჰქონდათ შიდა წესდება და დისციპლინა და იშვიათად უწევდათ გარე ორგანოებთან ურთიერთობა.

XV საუკუნის ბოლომდე ევროპაში ოთხმოცამდე უნივერსიტეტი დაარსდა. ზოგს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და მალევე გაუქმდა. თუმცა ბევრი – პარიზისა და მონპელიესი, ბოლონიისა და პადუის, ოქსფორდი და კემბრიჯი, ვენის, პრაღის, ლაიფციგისა და სალამანკის – დღემდე განაგრძობს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაოს.



სურ. 3 მეცადინეობა პარიზის უნივერსიტეტში. შუა საუკუნეების მინიატურა

14. რა ფაქტორებმა განაპირობა დასავლეთ ევროპაში დამოუკიდებელი უნივერსიტეტების შექმნა?

15. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლებისა და ეკლესიის როლი უნივერსიტეტების განვითარებაში?

XIII საუკუნიდან იწყება ახალი აღმოჩენები, დაამზადეს სათვალე, მექანიკური საათი, გამოიგონეს გრადუსთა ბადე (მერიდიანები და პარალელები), უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგნიტური ისრის გამოგონებას, რაც არაბებისგან ისწავლეს, შედეგები კი იტალიელებმა განავითარეს. დიდი აღმოჩენა იყო დენთი. იგი აზიიდან შეიტანეს. ზოგი მის შემომტანად მარკო პოლოს ასახელებს. მაგრამ ეს აღმოჩენები ოფიციალური ფილოსოფიის გარეთ რჩებოდა, ავტორიტეტებში ვერ პოვებდნენ დასაბუთებას. სქოლასტიკოსების წრიდან გამოდიან სქოლასტიკოსების პირველი კრიტიკოსები. ასეთი კრიტიკის ცენტრი XIII საუკუნეში იყო ოქსფორდის უნივერსიტეტი, სადაც მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი როჯერ ბეკონი (1214-1294 წწ.). მისი მიზანი იყო მეცნიერული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან. მეცნიერების მიზანს კი, მისი აზრით, ბუნების საიდუმლოებათა გაგება წარმოადგენდა.

16. ბიზანტიაში უმაღლესი სასწავლებლები – აკადემიები – არსებობდა, როგორც საქართველოში, თუმცა ისინიც, როგორც სკოლები, ეკლესია-მონასტრებთან იყო შექმნილი. შენი აზრით, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ბიზანტიაში დამოუკიდებელი უნივერსიტეტები არ ჩამოყალიბდა?

17. როგორ ფიქრობ, რა შედეგებს მოუტანდა უნივერსიტეტების დაარსება და განვითარება ევროპას მომდევნო საუკუნეებში?

18. როგორ შეიცვალა საგანმათლებლო დაწესებულებების ფუნქცია?

19. რატომ ცდილობდა სასულიერო ხელისუფლება საგანმათლებლო სივრცეზე გავლენის მოპოვებას?

20. რა გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ახალი აღმოჩენები და გამოგონებები?

21. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 18**), სადაც ცალ-ცალკე შეაფასებ ეკლესიის, საქალაქო თვითმართველობისა და საიმპერატორო კარის დამოკიდებულებას უნივერსიტეტების მიმართ.

§13. ბრძოლა ძალაუფლებისთვის: დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყარო, სქიზმა. იმპერატორი და რომის პაპი

შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში რელიგიასა და ეკლესიას უდიდესი ადგილი ეჭირა. იმდროინდელი ადამიანის მსოფლმხედველობა, მისი ყოველდღიურობა რწმენით იყო გამსჭვალული, ყველა მოვლენა ღვთის განგებით ხდებოდა. დროც კი ღვთის შექმნილი იყო. შუა საუკუნეების ადამიანისთვის დროის განმსაზღვრელი ეკლესიის ზარების რეკვა იყო, ისტორიული დროის ათვლა კი ქრისტეს დაბადებიდან იწყებოდა.

ევროპაში ეკლესიის სათავეში რომის პაპი იდგა, ხოლო აღმოსავლეთში – ბიზანტიის იმპერიაში – კონსტანტინოპოლის პატრიარქი. რომის პაპი ქრისტიანულ სამყაროში თავისი განსაკუთრებული სტატუსის (მსოფლიო ეკლესიის მეთაურის, დედამიწაზე ქრისტეს მოადგილის) დამტკიცებას ცდილობდა იმის საფუძველზე, რომ: 1. რომის პაპები მოციქულ პეტრეს მემკვიდრეებად მიიჩნეოდნენ, რადგან ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, პეტრე რომის პირველი ეპისკოპოსი იყო; 2. პაპების მემკვიდრეობითი...ხელისუფლება მოციქულმა პეტრემ ქრისტესგან მიიღო, რის დასასაბუთებლადაც სახარებიდან ადგილებს მოიხმობდნენ (მათ.16,13-19); გარდა ამისა, რომი, როგორც პირველი ქრისტიანული იმპერიის დედაქალაქი, ეკლესიის ცენტრიც იყო. აქ იქადაგა და მოწამეობრივად აღესრულა არა მარტო მოციქული პეტრე, არამედ პავლეც, ამიტომ რომი ქრისტიანთა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. იმპერიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლში გადატანის შემდეგ რომში პაპების ხელისუფლება კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან ამ პერიოდიდან პაპებს სასულიერო ხელისუფლებასთან ერთად, გარკვეულწილად, საერო ხელისუფლების ხელში აღებაც მოუწიათ.



სურ. 1 წმინდა პეტრეს მოედანი რომში. წმინდა პეტრეს ტაძარს მოედანთან ერთად გასაღების ფორმა აქვს.
„მოგცემ შენ (პეტრეს) ცათა სასუფევლის გასაღებებს და რასაც შეკრავ დედამიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება და რასაც გახსნი დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“ (მათ.16, 19).

1. გაიხსენე: ა) რა პირობებში და როგორ ჩამოყალიბდა პაპის ოლქი? ბ) როგორ გახდა ქრისტიანული ეკლესია ევროპაში მსხვილი მიწათმფლობელი და რომის პაპი სასულიეროსთან ერთად საერო ხელისუფალიც? გ) როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდა სასულიერო და საერო ხელისუფალთა შორის?

2. როგორ ფიქრობ, რა დამოკიდებულება შეიძლება ყოფილიყო რომის პაპსა და კონსტატინოპოლის პატრიარქს შორის? რატომ?

3. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ პაპის არგუმენტაცია, ქრისტიანულ სამყაროში რომის ეკლესიის უპირატესობაზე? რატომ?

რომისგან განსხვავებით, ბიზანტიაში ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო-ქრისტიანული კონცეფცია, ე.წ. სიმფონია, ერთგვარი იდეალი, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საერო და საეკლესიო ხელისუფლებები თანხმობისა (ჰარმონიის) და თანამშრომლობის მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, ისევე, როგორც ქრისტეს ორი ბუნება – ღვთიური და ადამიანური – ითვლება განუყოფელად, მაგრამ შეურეველად. ამ კონცეფციის თანახმად, საერო და სასულიერო ხელისუფლებს შორის ძალაუფლება გაყოფილი უნდა ყოფილიყო: საერო ხელისუფლებას, როგორც ღვთის განგებულებას, სათავეში უფლის რჩეული იმპერატორი ჩასდგომოდა, ხოლო სასულიეროს – პატრიარქი. ამგვარად, მათ შორის ფუნქციები განაწილებული იქნებოდა, ხოლო მიზანი – საერთო.

სინამდვილეში ბიზანტიის იმპერატორები უხეშად ერეოდნენ საეკლესიო საქმეებში. ისინი თავს უფლებას აძლევდნენ, საკუთარი ნება-სურვილით დაენიშნათ და გადაეყენებინათ სასულიერო პირები, მათ შორის, პატრიარქები, დაეპატიმრებინათ ან ქვეყნიდან გაეძევებინათ ურჩები; შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ საეკლესიიო კრებების გადაწყვეტილებებზე; ზოგჯერ მხარი დაეჭირათ სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობისათვის, როგორებიც იყო, მაგალითად, არიანელობა, ხატმებრძოლობა. ყოველივე ამას უფრო ხშირად პოლიტიკური მიზანშეწონილობა (მაგალითად, იმპერიაში საეკლესიო უთანხმოების ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირების აღმოფხვრის აუცილებლობა) ან იმპერატორის პირადი შეხედულებები ედო საფუძლად. არცთუ ისე იშვიათად სახელმწიფოში ის რელიგიური მიმდინარეობა დომინირებდა, რომლის მიმდევარი ან მხარდამჭერიც იმპერატორი იყო. ამგვარად, რეალურად იმპერიაში ჩამოყალიბდა არა სიმფონია, არამედ პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ცეზაროპაპიზმის სახელწოდებით მოიხსენიებენ. ამ ტერმინით აღინიშნება ქრისტიანულ იმპერიაში იმპერატორის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ისეთი დამოკიდებულება, როდესაც აღმოსავლეთ რომის იმპერატორის გავლენა ვრცელდება ეკლესიაზეც.

4. როგორ ფიქრობ, ექნებოდა თუ არა სიმფონიის პირობებში კონსტანტინოპოლის პატრიარქს საერო ხელისუფლებთან ურთიერთობაში ისეთივე ამბიცია, როგორიც რომის პაპს? იმსჯელე მიზეზებზე.

5. რატომ ყალიბდება ბიზანტიაში სახელმწიფო-ქრისტიანული კონცეფცია და როგორ ფიქრობ, საზოგადოების რომელი ფენისთვის იქნებოდა აღნიშნული იდეოლოგია ხელსაყრელი? რატომ?

დასავლეთ რომის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლამ ხელი შეიწყო რომისა და ბიზანტიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებში ერთიანობის განცდის შესუსტებას. ამან საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით მათ შორის ერთგვარი კულტურული გაუცხოების გაჩენა განაპირობა. ამას ისიც დაემატა, რომ VIII საუკუნიდან ბიზანტიაში ოფიციალური სახელმწიფო ენა – ლათინური – ბერძნულმა ჩაანაცვლა, რამაც არა მარტო გააღრმავა კულტურული გაუცხოება, არამედ გარკვეულად ხელი შეუშალა საეკლესიო ერთიანობას, მათ შორის, დოგმატების ერთმნიშვნელოვნად განმარტებასაც კი. ჩგარდა ამისა, ბიზანტიას, თავისი რეალური პოლიტიკური პრობლემების, განსაკუთრებით, არაბების შემოსევების ფონზე, აღარ შესწევდა რომის დაცვის ძალა (მაგალითად, ლანგობარდების შემოსევებისაგან). რადგან რომში ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ფაქტობრივად აღარ არსებობდა, პაპები იძულებული ხდებოდნენ, საკუთარ თავზე აეღოთ საერო ხელისუფლებაც და ან თვითონ დაეცვათ ქვეყანა, ან სხვაგან ეძებნათ მოკავშირეები, რაც კიდევ უფრო აშორებდა რომსა და ბიზანტიას ერთმანეთისგან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიზანტიის საერო და სასულიერო ხელისუფლებისა და რომის ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ რთული იყო. რომის ეკლესიას, საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, სურდა თავისი გავლენისთვის დაექვემდებარებინა იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ყველა საპატრიარქო (ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და ანტიოქიის). ბიზანტია, თავის მხრივ, ყველანაირად ცდილობდა, ეკონტროლებინა რომის ეკლესია. ბიზანტიის იმპერატორები სისტემატურად ერეოდნენ რომის ეკლესიის საქმეში, მაგალითად, პაპის არჩევის საკითხში. ჩსაქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გარკვეულ წლების განმავლობაში რომის პაპის ტახტზე ძირითადად ბიზანტიის საიმპერატორო კარისთვის სასურველ პირებს სვამდნენ (ე.წ. „ბიზანტიელი პაპები“), თუმცა ამით წინააღმდეგობა რომის პაპებსა და ბიზანტიის საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის არ აღმოფხვრილა, პირიქით, დროთა განმავლობაში ის თანდათან მწვავდებოდა.

ბიზანტიის იმპერატორებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა რომის პაპის მიერ ჯერ კარლოს დიდის, შემდეგ კი გერმანელი იმპერატორების გვირგვინკურთხევა. ისინი თავის თავს რომის იმპერატორებს უწოდებდნენ და მიაჩნდათ, რომ რომის იმპერიის ერთადერთი მემკვიდრეები იყვნენ.

მნიშვნელოვანი როლი წინააღმდეგობის გამწვავებაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გაძლიერებამ შეასრულა. ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ტიტულში მსოფლიო პატრიარქის წოდება დაიმატა, რასაც რომის პაპები მუდმივად აპროტესტებდნენ.

პირველი სერიოზული კონფლიქტი რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიას შორის IX ს. მეორე ნახევარში მოხდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორი პიროვნება – პატრიარქი ეგნატე და ბიზანტიის იმპერატორის რჩეული ფოტიოსი, რომელიც სასულიერო პირი არ იყო. ამ დავაში პატრიარქ ეგნატეს მხარს უჭერდა პაპი ნიკოლოზ I, რომელმაც მდგომარეობის შესასწავლად კონსტანტინოპოლში თავისი ლეგატები მიავლინა. ფოტიოსმა ლეგატები მიიმხრო და პაპის მოსაზრებები არ გაითვალისწინა. რომის პაპმა საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც უარყოფითად შეაფასა ლეგატების საქმიანობა, დაგმო ფოტიოსი, მისი მფარველი იმპერატორი და პატრიარქ ეგნატეს პრეტენზიის საფუძვლიანობა აღიარა. ამის საპასუხოდ პატრიარქმა ფოტიოსმა და იმპერატორმა დაგმეს რომის მიერ ბულგარეთზე იურისდიქციის თვითნებურად გავრცელება. მანამდე ბულგარეთი კონსტანტინოპოლიდან გაქრისტიანდა.

პატრიარქმა ფოტიოსმა შეადგინა და აღმოსავლეთის პატრიარქებს დაუგზავნა საყოველთაო ეპისტოლე, რომელშიც წარმოადგინა იმ ბრალდებათა ვრცელი ნუსხა, რომლებსაც რომის ეკლესიას უყენებდნენ. პატრიარქ ფოტიოსის წერილში მოყვანილი განსხვავებები საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ამ კონფლიქტამდე აღმოსავლური ეკლესიები მათ შემწყნარებლურად ეკიდებოდნენ.

867 წელს კეისარმა ბასილი I-მა მაკედონელმა მორწმუნეთა გულის მოსაგებად ფოტიოსი გადააყენა და კონსტანტინოპოლის კათედრაზე პატრიარქი ეგნატე აღადგინა. ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ ფოტიოსმა მოახერხა იმპერატორ ბასილი I-ის გულის მოგება და პატრიარქის წოდების დაბრუნება. 879 წლის საეკლესიო კრებაზე მან მოიწვია პაპის ლეგატები, რომლებმაც ბერძნული კარგად არ იცოდნენ და როგორც ამბობენ, ვერ შენიშნეს კრების მიერ მიღებულ საბოლოო დოკუმენტში ის ადგილი, სადაც ფოტიოსი მსოფლიო პატრიარქად იყო გამოცხადებული. როდესაც ყველაფერი გაირკვა, პაპმა ლეგატები დასაჯა, პატრიარქი ფოტიოსი კი ანათემას გადასცა. სქიზმა გარდაუვალი იყო.

ძალაუფლებისათვის ბრძოლასთან ერთად, რომსა და ბიზანტიას შორის წინააღმდეგობის გაღრმავებას ხელ უწყობდა თეოლოგიურ საკითხებში დაპირისპირებაც. მათ შორის მთავარი იყო ე.წ. ფილიოკვეს საკითხი. ქრისტიანული სწავლებით ცნობილია, რომ ღმერთი სამპიროვანია: მამა, ძე და სულიწმინდა. მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებების თანახმად მიიჩნეოდა, რომ სულიწმინდა მამა ღმერთისგან გადმოდის. რომის ეკლესიამ ქრისტიანული მრწამსის სიმბოლოს ტექსტში არსებულ ამ ფორმულირებას დაამატა სიტყვა Filioque (ლათ. „ძისგანაც“), რაც ნიშნავდა, რომ სულიწმინდა ძისგანაც გადმოდის. ეს ფორმულირება არ ცნო არა მარტო კონსტანტინოპოლის, არამედ არც ერთმა აღმოსავლურმა საპატრიარქომ. საბოლოო ჯამში, სწორედ ფილიოკვეს საკითხი გახდა რომისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის განხეთქილებისა და ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის ორად გახლეჩის საბაბი.

დოგმატურ საკითხებთან ერთად ჩამოყალიბდა განსხვავებები საეკლესიო წეს-ჩვეულებებშიც, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიხედვით მარხვის დღეები იყო ოთხშაბათი და პარასკევი, რომის საპატრიარქოს მიხედვით კი – ოთხშაბათი, პარასკევი და შაბათი; ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო, ზიარება, რომის საპატრიარქოში სრულდებოდა უფუარი პურით, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში – გაფუებული პურით; რომის ეკლესიის სამღვდელოებისთვის სავალდებულო იყო ცელიბატის (დაუქორწინებლობის) დაცვა. ამ და სხვა მრავალ წეს-ჩვეულებას არა მარტო არ აღიარებდა კონსტანტინოპოლის ეკლესია, არამედ აქტიურად ებრძოდა მათ და 691 წელს ტრულის საეკლესიო კრებაზე ოფიციალურად დაგმო კიდეც ისინი და რომს მათი გაუქმება მოსთხოვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა პაპი სერგი, რისთვისაც იგი, ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით, დააპატიმრეს.



სურ. 1 რომის პაპი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი. შუა საუკუნეების მინიატურა. ნახატზე გამოსახული არიან რომის პაპი ლეო IX და კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიქაელ I კერულარიოსი, რომელთა მოღვაწეობის დროსაც მოხდა სქიზმა.

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომახის (1042-1055 წწ.) დროს, 1054 წელს, კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ პაპის, ლეო IX-ის, დიპლომატიური წარმომადგენლები – ლეგატები, რომლებსაც ამ ორ ეკლესიას შორის მიმდინარე დავის საკითხები უნდა გაერკვიათ. მხარეებმა ერთმანეთის დარწმუნება ვერ შეძლეს და შესაბამისად, შეთანხმებაც ვერ შედგა. ლეგატებმა პაპისადმი პატრიარქის მორჩილების თაობაზე თანხმობა ვერ მიიღეს. ლეგატებმა წმინდა სოფიის ტაძრის ტრაპეზზე დადეს სიგელი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ყველა მისი თანამოაზრე ეკლესიიდან განკვეთილად გამოცხადდა. საპასუხოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიქაელ I-მა კერულარიოსმა რომის პაპი განკვეთა. ამ განხეთქილების შემდეგ ჩამოყალიბდა აღმოსავლეთში მართლმადიდებელი, დასავლეთში კი რომის კათოლიკე ეკლესია. ეს მოვლენა ისტორიაში დიდი სქიზმის სახელწოდებით შევიდა. ამის შემდეგ ყოფილი ერთიანი იმპერიის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით კიდევ უფრო დაშორდა ერთმანეთს.

6. იმსჯელე, როგორ იცვლებოდა, ერთი მხრივ, დასავლეთ და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობა.

7. რატომ იყო რომის პაპებისთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტულში მსოფლიო პატრიარქის წოდების დამატება მიუღებელი?

8. რატომ გააპროტესტეს ბიზანტიის იმპერატორმა და პატრიარქმა ბულგარეთზე რომის იურისდიქციის გავრცელება?

9. როგორ ფიქრობ, რა ადგილი ეჭირა რომის პაპისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაპირისპირებაში რიტუალურ მხარეს?

10. პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით დაახასიათე დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყარო და იმსჯელე მათ შორის განსხვავებებზე.

11. შენი აზრით, რატომ მერყეობდა ბიზანტიის იმპერატორი პატიარქის კანდიდატურასთან დაკავშირებით?

12. როგორ აისახებოდა ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულება დასავლეთ ევროპისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობაზე? რატომ?

13. წარმოიდგინე, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელი ხარ. შეადგინე წერილი რომის პაპის ან ბიზანტიის იმპერატორის სახელზე და უკმაყოფილების მიზეზები პუნქტობრივად ჩამოწერე.

14. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 19**), სადაც გაანალიზებ იმპერიის ედასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის დაპირისპირების მიზეზებს.
როგორ ფიქრობ, რომელმა ფაქტორმა შეასრულა უფრო მნიშვნელოვანი როლი იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის დაპირისპირებაში: პოლიტიკურმა, რელიგიურმა თუ კულტურულმა? პასუხი დაასაბუთე.

15. შეაფასე ეს მოვლენა, იმსჯელე, რა შედეგებს მოუტანდა იგი ქრისტიანულ სამყაროს?

გრიგოლ VII და ჰაინრიხ IV

ევროპაში საერო ხელისუფლების ეკლესიაზე გაბატონების წინააღმდეგ გამოდიოდნენ სასულიერო პირები და მთელი მონასტრებიც კი. მათ შორის გამოირჩეოდა საფრანგეთის აღმოსავლეთით მდებარე კლიუნის მონასტერი. ამ მონასტრის ბერები ცხოვრების მკაცრი წესით იყვნენ ცნობილი და თანამედროვეთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ისინი ხმამაღლა ილაშქრებდნენ ეკლესიისა და საერო ხელისუფლების, მათი აზრით, არაჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულების წინააღმდეგ; განსაკუთრებით საერო პირების, იმპერატორების, მეფეების ხელში **ინვესტიტურის** გადასვლის გამო. მათ სურდათ, მკაცრი დისციპლინა დაემყარებინათ და დამოუკიდებელი, ძლიერი ეკლესია შეექმნათ. მათი ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა: კლიუნიელი ბერები ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები გახდნენ და თავიანთ ოლქებში წესრიგის აღდგენა დაიწყეს. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი, გრიგოლი, რომის პაპი გახდა (1073-1085 წწ.). გრიგოლ VII ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ეპისკოპოსებისა და აბატების დანიშვნაში საერო პირებს მონაწილეობა არ მიეღოთ. იმპერატორს არ უნდა ჰქონოდა უფლება, თავისი ნება-სურვილით დაენიშნა სასულიერო პირები. მან მიაღწია იმას, რომ პაპის არჩევის უფლება მხოლოდ კარდინალებს – პაპის შემდეგ ეკლესიაში ყველაზე გავლენიან პირებს – ჰქონოდათ საკუთარი წრიდან. მათ გადაწყვეტილებაზე ვერავინ იმოქმედებდა. უფრო ძნელი აღმოჩნდა ადგილებზე საერო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ეპისკოპოსების არჩევის უფლების გაუქმება. ამიტომ პაპი განუწყვეტლივ

ინვესტიტურა (ლათ. ინვესტიო „ვმოსავ“) – შუა საუკუნეების ევროპაში სენიორის მიერ თავისი ვასალისთვის მიწის ან რაიმე თანამდებობის გადაცემა სათანადო ცერემონიის შესრულებით.

ძველ გერმანულ საზოგადოებაში უძრავი ქონების გადასვლა ერთი მფლობელიდან მეორესთან სიმბოლურად განმტკიცებული იყო რაიმე საგნის, მაგალითად ბალახის ღეროს, სიმბოლური გადაცემით. X-XI საუკუნეებში ამ ჩვეულებიდან ახალი წესი განვითარდა — განსაზღვრული სიმბოლიზებული საგნის საჯაროდ გადაცემა ერთი პირისგან მეორე, მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ პირისთვის. ეს მოქმედება ნიშნავდა ძალაუფლების, უფლებამოსილების ნაწილისა და აგრეთვე მასთან დაკავშირებული მიწის, შემოსავლისა და უფლებების გადაცემას. ამ აქტმა ინვესტიტურის სახელწოდება მიიღო. გერმანიის იმპერატორი საერო მთავრებს, ჩვეულებრივ, დროშებს გადასცემდა საეკლესიო მთავრებს კი – ბეჭედსა და კვერთხს. ყოველ ახალდანიშნულ ეპისკოპოსს ეს საგნები აუცილებლად მეფის ხელიდან ან მისი წარმომადგენლისგან უნდა მიეღო. შემდეგ მათ საეკლესიო კურთხევის მსვლელობის დროს ხელახლა გადასცემდნენ.

XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ურთიერთობა პაპებსა და იმპერატორებს შორის გამწვავდა და ინვესტიტურის საკითხთან დაკავშირებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

მოითხოვდა ასეთი ეპისკოპოსების, აბატებისა და მღვდლების გადაყენებას. მან აუკრძალა სამღვდელოებას ქორწინება. კლიუნიელებს მიაჩნდათ, რომ დაქორწინებული მღვდელი თავის ოჯახზე უფრო იზრუნებდა, ვიდრე საეკლესიო მოვალეობებზე. ამავე დროს, ეკლესიის ქონება გაიზრდებოდა, რადგან გარდაცვლილი სასულიერო პირის ქონება მის ოჯახს კი არა, ეკლესიას დარჩებოდა. გრიგოლ VII-ის ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება კი ის იყო, რომ ძალაუფლება პაპისა, რომელიც თავად პეტრე მოციქულის მემკვიდრე იყო, ნებისმიერი საერო ხელისუფლის, მათ შორის იმპერატორის, ძალაუფლებაზე მაღლა იდგა. შემთხვევითი არ იყო, რომ იმპერატორები გვირგვინს სწორედ რომის პაპისგან იღებდნენ. საბოლოოდ გრიგოლ VII-მ 1075 წელს ყველა თავისი შეხედულება და მოთხოვნა ერთად ჩამოაყალიბა და გამოსცა „პაპის დიქტატი“.

წყარო ა) რომის პაპი გრიგოლ VII პაპის ძალაუფლების შესახებ, ნაწყვეტი „პაპის დეკრეტიდან“

- მხოლოდ რომის ეპისკოპოსი იწოდება სჯულის მიხედვით მსოფლიო ეპისკოპოსად.
- მხოლოდ მას შეუძლია გადააყენოს ეპისკოპოსები და აღადგინოს ისინი.
- მისი წარმომადგენელი საეკლესიო კრებაზე ყველა ეპისკოპოსს მეთაუროობს, თუნდაც უფრო დაბალი ხარისხისა იყოს, და მათ მიმართ შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება.
- მხოლოდ მას შეუძლია გადასცეს საიმპერატორო ღირსების ნიშნები.
- მარტოოდენ პაპს ეამბორება ფეხზე ყველა მთავარი.
- მას შეუძლია გადააყენოს იმპერატორები.
- მას შეუძლია, საჭიროებისდა მიხედვით, გადააადგილოს ეპისკოპოსები ერთი საყდრიდან მეორეში.
- პაპის მიერ ხელდასხმულს შეუძლია იდგეს რომელიმე ეკლესიის სათავეში, მაგრამ არ შეუძლია იყოს ვინმეს მსახური; ასევე არ შეუძლია მიიღოს უფრო მაღალი ხარისხი რომელიმე ეპისკოპოსისგან.
- არავის არ შეუძლია იყოს მისი განმსჯელი.
- რომის ეკლესია არასოდეს შემცდარა და, საღვთო წერილის მოწმობით, არც არასდროს შეცდება.

წყარო ბ) პაპის მიღების ცერემონია, XII ს.

„წარდგება თუ არა მღვდელმთავრის წინაშე, ყველა მოკვდავმა, განსაკუთრებით კი ქრისტეს ერთგულმა, მიუხედავად მისი ღირსებისა და თვალსაჩინო მდგომარეობისა, გარკვეულ მანძილზე სამჯერ უნდა მოიდრიკოს მის წინაშე მუხლი და ფეხზე უნდა ეამბოროს ჩვენი მხსნელის, იესო ქრისტეს პატივსაცემად, რომელსაც პაპი წარმოადგენს ამ ქვეყნად. იმპერატორს, მეფეებს, უდიდეს მთავრებს, მთავართა და მბრძანებელთა წარმომადგენლებს ნება ეძლევათ, პირველ რიგში ეამბორონ ხელსა და პირზე, სხვებს კი – მხოლოდ ფეხზე“.

16. შენი აზრით, გრიგოლის განცხადება, რომ მხოლოდ რომის ეპისკოპოსია მსოფლიო ეპისკოპოსი, ვისთვის იქნებოდა მიუღებელი?

17. რაზე მეტყველებს პაპის მიღების ცერემონია?

18. ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელთა წინააღმდეგ გაილაშქრებდა იმპერატორი?

ამ დროს იმპერატორი იყო ჰაინრიხ IV. მას პაპის გადაწყვეტილებები არ მოსწონდა და არ ემორჩილებოდა მათ. 1075 წელს გრიგოლ VII-მ აუკრძალა იმპერატორს საეკლესიო თანამდებობებზე მისთვის სასურველი პირების დანიშვნა და ზოგიერთი გერმანელი ეპისკოპოსი

გადააყენა. საპასუხოდ ჰაინრიხ IV-მ ვორმსში გერმანელი სასულიერო პირები მოიწვია და პაპი გადაყენებულად გამოაცხადა. მაშინ გრიგოლიმ **ეკლესიისგან განკვეთა** იმპერატორი და მისი ვასალები იმპერატორის მიმართ ვალდებულებებისგან გაათავისუფლა. ამით მაშინვე ისარგებლეს გერმანელმა მთავრებმა და იმპერატორს აუჯანყდნენ. ჰაინრიხს სხვა აღარა დარჩენოდა, რომ პაპს დამორჩილებოდა. ის მცირე ამალით შუა ზამთარში, თოვლში, ფეხშიშველი ეახლა რომის პაპს ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე კანოსას ციხესიმაგრეში და 3 დღის მანძილზე პატიებას ითხოვდა.

„კანოსაში წასვლა“ ხატოვან გამოთქმად იქცა, რაც გადატანითი მნიშვნელობით დიდ დამცირებას, გამარჯვებულის წინაშე ფარ-ხმლის დაყრასა და საკუთარი ნება-სურვილით ტყვედ ჩაბარებას აღნიშნავს. იმავდროულად, ხატოვან გამოთქმად იქცა „ჩვენ კანოსაში არ წავალთ!“, რაც დამამცირებელ დამარცხებაზე უარის თქმას ნიშნავს.

ეკლესიიდან განკვეთა (ანათემა) ნიშნავდა, რომ ადამიანს, როგორც ქრისტიანული ეკლესიის წევრს, ყველა უფლება შეუჩერდებოდა. მას არ შეეძლო მონაწილეობის მიღება ქრისტიანული წეს-ჩვეულებებისა და საიდუმლოებების შესრულებაში; ყველა ქრისტიანს თავი უნდა შეეკავებინა მასთან ურთიერთობისგან. ერთი სიტყვით, ეკლესიიდან განკვეთა ადამიანის საზოგადოებიდან გაძევებას ნიშნავდა. ეკლესია XI საუკუნემდეც იყენებდა ამ იარაღს, მაგრამ იმპერატორის განკვეთა პირველად მხოლოდ გრიგოლ VII-მ გაბედა.



სურ. 2 კანოსას კართან. უცნობი მხატვარი 1882 წ.

19. მოცემულ მინიატურაზე გამოსახული არიან გრიგოლ VII, პაპის მხარდამჭერი მატილდა ტოსკანელი, რომლის ციხესიმაგრე - კანოსაში იმყოფებოდა პაპი და ჰაინრიხ IV.

დააკვირდი მინიატურის კომპოზიციას, როგორია ფიგურების ურთიერთგანლაგება? რას გადმოსცემს ამით მინიატურის ავტორი? მინიატურის მიხედვით, როგორია მხატვრის ან შემკვეთის პოზიცია ამ ისტორიული პირების ურთიერთობასთან დაკავშირებით? კიდევ რა დეტალებს შეიძლება მივაქციოთ ყურადღება და რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატურა, როგორც ისტორიული წყარო?

20. რა საშიშროებას უქადდა ჰაინრიხ IV-ს ეკლესიიდან განკვეთა?

21. შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა საზოგადოებაზე ეკლესიის მიერ ჰაინრიხ IV-ის განკვეთა? ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მომხრე და ვინ – მოწინააღმდეგე?

22. მოიყვანე არგუმენტები, რომლებსაც ჰაინრიხ IV თავის მომხრეებს მოუყვანდა და კანოსის ციხესიმაგრეში ჩასვლის აუცილებლობას დაასაბუთებდა.

წყარო გ) ლამბერტ ჰერსფელდელი, გერმანელი მემატიანე, XI ს.

„პაპმა იმპერატორს მოუხსნა შეჩვენება შემდეგი პირობებით: „პაპის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილას მეფე უნდა გამოცხადდეს გერმანელი მთავრების შეკრებაზე და პასუხი

უნდა გასცეს მათ ბრალდებებს. რომის პაპი კი, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის, როგორც მსაჯული, მიიღებს გადაწყვეტილებას და მეფე უნდა დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას. ის ან შეინარჩუნებს ძალაუფლებას, თუ ბრალდებები არ დაუმტკიცდება, ან, დამტკიცების შემთხვევაში, დაკარგავს მას და საეკლესიო წესდების თანახმად, სამეფო პატივის ღირსად აღარ ჩაითვლება. შეინარჩუნებს თუ დაკარგავს ძალაუფლებას, ის არასდროს იძიებს შურს ამ დამცირებისთვის...

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებები არ დამტკიცდება და ის კვლავ გაიმყარებს ტახტს და ძლიერი ხელისუფალი გახდება, უნდა დაემორჩილოს რომის ეპისკოპოსს, ყოველთვის დაუჯეროს და დაეხმაროს მას თავის სახელმწიფოში გავრცელებული საეკლესიო კანონების საწინააღმდეგო ჩვეულებების აღმოფხვრის საქმეში. დასასრულ, თუ ის დაარღვევს რომელიმე ამ პუნქტს, მაშინ ანათემა ძალაში დარჩება და ამის შემდეგ მეფე ვეღარ მოითხოვს პაპთან შეხვედრას, რათა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. ყველა საიმპერატორო მთავარი გათავისუფლდება მისთვის მიცემული ერთგულების ფიცისგან და მათ შეეძლებათ, ახალი მეფე აირჩიონ“.

23. ერთმანეთთან დაპირისპირების დროს საზოგადოების რომელ ნაწილს ეყრდნობოდნენ და რა ხერხებს იყენებდნენ მხარეები?

24. რა ვალდებულებას აკისრებს პაპი იმპერატორს და როგორ აისახება აღნიშნული ვალდებულებების შესრულება/არშესრულება იმპერატორის ხელისუფლებაზე?

25. როგორ იყენებს პაპი რელიგიურ ბერკეტებს საერო ხელისუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად?

წყარო დ) გრიგოლ VII-ის წერილი ჰაინრიხ IV-ს, 1075 წლის 14 დეკემბერი

ეპისკოპოსი გრიგოლი, ღვთის მსახურთა მსახური, მეფე ჰაინრიხს მიესალმება და უსვამს კითხვას: ემორჩილება თუ არა იგი სამოციქულო ტახტს, როგორც ქრისტიანი მეფე?.. რაკი თავს ეკლესიის შვილად აღიარებ, შენს სამეფო ღირსებად ჩაითვლება, თუ უფრო პატივისცემით მოეპყრობი ეკლესიის პატრონს, ანუ წმინდა პეტრეს, მოციქულთა მთავარს... ჩვენ ღვთის სამოციქულო მსახურებაში ვართ. მართალია, ცოდვილნი და უღირსები ვართ, მაგრამ მისი ნების აღმსრულებლები ვართ. და, რა თქმა უნდა, ყველა წერილი და სიტყვა, რაც შენ გამოგვიგზანე, მან მიიღო...

წყარო ე) ჰენრი IV-ის პასუხი გრიგოლ VII-ს, 1076 წლის 24 იანვარი

წერილი ჰაირიხისა, მეფისა არა უზურპაციის გზით, არამედ ღვთის ხელდასხმით, ჰილდებრანდისადმი (გრიგორის სახელი, სანამ ის პაპი გახდებოდა), რომელიც ამჟამად არის არა პაპი, არამედ ცრუ ბერი.

ასეთი მისალმება დაიმსახურე იმ არეულობების გამო, რომელიც ეკლესიაში მოაწყვე. ეკლესიაში ყველა ინსტანცია თანაზიარია არა პატივის, არამედ არეულობის, არა კურთხევის, არამედ ლანძღვის...

შენ მოიპოვე კეთილგანწყობა ბრბოზე მათი განადგურებით. ყველა მათგანს, როგორც უცოდინარს, ისე უყურებ, საკუთარი თავი კი ყველაფრის მცოდნედ მიგაჩნია. თუმცა ეს ცოდნა აღზრდისთვის კი არ გამოიყენე, არამედ განადგურებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ წმიდა გრიგორი, რომლის სახელი შენ მოიპარე, შენზე წინასწარმეტყველებდა, როცა ამბობდა: „მათი სიამაყე, ვინც ხელისუფლებაშია, მით უფრო იზრდება, რაც მეტია მათ ქვეშევრდომთა რიცხვი. და ის ფიქრობს, რომ თავად შეუძლია ყველაფერზე მეტის გაკეთება“. და ჩვენ ჭეშმარიტად ვითმენდით ამ ყველაფერს სამოციქულო საყდრის პატივისცემის ნიშნად. შენ კი ჩვენი მორჩილება გაიგე, როგორც შიში და არ შეუშინდი, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აღმდგარიყავი. იმ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ღმერთმა მოგვანიჭა. და შენ გაბედე, დაგვმუქრებოდი მისი წართმევით. თითქოს შენგან მივიღეთ ჩვენი სამეფო! თითქოს სამეფო და იმპერია შენს ხელში იყოს და არა ღმერთის!..

ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ გვიბოძა მმართველობა, შენ კი მსოფლიო ტახტი მოიპოვე მზაკვრობით, ხმლით, დაარღვიე მშვიდობა, რამდენადაც ქვეშევრდომები საკუთარი მმართველების წინააღმდეგ შეაიარაღე...

დაე, წმიდა პეტრეს ტახტზე ავიდეს სხვა, რომელიც რელიგიის სამოსით არ ძალადობს... მე, ჰაინრიხი, მეფე ღვთის მადლით, გეუბნები შენ ჩვენს ყველა ეპისკოპოსთან ერთად: გადადექი, გადადექი, გადადექი და წყეული იყავ უკუნითი უკუნისამდე.

წყარო ვ) ჰაინრიხ IV-ის განკვეთა გრიგორი VII-ის მიერ, 1076 წელი

წმინდაო პეტრე, მოციქულთა მთავარო, გევედრები, მომაპყარი შენი წმინდა ყური და მომისმინე მე, შენს მსახურს, რომელიც ბავშვობიდანვე მასაზრდოვე და დღემდე მათავისუფლებდი ბოროტების ხელიდან, მათგან, ვინც ვერ მიტანდა და ახლაც ვერ მიტანს შენი ერთგულების გამო. შენ, ჩემი ღვთისმშობელი და შენი ძმა, წმინდა პავლე მოწმენი ხართ ყველა წმინდანს შორის, რომ წმინდა რომის ეკლესიამ მიმიზიდა თავის საჭესთან ჩემი ნების საწინააღმდეგოდ; რომ არ მიფიქრია, შენს ტახტზე ძალით ასვლაზე და მირჩევნია, სიცოცხლე მოვისწრაფო მომლოცველმა, ვიდრე შენი ტახტი საერო გზით დავიპყრო მიწიერი დიდებისთვის. და ამიტომ მჯერა, რომ შენი მადლით და არა ჩემი საქმით გინდოდა და მოგწონს, რომ შენი ერთგული ქრისტიანი ერები დამემორჩილონ...

მაშასადამე, ამ რწმენის ძალით, შენი ეკლესიის პატივისა და უსაფრთხოებისთვის, ყოვლისშემძლე ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით, შენი ძალითა და ავტორიტეტით განვკვეთ ჰაინრიხ მეფეს, ჰაინრიხ იმპერატორის ძეს, რომელიც აღდგა შენი ეკლესიის წინააღმდეგ გაუგონარი თავხედობით.

კანოსაში ჰაინრიხი 1077 წელს ჩავიდა, თუმცა ეს რომის პაპისა და იმპერატორის დაპირისპირების მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. სულ რამდენიმე წელიწადში ძალთა განლაგება ევროპაში იმპერატორის სასარგებლოდ შეიცვალა. 1084 წელს ჰაინრიხ IV-მ რომი აიღო და გრიგოლ VII იძულებული გახდა, იტალიის სამხრეთში გაქცეულიყო, სადაც მალე გარდაიცვალა. თუმცა რომის პაპებისა და იმპერატორების დაპირისპირება გაგრძელდა. საბოლოოდ, ინვესტიტურის საკითხზე შეთანხმება 1122 წელს მოხდა ქალაქ ვორმსში. რომის პაპ კალიქსტუს II-სა და იმპერატორ ჰაინრიხ V-ს (1111-1125 წწ.) შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც „ვორმსის **კონკორდატის**“ სახელითაა ცნობილი. პაპი და იმპერატორი შეთანხმდნენ, რომ ინვესტიტურა ორგვარი იქნებოდა: სასულიერო (ბურგუნდიასა და იტალიაში ეპისკოპოსებს სასულიერო წოდება აირჩევდა და პაპი დაამტკიცებდა) და საერო (გერმანიაში არჩევნებს დაესწრებოდა და ეპისკოპოსებს დაამტკიცებდა იმპერატორი).

კონკორდატი – შეთანხმება რომის პაპსა (ეკლესიას) და მეფეს (საერო ხელისუფალს) შორის.

26. როგორ ფიქრობ რატომ გავრცელდა პაპის გავლენა ბურგუნდიისა და იტალიზე და იმპერატორის გერმანიაზე?

27. დროის ხაზზე დაიტანე დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები. დავალების შესრულებამდე გაიხსენე ადრე ნასწავლი მასალაც და ათვლის წერტილად დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა აიღე. გამოყავი ადრეული შუა საუკუნეებისა და განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდები და აღსანიშნავი მოვლენები დროის ხაზზე ამ პერიოდების მიხედვით დაიტანე.

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ შუა საუკუნეების ევროპაში, ხარ პაპის ლეგატი, რომელსაც დიპლომატიური მისიით უწევს მოგზაურობა დასავლეთ ევროპის მიწებზე და ბიზანტიის იმპერიაში. მოგზაურობის პერიოდში ეწვიე ფეოდალთა სამფლობელოებს, თვითმართველ ქალაქებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მომსწრე გახდი მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების, რომლებმაც ევროპის საზოგადოების ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. გადაწყვიტე, რომ ლეგატობის პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებები და ინფრომაცია გაუზიარო ფართო საზოგადოებას. ამისთვის კი უნდა გამოაქვეყნო პირადი ჩანაწერები.

ჩანაწერებში თვალნათლივ უნდა წარმოადგინო:

- რომელი სოციალური ფენებისგან შედგებოდა შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება და რა როლს ასრულებდა რელიგია საზოგადოებრივი ფენების კონსოლიდაციის პროცესში?
- როგორი იყო შუა საუკუნეების ევროპაში არსებული სოციალური ფენების ინტერესი, საზრუნავი, ქცევის წესები და რა ურთიერთობები არსებობდა მათ შორის?
- რატომ წარმოადგენდა სქიზმა გარდამტეხ მოვლენას და რა ცვლილებები მოხდა დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში 1054 წლის შემდეგ პერიოდში?
- როგორი და რატომ იცვლებოდა შუა საუკუნების ევროპის საზოგადოების დამოკიდებულება საუნივერსიტეტო წრეების მიმართ?
- როგორ და რატომ იყო დაკავშირებული კალენდარი სამეურნეო საქმიანობასა და რელიგიურ დღესასწაულებთან შუა საუკუნეების ევროპაში?

§14-15. ᯒᲯᲕᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ. I ᯒᲯᲕᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ

XI საუკუნეში დასავლეთევროპელმა რაინდებმა დაიწყეს ლაშქრობები, რომელთა მიზანი „უფლის საფლავის“ მუსლიმებისგან გათავისუფლება იყო. ამ სამხედრო ექსპედიციებს რელიგიური ხასიათი ჰქონდა და ისინი ისტორიოგრაფიაში ჯვაროსნული ლაშქრობების სახელითაა შესული.

თანამედროვენი უბრალოდ „ლაშქრობას, იერუსალიმისკენ ან წმინდა მიწისკენ მიმავალ გზას უწოდებდნენ“. საფრანგეთის მეფის ლუი IX წმინდანის ისტორიკოსი ჟან დე ჟუანვილი კი ჯვაროსნულ ომებს „ჯვრის მომლოცველებად“ იხსენიებდა. ტერმინი „ჯვაროსანი“ მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება, ხოლო „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ახალი დროის დასაწყისში.

ვითარება I ჯვაროსნულ ლაშქრობამდე

რატომ დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები? რა გახდა ევროპელების აღმოსავლეთისკენ გალაშქრების მიზეზი?

1078 წლიდან ქრისტიანების წმინდა ქალაქი იერუსალიმი თურქ-სელჩუკების ხელში აღმოჩნდა. ევროპაში ვრცელდებოდა ნამდვილი თუ მოგონილი ამბები ქრისტიანთა შევიწროების შესახებ, რომლებსაც პილიგრიმები ჰყვებოდნენ. თურქ-სელჩუკებისგან შევიწროებული იყო ბიზანტიაც.

ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნენოსმა დახმარებისთვის ევროპის მეფეებსა და რომის პაპს მიმართა.

წყარო ა) ალექსი კომნენოსის გზავნილი ფლანდრიის გრაფს

„ფლანდრიის სენიორსა და დიდებულ გრაფს, ასევე მთელი სამეფოს მმართველებს, ქრისტიანული სარწმუნოების დამცველებს, როგორც საერო პირებს, ისე კლერიკალებს (სასულიერო პირებს).

თქვენო ბრწყინვალებავ, გრაფო, სარწმუნოების დიდო დამცველო, თქვენი კეთილშობილების მომლოდინეს, მსურს, იმის შესახებ მოგითხროთ, ბერძენი ქრისტიანების უწმინდესი იმპერია როგორ იტანჯება ყოველდღიურად პაჭანიკებისა და თურქების შევიწროებისგან, რომლებიც დაუსრულებლად ძარცვავენ და იპყრობენ მას... ენით აუწერელ მკვლელობებს სჩადიან და შეურაცხყოფენ ქრისტიანებს... ვერ დაითვლით იმ ნგრევასა და ზარალს, რაც მათ წმინდა ადგილებს მიაყენეს. თითქმის მთელი მიწა იერუსალიმიდან საბერძნეთამდე მათი თავდასხმის საგანი გახდა. აღარაფერი დარჩა კონსტანტინოპოლის გარდა, რის წართმევასაც უახლოეს დროში გვპირდებიან, თუ ღვთისა და ლათინი ქრისტიანების დახმარება მყისიერი არ იქნება...



სურ. 1 ალექსი I კომნენოსი. ბიზანტიური მინიატურა

ფლანდრიის გრაფო, ღვთის გულისთვის და ქრისტიან ბერძენთა თანაგრძნობისთვის, გთხოვთ, რომ ყველა მეომარი, მდიდარი, ღარიბი თუ საშუალო შეძლებისა, რომელსაც ქრისტესი სწამს, შეკრიბოთ თქვენს ქვეყანაში და აქ მომიყვანოთ ჩემი და ასევე ქრისტიანი

ბერძნების დასახმარებლად... მე იმპერატორი გახლავართ, მაგრამ ძალა არ შემწევს, მათ გავუმკლავდე, ვერ ვპოულობ დასაყრდენსა და კეთილ მრჩეველს. მუდმივად გავურბივარ თურქებსა და პაჭანიკებს და იმ დრომდე ვჩერდები ამა თუ იმ ქალაქში, სანამ მათი მოსვლა არ მოახლოვდება. რამდენადაც თქვენი ქვეშევრდომები ლათინები არიან, სურვილით ვიწვი, რომ სწორედ მათ აიღონ კონსტანტინოპოლი... ჯობს, თქვენ დაეპატრონოთ კონსტანტინოპოლს და არა წარმართები, რადგან ამ ქალაქში უფლის ძვირფასი რელიკვიები ინახება“.

?

1. რა ტიპის ისტორიული წყაროა ა) წყარო?

2. რა თვალსაზრისით არის ის მნიშვნელოვანი? რაზე გვაწვდის ინფორმაციას?

3. რატომ მიმართავს ალექსი I კომნენოსი ფლანდრიის გრაფს და სხვა ევროპელ მმართველებს?

4. ვინ იგულისხმება „ლათინ“ და „ბერძენ ქრისტიანებში“?

5. წყაროდან გამომდინარე, რატომ არის ბიზანტია ამ ვითარებაში ჩავარდნილი? შეიძლება თუ არა ვენდოთ ალექსი კომნენოსის სიტყვებს? გაიხსენე და ისტორიიდან მოიყვანე სელჩუკების მიერ ბიზანტიის შევიწროების მაგალითები.

6. ისტორიკოსების ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს ალექსი კომნენოსის წერილის ნამდვილობას და დავობენ, სად შეიძლებოდა შექმნილიყო ეს დოკუმენტი: კონსტანტინოპოლში თუ ევროპაში. წერილის შინაარსიდან გამომდინარე იმსჯელე, რატომ შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდნენ ისტორიკოსები მის ნამდვილობას? განსაკუთრებით, რომელი ადგილი შეიძლება მივიჩნიოთ საეჭვოდ? რატომ?

მართალია, ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა და აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის მხარდაჭერის სურვილი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ რომის პაპისა და ევროპელი მეფე-მთავრების მზადყოფნა, ებრძოლათ „ურწმუნოების“ წინააღმდეგ, სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული: ა) რომის პაპებს ბიზანტიაში და თურქ-სელჩუკების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის, ახალი ქვეყნებისა და მიწებისა და ეპარქიების თავისი ძალაუფლების ქვეშ მოქცევა სურდათ. ეს კი ახალ-ახალი შემოწირულობებით კათოლიკური ეკლესიის შემოსავლების ზრდას გამოიწვევდა; ბ) რომის პაპი ხედავდა, რა მდგომარეობა იყო შექმნილი ევროპაში, სადაც უამრავი ღარიბი რაინდი იყო. ევროპელი ფეოდალები საკუთარ მიწებს სამემკვიდრეოდ მხოლოდ უფროს ვაჟებს აძლევდნენ, რათა მამული არ დანაწევრებულიყო. დანარჩენი ვაჟების ხვედრი ან სამონასტრო ცხოვრება იყო, ან რაინდობა. იმ დროის რაინდების უმრავლესობა უმიწაწყლო იყო და თავის შრომას, ხმალს ყიდდა. ისინი ძირითადად სხვადასხვა მეფე-მთავარს ემსახურებოდნენ, როგორც დაქირავებული მეომრები და ევროპის შუაგულში გაჩაღებულ შინაომებში მონაწილეობდნენ.

ზოგიერთი თავის გადასარჩენად ძარცვასაც არ თაკილობდა. ევროპის რაინდთა უმრავლესობა ახალ-ახალ ლაშქრობებზე ოცნებობდა, როცა დიდი სიმდიდრისა და მიწა-წყლის შოვნა შეიძლებოდა; მით უმეტეს აღმოსავლეთში, რომლის „ზღაპრულ სიმდიდრეზე“ ევროპაში ლეგენდები დადიოდა; გ) ეს ლაშქრობა დაბალი ფენის წარმომადგენლებისთვისაც არანაკლებ მიმზიდველი იყო. გლეხობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათთვის აღმოსავლეთში ჯარისკაცად წასვლა ქონების დაგროვების შესაძლებლობა იყო; დ) ეს ლაშქრობა მნიშვნელოვანი იყო ევროპის სავაჭრო ქალაქებისთვისაც – გენუისთვის, ვენეციისთვის. თურქ-სელჩუკთა დაპყრობებმა შეაფერხა ევროპის ვაჭრობა აღმოსავლეთთან – ირანთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. გაძლიერებული თურქ-სელჩუკების სახით გენუას და ვენეციას ხმელთაშუაზღვისპირეთის ვაჭრობაში კონკურენტი გამოუჩნდა, მათ წინააღმდეგ გალაშქრება კი კონკურენტს დაასუსტებდა; ევროპელების დახმარების სანაცვლოდ ამ ქალაქების კონკურენტი ბიზანტიაც დათმობდა რაღაცებს, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო.

რომის პაპის მოწოდება

1095 წელს, საფრანგეთის ქალაქ კლერმონში რომის პაპმა ურბან II-მ მოიწვია საეკლესიო კრება. კრებას ესწრებოდნენ არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, აბატები, დიდებულები და რაინდები.

პაპმა საზოგადოებას სიტყვით მიმართა და იერუსალიმის გასათავისუფლებლად ლაშქრობისკენ მოუწოდა. კლერმონის კრება და პაპის სიტყვა იმდროინდელ ისტორიკოსებს აქვთ გადმოცემული.

წყარო ბ) რობერ რეიმსელი, „იერუსალიმის ისტორია“ ურბან II-ის მოწოდება ჯვაროსნული ლაშქრობისკენ

რობერ რეიმსელი (რობერ ბერი) – I ჯვაროსნული ლაშქრობის უშუალო მონაწილე. მან დაწერა „იერუსალიმის ისტორია“, რომელიც იწყება კლერმონის კრებით და სრულდება 1099 წელს იერუსალიმის აღებით. იყო რეიმსის სენ-რემის სააბატოს წინამძღვარი.

„ფრანკო ხალხო, თქვენი მიწების მდებარეობისა და კათოლიკური რწმენის, ასევე წმინდა ეკლესიის პატივისცემის გამო ყველა სხვა ხალხისგან გამორჩეული ხართ, ამიტომაც სწორედ თქვენ მოგმართავთ და თქვენთვისაა განკუთვნილი ჩვენი მოწოდება. გვსურს, რომ შეიტყოთ, რა მძიმე გარემოებამ მოგვიყვანა თქვენთან... იერუსალიმიდან და ქალაქ კონსტანტინოპოლიდან მნიშვნელოვანი ცნობა მოგვივიდა. ადრეც საკმაოდ ხშირად გვესმოდა ამბები იმის შესახებ, რომ სპარსეთის სამეფოს ხალხი (იგულისხმება თურქ-სელჩუკები)... რომელთაც არც გულით და არც გონებით არ სწამთ ღმერთის, შეიჭრნენ ქრისტიანთა მიწებში, მახვილით გაანადგურეს, გაძარცვეს, ცეცხლს მისცეს, გაიტაცეს თავიანთ ქვეყნებში, ნაწილი კი ამოხოცეს, უფლის ეკლესიები სრულად დაანგრიეს.

ისინი ანგრევდნენ საკურთხევლებს... ბერძენთა სამეფო ისეა შემცირებული და განადგურებული მათ მიერ, რომ დაკარგული ტერიტორიების შემოვლა ორ თვეშიც კი შეუძლებელია. ვინ უნდა გასცეს პასუხი ყოველივე ამას?..

დაე, თქვენი წინაპრების, კარლოს დიდისა და მისი ვაჟის, ლუის, ასევე თქვენი სხვა მეფეების საქმეებმა, რომლებმაც წარმართთა მეფობას მოუღეს ბოლო და განავრცეს წმინდა ეკლესიის საზღვრები, თქვენი მებრძოლი სული და სიმამაცე გააღვიძონ. დაე, უფლის წმინდა საფლავმა... რომელიც უწმინდურთა ხელშია ახლა ჩავარდნილი, წმინდა ადგილები კი მათ მიერ არის შეურაცხყოფილი და შებილწული, გააღვიძოს თქვენში მებრძოლი სული.

არ მიგიზიდოთ მომხვეჭელობამ და ნუ შეგაწუხებთ ოჯახური საქმეები, რადგან მიწა, რომელზეც თქვენ ცხოვრობთ, ზღვითა და მთებითაა შემოსაზღვრული, შეზღუდულია თქვენი მრავალრიცხოვნებით, სიმდიდრით ვერ დაიკვეხნით. ეს მიწა ძლივს არჩენს იმათ, ვინც მას ამუშავებს. ამის გამო ხდება, რომ ერთმანეთს მრავალრიცხოვან სასიკვდილო ჭრილობებს აყენებთ. დაე, შეწყდეს თქვენს შორის არსებული სიძულვილი, დაცხრეს მტრობა, შეწყდეს ომები და ყოველგვარი სახის დაპირისპირება.

შეუდექით წმინდა საფლავის განთავისუფლების გზას. უწმინდურ ხალხს გამოგლიჯეთ ეს მიწა, დაიპყარით ის თქვენთვის. ამ მიწაზე, წმინდა წერილის მიხედვით, რძე და თაფლი მოედინება.

იერუსალიმი – დედამიწის ჭიპია. ნაყოფიერია სხვებთან შედარებით. ეს მიწა მეორე სამოთხეა...

ეს სამეფო ქალაქი... განუწყვეტლივ ლოცულობს, რათა თქვენ მის გამოსახსნელად მიხვიდეთ. დახმარებას გამორჩეულად თქვენგან მოითხოვს, რადგან თქვენ უფლის მიერ დიდებული იარაღის ძალით ხართ აჭღურვილი. დაადექით ამ გზას ცოდვათა გამოსასყიდად, რამდენადაც დარწმუნებული ხართ ცათა სასუფევლის შეუბღალავ დიდებაში“.

წყარო გ) ფუშე შარტრელი, „იერუსალიმური ისტორია“
ურბან II-ის მოწოდება ჯვაროსნული ლაშქრობისკენ

ფუშე შარტრელი – I ჯვაროსნული ლაშქრობის უშუალო მონაწილე. მან დაწერა „იერუსალიმის ისტორია“. 1097 წელს გახდა I ჯვარსონული ლაშქრობის ერთ-ერთი ლიდერის ბოდუენ ბულონელის მღვდელმსახური – კაპელანი.



სურ. 2 ურბან II და პაპის ლეგატები. შუა საუკუნეების მინიატურა

„ქრისტეს აქეთ ათას ოთხმოცდათხუთმეტ წელს, მაშინ, როდესაც გერმანიაში იმპერატორი ჰაინრიხი მეფობდა, საფრანგეთში კი მეფე ფილიპე, როცა ევროპის ყველა ნაწილს მრავალგვარი ბოროტება დაეუფლა და რწმენაც შეირყა, რომის პაპი იყო ურბან II, რომელიც ეკლესიის ყველაზე მაღალი მდგომარეობისთვის იღვწოდა...

რომის პაპმა, რომელიც ხედავდა, როგორ ითელება ქრისტეს რჯული ყველასგან, სასულიერო თუ საერო პირთაგან, როგორ გაუთავებლად ომობენ ერთმანეთში მთავრები, უგულებელყოფენ მშვიდობას და იტაცებენ ქვეყნის სიმდიდრეს; გაიგო რა აგრეთვე, რომ რომანიის (ბიზანტიის) შიდა ოლქები ქრისტიანებს თურქებმა წაართვეს და იქაურობას აოხრებენ, ქალაქ კლერმონში კრების მოწვევის შესახებ განკარგულება გასცა.

პაპმა ხალხს მიმართა: „დაე, გაილაშქრეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ, იბრძოლეთ ომში, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო. ისინი, ვინც ბოროტი ზრახვებით ერთმორწმუნეებთან ომს დასჩვევიან, დაე, დღეიდან ქრისტეს მეომრები გახდნენ; ვინც უწინ მძარცველები იყვნენ ან თანამოძმეებს ებრძოდნენ, ამიერიდან ბარბაროსების წინააღმდეგ სამართლიანად იბრძოლონ. აწ მიიღონ მარადიული ჯილდო მათ, ვინც სულ მცირე სასყიდლის ფასად დაქირავებული მკვლელები იყვნენ. დაე, ორმაგი პატივით შეიმოსონ ისინი, ვინც უწინ თავს არ ზოგავდა საკუთარი სხეულისა და სულის საზიანოდ. ის, ვინც მწუხარეა და ღარიბი, იქ მხიარული და მდიდარი იქნება; აქ უფლის მტერი, იქ მის მეგობრად გადაიქცევა.

თუ ვინმე იქ წასული დაასრულებს თავის სიცოცხლეს სიკვდილით, სადაც უნდა იყოს – ხმელეთზე, ზღვაში თუ ბრძოლაში, დაე, მიეტევოს ყველა ცოდვა. მე ვპირდები ამას ყველას, ვინც სალაშქროდ გაემგზავრება, ვინაიდან თვით უფლისგან მაქვს ნაბოძები ეს მადლი“.

7. შეადარე მოყვანილი წყაროები ერთმანეთს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

8. რატომ არის მოყვანილი წყაროები I ჯვაროსნული ლაშქრობის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? რაში გვეხმარება ის, რომ ერთსა და იმავე მოვლენაზე ორი წყარო გვაქვს?

9. შენი აზრით, რა შეიძლება იყოს წყაროებს შორის განსხვავების მიზეზი?

10. როგორ ხსნის რომის პაპი იერუსალიმში ლაშქრობის აუცილებლობას?

11. მოცემული წყაროების მიხედვით აღწერე XI საუკუნის მიწურულის ევროპა.

12. ისტორიკოსებს მიიჩნიათ, რომ ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყებად მხოლოდ საბაბია. მოძებნეთ ორივე წყაროში ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების მიზეზები.

რომის პაპის მოწოდებას გამოეხმაურნენ დიდებულები და რაინდები და ლაშქრობისთვის მზადება დაიწყეს, თუმცა პაპის სიტყვის მიმართ გულგრილი არც საზოგადოების სხვა წევრები დარჩენილან. სანამ ევროპიდან ძირითადი ნაწილები დაიძრებოდნენ, მანამდე იერუსალიმისკენ 50 ათასამდე გლეხი, ქალაქის ღარიბი მცხოვრები და ღარიბი რაინდი გაეშურა. მათ საკუთარი ლიდერები ჰყავდათ: რაინდი ვალტერი, იგივე გოტიე და პეტრე ამიენელი, იგივე პეტრე მეუდაბნოე.

სრულიად მოუმზადებლად გამგზავრებული ჯვაროსანთა პირველი ჯგუფები ყოველ ქალაქთან მიახლოებისას კითხულობდნენ, იერუსალიმი ხომ არ იყო ეს ქალაქი. უვიცობისა თუ გეოგრაფიული ცოდნის არქონის გარდა, ჯვაროსანთა ჯგუფებს უბრალოდ სასწაულის სჯეროდათ და ელოდნენ, რომ წმინდა მიწის გასათავისუფლებლად მიმავალთ უფალი გზას შეუმოკლებდა. გზადაგზა პილიგრიმები აყაჩაღებდნენ და ძარცვავდნენ ევროპის მოსახლეობას (განსაკუთრებით გერმანიასა და უნგრეთში). ბევრი მათგანი გზაშივე დაიღუპა და ვერ ჩააღწია დათქმულ ადგილას.

დაახლოებით 50 ათასი მომლოცველიდან კონსტანტინოპოლამდე მხოლოდ 25 ათასამდე ჯვაროსანს ჩაუღწევია. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი I-მა გლეხობას შესთავაზა, ძირითად ძალებს, რაინდებს დალოდებოდნენ. თუმცა ისინი მალე პეტრე მეუდაბნოეს მეთაურობით მცირე აზიაში გადავიდნენ და წმინდა მიწისკენ გაემართნენ. 1096 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ ნიკეასთან ისინი თითქმის სრულად გაანადგურეს თურქ-სელჩუკებმა. გოტიე ბრძოლაში დაეცა, მხოლოდ პეტრე მეუდაბნოე გადარჩა და 3 ათას ადამიანთან ერთად კონსტანტინოპოლში გამობრუნდა.

13. ჯვაროსანთა მოწინავე ლაშქრის წარუმატებლობის რა მიზეზებს ასახელებს თანამედროვე ისტორიკოსი?

1096 წლის აგვისტოში ოთხი სამხედრო შენაერთი შეიკრიბა. შეკრებილთა შორის იყვნენ სახელოვანი რაინდები: ლოტარინგიის ჰერცოგი გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმა ბოდუენი, რობერ ნორმანელი და რობერ ფლანდრიელი, სტეფანე ბლუელი, რაიმუნდ სენ ჟილ ტულუზელი სამხრეთ საფრანგეთიდან, ნორმანდიელი ბოემუნდ ტარანტელი, მისი ძმისშვილი ტანკრედი და სხვები. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯვაროსნული ლაშქარი გოტფრიდ ბულონელს ჰყავდა. შეკრებილები ბიზანტიისკენ სხვადასხვა გზით გაეშურნენ. ისინი ერთმანეთს კონსტანტინოპოლში უნდა შეხვედროდნენ, გაერთიანებულიყვნენ და შემდეგ მცირე აზიისა და სირია-პალესტინისკენ გაეგრძელებინათ გზა. ასე დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებიც XIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. მოლაშქრეებს სამოსზე წითელი ჯვრები ჰქონდათ მიმაგრებული, ამიტომაც ეწოდათ მათ ჯვაროსნები.

ჯვაროსნების შეკრება კონსტანტინოპოლში

1097 წლის აპრილამდე ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლში ჩააღწიეს. იმპერატორი მათ თავისთან სასახლეში იწვევდა და ერთგულების ვასალური ფიცის დადებას და იმ მიწების დიდი ნაწილის ბიზანტიისთვის გადაცემას ითხოვდა, რომელსაც მომავალში დაიპყრობდნენ. ეს მიწები ხომ ოდესღაც რომის იმპერიას ეკუთვნოდა.

ჯვაროსნების კონსტანტინოპოლში შესვლა და იმპერატორთან სტუმრობა, ლათინებისა და ბერძნების ურთიერთდამოკიდებულება, ორივე მხრიდან გაკვირვება თუ გაოცება გადმოცემული აქვს ალექსი I-ის ქალიშვილს, ანა კომნენოსს.

I ჯვაროსნული ლაშქრობა
პირობითი აღნიშვნები
ქალაქი
დედაქალაქი
ბრძოლის ადგილი
ჯვაროსანთა ლაშქრის მიმართულებები
ჯვაროსანთა მიერ აღებული ქალაქები
ბაბის ოლქი
ნეკაპოლის საგრაფო
კაპუას სამთავრო
ბიზანტიის იმპერია
სელჩუკთა სახელმწიფო
შავი ზღვა
სამხრეთ იტალიის ნორმანული სამთავროები
ანტიოქიის სამთავრო
ედესის საგრაფო
ტრიპოლის საგრაფო
იერუსალიმის სამეფო
ლევანტის ზღვა
ეგვიპტე
ალეპო
ანტიოქია
ედესა
ტარსუსი
ტრიპოლი
ტირი
აკრა
იერუსალიმი
ასკალონი
გაზა
ბეთლეემი
ნაზარეთი
ტიბერიადა
ნაბლუსი
ლიდა
იაფა
ასკალონის სამთავრო
ბეთლეემის საგრაფო
ნაზარეთის სამთავრო
ტრანსიორდანიის სამთავრო
ლიდის საგრაფო
ჰაიფის საგრაფო
ტრიპოლის საგრაფო
ანტიოქიის სამთავრო
ედესის საგრაფო
ალეპოს საამირო
დამასკოს საამირო
ეგვიპტე
ფატიმიანთა ხალიფატი
ბაღდადის ხალიფატი
სელჩუკთა სულთნატი
ერთიანი სომხური სამეფო
ბიზანტიის იმპერია
ანატოლიის სელჩუკთა სულთნატი

14. დააკვირდი I ჯვაროსნული ლაშქრობის რუკას. რომელი სახელმწიფოებიდან დაიწყო ევროპელი რაინდების მსვლელობა? რუკის მიხედვით დეტალურად აღწერე მათი მარშრუტი.

წყარო დ) ანა კომნენოსი, ბიზანტიელი მემატიანე, „ალექსიადა“, XII ს.

ურიცხვი ხალხი გვიახლოვდებოდა... მეფეები, ჰერცოგები, გრაფები და თვით ეპისკოპოსებიც... ყველა მათგანი კონსტანტინოპოლისაკენ მოეშურებოდა. სიამოვნებით დაგისახელებდით მათ წინამძღოლებს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ამას არ გავაკეთებ. ენა არ მემორჩილება, წარმოვთქვა მათი ბარბაროსული სახელები...

იმპერატორს სურდა, გრაფებისგანაც ისეთივე ერთგულების ფიცი მიეღო, როგორიც გოტფრიდს ჰქონდა დადებული. იმპერატორი სათითაოდ იწვევდა მათ და თავის სამოქმედო გეგმას აცნობდა; ცდილობდა, კეთილგონიერთა მეშვეობით ურჩებზე ემოქმედა. მაგრამ ისინი ბოემუნდის გამოჩენას ელოდნენ. როდესაც ყველა, მათ შორის გოტფრიდიც, შეიკრიბა და გრაფებმა ფიცი დადეს, ერთ-ერთმა დიდებულმა იმპერატორის ტახტზე დაჯდომა გაბედა. იმპერატორმა მოითმინა ეს თავხედობა და ხმა არ გასცა მას, რადგან კარგად იცნობდა ლათინთა ქედმაღლურ ხასიათს. მაგრამ გრაფი ბოდუენი მივიდა იმ კაცთან და უსაყვედურა: „არ შეიძლება ასე მოქცევა, შენ ხომ იმპერატორს სამსახურს შეჰპირდი. გარდა ამისა, რომაელ იმპერატორებს წესად არა აქვთ, თავიანთი ქვეშევრდომები გვერდით მოისვან. ის, ვინც მის მეუფებას ფიცით ემსახურება, ვალდებულია, დაიცვას ქვეყნის წეს-ჩვეულებები“. იმ კაცმა ბოდუენს არაფერი უპასუხა, მხოლოდ ბოროტი მზერა ესროლა და თავისთვის ჩაილაპარაკა თავის მშობლიურ ენაზე: „აი, სოფლელი! დამჯდარა აქ მართო, როდესაც გარშემო ამდენი სარდალი ფეხზე დგას...

იმპერატორმა მოიხმო ბოემუნდი და მასაც შესთავაზა, მიეღო ლათინებისთვის ჩვეული ფიცი. ბოემუნდს ესმოდა საკუთარი მდგომარეობა, ის წარჩინებული წინაპრების შთამომავალი არ იყო, არ გააჩნდა ფული და შესაბამისად, დიდი ლაშქარიც. მას მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმი ახლდა. ამასთან ბოემუნდი ბუნებითაც ორპირი იყო და ამიტომ დიდი მზადყოფნით დაემორჩილა თვითმპყრობლის ნებას...

ბოემუნდი ყველასადმი მტრულად იყო განწყობილი, სამშობლოც ვითომ იმიტომ დატოვა, რომ უფლის საფლავთან დაეჩოქა. სინამდვილეში კი, რადგან თავად მიწა-წყალი არ გააჩნდა, იმას ფიქრობდა, როგორ ჩაეგდო ხელში მამულები და, თუკი გაუვიდოდა – რომის იმპერიის ტახტიც კი.

...იმპერატორი გრაფებს ესაუბრა, ნაირნაირი საჩუქრები და ტიტულები ჩამოურიგა, მეორე დღეს კი საიმპერატორო ტახტზე დაბრძანდა. შემდეგ ყველანი თავისთან იხმო და სასარგებლო რჩევები მისცა: როგორ უნდა წარემართათ ბრძოლები, როგორ განელაგებინათ ლაშქარი და როგორ ჩასაფრებოდნენ მტერს. აუხსნა თურქების საბრძოლო ხერხები და გააფრთხილა, მხოლოდ ზურგის მხრიდან მისდევნებოდნენ თურქებს“.

ალექსი კომნენოსი რაინდებს ფიცის სანაცვლოდ სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფდა, ამიტომაც დიდებულებმა იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრნენ მცირე აზიისკენ.

15. დაახასიათე ჯვაროსნები ანა კომნენოსის მონათხრობის მიხედვით. მისი აზრით, რა მიზნები ამოძრავებდათ ჯვაროსნებს?

16. შენი აზრით, რით შეიძლება იყოს განპირობებული ანა კომნენოსის მიკერძოება? რა არის ხოლმე ზოგადად მიკერძოების მიზეზები?

17. დაახასიათე ჯვაროსნებისა და ბიზანტიის იმპერატორის ურთიერთდამოკიდებულება.

18. შეადარე ერთმანეთს დასავლური და ბიზანტიური ეტიკეტი. იმსჯელე, რით განსხვავდებოდა ეს ორი სამყარო ერთმანეთისგან? როგორი დამოკიდებულება არსებობს მმართველსა და მის ქვეშევრდომებს შორის ბიზანიტიაში, ევროპაში? რით არის განპირობებული ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ხელისუფალსა და დიდებულებს შორის?

19. შენი აზრით, რატომ დაიფიცეს ჯვაროსანმა რაინდებმა ბიზანტიის იმპერატორის ერთგულებაზე?

20. შენი აზრით, რატომ აძლევდა ალექსი კომნენოსი ჯვაროსნებს სამხედრო რჩევებს? ეთანხმები თუ არა ავტორს, რომ ეს ინფორმაცია ევროპელი რაინდებისთვის სასარგებლო იყო?

I ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობა

ჯვაროსნებმა მცირე აზიაში პირველი შეტევა 1097 წელს ივნისში თურქ-სელჩუკთა რუმის სასულთნოს დედაქალაქზე – ნიკეაზე მიიტანეს. ქალაქის ალყა თვეზე მეტხანს გაგრძელდა. რუმის სულთანმა, ყილიჩ-არსლანმა, არჩია, ქალაქი ბიზანტიელებისთვის გადაეცა, ვიდრე ის ჯვაროსნებს აეღოთ. მასთან საიდუმლო მოლაპარაკებას ალექსი კომნენოსი აწარმოებდა. სულთანმა ქალაქში მყოფი საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების სანაცვლოდ, ის ბიზანტიელებს დაუთმო. ალექსი კომნენოსმა კი ჯვაროსნების უკმაყოფილების შესამსუბუქებლად მათ ცხენები და გამოსასყიდის ნაწილი გადასცა. მალე ბიზანტიელთა ჯარებმა ნიკეა დატოვეს და ქალაქი მაინც ჯვაროსნებს დარჩათ.

მოლაშქრეებმა გზა განაგრძეს და იმავე წლის 1 ივლისს ქალაქ დორილეასთან ბრძოლაში სელჩუკები დაამარცხეს. ოქტომბერში უკვე ანტიოქიას მიადგნენ, 1098 წლის თებერვალში ბოდუენი ედესაში შევიდა და სელჩუკებისგან გაათავისუფლა. ბოდუენმა აქ პირველი ჯვაროსნული სამფლობელო – ედესის საგრაფო დააარსა.

ნიკეის აღების შემდეგ ჯვაროსნები ანტიოქიისაკენ გაემართნენ. ამ დროს ქალაქში სელჩუკი მმართველი იჯდა. ანტიოქია მდიდარი სავაჭრო ქალაქი იყო უამრავი ქრისტიანული ეკლესიით. ქალაქი ძალიან კარგად იყო გამაგრებული, მას 450 კოშკი იცავდა. იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე ამ ქალაქს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯვაროსნებმა მისი აღება იოლად ვერ მოახერხეს. ალყა რვა თვეს გაგრძელდა. ქალაქის გამძლე კედლები დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქრისტიანებს საკვების მარაგი ამოეწურათ. ჯარისკაცებს შორის დიდი დაპირისპირება და გაუგებრობა დაიწყო. მოლაშქრეების ნაწილი შიმშილით იხოცებოდა, ნაწილმა დეზერტირობა დაიწყო.

ასეთ ვითარებაში ჯვაროსნებმა ბოემუნდის წყალობით მაინც მოახერხეს ქალაქში შესვლა. ბოემუნდი ჩუმად მოელაპარაკა ანტიოქიის მცველთა რიგებიდან ერთ-ერთს, რომ ჭიშკარი გაეღო. ასე რომ, რვათვიანი ალყის შემდეგ ქალაქის კარი შიგნიდან გააღეს და ჯვაროსნები ქალაქში შევიდნენ.

წყარო: იბნ ალ-კალანისი, „დამასკის ისტორია“, XII ს.

ანტიოქიის დაპყრობა ჯვაროსნების მიერ. 1098 წლის 3-28 ივნისი.

„რაც შეეხება ანტიოქიას, იქ დახოცეს და ტყვედ იგდეს უამრავი მამაკაცი, ქალი და ბავშვი. ციხესიმაგრეს თავი შეაფარა დაახლოებით ოთხი ათასმა ადამიანმა. ისინი იქ გამაგრდნენ და მათგან ის გადარჩა, ვინც ალაჰის ნებით უნდა გადარჩენილიყო“.

ჯვაროსნებმა ანტიოქიის აღების შემდეგ იქ დააარსეს ჯვაროსნული სამთავრო, რომელსაც სათავეში ბოემუნდ ტარანტელი ჩაუდგა.



სურ. 3 ანტიოქიის აღება, ჟან კოლომბოს მინიატიურა ხელნაწერიდან „ფრანგების ზღვის იქითა ლაშქრობები თურქების, სარაცინებისა და მავრების წინააღმდეგ“, XV ს.

21. რა ინფორმაციას გვაწვდის მინიატიურა ქალაქ ანტიოქიაზე? კიდევ რა ინფორმაციის მიღება შეგვიძლია წყაროდან? დააკვირდი მინიატიურის შექმნის თარიღს და იმსჯელე, რამდენად ფასეულია ჩვენ მიერ ამოკრებილი ინფორმაცია ანტიოქიის აღების თაობაზე. შენი აზრით, რას ინფორმაციას დაეფუძნებოდა მხატვარი ხელნაწერის გაფორმებისას?

1099 წლის 7 ივნისს ჯვაროსნები იერუსალიმს მიადგნენ. იმ დროს ქალაქი ეგვიპტის ხალიფას ეკუთვნოდა. იერუსალიმის გამგებელმა ქალაქის დასაცავად სასწრაფოდ ყველა აუცილებელი ზომა მიიღო. ქალაქის გარნიზონი სრულ მზადყოფნაში მოიყვანა; ქალაქის გარეთ არსებული ყველა ჭა ამოავსეს ან მოწამლეს; საქონელი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს; ქალაქის საკუჭნაოები და წყლის რეზერვუარები ბოლომდე გაავსეს, რათა ხანგრძლივი ალყისთვის გაეძლოთ; ქალაქიდან გააძევეს ყველა ქრისტიანი, რათა ისინი ჯვაროსნების მხარეზე არ გადასულიყვნენ და ამავე დროს წყლისა და საკვების მომხმარებელთა რაოდენობა შეემცირებინათ; შეაკეთეს და გაამაგრეს გალავნის კედლები და ზედ ბამბით გატენილი ტომრები დაამაგრეს, რათა საალყო მანქანებიდან ნატყორცნი ქვების დარტყმის ძალა შეემცირებინათ; ეგვიპტეში ელჩები გაგზავნეს და დახმარება ითხოვეს. 15 ივლისს გოტფრიდ ბულონელის თაოსნობით რაინდებმა ქალაქზე შეტევა დაიწყეს.

წყარო ე) ანონიმი ავტორი, „ფრანკთა და იერუსალიმში მიმავალ სხვა პილიგრიმთა საქმენი“

იერუსალიმის აღება

ანონიმი ავტორი, რომელმაც „ფრანკთა და იერუსალიმში მიმავალ სხვა პილიგრიმთა საქმენი“ დაწერა, I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილეა. ის ბოემუნდ ტარანტელის ჯარში მსახურობდა. ნაწარმოები დაახლოებით 1100 წელსაა დაწერილი.

„ჩვენ იერუსალიმს მივუახლოვდით. რობერტ ნორმანდიელმა ქალაქს ალყა ჩრდილოეთის მხრიდან შემოარტყა. შემდეგ იდგა გრაფი რობერტ ფლანდრიელი, დასავლეთის მხრიდან კი – ჰერცოგი გოტფრიდი და ტანკრედი...

პარასკევს, თხუთმეტ ივლისს, სიმაგრეზე თავდასხმა დავიწყეთ. ისეთი ხოცვა-ჟლეტა იყო, რომ ჩვენები მუხლებამდე სისხლში იდგნენ.

ქალაქში შევედით. ჩვენი პილიგრიმები მისდევდნენ და ხოცავდნენ მუსლიმებს სოლომონის ტაძრამდე, სადაც მოწინააღმდეგეები იყვნენ შეკრებილი. იქ ისეთი სასტიკი ბრძოლა გავუმართეთ, რომ მთელ ტაძარში მათი სისხლი მიედინებოდა“.



სურ. 4 გოტფრიდ ბულონელი. ციხესიმაგრე მანტას კედლის მხატვრობა, იტალია

წყარო ვ) იბნ ალ-ასირი, „მსოფლიოს ისტორიის კრებული“

იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსია (1160-1234 წწ.). მას ეკუთვნის რამდენიმე დიდი ნაშრომი, რომელთა შორის გამორჩეულია „სრული ისტორია“. თხრობა იწყება სამყაროს გაჩენიდან და გრძელდება 1231 წლამდე. ნაშრომის დიდი ნაწილი კომპილაციურია. მნიშვნელოვანი წყაროა ახლო აღმოსავლეთისა და მათ შორის საქართველოს ისტორიისთვის.

„ფრანკებმა ალყა შემოარტყეს იერუსალიმს. ქალაქის მცხოვრებლები თავგანწირვით შეებრძოლნენ მომხდურებს. ფრანკებმა საკუთარ თავზე იწვნიეს მათი ძალა, სიმედგრე და გამოსცადეს თურქთა სიმამაცე ბრძოლაში. მაშინ ფრანკებმა ააგეს საალყო კოშკი... კიბეებით ავიდნენ კედელზე და როდესაც ისინი კედლის თავზე აღმოჩნდნენ, მუსლიმები დაიბნენ და სახლებში გაიფანტნენ, ხოლო ფრანკები მახვილებით დაედევნენ მათ და სამი დღის განმავლობაში ჟლეტდნენ... ხელში ჩაიდგეს უამრავი ტყვე და შემდეგი ქალაქისკენ გაემართნენ“.

22. როგორ აფასებენ იერუსალიმის აღებას მოყვანილი წყაროები? მიკერძოებულია თუ არა ისინი?

23. წყაროების მიხედვით, როგორ მოექცნენ ჯვაროსნები ქალაქის მუსლიმ მოსახლეობას? როგორ ახსნი ჯვაროსნების ქცევას?

24. რა პოზიციას გამოხატავს მომხდართან დაკავშირებით თითოეული მათგანი და რატომ?

25. რომელი წყაროს სანდოობის ხარისხია უფრო მაღალი? რატომ?

26. დაასახელე თითოეული წყაროს დადებითი მხარე.

ასკალონის ბრძოლა

იერუსალიმის აღების შემდეგ ფატიმიანებს არ სურდათ პალესტინაზე კონტროლის დათმობა, ამიტომ ჯვაროსნებზე მოულოდნელად თავდასხმა და იერუსალიმის დაბრუნება გადაწყვიტეს. ისინი ვეზირის, ალ-აფდალის, მეთაურობით იერუსალიმიდან ერთი დღის სავალზე ქალაქ ასკალონის ახლოს დაბანაკდნენ. ალ-აფდალის მოსვლის ამბავი რომ გაიგეს, ჯვაროსნები შეიკრიბნენ და თვითონაც ასკალონის მისადგომებთან გამაგრდნენ. ფატიმიანები ევროპელ რაინდებს ერთი ორად აღემატებოდნენ.

11 აგვისტოს, ბრძოლამდე ერთი დღით ადრე, ჯვაროსნები შემთხვევით ფატიმიანების კუთვნილ ხარებს, ცხვრებს, აქლემებსა და თხებს გადააწყდნენ. ჯვაროსნებმა ცხოველები გამორეკეს, მეორე დღეს ისინი თავიანთ რიგებში ჩააყენეს და ასე დაესხნენ თავს ფატიმიანებს, რომ მრავალრიცხოვანნი გამოჩენილიყვნენ.

ბრძოლაში მონაწილეობდნენ რაიმონ ტულუზელი, გოტფრიდ ბულონელი, რობერტ ნორმანდიელი, რობერტ ფლანდრიელი, ტანკრედი. ჯვაროსნებმა შეტევა მანამდე დაიწყეს, სანამ არაბები მომზადებას დაიწყებდნენ; ისრებიც მანამდე დაუშინეს, სანამ ფატიმიანების მძიმე კავალერია შეტევაზე გადავიდოდა. ჯვაროსნებმა მოწინააღმდეგის რიგები გაარღვიეს და ალ-აფდალის ბანაკიც აიღეს. არაბებმა უკან დაიხიეს და თავი ტყეს შეაფარეს, მაგრამ ჯვაროსნებმა ისინი კვამლით გამოდევნეს და ისრებით დახოცეს. ფატიმიანთა ლაშქარმა სრული მარცხი განიცადა. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს მოულოდნელობის, ჯვაროსანი მეომრების სწრაფი გადაადგილებისა და არნახული სიმამაცის შედეგი იყო.

იერუსალიმის სამეფოს აღებისას ჯვაროსნებს დიდი დახმარება გაუწიეს ვენეციელმა და გენუელმა ვაჭრებმა. თუ სირიაში მმართველი ფენის უმრავლესობა ფრანგი იყო, ვაჭრობის სადავეები იტალიელებს ეპყრათ. XII საუკუნეში იტალიის სამ ქალაქს: ვენეციას, გენუას და პიზას ჰქონდა სამხედრო ხომალდები და ამასთანავე აღმოსავლეთში ვაჭრობას ეწეოდა. ბალდუინმა მათი დახმარებით კესარეა, სიდონი, ბეირუთი, არსუფი და სენ-ჟან დ’აკრა

აიღო. ტვიროსი და აშკალონი იერუსალიმის სამეფოს მოგვიანებით შეუერთდა. 1153 წლისთვის იერუსალიმის სამეფო აშკალონიდან ბეირუთამდე უკვე ყველა სანაპიროს და ძველი ფინიკიისა და პალესტინის ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა. გენუელები, რომლებიც პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საკუთარი ინიციატივით ჩაერთვნენ, ჯვაროსნებს არა მარტო საკვებით ამარაგებდნენ, არამედ სამხედრო მოქმედებებშიც მონაწილეობდნენ. მაგ., ანტიოქიის ალყის დროს იტალიელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჯვაროსნებს. სამაგიეროდ, იერუსალიმის აღებისა და იქ სამეფოს დაარსების შემდეგ მათ, დახმარების სანაცვლოდ, ეკონომიკური პრივილეგიები მიიღეს: ყველა ქალაქში, სადაც იტალიელებმა გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს, საკუთრებაში გადაეცათ კვარტლები, ბაზრები, აბანოები, სახელოსნოები. ასეთი კვარტლები იტალიის მეტროპოლიას ემორჩილებოდა. ის აგზავნიდა გუბერნატორებსაც. იერუსალიმის სამეფოში ვენეცია ბატონობდა, ტრიპოლის საგრაფოსა და ანტიოქიის სამთავროში – გენუა, პიზას, მათთან შედარებით, მცირე დასახლებები ჰქონდა.

იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა დიდი კრება მოიწვიეს, რომელსაც როგორც საერო, ისე სასულიერო პირები ესწრებოდნენ. ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა უმნიშვნელოვანესი საკითხი – ვინ უნდა ჩასდგომოდა იერუსალიმს სათავეში. თავდაპირველად სასწორი სასულიერო პირებისკენ გადაიხარა, მაგრამ შემდეგ გადაწყდა, რომ მეფე საერო პირი, სამხედრო წრიდან გამოსული ადამიანი უნდა გამხდარიყო. მეფედ გოტფრიდ ბუიონელი (1099-1100 წწ.) აირჩიეს, თუმცა მან განაცხადა, რომ იქ, სადაც იესომ ეკლიანი გვირგვინი დაიდგა, თავად მეფის გვირგვინს ვერ დაიდგამდა, ამიტომ „უფლის საფლავის მცველის“ ტიტულს დასჯერდა. მის შემდეგ იერუსალიმის მმართველები უკვე ჩვეულებრივ ატარებდნენ მეფის ტიტულს.

27. როგორ შეიცვალა I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთში? როგორ შეიცვალა ძალთა ბალანსი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის? თავად ქრისტიანულ სამყაროში?

28. გაიხსენე, რა შედეგი მოჰყვა თურქ-სელჩუკების გამოჩენას საქართველოში და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებას საქართველოსთვის.

ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ გოდფრიდ ბულონელის საზრუნავი თავის სამეფოში, ევროპის ფეოდალური სახელმწიფოების მსგავსად, მმართველობისა და სასამართლოს სისტემის შექმნა გახდა. ახლად შექმნილ სახელმწიფოს ორგანიზება და მართვა ესაჭიროებოდა, ამიტომ მეფემ ბარონების სასამართლო შექმნა. მასში იერუსალიმის მეფის ვასალები შედიოდნენ. სასამართლოს თვით მეფე ხელმძღვანელობდა. ბარონების ეს კოლეგია სამთავრობო საბჭოც იყო და დიდებულთა სასამართლოც. სამეფოს დანარჩენი მოსახლეობისათვის შეიქმნა ცალკე სასამართლო 12 ნაფიცი მსაჯულით. მას ქალაქის თავი – ვიკონტი თავმჯდომარეობდა. სირიელებს უფლება მიეცათ, თავიანთი ძველი სასამართლო სისტემით ემოქმედათ. მოგვიანებით სპეციალური სასამართლოები ვაჭრებისათვისაც შეიქმნა. იერუსალიმის სამეფოში დაარსდა სავაჭრო პალატებიც.

ორ მთავარ სასამართლოს, დიდებულებისას და მდაბიოებისას, საერთო წესდება ჰქონდა, რომელსაც „იერუსალიმის ასიზებს“ უწოდებდნენ. ასიზები ძველ ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი. სახელმწიფო ენად ფრანგული ითვლებოდა, თუმცა წყაროები და სხვადასხვა სახის დოკუმენტები ლათინურადაც იქმნებოდა.

იერუსალიმის სამეფო მრავალეთნიკური იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ფეოდალურ გადასახადს და ღალას იხდიდა. თვითონ ლათინური აღმოსავლეთი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იერუსალიმის სამეფო იყო. თავის მხრივ, სამეფო სხვადასხვა ფეოდალურ სამფლობელოს მოიცავდა: გალილეის სამთავროს, იაფის საგრაფოს, აშკალონს და სხვა ტერიტორიებს. ასევე არანაკლებ მნიშვნელობანი იყო ედესისა და ტრიპოლის საგრაფოები და ანტიოქიის სამთავრო. შემთხვევითი არაა, რომ სამეფო მხოლოდ იერუსალიმი იყო, ანტიოქია, ედესა და ტრიპოლი ვასალური ფიცით იყვნენ დაკავშირებულები იერუსალიმის სამეფოსთან.

წყარო: იბრაჰამ იბნ დაუდი (1110-1180 წწ.), ებრაელი ისტორიკოსი ესპანეთიდან, „ტრადიციების წიგნი“

„იერუსალიმი პატარა ქალაქია, სამი კედლით გამაგრებული. ქალაქი სავსეა ხალხით, რომელსაც მუსლიმები **იაკობიტებს** უწოდებენ, არიან სირიელები, ბერძნები, ქართველები, ფრანკები და განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე სხვა ხალხებიც. იქაა სამღებრო სახლები, რომლის გამოყენებისთვისაც იუდეველები ყოველწლიურად მცირე გადასახადს უხდიან მეფეს იმ პირობით, რომ იუდეველების გარდა, იერუსალიმში სხვა მღებავები არ იქნებიან“.

იაკობიტები – ქრისტიანული აღმოსავლური ეკლესიის ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები.

29. რა გამოწვევების წინაშე დადგნენ ჯვაროსნები იერუსალიმის აღების შემდეგ?

30. შენი აზრით, რა იყო იერუსალიმის მმართველებისთვის ყველაზე შესაფერისი ტიტული?

31. შენი აზრით, რა შესაძლებლობები გაჩნდა ევროპისა და აზიის ურთიერთობებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჯვაროსნების მიერ ლათინური სამეფოს დაარსების შემდეგ?

32. რაზე მეტყველებს წყაროში ქართველების მოხსენიება? გამოთქვი ვარაუდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისინი და რატომ შეიძლებოდა ეცხოვრათ იერუსალიმში?

33. შენი აზრით, წყაროში მოხსენიებული იაკობიტების გარდა, კიდევ რომელი ქრისტიანული მიმდინარეობის წარმომადგენელები იქნებოდნენ იერუსალიმში?



სურ. 5 იერუსალიმის იერიში. შუა საუკუნეების მინიატიურა, XIV ს.

წყარო ზ) ნაწყვეტი „იერუსალიმის ასიზებიდან“

„როდესაც ვინმე – კაცი თუ ქალი – შედის სამეფოს უზენაესი სენიორის ვასალურ დამოკიდებულებაში, მან უნდა დაიჩოქოს მის წინაშე... და უთხრას მას: „აი, მე ვხდები თქვენი ვასალი ამა და ამ ფეოდისთვის და დაასახელოს ფეოდი, რომლისთვისაც აღიარებს თავის ვასალურ დამოკიდებულებას, და აი, მე აღგითქვამთ თქვენ, დაგიცავთ და დაგიფარავთ ყველა ადამიანისგან... სენიორმა კი პასუხად უნდა უთხრას: „გიღებთ თქვენ ვასალურ დამოკიდებულებაში ღვთისა და ჩემდამი ერთგულების დაცვით...

არ შეიძლება მისდამი ერთგულების დაურღვევლად ვასალური დამოკიდებულების აღიარება კიდევ ვინმე სხვისადმი და ყოველი ვასალი, იქნება ის კაცი თუ ქალი, უნდა იცავდეს და ფარავდეს საკუთარ სენიორს ყველასგან“.

34. ვინ იგულისხმება სამეფოს უზენაეს სენიორში?

35. შენთვის ნაცნობი რომელი რიტუალია წყარო ზ)-ში აღწერილი?

36. რას გეუბნება წყარო ქალისა და კაცის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ? წყაროს მიხედვით, რა პრინციპით განაწილდა დაპყრობილი მიწები ჯვაროსნებს შორის?

37. რაზე მეტყველებს იერუსალიმში დადგენილი წესები? რას დაეფუძნა ქალაქის მართვა და ქვეშევრდომებთან ურთიერთობა?

38. კიდევ რით არის საინტერესო „იერუსალიმის ასიზებიდან“ მოყვანილი ნაწყვეტი?

39. შეავსე სქემა. ტექსტზე და ბ) და გ) წყაროებზე დაყრდნობით გამოყავი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგები (**მოსწავლის რვეული, დავ. 20**).



სურ. 12 I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულები

40. დააკვირდი რუკას. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, რომელ სამეფო-სამთავროს უფრო მყარი პოზიციები ჰქონდა ტერიტორიების შესანარჩუნებლად? პასუხი დაასაბუთე.

§16. რაინდთა ორდენები

ჯვაროსნული სახელმწიფოების შექმნის შემდეგ „წმინდა მიწაზე“ რაინდთა სასულიერო ორდენები შეიქმნა. ისინი მანამდე არსებული ჩვეულებრივი რელიგიური ორდენებისგან (მაგ., ბენედიქტელთა ორდენი VI საუკუნიდან არსებობდა) განსხვავდებოდა. რაინდთა ორდენის წევრებიც დაუქორწინებლობის აღთქმას დებდნენ, მათაც სიღარიბეში უნდა ეცხოვრათ; მაგრამ, რელიგიური ორდენების წევრებისგან განსხვავებით, რომლებიც ბოროტებას „სულიერი მახვილით“ ებრძოდნენ, რაინდები ფიცს დებდნენ, რომ ფიზიკურად, მახვილით ხელში დაიცავდნენ ქრიატიანობასა და ქრისტიანებს.

რაინდთა პირველი ორდენი 1119 წელს რამდენიმე რაინდმა დააარსა. ეს ორდენი ტამპლიერთა სახელითაა ცნობილი.

წყარო ა) იერუსალიმის სამეფო კარის ისტორიკოსი, გიიომ ტვიროსელი, „ზღვის მიღმა მომხდარი საქმეების ისტორია“

„რამდენიმე ჭეშმარიტად მორწმუნე და ღვთის მოშიშმა კეთილშობილმა რაინდმა სურვილი გამოთქვა, რომ ეცხოვრათ მორჩილებაში, სამუდამოდ უარი ეთქვათ საკუთარ სამფლობელოებზე და თავი ეკლესიის უზენაესი მსაჯულისთვის მიეძღვნათ, გამხდარიყვნენ რა მონაზვნური ორდენის წევრები. მათ შორის შედარებით ცნობილი რაინდები იყვნენ ჰიუგ დე პეინი და გოდფრუა დე სენტ-ომერი. რადგან საძმოს ჯერ არც საკუთარი ტაძარი ჰქონდა და არც საცხოვრებელი სახლი, მეფემ დროებით თავშესაფრად თავის ტერიტორიაზე ტაძრის მთის სამხრეთ კალთაზე მდგარი შენობა გამოუყო. ტაძრის ბერებმა გარკვეული პირობების სანაცვლოდ კედლით შემოზღუდული ეზოს ნაწილი ახალ ორდენს დაუთმეს. მეტიც, იერუსალიმის მეფე ბოლდუინ I-მა, მისმა ამალამ და პატრიარქმა თავისი პრელატებით ორდენს მაშინვე მხარდაჭერა გამოუცხადეს და საკუთარი სამფლობელოებიდან მიწები ზოგი სამუდამო და ზოგი სიცოცხლეში სარგებლობის უფლებით გადასცეს. ამით ორდენის წევრებმა საარსებო საშუალება მიიღეს“.



გიიომ ტვიროსელი (1130-1186 წწ.) – იერუსალიმის სამეფო კარის ისტორიკოსი, მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე, იერუსალიმის სამეფოს ელჩი ბიზანტიასა და რომში. ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მემატიანე.

1. წყაროს მიხედვით, რა მიზნით შექმნეს რაინდებმა ორდენი?

2. შენი აზრით, რატომ ეხმარებიან იერუსალიმის მეფე და სხვა საერო პირები რაინდებს?

გიიომ ტვიროსელის თანახმად, პირველი ცხრა წლის განმავლობაში ორდენში მხოლოდ ცხრა რაინდი შედიოდა, ანუ მხოლოდ ისინი, ვინც ორდენის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. მას შემდეგ, რაც მეფემ მათ ტაძრის მთაზე რეზიდენცია უბოძა, რაინდი ბერები ალ-აკსას მეჩეთში დასახლდნენ, რომელიც, ჯვაროსანთა წარმოდგენით, სოლომონის ტაძრის ადგილზე იყო აგებული. სწორედ აქედან წარმოიშვა მათი სახელიც: „სოლომონის ტაძრის რაინდები“, ანუ მოკლედ „ტამპლიერები“ (ლათინური სიტყვიდან ტემპლე – ტაძარი).

ამის შემდეგ ტრადიციად იქცა ტამპლიერებისთვის ძვირფასი საჩუქრების ბოძება. იერუსალიმის მეფე, პატრიარქი და ევროპელი ბარონები ორდენის მატერიალურ დახმარებას თავიანთ საპატიო მოვალეობად მიიჩნევდნენ. ამან ტამპლიერებს საშუალება მისცა, უფრო მოძლიერებულიყვნენ და თავიანთი რიგები გაეფართოებინათ. ტამპლიერებმა მალე ევროპაშიც გაითქვეს სახელი. მრავალი გამოჩენილი ადამიანი მიისწრაფოდა, შეერთებოდა მათ რიგებს.

1128 წელს ჰიუგ დე პეინი და ოთხი ტამპლიერი რომში გაემგზავრა. ისინი პაპს, ჰონორიუს II-ს, შეხვდნენ. რომის პაპმა ქალაქ ტრუაში კრება მოიწვია, რომელზეც ტამპლიერთა ორდენი ოფიციალურად ცნეს და წესდება გადასცეს. ეს წესდება 72 მუხლს შეიცავდა და ლათინურ ენაზე იყო დაწერილი. წესდებაში დადგენილი იყო ტამპლიერთა რელიგიური ვალდებულებები; ყოველდღიური ცხოვრების წესი (მაგ., ტრაპეზი, მარხვა, მოწყალების გაღება, სამოსი, პირადი ჰიგიენა და ა. შ.), მაგისტრისადმი მორჩილების ფორმა და სხვადასხვა სახის აკრძალვა (მაგ., ორდენის არც ერთ წევრს არ ჰქონდა ბოქლომით დაკეტილი სკივრის ქონის უფლება, აკრძალული იყო ხმაური, განკიცხვა, უკმაყოფილების გამოხატვა, პირადი წერილების ან საჩუქრების მიღება დიდი მაგისტრის ნებართვის გარეშე, ქალების ამბორი, მათ შორის დედის ან დის, ნადირობა როგორც მიმინოებით, ისე მშვილდ-ისრით, აკრძალული იყო ანათემას გადაცემულებთან ურთიერთობა, თუმცა მათგან მოწყალების მიღება დაიშვებოდა); ორდენში ახალი წევრების მიღების პირობები.

ტრუას კრებაზევე ჩამოყალიბდა ტამპლიერთა ორდენის რთული ორგანიზაციული და იერარქიული სისტემა. თუ 1128 წლამდე ორდენში მხოლოდ რაინდები შედიოდნენ, ამ კრებაზე მიღებული წესდების მიხედვით, ტამპლიერთა ფიცი შეეძლოთ დაედოთ საჭურველმტვირთველებსაც და მსახურებსაც. ამის გამო ორდენში შემავალ მსახურთა რიცხვმა სწრაფად იმატა. ბრძოლის დროს მსახური მუდამ რაინდის გვერდით უნდა ყოფილიყო და ყველაფერში დახმარებოდა. ისინი ძირითადად მშვილდ-ისრებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებული. გარდა ამისა, ტამპლიერთა ორდენს ემსახურებოდა მრავალი დაქირავებული მებრძოლი – როგორც კავალერია, ისე ქვეითები, რომლებიც შავ ან ყავისფერ სამოსელს ატარებდნენ, რათა თეთრებით შემოსილი რაინდებისგან გამორჩეულიყვნენ.

ტამპლიერთა ორდენის წევრები სამ კატეგორიად იყოფოდნენ: I – კეთილშობილური წარმოშობის სრულუფლებიანი რაინდები, რომლებსაც ორდენში თანამდებობის დაკავება შეეძლოთ; II – მღვდლები, რომლებიც ორდენის ეკლესიებში მსახურობდნენ და III – მსახურები, რაინდების საჭურველმტვირთველები, რომლებიც უბრალო წარმოშობის იყვნენ.

3. რა პრინციპითაა რაინდთა ორდენი აგებული?

4. რატომ დაინტერესდა რომის პაპი რაინდთა ორდენის ჩამოყალიბებით?

5. შენი აზრით, რა ხდიდა ტამპლიერთა ორდენს მიმზიდველს რიგითი თუ სახელმოხვეჭილი ადამიანებისთვის?



სურ. 1 ტამპლიერები ბრძოლისას, ფრესკა ტამპლიერების სამლოცველოდან კრესაკში, საფრანგეთი. XII ს.

6. დააკვირდი ნახატს ტამპლიერთა სამლოცველოდან. რა ინფორმაციას გვაწვდის ის ტამპლიერ რაინდზე? როგორია მისი ჩაცმულობა და აღჭურვილობა?

7. რა არის ნახატის დედააზრი და რატომ იყო ის სამლოცველოს კედელზე გამოსახული?



■ *სურ. 2 ტამპლიერთა ორდენის ბეჭედი.*

ცალ მხარეს გამოსახულია ერთ ცხენზე ამხედრებული ორი რაინდი (ტამპლიერთა წესდების მიხედვით ორ რაინდს ერთი თასიდან უნდა ეჭამა), მეორეზე კი – უფლის საფლავის ტაძარი.

8. შენი აზრით, რატომ შეარჩიეს ტამპლიერებმა ორდენის ბეჭდისთვის ეს გამოსახულებები?

ტამპლიერები, სავარაუდოდ, თვლიდნენ, რომ ეს ორი გამოსახულება ყველაზე უკეთ გადმოსცემდა ორდენის არსს, ამიტომაც დაიტანეს ბეჭედზე. ახსენი მათი სიმბოლური მნიშვნელობა: რატომ იყო მათი კონტექსტი ტამპლიერისთვის საამაყო?

I ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე იყო შემთხვევები, როცა ეკლესია ომს მხარს უჭერდა, თუმცა ეს ომი „საღვთო ომად“ არ იწოდებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ომი სამართლიანად მიიჩნეოდა, მასში მონაწილეობა ხელს უშლიდა სულის ხსნას. ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში დამოკიდებულება ომის მიმართ შეიცვალა. ამიერიდან ომში მონაწილეობა არათუ ცოდვად, არამედ, პირიქით, ცოდვის გამოსყიდვის საშუალებადაც კი მიიჩნეოდა. ამ შეცვლილი დამოკიდებულების მაჩვენებელია I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ შექმნილი სამონაზვნო ორდენების ისტორია. მაგ., თუ თავდაპირველად ტამპლიერების მთავარი მოვალეობა „წმინდა მიწაზე“ მოსალოცად ჩასული ქრისტიანი პილიგრიმების დაცვა იყო, ძალიან მალე მათი ფუნქციები გაფართოვდა და პილიგრიმების გარდა, თავად იერუსალიმის სამეფოსაც იცავდნენ. ტამპლიერების ორდენს „წმინდა მიწაზე“ არაერთი ციხესიმაგრე გადაეცა. სხვა ბერების მსგავსად, მათაც დადეს მორჩილებისა და უპოვრობის ფიცი, მაგრამ ტამპლიერები, ისევე როგორც სხვა რაინდთა ორდენის წევრები, ბერ-მონაზვნებისგან განსხვავებით, ღმერთს იარაღით ხელში ემსახურებოდნენ.



ტამპლიერების გარდა, არსებობდა მეორე – ჰოსპიტალიერების, იგივე იოანიტების – ორდენიც. იერუსალიმში, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ნაეკლესიარზე, ჯერ კიდევ XI საუკუნის I ნახევრიდან არსებობდა წმინდანის სახელობის ჰოსპიტალი, რომელიც ეგვიპტის ხალიფის ნებართვით იტალიელმა ვაჭრებმა დააარსეს. იქ ავადმყოფ და ღარიბ ქრისტიან მომლოცველებს ეხმარებოდნენ და მკურნალობდნენ.

1099 წელს ფრანგმა რაინდმა ჟერარ დე მარტიგმა საძმო შექმნა და წმინდა მიწაზე ჩამოსული მლოცველებისთვის, როგორც კაცების, ისე ქალებისთვის, ორი თავშესაფარი დააარსა. საძმოს წესდება 1113 წელს რომის პაპმა დაამტ-

კიცა. ჟერარ დე მარტიგის მემკვიდრემ, რაიმონ დე პიუიმ ქრისტეს საფლავის ტაძართან ჰოსპიტალი ააგო, სადაც იერუსალიმის სამეფოში ჩასულ პილიგრიმებზე ზრუნავდნენ. ქველმოქმედება ქრისტიანული ეთიკის კოდექსის ნაწილი იყო. მაღალი ფენის წარმომადგენლები შეწირულობას უხვად გასცემდნენ, მაგრამ ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევა სიახლე გახდა. იოანიტების ორდენმა წესდებაში გააერთიანა ორი პრინციპი: ქველმოქმედება და ახალი მონაზვნური იდეოლოგია. მალევე ორდენი ძლიერი გასამხედროებული ორგანიზაცია გახდა. ორდენთა წევრების უფლება-მოვალეობები მკაცრად იყო განსაზღვრული. ისინი ორდენის გროსმაისტერს, ანუ დიდ მაგისტრს, ემორჩილებოდნენ, მაგისტრი კი მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა.

ჰოსპიტალიერ (იოანიტ) რაინდებს საკუთარი განსხვავებული ჩაცმულობა ჰქონდათ – შავი მოსასხამი თეთრი ჯვრით. მართალია, თავდაპირველად ორდენების წესდება წევრების სიღარიბეში ცხოვრებას ითვალისწინებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ორივე ორდენმა დიდი სიმდიდრე დააგროვა. მათ სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ 1244 წლისთვის ორდენის საკუთრებაში 29 მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე იყო.

9. შენი აზრით, რატომ გაჩნდა წინააღმდეგობა ჯვაროსანთა ორდენების წესდებასა და ცხოვრების რეალურ წესს შორის?

წყარო: ტამპლიერთა ორდენის წესდება, XII საუკუნე

მსუბუქი და მძიმე დანაშაულის შესახებ

თუ რომელიმე ძმამ საუბრისას, სამხედრო სამსახურში ან სხვაგან რამე უმნიშვნელო დანაშაული ჩაიდინა, ჯობია, თვითონ უთხრას თავისი დანაშაულის შესახებ მაგისტროსს, ვიდრე ვინმე სხვამ. მსუბუქი დანაშაულისათვის ის მსუბუქად დაისჯება. მაგრამ თუ დამნაშავე დუმს და მისი დანაშაულის შესახებ სხვა იტყვის, დაე, უფრო დიდი სასჯელი დაედოს მას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თვითონ აღიარებდა. მაგრამ თუ დანაშაული ძალიან მძიმეა, დაე, განიკვეთოს საძმოდან და არ მიეცეს მათთან ტრაპეზის უფლება. მხოლოდ ღმერთი განსაზღვრავს, გადარჩება თუ არა ის განკითხვის დღეს.

კითხვის შესახებ

საუზმისა და სადილის დროს იკითხეთ წმინდა წერილი. თუ გიყვართ უფალი, მაშინ დიდი ყურადღებით მოუსმინეთ მის მხსნელ სიტყვებს და მითითებებს. წმინდა წერილის კითხვის დროს დაიცავით სიჩუმე.

ყველა ქალის კოცნისთვის თავის არიდების შესახებ

ნებისმიერი ღვთისმოსავი ადამიანისათვის სახიფათოა ქალის სახისათვის ზედმეტი ყურადღების მიქცევა. ამიტომ არც ერთ ძმას არ უნდა სურდეს ქვრივის ან მოახლის, ან დედის, ან დის, ან სხვა ქალის კოცნა. ამიტომ ქრისტეს მეომრებმა თავი უნდა აარიდონ ქალის კოცნას, რათა ძმები უფლის წინაშე სუფთა სინდისითა და უმწიკვლო სულით წარდგნენ.

რომ პურის მეათედი ყოველთვის ქველმოქმედებას უნდა მოხმარდეს.

სიღარიბე იმსახურებს ჯილდოს, რომელიც ცათა სასუფეველში, უდავოდ, მომზადებულია ღარიბთათვის. თქვენ, რომლებისთვისაც ქრისტიანული რწმენა ჭეშმარიტებაა, ნაბრძანები გაქვთ, თქვენი პურის მეათედი ყოველდღე გასცეთ მოწყალების სახით.

ჰოსპიტალიერთა ორდენის წესდება, XII საუკუნე

I. ყოველი ძმა, რომელიც ორდენის წევრი გახდება, ვალდებულია, წმინდად დაიცვას სამი აღთქმა: უბიწობის, მორჩილებისა და ნებაყოფლობითი სიღარიბის.

XVIII. თუ ორი ძმა ერთად არის და ერთი მათგანი ბოროტებასა და მანკიერებას სჩადის, მაშინ მეორემ არ უნდა უთხრას ამის შესახებ არც ხალხს და არც წინამძღოლს. ცოდვილს ჯერ უნდა მიეცეს საკუთარი ცოდვების გამოსყიდვის საშუალება. და თუ არ

მოინანიებს, მაშინ უნდა დაისაჯოს. და თუ ამის შემდეგაც არ გამოსწორდება, მაშინ მან უნდა ჩამოწეროს თავისი ცოდვები ქაღალდზე და გაუგზავნოს მონასტრის წინამძღვარს, ის კი გადაწყვეტს, სასჯელი რა იქნება.

XIX. ერთმა ძმამ არ უნდა დაადანაშაულოს მეორე მტკიცებულებების გარეშე. და თუ ერთი ძმა ადანაშაულებს მეორეს მტკიცებულების გარეშე, მაშინ ის დამნაშავეა.

XIV. მონასტერში დაღუპული ყველა ძმისთვის ოცდაათი ლიტურგია უნდა აღესრულოს. ყველას სახელზე კი თითოეულმა ძმამ უნდა დაანთოს სანთელი. ხოლო თუ წირვას ატარებს მღვდელი, რომელიც არ არის ორდენიდან, მაშინ ის უნდა უზრუნველყონ სისხლით და ხორცით (ზიარებით). დაე, მიცვალებულის მთელი ტანისამოსი ღარიბებს გადაეცეს. დაე, ყოველმა მღვდელმა წაიკითხოს ფსალმუნი და თითოეულმა ძმამ 150-ჯერ „მამაო ჩვენო“ გარდაცვლილის სულისათვის.

10. შეადარე ერთმანეთს ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენის წესდებები. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?

11. მოცემული წესები მორწმუნეთა ცხოვრების რომელ ასპექტებს განსაზღვრავდა? შენი აზრით, რომელი მათგანი უფრო მკაცრია საკუთარი წევრების მიმართ? პასუხი დაასაბუთე.

12. შეავსე ცხრილი. ერთმანეთს შეადარე ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების ორდენები (**მოსწავლის რვეული, დავ. 21**).





სურ. 2 ჰოსპიტალიერთა ციხესიმაგრე სირიაში

სურ. 3 წარწერა ჰოსპიტალიერთა ციხესიმაგრის კედელზე: შეიძლება იყო გულუხვი, შეიძლება გქონდეს სიბრძნე, შეიძლება მოგეცეს სილამაზე; მხოლოდ თანამდევი სიამაყე ბილწავს ამ ყველაფერს.



სურ. 4 იერუსალიმის სამეფოს მონეტა. მონეტაზე არაბულად აწერია: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა, ერთი ღმერთი



სურ. 5 ანტიოქიის სამთავროს მონეტა. მასზე გამოსახულია ბოემუნდ III

მართალია, თავიდან ორდენების წესდება წევრების სიღარიბეში ცხოვრებას ითვალისწინებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ორივე ორდენმა დიდი სიმდიდრე დააგროვა. ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცემის შემდეგ ტამპლიერები საფრანგეთში მოღვაწეობდნენ, სადაც მევახშეობით, სესხის გაცემით დიდი ქონება დააგროვეს. მათი გავლენა საფრანგეთში ისე გაიზარდა, რომ XIV საუკუნეში მეფე ფილიპ IV ლამაზმა ეს ორდენი გაანადგურა. რაც შეეხება იოანიტებს, ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა კუნძულზე საქმიანობდნენ, საბოლოოდ კი კუნძულ მალტაზე დამკვიდრდნენ, სადაც მალტის ორდენი დააარსეს. ამ ორი ორდენის გარდა, ევროპაში არსებობდა XII საუკუნეში „წმინდა მიწაზე“ გერმანელი რაინდების მიერ დაარსებული ტევტონთა ორდენი, არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ესპანელების კალატრავას ორდენი და სხვ.

13. შენი აზრით, რა სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული ასეთი ციხესიმგრის მშენებლობა?

14. რა წარმოდგენას გვიქმნის ციხესიმაგრე ჰოსპიტალიერთა ორდენზე?

15. რა მნიშვნელობა ჰქონდა ციხესიმაგრის კედელზე წარწერის აღმოჩენას? როგორ ახასიათებს ის ჰოსპიტალიერებს?

16. გაიხსენე, რომელი დიციპლინა შეისწავლის ამ ტიპის წყაროებს?

17. რა ინფორმაციას გაწვდის ჯვაროსნული სამთავროების მონეტები და ბეჭედი?

18. გაიხსენე, რომელი დისციპლინა შეისწავლის მონეტებს?

19. წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ და საქართველოში ერთ-ერთი ციხესიმაგრის გათხრის დროს ჯვაროსანთა მონეტები აღმოაჩინე. რა ვარაუდებს გამოთქვამ ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით?



რაინდი ქალები

იდა ავსტრიელი

იყო იშვიათი შემთხვევები, როცა ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქალებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი ასეთი რაინდი ქალი იყო იდა ავსტრიელი – ავსტრიის მარკგრაფის, ლეოპოლდ II ლამაზის ცოლი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ იდა ჯვაროსანთა რიგებს შეუერთდა და 1101 წელს გერმანიის, ბალკანეთისა და კონსტანტინოპოლის გავლით პალესტინისკენ გაეშურა. ჯვაროსანთა ამ რაზმს სათავეში აკვიტანიის ჰერცოგი გიიომ IX ედგა. მოლაშქრეებს მცირე აზიაში თავს თურქ-სელჩუკები დაესხნენ და გაანადგურეს, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა თუ მოახერხა გადარჩენა. იდა ავსტრიელის კვალიც ამ ბრძოლაში იკარგება.

სურ.6 იდა ავსტრიელი. შუა საუკუნეების მინიატურა

ფლორინა ბურგუნდიელი

ჯვაროსნულ ეპოქაში არსებობდა ლეგენდა ფლორინა ბურგუნდიელის შესახებ. ითვლებოდა, რომ ფლორინა ბურგუნდიის ჰერცოგის, ედ წითურისა და სიბილას ქალიშვილი იყო. ფლორინა დანიშნული იყო დანიელ უფლისწულზე – სვენზე, ჯვაროსნულ ქრონიკაში ის ისე იხსენიება, როგორც სვენ ჯვაროსანი. ლეგენდის თანახმად, ფლორინა და სვენი მოუთმენლად ელოდნენ საკუთარ ქორწილს, მაგრამ I ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებისთანავე გადაწყვიტეს, დაქორწინებამდე სალაშქროდ წასულიყვნენ. ისინი ათას ხუთას დანიელ რაინდთან ერთად გაეშურნენ „წმინდა მიწისკენ“. მცირე აზიის გადალახვისას მათ თავს დაესხნენ სელჩუკები. სასტიკი ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა. ყველა დანიელი რაინდი ბრძოლის ველზე დაეცა, ფლორინა და სვენი კი გვერდიგვერდ აგრძელებდნენ ბრძოლას მაშინაც კი, როცა ფლორინას შვიდი ისარი მოხვდა. შეყვარებულები ბრძოლის ველზე ერთად დაიღუპნენ.

20. რაზე მეტყველებს, რომ რაინდ ქალზე ლეგენდა შეიქმნა?

21. შეიძლება თუ არა ლეგენდა ფლორინა ბურგუნდიელზე ისტორიულ წყაროდ ჩავთვალოთ? პასუხი დაასაბუთე.

22. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ლეგენდის ისტორიულ წყაროდ გამოყენებას?

23. შეავსე ცხრილი. გააანალიზე, რა არის ნამდვილი და რა გამოგონილი ფლორინა ბურგუნდიელის ლეგენდაში (**მოსწავლის რვეული, დავ. 22**).

§17. II და III ჯვაროსნული ლაშქრობები

II ჯვაროსნული ლაშქრობა

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატების მიუხედავად, ჯვაროსანთა წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. პირველ რიგში, აუცილებელი იყო დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება, რაც მტრულად განწყობილ გარემოში არც ისე ადვილი იყო. წმინდა ქალაქის აღების შემდეგ მრავალმა ჯვაროსანმა ჩათვალა, რომ მისია შესრულებული იყო და ევროპაში დაბრუნდა. ამდენად, აღმოსავლეთში ახალშექმნილ ქრისტიანულ სახელმწიფოებს ცოცხალი ძალა არ ჰყოფნიდათ.

1144 წელს მუსლიმმა მმართველებმა ედესის სამთავრო დაიპყრეს. ედესის დაცემას მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა (1145-1149 წწ.) მოჰყვა. 1145 წელს პაპმა ევგენიუს III-მ გამოსცა ბულა, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა. თავდაპირველად ამ ბულას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუმცა უკვე 1146 წელს საფრანგეთის მეფე ლუი VII-მ (1137-1180 წწ.) მზადყოფნა გამოთქვა, ახლო აღმოსავლეთში ელაშქრა. მას მალე საღვთო რომის იმპერატორი, კონრად III (1138-1152 წწ.), შეუერთდა. ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის გავრცელება და დიდგვაროვანთა დათანხმება უმეტესწილად გავლენიანი სასულიერო პირის, კლერვოს მონასტრის აბატის – ბერნარ კლერვოელის დამსახურებაა. ის დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთსა და გერმანულ მიწებზე საჯარო ქადაგებებით გამოდიოდა და მეფეებსა თუ დიდგვაროვნებს ხვდებოდა.

ფრანგთა და გერმანელთა არმიები 1147 წლის გაზაფხულზე დაიძრნენ და შემოდგომაზე უკვე კონსტანტინოპოლში იყვნენ. ბიზანტიის დედაქალაქში შეკრებილი ევროპელები არც ბერძნებს ენდობოდნენ და არც ერთმანეთს, რამაც ლაშქრობის შედეგზეც იმოქმედა.

კონრად III-მ გადაწყვიტა, სამხრეთით მანამდე წასულიყო, სანამ ფრანგთა მთელი არმია კონსტანტინოპოლში ჩავიდოდა. ბიზანტიის იმპერატორმა მანუელ I-მა (1143-1180 წწ.) მას რაზმი გააყოლა და ურჩია, სანაპირო ზოლის გასწვრივ წასულიყვნენ. კონრადმა იმპერატორს არ დაუჯერა და პირდაპირ ნიკეისკენ გაემართა. იქიდან გერმანელებმა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მარშრუტი აირჩიეს. სანამ კონრადი და მისი ლაშქარი ბიზანტიის კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მომარაგება არ მოჰკლებიათ, მაგრამ თურქთა მიწებზე სრულიად მოუმზადებლები გადავიდნენ. წყურვილისგან შეწუხებულმა გერმანელებმა ძლივს მიაღწიეს დორილეუმს, სადაც მათ თურქთა დიდძალი ლაშქარი დახვდათ. დაუძლურებულ ჯვაროსნებს წინააღმდეგობის გაწევის ძალა თითქმის აღარ ჰქონდათ და მუსლიმებმა ისინი ადვილად დაამარცხეს. კონრადის ლაშქრის ცხრა მეათედი ბრძოლის ველზე დაეცა. კონრადმა და გადარჩენილმა მებრძოლებმა გაჭირვებით მიაღწიეს ნიკეას, სადაც მათ მცირე ხანში ლუი VII და ფრანგთა არმია შეუერთდა. ამჯერად ევროპელმა მეფეებმა მანუელის რჩევა გაითვალისწინეს და სანაპიროს გზა აირჩიეს. ეფესოში კონრადი მძიმედ გახდა ავად და ის კონსტანტინოპოლში წაიყვანეს, ხოლო ფრანგებმა სვლა განაგრძეს. გზა საკმაოდ ძნელი იყო. ჯვაროსნებს ხშირად უწევდათ თურქთა თავდასხმების მოგერიება. მთელი ექსპედიციის განმავლობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტამპლიერთა ორდენის რაინდებმა, რომლებიც უმძიმეს სიტუაციაშიც კი ინარჩუნებდნენ დისციპლინას და ყოველთვის მზად იყვნენ მეტოქის მოსაგერიებლად. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდა ტამპლიერებისთვის, რომელიც მათ წარმატებით ჩააბარეს და დიდწილად მათი დამსახურებაა, რომ ფრანგთა ლაშქარმა გზაში გერმანელი ჯვაროსნების ბედი არ გაიზიარა.

1148 წელს ჯვაროსნებმა დამასკოს აღება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მომდევნო წელს ისინი ისევ დამარცხდნენ მუსლიმებთან ბრძოლაში. მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა მარცხით დასრულდა.

1. დააკვირდი რუკაზე ედესის სამთავროს მდებარეობას. რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მას დანარჩენი სამეფო-სამთავროებისთვის?

2. რატომ დამარცხდა II ჯვაროსნული ლაშქრობა?

3. რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჯვაროსნული სამეფო-სამთავროებისთვის ედესის დაკარგვას?


II ჯვაროსნული ლაშქრობა
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
ატლანტის ოკეანე
ირლანდია
გართკელინი
უელსი
ინგლისი
ლონდონი
პორტსმუთი
ბრიუგე
ანტვერპენი
ლიეჟი
რუენი
რენი
პარიზი
მეცი
მაინცი
ფრანკფურტი
ნიურბერგი
პრაღა
პოლონეთი
ვროცლავი
მაგდებურგი
ლაიფციგი
ჰამბურგი
დანია
ორჰუსი
როსკილდე
ფსკოვი
სტრასბურგი
აუგსბურგი
რეგენსბურგი
ვენა
ბუდა
უნგრეთი
საფრანგეთი
სალვთო რომის იმპერია
ლიმოჟი
ქლერმონი
ბორდო
ლიონი
ლეონი
პუენი
ალბი
ტულუზა
ტურინი
მილანი
ვენეცია
ავინიონი
გენუა
მარსელი
ტულონი
ზადარი
ლეონი
არაგონი
კასტილია
სარაგოსა
ლისაბონი
პორტუგალია
ტოლედო
ბარსელონა
ვალენსია
გრანადა
ალმერია
ალჟირი
მესინა
რომი
სიცილიის სამეფო
ნეაპოლი
ადრიანოპოლი
კონსტანტინოპოლი
თესალონიკი
ბრკეა
ბიზანტიის იმპერია
მაგნეზია
ლესბოსი
ცხუმი
ქუთაისი
თბილისი
საქართველო
ვარძია
ანისი
შავი ზღვა
ვარნა
რაგუზა
რუმის სასულთნო
კონია
ტარსუსი
ედესა
მოსული
ანტიოქია
რაქა
ჰამა
ჰომსი
ტრიპოლი
დამასკო
ტვიროსი
აკრა
იერუსალიმი
ალექსანდრია
ხმელთაშუა ზღვა
აღმოჰადების სახელმწიფო
ფატიმიდების სახალიფო
კაირო
რუკის პირობითი აღნიშვნები
ქალაქი
ლუი VII-ის ლაშქრობის მარშრუტი
კონრად III-ის ლაშქრობის მარშრუტი
დანარჩენი ჯვაროსნები
კათოლიკე ქრისტიანები
მართლმადიდებელი ქრისტიანები
მუსლიმები
სომეხი ქრისტიანები
ჯვაროსანთა სახელმწიფოები

III ჯვაროსნული ლაშქრობა

XII საუკუნის II ნახევრიდან ფატიმიანთა სახელმწიფომ დასუსტება დაიწყო. 1171 წელს უკანასკნელი ფატიმიანი ხალიფის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღო ვეზირმა სალაჰ ად-დინმა, ანუ სალადინმა, როგორც მას ევროპელები ეძახდნენ. ამით ფატიმიანთა სახალიფომ არსებობა შეწყვიტა. სალაჰ ად-დინი ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველი და ახალი აიუბიანების დინასტიის დამაარსებელი გახდა. მან სულთნის ტიტული მიიღო და დაპყრობითი ომები დაიწყო. XII საუკუნის 70-იან წლებში დაიკავა სირია, შუამდინარეთი, იემენი. მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში არა მარტო ფატიმიანების, არამედ ყოფილი აბასიანთა სახალიფოს მიწების ნაწილიც შევიდა. 1187 წელს სალაჰ ად-დინის ჯარებმა პალესტინაში, სოფელ ჰატინთან ბრძოლაში ჯვაროსნები სასტიკად დაამარცხეს, ცოტა ხანში იერუსალიმიც აიღეს და ევროპელები სირიისა და პალესტინის დიდი ნაწილიდან განდევნეს.



სურ. 1 ბრძოლა დამასკისთვის. შუა საუკუნეების მინიატურა

წყარო ა) გიიომ ტვიროსელი, „ზღვის მიღმა მომხდარი საქმეების ისტორია“

„ჩვენი დიდი პაპები მორწმუნენი და ღვთისმოშიშნი იყვნენ და ახლა მათ ადგილას სუსტი თაობა წამოიზარდა, ცოდვილი შვილები, რომლებიც ქრისტიანულ რწმენას აყალბებენ და ყოველგვარ უკანონობას სჩადიან...

ადრე, პირველები (იგულისხმება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პირველი ქრისტიანული ტალღა), ვინც აღმოსავლეთის მიწაზე ღვთის ნებით მოვიდნენ, სულიერი ენთუზიაზმით აღტყინებულნი იყვნენ. მათ სამხედრო დისციპლინა და წვრთნა ჰქონდათ.

ადრე ყველა მუსლიმურ ქალაქს თავისი მმართველი ჰყავდა. ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული არ იყვნენ და საერთო ინტერესები არ ამოძრავებდათ. პირიქით, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ მიდიოდნენ კიდეც. მაგრამ ვითარება შეიცვალა... ახლა, ღვთის განგებით, ყველა მოსაზღვრე მუსლიმური სამეფო ერთი კაცის ხელში გაერთიანდა“.

4. მონახე წყაროში ადგილები, სადაც ჩანს, რომ ავტორი ევროპელი ქრისტიანია.

5. ქრისტიანული სამეფო-სამთავროების დასუსტების რა მიზეზებს ასახელებს გიიომ ტვიროსელი?

6. როგორ ახასიათებს ისლამურ სამყაროში შექმნილ ვითარებას ავტორი? იმსჯელე, რამდენად მართებულად გადმოსცემს ამ პროცესს.

7. T დიაგრამის გამოყენებით შეადარე ერთმანეთს გიიომ ტვიროსელის მიერ წარმოდგენილი ორი რეალობა: წინაპრების დროინდელი და მისი თანამედროვე (**მოსწავლის რვეული, დავ. 23**).

წყარო ბ) იბნ ალ-ასირი, „სრული ისტორია“

„იერუსალიმის დაცემის შემდეგ ფრანკებმა შავი სამოსი ჩაიცვეს და ზღვის იქით ქვეყნებთან დახმარების სათხოვნელად წავიდნენ. ადამიანებში სამაგიეროს გადახდის სურვილი რომ გაეღვივებინათ, თან დაჰქონდათ ნახატი: არაბი, რომელიც დაუნდობლად ურტყამდა დასისხლიანებულ მესიას. ისინი ამბობდნენ: „შეხედეთ, აი, მესია და აი, მუჰამედი, მუსლიმთა მოციქული, რომელიც კლავს მას!“. აღელვებული ფრანკები, მათ შორის ქალებიც, სალაშქროდ ემზადებოდნენ, ისინი კი, ვინც წასვლას ვერ ახერხებდა, დანახარჯებს უნაზღაურებდნენ მათ ნაცვლად წასულებს. ჩვენი მტრებიდან ერთი ტყვედჩავარდნილი მიყვებოდა, რომ ის ერთადერთი შვილი იყო და დედამ მისი იარაღ-საჭურველის საყიდლად სახლი გაყიდა. მიზნის მისაღწევად ფრანკები მზად იყვნენ, საკუთარი რწმენითა და სულიერი სიმტკიცით წარმოუდგენელი სიძნელეები გადაელახათ“.

8. როგორ ახასიათებს არაბი ავტორი ფრანკებს, ანუ ევროპელებს?

9. წყაროში რომელი ადგილები მიუთითებს, რომ წყაროს ავტორი მუსლიმია?

10. არაბი ავტორის მიხედვით, როგორი განწყობაა ევროპულ საზოგადოებაში სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ?

11. წარმოიდგინე, რომ იმ პერიოდის ევროპელი ავტორი ხარ. გადმოეცი იგივე ამბავი ამ თვალთახედვით.

იერუსალიმის დაცემამ ევროპაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. იმ დროის ევროპის სამმა ყველაზე ძლიერმა მონარქმა – ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულმა (1189-1199 წწ.), საფრანგეთის მეფე ფილიპ II ოგიუსტმა (1180-1223 წწ.) და საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ (1155-1190 წწ.) მონაწილეობა მიიღეს III ჯვაროსნულ ლაშქრობაში. პირველად აღმოსავლეთში 1189 წელს 100-ათასიანი ჯარით ფრიდრიხ I გამოჩნდა. მან რუმის სასულთნოს დედაქალაქი იკონია აიღო, მაგრამ ანტიოქიისკენ მიმავალი ფრიდრიხი ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას დაიხრჩო. მისი არმიის დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო მცირე ნაწილმა გზა განაგრძო და ინგლისელ და ფრანგ ჯვაროსნებს შეუერთდა.

რიჩარდ I-ისა და ფილიპ II-ის ჯარები 1189 წლის ზაფხულში წმინდა მიწაზე ჩავიდნენ და ქალაქ აკრის ალყა დაიწყეს. ალყამ ორ წელიწადს გასტანა და საბოლოოდ ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს. თუმცა მალე მეფეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ფილიპ II სამშობლოში დაბრუნდა.



სურ. 2 რიჩარდ I-სა და ფილიპე II-ს გადასცემენ ქალაქ აკრის გასაღებს. შუა საუკუნეების მინიატურა

■ *რუკა 14. III ჯვაროსნული ლაშქრობა*

12. რუკის მიხედვით, რომელი ევროპული სახელმწიფოებიდან დაიძრნენ ჯვაროსნები „წმინდა მიწის“ მიმართულებით?

13. როგორ ფიქრობ, „წმინდა მიწაზე“ მისაღწევად რატომ ამჯობინა ჯვაროსანთა უმეტესობამ საზღვაო გზა?

14. ხმელთაშუა ზღვაში არსებული რომელი კუნძული შეიძლებოდა ყოფილიყო ჯვაროსანთა დასაყრდენი „წმინდა მიწაზე“ შეტევისთვის?

რიჩარდ I-მა მარტო განაგრძო ბრძოლა. მან ორ ბრძოლაში დაამარცხა სალადინის არმია (ერთ-ერთ ბრძოლაში გამოვლენილი ვაჟკაცობისთვის მას „ლომგული“ შეარქვეს); რიჩარდმა აიღო, შემდეგ დაკარგა და მერე ისევ დაიბრუნა ქალაქი იაფა (მეორედ 55 რაინდით). მას იერუსალიმის აღებაც შეეძლო, მაგრამ იცოდა, რომ ქალაქის შესანარჩუნებლად ძალა არ ეყოფოდა. ამიტომ სალადინთან დაზავება არჩია. ზავის თანახმად, იერუსალიმის სამეფო აგრძელებდა არსებობას, ოღონდ მისი დედაქალაქი აკრაში უნდა ყოფილიყო. იერუსალიმი სალადინის ხელში რჩებოდა იმ პირობით, რომ ქრისტიან მლოცველებსა და ვაჭრებს ამ ქალაქში შესვლა და გადაადგილება თავისუფლად უნდა შესძლებოდათ.

იმის მიუხედავად, რომ მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში რიჩარდ I-მა ვერ მოახერხა იერუსალიმის დაბრუნება, მის გმირობაზე კიდევ დიდხანს ჰყვებოდნენ როგორც ქრისტიანები, ისე მუსლიმები. შეიქმნა ნაწარმოებები, მაგ., პოემა „საღვთო ომის ისტორია“, რომელშიც რიჩარდ ლომგულის გმირობები იყო გადმოცემული.

წყარო გ) იბნ ალ ასირი რიჩარდ ლომგულის შესახებ:

„იგი თავისი დროის გამორჩეული ადამიანი იყო სიმამაცით, ეშმაკობით, გამძლეობითა და მოთმინებით. სწორედ მის გამო მოუწიათ მუსლიმებს დიდი განსაცდელის გადატანა“.

წყარო დ) გიიომ ტვიროსელი რიჩარდ ლომგულის შესახებ:

„მერე რიჩარდის დიდება ძალიან დიდი ხანი შიშის ზარს სცემდა სარკინოზებს, ბავშვი თუ ატირდებოდა, დედა ეუბნებოდა: „გაჩერდი, თორემ ინგლისის მეფე წაგიყვანსო!“ როცა რომელიმე სარკინოზს ჭენებისას ცხენი გაუძალიანდებოდა, მხედარი ასე მიმართავდა: „იცი, რომ მეფე რიჩარდი აი, იმ ბუჩქთანაა ჩასაფრებული?“ როდესაც ვინმე ცხენს წყალს ასმევდა, ეუბნებოდა: „იცოდე, რომ ინგლისის მეფეა ამ წყალში“.

15. რას ადასტურებს გ) და დ) წყაროები? რატომ არის მნიშვნელოვანი რიჩარდ ლომგულის დასახასიათებლად ეს წყაროები? როგორ ფიქრობ, დროთა განმავლობაში შეიძლება თუ არა შეიცვალოს დამოკიდებულება ისტორიული პირის მიმართ? იმსჯელე, რა შეიძლება გახდეს ამის მიზეზი.

16. გაეცანი ტექსტსა და წაყროებს მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაზე და შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 24**).

ამინ მაალუფი, „ჯვაროსნული ლაშქრობები არაბების თვალით“

სალაჰ ად-დინი იერუსალიმის ასაღებად ემზადებოდა. სალადინმა იერუსალიმის მცხოვრებლებს შესთავაზა, ქალაქი უბრძოლველად გადაეცათ, ქალაქის დატოვების მსურველებს შეეძლოთ საკუთარი ქონებით წასვლა, სალადინი ქრისტიანთა სალოცავების დაცვისა და პატივისცემის პირობას დებდა, მომლოცველები ყოველთვის შეძლებდნენ იერუსალიმში შესვლასა და მოლოცვას. მაგრამ ამ შეთავაზებაზე ქალაქის მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს. მაშინ სალადინმა ქალაქის ბრძოლით აღება გადაწყვიტა.

ალყაშემორტყმული ქალაქის დაცვა ბალიან დე იბელინიმ ითავა. ბალიანის ცოლი იმ დროს იერუსალიმში იმყოფებოდა. მოგვიანებით ბალიანმა ალყაშემორტყმულ ქალაქში შესასვლელად სალადინისგან ნებართვა ითხოვა იმ პირობით, რომ ცოლის მოსაძებნად ქალაქში უიარაღოდ შევიდოდა და მხოლოდ ერთი ღამე დარჩებოდა. მაგრამ იერუსალიმში შესულ რაინდს მცხოვრებლებმა დარჩენა და დაცვის ორგანიზება თხოვეს. დათანხმების შემთხვევაში ბალიანს სულთანთან დადებული პირობის დარღვევა მოუწევდა, ამიტომ პირადად მივიდა სალადინთან და ჰკითხა, რა ექნა. სალადინმა ის პირობის შესრულების ვალდებულებისგან გაათავისუფლა. მაშინ რაინდი იერუსალიმში დაბრუნდა და თავდაცვისთვის მზადება დაიწყო. რადგან ორგანიზაციული საკითხებით ძალიან დაკავებული იყო და დრო არ ჰქონდა, ცოლი უსაფრთხო ადგილზე გადაეყვანა, სულთანმა თავად გამოუყო ესკორტი ტვიროსში გადასაყვანად.

20 სექტემბერს იერუსალიმისთვის ბრძოლა დაიწყო. 29 სექტემბერს მუსლიმებმა უკვე გალავნის გარღვევა მოახერხეს. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. მაშინ ბალიანი სალადინთან შესახვედრად გამოვიდა:

ბალიანი სიცოცხლის გარანტიას ითხოვდა, მაგრამ სალადინი არაფერს ჰპირდებოდა. ბალიანი მისი პოზიციის შერბილებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. მაშინ სულთანს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სულთანო, დაე, იცოდე, რომ ამ ქალაქში მრავალი ადამიანი იმყოფება. ისინი არ ცდილობენ ბრძოლაში ჩაბმას, რადგან ჰგონიათ, რომ შენ სიცოცხლეს შეუნარჩუნებ, როგორც სხვა დროს გაგიკეთებია. მათ უყვართ სიცოცხლე. მაგრამ თუ დავინახავთ, რომ სიკვდილი გარდაუვალია, ღმერთს გეფიცები, დავხოცავთ ჩვენს შვილებსა და ცოლებს, დავწვავთ ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ბოლოს კი საბრძოლველად გამოვალთ არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის და თითოეული ჩვენგანი მრავალ თქვენიანს მოკლავს“.

სალადინზე მუქარამ არა, მაგრამ გრძნობებმა კი მოახდინა შთაბეჭდილება. მან თავის მრჩევლებს ჰკითხა, შეეძლო თუ არა, მუსლიმური სიწმინდეების დასაცავად დაერღვია ქალაქის იარაღით აღებაზე დადებული ფიცი. მრჩევლები დათანხმდნენ იმ პირობით, რომ ფრანკები, ანუ ევროპელები, გამოსასყიდს გადაიხდიდნენ. ბალიანმა თანხმობა მიიღო და თავის ხალხს იარაღის დაყრა უბრძანა.

1187 წლის 2 ოქტომბერს სალაჰ ად-დინმა იერუსალიმი აიღო და თავისი მეომრები გააფრთხილა: არ დაეხოცათ და არ გაეძარცვათ ქრისტიანები. მუსლიმთა ნაწილმა უფლის საფლავის ტაძრის დანგრევა მოისურვა, მაგრამ სულთანმა მათი სურვილი არ შეასრულა და დასძინა, რომ ფრანკებს ყოველთვის შეეძლებოდათ მისი მოლოცვა. თუმცა კლდეში ტაძარზე ჯვარი მოხსნეს, ეკლესიად გადაკეთებული ალ-აკსას მეჩეთი კი ისევ მუსლიმთა სალოცავად აქციეს.

სალადინის ძმამ, ალ-ადელმა, ათასი ღარიბის გამოსასყიდის გარეშე გათავისუფლება ითხოვა. როცა ეს ამბავი იერუსალიმის პატრიარქმა გაიგო, სულთანს თავის მხრივ კიდევ 700 კაცის გაშვება სთხოვა, ბალიანმაც 500 კაცი დაამატა. სალადინმა ისინი გაუშვა, შემდეგ კი საკუთარი ინიციატივით, ყველა ასაკოვან ტყვეს ქალაქის თავისუფლად დატოვების საშუალება მისცა, ასევე თავისუფლება უბოძა ტყვეობაში ჩავარდნილ ოჯახის თავებს, ქვრივებსა და ობლებს და ქალაქიდან გაშვებამდე დაასაჩუქრა კიდეც.

17. წყაროს მიხედვით, რა არჩევანის წინაშე დააყენა ეგვიპტის სულთანმა იერუსალიმის ქრისტიანი მცხოვრებნი?

18. რა წარმოდგენას გიქმნის სალაჰ-ად დინზე ბალიან დე იბელინისთან ურთიერთობის ეპიზოდები?

19. როგორ მოექცა ეგვიპტის სულთანი იერუსალიმის ქრისტიანულ მოსახლეობას? შეადარე 1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებს ფაქტს.

20. როგორ ფიქრობ, რა იყო სალაჰ-ად დინის მთავარი მიზანი ქალაქის აღების დროს?

§18 - 19. IV ჯვაროსნული ლაშქრობა. „ლათინთა იმპერიის“ შექმნა. როგორ გაგრძელდა და რა შედეგები მოჰყვა ჯვაროსნულ ლაშქრობებს?

XII საუკუნის ბოლოს იერუსალიმი კვლავ ეგვიპტის სულთნის ხელში რჩებოდა. 1193 წელს გარდაიცვალა სულთანი სალაჰ ად-დინი და აიუბიანთა სახელმწიფოში მმართველი მისი ძმა ალ-ადილი გახდა. ის ჯვაროსნებთან ხანგრძლივი ომის საჭიროებას ვერ ხედავდა, მათთან მშვიდობიანი თანაარსებობა არჩია და იტალიელ ვაჭრებს ეგვიპტეში დასახლების უფლება მისცა.

1202 წელს ევროპელებმა მორიგი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს. ლაშქრობის ინიციატორი რომის პაპი ინოკენტ III იყო. წინამორბედი პაპებისგან განსხვავებით, ის უშუალოდ იყო ჩაბმული ლაშქრობისთვის საჭირო სახსრების შეგროვებისა და ორგანიზების საკითხებში. ლაშქრობას სათავეში ფრანგი დიდგვაროვნები თეობალდ შამპანელი და ლუი დე ბლუა ჩაუდგნენ. გადაწყდა, რომ იერიში ეგვიპტეზე მიეტანათ. ჯვაროსნების ზღვაზე გადასაყვანად თეობალდმა და ლუიმ ვენეციელებს მიმართეს. ვენეცია საზღვაო-სავაჭრო ქალაქი იყო და საკმაოდ კარგი ფლოტიც ჰყავდა. მხარეებს შორის შედგა შეთანხმება შემდეგი პირობებით: 85 000 მარკის სანაცვლოდ ვენეციელები ჯვაროსნებს ტრანსპორტითა და ერთი წლის სანოვაგით უზრუნველყოფდნენ, რომელიც 4 500 რაინდსა და 20 000 ქვეით მებრძოლზე იყო გათვლილი. ლაშქრობისთვის მზადებისას თეობალდი უეცრად მალარიით გარდაიცვალა და მისი ადგილი ბონიფაციუს დე მონფერატმა დაიკავა.

ზადარის აღება

1202 წლის ზაფხულისთვის ჯვაროსნებს სალაშქროდ ყველაფერი მზად ჰქონდათ, თუმცა არ ჰყოფნიდათ ფული, რათა ვენეციელებისთვის შეპირებული თანხა გადაეხადათ. ექსპედიცია ჩაშლის პირას იყო, მაგრამ ჯვაროსნებს გამოსავალი ვენეციის დოჟმა, ენრიკო დანდოლომ, შესთავაზა. დოჟის პირობების თანახმად, ვენეციელები ჯვაროსნებს ვალს გადაუვადებდნენ და ლაშქრობაშიც უშუალო სამხედრო მონაწილეობას მიიღებდნენ, მაგრამ წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე მათ ერთობლივად უნდა ელაშქრათ ვენეციის მტრების წინააღმდეგ.

წყარო ა) გიუნთერ პერისელი, „კონსტანტინოპოლის აღების ისტორია“

„ვენეციაში მათ გადაწყვიტეს, ხომალდებზე დამსხდარიყვნენ და პირდაპირ ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიისაკენ გაეცურათ, რადგან ზღვის გადაღმა იმ დროს ჩვენებსა და ბარბაროსებს შორის მშვიდობა იყო, რომელიც ჩვენებს არ უნდა დაერღვიათ, სიტყვა არ უნდა გაეტეხათ. ყველანი ერთსულოვნად შეთანხმდნენ, ალექსანდრიისკენ დაძრულიყვნენ და ალყაში მოექციათ...

თუ ისინი ამას გააკეთებდნენ, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ ამ ბრწყინვალე ქალაქსაც და ეგვიპტის დიდი ნაწილსაც ადვილად დაუფლებოდნენ, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეგვიპტის მოსახლეობა მიწების უნაყოფობის გამო შიმშილობდა და ბევრი მათგანი დაიხოცა კიდეც... ამ ბრძნული გადაწყვეტილების შესრულებას ვენეციელთა ეშმაკობამ შეუშალა ხელი... ვენეციელებმა, როგორც ხომალდების პატრონებმა და ადრიატიკის ზღვის მფლობელებმა, უარი უთხრეს ჯვაროსნებს ზღვაზე გადაყვანაზე, ვიდრე მათთან ერთად დალმაციის ქალაქ ზადარს არ აიღებდნენ... ვენეციელები ამბობდნენ, ეს ქალაქი ყოველთვის ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს, მისი მცხოვრებლები ხშირად მეკობრეებივით თავს ესხმოდნენ ვენეციის საქონლით დატვირთულ ხომალდებსო.

ჩვენებს ეს წამოწყება უღირსად მოეჩვენათ, რადგან ქალაქი ქრისტიანული იყო და უნგრეთის მეფეს ეკუთვნოდა. როდესაც უნგრეთის მეფემ ჯვარი აიღო, ამით, ჩვეულებისამებრ, საკუთარი თავი და სამფლობელო უმაღლესი პონტიფიკის მფარველობას მიანდო. სანამ ვენეციელები დაჟინებით ითხოვდნენ თავისას, ჩვენები კი ჯიუტად უარს ამბობდნენ, ბევრი დრო გავიდა. ნაწილი რაინდებისა, ვისაც ფული და საკვები შემოელია, თავის ქვეყანაში გაბრუნდა...

ჯვაროსნები დათანხმდნენ, შეესრულებინათ ის, რასაც ვენეციელები ითხოვდნენ, ვენეციელებისაგან კი წინასწარ ერთგულების ფიცი მიიღეს, რომ ჩვენებს შემდეგ ალექსანდრიაში გადაიყვანდნენ, თავადაც შეიარაღდებოდნენ და მათთან ერთად იომებდნენ...

ფლოტილიამ ადრიატიკის ზღვა გადაცურა... გულდამძიმებულები და დათრგუნვილები, ჩვენი მეომრები ნაპირს მიადგნენ. დრო რომ არ გაეჭიანურებინათ, დიდი ხმაურით

ალყა შემოარტყეს ქალაქს. ალყა სამ დღეს გრძელდებოდა და ჩვენების თავდასხმები უფრო მუქარის ხასიათს ატარებდა, ვიდრე მტრულს, ამით სისხლისღვრის გარეშე აიძულეს ქალაქი, ჩაბარებულიყო. თუმცა მას შემდეგ, რაც ქალაქი გამარჯვებულებს ჩაბარდა, ვენეციელებმა მთელი სიძულვილით საფუძვლიანად დაანგრიეს იგი“.



გიუნთერ პერისელი (XII-XIII სს.) – ელზასელი ბერი. IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში თან ახლდა აბატ მარტინს, რომლის ქრონისტიც იყო და მომხდარ მოვლენებს აღწერდა.

ამგვარად ჯვაროსნებმა, იმის მიუხედავად, რომ პაპი ზადარის აღების წინააღმდეგი იყო, ქალაქი მაინც აიღეს.



1. როგორ გესმის წყაროდან ადგილი: „როდესაც უნგრეთის მეფემ ჯვარი აიღო, ამით, ჩვეულებისამებრ, საკუთარი თავი და სამფლობელო უმაღლესი პონტიფიკის მფარველობას მიანდო“?

2. რა დაბრკოლებების წინაშე იდგნენ ეგვიპტეში სალაშქროდ გამზადებული ჯვაროსნები?

3. რატომ წააქეზეს ვენეციელებმა ჯვაროსნები ზადარის ასაღებად?

4. რატომ იყვენენ ჯვაროსნები გულდამძიმებული?

5. რამდენად მიკერძოებულია წყარო? როგორია ავტორის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით?

6. როგორ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს მიკერძოების მიზეზი?

7. რატომ დანგრიეს ვენეციელებმა ზადარი?

8. წყაროდან გამომდინარე იმსჯელე, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ვენეციელებისა და ჯვაროსანი რაინდების ინტერესები?



წყარო ბ) რობერ დე კლარი, „კონსტანტინოპოლის დაპყრობა“

„ამასობაში, სანამ ჯვაროსნები და ვენეციელები ზამთარს ზადარში ატარებდნენ, ცხადი გახდა, რომ მარაგისა და ფულის უქონლობის გამო ისინი ბაბილონის, ალექსანდრიის ან სირიისკენ გამგზავრებას ვერ მოახერხებდნენ...

ვენეციის დოჟმა, რომელიც კარგად ხედავდა ჯვაროსნების მდგომარეობას, მათ მიმართა: „სენიორებო, საბერძნეთში საკმაოდ მდიდარი მიწებია და თუ იქ გასამგზავრებლად შესაფერისი შემთხვევა ჩაგვივარდებოდა ხელში, საკვებსა და ფულს მოვიმარაგებდით, დავისვენებდით და ზღვაზე გადასვლას შევძლებდით, ეს ჩვენთვის კარგი გამოსავალი იქნებოდა“. მარკიზმა



რობერ დე კლარი (XIII ს.) – პიკარდიელი ჯვაროსანი რაინდი, IV ჯვაროსნული ლაშქრობის თვითმხილველი და მონაწილე, რომელმაც შემდეგ თავისი თვალით ნანახი ლაშქრობა „კონსტანტინოპოლის დაპყრობაში“ აღწერა.



კირსაკი – ბიზანტიის იმპერატორი – ისააკ II ანგელოსი (1185-1195 და 1203-1204 წწ.)

თქვა: „სენიორებო, გასულ წელს შობას გერმანიაში ვიყავი. იმპერატორის კარზე ერთი ახალგაზრდა კაცი ვნახე; ეს ახალგაზრდა კაცი კონსტანტინოპოლის იმპერატორ **კირსაკის** ძეა, რომელსაც ერთ-ერთმა ძმამ მოღალატურად იმპერია წაართვა; ვინც მას მიემხრობა, კონსტანტინოპოლშიც შევა, რადგან ახალგაზრდა კაცი ტახტის კანონიერი მემკვიდრეა“.



სურ. 1 ვენეციელები უტევენ კონსტანტინოპოლს. ვენეციური მინიატურა. XIV ს.

9. შენი აზრით, რატომ აქეზებს ვენეციის დოჟი ჯვაროსნებს კონსტანტინოპოლის ასაღებად? რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს მას?

10. რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო ბიზანტიის საშინაო ვითარების შესახებ?

11. რა გავიგეთ რობერ დე კლარის მონათხრობიდან ჯვაროსნების, ვენეციის, ბიზანტიის შესახებ?

12. როგორ შეაფასებ ჯვაროსნების ჩარევას ბიზანტიის საშინაო საქმეებში?

შიდა პოლიტიკური კრიზისი ბიზანტიაში

XII საუკუნის ბოლოდან ბიზანტიის იმპერიაში პოლიტიკური კრიზისი იყო. 1194 წელს ალექსი III ანგელოსმა (1195-1203 წწ.) ძმას, ისააკ II-ს (1185-1195 წწ.), გადატრიალება მოუწყო, დააბრმავა და თვითონ დაიკავა ბიზანტიის იმპერიის ტახტი. ის სუსტი მმართველი აღმოჩნდა და ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მოსახლეობა უკმაყოფილო იყო, ალექსი ანგელოსის მმართველობამ მრავალი აჯანყება გამოიწვია. ამას გარდა, 1202 წელს კონსტანტოპოლიდან გაიქცა დაბრმავებული და დატყვევებული ისააკ ანგელოსის ვაჟი ალექსი. ის თავისი დისა და მისი ქმრის, შვაბიის მეფის, ფილიპეს, კარზე გაემართა, სადაც მას კარგად შეხვდნენ. ახალგაზრდა ალექსი შეხვდა IV ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერს – ბონიფაციუს დე მონფერატსაც და ტახტის დაბრუნებაში დახმარება სთხოვა. შვაბიიდან ალექსი რომში გაემგზავრა, სადაც დახმარებისთვის რომის პაპსაც მიმართა, მაგრამ უარი მიიღო. პაპმა ინოკენტი III-მ კონსტანტინოპოლზე ლაშქრობა ბონიფაციუსსაც აუკრძალა. ამასობაში ბონიფაციუსს ეახლა შვაბიის მეფის ელჩი, რომელმაც შეატყობინა, რომ მისი მეფე ალექსის დახმარების შემთხვევაში ჯვაროსნებს ვენეციელების ვალს დაუფარავდა, ეგვიპტეში გასამგზავრებელ ხარჯებს გამოუყოფდა და 10 000 მებრძოლს მიაშველებდა. ასევე წმინდა მიწაზე 500 რაინდის განთავსებას დააფინანსებდა და მაცხოვრის საფლავის დაბრუნების შემთხვევაში ამ სიწმინდეს რომის ეკლესიას გადასცემდა. ბონიფაციუსმა ალექსის შეთავაზება დანდოლოს წარუდგინა, რომელმაც ის სიხარულით მიიღო. ამის შემდეგ ალექსი ჯვაროსნებს უკვე ბიზანტიის დედაქალაქის კედლებთან ელოდა.

ანგელოსები

ისააკ II
(1185-1195; 1203-1204)

ალექსი III
(1195-1203)

ისააკ II

ალექსი IV
(1203-1204)

ალექსი V
(1204)



სურ. 2 ჯვაროსნები უტევენ კონსტანტინოპოლს. ბიზანტიური მინიატურა

ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლზე იერიში წამოიწყეს. მართალია, ქალაქის გარნიზონმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ალექსი III-მ ძალების მობილიზაცია ვერ შეძლო და კონსტანტინოპოლიდან გაიქცა. როგორც კი ბიზანტიელმა დიდებულებმა იმპერატორის გაქცევის ამბავი შეიტყვეს, ისააკ II ციხიდან გამოიყვანეს და ჯვაროსნებს განუცხადეს, რომ ისააკი კვლავ იმპერატორად აღიარეს და ბრძოლის გაგრძელება საჭირო აღარ იყო. ჯვაროსნებმა უპასუხეს, რომ ისინი ისააკს იმპერატორად მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებდნენ, თუ მის თანამოსაყდრედ ალექსის აკურთხებდნენ და მამა-შვილი ჯვაროსნებისთვის მიცემულ პირობას შეასრულებდა.

1203 წლის 1 აგვისტოს აია სოფიას ტაძარში ალექსი IV ისააკ II-ის თანამმართველად აკურთხეს. ტახტზე ასვლის შემდეგ ალექსი მალე მიხვდა, რომ ჯავროსნებისთვის მიცემული პირობების შესრულებას ვერ შეძლებდა. საჭირო თანხის შესაგროვებლად მან ქალაქში ახალი გადასახადები დააწესა, მაგრამ საკმარისი თანხა მაინც არ გროვდებოდა. ალექსის ამ ქმედებების გარდა, მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ჯვაროსანთა ქცევითაც, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავდნენ ქალაქის შემოგარენს. თავის მხრივ, ჯვაროსნებიც მიხვდნენ, რომ ალექსის დადებული პირობების შესრულება უჭირდა.

1204 წლის თებერვალში მოსახლეობის უკმაყოფილებამ მწვერვალს მიაღწია, ისინი სასახლეში შეიჭრნენ და ალექსი IV გადააყენეს. სამეფო კარზე არეულობა დაიწყო, რითაც ალექსი III-ის სიძემ ისარგებლა და თავი იმპერატორ ალექსი V-დ გამოაცხადა.

მომხდარი გადატრიალების შემდეგ ჯვაროსნებმა ახალ იმპერატორს მისი წინამორბედის მიერ დაპირებული თანხის გადახდა მოსთხოვეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს. ეს პასუხი ჯვაროსნებისთვის მიუღებელი იყო და მათ ქალაქის ძალით აღება გადაწყვიტეს.



რუკა 15. IV ჯვაროსნული ლაშქრობა

13. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან დაიძრა ძირითადი ძალები IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს?

14. რუკის მიხედვით იმსჯელე, რამდენად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს კონსტანტინოპოლს სავაჭრო თვალსაზრისით. ხომ არ ფიქრობ, რომ ჯვაროსანთა მიერ მისი აღების მიზეზი შეიძლებოდა ესეც ყოფილიყო?

15. რუკის მიხედვით, გააგრძელა თუ არა ვენეციიდან დაძრულმა ყველა ჯვაროსანმა ლაშქრობა კონსტანტინოპოლისკენ? როგორ ფიქრობ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

კონსტანტინოპოლის აღება

1204 წელს 12 აპრილს ათასობით ჯვაროსანი კონსტანტინოპოლში შეიჭრა. ქვემოთ მოყვანილი წყაროები სწორედ ამაზე მოგვითხრობს.

წყარო გ) რობერ დე კლარი, „კონსტანტინოპოლის დაპყრობა“

ჩვენ ქალაქის კედლებს ისევ მივაყენეთ ხომალდები, ქალაქში ისევ შევედით, რასაც ბერძნების საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა... მომდევნო დღეს ყველა ბერძენი მარკიზის ფერხთით დაეცა და მას თავისი მამულები გადასცა. ჩვენ დასახლებული კვარტლები ავიღეთ და ბერძნები ქალაქიდან გარბოდნენ. მთელი ალაფი ერთ ადგილას შევაგროვეთ, სამი კოშკი ვერცხლით გამოვავსეთ. შემდეგ იმპერატორის არჩევის საკითხის განხილვა დაიწყო. ექვსი კაცი ჩვენ ავირჩიეთ და ექვსი ვენეციელებმა. მათ (ე. ი. არჩეულ 12 კაცს) კი იმპერატორის არჩევის უფლება მიეცათ. ისინი ჩვენი და ვენეციელთა რაზმების თანდასწრებით თათბირობდნენ. იმპერატორად ფლანდრიის გრაფი ბოლდუინი გამოაცხადეს. იგი ჯარმაც დაამტკიცა და მომდევნო კვირას იმპერატორად აკურთხეს. იმ დროს ვენეციელებმა წმინდა სიბრძნის ეკლესია ხელში ჩაიგდეს და გამოაცხადეს: იმპერია თქვენია, ჩვენ კი საპატრიარქოს დავეუფლებით. ჩვენს კლირსა (ეკლესიის მსახური) და ვენეციელებს შორის განხეთქილება მოხდა. კლირმა პაპს მიმართა, რომ წმინდა სიბრძნის ეკლესიის (აია სოფიის) მეთაური მას დაენიშნა. ამასობაში ჩვეულებრივი ალაფის განაწილება და დარიგება დაიწყო... ოცი მარკა თითოეულ რაინდს, ათი მარკა კლირიკსა და შეიარაღებულ მხედარს, ხუთი მარკა თითოეულ ქვეითს“.

წყარო დ) ნიკიტა ქონიატე, ბიზანტიელი ისტორიკოსი, XIII ს.

„ლათინები უტიფრად ძარცვავდნენ, იტაცებდნენ არა მხოლოდ მოქალაქეთა ქონებას, არამედ ღვთისადმი შეწირულსაც. შეუძლებელია, კაცმა ირწმუნოს, რა უმსგავსობას სჩადიოდნენ ისინი ეკლესიაში. ძვირფასი საკურთხეველი დაამსხვრიეს და ნაწილ-ნაწილ გაიყვეს. ასევე მოექცნენ სხვა საეკლესიო განძეულობასაც – გაიტაცეს, თითქოს ნადავლი ყოფილიყოს... ტაძრის წმიდათა წმინდა ადგილას საქონელი შეიყვანეს. პრიალა ქვებზე ზოგიერთ ცხოველს ფეხი უცურდებოდა და ეცემოდა, რის გამოც იქვე ხოცავდნენ და ღვთაებრივი იატაკი იბილწებოდა არა მხოლოდ ნეხვით, არამედ ცხოველის სისხლითაც... არ ფიქრობდნენ არც ღმერთზე, არც სამართალზე“.



ნიკიტა ქონიატე (1155-1217 წწ.) – ბიზანტიელი ისტორიკოსი, მწერალი, რომელიც ამ პერიოდის მოვლენების, მათ შორის კონსტანტინოპოლის დაცემის, თვითმხილველია. მთელი ქონება 1204 წელს დაკარგა და თავი ოჯახთან ერთად ნიკეის იმპერიაში შეაფარა.

წყარო ე) გიუნთერ პერისელი, „კონსტანტინოპოლის აღების ისტორია“

„ღვთის განგებით, დიდი ხნის წინათ რომის ტახტს ჩამოცილებული ეს ქალაქი ჩვენი მებრძოლების სიმამაცის წყალობით ისევ ეკლესიის ერთობას დაუბრუნდა... სწორედ ღვთის ნება იყო, რომ ქალაქის მცხოვრებთაგან ზოგი სიკვდილით დასჯილიყო და ზოგს მიწიერი სიკეთე დაეკარგა, ჩვენი პილიგრიმები კი ამ გაამაყებული მოსახლეობისთვის წართმეული ქონებით გამდიდრებულიყვნენ, ხოლო დასავლეთის ეკლესია შემკულიყო იმ სიწმინდეებით, რომლებიც უღირს ბერძნებს მიეთვისებინათ“.

16. ბიზანტიელი ისტორიკოსის წყაროზე დაყრდნობით, რა იყო ჯვაროსნების ნამდვილი ინტერესები?

17. როგორ ასაბუთებს გიუნთერ პერისელი კონსტანტინოპოლში დატრიალებული ამბების „კანონზომიერებას“?

18. კონსტანტინოპოლის დაცემას მოყვანილი სამივე წყარო სხვადასხვა თვალსაზრისით აგვიწერს. ახსენი, რით არის თითოეულის თვალსაზრისი განპირობებული?

19. სუბიექტურობის მიუხედავად, რამდენად სანდოა კონსტანტინოპოლის დაცემაზე მოყვანილი წყაროები? პასუხი დაასაბუთე.

20. გ) წყაროს მიხედვით, როგორ აირჩიეს კონსტანტინოპოლში იმპერატორი? შენი აზრით, რამდენად ეფუძნება ხელისუფლის არჩევა ადგილობრივ ტრადიციებს? იმსჯელე და პარალელი გაავლე ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის სამეფოს ორგანიზებასთან.

21. იმსჯელე, როგორ შეცვლიდა ჯვაროსნული ლაშქრობების კონცეფციას – საღვთო ომის იდეას – ევროპელების მიერ კონსტანტინოპოლის აღება.

22. რა გავლენას მოახდენდა IV ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანთა ურთიერთობაზე?

23. შეავსე სქემა, რომელშიც კონსტანტინოპოლის აღების ისტორიას გააანალიზებ (**მოსწავლის რვეული, დავ. 25**).

24. გ), დ) და ე) წყაროებზე დაყრდნობით, როგორ წარმოაჩენენ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ლათინი და ბიზანტიელი ისტორიკოსები მოწინააღმდეგეს? შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 26**).

ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იმპერატორად ჯვაროსანთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ფლანდრიელი გრაფი ბოლდუინი აირჩიეს. ასე ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო, რომელსაც ისტორიკოსები ლათინთა იმპერიას უწოდებენ. ბოლდუინი თავს რომის (ბიზანტიის) იმპერატორთა მემკვიდრედ, სახელწიფოს კი რომის (ბიზანტიის) იმპერიის გაგრძელებად მიიჩნევდა.

ევროპელმა მეომრებმა ბიზანტია სრულად ვერ დაიმორჩილეს. ქალაქები და პროვინციები ჯვაროსნებს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ იმპერიის ტერიტორიის ნაწილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოები: ნიკეის იმპერია, ტრაპიზონის იმპერია და ეპირის სამეფო ჩამოყალიბდა.

ახლად შექმნილი სახელმწიფოების მესვეურები ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომელს უნდა ჰქონდა ლათინებისთვის კონსტანტინოპოლის წართმევისა და ბიზანტიის კვლავ გაერთიანების უფლება. მათ შორის დაწინაურდა ნიკეის იმპერია. დედაქალაქ ნიკეაში თავი მოიყარეს ბიზანტიელმა დიდებულებმა, სასულიერო პირებმა, მეცნიერებმა, ხელოსნებმა და ვაჭრებმა – ყველამ, ვინც ლათინთა ბატონობას გამოექცა. 1261 წელს ნიკეის ჯარმა იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგოსის მეთაურობით კონსტანტინოპოლი აიღო. მან ბიზანტიის იმპერია აღადგინა და ახალ საიმპერატორო – პალეოლოგოსების – დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ბიზანტიის ისტორიაში ეს სამეფო საგვარეულო უკანასკნელი აღმოჩნდა.



სურ. 3 ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება. შუა საუკუნეების მინიატურა

ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა ქართული ჯარიც. საქართველოს მეფემ, თამარმა, დახმარება აღმოუჩინა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გამოქცეულ კომნენოსთა საგვარეულოს წარმომადგენლებს, რომლებიც ბაგრატიონთა საგვარეულოს ენათესავებოდნენ. სწორედ მათ დააარსეს შავი ზღვის სამხრეთით ტრაპიზონის იმპერია.

25. შეაფასე ბიზანტიის პოლიტიკა ჯვაროსნულ ეპოქაში და იმსჯელე, რამდენად ლოგიკური იყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს განვითარებული მოვლენები? არსებობდა თუ არა მოვლენათა განვითარების ალტერნატიული გზა? პასუხი დაასაბუთე

26. გაავლე დროის ხაზი და დაიტანე მასზე განვითარებულ შუა საუკუნეებში ბიზანტიის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთები.

27. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი I და IV ჯვაროსნული ლაშქრობები იყო. იმსჯელე საქართველოსთვის თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე

როგორ გაგრძელდა ჯვაროსნული ლაშქრობები

ჯვაროსნული ლაშქრობები XIII საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, თუმცა ევროპელ რაინდებს წარმატებებისთვის აღარ მიუღწევიათ.

V ჯვაროსნული ლაშქრობა (1217-1221 წწ.)

ლაშქრობას ორგანიზებას რომის პაპი ინოკენტი III და შემდეგ მისი მემკვიდრე ჰონორიუს III უწევდნენ. „წმინდა მიწაზე“ იერუსალიმის გასათავისუფლებლად უნგრეთის მეფე ანდრაშ II და ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ VI გაეშურნენ, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს და ნაწილი უკან გაბრუნდა. მომდევნო წელს ჰოლანდიის გრაფ ვილჰელმ I-ის თაოსნობით ევროპიდან ჯვაროსნების ახალი ნაკადი დაიძრა. მათ ეგვიპტეში ქალაქ დამიეტაზე თავდასხმა გადაწყვიტეს. დამიეტის აღებას კარდინალი პელაგიუსი ხელმძღვანელობდა. ჯვაროსნებმა

ქალაქი აიღეს. 1221 წელს პელაგიუსმა სამხედრო კამპანიის გაგრძელება გადაწყვიტა და მოკავშირეების ძებნა დაიწყო. კარდინალმა პელაგიუსმა, მოკავშირეებს დაუწყო ძებნა. მან დახმარებისთვის ლაშა-გიორგისაც მიმართა. როგორც ჩანს, მეფემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ საქართველოს ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა – ახალი დამპყრობლების, მონღოლების გამოჩენამ, ამ ლაშქრობას ხელი შეუშალა.

შემორჩენილია ფრანგი ჯვაროსნის, დებუას წერილი, რომელიც მან სამშობლოში, ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსს გაუგზავნა.

წყარო ვ) ფრანგი ჯვაროსნის, დებუას წერილი, XIII ს.

„მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები. ჯერ ყურმოკრული სიტყვა შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩის მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომლებიც გეორგიანებად იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვნებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგან სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. ის ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა – სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისთვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და გადაუწყვეტია, წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი“.

ჯვაროსნები ეგვიპტელებთან დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ, დამიეტაც დაეტოვებინათ.

VI ჯვაროსნული ლაშქრობა (1228-1229 წწ.)

საღვთო რომის იმპერატორმა, ფრიდრიხ II-მ (1220-1250 წწ.) ჯერ კიდევ 1215 წელს მიიღო ჯვარი, ანუ ფიცი დადო, რომ მონაწილეობას მიიღებდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ ეს დანაპირები არ შეასრულა და არც V ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. ამის გამო პაპი მასზე განაწყენდა. 1225 წელს ფრიდრიხ II-მ იქორწინა იერუსალიმის მეფის ქალიშვილზე – იზაბელა ბრიენელზე. სიმამრის წინააღმდეგობის მიუხედავად, საღვთო რომის იმპერატორმა ამ ქორწინებით იერუსალიმის მეფის ტიტულიც მიიღო და ორი წლის შემდეგ „წმინდა მიწისკენ“ გაეშურა. გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში ჯარში ეპიდემიამ იფეთქა და მეომრებთან ერთად ფრიდრიხ II-ც დაავადდა, ამიტომ შუა გზიდან უკან გამობრუნდა. ფრიდრიხის ფიცის აღსრულების მოლოდინში რომის პაპს მოთმინება გადაეწურა. მას იმპერატორის სიტყვის აღარ სჯეროდა, ამიტომ სიმულაციაში დაადანაშაულა და ეკლესიისგან განკვეთა.



სურ. 4 ფრიდრიხ II საკუთარ მიმინოსთან ერთად. მინიატურა ფრიდრიხ II-ის წიგნიდან „ფრინველებით ნადირობის ხელოვნება“. XIII ს.

1228 წელს ფრიდრიხ II მცირე ფლოტითა და დაახლოებით 3 ათასი რაინდით „წმინდა მიწისკენ“ გაეშურა და აკრაში ჩავიდა. რომის პაპმა ეკლესიისგან განკვეთილი იმპერატორის მიერ ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყება პროვოკაციად ჩათვალა და ხელმეორედ განკვეთა. ფრიდრიხ II-ს ამ ამბისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ეგვიპტის სულთან ალ-ქამილთან (1218-1238 წწ.) და არც ეს ნაბიჯი შეუთანხმებია რომის პაპისთვის.

იმ დროს ალ-კამილს სირიაში თავის ნათესავებთან დაპირისპირება ჰქონდა და ჯვაროსნებთან ომი ხელს არ აძლევდა. 1229 წელს იაფაში ალ-კამილსა და ფრიდრიხ II-ს შორის შეთანხმება შედგა და 10 წლის ვადით იერუსალიმი, ბეთლემი, ნაზარეთი, სიდონი, იაფა ქრისტიანებს გადაეცათ, კლდის გუმბათისა და ალ-აკსას მეჩეთები კი მუსლიმებს რჩებოდა. ფრიდრიხ II იერუსალიმში შევიდა და უფლის საფლავის ტაძარში მეფედ ეკურთხა. მან თავად დაიდგა გვირგვინი, რადგან იერუსალიმის პატრიარქი და სხვა სასულიერო პირები ცერემონიას არ ესწრებოდნენ. ისინი რომის პაპის გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგებოდნენ.

იერუსალიმის სამეფოს აღდგენის შემდეგ ფრიდრიხ II-მ ქალაქი დატოვა და უკან გაბრუნდა. მალე იერუსალიმი შინაომებმა მოიცვა, 1244 წელს კი ქრისტიანებმა ის საბოლოოდ დაკარგეს.

VII (1249-1254 წწ.) და VIII (1270-1291 წწ.) ჯვაროსნული ლაშქრობები

ორივე ლაშქრობას მეთაურობდა ქრისტიანობისთვის გულანთებული საფრანგეთის მეფე ლუი IX.

VII ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე საერთაშორისო არენაზე დიდი ცვლილებები მოხდა. ევროპამდე მიაღწია ხმებმა, რომ აღმოსავლეთში ახალი ხალხი – მონღოლები გამოჩნდნენ. ევროპაში აზიაზე ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ამიტომ მონღოლებზე მოყოლილი ამბები ხშირად ნახევრად ფანტასტიკური იყო.

მონღოლებმა სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში XIII საუკუნის დასაწყისში შექმნეს, რასაც შემდეგ პარაგრაფში დეტალურად გაეცნობი. 1235 წლის შემდეგ კი მათ ერთ-ერთ სარდალს – ბათო-ყაენს დასავლეთში: ყივჩაყების, ვოლგის ბულგარელების, რუსული სამთავროების, პოლონეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ ლაშქრობა დაევალა. 1241 წლიდან ბათო-ყაენის მეომრები უკვე პოლონეთს უტევდნენ, ამდენად, აღმოსავლეთ ევროპელებს მონღოლებთან პირისპირ შეხვედრაც მოუხდათ. ლიგნიცის ბრძოლაში მონღოლებმა პოლონელებისა და გერმანელების გაერთიანებული ჯარები დაამარცხეს, უნგრეთს შეესივნენ და უნგრეთის მეფეს ადრიატიკის ზღვამდე სდიეს. მომდევნო წელს ისინი უკან გაბრუნდნენ. სავარაუდოდ, მონღოლების დიდი ყაენის – უგედეის – გარდაცვალების გამო. ევროპელები ახალი შემოსევების მუდმივ მოლოდინში იყვნენ.

1244 წელს მონღოლებისგან შევიწროებულმა და დევნილმა **ხორეზმელებმა** იერუსალიმი აიღეს.

1245 წელს რომის პაპმა ქალაქ ლიონში საეკლესიო კრება მოიწვია და ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა. კრებაზე შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს, მონღოლთა ყაენთან გაეგზავნათ ელჩობა, რომელსაც პლანო კარპინი უხელმძღვანელებდა. პაპს ასევე სურვილი ჰქონდა, რომ მონღოლები გაექრისტიანებინა. ელჩობას ორი წელიწადი დასჭირდა: კიევის, ვოლგისპირეთის სტეპებისა და ხორეზმის გავლით ყარაყორუმამდე – მონღოლთა დიდი ყაენის დედაქალაქამდე – და უკან. ელჩებმა ყაენის პასუხი ჩამოიტანეს: ის რომის პაპისა და ქრისტიანი მეფეების მორჩილებას მოითხოვდა.

ხორეზმი – სახელმწიფო შუა აზიაში (1097-1221 წწ.), რომელიც 1221 წელს მონღოლებმა დაიპყრეს.



ჯვაროსნული ომისკენ მოწოდებას გამოეხმაურა საფრანგეთის მეფე ლუი IX წმინდა. 1248 წელს ჯვაროსნები კუნძულ კვიპროსზე ჩავიდნენ და იქ გამოიზამთრეს. ლუი IX-ს დახმარებას სთხოვდნენ ლათინთა იმპერია (მას დახმარება ნიკეის იმპერიისგან სჭირდებოდა), ანტიოქიის სამთავრო და ტამპლიერებიც, მაგრამ საფრანგეთის მეფემ ეგვიპტეზე გადაწყვიტა გალაშქრება. კუნძულზე ყოფნისას ლუი IX-მ მონღოლთა ელჩებიც მიიღო. შემდეგ კი თავად გაგზავნა დიდ ყაენთან საკუთარი წარმომადგენლები. ფრანგულ მისიაში შედიოდა სამი დომინიკელი ბერი, ორი ეკლესიის მსახური და ორი რაინდი. მისიას ხელმძღვანელობდა გიიომ რუბრუკუსი. ელჩობის მიზანი მუსლიმების წინააღმდეგ მონღოლებთან კავშირის შეკვრა იყო. ლუი IX იმედოვნებდა, რომ ამით „წმინდა მიწაზე“ დარჩენილ ქრისტიანულ სამფლობელოებს დაიცავდა.

■ *სურ. 5 ლუი, მინიატურა ლუი IX-ის ბიბლიიდან, XIII ს.*

ფრანგული ელჩობა კონსტანტინოპოლიდან გავიდა და პირველად ყირიმში შეხვდა მონღოლებს, რომლებზეც რუბრუკუსი წერდა, „მონღოლების გარემოცვაში თავი სხვა სამყაროში მეგონაო“. რუბრუკუსი შეხვდა ბათო-ყაენს, რომელმაც ის დიდ ყაენთან გააგზავნა, შემდეგ დიდ ყაენს – მანგუს. საფრანგეთის მეფის ელჩები დიდი პატივით მიიღეს, თუმცა მუსლიმების წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობაზე ვერ შეთანხმდნენ. ყაენმა ლუი IX-ს წერილი და საჩუქრები გამოუგზავნა და შემდგომში მოლაპარაკებების გაგრძელება შესთავაზა.

რუბრუკუსის მოგზაურობის შემდეგ ევროპელებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს აზიაზე. ცოტა ხანში სწორედ რუბრიკუსის კვალდაკვალ აღმოსავლეთისკენ გაეშურება მარკო პოლოც.

კვიპროსიდან ჯვაროსნები ეგვიპტისკენ დაიძრნენ და 1249 წელს ქალაქ დამიეტის აღება მოახერხეს. ისინი ეგვიპტის სიღრმეში გეგმავდნენ შესვლას, როცა ნილოსის წყალდიდობა დაიწყო და რაინდები 6 თვის განმავლობაში ქალაქში აღმოჩნდნენ გამოკეტილი. ჯარში შიმშილი და ეპიდემია დაიწყო, რასაც მეომრების დასუსტება მოჰყვა. წყალდიდობის დასრულების შემდეგ ლუი IX შეტევის წამოწყებას აპირებდა, მაგრამ ტყვედ ჩავარდა. ფრანგებს მის გასათავისუფლებლად დიდი გამოსასყიდის გადახდა მოუწიათ, რომელიც მეფემ პირადი სახსრებიდან დაფარა. ამასობაში დაკარგეს დამიეტაც. ტყვეობიდან გათავისუფლებული მეფე აკრისკენ გაემართა. ის პალესტინაში დარჩენას და იერუსალიმისთვის ბრძოლას აპირებდა, მაგრამ 1252 წელს დედა-დედოფალი გარდაიცვალა და ამიტომ ლუი IX საფრანგეთში დაბრუნდა. ამით მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობა დასრულდა.

VIII ჯვაროსნული ლაშქრობა

1267 წელს ლუი IX-მ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა. ლაშქრობის მიზანი იერუსალიმის გათავისუფლება უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამხედრო საბჭოზე ჯერ ტუნისში გამგზავრება გადაწყდა. ლუი IX იმედოვნებდა, რომ ტუნისის მუსლიმ მმართველს გააქრისტიანებდა და შემდეგ ის ჯვაროსანთა მოკავშირე გახდებოდა.



სურ. 5 ლუი IX-ის გარდაცვალება. შუა საუკუნეების მინიატურა დიდი ფრანგული ქრონიკიდან, XV ს.

1270 წელს საფრანგეთის მეფე თავის სამ ვაჟთან და ჯვაროსნებთან ერთად ტუნისის სანაპიროზე გადავიდა და დაბანაკდა. ისინი ქალაქის ალყისთვის ემზადებოდნენ, როცა ჯარში ეპიდემიამ იფეთქა. ჯერ უმცროსი უფლისწული გარდაიცვალა, შემდეგ მეფეც ავად გახდა. ლუი IX-მ მეომრებს სთხოვა, მისი სულის ხსნისთვის ელოცათ და მალე გარდაიცვალა.
ლუი IX-ის ძმა, სიცილიის მეფე შარლ I ანჟუელი, ჯვაროსანთა დამატებით ძალებთან ერთად ჩავიდა აფრიკაში. ფრანგებისა და სიცილიელების ლაშქარმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ტუნისის მმართველმა ჯვაროსნებს ელჩები გაუგზავნა და დათანხმდა, რომ სიცილიის მეფეს ხარკს გადაუხდიდა, ქრისტიანი სასულიერო პირები კი მის ქვეყანაში დასახლებას, ქადაგებას და ადგილობრივ ეკლესიებში წირვა-ლოცვას შეძლებდნენ.

ლუი IX-ის ცხედარი შარლ I ანჟუელმა სიცილიაში გადაასვენა და ტაძარში დაკრძალა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ის საფრანგეთში სენ-დენის ტაძარში, საფრანგეთის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს. კათოლიკურმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა.

VIII ჯვაროსნული ლაშქრობის დასრულების შემდეგ XIII საუკუნის ბოლომდე კიდევ გრძელდებოდა დაპირისპირებები როგორც ლათინებს, ისე ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის. საბოლოოდ ქრისტინებმა დარჩენილი სამფლობელოებიც დაკარგეს: 1289 წელს დაეცა ტრიპოლის საგრაფო, 1291 წელს კი ეგვიპტის სულთანმა ალ-აშრაფმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ ჯვაროსნების უკანასკნელი ციხესიმაგრე – აკრა – აიღო. ეს თარიღი ჯვაროსნული ომების დასასრულად ითვლება.

ჯვაროსნულ ლაშქრობებზე მსჯელობა მათი დასრულების შემდეგაც გრძელდებოდა. მათ მნიშვნელობას განსხვავებულად აფასებდნენ სხვადასხვა დროს და დღესაც თანამედროვე ისტორიკოსები.

ლაშქრობების შედეგად ქრისტიანულმა დასავლეთმა, ევროპამ გაიცნო, საკუთარი თვალით ნახა აღმოსავლეთი და ისლამის მიმდევრები, რის შედეგადაც ნახევრად ზღაპრული თუ მითოლოგიზირებული წარმოდგენები აღმოსავლელთა შესახებ სინამდვილედ იქცა და „ურჯულოები“ აღარ იყვნენ ისეთი საშიში და უცხო, ვიდრე მანამდე. ის უფსკრული, რომელიც ამ ორ ცივილიზაციას, კულტურას შორის არსებობდა, ერთი შეხედვით, თითოს კიდევ უფრო გაღრმავდა არა მარტო ქრისტიანებსა და მუსლიმებს, არამედ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის... მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ორი კულტურა, ნებით თუ უნებლიეთ, ერთმანეთს დაუახლოვდა, მათ შორის დაიწყო ინფორმაციის გაცვლა და დამყარდა კავშირები. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა განავითარა კომუნიკაციები, გზები... ევროპელებმა ბევრი რამ შემოიტანეს აღმოსავლეთიდან

ისტორიკოსის კომენტარი
ჯოშუა პრაუერი, „ჯვაროსანთა სამეფო“

„მომლოცველობა, ლაშქრობა, საღვთო ომი, კოლონიური ომი, მძლავრი მიგრაციული მოძრაობა – ნებისმიერმა ისტორიკოსმა თუ პუბლიცისტმა, შესაძლოა, ყველა ეს ტერმინი ჯვაროსნულ ომებთან მიმართებაში გამოიყენოს. ამასთანავე ირჩევენ იმ ასპექტს, რომელიც მეტნაკლებად დროის სულისკვეთებას შეესაბამება. არ აქვს მნიშვნელობა, ჯვაროსნულ ომებს ადიდებენ თუ წყევლიან, ხშირად საუბრობენ პაპის ბოროტ შეთქმულებაზე, ჯვაროსნების ცუდად შენიღბულ მომხვეჭელობაზე, ხელოვნურად გამოწვეულ მასობრივ ფსიქოზზე, მაგრამ იმავდროულად აღნიშნავენ, რომ ეს იყო ცხოვრებაში ამაღლებული იდეალების დამკვიდრებისთვის ბრძოლა, კოლექტიური მონანიება და მესიანური მოძრაობა, რომელსაც კაცობრიობა საშინელ სამსჯავრომდე და ზეციურ სამეფოსთან შესახვედრად მიჰყავდა. ამ შეხედულებებიდან არც ერთი ახალი არ არის“.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ბევრ სფეროზე მოახდინა გავლენა. ეს მოვლენები ფართოდ აისახა ლიტერატურაში. შუა საუკუნეებში ჯვაროსანი რაინდების გმირობებზე უამრავი პოეტური ნაწარმოები შეიქმნა. მათი დიდი ნაწილი ძველფრანგულ ენაზეა დაწერილი. ჯვაროსნული ომების დროს გაჩენილი ახალი მხატვრული მასალა ძველ ლეგენდებს დაემატა. ასე გაგრძელდა, მაგალითად, ადრეულ შუა საუკუნეებში კარლოს დიდსა და ართურზე შექმნილი თქმულებების ციკლი.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ხელი შეუწყო ისტორიოგრაფიის განვითარებასაც. სწორედ ამ დროს შექმნილი თხზულებები და ქრონიკები შუა საუკუნეების მნიშვნელოვან ნაწარმოებებად ითვლება.

ჯვაროსნულ ეპოქაში, XII საუკუნეში ითარგმნა ლათინურად ყურანი და დიდი იუდეველი რაბინების (ღვთისმსახურების) შედგენილი მოძღვრების კრებული – თალმუდი.

28. ჯვაროსნული ლაშქრობების რა დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფენ თანამედროვე ისტორიკოსები? რით განსხვავდება თანამედროვე ისტორიკოსების შეფასებები შუა საუკუნეების ისტორიკოსთა შეფასებებისგან? რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერებაში?

29. შეაფასე ჯვაროსნული ლაშქრობების მნიშვნელობა და მოიყვანე არგუმენტები შენი პოზიციის გასამტკიცებლად.

§20. მონღოლთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დაპყრობითი ომები

მონღოლური ტომები ცენტრალური აზიის სტეპებში ბინადრობდნენ. მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა განსაზღვრა მათი ცხოვრების წესი. ისინი მომთაბარე-მესაქონლეები იყვნენ. შუა საუკუნეების ევროპული და ქართული წყაროები მათ ხშირად თათრებად მოიხსენიებს. თავიდან მონღოლები გვარებად მომთაბარეობდნენ. საქონელი მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა. შემდეგ საგვარეულოს ცალკეული ოჯახები გამოეყო და საქონელი დაისაკუთრეს. ზოგს მეტი ქონება ერგო, ზოგს – ნაკლები. შეძლებულები დიდგვაროვნებად – ნოინებად იქცნენ.

ნოინები ჯოგებსა და ვრცელ საძოვრებს ფლობდნენ. ისინი მცირე შეძლების მომთაბარე მესაქონლეებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდნენ და მათგან საკუთარ ცხენოსან ლაშქარს ქმნიდნენ. ამ ჯარით მონღოლი ნოინები მეზობელ ტომებს ესხმოდნენ თავს. მესაქონლეობის გარდა, ლაშქრობიდან მიღებული ალაფა მათი შემოსავლის წყარო გახდა.

წყარო ა) პლანო კარპინი, „ისტორია მონღოლებისა, რომლებსაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“

„მონღოლთა ქვეყანა ზოგან მეტისმეტად მთაგორიანია, ზოგან კი ვაკეა. ნიადაგი უმეტესად ქვიშიანია. ალაგ-ალაგ პატარა ტყეები გვხვდება, სხვაგან კი სრულიად უტყეოა. მიწის ერთი მეასედი თუ იქნება ნაყოფიერი, ისიც მხოლოდ იქ, სადაც მიწა მდინარეებით ირწყვება. მონღოლები ზამთარში ფეტვს ხარშავენ წყლით და ისე თხლად, რომ მისი შეჭმა კი არა, მხოლოდ შესმა შეიძლება. თითოეული მათგანი 1-2 ჩამჩას სვამს დილაობით და მერე მთელი დღე არაფერს ჭამს. საღამოს ცოტაოდენ ხორცს და ხორცის წვენს იღებენ. ზაფხულობით, რადგან ამ დროს ცხენის რძე უხვადაა, ხორცს ნაკლებად ჭამენ.

ყველანი, დიდიდან პატარამდე, მარჯვე მსროლელები არიან. როცა მათ ბავშვებს 2-3 წელი შეუსრულდებათ, მაშინვე ცხენზე ჯდომას და ჭენებას სწავლობენ. მათ ასაკის მიხედვით აძლევენ მშვილდს და სროლას ასწავლიან. მონღოლები მეტად მარჯვენი და გამბედავნი არიან. გოგონებიც და ქალებიც ცხენებზე სხდებიან და აჭენებენ კაცებივით. ჩვენ გვინახავს, რომ ისინი მშვილდებსა და კაპარჭებს ატარებდნენ. ზოგიერთები კაცების დარად ისვრიან ისარს.

როდესაც მონღოლები ხედავენ, რომ მტრის დამარცხება არ შეუძლიათ, თვალთმაქცურად გაურბიან მათ. როდესაც მდევარი იღლება ხანგრძლივი დევნისგან, თათრები დასვენებულ ცხენებზე გადასხდებიან, მოტრიალდებიან, მტერს თავს ესხმიან და ატყვევებენ ან ხოცავენ. ხანდახან გაქცეული თათრები იფანტებიან და ფართოვდებიან, რომ მტერს გზა დაუთმონ თავიანთ რაზმებს შორის, ხოლო შემდეგ სტვენითა და შეძახილებით სწრაფად ერთიანდებიან, ალყაში აქცევენ მტერს და ანადგურებენ. ყველა ქვეყანაში, რომელსაც თათრები აოხრებენ, ჩვეულებრივ, შიმშილი იწყება“.



პლანო კარპინი – იტალიელი მოგზაური. მისი მოგზაურობა მოიცავს 1245-1247 წლებს. მან მოგზაურობა დაიწყო საფრანგეთიდან, მთელი ევროპა გადალახა და კიევის რუსეთში ჩავიდა, შემდეგ ოქროს ურდოში გააგრძელა გზა და საბოლოოდ მონღოლეთის დედაქალაქ ყარაყორუმში აღმოჩნდა. პლანო კარპინიმ ყაენს პაპის წერილი გადასცა, ხოლო მისგან საპასუხო წერილი წამოიღო. მან თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში „ისტორიული ჩანაწერები“, რომელიც ამ ჟანრის ერთ-ერთი პირველი თხზულება იყო. მოგვიანებით ნაწარმოებს დაერქვა „ისტორია მონღოლთა, რომლებსაც თათრებს ვუწოდებთ“.

წყარო; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, XIV ს.

,,ქვეყანა ჩინ-მაჩინში, რომელიც აღმოსავლეთითაა, გამოჩნდა ხალხი, იმ ადგილას, რომელსაც ყარაყორუმი ეწოდება. ისინი იყვნენ განსხვავებული შესახედაობის და ცხოვრების წესის. მათ შესახებ არც ძველ წიგნებშია რამე ნათქვამი, რადგანაც არიან უცნობი ენის, უცხო სახისა და განსხვავებულად ცხოვრობენ. პური რა იყო, არ იცოდნენ და მხოლოდ ხორცითა და რძით იკვებებოდნენ... მცირე საჭმლითაც კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ ყველანაირ ცხოველებს ჭამდნენ... იყვნენ ძლიერები და გამორჩეული მშვილდოსნები, რომლებიც მიზანში შეუცდომლად და იმდენად ძლიერად ისროდნენ, რომ ისარს ვერანაირი ჯავშანი ვერ უძლებდა. საუკეთესო მხედრები იყვნენ, რადგანაც ბავშვობიდან ცხენზე იზრდებოდნენ. იარაღად მხოლოდ მშვილდს და ისარს ატარებდნენ... წესად ჰქონდათ ერთი ღმერთის თაყვანისცემა, რომელსაც თავიანთ ენაზე თენგრის უწოდებდნენ. წერილის დასაწყისში კი ასე წერდნენ: ,,მანგუ თენგრი ქუჩუნდურ“, რომელიც ნიშნავს – უკვდავი ღმერთის ძალით“.

1. შენი აზრით, რატომ მიმდინარეობდა საზოგადოების განვითარების პროცესი მონღოლურ ტომებში ასეთი ნელი ტემპით? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზები?

2. რა ინფორმაციას გვაწვდის წყაროები მონღოლების შესახებ? დააჯგუფე წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია სფეროების მიხედვით (მაგ., გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო, სადაც მონღოლები ცხოვრობენ; სამზარეულო – კვების რაციონი; სამხედრო საქმე; მონღოლი ქალები; ბავშვების აღზრდის თავისებურებები). (**მოსწავლის რვეული დავ.27**) გაეცი კითხვებს პასუხი: რამ განაპირობა თითოეული ამ სფეროს თავისებურება? მაგ., რატომ ასწავლიან ცხენზე ჯდომასა და ჯირითს სულ პატარაობიდან? რატომ აღნიშნავს წყაროს ავტორი, რომ „გოგონებიც და ქალებიც ცხენებზე სხდებიან და აჭენებენ კაცებივით“ ან „ისარს ისვრიან კაცების დარად“?

3. რა მნიშვნელობა ჰქონდა პლანო კარპინის თხზულებას მაშინ ევროპლებისთვის და ახლა თანამედროვე ისტორიკოსებისთვის.



სურ. 1 თანამედროვე მხატვრის მიერ გადმოცემული მონღოლური კარვის აწყობის პროცესი. ამ კარავს თურქული ტომები იურტას, ხოლო თავად მონღოლები გერს ეძახდნენ.

4. პლანო კარპინის წყაროსა და თანამედროვე მხატვრის შესრულებული ნამუშევრის მიხედვით იმსჯელე მონღოლების ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე.

XIII საუკუნის დამდეგს მონღოლ ტომთა შორის მიმდინარე ომი დასრულდა და მონღოლთა გაერთიანებული სახელმწიფო წარმოიქმნა. 1206 წელს მონღოლური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ყრილობაზე – ყურულთაიზე მთავარ ნოინად – ყაენად თემუჩინი აირჩიეს და ჩინგიზ-ყაენი უწოდეს.

სახელი ჩინგიზი მომდინარეობს თურქული სიტყვიდან ,,თენგიზ“, რაც ზღვას, ოკეანეს ნიშნავს. მეტაფორულად ჩინგიზ-ყაენი ,,ყველას მბრძანებელს“ ნიშნავს. ყაენსა და მის ოჯახს ქეშიკები, ანუ რჩეულები, იცავდნენ. ეს ელიტური სამხედრო დანაყოფი იყო და იმპერიული გვარდიის როლს ასრულებდა, არ შედიოდა ძირითადი არმიის შემადგენლობაში და დღისა და ღამის ცვლებად იყოფოდა.

ჩინგიზ-ყაენს დისციპლინირებული ლაშქარი ჰყავდა. თითოეული ნოინი ვალდებული იყო, ყაენისთვის გარკვეული რაოდენობის მეომრები გაეგზავნა. მონღოლური ლაშქარი ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად, ათიათასეულებად (დუმნებად) იყოფოდა. ამ სამხედრო დანაყოფებს მონღოლთა მომთაბარული არისტოკრატიის წარმომადგენლები მეთაურობდნენ, ხოლო ათიათასეულების მეთაურებად, ანუ დუმან-ნოინებად, ხშირად უფლისწულები ინიშნებოდნენ.

მონღოლები გამორჩეული მებრძოლები იყვნენ. მონღოლთა ლაშქრის მთავარი ძალა იყო ცხენოსანი ჯარი. მხედრები მშვილდ-ისრით იყვნენ შეიარაღებული. ყოველ მეომარს თვითონ უნდა ეზრუნა სალაშქროდ საჭირო აუცილებელ იარაღ-საჭურველსა და საგზალზე. ასევე თან უნდა ჰყოლოდა ერთზე მეტი ცხენი, რომ შეუჩერებლად სვლა შესძლებოდა. რაკი მძიმე აღალის ტარება არ სჭირდებოდა, მონღოლთა ლაშქარი გაცილებით სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე მძიმედ შეიარაღებული მხედრები. ჯარში უმკაცრესი დისციპლინა სუფევდა. დადგენილი წესის თანახმად, ერთი მეომრის ღალატისთვის მთელ ათეულს სიკვდილით სჯიდნენ. თუ ათეული ბრძოლაში სილაჩრეს გამოიჩენდა, მთელ ასეულს ხოცავდნენ.

1211 წელს მონღოლებმა დიდი დაპყრობითი ომები დაიწყეს და პირველი შეტევა მეზობელ ჩინეთზე მიიტანეს. 1215 წელს მათ პეკინი აიღეს. მონღოლებმა ჩინელებისგან სამხედრო მიღწევები, მათ შორის საალყო ტექნიკა, აითვისეს.

5. შენი აზრით, რა როლი მიუძღვის მონღოლების წარმატებულ ომებში მკაცრ სამხედრო დისციპლინას?

6. როგორ ფიქრობ, რატომ დაყვეს მონღოლებმა ლაშქარი დუმნებად?

7. შენი აზრით, რატომ ნიშნავდნენ ხშირად დუმან-ნოინებად უფლისწულებს?

წყარო ბ) მენ-და ბეი-ლუ, ჩინელი ავტორი, XIII ს., „მონღოლ-თათართა სრული აღწერილობა“

„ეგრეთ წოდებული ველური თათრები ძალზე ღარიბები... არიან, ისინი არანაირ ჩვევებს არ ფლობენ, მხოლოდ ცხენზე ჯირითი იციან... და მართვის არანაირი სისტემა არ გააჩნიათ.

ამჟამად მათ მმართველი (ჩინგიზი) ჰყავთ, რომელმაც სახელმწიფო შექმნა... და აღმოსავლეთითა თუ დასავლეთით დამსჯელ ლაშქრობებს აწყობს, ამიტომ მათი სახელმწიფო ძლიერდება და ფართოვდება.

როცა მათი სახელმწიფო წარმოიქმნა, წერილობითი დოკუმენტები საერთოდ არ ჰქონდათ. ყველა შემთხვევაში ბრძანებებს ელჩების პირით გზავნიდნენ... მაგრამ ახლა,

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ცინის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შედეგად ჩინური დამწერლობა გამოიყენება, რადგან ჩინეთის სახელმწიფო მოხელეებმა, რომლებმაც თავიანთ სახელმწიფოს უღალატეს, გაიქცნენ, თათრებს ჩაბარდნენ და უნდოდათ, მათ კარზე სამსახური ეშოვათ, დოკუმენტების შედგენა ასწავლეს“.

8. რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო მონღოლებზე? რას ნიშნავს, რომ მათ „მართვის არანაირი სისტემა“ ან „არანაირი დოკუმენტი“ არ გააჩნიათ“?

9. ბ) წყაროს მიხედვით დაახასიათე ჩინეთი.

10. რა თვალსაზრისითაა საინტერესო ჩინელი ავტორის თხზულება? როგორ გადმოსცემს მონღოლებისა და ჩინეთის ურთიერთობას?

11. რა თვალსაზრისით ავსებს მენ-და ბეი-ლუს თხზულებას პლანო კარპინის მონათხრობი?

12. ცხრილის საშუალებით ერთმანეთს შეადარე ა) და ბ) წყაროები (**მოსწავლის რვეული, დავ. 28**).

წყარო გ) ალადინ ათა მალიქ ჯუვეინი, სპარსელი ისტორიკოსი, „ქვეყნის დამპყრობის ისტორია“, XIII ს.

„თითოეული საქმისა და გარემოებისთვის მან წესი და კანონი დაადგინა და ყოველი დანაშაულისთვის სასჯელი და რადგან თათარ ტომებს დამწერლობა არ ჰქონდათ, ბრძანა, რომ ადამიანებს **უიღურების** ტომიდან მონღოლი ბავშვებისთვის წერა-კითხვა ესწავლებინათ, და იასა და ბრძანებები გრაგნილებზე ჩაეწერათ, და იწოდება ის „იასის დიდ წიგნად“. ეს წიგნი უფლისწულებისთვის მინდობილ ხაზინაში ინახება“.

უიღურები – ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრები თურქულენოვანი ხალხი, რომელიც ჩინეთის შემადგენლობაში შედიოდა.

წყარო დ) ალ-მაკრიზი, ეგვიპტელი ისტორიკოსი და ბიოგრაფი, აიუბიანთა და მამლუქ მმართველთა ისტორია (ნაწყვეტები იასიდან), XIV-XV სს.

- „მან (ჩინგიზ-ყაენმა) ბრძანა, რომ ყველა რელიგია ყოფილიყო თანასწორუფლებიანი და არ ჰქონოდა რომელიმეს უპირატესობა.
- ლაშქრობის დაწყებისას ყველა ჯარისკაცმა უნდა მიიღოს იარაღი თავისი ოფიცრისგან. ჯარისკაცმა უნდა შეინახოს და მოუაროს იარაღს, ხოლო ბრძოლის წინ ოფიცერმა უნდა შეამოწმოს ის. მან (ჩინგიზ-ყაენმა) უბრძანა თავის მემკვიდრეებს, პირადად შეემოწმებინათ ჯარები და მათი შეიარაღება ბრძოლაში წასვლამდე, მიეწოდებინათ მებრძოლებისთვის ყველაფერი, რაც მათ დასჭირდებოდათ ლაშქრობაში, ნემსისა და ძაფის ჩათვლით. თუ რომელიმე ჯარისკაცს საჭირო ნივთი აკლდა, ის დაისჯებოდა.
- აკრძალულია და სიკვდილით ისჯება მოწინააღმდეგის ძარცვა (ალაფის აღება) მეთაურის, სარდლის ნებართვის გარეშე.
- მამაკაცმა, რომელიც საბრძოლველად არ მიდის, უნდა იმუშაოს ყაენისთვის გასამრჯელოს გარეშე.
- მხევლისგან შეძენილი შვილები სარგებლობენ მემკვიდრეობის იმავე უფლებებით, რაც ცოლებისგან შეძენილ შვილებს აქვთ. ქონების განაწილებისას უფროს ვაჟებს მეტი

წილი ხვდებათ, ვიდრე უმცროსებს. თუმცა უმცროს ვაჟს მემკვიდრეობით მამის სახლი რჩება.

- ოფიცრები და ბელადები, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ან არ მოდიან ყაენის მოხმობაზე, სიკვდილით უნდა დაისაჯონ. თუ მათი დანაშაული ნაკლებად მძიმეა, ისინი პირადად უნდა ეახლონ ყაენს.
- თუ მგზავრი ჩაუვლის ხალხს, რომელიც საჭმელს ჭამს, მას შეუძლია მათთან ერთად ჭამოს წინასწარი ნებართვის გარეშე, ხოლო იმათ არ უნდა აუკრძალონ ეს.
- ქალების გატაცება, ძალადობა და შეურაცხყოფა სიკვდილით ისჯება“.

წყარო ე) მარკო პოლო (1254-1324 წწ.), ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური, მსოფლიოს საოცრებათა წიგნი

„თქვა ხუბულაი ყაენმა: არსებობენ წინასწარმეტყველები, რომლებსაც ეთაყვანებიან და პატივს მიაგებენ. ქრისტიანები ამბობენ, რომ მათი ღმერთი იყო იესო ქრისტე; სარაცინები პატივს მიაგებენ მუჰამადს; იუდეველები კი – მოსეს; კერპთაყვანისმცემლები – ბუდას; მე კი პატივს ვცემ ოთხივე მათგანს“.

13. შენი აზრით, რა როლი შეასრულა ჩინგიზ-ყაენის მიერ შემუშავებულმა კანონებმა მონღოლთა საყაენოს ჩამოყალიბებაში?

14. რა მეთოდებს იყენებდა ყაენი ძალაუფლების განსამტკიცებლად? რატომ?

15. რა საფრთხეს უქმნიდა ერთპიროვნულ ძალაუფლებას მონღოლებში არსებული მემკვიდრეობის წესი? რატომ?

16. წყაროს მიხედვით შეაფასე ქალის როლი მონღოლურ საზოგადოებაში.

17. ალადინ ათა მალიქ ჯუვეინი და ალ-მაკრიზი ჩინგიზ-ყაენის მიერ კანონთა კრებულის – იასის მიღებასა და იასის მუხლებზე გავწვდიან ინფორმაციას. დაახასიათე საზოგადოება, სადაც ეს კანონები იქნებოდა ძალაში. გ) წყაროში მოყვანილი მუხლების მიხედვით იმსჯელე ამ საზოგადოების თავისებურებებზე.

18. შეადარე მონღოლური საზოგადოებას შენთვის ნაცნობ, მაგ., ევროპულ, საზოგადოებას. ჩამოთვალე ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

19. შეავსე სქემა. წყარო გ)-ს მიხედვით, რომელ სფეროებს (სოციალურს, რელიგიურს, პოლიტიკურსა და ეკონომიკურს) არეგულირებს იასის პუნქტები?

ჩრდილოეთ ჩინეთის დამორჩილების შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა მთელი ყურადღება შუა აზიის დაპყრობაზე გადაიტანა. 1219 წელს ყურულთაიზე გადაწყდა ხორეზმზე ლაშქრობა. რამდენიმე წელიწადში ჩინგიზ-ყაენმა ხორეზმი, ავღანეთი და ჩრდილოეთი ირანი დაიპყრო. ხორეზმ-შაჰი მუჰამედი (1200-1220 წწ.) კასპიისპირეთისკენ გაიქცა, სადაც კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დევნილობაში გარდაიცვალა. მისი ვაჟი ჯალალ ედ-დინი რამდენჯერმე შეებრძოლა მონღოლებს, მაგრამ დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. 1220-1222 წლებში მონღოლებმა კავკასიაში ილაშქრეს. საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი მათ ორჯერ შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა. ამის მიუხედავად, მონღოლები სამხრეთ კავკასიაში არ დარჩენილან, რადგან ეს სამხედრო ექსპედიცია დაზვერვით ხასიათს ატარებდა. მათ ჯერ დარუბანდი აიღეს და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ, შემდეგ კი გზა დასავლეთისკენ განაგრძეს. 1223 წელს მდინარე კალკასთან დაამარცხეს რუსულ სამთავროთა გაერთიანებული არმია. შემდეგ აღმოსავლეთით მობრუნდნენ და ვოლგის ბულგარებს დაუპირისპირდნენ, რომლებთანაც კერნეკის ბრძოლაში დამარცხდნენ, რაც მონღოლთა ლაშქრობების პერიოდში მათი პირველი დიდი მარცხი იყო. ამის შემდეგ ისინი შუა აზიაში ჩინგიზ-ყაენთან დაბრუნდნენ. ამ ლაშქრობიდან შეიტყვეს მონღოლებმა კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის, რუსებისა და ბულგარების შესახებ.

1227 წელს ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა და მონღოლთა იმპერია სამ ძირითად ნაწილად დაიყო: იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი: ჩინეთი და საკუთრივ მონღოლეთი დიდ ყაენს უგედეის (1229-1241 წწ.) ერგო, ჩრდილოეთი ნაწილი – ოქროს ურდო – ბათო-ყაენს (1227-1255), ხორეზმი და ირანი კი – ჩაღათას (1227-1242 წწ.), რომელსაც მოგვიანებით ირანი და ერაყი გამოეყო და 1256 წლიდან ჰულაგუ-ყაენმა ცალკე – ილხანთა – ულუსად ჩამოაყალიბა. პოლიტიკური დანაწევრების მიუხედავად, ამ უზარმაზარ სივრცეს ისტორიკოსები „მონღოლურ სამყაროს“ უწოდებენ, იმდენად დიდი იყო მონღოლების გავლენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებზე. ჯერ კიდევ დიდი ყაენის მანგუს (1251-1259 წწ.) დროს მონღოლებმა მთელ დაპყრობილ ტერიტორიებზე გაატარეს ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის შემადგენელი ნაწილიც იყო 1252-1259 წლების პერიოდში საყოველთაო აღწერა ჩინეთში, ცენტრალურ აზიაში, ირანში, კავკასიასა და რუსეთში. აღირიცხა დასამუშავებელი და დაუმუშავებელი მინდვრები, პირუტყვი და ბაღ-ვენახები, მამაკაცები 15-იდან 60 წლამდე. „მონღოლური სამყაროს“ სხვადასხვა მხარეს და ქვეყანას ერთმანეთთან სავაჭრო გზები აკავშირებდა. აღდგა აბრეშუმის სავაჭრო გზაც, რომლის ძირითადი მაგისტრალი, მართალია, შუა აზიასა და საილხანოზე გადიოდა, მაგრამ მისი მეორე განშტოება ოქროს ურდოს გავლით ევროპისკენ მიემართებოდა. სწორედ „აბრეშუმის გზის“ მეშვეობით შეიტყო დასავლეთმა ბევრი რამ აღმოსავლეთის შესახებ. სიახლეები და იდეები პირიქითაც ვრცელდებოდა. იდეებისა და სიახლეების ურთიერთგაცვლა ძირითადად გზებზე მდებარე ქალაქებში ხდებოდა.

20. იმსჯელე, რამდენად განაპირობებდა „მონღოლურ სამყაროში“ არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები მონღოლთა ტოლერანტულ რელიგიურ პოლიტიკას.



სურ. 2 მონღოლთა იმპერიის ყაენთა პორტრეტები. დახატა ჰო-ლი-ჰოსუნმა 1278 წელს ყუბილაი-ყაენის ბრძანებით. მარცხენა ზედა კუთხეში ჩინგიზ-ყაენი, შემდეგ უგედეი, ყუბილაი, ქვემოთ მეორე ჰულაგუ-ყაენი.

მონღოლთა დაპყრობითი ომების ქრონიკა ჩინგიზ-ყაენის შემდგომ:

- 1231 – დაიპყრეს აზერბაიჯანი.
- 1235 – დაიპყრეს აღმოსავლეთი კავკასია. 1243 წელს საქართველოს სამეფო კარმა მონღოლთა ბატონობა საბოლოოდ აღიარა.
- 1236 – ბათო-ყაენის სარდლობით დაიწყო ლაშქრობა ვოლგის ბულგარებისა და რუსების სამთავროების წინააღმდეგ.
- 1240-1242 – მონღოლებმა პოლონეთი, უნგრეთი, ავსტრია და სერბეთი მოარბიეს.
- 1256 – ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილმა, ჰულაგუმ, ირანის ტერიტორიაზე კიდევ ერთი მონღოლური სახელმწიფო – ილხანთა ულუსი – შექმნა, რომელსაც ხშირად ჰულაგუიანთა (დამაარსებლის სახელიდან) სახელმწიფოსაც უწოდებენ.
- 1258 – ჰულაგუმ ბაღდადი აიღო და თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად აქცია. აბასიანთა სახალიფომ არსებობა შეწყვიტა.



რუკა 16. მონღოლთა დაპყრობები

21. ძირითადად რა მიმართულებით წარიმართა მონღოლთა დაპყრობები? იმსჯელე, რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი.

22. აღმოსავლეთით არსებული რომელი ქალაქი არ დაულაშქრავთ მონღოლებს და შენი აზრით რა იყო ამის მიზეზი?

23. შენი აზრით, რატომ ვერ შეძლეს მონღოლებმა ანატოლიის სრულად დაპყრობა?



რუკა 17. მონღოლთა სახელმწიფოები ერთიანი საყაენოს დაშლის შემდეგ

24. იმსჯელე, რატომ იქნებოდა მნიშვნელოვანი მონღოლთა სახელმწიფოებისთვის მათ ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზების არსებობა?

25. რუკაზე დატანილი ორი ალტერნატიული სავაჭრო მარშრუტისგან, რომელი იქნებოდა უფრო მნიშვნელოვანი და რატომ?

ბაღდადის აღება

1257 წლის ნოემბერში ეს არმია ბაღდადის კედლებთან იდგა. ჰულაგუს ლაშქარში იმ დროის ცნობილი სარდლები – ელკე ნოინი ჯალაირი და ჩინელი გო კანი ჰყავდა. სპარსელი ისტორიკოსის, ჯუვეინის გადმოცემით, მონღოლთა არმიაში 1000 ჩინელი სამხედრო ინჟინერი – საალყო საქმის ოსტატი, სომხები, ქართველები, სპარსელები და თურქები იყვნენ.

ჰულაგუმ თავისი ჯარის ნაწილი მდინარე ტიგროსზე გადაიყვანა და ქალაქს ალყა შემოარტყა. ხალიფის ჯარმა პირველი შეტევების მოგერიება შეძლო, მაგრამ მოგვიანებით მონღოლებმა დაბლობზე ხაფანგში შეიტყუეს მოწინააღმდეგე. იქ კი ჩინელმა ინჟინრებმა მდინარეზე კაშხლები დაანგრიეს და წყალი მოწინააღმდეგის ჯარზე მიუშვეს. ხალიფის ბევრი მეომარი დაიხრჩო. ამის შემდეგ მონღოლებმა ქალაქის გარშემო საალყო მანქანების დამცველი კედლები ააგეს და კატაპულტებით ქალაქის დაბომბვა დაიწყეს. ერთ კვირაში გალავნების ნაწილი მონღოლების ხელში იყო. ხალიფამ ჰულაგუს მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

თებერვლის შუა რიცხვებში ბაღდადი დაეცა. ჰულაგუმ ჯარს ერთი კვირის განმავლობაში ბაღდადის დარბევის უფლება მისცა. ამ დროს განადგურდა ბაღდადის ცნობილი ბიბლიოთეკა, მათ შორის „სიბრძნის სახლი“. მონღოლებმა ბაღდადის ქრისტიანი მცხოვრებლები და ებრაელები დაინდეს. ქრისტიანების მიმართ ლმობიერების გამოჩენა ჰულაგუს უფროსმა ცოლმა, ნესტორიანელმა ქრისტიანმა დოკუზ-ხათუნმა ითხოვა, ხალიფების მიერ დაჩაგრულ ებრაელებს კი მონღოლები მოკავშირეებად აღიქვამდნენ. ჰულაგუმ ხალიფას ქალაქის დარბევის პროცესისთვის აყურებინა, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა.

მოგვიანებით, ისტორიკოსები ბაღდადის დაცემას სხვადასხვა ისტორიულ მოვლენას – ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას ან ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გადაწვას შეადარებენ.

26. შენ რომელ მოვლენას შეადარებდი ბაღდადის აღებას? რატომ?

27. საკუთრივ მონღოლთა ჯარის მრავალრიცხოვნებისა და დისციპლინის გარდა, მათი წარმატების კიდევ რა მიზეზებს დაასახელებდი?

28. რამდენად იყო შესაძლებელი მონღოლთა ქრისტიანობაზე მოქცევა და მათი შემდგომ ჯვაროსნულ ლაშქრობებში მოკავშირეებად ქცევა?

29. როგორ გგონია, რელიგიის არჩევის შემთხვევაში, ულუსების მიხედვით, რა ფაქტორები შეიძლებოდა გაეთვალისწინებინათ მონღოლებს?

ბაღდადის აღების შემდეგ მონღოლებმა სირია დალაშქრეს. მათ არმიაში ვასალები – ქართველები და სომხებიც იყვნენ. იმავდროულად, მონღოლთა მოკავშირედ გამოდის ანტიოქიის სამთავრო, ტრიპოლის საგრაფო და იერუსალიმის სამეფო, რომლებთან ერთადაც დაიპყრეს ალეპო. ხოლო მონღოლთა სარდალმა ქითბუღამ, რომელიც ქრისტიანი იყო, დამასკო აიღო. მუსლიმური ძალების ცენტრების ერაყისა და სირიის დაპყრობის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში ისლამური ცენტრი გახდა ეგვიპტე, რომელსაც ამ პერიოდში **მამლუქები** განაგებდნენ. 1260 წელს აინ ჯალუთთან მომხდარ ბრძოლაში მონღოლები სასტიკად დამარცხდნენ მამლუქებთან, რომლებმაც შემდგომში სირიაც დაიკავეს.

მამლუქი – არამუსლიმური წარმოშობის (ძირითადად შუა აზიელი და კავკასიელი) ტყვე მონებისგან შემდგარი გვარდიის ჯარისკაცი. ეგვიპტეში პირველად სალადინმა შექმნა მამლუქთა რაზმები, რაც შემდგომ სამხედრო-ფეოდალურ ჯგუფად ჩამოყალიბდა. 1250 წელს მათ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და ეგვიპტის მმართველები გახდნენ.

თავიდან მონღოლებს უზარმაზარი იმპერიის მართვის არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდათ. მონღოლური სამხედრო არისტოკრატია არ ზრუნავდა დაპყრობილი ქვეყნების ადმინისტრირებაზე, ეკონომიკურ აღორძინებაზე. მათ მხოლოდ ხარკი და ალაფი აინტერესებდათ. ამას დაუპირისპირდა თავად მონღოლთა ელიტის ნაწილი. მათი აზრით, აუცილებელი იყო მონღოლური სამხედრო-მომთაბარული არისტოკრატიის შეზღუდვა, დაპყრობილი ქვეყნების არისტოკრატიასთან დაახლოება და მმართველობაში მათი ჩაბმით ვაჭრობის, ქალაქების აღორძინება და მტკიცე ცენტრალიზებული მონარქიის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, ამ პროცესში ადგილებზე ის საზოგადოება წინაურდებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრივი განვითარების დიდი ტრადიცია ჰქონდა, მაგ., ილხანთა საყაენოში ადმინისტრაციული, ეკონომიკური, აგრარული რეფორმები გაატარა ყაზან-ყაენმა (1295-1305 წწ.). მან ასევე უარი თქვა ბუდიზმზე და ისლამი მიიღო; მართალია, მონღოლთა არაერთი ყაენი ყოფილა სხვადასხვა აღმსარებლობის (თენგრიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), ეს შემთხვევა განსხვავებული იყო. აზან-ყაენმა საილხანოში ისლამი სახელმწიფო რელიგიის რანგში აიყვანა, რამაც ხაზი გაუსვა ისლამის უპირატესობას. ბუდისტები კერპთაყვანისმცემლებლად გამოცხადდნენ და მათ ორი არჩევანი ჰქონდათ: საილხანოდან წასულიყვნენ ან ისლამი მიეღოთ. ირანის ტერიტორიაზე ბევრ ადგილას ქრისტიანული ეკლესიები და ებრაული სინაგოგები დაანგრიეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ აზან-ყაენის ბრძანებით გაუქმდა არამუსლიმებისთვის დაწესებული ჯიზიის გადასახადი. ეკლესიების ნგრევა კი ვასალურ სახელმწიფოებს (მაგ., საქართველოს) არ შეხებია. შეავიწროვა მომთაბარე არისტოკრატია, ხელს უწყობდა მომთაბარე ტომთა მკვიდრ ცხოვრებაზე გადაყვანას. ამით მონღოლური ტრადიციები თანდათანობით შესუსტდა და ილხანთა საყაენო, ფაქტობრივად, ისლამურ-სპარსულ ფეოდალურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

30. რა ღონისძიებები გაატარა ყაზან-ყაენმა და შენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ეს ხელს საყაენოს ცენტრალიზებას?

31. შენი აზრით, რატომ დადგნენ მონღოლები მომთაბარე ცხოვრების სტილის შეცვლის აუცილებლობის წინაშე?

32. შენი აზრით, როგორ აისახებოდა ყაზან-ყაენის გადაწყვეტილება რელიგიის შეცვლის შესახებ დაპყრობილი ხალხების მდგომარეობაზე?

33. რატომ სურდა ყაზან-ყაენს მონღოლური და ირანული არისტოკრატიის დაახლოება და რა შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ამას საყაენოსთვის?

დაპყრობების შემდეგ მონღოლების ხელში აღმოჩნდა ევრაზიის კონტინენტის უდიდესი ნაწილი. პირველად გახდა შესაძლებელი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ცენტრების: ჩინეთისა და ხმელთაშუა ზღვის ერთმანეთთან დაკავშირება. მონღოლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ტრანსევრაზიულ ვაჭრობას, გზებზე უსაფრთხოებას იცავდნენ, ვაჭრებს ზედმეტი გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ. პირველი, ვინც ეს შესაძლებლობა გამოიყენა და XIII საუკუნეში ევროპიდან ჩინეთში იმოგზაურა, იტალიელი მოგზაური მარკო პოლო (1254-1324 წწ.) იყო.

1271 წელს მარკო პოლომ მამასთან და ბიძასთან ერთად ვენეცია დატოვა და აღმოსავლეთისკენ გაეშურა. მცირე აზიის, შუამდინარეთის, ირანის ზეგანისა და პამირის მთიანეთის გავლით მათ ჩინეთს მიაღწიეს. ეს მოგზაურობა და შემდეგ ჩინეთში ყოფნა თითქმის ოც წელიწადს გაგრძელდა. უკან დაბრუნებული მარკო პოლო ციხეში აღმოჩნდა. მის ნაამბობზე დაყრდნობით თანამესაკნე რუსტიჩანომ მარკო პოლოს თავგადასავალი აღწერა.

„მარკო პოლოს მოგზაურობა“ ძვირფასი წყაროა მონღოლეთის, ჩინეთის, ირანის, მათ შორის საქართველოს, სომხეთისა და სხვა ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის შესახებ.



მარკო პოლოს ცნობით, საქართველოში ქალაქები და დაბებია, სადაც ისეთ ლამაზ აბრეშუმსა და ოქრო-ქსოვილს ამზადებენ, რომლის ბადალსაც სხვაგან ვერ შეხვდებით. თბილისი ხელოსნობის ცენტრია, მოსახლეობა კი მეტად მრავალრიცხოვანი.

■ *სურ. 3 საქართველოს მეფე დავით VII* „მარკო პოლოს მოგზაურობიდან“

34. რაზე მეტყველებს„მარკო პოლოს მოგზაურობაში“ საქართველოს მეფის დავით VII ნახატის არსებობა?

მარკო პოლოს მსგავსად, საკუთარი მოგზაურობა ჩინეთიდან ევროპაში აღწერა რაბან ბარ საუმამ (1220-1294 წწ.). რაბან ბარ საუმა ნესტორიანელი ქრისტიანი ბერი იყო, რომლის მიზანს იერუსალიმის მოლოცვა წარმოადგენდა. მონღოლეთისა და შუა აზიის გავლით ის საილხანოში მოხვდა და არღუნ-ყაენის (1284-1291 წწ.) თხოვნით ევროპის ქვეყნებში ელჩობას დათანხმდა. მან იმოგზაურა კონსტანტინოპოლში, რომსა და პარიზში. არღუნ-ყაენის მიზანი იყო ევროპელებთან ალიანსი, რათა მამლუქებზე ერთობლივად ელაშქრათ.

წყარო ვ) ნაწყვეტი ილხან არღუნის წერილიდან საფრანგეთის მეფისადმი, საფრანგეთის სამეფო არქივი:

„დიდი მეფის არღუნის წერილი საფრანგეთის მეფეს: მე დავთანხმდი თქვენს შემოთავაზებას რომელიც გადმომეცა ელჩ რაბან ბარ საუმასგან, რომელიც ამბობს, რომ თუ ილხანთა მეომრები ეგვიპტეს დაიპყრობენ, თქვენ მხარს დაუჭერთ მათ... თუ თქვენ გამოგზავნით მეომრებს, როგორც შეგვპირდით და დაიპყრობთ ეგვიპტეს, ამას შევთხოვთ ზეცას, მაშინ მე თქვენ გადმოგცემთ იერუსალიმს. თუ რომელიმე მეომარი ჩამოვა დათქმულ დროზე გვიან, მაშინ ყველაფერი უშედეგო იქნება...“

თუმცა მონღოლებსა და ევროპელებს შორის არც მანამდე და არც შემდგომში წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს პრაქტიკულად შედეგები არ მოჰყოლია. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ რაბან ბარ საუმა ბაღდადში დასახლდა და თავისი მოგზაურობის წიგნი დაწერა.

35. შენი აზრით, რატომ იჩენდნენ დიდ ყურადღებას მონღოლები სავაჭრო გზების მიმართ და რატომ არის მნიშვნელოვანი ვაჭრობის განვითარება ქვეყნებისთვის?

36. „მარკო პოლოს მოგზაურობა“ დღეს ისტორიკოსებისთვის ძვირფასი ისტორიული წყაროა, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ წიგნს შუა საუკუნეების ევროპელი მკითხველისთვის? შესაბამისად რაბან ბარ საუმას წიგნს ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები მკითხველისთვის?

37. მოსწავლის რვეულში გაეცანი ამონარიდს „მარკო პოლოს მოგზაურობიდან“ და შეავსე ისტორიულ წყაროზე სამუშაო ფურცელი (**მოსწავლის რვეული, დავ. 29**).

38. შეადარე ერთმანეთს არაბების, თურქ-სელჩუკთა და მონღოლების დაპყრობების ისტორია: გამომწვევი მიზეზები და შედეგები. იმსჯელე, რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს პროცესები. რომელ მათგანს მეტი მსგავსება აქვს ერთმანეთთან და რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

39. გაიხსენე, რა წვლილი შეიტანა არაბულმა კულტურამ ევროპულ ცივილიზაციაში და გამოთქვი მოსაზრება, მოახდენდნენ თუ არა გავლენას ევროპაზე მონღოლები? პასუხი დაასაბუთე.

კომპლექსური

წარმოიდგინე, რომ არაბი ისტორიკოსი ხარ და ქალაქ ბაღდადში ცხოვრობ XIII საუკუნეში. მონღოლების მიერ ბაღდადის აღების მერე ეგვიპტეს შეაფარე თავი. ჯვაროსნული ომების დასრულების შემდეგ პალესტინის ტერიტორიებს ეგვიპტის სულთანი დაეუფლა. გადაწყვიტე, რომ შექმნა ისტორიული თხზულება, რომელშიც აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებთან და მონღოლებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს.

ისტორიულ თხზულებაში თვალნათლივ წარმოადგინე:

- რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მათი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესახებ.
- როგორ წამოიშვა მონღოლთა სახელმწიფო და როგორ აისახა მათი გამოჩენა აზიისა და ევროპის ხალხების ცხოვრებაზე.
- რა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით აღწერ ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მონღოლთა დაპყრობების შედეგად განვითარებულ ისტორიულ პროცესებს?
- როგორ და რატომ აღწერენ შენი დამოწმებული ავტორები ფაქტებსა და მოვლენებს და რამდენად სანდოა შენ მიერ გამოყენებული წყაროები?

§21. ინგლისი განვითარებული შუა საუკუნეების დასაწყისში. „თავისუფლების დიდი ქარტია“

XIII საუკუნის დასაწყისისთვის ინგლისში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა. საზოგადოების თავისუფალ წოდებებს მიეკუთვნებოდნენ დიდებულები, სასულიერო პირები, მოქალაქეები და თავისუფალი გლეხები, მათ გარდა, არსებობდნენ დამოკიდებული გლეხები.

ფეოდალურ საზოგადოებაში საკუთარი ადათ-წესები ჩამოყალიბდა. ურთიერთობებს სენიორსა და ვასალებს შორის მიღებული ნორმები – ადათობრივი სამართალი არეგულირებდა. მაგ., ვასალის უფლებას ფეოდის იმ ნაწილზე, რომლის გასხვისებაც დაუკითხავად არ შეიძლებოდა; სენიორის უფლებას, მოეთხოვა ვასალებისგან სამხედრო სამსახური ან სანაცვლოდ ფულადი გადასახადი; გადასახადის ოდენობას, რომელიც რაინდს მემკვიდრეობის მიღებისას სენიორისთვის უნდა გადაეხადა და ა. შ. ასევე, რა შემთხვევაში შეიძლებოდა სენიორულ-ვასალური ურთიერთობების შეწყვეტა (თუ ერთ-ერთი მხარე თავის ვალდებულებებს არ ასრულებდა და ამით სერიოზულ ზიანს აყენებდა მეორე მხარეს).

მეფესთან არსებობდა სათათბირო საბჭო, რომელიც მისი უშუალო ვასალებისგან შედგებოდა. მეფე მათ რჩევებს, სურვილისამებრ, ითვალისწინებდა ან არ ითვალისწინებდა.

ჰენრი II

წლიდან 1399 წლამდე ინგლისს 1154 პლანტაგენეტების დინასტია მართავდა. მისი პირველი წარმომადგენელია ჰენრი II (1154-1189 წწ.). ჰენრი II-ის მამა წარმოშობით საფრანგეთიდან იყო – ანჟუს გრაფი ჟოფრუა პლანტაგენეტი. ამის გამო პლანტაგენეტთა მმართველობის პერიოდს ანჟუს იმპერიის პერიოდსაც უწოდებენ. ანჟუს იმპერია დიდ მიწებს ფლობდა როგორც ინგლისში, ისე კონტინენტზე. პლანტაგენეტების სიძლიერის ხანაში იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ინგლისის სამეფო, ირლანდიის სამეფო, ნორმანდიის საჰერცოგო, ანჟუ, პუატიე, გასკონია, ტულუზა და აქვიტანია.



სურ. 1 ჰენრი II, ინგლისის მეფე. მინიატურა. მეთიუ პარიზელის ქრონიკიდან, XIII ს.

ჰენრი II-ს, როგორც ინგლისის მეფეს, ერგო ინგლისი და ნორმანდია, ჟოფრუა პლანტაგენეტისაგან – ანჟუს და მენის საგრაფოები, ხოლო ცოლისგან – ალიენორ აქვიტანიელისაგან – აქვიტანიის საჰერცოგო. ამას დაემატა ტულუზა, რომელიც ნებაყოფლობით შევიდა ჰენრის II-ის მიწების შემადგენლობაში. ბრეტანის ჰერცოგის ასულზე უფლისწულის დაქორწინების შედეგად მის სამეფოს ბრეტანის საჰერცოგო შეემატა.

ჰენრი II-ის მიზანი ქვეყანაში წესრიგის დამყარება იყო. ის რაინდებს, მოქალაქეებსა და თავისუფალ გლეხობას ეყრდნობოდა და ბარონების დამორჩილებას ცდილობდა. ჰენრი II-მ მათ დაუნგრია უკანონოდ აშენებული ციხესიმაგრეები, აუკრძალა დაქირავებული ჯარის ყოლა და მონეტების მოჭრა და დაიბრუნა მიტაცებული მიწები. შემდეგ ადგილობრივ მმართველობას მიაქცია ყურადღება და შეეცადა, აქაც შეესუსტებინა ფეოდალთა გავლენა და ცვლილებები შეეტანა შერიფების საქმიანობაში, რომლებიც საგრაფოებს განაგებდნენ. იმის მიუხედავად, რომ შერიფებს თავიდან დიდი უფლებები მიანიჭა, მათ მკაცრი კონტროლი დაუწესა. 1170 წლიდან კი ის შერიფები დაითხოვა, რომლებიც სახელმწიფო თანხებს ითვისებდნენ და მათ ადგილზე საშუალო და წვრილი ფეოდალების წარმომადგენლები დანიშნა.

ცვლილებები შეეხო ცენტრალურ ადმინისტრაციასაც. იგი სამად გაიყო. პირველი იყო მეფის საბჭო (სამეფო კურია), რომელიც განაგებდა მთელ სამეფოს, გამოსცემდა კანონებს,

ხელმძღვანელობდა დიპლომატიას, ომისა და ზავის საკითხებს; სამეფო კურიას სათავეში ედგა ლორდ-კანცლერი, მას ებარა სახელმწიფო ბეჭედი. მეორე იყო უზენაესი სასამართლო, რომელიც სასამართლო დადგენილებებს იხილავდა. მესამე იყო ჭადრაკის პალატა, რომელიც უზენაეს ფინანსურ ორგანოს წარმოადგენდა. იგი კრეფდა გადასახადებს, განაგებდა ფინანსების ხარჯვას და ჯარის დაქირავების საკითხს. მას ჭადრაკის პალატა იმიტომ ეწოდებოდა, რომ მაგიდაზე, რომელზეც საკითხების განხილვა მიმდინარეობდა, ჭადრაკულად მოხატული სუფრა ჰქონდა გადაფარებული.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰენრი II-ის სასამართლო რეფორმას, რომლის გატარებამდეც ინგლისში ყველა წოდებას თავისი სასამართლო ჰქონდა. ჰენრის რეფორმის შედეგად კი ყველა თავისუფალ ადამიანს შეეძლო უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება. ასევე სიახლე იყო მოგზაური მოსამართლეების – ლეგისტების შემოღება. ისინი მეფის ბრძანებით ადგილებზე იგზავნებოდნენ. მათ დანერგეს გამოძიება და საქმის ჩაწერა, იყენებდნენ მოწმეებს, რომლებიც ფიცის ქვეშ ამბობდნენ სიმართლეს. ჩვენებისთვის საჭირო იყო 12 მოწმე, ანუ თანამოფიცარი. ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ინგლისში ჰენრი II-ის სახელს უკავშირდება.

წარმატებული იყო ჰენრი II-ის სამხედრო რეფორმაც. ამ რეფორმამდე მეფე ვასალებს იწვევდა, ისინი კი – თავიანთ ვასალებს. იკრიბებოდა ფეოდალური ლაშქარი, რომლის სამსახურის ვადა 40 დღით განისაზღვრებოდა. ჰენრი II-მ უარი თქვა ამ სამსახურზე და ფეოდალებისგან მოითხოვა „ფარის ფული“, რომლითაც დიდი თანხა გროვდებოდა და მეფეს ამ ფულით ჯარის დაქირავება შეეძლო. ამას გარდა, მეფემ თავისუფალ მოსახლეობას საყოველთაო სამხედრო სამსახური დააკისრა. ამ გზით ის სახალხო ლაშქარს კრებდა.

?

1. შენი აზრთ, რატომ არეგულირებდა შუა საუკუნეების საზოგადოებაში სენიორსა და ვასალებს შორის არსებულ ურთიერთობებს ადათობრივი სამართალი?

2. რას გვეუბნება მეფის ძალაუფლების შესახებ ის ფაქტი, რომ მონარქს ვასალებისგან შემდგარი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებების გათავლისწინების ვალდებულება არ ჰქონდა?

3. რა მიზანს ისახავდა ჰენრი II-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა?

4. შენი აზრით, რა გამოწვევების წინაშე დააყენებდა პლანტაგენეტების დინასტიას დასავლეთ ევროპის კონტინენტურ ნაწილსა და კუნძულებზე განთავსებული ვრცელი სამფლობელოების ფლობა?

5. შენი აზრით , რატომ იყო დაინტერესებული ჰენრი II პლანტაგენეტი ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებით და წოდებრივი სასამართლოების გაუქმებით?

6. როგორ ფიქრობ, რატომ ჩაანაცვლა ჰენრი II პლანტაგენეტმა ვასალებისაგან გამოყვანილი ფეოდლაური ჯარი თავისუფალი მოსახლეობისაგან შედგენილი საყოველთაო სახალხო ლაშქარით და მოქირავნეებით?

ჯონ უმიწაწყლო ინგლისის სათავეში

1199 წელს ინგლისის მეფე გახდა ჯონ უმიწაწყლო, ჰენრი II-ის უმცროსი ვაჟი. მას თანამედროვეებმა უმიწაწყლო შეარქვეს, რადგან სამი უფროსი ძმისგან: ჰენრისგან, რიჩარდ ლომგულისა და ჯეფრისგან განსხვავებით, კონტინენტზე მამულები არ შეხვდა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: ჯონი ნაბოლარა იყო და როცა დაიბადა, მამამისს ვაჟებისთვის მიწები უკვე განაწილებული ჰქონდა.

ჯონის წარუმატებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამო მეფის ხელისუფლებით უკმაყოფილო იყო საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის ეკლესიაც. ინგლისის მეფე არღვევდა ფეოდალურ წეს-ჩვეულებებს, ავიწროებდა ფეოდალებს. მან მნიშვნელოვნად გაზარდა გადასახადები, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასაჯა ბარონები, რითაც მსხვილი ფეოდალების, ბარონების, რაინდების, მოქალაქეების გულისწყრომა გამოიწვია.

1202-1204 წლებში ჯონ უმიწაწყლო ომს აწარმოებდა საფრანგეთთან, რის შედეგადაც ინგლისის ფრანგული სამფლობელოები – ნორმანდია, ანჟუ, მენი, პუატიეს ნაწილი დაკარგა.

ჯონ უმიწაწყლოს დაპირისპირება ჰქონდა რომის პაპთანაც. 1205 წელს, როცა კენტერბერის არქიეპისკოპოსი გარდაიცვალა, ჯონმა და კენტერბერელი ბერების ნაწილმა საკუთარი კანდიდატი წამოაყენეს. რომის პაპმა მათი არჩევანი არ გაითვალისწინა და არქიეპისკოპოსად სტივენ ლენგტონი დანიშნა. თავის მხრივ, ინგლისის მეფემ უარი თქვა, ეცნო რომის პაპის მიერ დანიშნული კენტერბერის არქიეპისკოპოსი. პაპმა ინოკენტი III-მ ინგლისს **ინტერდიქტი** დაადო, მეფე ეკლესიიდან განკვეთა და 1212 წელს გამოსცა ბულა ჯონისთვის ტახტის ჩამორთმევისა და მისი უფლებების საფრანგეთის მეფის – ფილიპე II ოგიუსტისთვის გადაცემის შესახებ. ჯონი იძულებული გახდა, პაპს დამორჩილებოდა, თავი მის ვასალად გამოეცხადებინა და ყოველწლიურად ვერცხლით 1000 მარკის გადახდას დასთანხმებოდა.

ინტერდიქტი – შუა საუკუნეებში: რომის პაპის მიერ რომელიმე ქალაქის ან მთელი სახელმწიფოსათვის დადებული სასჯელი – წირვა-ლოცვის, მღვდელმსახურების დროებით აკრძალვა.

ამის შემდეგ ჯონი კვლავ საფრანგეთთან ომის სამზადისს შეუდგა. ინგლისის მეფეს ბარონების დახმარების იმედი არ ჰქონდა, ამიტომ საღვთო რომის იმპერატორს ოტო IV-სა (1209-1215 წწ.) და ფლანდრიის გრაფს დაუკავშირდა. 1214 წელს ბუვინთან ბრძოლაში საფრანგეთის მეფემ მოკავშირეები სასტიკად დაამარცხა. ჯონს კონტრიბუციის გადახდაც მოუწია. მან ახლა იმ ბარონების დასჯა გადაწყვიტა, ვინც საფრანგეთის მეფესთან დაპირისპირებაზე უარი განაცხადა და მეფეს სალაშქროდ არ წაჰყვა. სწორედ მეფის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ბარონების გამოსვლა. მათ მხარი დაუჭირა სამღვდელოებამ, რაინდებმა, ქალაქებმა და მათ შორის ლონდონმა.

აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და 1215 წლის 15 ივნისს ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო იძულებული გახდა, ბეჭედი დაესვა 63 მუხლისგან შემდგარი დოკუმენტისთვის, რომელსაც „თავისუფლების დიდი ქარტია“ ეწოდება.

7. რა ღონისძიებების გატარებით ცდილობს ჯონ უმიწაწყლო ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას? უწყობს თუ არა ეს ღონისძიებები ხელს მისი ძალაუფლების განმტკიცებას? პასუხი დაასაბუთე.

8. რა იყო ინგლისის მეფისა და რომის პაპის დაპირისპირების მიზეზი?

9. რა ბერკეტებს იყენებს რომის პაპი საკუთარი ძალაუფლების დასამტკიცებლად?

10. შენი აზრით, რა გავლენას მოახდენს რომის პაპის გადაწყვეტილება ბარონების ქმედებაზე და როგორ აისახება ეს ჯონ უმიწაწყლოს ძალაუფლებაზე?

11. რამდენად მართებულად მიგაჩნია ჯონის გადაწყვეტილება საღვთო რომის იმპერატორთან და ფლანდრიის გრაფთან მოკავშირეობის შესახებ? რატომ?

12. შეაფასე ჯონ უმიწაწყლოს გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობა.

13. შეავსე სქემა ჯონ უმიწაწყლოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ (**მოსწავლის რვეული, დავ. 30**).

წყარო ა) „თავისუფლების დიდი ქარტია“

„12. არც „ფარის ფული“ და არც დახმარების (აუქსილიუმი) არ უნდა შეგროვდეს სამეფოში საერთო თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს ჩვენიანის ტყვეობიდან გამოსასყიდად, უფროსი ვაჟების რაინდად საკურთხებლად, ქალიშვილების პირველად გასათხოვებლად არაა საჭირო; და ამისთვისაც ზომიერი შემწეობა უნდა გაიცეს. ასეთივე მიდგომა უნდა იყოს ქალაქ ლონდონშიც შემწეობებთან დაკავშირებით.

13. და ქალაქ ლონდონს უნდა ჰქონდეს ყველა ძველი უფლება და თავისუფალი ჩვეულება, როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე. ამას გარდა, ჩვენ გვსურს და პატივს ვცემთ, რომ ყველა სხვა ქალაქსა და მხარეს, დასახლებასა და პორტს ჰქონდეს ყველა უფლება და თავისუფალი ადათ-წესები.

14. ...იმისათვის, რომ (ახალი გადასახადების შემოღებისას) სამეფოს საერთო საბჭო შევკრიბოთ, ჩვენ ვბრძანებთ არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, აბატების, გრაფებისა და უფროსი ბარონების მოწვევას ჩვენი ბეჭდით დამოწმებული წერილებით.

...და ყველა წერილში ჩვენ განვმარტავთ მოწვევის მიზეზს... დათქმულ დღეს შევუდგებით საქმეს იმათი მონაწილეობითა და რჩევით, ვინც ადგილზე აღმოჩნდება, თუნდაც ყველა მოწვეული არ გამოცხადდეს...

61. მას შემდეგ, რაც უფლისა და ჩვენი სამეფოს კეთილდღეობისათვის, ასევე ჩვენსა და ჩვენს ბარონებს შორის გაჩენილი განხეთქილების უფრო წარმატებულად მოგვარებისათვის ზემოაღნიშნული წყალობა მოვიღეთ და, რაკი გვსურს, რომ ამ წყალობით ისინი მყარად და დაურღვევლად სარგებლობდნენ მარადჟამს, ჩვენ ვქმნით და ვუბოძებთ მათ ამ ქარტიას, რათა: ბარონებმა თავად აირჩიონ სამეფოში 25 ბარონი, რომლებიც მთელი ძალ-ღონით დაიცავენ და სხვებისაგანაც მოითხოვენ მშვიდობისა და იმ თავისუფლებების დაცვას, რომლებიც ჩვენ ვუბოძეთ და ამ ქარტიით დავამტკიცეთ... თუ ჩვენ, ჩვენი სასამართლო ან ვინმე ჩვენი მოხელეთაგანი... მშვიდობის ან ქარტიის მუხლთაგან რომელიმეს დაარღვევს და ამის შესახებ ხსენებული 25 ბარონიდან 4 შეიტყობს, ისინი უნდა გვეახლონ ჩვენ ან ჩვენს სასამართლოს, თუკი ჩვენ სამეფოს საზღვრებს გარეთ ვიქნებით, მიგვითითონ დარღვევაზე და მოგვთხოვონ მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება. და თუ ჩვენ არ გამოვასწორებთ ამ დარღვევას ან... ჩვენი სასამართლო არ გამოასწორებს მას... მითითებიდან 40 დღის ვადაში, მაშინ დასახელებული 4 ბარონი აცნობებს ამის შესახებ დანარჩენებს და ის 25 ბარონი მთელი მიწის თემთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს ჩვენი იძულებისა და შევიწროებისათვის... ციხესიმაგრეების, მიწებისა და სამფლობელოების მიტაცებითა და სხვა საშუალებებით... ვიდრე დარღვევა მათი გადაწყვეტილებისამებრ არ აღმოიფხვრება.

ამ დროს ხელშეუხებელი უნდა დარჩეს ჩვენი, ჩვენი დედოფლისა და ჩვენი შვილების სიცოცხლე, ხოლო როდესაც დარღვევა გამოსწორდება, ისინი კვლავ დაგვემორჩილებიან ისევე, როგორც გვემორჩილებოდნენ მანამდე. ქვეყანაში ვინც კი მოისურვებს, ყველას შეეძლება დადოს ფიცი, რომ... დაემორჩილება დასახელებული 25 ბარონის ბრძანებებს ჩვენ კი ღიად და თავისუფლად ვრთავთ თითოეულს ფიცის დადების ნებას და არასოდეს არავის ავუკრძალავთ ამას. მათ კი, ვინც თავისი ნებით არ შეჰფიცავს 25 ბარონს... ჩვენ ბრძანებით ვაიძულებთ ფიცის დადებას...

თუ 25 ბარონიდან რომელიმე მოკვდება, ქვეყანას დატოვებს, ან კიდევ სხვა რამ მიზეზით ვეღარ შეძლებს ზემოაღნიშნულის შესრულებას, დანარჩენები თავიანთი შეხედულებით აირჩევენ სხვას და დაადებინებენ ფიცს...

თუ 25 ბარონი შეიკრიბება და რამეზე ვერ შეთანხმდება, ან თუ ზოგიერთი მათგანი... არ ისურვებს ან ვერ შეძლებს გამოცხადებას, ნებისმიერ საქმეში... გადაწყვეტილად ჩაითვლება ის, რასაც დამსწრეთა უმრავლესობა დაადგენს. ჩვენ კი არასოდეს ვეცდებით... რომ ამ უფლებათა და თავისუფლებათაგან რომელიმე გაუქმდეს ან შეიზღუდოს. და თუ რამე ამდაგვარი მაინც მოხდება, მას არ ექნება ძალა და მნიშვნელობა და ჩვენ არასოდეს ვისარგებლებთ ამით არც თავად და არც სხვათა საშუალებით...

63. ამიტომ ჩვენ გვნებავს და მკაცრად ვბრძანებთ ჩვენი და ჩვენი მემკვიდრეების სახელით, რომ ინგლისის ეკლესია თავისუფალი იყოს და რომ ადამიანები ჩვენს სამეფოში თავისუფლად, მშვიდად, სრულად... ფლობდნენ ზემოთ დასახელებულ თავისუფლებებს, უფლებებს, სამართალს და წყალობას, როგორც თავიანთთვის, ისე თავიანთი მემკვიდრეებისათვის ყველგან, ყოველთვის და უკუნითი უკუნისამდე...“

?

14. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ თანახმად, რატომ იკრიბება საბჭო?

15. რა განსხვავებული ფუნქცია შეიძინა საბჭომ „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღების შემდეგ?

16. რა შეიცვალა საბჭოს დაკომპლექტების წესში და როგორ ხდება მისი მოწვევა? ვინ არიან საბჭოს წევრები და რა როლს ასრულებენ საბჭოს მუშაობაში?

17. მოსახლეობის რომელი სოციალური ფენების ინტერესებს იცავს ქარტია და რომლისას არა?

18. როგორი ურთიერთობა მყარდებოდა ეკლესიასა და მეფეს შორის? რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს გადაწყვეტილება?

19. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ დოკუმენტის მიღება? შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 31**).

„თავისუფლების დიდი ქარტია“ ლათინურ ენაზეა შედგენილი და შეიცავს პრეამბულასა და 63 მუხლს. ეს დოკუმენტი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის ერთგვარი საფუძველია. ინგლისში ის პირველ საკონსტიტუციო აქტადაა მიჩნეული. დიდი ქარტიის ორი ასლი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში ლონდონში, ერთი – ლინკოლნის ტაძარში, ერთიც – სოლსბერის კათედრალში.

„თავისუფლების დიდი ქარტია“ ინგლისის თავისუფლების ქვაკუთხედადაა აღიარებული და ითვლება, რომ სწორედ მან შექმნა საფუძველი საზოგადოების ცხოვრებაში თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ქარტიაში ნათქვამია, რომ „ქვემოთ დაწერილი თავისუფლებანი“ ენიჭება სამეფოს ყველა თავისუფალ ადამიანს.

1216 წელს, ქარტიის ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ, როცა მეფე ჯონი გარდაიცვალა და ტახტზე მისი მცირეწლოვანი შვილი ჰენრი III ავიდა, „თავისუფლების დიდი ქარტია“ ხელახლა გამოიცა. ქარტიის რამდენიმე მუხლი გაუქმდა. ქარტიის ახალი გამოცემა ძირითადად კერძო საკუთრების უფლებებს შეეხო. 1225 წელს, როდესაც ინგლისის მეფე ჰენრი III სრულწლოვანი გახდა, გაჩნდა თავისუფლების ქარტიის მესამე რედაქცია. სწორედ ქარტიის ეს ვერსია მიიჩნევა ნორმატიული კანონის საწყისად, რომელსაც მხარს უჭერდნენ გვიანი შუა საუკუნეების ინგლისელი მეფეები.



სურ. 2 თავისუფლების დიდი ქარტია

„თავისუფლების დიდი ქარტიის“ თანახმად:

- მეფეს არ შეეძლო ბარონების დასჯა, არც შეპყრობა, არც ქონების ჩამორთმევა, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული სამეფოს კანონები.
- მეფე ვერ ჩაერეოდა საეკლესიო საქმეებში, ხელშეუხებელი იყო საეკლესიო ქონება
- ქარტია სასამართლო სფეროსაც ეხებოდა და ზღუდავდა ჰენრი II-ის შემოღებული სასამართლოს უფლებებს. ქარტიაში ლაპარაკი იყო „ყველა თავისუფალი ადამიანის“ ინტერესების დაცვაზე. მეფეს არ შეეძლო გადასახადების თვითნებურად დაწესება, არც აკრეფა. მეფეს ეკრძალებოდა თავისი ვასალებისგან იმაზე მეტი გადასახადის

აკრეფა, ვიდრე ადათით იყო დაწესებული. მას არც „ფარის ფულის“ აკრეფა შეეძლო „სამეფოს საერთო საბჭოს“ (სადაც ბარონები შედიოდნენ) დაუკითხავად. საბჭოს ხელში იყო გადასახადების შემოღებისა და აკრეფის დამტკიცების უფლება.

- ბარონები უნდა გაესამართლებინათ არა სამეფო სასამართლოში, არამედ წოდებრივად მათივე თანასწორი **პერების** სასამართლოში. პერების დასტურის გარეშე მეფეს არც ბარონების კანონგარეშე გამოცხადება შეეძლო.

პერი – ინგლისში, საფრანგეთში შუა საუკუნეებსა და ახალ დროში თავად-აზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენლების წოდება.

- ქარტია იცავდა რაინდის უფლებებსაც. მოითხოვდა, რომ ბარონებს არ შეევიწროებინათ რაინდები, არ მოეთხოვათ მათგან ზედმეტი გადასახადები და ადათით განსაზღვრულ სამსახურზე მეტი.

- ხელშეუხებლად ცხადდებოდა რაინდისა და ვაჭრის ქონება. ვაჭრებს ინგლისში თავისუფალი მიმოსვლის უფლება ეძლეოდათ.

- ქარტია აწესებდა ერთიან საზომსა და წონას. ქარტიაში დაცული იყო ქალაქების ინტერესებიც. საუბარი იყო ქალაქების ადრინდელი პრივილეგიების შენარჩუნებაზე, ლონდონს ძველი უფლებები განუმტკიცეს, სხვა ქალაქებმა კი მიიღეს თვითმმართველობა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო..

თავისუფლების დიდი ქარტია იყო დოკუმენტი, რომელმაც უმნიშვნელოვანესად განსაზღვრა ინგლისის შემდგომი ისტორია. ის იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ გადავიდა მოსახლეობა ჩვეულებით სამართალზე შექმნილი კანონებიდან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შექმნილ კანონებზე. ქარტიამ კანონის საფუძველზე შეზღუდა მეფე, ასევე შეიზღუდა სამეფო გავლენა საგადასახადო სფეროში. ჩამოყალიბდა სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფდა ქონების ხელშეუხებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავისუფლების დიდი ქარტია გამოხატავდა როგორც ბარონებისა და რაინდების, ისე ჩეულებრივი მოქალაქეებისა და წოდების არმქონე მიწათმფლობელების პოზიციებს. თავისუფლების დიდ ქარტიას წოდებრივი ხასიათი ჰქონდა.



20. შენი აზრით, რატომ ანიჭებს ქარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას საკუთრების დაცვას? რატომ იცავდა ქარტია ქალაქის უფლებებს?

მართალია, მეფემ ქარტიას ხელი მოაწერა, მაგრამ მისი პირობების შესრულებას არ აპირებდა, პირიქით, ომისთვის მზადება დაიწყო. კვლავ დაიწყო დაპირისპირება მეფესა და ბარონებს შორის, მაგრამ 1216 წელს ჯონ უმიწაწყლო გარდაიცვალა. ჯონის შემდეგ ტახტზე ჰენრი III (1216-1272 წწ.) ავიდა.

სურ. 3 სიმონ დე მონფორი. ვიტრაჟი შარტრის საკათედრო ტაძრიდან

1264 წელს უკმაყოფილო ბარონები ისევ აჯანყდნენ. ოპოზიციის სათავეში მდგომ სიმონ დე მონფორს ლონდონელთა 15-ათასიანი ლაშქარიც უჭერდა მხარს. სიმონ დე მონფორის ჯარმა დაამარცხა სამეფო ჯარი და ტყვედ ჩაიგდო მეფე და მისი მემკვიდრე. 1265 წელს დე მონფორმა მოიწვია კრება, რომელსაც, სასულიერო პირებისა და ბარონების გარდა, ყველა საგრაფოდან და ქალაქიდან გამოგზავნილი ორ-ორი წარმომადგენელიც ესწრებოდა, ანუ ეს იყო წოდებათა წარმომადგენლების კრება, რომელსაც პარლამენტი ეწოდა.

პარლამენტი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო იყო. პირველი წოდება აერთიანებდა სასულიერო პირებს: არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, აბატებს. მათ პერსონალურ მოწვევას უგზავნიდნენ პარლამენტში.

მეორე წოდებაში შედიოდა არისტოკრატია – ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ბარონები, რომლებიც უაღრესად ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. პარლამენტში ისინიც სპეციალურ მოწვევას იღებდნენ.

მესამე წოდებაში შედიოდნენ თემების წარმომადგენლები – საგრაფოებისა და ქალაქების დეპუტატები. პირველი ორი წოდებისგან განსხვავებით, ისინი პერსონალურ მოწვევას არ იღებდნენ. მოწვევა საგრაფოში იგზავნებოდა და მათ შერიფი გადასცემდა არჩეულ დეპუტატებს. საგრაფოს დეპუტატები – რაინდები – პარლამენტში საგრაფოს წვრილი არისტოკრატიისა და მესაკუთრეების ინტერესებს იცავდნენ.

შემდგომში მესამე წოდების წარმომადგენლებისგან თემთა (ქვედა) პალატა ჩამოყალიბდა. პირველი ორი წოდების წარმომადგენლები კი ლორდთა (ზედა) პალატაში გაერთიანდნენ.

ახალი პარლამენტი ორი პალატისაგან შედგებოდა – ლორდთა პალატაში შედიოდნენ პერები (დიდებულები) და ეპისკოპოსები, თემთა პალატაში კი – ორ-ორი რაინდი თითოეული საგრაფოდან და ორ-ორი მოქალაქე ყველა თვითმმართველი ქალაქიდან. მოგვიანებით მეფე ედუარდ I-მა (1272-1307 წწ.) ეფექტიანი ადმინისტრაციული რეფორმები გაატარა და ქვეყნის კანონმდებლობა კიდევ უფრო დაიხვეწა. ედუარდ I-ის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული პარლამენტი ისტორიაში „სანიმუშო პარლამენტის“ სახელით შევიდა. თუმცა, მიუხედავად ამ რეფორმებისა, ძირითადი ძალაუფლება მაინც მეფის ხელში რჩებოდა.



სურ. 4 ინგლისის პარლამენტი. შუა საუკუნეების მინიატურა

21. როგორ ფიქრობ, რატომ განსხვავდება პარლამენტში წარმომადგენლების მოწვევის წესი?

22. შეავსე სქემა. „თავისუფლების დიდი ქარტიიდან“ გამოყავი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლებიც ზღუდავს მეფის ხელისუფლებას და აძლიერებს ბარონებს. პასუხი დაასაბუთე.

ინგლისის მმართველობის სისტემა XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში



23. რატომ ეწოდება პარლამენტს წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო?

24. რატომ იყო მნიშვნელოვანი წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა?

25. რით განსხვავდება შუა საუკუნეების პარლამენტი თანამედროვე პარლამენტისგან?

26. წარმოიდგინე, რომ იმ პერიოდში ინგლისში ცხოვრობ. შეაფასე პარლამენტის შექმნა სხვადასხვა სოციალური ფენის პოზიციიდან. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 32.**) (მაგ., რას იტყოდა პარლამენტის შექმნასთან დაკავშირებით: მეფე, სასულიერო პირი, ბარონი, რაინდი, თავისუფალი ქალაქის მცხოვრები).

27. დღევანდელი თვალთახედვით შეაფასე იგივე მოვლენა და გამოყავი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული, დავ. 33**).

§22. სამეფო ხელისუფლების განმტკიცება საფრანგეთში. გენერალური შტატების მოწვევა

XII საუკუნემდე საფრანგეთში მეფის ხელისუფლების სისუსტეს თავისი მიზეზები ჰქონდა.

1. გაიხსენე, როგორი იყო სამეფო დომენი სხვა საგრაფოებთან და საჰერცოგოებთან შედარებით? როგორი იყო მეფისა და ფეოდალების ურთიერთობა? რატომ არ ემორჩილებოდნენ ისინი მეფეს?

2. რაზე მეტყველებს საფრანგეთში მოქმედი ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობების ფორმა: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“? ანუ ვინ ემორჩილება და ვინ არ ემორჩილება მეფეს?

ასეთი პოლიტიკური დაქსაქსულობის მიუხედავად, საფრანგეთში სამეფო ხელისუფლებამ XII საუკუნიდან მაინც გაძლიერება დაიწყო, რასაც რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი. უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ დინასტიას მყარი ტრადიცია ჰქონდა: იგი ჰუგო კაპეტიდან დაწყებული საფრანგეთს სამი საუკუნე მართავდა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი კი ის იყო, რომ მეფე თავის მემკვიდრეს თანამმართველად აცხადებდა, რაც უთანხმოების მიზეზს სპობდა.

XII საუკუნიდან მოყოლებული კაპეტინგების საგვარეულოს მეფეები სამეფო დომენს თანადათანობით აფართოებდნენ და დამოუკიდებელი ფეოდალების დამორჩილებას ცდილობდნენ, თუმცა პროცესი თაობათა განმავლობაში მიმდინარეობდა. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ზოგმა მეფემ მეტ წარმატებას მიაღწია, ზოგმა ნაკლებს.

3. როგორ ფიქრობ, მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისთვის რატომ იყო მნიშვნელოვანი ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი?

ფილიპ II ოგიუსტი (1180-1223 წწ.)

ფილიპ II-ს ოგიუსტი, იგივე ავგუსტუსი, სიცოცხლეშივე შეარქვა ბერმა რიგორმა, რომელიც მეფეზე თხზულებას წერდა. მან ოგიუსტის წოდებით მეფე კეისარს შეადარა, რადგან ფილიპ II-მ სამეფო დომენის მნიშვნელოვნად გაზრდა მოახერხა.

ფილიპის საგარეო პოლიტიკა ინგლისის მეფეების წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ მასთან ჰქონდა ინგლისის მეფეს, ჯონ უმიწაწყლოს, დაპირისპირება. 1202 წელს ფილიპ II-მ ჯონ უმიწაწყლოს ნორმანდიის საჰერცოგო ჩამოართვა და იქ ჯარი შეიყვანა. ნორმანდიელ ბარონებს ფილიპესთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან ჯონის მმართველობით შეწუხებულები იყვნენ. ნორმანდიის დაკავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს ოლქი უშუალოდ პარიზს ემეზობლებოდა. ამიერიდან პარიზს ზურგი გამაგრებუ-



სურ. 1 ფილიპ II. შუა საუკუნეების მინიატურა „დიდი ფრანგული ქრონიკიდან“

ლი ექნებოდა. სამეფო დომენმაც ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა. ფილიპის ხელში გადავიდა სხვა მიწებიც, რომლებზეც მანამდე ინგლისის მეფის ძალაუფლება ვრცელდებოდა – ანჟუ, მენი და სხვ.

ჯონ უმიწაწყლომ დაკარგული მიწების დაბრუნება გადაწყვიტა. მას ფლანდრიის გრაფი და ზოგი ფრანგი დიდებულიც მიემხრო, რადგან ფილიპის გაძლიერებისა ეშინოდათ. თუმცა 1214 წელს ფილიპ II-მ ინგლისელები დაამარცხა და შემოერთებული მიწები შეინარჩუნა.

ამ ბრძოლაში ფილიპის მოკავშირეები რაინდებთან ერთად ქალაქებიც იყო. ქალაქებში შეკრებილმა რაზმებმა ფილიპს დაანახვეს, რომ ისინი მძიმედ შეიარაღებულ მხედრებზე არანაკლებ იბრძოდნენ. ამას გარდა, ფილიპი მიხვდა, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქების მხარდაჭერას. ისინი შეიძლებოდა მეფის ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი გამხდარიყვნენ. ამიტომ მეფემ ქალაქებს დიდი ყურადღება მიაქცია. მათ თავის მფარველობაში იღებდა და სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ თვითმმართველობის უფლებას აძლევდა.

ქალაქი ორლეანი იმ დროს მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. ჯერ კიდევ 1180 წელს ქალაქმა ფილიპ ოგიუსტისგან ქარტია მიიღო.

ფილიპ II ოგიუსტის დაპყრობები



რუკა 18. ფილიპ II ოგიუსტის დაპყრობები

4. დააკვირდი მოცემულ რუკებს, როგორ შეიცვალა 1180 წლიდან 1223 წლამდე პერიოდში ფილიპ II-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები?

5. შენი აზრით, რაზე მიუთითებს სამეფო დომენის გაფართოება?

6. შენი აზრით, რატომ იყო ფილიპ II-თვის მნიშვნელოვანი ზღვაზე გასასვლელის მოპოვება?

7. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფლანდრიის გრაფი ჯონ უმიწაწყლოს მიემხრო?

წყარო ა) ფილიპ II-ის მიერ ქალაქ ორლეანისთვის გადაცემული ქარტია

„ღვთის წყალობით ფრანგების მეფეს თავისი ქვეშევრდომების მიმართ სულგრძელობა მართებს. ჩვენ გვსურს და ვბრძანებთ, რომ ორლეანში ამჟამად და მომავალშიც მცხოვრები ყველა ადამიანი გადასახადებისგან გათავისუფლდეს. ვპირდებით მათ, რომ არ ვაიძულებთ სამართლისთვის შორს სიარულს. არ შევიპყრობთ ქალაქის მცხოვრებლებს, არ წავართმევთ მათ ქონებას, არც ცოლებსა და შვილებს... არც ერთი მათგანი არ გადაიხდის 60 სუზე მეტ ჯარიმას, გარდა ქურდობის, ძარცვის, წინასწარგანზრახული თუ შემთხვევითი მკვლელობისა და ღალატისა...

მოქალაქეებს ვჩუქნით პრივილეგიებს. ყველა გადასახადის სანაცვლოდ მათ მოუწევთ მხოლოდ პურიდან და ღვინიდან ორ-ორი დინარის გადახდა. ამ გადასახადის ასაკრეფად ყოველ წელს სამეფო კარიდან ორლეანში გაიგზავნება ერთი კაცი, რომელსაც ქალაქში ჩვენ მიერ დანიშნული 10 და მოქალაქეების მიერ არჩეული 10 მოხელე დაეხმარება. მათ ყოველ წელს ფიცი უნდა დადონ, რომ საქმეს ღირსეულად შეასრულებენ, არ დაინდობენ მეგობრებს და სიძულვილის გამო არ გადაახდევინებენ ვინმეს ზედმეტს“.

8. რას გულისხმობდა ქალაქისთვის მეფის ქვეშევრდომობა? რა უპირატესობას აძლევდა ეს ქალაქის მცხოვრებლებს?

9. რატომ აირჩია მეფემ საკუთარ დასაყრდენად ქალაქები?

10. ვისი პოზიციები დასუსტდებოდა მეფის ძალაუფლებაში ქალაქების გადასვლით?

11. ა) წყაროს მიხედვით, ვინ არიან ქალაქში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები?

12. იმსჯელე, ქალაქებში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლების გაჩენა გამოიწვევდა თუ არა დროთა განმავლობაში მეფის ბიუროკრატიული აპარატის გაზრდას?

სამეფო ხელისუფლების განმტკიცება მარტო სამეფო დომენის გაფართოებას არ ნიშნავდა. მეფე ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, რომ მსხვილი ფეოდალების ცხოვრებაში არ ჩარეულიყო. ის მათგან ვასალური მოვალეობების, ძირითადად სამხედრო სამსახურის, შესრულებას ითხოვდა. ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საგრაფოებსა და საჰერცოგოებში მეფეს მოკავშირეები – ქალაქები, ეკლესია და წვრილი რაინდები – გაუჩნდა. მაგ., დამოუკიდებელი ფლანდრიის გრაფის ვასალებმა, რომლებსაც საკუთარ სენიორთან დაპირისპირება მოუვიდათ, მეფეს მიმართეს და უშუალოდ მისი ვასალობა ითხოვეს.

13. მეფის ხელისუფლების განმტკიცებისთვის რატომ იყო მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ მას დასახმარებლად ფლანდრიის გრაფის ვასალებმა მიმართეს?

14. საფრანგეთში დამკვიდრებულ რომელ ვასალურ-ფეოდალურ ურთიერთობას ასუსტებდა ეს პრეცედენტი?

15. საზოგადოების რომელ ფენებს ეყრდნობოდა ფილიპ II თავისი პოლიტიკის გატარებისას?

ლუი IX (წმინდა)

ლუი IX-ის (1226-1270 წწ.) მეფობის დროს ფილიპის მიღწევები რეფორმებით განმტკიცდა. ლუიმ მრავალი რეფორმა ჩაატარა და მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო სასამართლო რეფორმა. მანამდე სასამართლო ყოველ ცალკეულ ოლქში არსებობდა და ესა თუ ის სადავო საკითხი ადგილზე წყდებოდა. ლუის რეფორმის შედეგად ადგილზე გამოტანილი ყოველი გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეფო სასამართლოში გახდა შესაძლებელი. შედეგად სამეფო სასამართლო უმაღლესი, ანუ უმთავრესი, სასამართლო გახდა.

ლუი IX-მ სამეფო დომენში ფეოდალთა ყოველგვარი დაპირისპირება აკრძალა, ხოლო ჯერ კიდევ შემოუერთებელ ოლქებში ახალი წესი, „მეფის ორმოცი დღე“, შემოიღო. თუ ერთი ფეოდალი მეორეს დაუპირისპირდებოდა, მეორე მხარეს ეს ამბავი შეეძლო 40 დღის განმავლობაში მეფისთვის შეეტყობინებინა და დავის საკითხს ისევ მეფე გადაწყვეტდა.

ლუი IX-მ სამონეტო რეფორმაც გაატარა. სამეფო დომენში ერთიანი სამონეტო სისტემა შემოიღო, სხვა ოლქებში კი ადგილობრივ მონეტებთან ერთად მიმოქცევაში სამეფო მონეტაც უნდა ყოფილიყო. თანდათან მეფის მონეტამ ფულის სხვა ერთეულები ვაჭრობიდან განდევნა. ამან ხელი შეუწყო სამეფოს ეკონომიკურ დაწინაურებას.



სურ. 2 ლუი IX წმინდა. შუა საუკუნეების მინიატურა

VII ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ლუი IX აღმოსავლეთში ქრისტიანული სამეფოების ფულად-სამონეტო სისტემას გაეცნო და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1266 წელს, ვერცხლის დიდი მონეტა მოაჭრევინა.

ევროპაში ფულადი სისტემა ვაჭრობის განვითარებას ჩამორჩებოდა. ოქროს მონეტებსა და ვერცხლის ხურდას შორის ძალზე დიდი განსხვავება იყო.



სურ. 3 ლუი IX-ის მონეტა

16. რა მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო რეფორმას მეფის ხელისუფლების განმტკიცებისთვის და რა შესაძლებლობას აძლევდა ეს მეფეს?

17. იმსჯელე, რატომ შეუწყობდა ხელს „მეფის ორმოცი დღე“ და ერთიანი სამონეტო სისტემის შემოღება მეფის გაძლიერებას?

18. წარმოიდგინე, რომ არქეოლოგი ხარ; არაფერი იცი ლუი IX-ზე და ხელთ მხოლოდ ეს მონეტა გაქვს. იმსჯელე, რის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს მონეტაზე გამოსახული სიმბოლოები?

19. შეავსე ცხრილი, რომელშიც საფრანგეთის მეფეების ფილიპ II-ისა და ლუი IX-ის მოღვაწეობას შეაფასებ (**მოსწავლის რვეული, დავ. 34**).

ფილიპ IV (ლამაზი)

ფილიპ IV-მ გააგრძელა სამეფო დომენისთვის მიწების შემოერთება. ქორწინების წყალობით მეფის სამფლობელოში შამპანის საგრაფო და ნავარის პატარა სამეფო შევიდა. ფილიპემ დაიქვემდებარა ფლანდრიის საგრაფოც. მისი წარმატებები შემთხვევითი არ იყო, საფრანგეთის მეფეების რამდენიმე თაობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა მთავარი მიზნისკენ: გადაექციათ საფრანგეთი ერთიან და ძლიერ სახელმწიფოდ.

ფილიპ IV სხვადასხვა გზით ცდილობდა ხაზინის შევსებას, სესხულობდა ფულს ქალაქებისგან, მოითხოვდა ახალ გადასახადებს. ქალაქები ვეღარ ახერხებდნენ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და მეფე მათ დამოუკიდებლობას ართმევდა. მოხელეებისთვის ხელფასების გადასახდელად და ლაშქრობებისთვის მეფეს ფული სჭირდებოდა. ფილიპ IV-მ ფულის გაყალბება დაიწყო. მონეტებში ვერცხლის ნაცვლად სხვა იაფფასიან ლითონებს იყენებდნენ, რასაც მათი გაუფასურება მოსდევდა. ფილიპ IV ცნობილია ისტორიაში მეტსახელით „ყალბი ფულის მჭრელი“. მეფე მოხელეთა ხელფასებსა და ვალებს გაფუჭებული ფულით იხდიდა, თავად კი გადასახადების სახით საკუთარ მოჭრილ ფულსაც კი არ იღებდა.

შუა საუკუნეების ეკლესიის ისტორიაში პაპებსა და მონარქებს შორის კონფლიქტიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო კონფლიქტი ბონიფაციუს VIII-სა და ფილიპ IV-ს შორის. რომის პაპი თავისი პონტიფიკატის დასაწყისში საკმაოდ დადებითად იყო განწყობილი საფრანგეთის მონარქისადმი, თუმცა დროთა განმავლობაში მისი დამოკიდებულება შეიცვალა. ამის პირველი გამოვლინება იყო 1296 წელს გამოცემული პაპის ბულა, რომელიც კატეგორიულად კრძალავდა სასულიერო პირების მიერ გადასახადების გადახდას საერო პირებისათვის, ხოლო საერო პირებს უკრძალავდა ისეთი გადასახადების მოთხოვნას, რომლებიც რომის კურიის მიერ არ იყო ნებადართული. პაპის მიერ გამოცემული ბულა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ფილიპ IV-ის ეკონომიკურ პოლიტიკასა და გათვლებს, ამიტომ ამას საპასუხო ქმედება მოჰყვა – მეფემ აკრძალა ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლის გატანა. ეს კი რომის პაპის შემოსავალზე მნიშვნელოვნად აისახა. პაპმა გადაწყვიტა, უკან დაეხია და გამოსცა ახალი ბულა, რომელმაც გააუქმა წინა და 1296 წლის ბულები და მეტი კეთილგანწყობის გამოსავლენად ფილიპ IV-ის პაპა ლუი IX წმინდანად შერაცხა. თუმცა მათი დაპირისპირება ამით არ დასრულებულა და 1302 წელს პაპმა კიდევ ერთი ბულა გამოსცა. აქ პაპმა ორი მახვილის იდეა ჩამოაყალიბა – ერთი სულიერის, ხოლო მეორე მიწიერის. ბულის მიხედვით, ორივე პეტრეს მემკვიდრის – პაპის – ხელში უნდა ყოფილიყო, რაც საერო ხელისუფლების სასულიერო ხელისუფლებისადმი მორჩილებას გულისხმობდა.

წყარო ბ) ბონიფაციუსის მიერ გამოცემული ბულა, 1302 წ.

ჭეშმარიტი რწმენა გვაიძულებს, ვირწმუნოთ, რომ არსებობს ერთი წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია და მის გარდა არ არსებობს ხსნა ან ცოდვათა მიტევება...

ამიტომ არის ერთი სხეული ერთადერთი ეკლესიისა. და რადგან ეკლესია ურჩხული არ არის, მას ერთი თავი აქვს და არა ორი. ეს თავი არის ქრისტე, მისი მეუფე კი – პეტრე და მისი მემკვიდრეები. რადგან თავად უფალმა უთხრა პეტრეს: „გამოკვებე ჩემი ცხვარი“ და მან ეს საზოგადოდ თქვა, აქედან ირკვევა, რომ ყველა მისი ერთგული იყო. და თუ ბერძნები (იგულისხმება მართლმადიდებლები) ან ვინმე სხვა იტყვის, რომ ისინი არ ექვემდებარებიან პეტრეს, ამით ამბობენ, რომ ისინი ქრისტეს ცხვრების რიცხვიდან არ არიან. რადგან უფალი ამბობს იოანეს სახარებაში, რომ არის ერთი სამწყსო და მხოლოდ ერთი მწყემსი. სახარების სიტყვებით ჩვენ გვასწავლიან, რომ არის ორი მახვილი, სახელდობრ, სულიერი ავტორიტეტი და მიწიერი, ორივე ეკლესიის ძალაუფლებაშია. როდესაც მოციქულებმა თქვეს: „აი ორი მახვილი“ ეკლესიაში, უფალმა არ უპასუხა: „ძალიან ბევრია“, არამედ თქვა: „საკმარისია“. ვინც უარყოფს, რომ დროებითი მახვილი პეტრეს ძალაუფლებაშია, სათანადოდ არ ესმის უფლის სიტყვა. როდესაც მან თქვა: „ჩააგე შენი მახვილი ქარქაშში“, იგულისხმა ორივე ხმალი, სულიერიც და მიწიერიც, პირველი უნდა გამოიყენოს ეკლესიამ, მეორე უნდა გამოიყენონ ეკლესიისთვის; ერთი გამოიყენება მღვდლის ხელით, მეორე მეფეთა და რაინდთა ხელით, მაგრამ მღვდლის ბრძანებითა და ნებართვით. უფრო მეტიც, აუცილებელია, ერთი მახვილი მეორის ქვეშ იყოს, ხოლო მიწიერი ავტორიტეტი სულიერს დაექვემდებაროს; რადგან მოციქული ამბობს: „რამეთუ არ არის ძალა, გარდა ღმერთისა, და საერო ძალები ღვთისგან არიან დადგენილნი“.

ფილიპ IV-მ რომის პაპი საფრანგეთის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა. პაპმა გადაწყვიტა, ფილიპი დაესაჯა, ანათემისთვის გადაეცა და ეკლესიის მტრად გამოეცხადებინა. 1302 წელს ფილიპიმ პარიზში ფრანგი ხალხის წარმომადგენელთა კრება მოიწვია, რომელსაც **გენერალური შტატები** ეწოდა. გენერალურმა შტატებმა მეფეს დაუჭირა მხარი.

ფილიპის მომხრეთა რაზმი იტალიაში გაემართა. ანათემის გამოცხადების წინა დღეს ისინი ქალაქ ანანიში რომის პაპის სასახლეში შეიჭრნენ და პაპს განუცხადეს, რომ დაპატიმრებული იყო და საფრანგეთში გასასამართლებლად უნდა წაეყვანათ. მართალია, პაპის საფრანგეთში წაყვანა ვერ მოხერხდა – ქალაქის მოსახლეობამ ის გაათავისუფლა, მაგრამ მოხუცებულ პაპს ამ შეურაცხყოფის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ამგვარად, ფილიპიმ რომის პაპზე სრული გამარჯვება მოიპოვა.

გენერალური შტატები – წოდებრივ-წარმომადგენლობითი კრება, რომელშიც სამი წოდების წარმომადგენლები: სასულიერო პირები, ფოდალები და მოქალაქეები (ქალაქების წარმომადგენლები) იყვნენ გაერთიანებული. საფრანგეთის ისტორიაში პირველი გენერალური შტატები სწორედ ფილიპ IV-ის დროს, 1302 წელს, მოიწვიეს. ამ წოდებრივ-წარმომადგენლობითმა ორგანომ საფრანგეთში 1789 წლამდე იარსება. თუმცა იყო ისეთი პერიოდებიც, როდესაც მეფეები გენერალურ შტატებს საერთოდ არ იწვევდნენ.

გენერალურ შტატებზე განიხილებოდა გადასახადების დაწესების საკითხები. მეფეს მათი თანხმობის გარეშე გადასახადების გაზრდა არ შეეძლო. ამიტომ ხშირად მათი მოწვევის მიზეზი სწორედ გადასახადები ხდებოდა.

მალე რომის პაპად ეროვნებით ფრანგი კლემენტ V აირჩიეს, რომელმაც რეზიდენცია საერთოდ რომიდან სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ ავინიონში, გადაიტანა. ბევრი იმდროინდელი ავტორი აღნიშნავდა, რომ ქრისტიანული სამყაროს თავი საფრანგეთის მეფის მსახურად გადაიქცა. თითქმის 70 წელი რომის პაპები ავინიონში რჩებოდნენ. შემდეგ კი კვლავ რომს დაუბრუნდნენ.

ამ წლებს (1309-1377 წწ.) ისტორიაში პაპთა „ავინიონის ტყვეობაში“ ყოფნის წლებად მოიხსენიებენ.



სურ. 4 რომის პაპის, გრიგოლ XI-ის რომში დაბრუნება. ჯორჯო ვაზარი. XVI ს.

20. როგორ გადმოსცემს XVI საუკუნის მხატვარი პაპის რომში დაბრუნებას? აქედან გამომდინარე იმსჯელე, როგორი იქნებოდა მისი დამოკიდებულება „ავინიონის ტყვეობისადმი“?

ფილიპ IV-ის სახელს უკავშირდება ტამპლიერთა ორდენის განადგურებაც. ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცემის შემდეგ ტამპლიერები საფრანგეთში მოღვაწეობდნენ, სადაც მევახშეობით, სესხების გაცემით დიდი ქონება დააგროვეს და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ. ითვლება, რომ ფასიანი ქაღალდები – ვექსილები – ტამპლიერების მოგონილია. პარიზში ისინი ერთ კვარტალში – ტამპლში ცხოვრობდნენ.

მეფეს ტამპლიერების ვალი ჰქონდა და მათი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. 1307 წელს ყველა ტამპლიერი შეიპყრეს, ქონება ჩამოართვეს და ერეტიკოსობაში დაადანაშაულეს. ფილიპ IV-ს, ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკური მოტივებიც ჰქონდა. ორდენი რომის პაპის მოკავშირე იყო. წამების შემდეგ ტამპლიერებმა საინკვიზიციო სასამართლოზე ყველა ბრალდება აღიარეს. ამის შემდეგ ორდენის წევრების ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი გადაასახლეს, ორდენის მაგისტრი ჟაკ დე მოლე სახალხოდ კოცონზე დაწვეს. რომის პაპმა 1312 წელს ტამპლიერთა ორდენი დაშლილად გამოაცხადა. ორდენმა არსებობა შეწყვიტა.

21. შენი აზრით, რატომ ვერ შეძლო რომის პაპმა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკაში ჩარევა?

22. შენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა ტამპლიერთა ორნდენის განადგურება?

23. შეავსე სქემა, სადაც წარმოაჩენ რომის პაპისა და ფილიპ IV-ს შორის არსებულ დაპირისპირებასა და ერთმანეთის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს (**მოსწავლის რვეული, დავ. 35**).

24. ერთმანეთს შეადარე სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობიდან ორი ამბავი: საღვთო რომის იმპერატორის, ჰაინრიხ IV-ის „კანოსაში შასვლა“ და ფილიპ IV-ის რომის პაპზე გამარჯვება. რატომ დამარცხდა, შენი აზრით, რომის პაპი საფრანგეთის მეფესთან დაპირისპირებაში?

25. ერთმანეთს შეადარე საფრანგეთსა და ინგლისში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების მოწვევის მიზეზები და მათი შედეგები. საზოგადოების რა ნაწილისთვის, რომელი სოციალური ფენისთვის იქნებოდა მისაღები წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევა როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში?

საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმა XIV საუკუნის დასაწყისში



26. რაში გამოიხატებოდა გენერალური შტატების მიერ მეფის ხელისუფლების შეზღუდვა?

27. რატომ ჰქონდა პარლამენტს ინგლისში უფრო მეტი პოლიტიკური ძალაუფლება, ვიდრე გენერალურ შტატებს საფრანგეთში?

28. რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები არ შედიოდნენ გენერალური შტატების შემადგენლობაში?

29. ვენის დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე საფრანგეთისა და ინგლისის წოდებრივ წარმომადგენლობითი ორგანოები ფუნქციური და სტრუქტურული თვალსაზრისით. **(მოსწავლის რვეული, დავ. 36)**

30. წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები მხოლოდ ევროპაში ჩამოყალიბდა. იმსჯელე, რა იყო ამის მიზეზი და რატომ არ ჩამოყალიბებულა ისინი ბიზანტიაში ან აღმოსავლეთის რომელიმე სახელმწიფოში, მაგ., თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში?

31. იმსჯელე წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე იმდროინდელი და თანამედროვე თვალთახედვით.

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ისტორიის მკვლევარი ხარ და წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების ისტორიას იკვლევ. გადაწყვიტე, დაწერო სტატია, რომელშიც განიხილავ ინგლისისა და საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოების წარმოშობის საკითხს, გამოკვეთ მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს და იმსჯელებ, რა პოლიტიკურმა პროცესებმა შეუწყო ხელი მეფეთა ერთპიროვნული ძალაუფლების შეზღუდვას.

სტატიაში ხაზგასმით წარმოადგინე:

- როგორ და რა მეთოდებით იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის ინლისსა და საფრანგეთში, რა რესურსებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები მიზნის მისაღწევად?
- როგორ და რატომ ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მესამე წოდება პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლაში?
- როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და რომელი სოციალური ფენის ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა ისინი?

თემა II. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო

გვიანი შუა საუკუნეები შუა საუკუნეების ბოლო პერიოდია. სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი იმ სიახლეებს, რომლებმაც ნიადაგი მოამზადა შუა საუკუნეებიდან ახალ დროში გადასასვლელად. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობის – ჰუმანიზმის ჩამოყალიბება. ჰუმანისტებმა იმდროინდელი საზოგადოების უმთავრესი ღირებულებების გადაფასება დაიწყეს და ყურადღების ცენტრში თავად ადამიანი, პიროვნება მოაქციეს. ამიერიდან ინტერესი ადამიანისა და მისი შესაძლებლობის მიმართ განუხრელად გაიზრდება.

ჰუმანიზმის იდეები ასახვას პოვებს ხელოვნებაში, რასაც რენესანსი მოჰყვება. ახალმა მსოფლმხედველობამ ადამიანი ბევრად უფრო რაციონალური გახადა. ეს პერიოდი გამოირჩევა სამეცნიერო მიღწევებითაც.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შუა საუკუნეების დასასრული ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებას უკავშირდება, რასაც, თავის მხრივ, ადამიანის გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოება მოჰყვა.

საზოგადოებისა და მსოფლმხედველობის განვითარებისთვის არანაკლები მნიშვნელობა ექნება რეფორმაციას. ადამიანი თავის თავში იპოვის ძალასა და საზრისს, გააკრიტიკოს რელიგიური სისტემა, დაუპირისპირდეს რომის პაპს, კათოლიკურ ეკლესიას და თავისუფლება მოიპოვოს აღმსარებლობის საკითხშიც.

შუა საუკუნეების დასასრულსა და ახალი დროის დაწყებას ისტორიკოსები სწორედ ამ სამ თარიღს: 1453 წელს – ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას, 1492 წელს – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისსა და 1517 წელს – გერმანიაში რეფორმაციის დაწყებას უკავშირებენ. ამდენად, შუა საუკუნეების დასასრულად რომელი მოვლენაც უნდა მივიჩნიოთ, პირობითი იქნება, რადგან ყველა მოვლენამ თავისი გავლენა იქონია კაცობრიობის განვითარებაზე. უკვე ახალ დროში კი – ევროპის კულტურის ისტორიაში გარდამტეხი პერიოდი იყო განმანათლებლების მოღვაწეობის ხანა – XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

განმანათლებლობამ მოამზადა საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეური საფუძვლები; პირდაპირ აისახა ფრანგულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ და ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“; გარდა ამისა, უზარმაზარი გავლენა იქონია ევროპისა და ამერიკის სოციალურ ცხოვრებაზე, მონობის გაუქმებაზე, ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებაზე, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ განხორციელებაზე, წოდებრივი სამყაროს ავტორიტეტის შერყევაზე.

განმანათლებლების იდეები დაედო საფუძვლად პოლიტიკურ თავისუფლებასა თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიას, ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფას და ა.შ.

ა დ რ ე უ ლ ი ა ხ ა ლ ი დ რ ო



§23. ოსმალეთის სახელწიფოს წარმოშობა

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევებით შევიწროებულმა თურქულმა ტომებმა, რომლებიც ცენტრალურ აზიაში სახლობდნენ, ნელ-ნელა სამხრეთისაკენ დაიწყეს გადანაცვლება. დაახლოებით ამავე საუკუნის ბოლოს ისინი მცირე აზიაში, რუმის სასულთნოს ტერიტორიაზე, დასახლდნენ. რუმის სასულთნო რამდენიმე წვრილ სამთავროდ – საემიროდ იყო დაშლილი. ერთ-ერთ ასეთ სამთავროს სათავეში ჩაუდგა ოსმანი. ოსმანის სახელის მიხედვით მის გაერთიანებაში მყოფ თურქებს ოსმალები, ხოლო შექმნილ სახელმწიფოს ოსმალეთი ეწოდა. ოსმალებმა მცირე აზიაში ყველა მუსლიმური სამთავრო გააერთიანეს და დასუსტებული მეზობლის, ბიზანტიის, წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. უკვე XIV საუკუნის 20-იან წლებში მათ ბიზანტიის მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები და შავიზღვისპირა ციხე-ქალაქები დაიკავეს.

ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო წარმატებების გამო მის ჯარს უერთდებოდნენ სხვადასხვა წარმომავლობის ხალხები და ტომები, ძირითადად თურქული ტომები. დიდებულებს ოსმალთა სახელმწიფოს ლაშქრობებში მონაწილეობით ახალი მიწების ათვისებისა და ქონების მოხვეჭის იმედი ჰქონდათ. თურქულ მომთაბარე ტომებში ყოველი მამაკაცი მეომარი იყო. მათი ჯარის ძირითად ძალას მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები წარმოადგენდნენ, რომლებსაც სწრაფად გადაადგილება შეეძლოთ. გარდა ამისა, ბიზანტიური ჯარისგან განსხვავებით, ოსმალური არმია მკაცრი დისციპლინით გამოირჩეოდა.

ოსმან I-ის დაწყებული დაპყრობითი ომები მისი ძის, ორჰანის, დროს გაგრძელდა.

წყარო ა) ფრაგმენტები ოსმან I-ის მიერ თავისი ვაჟისთვის დატოვებული ანდერძიდან

„შვილო! ყველაზე მეტი ყურადღება რელიგიის საკითხებს დაუთმე. რელიგიური მოძღვრებები მტკიცე სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარია. ნუ მისცემ რელიგიურ თანამდებობებს უპასუხისმგებლო, ორგულ და ცოდვილ ადამიანებს ან დაბნეულ, გულგრილ და გამოუცდელ ხალხს. და ნურც სახელმწიფოს ადმინისტრაციას ანდობ ასეთ ხალხს. რადგან ადამიანს, რომელსაც ყოვლის შემოქმედის, ღმერთის, არ ეშინია, არც შექმნილის რიდი ექნება. ვინც ცოდვილია და კვლავაც ცოდვას სჩადის, სანდო და თავდადებული ვერ იქნება. მეცნიერები, კეთილი ადამიანები, ხელოვანები და მწერლები არიან სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი ძალა. მათ კეთილად და ღირსეულად მოეპყარი.

როდესაც გაიგებ კეთილი ადამიანის შესახებ, დაიახლოვე ის და სიმდიდრე უწყალობე...

წესრიგი დაამყარე პოლიტიკურ და რელიგიურ თანამდებობებზე. ჩემგან აიღე მაგალითი, რამეთუ მე ამ ადგილას მოვედი, როგორც სუსტი წინამძღოლი და ღმერთის დახმარებით მივაღწიე ყველაფერს... გააგრძელე ჩემი გზა და დაიცავი მუჰამედის რჯული, მორწმუნეები და შენი მიმდევრები. პატივი ეცი უფლის განგებას და მის მსახურებს. ნუ მოგერიდება ამის რჩევა შენი მემკვიდრეებისთვისაც. უფლის დახმარებით შეძლებ სამართლიანობისა და პატიოსნების დაცვას“.

1. შენი აზრით, რა ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალებისათვის ბიზანტიის მცირეაზიურ შავიზღვისპირა ტერიტორიებს? რა საფრთხის შემცველი იყო საქართველოსთვის ოსმალების სამხედრო პოლიტიკა?

2. ა) წყაროს მიხედვით რა ფაქტორებს ეფუძნება ოსმალეთის სახელმწიფოს სიძლიერე?

3. შენი აზრით, რატომ მიაჩნდა ოსმანს რელიგია მტკიცე სახელმწიფოს აუცილებელ პირობად?

1316 წელს ორჰანმა ალყა შემოარტყა ბურსას, ქალაქის შემოგარენში მცხოვრები ქრისტიანები დაატყვევა და მონებად აქცია, თუმცა ქალაქმა ამის შემდეგ კიდევ 10 წელი გაძლო და 1326 წელს დაეცა. ორჰანმა დედაქალაქი ბურსაში გადაიტანა და იქ მეჩეთები ააგო და ისლამური აკადემია დაარსა.

ოსმანისა და ორჰანის ლაშქარი ტიპური მომთაბარეთა ლაშქარი იყო და მხოლოდ ცხენოსნებისგან შედგებოდა. ლაშქარში ქვეითები არ იყვნენ და არც საალყო მანქანები ჰქონდათ. ბრძოლებს არ გეგმავდნენ და ციხესიმაგრეების იერიშიც შეუძლებელი იყო. ქალაქს თუ სწრაფი შეტევით ვერ აიღებდნენ, ხანგრძლივ ალყას იწყებდნენ, როგორც ბურსას შემთხვევაში მოხდა.

1331 წელს ორჰანმა აიღო მცირე აზიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი – ნიკეა, 1337 კი – ნიკომედია, რომელიც ოსმალური ფლოტის პირველ ნავსადგურად იქცა.

XIV საუკუნის 40-იან წლებში (1341-47 წწ.) ბიზანტიაში ტახტისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც დიდ სამოქალაქო დაპირისპირებში გადაიზარდა. ტახტის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა იოანე კანტაკუზენმა (1347-1354 წწ.) დახმარების სანაცვლოდ, ოსმალებს იმპერიის ევროპულ ნაწილში, გალიპოლის ნახევარკუნძულზე ციხესიმაგრე ჩიმპე უწყალობა. ეს იყო ოსმალების პირველი სამფლობელო ევროპის კონტინენტზე.

ორჰანის შემდეგ ოსმალების მმართველი გახდა მურად I (1359-1389 წწ.).

მურად I-მა სახელმწიფო მმართველობის სისტემის დახვეწაზე დაიწყო ზრუნვა და რეფორმები გაატარა. მანამდე ოსმალეთის სახელმწიფო ძველ სელჩუკურ ინსტიტუტებს ეყრდნობოდა. მასში მომთაბარული ელემენტი ჭარბობდა. დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალურმა სამხედრო-ფეოდალურმა არისტოკრატიამ დიდი ქონება და ახალი მიწები მოიპოვა. ისინი იმპერიის სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლდნენ და მომთაბრული ცხოვრების წესი ჩვეულებრივი ყოფით შეცვალეს.



სურ. 1 მურად I მეომრებთან ერთად

4. როგორია თურქი მეომრების აღჭურვილობა მინიატურის მიხედვით? გაიხსენე როგორი იყო ევროპელი რაინდების აღჭურვილობა და იმსჯელე, რა დადებითი და უარყოფითი მხარე ჰქონდა ამ თვალსაზრისით თურქებს?

მურად I-მა ბიზანტიის სახელმწიფო სტრუქტურების მიბაძვით დაიწყო მმართველობის სისტემის შექმნა. შემოიღო პირველი ვეზირის თანამდებობა. ის სახელმწიფოში სულთნის შემდეგ პირველი პირი, მთავარი მინისტრი იყო. პირველ ვეზირს თავად სულთანი ნიშნავდა. მურად I-მა მეომრებს ლაშქრობების შემდგომ ალაფის მეხუთედის ხაზინაში შეტანა დაუკანონა. დაპყრობილ ქვეყნებში აკრეფილი ხარკი და დაწესებული გადასახადები შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდა. გაზრდილი ხაზინით შესაძლებელი გახდა ჯარის შენახვა, სასახლეების, მეჩეთების, ხიდების მშენებლობა. მურად I-ის დროს შექმნილმა ახალმა ინსტიტუტებმა დიდი როლი ითამაშა ოსმალეთის არმიისა და ადმინისტრაციის განმტკიცებაში.

5. რა მიზეზებმა განაპირობა მმართველობის სისტემის ცვლილება? ხომ ვერ გაიხსენებდი ისტორიიდან ფაქტებს, როდესაც ხელისუფალი მმართველობის სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგა? შეადარე ეს ფაქტები ერთმანეთს.



სურ.2 ქორწილის პროცესია, ლამბერტ დე ვოსი, ფლანდრიელი მხატვარი, რომელმაც დიპლომატიური მისიით იმოგზაურა კონსტანტინოპოლში XVI ს.-ში.

6. რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატი თურქ-ოსმალთა საზოგადოებაზე? ჩაცმულობაზე? საქორწილო რიტუალზე?

მურად I-მა სამხედრო რეფორმის ფარგლებში ჯარი სამ ძირითად ნაწილად დაყო: მსუბუქი კავალერია – აკინჯები; ცხენოსანთა მძიმედ აღჭურვილი რაზმები – სიფაჰები და ქვეითი რაზმები – იანიჩარები. თავიდან იანიჩარების დანიშნულება მმართველის დაცვა იყო, მაგრამ მალე ეს ნაწილი პროფესიულ ელიტურ ნაწილად გადაიქცა და იმპერიის ძირითად სამხედრო დასაყრდენს წარმოადგენდა. განახლებულ ოსმალთა ჯარს უკვე ციხესიმაგრეებზე იერიშის მიტანა შეეძლო.

მურად I-ის დროს შემოიღეს იანიჩარებისა და სახელმწიფოს ადმინისტრაციაში მოხელეების შევსების წესი, ე. წ. „სისხლის გადასახადი“ – დევშირმე, რომლის დროსაც ქრისტიან ბავშვებს არჩევდნენ, შემდეგ მათგან ზოგიერთებს იანიჩარებად, ზოგიერთებს სხვადასხვა სამსახურისთვის, განსაკუთრებით ნიჭიერებს კი მოხელეებად ზრდიდნენ.

ოსმალების მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან წამოყვანილი ქრისტიანი ბავშვები სამხედრო წვრთნასთან ერთად ზოგად განათლებასაც იღებდნენ – მათ ასწავლიდნენ წერას, ენებს, მუსიკას, სამართალს, ლიტერატურას და მუსლიმურ ღვთისმეტყველებას. იანიჩარების სამხედრო სტრუქტურა მურად I-მა ევროპული ჯარის მოდელის მიხედვით შექმნა. მათი კორპუსი ათასკაციან პოლკებად იყოფოდა.

იანიჩარების სახასიათო ნიშანი იყო მოპარსული წვერი, სქელი ულვაში და მაღალი ქუდი. მათ მთავარ იარაღს პატარა ნაჯახი, მშვილდ-ისარი და თურქული ხმალი – იატაგანი წარმოადგენდა.

იანიჩარებს ეკრძალებოდთ ოჯახის შექმნა, ისინი სულთნის მონებად ითვლებოდნენ და ყაზარმებში ცხოვრობდნენ. იანიჩარების ძირითადი მოვალეობა დაპყრობით ომებში მონაწილეობა იყო. ამას გარდა, მათ ევალებოდათ ქალაქის გალავნების დაცვა, სულთნის პირადი დაცვა და ქალაქში წესრიგის დამყარება. მოგვიანებით მათ საბრძოლო აღჭურვილობას ცეცხლსასროლი იარაღიც დაემატა.



სურ. 3 ქრისტიანი ბავშვების აღრიცხვა. ოსმალური მინიატურა XVI ს.

ოსმალეთის იმპერია მუსლიმური სამართლის კანონებს დაეფუძნა. ევროპელების განსაკუთრებულ გაოცებას ის ფაქტი იწვევდა, რომ ქვეყნის უმაღლესი მოხელეები სულთნის „ყურმოჭრილი მონები“ იყვნენ (მუსლიმური სამართლით, მუსლიმად მონათლული არ შეიძლებოდა მონა ყოფილიყო). დროთა განმავლობაში რიგითი მოხელე და იანიჩარად ნამსახურებიც შეიძლებოდა ვეზირი ან თანაშემწე-ფაშა გამხდარიყო. ფაშა უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ტიტული იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ რანგის მოხელეებიც კი სულთნისთვის უუფლებო და მორჩილ მსახურებად რჩებოდნენ. მცირეოდენი დანაშაულისთვისაც კი სულთანს მათთვის თავის მოკვეთა შეეძლო. სულთნის მსახურისთვის უდიდეს ჯილდოს მისგან ნაბოძები საპატიო ტანსაცმელი წარმოადგენდა.



სურ. 4 იანიჩრები. ლამბერტ დე ვოსი, XVI ს.

7. რატომ იწვევდა ევროპელებში გაოცებას სულთნისა და მოხელეების ურთიერთობა? გაიხსენე, მმართველობის როგორი სისტემა იყო ევროპაში უკვე განვითარებული შუა საუკუნეებიდან? შეადარე ამ ორი სამყაროს მმართველობის ფორმები და ძალაუფლების განაწილების ხარისხი.

8. რით განსხვავდებოდა ოსმალური საზოგადოება ევროპულისგან?

9. იმსჯელე, რატომ ამჯობინებდნენ ოსმალები, ელიტური სამხედრო ნაწილები და სახელმწიფო მოხელეთა პოზიციები გატაცებული ქრისტიანი ბავშვებით შეევსოთ. შენი მოსაზრებები დაასაბუთე.

10. გამოყავი ოსმალეთის მმართველობის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 37**)

მურად I-მა დაპყრობითი ომები გააგრძელა. შემდეგ გვერდზე მოცემულია რუკა, სადაც ჩანს, როგორ ფართოვდებოდა ოსმალეთის საზღვრები.

ოსმალებმა დაიპყრეს ადრიანოპოლი, თრაკია და ფილიპოპოლი. მურად I-მა იმპერიის დედაქალაქი ადრიანოპოლში გადაიტანა. 1370 წელს ბიზანტიის იმპერტორი ოსმალეთის ვასალი გახდა და ყოველწლიური ხარკის გადახდა დაეკისრა.

1371 წელს ოსმალებმა დიდი ბრძოლა გამართეს სერბების წინააღმდეგ მდინარე მარიცის ველზე, სოფელ ჩერნომენთან. იქ მოპოვებული გამარჯვებით თურქებს მაკედონიისა და სერბეთის შიდა ტერიტორიისაკენ გაეხსნათ გზა.

1389 წელს კოსოვოს ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოსმალები სულთან მურად I-ის მეთაურობით და სერბი და ბოსნიელი მეფე მთავრები. ბრძოლაში ორივე მხრიდან ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა, მათ შორის სერბების მთავარი ლაზარე და სულთანი მურად I-იც.

არსებობს სხვადასხვა ვერსია, თუ როგორ მოკლეს სულთანი. ყველაზე გავრცელებული ცნობის თანახმად, სულთანი რაინდ მილოშ ობლიჩს უნდა მოეკლა, რომელიც სერბეთის მეფეს ენათესავებოდა. მილოშ ობლიჩის სახელი მხოლოდ XV საუკუნიდან ჩნდება და ის სერბეთის ეროვნულ გმირად და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. მისი სახელი გვხვდება არა მარტო სერბულ, არამედ მონტენეგროსა და ალბანურ ეპოსებშიც. ყველაზე ადრინდელ ჩანაწერში, რომელიც მურად I-ის მკვლელობას ეხება, კონკრეტული სახელები მოხსენიებული არაა, სიუჟეტი კი ასეთია: თორმეტმა ცხენოსანმა რაინდმა ოსმალთა რიგებში გზა ხმლით გაიკაფა და მურადის კარავს მიაღწია. ერთ-ერთმა მურადს შეუტია და სასიკვდილოდ დაჭრა. ყველა ამ რაინდმა საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად.

ოსმალური წყაროების მიხედვით, სულთანი ბრძოლის ველზე იყო, როცა გვამებს შორის დამალულმა უცნობმა ქრისტიანმა სულთანი ხანჯლით სასიკვდილოდ განგმირა. სხვა ვერსიით, მილოშ ობლიჩი სულთანთან მორჩილების გამოსაცხადებლად მივიდა. როცა სულთანს ხელზე უნდა მთხვეოდა, ხანჯალი იძრო და სულთანი სასიკვიდილოდ დაჭრა. მილოში კი სულთნის ჯარისკაცებმა ადგილზე მოკლეს.

ყველაზე ადრინდელი ცნობა, იანიჩარის მოგონებანი, რომელშიც მილოშ ობლიჩის სახელია ნახსენები, 1497 წლით თარიღდება და ეკუთვნის კონსტანტინ მიხაილოვიჩს ოსტროვიციდან, რომელიც წერს: „და მაშინ მილოშმა, ლაზარის (ერთ-ერთი სერბი მთავრის) რაინდმა, მოკლა იმპერატორი მურადი“.

ბრძოლის შემდეგ ბოსნიის მეფე ტვრტკო I (1377-1391 წწ.) თავის მფლობელობაში მყოფი ქალაქის – ტროგირის – სენატს სწერდა:

ბოსნიის მეფე ტვრტკო I-ის წერილი ქალაქ ტროგირის სენატს

„კეთილშობილ და გამჭრიახ ხალხს, რომლებიც მართავენ ქ. ტროგირის ხალხსა და სენატს. ძვირფასო მეგობრებო, ამ დღეების განმავლობაში მეფეთ მეფემ და ჩვენმა მცველმა, რომელიც მუდმივად გვეხმარება და გვმფარველობს, გვიჩვენა მისაბაძი მაგალითი, რომელიც სათაყვანო და ღირსეულია. თქვენ კმაყოფილი და გახარებული იქნებით, რადგან ამ საქმეში ის და მისი მოწყალება გეხმარებოდათ, რაც ქრისტიანთა გულების გამაერთიანებელია. ჩვენ გადავწყვიტეთ და გავერთიანდით სატანის ამაყი შვილის წინააღმდეგ, რომელიც მთელი კაცობრიობის, განსაკუთრებით ქრისტიანებისა და ჭეშმარიტი რწმენის, მტერია, რომელიც ანგარებიანია და მრავალი ერი უკვე დაიმორჩილა. მოვიდა ჩვენს მიწებზე საკუთარ ორ ვაჟთან და მის მიმდევარ თურქებთან ერთად იმისათვის, რომ დავეპყარით. ბოლოს და ბოლოს, შევებრძოლეთ მას და ღმერთის შეწევნით სრული გამარჯვება მოვიპოვეთ. მათგან ცოტა გადარჩა, ჩვენგანაც დაიხოცნენ, მაგრამ არა ბევრი, რადგან ისინი თქვენ წინაშე არიან, და მე დარწმუნებული ვარ თქვენს კეთილგანწყობაში, რომელიც მიიღო ჩვენმა წარმოგზავნილმა და ამ განსაკუთრებული საზეიმო და სალხინო ამბის მომტანმა. გაიცა ჩვენს სამეფო კარზე, აგვისტოს პირველ დღეს, 1389 წელს“.

11. რა ინფორმაციას გაწვდის წყარო კოსოვოს ბრძოლის შედეგების შესახებ?

12. როგორია ბოსნიის მეფის განწყობა კოსოვოს ბრძოლის შემდეგ და როგორ ფიქრობ, რამდენად შეიძლება ჰქონდეს სიმშვიდისა და სიხარულის მიზეზი? პასუხი დაასაბუთე.

კოსოვოს ბრძოლის შემდეგ თურქულმა ჯარმა ბრძოლის ველი დატოვა და ადრიანოპოლისკენ დაიხია, ახალ სულთანს – ბაიაზეთს თავის ქვეყანაში ძალაუფლების განმტკიცება სურდა.

ორი მმართველის სიკვდილსა და ბაიაზეთის სერბეთიდან წასვლას ისე, რომ ბრძოლაში მიღწეული წარმატება არ გამოუყენებია, დისკუსია მოჰყვა: შეიძლება კოსოვოს ბრძოლა ოსმალების გამარჯვებად ჩაითვალოს იმ დროს, როცა სერბები და ბოსნიელები გამარჯვებას ზეიმობდნენ? ან გაიმარჯვა კი ამ ბრძოლაში რომელიმე მხარემ? მურად I-ის სიკვდილი ბიზანტიასა და ევროპის ქვეყნებში ქრისტიანების გამარჯვებად აღიქვეს, თუმცა დუბროვნიკის ერთ-ერთი ხელნაწერი იუწყებოდა, რომ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ დარჩენია, რადგან ორივე მხრიდან ბევრი იყო დახოცილი. ამის მიუხედავად, კოსოვოს ბრძოლის შედეგები და მისი მნიშვნელობა ყველაზე ადრე სერბეთში შეაფასეს. ოსმალებთან ბრძოლას შეეწირა არა მარტო მთავარი ლაზარე, არამედ თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი. დიდი იყო მსხვერპლი რიგით მეომრებშიც, შესაბამისად, ოსმალთა მორიგი შეტევისას სერბებს მათ მოსაგერიებლად ძალები აღარ ეყოფოდათ.

13. გამართეთ კლასში დისკუსია კოსოვოს ბრძოლის შედეგების შესახებ. იმსჯელეთ, რა შეფასება შეიძლებოდა ჰქონოდათ თურქებს.

მურად I-ის წარმოებულ დაპყრობით ბრძოლებში ოსმალთა ჯარის წარმატება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული:

1. როგორც წესი, ოსმალებს მოწინააღმდეგის ჯართან შედარებით რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ;
2. ოსმალთა შემადგენლობაში შედიოდნენ მანამდე დაპყრობილი ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრები, რომლებმაც თავიანთი სამფლობელოების დასაცავად ისლამი მიიღეს;
3. ოსმალთა წარმატებებს ხელს უწყობდა ბალკანელ მეფე-მთავრებს შორის არსებული შუღლი, რის გამოც ისინი ოსმალთა წინააღმდეგ გაერთიანებას ვერ ახერხებდნენ;
4. მურად I-ის სამხედრო რეფორმის შედეგად ოსმალეთის ჯარი გაძლიერდა.



რუკა 19. ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბება

14. რა მიმართულებით ფართოვდებოდა ოსმალეთის სახელმწიფო? შენი აზრით, ევროპის რომელ სახელმწიფოებს უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის გაფართოება? პასუხი დაასაბუთე.

15. რომელი ქალაქები და მხარე დაიპყრო მურად I-მა?

16. რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალებისთვის მარიცის ველზე გამარჯვებას? კოსოვოს ბრძოლას?

17. თურქ-ოსმალთა დაპყრობების შედეგად ბიზანტია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. დააკვირდი რუკას და იმსჯელე, რატომ?

18. შენი აზრით, შეეძლოთ თუ არა ბალკანეთის ქვეყნებს ოსმალების წინააღმდეგ ეფექტიანი წინააღმდეგობის ორგანიზება? რა შეიძლებოდა ყოფილიყო ოსმალების წინააღმდეგ ბალკანელების გაერთიანების საფუძველი?

19. იმსჯელე, რა საფრთხის წინაშე იდგა ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრები XIV საუკუნის ბოლოს და ივარაუდე, როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო ეს საფრთხე ოსმალეთის სამხრეთით გაფართოებასთან ერთად.

§24. რატომ ვერ შეძლეს რაინდებმა ოსმალების შეჩერება?

ბიზანტია პალეოლოგოსების მმართველობის პერიოდში

„კონსტანტინოპოლი, სამყაროს აკროპოლისი, სამეფო ქალაქი, ლათინთა ძალაუფლების ქვეშ მოქცეული, ღმერთის ნებით კვლავ რომეებს დაუბრუნდა“ – ასე წერდა XIII საუკუნეში მიხეილ VIII პალეოლოგოსი ავტობიოგრაფიაში, როცა ამ სამეფო საგვარეულომ კონსტანტინოპოლის დაბრუნება და ბიზანტიის აღდგენა მოახერხა. თუმცა პალეოლოგოსთა დინასტია (1261-1453 წწ.) ბიზანტიის ისტორიაში უკანასკნელი სამეფო საგვარეულო აღმოჩნდა.

კონსტანტინოპოლის დაბრუნების შემდეგ პალეოლოგოსები ლათინების მიერ წართმეული მიწების დაბრუნებას, ზღვაზე გაბატონებული იტალიური ქალაქების – ვენეციისა და გენუის – ალაგმვას ცდილობდნენ. თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს. იმპერიის შიგნითაც არ იყო სიმშვიდე. ხშირი იყო შინაომები. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ თურქ, ბულგარელ თუ სერბ მეომრებს ქირაობდნენ. ასეთი ვითარება იყო, როცა ოსმალებმა გაძლიერება დაიწყეს. მათთვის წინააღმდეგობის გაწევა კი ბიზანტიელებმა ვეღარ მოახერხეს. ისინი უკან-უკან იხევდნენ და თურქ-ოსმალებს საკუთარ მიწებს უთმობდნენ, სახელმწიფოს ზომები მცირდებოდა და საბოლოოდ კონსტანტინოპოლითა და მისი შემოგარენით შემოიფარგლა.

ნიკოპოლის ბრძოლა

XIV საუკუნიდან ევროპაში ჯვაროსნული ლაშქრობების ტრადიცია შესუსტდა. მართალია, დასავლეთევროპელი მონარქები და დიდებულები უარს არ ამბობდნენ აღმოსავლურ გეგმებზე, მაგრამ რომის პაპი საფრანგეთის მეფესთან „ავინიონის ტყვეობაში“ იმყოფებოდა. რომის პაპი საერო ხელისუფლებაზე გახდა დამოკიდებული. მას ძალა აღარ შესწევდა, მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გავლენა მოეხდინა ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებზე. XIV საუკუნეში ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომი, ესპანეთში კი რეკონკისტა მიმდინარეობდა, გერმანელი იმპერატორები დაუმორჩილებელ ვასალებს ებრძოდნენ, შესაბამისად, მთელი ევროპის მასშტაბით რაინდების თავმოყრაც ძნელი იყო. განსხვავებულად წარიმართა ჯვაროსნული ორდენების ბედიც. ტევტონთა ორდენი ჯერ ვენეციაში გადავიდა, შემდეგ კი – პრუსიის ტერიტორიაზე და იქ საკუთარი სახელმწიფო შექმნა; ჰოსპიტალიერები 1306 წელს კუნძულ როდოსზე გადავიდნენ, ბოლოს კი – კუნძულ მალტაზე დამკვიდრდნენ; ტამპლიერთა ორდენმა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი მაგისტრი ჟან დე მოლი კოცონზე დაწვეს, არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ჯვაროსნული ძალები დაიქსაქსა და გაერთიანება ვეღარ ხერხდებოდა.

1389 წლის კოსოვოს ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა ბალკანეთის დიდი ნაწილი დაიკავეს. ბიზანტია იძულებული გახდა, ეს სამფლობელოები დაეთმო და კონსტანტინოპოლითა და მისი შემოგარენით დაკმაყოფილებულიყო. 1393 წელს ოსმალებმა ბულგარეთის დედაქალაქი – ნიკოპოლიც დაიკავეს.

ქრისტიანულ და ოსმალურ სამყაროებს შორის თანდათან იცვლებოდა, ოსმალები ბულგარეთის დაპყრობის შემდეგ უკვე უნგრეთის სამეფოს მიუახლოვდნენ. უნგრეთის მეფეს საკუთარი ქვეყნის დაცვაზე უნდა ეზრუნა. ბალკანეთში ოსმალების გაფართოება საფრთხეს უქმნიდა ვენეციასაც, რადგან ამ რეგიონში ვენეციას საკუთარი სამფლობელოები – მორეა და დალმაცია ჰქონდა. მათი დაკარგვით ვენეცია კარგავდა კონტროლს ადრიატიკის, ეგეოსისა და იონიის ზღვებზე. გენუის რესპუბლიკისთვის საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალების მდინარე დუნაიმდე მიღწევა და შავი ზღვის გასასვლელების ჩაკეტვა, რადგან შავი ზღვის სანაპირო გენიუს სავაჭრო კოლონიებით იყო მოფენილი. ბუნებრივია, თუ ოსმალები შავი ზღვის გასასვლელებს ხელში ჩაიგდებდნენ, სავაჭრო მიმოსვლა ევროპასა და შავ ზღვას შორის შეწყდებოდა.

1389 წელს ოსმალები პირველად დაესხნენ თავს უნგრეთს და დაარბიეს. ევროპელებისთვის უკვე ცხადი გახდა, რომ ოსმალურ ტალღას, შეიძლებოდა, დასავლეთ ევროპამდეც მიეღწია. ამიტომ რომის პაპის, ბონიფაციუს IX-ისა და თავის მხრივ, უნგრეთის მეფის, სიგიზმუნდის, მოწოდებას, ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყოთ, ევრო-

პაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ჯვაროსნული დროშით გაერთიანდნენ საფრანგეთის, ბურგუნდიის, უნგრეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, გერმანიისა და ჰოსპიტალიერთა ორდენის რაინდები. ძირითად ბირთვს ფრანგულ-ბურგუნდიული რაინდობა შეადგენდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მშვილდ-ისრებითა და **არბალეტებით** იყო შეიარაღებული, თუმცა შეიარაღებაში ჰქონდათ იმდროინდელი არტილერია – რკინის **ბომბარდებიც**, რომლებიც ქვის ბომბებს ისროდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში უკანასკნელად ერთად შეიკრიბა ებროპელი რაინდების ელიტა, რათა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღოთ.

არბალეტი – სატყორცნი იარაღი; ხის კონდახზე დამაგრებული ფოლადის მშვილდი სასხლეტი მექანიზმით. გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. არბალეტით ისროდნენ მოკლე ისრებს.

ბომბარდი – პირველი საარტილერიო იარაღი, ზარბაზნის წინაპარი. მას XIV-XVI საუკუნეებში ქალაქის ალყის ან თავდაცვის დროს იყენებდნენ. ბომბარდებს ხომალდებზეც აყენებდნენ. თავიდან მათ გამოჭედილი რკინის ნაჭრებისგან აწყობდნენ, შემდეგ კი ლულას უკვე ბრინჯაოსგან ასხამდნენ. თავდაპირველად ბომბარდები ქვის ბირთვებს, რკინის ნაჭრებს ან ისრებს ისროდა; რკინის ბირთვების ჩამოსხმა მოგვიანებით დაიწყეს.



სურ. 1 ბომბარდი



სურ. 2 არბალეტის გამოსახულება მინიატურაზე

ჯვაროსნების მიზნები

1396 წლის ზაფხულში რაინდების არმია უნგრეთში, ბუდაში, შეიკრიბა. მათ მხარს უმაგრებდა შავ ზღვაში, მდ. დუნაის შესართავთან განლაგებული ჰოსპიტალიერების, გენუელებისა და ვენეციელების ფლოტი. თავიდან ევროპელთა ლაშქარმა წარმატებას მიაღწია – ოსმალებმა სერბული ქალაქი ნიში დაკარგეს. ჯვაროსნები შემდეგ ბულგარეთში გადავიდნენ და ქალაქ ნიკოპოლს ალყა შემოარტყეს. მათი შემდგომი მიზნები თურქების ბალკანეთიდან განდევნა, კონსტანტინოპოლის დამცველების დახმარება, მცირე აზიისა და სირიის გადაკვეთა და უფლის საფლავის გათავისუფლება იყო.

1. ერთმანეთს შეადარე საერთაშორისო ვითარება და რაინდების მოტივაცია ჯვაროსნული ლაშქრობებისა (XI-XIII სს.) და ოსმალეთის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის დროს. შეავსე ცხრილი. (**მოსწავლის რვეული, დავ. 38**)

1396 წლის 25 სექტემბერს მდინარე დუნაიზე ქალაქ ნიკოპოლთან (თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე) ოსმალებთან ევროპელების ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა გაიმართა. ალყაშემორტყმულ ნიკოპოლთან სულთნის მეთაურობით ოსმალების არმია გამოჩნდა.

ოსმალების ძირითად ძალას ცხენოსნები შეადგენდნენ. ისინი განლაგებული იყვნენ სამ ნაწილად: ცენტრსა და ფლანგებზე. ცენტრის წინ ქვეითი მშვილდოსნები იდგნენ, მშვილდოსნების წინ კი ოსმალებს ერთგვარი დამცავი ბარიერი ჰქონდათ – მიწაში ჩარჭობილი ხის დიდი სოლები.

სამხედრო წყობის წინ იყვნენ კიდევ მსუბუქად შეიარაღებული მხედრები, რომლებსაც მოწინააღმდეგე ოსმალების ძირითად ძალებამდე უნდა მიეტყუებინა. ჯვაროსნების ცენტრში ფრანგულ-ბურგუნდიული ჯარი იდგა, რომელსაც ჰერცოგი ჟან უშიშარი მხედართმთავრობდა. მათ უკან ფართო ფრონტით უნგრელები, გერმანელები, ჰოსპიტალიერები და პოლონელები იყვნენ, ერთ ფლანგზე ტრანსილვანიელები იდგნენ, მეორეზე კი – ვლახები.

ბრძოლის დღეს, დილაადრიან, უნგრეთის მეფემ სიგიზმუნდმა ცენტრში მდგომ ჯვაროსნებს შეატყობინა, რომ მისმა მზვერავებმა თურქეთის ავანგარდი შენიშნეს და უმჯობესი იქნებოდა, შეტევა 2 საათით გადაეწიათ, სანამ მზვერავები ოსმალების შესახებ სრულ ინფორმაციას მოაგროვებდნენ. ჰერცოგმა სასწრაფოდ საბჭო შეკრიბა. საბჭოზე ზოგმა სიგიზმუნდის პოზიცია გაიზიარა, ზოგი კი შეტევის გადადების წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ უნგრეთის მეფეს მხოლოდ თავად სურდა ოსმალებზე გამარჯვების დიდების მოხვეჭა. ჯვაროსნები ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ ნაწილმა სიგიზმუნდთან ერთად გადაწყვიტა შეტევის დაწყება, ნაწილი კი – ფრანგული კავალერია – საბრძოლველად გაეშურა. როცა ფრანგებმა ოსმალების წინა რიგი გაარღვიეს, ხის სოლების ბარიერს გადააწყდნენ. რაინდებმა ბარიერის დაშლა სცადეს და მოახერხეს კიდეც, თუმცა ბევრმა მებრძოლმა წვეტიან სოლებზე ცხენი დაკარგა და ქვეითად აგრძელებდა ბრძოლას. ოსმალებმა უკან დაიხიეს და გაქცევა დაიწყეს. გამოცდილმა სარდლებმა თანამებრძოლებს შესვენება, გადაჯგუფება და სიგიზმუნდის დალოდება შესთავაზეს, მაგრამ ახალგაზრდა რაინდებს ბრძოლა სწყუროდათ, ამიტომ მათ შეტევა გააგრძელეს. წინ გაჭრილი ჯვაროსნები გაქცეულ ოსმალებს დაედევნენ, მაღლობს აუყვნენ და იმედოვნებდნენ, იქიდანაც ოსმალების ზურგს დაინახავდნენ, მაგრამ ოსმალების კავალერიას გადააწყდნენ. ბრძოლა ხელახლა გაჩაღდა. რაინდებმა უკან დახევა დაიწყეს. ოსმალებმა ჯერ ფრანგული ნაწილი გაანადგურეს, შემდეგ კი სიგიზმუნდის ჯარიც სასტიკად დაამარცხეს.



ნიკოპოლის ბრძოლის სქემა

2. გეგმის მიხედვით გადმოეცი საბრძოლო მოქმედებები:

ბრძოლის მოცემულ ეტაპზე რომელი ნაწილები არ არიან საბრძოლო მოქმდებებში ჩართული? რა განსხვავებაა ოსმალებისა და ჯვაროსნების განლაგებაში?

- რატომ მიაშურეს ევროპელმა რაინდებმა მდინარე დუნაის?
- იმსჯელე, ჩანს თუ არა გეგმაზე, რომ ჯვაროსნები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ?
- გეგმის მიხედვით, ჯვაროსნებმა ოსმალებზე ერთი შეტევაც კი ვერ მიიტანეს. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?

3. შუა საუკუნეების ევროპის მთავარი სამხედრო ძალა ოსმალებთან სასტიკად დამარცხდა. რა იყო ამის მიზეზი? იმსჯელე, რატომ გაუჭირდათ ევროპელ რაინდებს ოსმალების გამკლავება?

4. რა მნიშვნელობა ჰქონდა ნიკოპოლის ბრძოლას როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის?

5. რა გამოწვევების წინაშე დადგებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ბალკანეთში ოსმალეთის სამხედრო წარმატებებისა და ნიკოპოლის მარცხის შემდეგ?

ბრძოლის ველზე ბევრი რაინდი დაეცა, 10 ათასი ტყვედ ჩავარდა და მხოლოდ ცოტამ თუ მოახერხა გაქცევა. სულთანმა ბაიაზეთ I-მა (1389–1402 წწ.) ყველა ტყვის დახოცვა ბრძანა და მხოლოდ 300 სახელგანთქმული რაინდი შეიწყალა. მათთვის დიდი გამოსასყიდი გადაიხადეს. თავად სიგიზმუნდმა მცირერიცხოვან ნაწილთან ერთად კონსტანტინოპოლისკენ გარღვევა მოახერხა. სამშობლოში ის ზღვით დაბრუნდა. როცა დარდანელის სრუტეში მიცურავდა, ბაიაზეთმა ორივე ნაპირზე დატყვევებული რაინდები დააყენა. ისინი თავიანთ მეფეს გადარჩენას შესთხოვდნენ. მაგრამ სიგიზმუნდმა ახალი ლაშქრობის წამოწყება ვერ გარისკა. 1397 წელს ოსმალები უკვე უნგრეთში შეიჭრნენ და კვლავ დაარბიეს. მომდევნო წლების განმავლობაში მათ არაერთხელ ილაშქრეს უნგრეთში, არბევდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას ატყვევებდნენ და მონებად მიჰყავდათ.



სურ. 3 ნიკოპოლის ბრძოლა. ჟან ფრუასარის ქრონიკიდან XV ს.



სურ. 4 ნიკოპოლის ბრძოლა. ოსმალური მინიატურა XV ს.

6. XV საუკუნის ორივე მინიატიურა: ფრანგული და ოსმალური, ნიკოპოლის ბრძოლის ამბავს გადმოგვცემს. დააკვირდი მათ, რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები გვიანდელი შუა საუკუნეების ბოლოს სამხედრო საქმისა და ტექნოლოგიის განვითარებაზე?

7. იმსჯელე, დროთა განმავლობაში რა გავლენას მოახდენდა არტილერიის განვითარება სამხედრო საქმეზე, საომარი მოქმედებების წარმართვაზე?

8. შენი აზრით, დარჩებოდა თუ არა რაინდობა ევროპული სახელმწიფოების მთავარ სამხედრო ძალად ახალ დროშიც? პასუხი დაასაბუთე.

თემურ ლენგის ლაშქრობა ოსმალეთში

XIV საუკუნის ბოლოს ოსმალებმა ბიზანტიის ტერიტორიების უმეტესი ნაწილი დაიპყრეს. კონსტანტინოპოლი ყოველი მხრიდან ოსმალური მიწებით იყო შემოსაზღვრული. 1400 წელს ბაიაზეთ I-მა ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს და შტურმისათვის მოემზადა. თუმცა სწორედ ამ დროს მცირე აზიაში თემურ ლენგის არმია შეიჭრა. ბაიაზეთ I იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა და თემურ ლენგთან საბრძოლველად მომზადებულიყო. ბრძოლა თემურ ლენგსა და ოსმალებს შორის 1402 წელს ანგორასთან (ქალაქ ანკარასთან) გაიმართა. ოსმალები ბრძოლაში სასიტიკად დამარცხდნენ, ბაიაზეთი კი ტყვედ ჩავარდა და მომდევნო წელს ტყვეობაში გარდაიცვალა. ანგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ თემურ ლენგმა მოარბია მთელი მცირე აზია, დაიპყრო ბურსა, იზმირი და სხვა ქალაქები. ანგორის ბრძოლაში თემურლენგის გამარჯვებას სიხარულით შეხვდნენ ბიზანტია და ევროპის ქვეყნები. ინგლისის, საფრანგეთისა და კასტილიის მეფეებმა მიულოცეს კიდეც თემურ ლენგს გამარჯვება.

დამარცხების მიუხედავად, ოსმალთა სახელმწიფო არ იქცა თემურ ლენგის იმპერიის ნაწილად და 1420-იანი წლებიდან, სულთან მურად II-ის (1421-1451 წწ.) მმართველობის დროს ძალების მოკრება მოახერხა.

თემურ ლენგი – აზიის ახალი მბრძანებელი, გათურქებული მონღოლი, რომელმაც XIV საუკუნის II ნახევარში შუა აზიის ტერიტორიაზე ძლიერი სახელმწიფო შექმნა. ის თავს ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრედ თვლიდა, ამიტომ მიზნად დაისახა, თავისი სახელმწიფოს საზღვრები განევრცო და მონღოლთა დიდი საყაენოსთვის გაეთანაბრებინა. ამ მიზნის მისაღწევად თემურლენგმა იბრძოლა შუა აზიის გასაერთიანებლად ოქროს ურდოსა და ინდოეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მან სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო ირანისა და მისი მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგ. თემურ ლენგმა 1386-1403 წლებში რვაჯერ ილაშქრა საქართველოშიც.

წყარო ა) რუი გონსალეს დე კლავიხო, კასტილიელი დიპლომატი, მოგზაური და მწერალი, ელჩობა თემურლენგთან (1403-1406)

„როდესაც ელჩები სასახლეში შევიდნენ, მცველები მათ მიუახლოვდნენ, გვერდით კი ექვსი სპილო მიჰყვებოდათ. მათ ზურგზე ხის კოშკები ედგათ, რომლებშიც ჯარისკაცები ისხდნენ. ელჩებმა გზა განაგრძეს. გზაზე შემოხვდათ ის ელჩიც, რომელიც თემურმა კასტილიის მეფეს გაუგზავნა. მას ჩვენების კასტილიურ ჩაცმულობაზე გაეცინა. ელჩები დარბაზში შევიდნენ... კარის პირდაპირ თემური იჯდა და მას სტუმრები შემდეგი წესით მიესალმნენ: ცალ მუხლზე დაიჩოქეს, მკერდზე ხელები გადაიჯვარედინეს და თავი დაუკრეს. ასე მოიქცნენ სამჯერ... თემურმა ჩვენს მეფეზე იკითხა:

აღმოსავლურ დიპლომატიაში „მამა“ ნიშნავს მმართველს, სიუზერენს, ვაჟი – ვასალს ან შედარებით პატარა სახელმწიფოს მმართველს, ძმა კი – თანასწორს.

„როგორ არის ჩემი ვაჟი, თქვენი მეფე?“. როცა ელჩებმა უპასუხეს, თემურმა გადახედა მის უკან მჯდომ მეომრებს და უთხრა: „შეხედეთ! აქ არიან ჩემი ვაჟის, ესპანეთის მეფის, მიერ გამოგზავნილი ელჩები. ის უდიდესი მეფეა ფრანკთა მეფეებს შორის და მსოფლიოს მეორე ბოლოში ცხოვრობს. ეს ფრანკები ნამდვილად დიდებული ხალხია და ვუგზავნი ჩემს დალოცვას ესპანეთის მეფეს“.



სურ. 5 კონრად გრუნერბერგი. ვენეციელთა გალერას პილიგრიმები იერუსალიმისკენ მიჰყავს. კონსტანციდან იერუსალიმში პილიგრიმობის აღწერა. 1486 წ.

9. როგორ ფიქრობ, რამდენად საკმარისი იქნებოდა კონსტანტინოპოლის დასაცავად გალერების ის რაოდენობა, რომელსაც პაპი აგზავნიდა?

10. წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და ამ ნახატზე გამოსახული ხომალდით დაინტერესდი. რომელი ისტორიული დისციპლინის დახმარებით და როგორ გაარკვევ ხომალდის წარმომავლობას?

11. რა მნიშვნელობა ჰქონდა ანგორის ბრძოლას როგორც ბიზანტიის, ისე ოსმალეთისთვის?

12. ესპანეთის მეფე თემურ ლენგის ვასალი არ ყოფილა, ამის მიუხედავად, მას როგორც ქვეშევრდომს, ისე უგზავნის მოკითხვას აზიელი მმართველი. წყაროს მიხედვით, შეეცადე დაახასიათო თემურ ლენგისა და ესპანეთის მეფის ურთიერთდამოკიდებულება

13. რატომ გამოხატეს ევროპის კათოლიკურმა სახელმწიფოებმა სიხარული თემურლენგის სამხედრო წარმატების მიმართ? შენი აზრით, აქვს თუ არა რელიგიურ ერთიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში? პასუხი დაასაბუთე.

14. წარმოიდგინე, რომ იმდროინდელი ისტორიკოსი ხარ. გააკეთე მოკლე ჩანაწერი ანგორის ბრძოლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ: ა) როგორც ბიზანტიელმა ისტორიკოსმა, ბ) როგორც თურქმა ისტორიკოსმა. შეეცადე, შენს ჩანაწერში ეპოქისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობა და რელიგიურობა აისახოს და მომხდარი მოვლენაც ამ თვალთახედვით შეაფასე.

ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრება

XV საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალებმა ბიზანტიის ტერიტორიების მითვისება განაგრძეს. ბიზანტიის იმპერატორის მანუელის თანამმართველმა, მისმა უფროსმა ვაჟმა, შემდგომში იოანე VIII-მ (1425-1448 წწ.), ოსმალებთან ვასალური ხელშეკრულება გააფორმა. ბიზანტიაში ამ დროს საკმაოდ მძიმე ვითარება იყო. 1423 წელს იმპერიის მეორე ქალაქი თესალონიკი მისმა მმართველმა, მანუელის მესამე ვაჟმა, **დესპოტმა** ანდრონიკემ, რომელიც ქალაქის დაცვას და შენახვას ვერ ახერხებდა, დიდ თანხად მიჰყიდა ვენეციელებს. ამას ისიც დაემატა, რომ იოანეს გაიმპერატორების შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მისი ძმები, კონსტანტინე და დესპოტი თეოდორე. იოანემ ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება შეძლო, თუმცა თესალონიკის ვენეციელებისთვის მიყიდვამ მურადის გულისწყრომა გამოიწვია. 1430 წელს მურად II-მ თესალონიკის ხელში ჩაგდება მოახერხა. ოსმალეთის მხრიდან შექმნილი ასეთი საშიშროების გამო იოანე VIII-მ ევროპელებს, კონკრეტულად კი რომის პაპს მიმართა.

დესპოტი – XII საუკუნიდან ბიზანტიაში ოლქის მმართველი, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური ავტონომია ჰქონდა. დესპოტები ძირითადად იმპერატორის ოჯახის წევრები იყვნენ.

15. თესალონიკის მდებარეობის მიხედვით იმსჯელე, რა ფუნქცია ექნებოდა ქალაქს?

16. თესალონიკი მისმა მმართველმა ეკონომიკური გაჭირვების გამო გაყიდა. მაშინ რატომ გადაიხადეს ვენეციელებმა მასში დიდი თანხა? იმსჯელე, თუ ბიზანტიელები ვერ ახერხებდნენ ქალაქის შენახვას, როგორ მოახერხებდნენ ამას ვენეციელები?

17. რა პროცესები მიმდინარეობს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და როგორ აისახება შიდა პოლიტიკური უთანხმოება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე?

18. შენი აზრით, რატომ არ დაუშვა მურად II-მ, რომ თესალონიკი ვენეციელებს დარჩენოდათ?

იმპერატორისა და რომის პაპის მოლაპარაკებები თითქმის ექვს წელიწადს გაგრძელდა და გადაწყდა, რომ პაპი იტალიაში მოიწვევდა მსოფლიოს საეკლესიო კრებას, სადაც აღმოსავლური, მართლმადიდებლური ეკლესიები რომის პაპის უზენაესობას აღიარებდნენ და კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდებოდნენ.

1439 წლის გაზაფხულზე ქალაქ ფერარაში შედგა საეკლესიო კრება. მოგვიანებით, შავი ჭირის ეპიდემიის საშიშროების გამო, კრება ფლორენციაში გადავიდა, ამიტომ ის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების სახელით არის ცნობილი. ბიზანტიიდან კრებაზე დასასწრებად იმპერატორი იოანე VIII, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოსებ II და სხვა სასულიერო პირები ჩავიდნენ. აღსანიშნავია, რომ დელეგაციაში იყვნენ როგორც საეკლესიო გაერთიანების მომხრე, ისე მოწინააღმდეგე სასულიერო პირები. კრებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოდან გაგზავნილი წარმომადგენლებიც - ერთი მიტროპოლიტი და ერთი საერო პირი-დიდებული.

გაფორმდა „ფლორენციის უნია“, რომლის თანახმადაც მართლმადიდებელი ეპისკოპოსები რომის პაპის უზენაესობას ცნობდნენ და თანხმდებოდნენ, რომ ის „ქრისტეს მოადგილე“ იყო დედამიწაზე. სამაგიეროდ, პაპი ვალდებულებას იღებდა, კონსტანტინოპოლში 300 მეომარი და 2 **გალერა** გაეგზავნა; ამას გარდა, საჭიროე-

გალერა – მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი, რომელიც გამოიყენებოდა XVIII საუკუნემდე. ეკიპაჟში დაახლოებით 450 კაცი იყო (5-9 კაცი ნიჩაბზე). XIV საუკუნიდან გალერაზე ბომბარდებსაც ათავსებდნენ.

ბის შემთხვევაში, მთელი წლით 10 გალერას ან ნახევარი წლით 20 გალერას გაგზავნიდა; თუ კონსტანტინოპოლს ოსმალები დაემუქრებოდნენ, პაპი ჯვაროსნულ ლაშქრობას უზრუნველყოფდა. უნიით გათვალისწინებული იყო ისიც, რომ იერუსალიმში მიმავალი ნებისმიერი მლოცველი ვალდებული იყო, კონსტანტინოპოლში გაევლო. ამით ბიზანტიაში ეკონომიკური ვითარება შედარებით გამოსწორდებოდა. უნიას ხელი მოაწერა პაპმა და ორმოცმა კარდინალმა, ასევე ბიზანტიის იმპერატორმა და ოცდაცამეტმა ეპისკოპოსმა.

მართალია, იოანე VIII და მისი მემკვიდრე კონსტანტინე XI პალეოლოგოსები ცდილობდნენ, შეესრულებინათ უნიის პირობები, მაგრამ შეთანხმება მაინც გაუქმდა და მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა ის უარყვეს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ ხელი მოაწერა, მაგრამ არ შეუსრულებია იგი, ხოლო ქართულმა დელეგაციამ უნიას ხელი არ მოაწერა და კრება მის დასრულებამდე დატოვა. ბიზანტიის მოსახლეობაში, მმართველ წრეებსა და ღვთისმსახურებში არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას პაპის მიმართ კარგად გამოხატავს ბიზანტიელი მოხელისა და ფლოტის მეთაურის ლუკა ნოტარასის სიტყვები, კონსტანტინოპოლის კედლების დაცვისას რომ წარმოთქვა: „მირჩევნია, ქალაქის ცენტრში ვიხილო მუსლიმური ჩალმა, ვიდრე ლათინური მიტრა“.

ბიზანტიაში თითქოს კულტურული ცხოვრებისთვის დრო აღარ უნდა დარჩენილიყო. მაგრამ სინამდვილეში პირიქით მოხდა. პალეოლოგოსები მეცნიერებისა და კულტურის დიდი მოყვარულები იყვნენ და ყოველმხრივ ზრუნავდნენ მის განვითარებაზე. XIV-XV საუკუნეებში მომაკვდავ იმპერიაში კულტურული ცხოვრება ყვაოდა, როგორც ერთ დროს, იმპერიის სიძლიერის ხანაში. კონსტანტინოპოლის სკოლებში ახალგაზრდები ყველა მხრიდან მოეშურებოდნენ: ისინი ჩამოდიოდნენ არა მარტო ბალკანეთიდან და მცირე აზიიდან, არამედ იტალიიდანაც, სადაც ასევე კულტურული აღორძინების პერიოდი იდგა. ფილოსოფოსები მსჯელობდნენ არისტოტელესა და პლატონის შეხედულებებზე. ფილოლოგები, მწერლები სწავლობდნენ ანტიკური მწერლების ნაწარმოებებს და ახალგაზრდებთან ერთად განიხილავდნენ. ამ პერიოდში ბიზანტიაში მრავალი ლიტერატურული თუ ისტორიული ნაწარმოები დაიწერა. კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი გამოიწვია. ეს განწყობა და მსჯელობა ლიტერატურაშიც აისახა და მას არა ერთი ნაწარმოები მიეძღვნა. ისტორიკოსების მთელმა თაობამ აღწერა იმპერიის ბოლო წლები.



სურ. 6 კონრად გრუნერბერგი. თურქული გალერა, XV ს.

აღორძინება მხოლოდ ლიტერატურაში არ მომხდარა, ის ხელოვნების სხვა დარგებსაც შეეხო: მხატვრობას, არქიტექტურას, მოზაიკას. ერთ-ერთი თანამედროვე ისტორიკოსის სიტყვით, „დაცემის წინ თითქოს მთელი საბერძნეთი უკანასკნელ სულიერ ენერგიას იკრებდა, რომ ბოლოჯერ გაბრწყინებულიყო“.

19. შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ პალეოლოგოსების აღორძინების მოღვაწეები ბერძნული კულტურის წარმომადგენლებად დარჩნენ იმ დროს, როცა იტალიელმა ჰუმანისტებმა კულტურის ისტორიაში მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინეს?

20. როგორ ფიქრობ, რამდენად ეფექტიანი შეიძლებოდა ყოფილიყო „ფლორენციის უნიის“ პირობები მისი შესრულების შემთხვევაში? პასუხი დაასაბუთე.

21. რატომ ჰქონდა ბიზანტიის მოსახლეობას რომის პაპის მიმართ ასეთი უარყოფითი განწყობა?

22. როგორ ფიქრობ, ჰქონდა თუ არა ბიზანტიის იმპერიას დილომატიური არჩევანი? გარდა რომის პაპისა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საგარეო პოლიტიკური მოკავშირე? რატომ?

23. რატომ იყო რთულ მდგომარეობაში ბიზანტიის ეკონომიკა? შესწევდა თუ არა ძალა უნიას, გამოესწორებინა ეკონომიკური ვითარება? რატომ?

24. შეავსე სქემა. გამოყავი ფერერა-ფლორენციის უნიის მომხრეთა არგუმენტები და კონტრარგუმენტები (**მოსწავლის რვეული, დავ. 39**)

25. წარმოიდგინეთ, რომ კონსტანტინოპოლის მცხოვრებლები ხართ და ფლორენციიდან დაბრუნებულ იმპერატორსა და პატრიარქს ხვდებით. დაინაწილეთ როლები: იმპერატორი და მისი ამალა და „ფლორენციის უნიის“ საწინააღმდეგოდ განწყობილი ბიზანტიელები. გამოხატეთ თქვენი პოზიციები და მოიყვანეთ არგუმენტები მათ დასაცავად.

§25 - 26. კონსტანტინოპოლის დაცემა. მიზეზები და შედეგები

თურქ-ოსმალები კონსტანტინოპოლის ასაღებად ემზადებიან

თურქ-ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ კონსტანტინოპლის აღება გადაწყვიტა. ის ომისთვის გულდასმით ემზადებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მეჰმედი არტილერიას უთმობდა. 1451-1452 წლებში სულთანმა ბოსფორის ყელის ყველაზე ვიწრო ადგილას ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო. ამ ციხესიმაგრით ის კონსტანტინოპოლს შავ ზღვას მოსწყვეტდა. ბიზანტიელი ელჩები მეჰმედს ეწვივნენ, რომ მშენებლობის მიზეზი გაეგოთ, მაგრამ ისინი უპასუხოდ გააბრუნეს უკან. კონსტანტინოპოლიდან ელჩები მეორედ გაგზავნეს. ამჯერად ისინი დაიჭირეს და თავები მოჰკვეთეს. ეს არაოფიციალურად ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ციხესიმაგრეს ბოღაზ-ქესენი (თურქულად „ყელის გამომჭრელი“) უწოდეს. მისი მშენებლობა 1452 წელს დასრულდა. ციხესიმაგრეზე ბომბარდები დააყენეს, რომლებიც ბოსფორის სრუტეში მცურავ ბიზანტიურ ხომალდებს ესროდნენ. ციხესიმაგრის მშენებლობის დასრულების შემდეგ მეჰმედი კონსტანტინოპოლის გალავანს პირველად მიუახლოვდა, მაგრამ იქ მხოლოდ სამი დღე გაატარა და უკან გაბრუნდა.

მეჰმედმა კონსტანტინოპოლის აღებისთვის მზადება დაიწყო. ჯერ პელოპონესში შეიჭრა და თავს დაესხა ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე XI-ის, ძმების სამფლობელოებს, რათა მათ იმპერატორის დასახმარებლად მისვლა ვერ შესძლებოდათ, შემდეგ კი თურქულ არმიას თრაკიის სანაპიროზე ყველა ბიზანტიური ქალაქის დაკავება უბრძანა.

კონსტანტინოპოლის აღებას თურქები მანამდეც ცდილობდნენ, მაგრამ ეს ყოველთვის მარცხით სრულდებოდა. მეჰმედ II-ის აზრით, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ თურქულ ჯარს, რომელიც ქალაქს ალყაში აქცევდა, ზღვიდან ზურგს ფლოტი ვერ უმაგრებდა.

1453 წელს თურქებმა შავი ზღვის სანაპიროზე რამდენიმე ციხესიმაგრე აიღეს. იმავე წელს კი მარტის დასაწყისში კონსტანტინოპოლის გალავანთან დაბანაკდნენ. ოსმალური არმია შედგებოდა დაახლოებით 80 000 რეგულარული მეომრის, 20 000-იანი ლაშქრისა და რამდენიმე ათასი დამხმარე მეომრისგან, რომლებიც არმიის ზურგში სხვადასხვა საჭირო სამუშაოს ასრულებდნენ. სულთნის ფლოტში იყო სამხედრო და მძიმე სატვირთო ხომალდები, რომლებსაც საჭირო აღჭურვილობა და არმიისთვის სურსათ-სანოვაგე გადაჰქონდათ.



სურ. 1 მეჰმედ II-ის პორტრეტი. ჯენტილე ბელინი, XV ს.

1. ეპოქის, იმდროინდელი საზოგადოების რა მახასიათებლებზე შეიძლება მოგვითხრობდეს ნახატი, როგორც ისტორიული წყარო?



2. რატომ არის ეს რუკა XV საუკუნის კონსტანტინოპოლის მკვლევრისთვის ძვირფასი ისტორიული წყარო? რა ინფორმაციას გვაწვდის რუკა და როგორ შეგვიძლია მისი გამოყენება კონსტანტინოპოლის ისტორიის შესასწავლად?

3. რა სახის წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს რუკაზე მოცემული ინფორმაციის დაზუსტებაში?

4. რით გამოირჩევა ფლორენციელი კარტოგრაფის შედგენილი რუკა თანამედროვე რუკებისგან?

სურ. 2 ფლორენციელი კარტოგრაფის შედგენილი კონსტანტინოპოლის რუკა

კონსტანტინოპოლის მდებარეობა და გამაგრების სისტემა

კონსტანტინოპოლი ნახევარკუნძულზე მდებარეობდა. კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებს ძალიან არ აღელვებდათ მარმარილოს ზღვის მხრიდან თავდასხმა, რადგან იმ ადგილას დინება სწრაფი იყო და თურქებს კედელთან დესანტის გადმოსხმა გაუძნელდებოდათ. უფრო დაუცველად მათ ოქროს რქის სანაპირო მიაჩნდათ. ამიტომ იქ გამაგრების თავისებური სისტემა შეიმუშავეს. ყურის შესასვლელში დიდი ჯაჭვი იყო გაჭიმული. თურქული ფლოტი ვერ შეძლებდა ოქროს ყურეში შეცურვას და ქალაქის ჩრდილოეთ კედლებთან დესანტის გადასხმას, ბიზანტიელებს კი, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ, დაზიანებული ხომალდები ყურეში შეეფარებინათ და იქ შეეკეთებინათ.

ხმელეთის მხრიდან გალავანი რელიეფს მიუყვებოდა და ერთ ადგილას, სადაც რელიეფი დაბალია, გალავანიც უფრო დაბალი იყო. ამ ადგილს თვლიდნენ ბერძნები ყველაზე სუსტ ადგილად. თავდაცვით სისტემაში გაჭრილი იყო ქალაქში შესასვლელი რამდენიმე კარიბჭე და საიდუმლო კარი.



სურ. 3 კონსტანტინოპოლის კელდლები

კონსტანტინოპოლის იერიში

1453 წლის აპრილში ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა. სხვადასხვა მონაცემით, ოსმალთა არმია 100 ათასიდან 200 ათასამდე ჯარისკაცს ითვლიდა, როცა კონსტანტინოპოლის კედლებს ყველაზე დიდი, 10 ათასი ჯარისკაცი იცავდა. კონსტანტინოპოლის მეცხიეოვნეები 7 კვირის განმავლობაში იგერიებდნენ ოსმალთა იერიშებს, თუმცა საბოლოოდ 29 მაისს გადამწყვეტ ბრძოლაში ოსმალებმა შტურმით აიღეს ქალაქი. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI ბრძოლაში დაიღუპა. ის ქალაქის დამცველთა გვამებს შორის წითელი წაღებით ამოიცნეს. ოსმალებმა ქალაქს სახელი შეუცვალეს და მას ისტანბული (სტამბოლი) დაარქვეს. თუმცა, კონსტანტინოპოლს ოფიციალურად „სტამბოლი“ მხოლოდ 1930 წლიდან ეწოდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ბრძოლა, სადაც ახალი სამხედრო ტექნოლოგიები – დენთი და არტილერია – გამოიყენეს.

თურქებისთვის დიდი წარმატება იყო უნგრელი ინჟინრის ურბანის გადმობირება, რომელსაც კონსტანტინოპოლმა თანხა ვერ გადაუხადა. თურქებს შესაბამისი სახსრები გააჩნდა და ურბანმა მათ ქვემეხები დაუმზადა. მეჰმედ II-მ ურბანს, უზარმაზარი ბომბარდი შეუკვეთა. მას ბაზილიკა-ბომბარდი უწოდეს. ურბანი მის ჩამოსხმას სამ თვეს მოუნდა. ამ უზარმაზარ ბომბარდს დიდი ძალა ჰქონდა.

ბაზილიკა-ბომბარდის ზუსტი მონაცემები და გამოსახულება არ შემორჩენილა, მაგრამ სხვადასხვა წყაროში აღწერილი ბომბარდის მონაცემები დაახლოებით ასეთია: სიგრძე – 8-12 მეტრი, წონა – 32 ტონა, ლულის დიამეტრი – 75-93 სმ, გატყორცნილი ბირთვის წონა – 540-590 კგ, გასროლის მანძილი – 2 კმ. ბომბარდის წონასწორობას 200 კაცი და 30 წყვილი ხარი იჭერდა. ხელახლა დატენას დაახლოებით 1 საათი სჭირდებოდა.

ბევრი ნაკლოვანების მიუხედავად, მას ერთი უპირატესობა ჰქონდა – უზარმაზარი დამანგრეველი ძალა. ბრძოლის ბოლო დღეს სწორედ ბომბარდიდან ნასროლმა ყუმბარამ კედელი ისე გაანგრია, რომ ქალაქში ასეულობით თურქი მეომარი შევარდა. ერთ-ერთი თანადროული ისტორიკოსის სიტყვით კი, „ყველაფერი ზარბაზანმა გადაწყვიტა“.



სურ. 4 ბომბარდა-ბაზილიკა

ისტანბული - სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული ფრაზისგან - „ქალაქში“, თურქული ხალხური ტრადიცია კი – ქალაქის სახელწოდებას ისლამთან აკავშირებს და მას ისლამბოლად მოიხსენიებს.



კონსტანტინოპოლის ალყის გეგმა

5. რომელი ბუნებრივი საზღვრები ჰქონდა კონსტანტინოპოლს?

6. შენი აზრით, რატომ განსხვავდება ქალაქის თავდაცვითი სისტემა სხვადასხვა მხარეს?

7. ქალაქის რომელი მხარე ჰქონდათ უფრო გამაგრებული ქალაქის დამცველებს? შენი აზრით, რატომ?

8. რა გზას მიმართეს კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა ოქროს რქის ყურის დასაცავად?

9. გეგმის მიხედვით აღწერე ძალთა განლაგება: სად იყო თავმოყრილი ქალაქი დამცველთა ძირითადი ძალები და რატომ?

10. რა გზას მიმართეს ოსმალების ხომალდებმა ოქროს რქის ყურეში შესასვლელად?

11. რატომ არ სცადეს ოსმალებმა მარმარილოს ზღვის მხრიდან ქალაქზე იერიშის მიტანა?

12. შენი აზრით, რა როლი შეასრულა ფლოტმა კონსტანტინოპოლის ალყაში?

13. შენი აზრით, თავდაცვითი სისტემის რომელ მონაკვეთში გამოიყენებდა მეჰმედ II ზარბაზნებს? პასუხი დაასაბუთე.

14. რა უპირატესობა წაართვა ქალაქის დამცველებს ბრძოლაში არტილერიის გამოყენებამ? შეიძლებოდა თუ არა, რომ მოვლენები განსხვავებულად განვითარებულიყო?

15. შეავსე სქემა. დაახასიათე დაპირისპირებული მხარეების პოლიტიკური, სტრატეგიული და სამხედრო მდგომარეობა (**მოსწავლის რვეული დავ. 40**).

16. ინტერნეტით მოიძიე ინფორმაცია კონსტანტინოპოლის ალყისა და მისი აღების შესახებ.

ქვემოთ დასახელებული ავტორები კონსტანტინოპოლის დაცემას აღწერენ.

წყარო ა) აშიკ ფაშა-ოღლუ, თურქი ისტორიკოსი, „ოსმანთა დინასტიის ისტორია“, XV ს.

„სულთან მეჰმედმა თქვა: „ამ წლის ზაფხულს სტამბოლში გავატარებ“. მივიდნენ და სტამბოლის ციხესიმაგრესთან გამაგრდნენ. ტერიტორიას ალყა ხმელეთიდანაც შემოარ-

ტყეს და ზღვის მხრიდანაც – ხომალდებით. ზღვაში დაახლოებით 400 ხომალდი იდგა. ხომალდები ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ... და დროშები გაშალეს. ზღვაზე (სრუტეზე) ხიდი ააგეს. შეტევა დაიწყო.ჭბრძოლა 50 დღეს და ღამეს გრძელდებოდა. ...ორმოცდამეთერთმეტე დღეს სულთანმა ქალაქის გაძარცვის ბრძანება გასცა, რაც წარმატებით განხორციელდა. ბაზრები ოქროთი, ვერცხლითა და ათასგვარი ქსოვილით გაივსო. ვაჭრობა დაიწყო. მოსახლეობა ტყვედ აიყვანეს. ურწმუნოთა მმართველი მოკლეს... დაპყრობიდან პირველსავე პარასკევს აია-სოფიაში სულთან მურად-ხან ღაზისა და მისი შვილის, სულთან მეჰმედ-ხან ღაზის, სახელზე ლოცვა აღავლინეს“.

წყარო ბ) მიხეილ დუკა, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „ბიზანტიის ისტორია“, XV ს.

„ტირანმა შეტევის დღე დაასახელა და თან დასძინა, რომ არ ეძებს სხვა ალაფს, გარდა ქალაქის კედლებისა და შენობებისა, „დანარჩენი — ტყვეები და განძეულობა, დე, თქვენი ალაფი იყოს!“. მაშინ ყველამ მადლობა გადაუხადა. ...ტირანი თავისი ვეზირებითა და სატრაპებით ქალაქში შევიდა. როცა უდიდეს ეკლესიას მიუახლოვდა, ცხენიდან ჩამოხდა, შიგნით შევიდა და ნანახით აღფრთოვანებული შედგა. დაინახა ერთი თურქი, რომელიც მარმარილოს ამტვრევდა. ჰკითხა, რატომ აფუჭებო, თურქმა უპასუხა: „სარწმუნოებისთვის“. მაშინ მან ხმლით მოკლა ის და თან დასძინა: „თქვენ ტყვეები და განძეულობა გეყოფათ, ქალაქის შენობები ხომ მე მეკუთვნის!“.

...ქალაქის აღებიდან სამი დღის შემდეგ მან ნება დართო დატვირთულ ხომალდებს, თავიანთი ქალაქებისკენ გაეცურათ. და რა ტვირთი იყო ხომალდებზე? ძვირფასი ტანსაცმელი, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თითბრის ჭურჭელი; აურაცხელი წიგნი; ტყვეები: მღვდლები, მოქალაქეები, ბერები, მონაზვნები. ბანაკის კარვებიც სავსე იყო ტყვეებითა და სხვა ზემოთ ჩამოთვლილით... აურაცხელი წიგნი, საზიდრებზე დატვირთული, გაიფანტა ყველგან, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში. ერთ ნომისმად (ოქროდ) შეგეძლო, 10 წიგნი გეყიდა: არისტოტელეს, პლატონის, საღვთისმეტყველო და ნებისმიერი სახის შემკული საეკლესიო წიგნები. ზოგს ყიდდნენ, ზოგს ძვირფასეულობას
აძრობდნენ და ცეცხლს აძლევდნენ“.

წყარო გ) გიორგი ფრანძესი, ბიზანტიელი ისტორიკოსი, „დიდი ქრონიკა“, XV ს.

„...მტერმა მთელი ქალაქი დაიპყრო... საზარელი სანახავი იყო: ეკლესიიდან მონაზვნების თმებით გამოთრევა, წმინდა ტაძართა ძარცვა-რბევა... ხატებს ფეხით თელავდნენ, შემკულობას, ოქრო-ვერცხლსა და ძვირფას ქვებს აგლეჯდნენ და მათგან საწოლებსა და მაგიდებს ამზადებდნენ; აბრეშუმისა და მოოქროვილ საეკლესიო სამოსელს ცხენებს აფარებდნენ, ზოგიერთი კი სუფრად იყენებდა და ზედ სადილობდა... ქალაქის დაცემიდან მესამე დღეს სულთანმა დიდი ტრიუმფით და მხიარულებით აღსავსე ზეიმით აღნიშნა გამარჯვება. მან გამოსცა ბრძანება: ყველა ასაკის მოქალაქეს, რომელიც გადარჩა, შეეძლო, გამოსულიყო თავის სამალავიდან და თავისუფალი დარჩებოდა, ისე რომ არავინ არაფერს მოჰკითხავდა. შემდეგ მან ბრძანა, რომ დაებრუნებინათ სახლები და ქონება იმ მოქალაქეებისათვის, ვინც ალყამდე დატოვა ქალაქი. თუკი ისინი დაბრუნდებოდნენ სახლებში, მათ მოექცეოდნენ თავიანთი წოდებისა და რელიგიის შესაბამისად, ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს“.

17. რა საერთო ინფორმაციას გვაწვდის წყაროები?

18. რატომაა მნიშვნელოვანი ერთსა და იმავე მოვლენაზე სხვადასხვა წყაროს არსებობა?

19. წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით დაახასიათე მეჰმედ II.

20. შენი აზრით, რატომ აუკრძალა მან საკუთარ მეომრებს ქალაქის კედლებისა და შენობების დანგრევა, ეს ხომ „ურწმუნოთა ქალაქი“ იყო?

21. რატომ დაუთმო მეჰმედ II-მ ტყვეები და განძეულობა ჯარს?

22. რა მიზნებს ემსახურებოდა მეჰმედ II-ის მიერ ქალაქის აღებიდან მესამე დღეს გამოცემული ბრძანებები?

23. დააკვირდი ნახატს. რა ინფორმაციას გადმოგვცემს მხატვარი კონსტანტინოპოლის ალყის შესახებ?

24. რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისთვის კონსტანტინოპოლის დაცემას?

25. როგორ ფიქრობ, მოახდენდა თუ არა გავლენას კონსტანტინოპოლის დაცემა საქართველოს ისტორიაზე?



სურ. 5 კონსტანტინოპოლის დაცემა. ჟან ლე ტავერნიე. XV ს.

წყარო დ) ანჯელო ჯოვანი ლომელინოს წერილი, გაგზავნილი გალათიდან გენუაში

„ჩემო კეთილშობილო და საყვარელო ძმაო, პატიებას ვითხოვ, რომ აქამდე ვერ გპასუხობდი... დარწმუნებული ვარ, უკვე გაიგებდი, რა ბედი ეწია მოულოდნელად კონსტანტინოპოლს: თურქების ხელმწიფემ გასული თვის 29 რიცხვში დაიპყრო ქალაქი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში, მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში სულთანს ყოველი მხრიდან იერიში მოჰქონდა ქალაქზე. დილას ჯოვანი ჯუსტიანიანი ქალაქის ჭიშკრიდან გავიდა და ზღვისკენ გაეშურა. ამ ჭიშკრიდან შემოვიდნენ ქალაქში თურქებიც, სადაც წინააღმდეგობა აღარ შეხვედრიათ და ამით ყველაფერი დასრულდა... მინდა მჯეროდეს, რომ ეს ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად დაგვემართა. დაე, მომცეს ღმერთმა გამძლეობა.

ისინი ქალაქს სამი დღე ძარცვავდნენ. თქვენ არ გინახავთ ასეთი უბედურება: ნაძარცვის დათვლა შეუძლებელი იყო. დაქირავებული ქიოსელი მეომრები, აქაური მოქალაქეები და მცხოვრებლები, ყველა, ვინც გენუიდან გამოგზავნეს, ქალაქის დასაცავად გავუშვი... რადგან ვიცოდი, კონსტანტინოპოლის დაცემას ამ ქალაქის დაკარგვაც მოჰყვებოდა.

მათ ქალაქის დიდი ნაწილი დაიკავეს. შეშინებული მოქალაქეების ნაწილმა აქამდე მოღწევა შეძლო. ნაწილმა ვაჭრებთან ერთად გაქცევა მოახერხა. ხომალდების კაპიტნებს ისე შეეშინდათ, უკანმოუხედავად მიცურავდნენ და არავის უცდიდნენ. დიდი ძალისხმევით

ანჯელო ჯოვანი ლომელინოს კონსტანტინოპოლის დაცემისას გალათის პოდეტის თანამდებობა ეკავა. გალათას უწოდებდნენ გენუის კოლონიას, რომელიც სრუტეზე კონსტანტინოპოლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. ბიზანტიისა და გენუის შეთანხმების თანახმად, გენუელებს ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში თვითმმართველობის უფლება ჰქონდათ. კონსტანტინოპოლის დაცემისას გალათის სათავეში ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული პოდესტა იდგა. გვიანდელ შუა საუკუნეებში პოდესტა იტალიურ ქალაქებში არჩევითი თანამდებობა იყო და ხშირად მას საკმაოდ მოკლე დროით ირჩევდნენ, მაგ., გენუაში 1 წლით.

რამდენიმეს უკან დაბრუნება შევძელი... ასეთ მდგომარეობაში გადავწყვიტე, სიცოცხლის ფასადაც არ დამეტოვებინა ქალაქი. ჩემი გაქცევის შემთხვევაში ქალაქს მაშინვე გაძარცვავდნენ, ამიტომ, პირიქით, მისი უსაფრთხოების დასაცავად ნაბიჯების გადადგმა გადავწყვიტე. სულთანს ძვირფასი საჩუქრებით ელჩები გავუგზავნე, რომ მისთვის ჩვენი საზავო მოლაპარაკება შეეხსენებინათ და მისი გაგრძელება ეთხოვათ. მაგრამ პასუხი არ მომსვლია. ამასობაში დარჩენილი ხომალდები ზღვაში გავიდნენ და ისეთ ადგილას დადგნენ, სადაც იალქნების გაშლას შეძლებდნენ. კაპიტნებს თხოვნა გავუგზავნე, ღმერთის ხათრით სულგრძელობა გამოეჩინათ და კიდევ ერთი დღე დაეცადათ. კაპიტნებმა მტკიცედ იუარეს და იმავე ღამეს გაცურეს. დილას სულთანმა, ელჩებს განუცხადა, რომ ქალაქის ჩაბარებას ითხოვდა.

...სულთანმა ორჯერ მოგვინახულა. მას ყველგან განადგურება მოჰქონდა. ქალაქის კედლებიდან კოშკები ჩამოანგრიეს, ქალაქის ირგვლივ თხრილი ამოავსეს, წმინდა ჯვრის კოშკი დაანგრიეს... სულთანმა ყველა ჩვენი ზარბაზანი წაიღო და ასევე ყველა საბრძოლო იარაღის წაღებას აპირებდნენ, რაც კი მოქალაქეებს ჰქონდათ. ბრძანა, აღწერათ გაქცეული ვაჭრებისა და მოქალაქეების ქონება და დასძინა: თუ დაბრუნდებიან, ქონებას დავუბრუნებთ, თუ არა – ყველაფერი ჩემი იქნება...

მომდევნო ღამეს სულთანი ადრიანოპოლში დაბრუნდა... ვენეციის ელჩის, მისი შვილისა და კიდევ შვიდი ვენეციელის თავის მოკვეთა ბრძანა, ასევე კატალონიის ელჩისა და მასთან ერთად მყოფი კატალონიელების. ერთი სიტყვით, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ისე გათავხედდა, რომ თავი მსოფლიოს მბრძანებლად წარმოიდგინა; იფიცებოდა, რომ 2 წელიწადში რომსაც მიაღწევდა. ვფიცავ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, თუ ქრისტიანები საპასუხო ნაბიჯებს არ გადადგამენ, შესაძლოა, გამაოგნებელი საქმეები ჩაიდინოს.

...ჩვენ მუდმივად დახმარებას ველით. ჩვენს ძალას ამჟამად ერთი პატარა ხომალდი წარმოადგენს 145 კაცით, ვინც შემოგვრჩა. მომხდარში ღმერთის ხელს ვხედავ, რადგან საჭიროების მიხედვით არავინ შეასრულა საკუთარი როლი, არც ბერძნებმა, არც ვენეციელებმა. ქრისტიანებმა რამე ღონე უნდა იხმარონ“.

?

26. რა ტიპის ისტორიული წყაროა? ისტორიული თხზულებებისა და მატიანეების გარდა, კიდევ რა ტიპის ისტორიული წერილობითი წყაროები არსებობს?

27. როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა ამ ტიპის წყარო? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მას, როგორც ისტორიულ წყაროს?

28. რა ინფორმაციას გვაწვდის მომხდარზე ანჯელო ლომელინოს წერილი?

29. კონსტანტინოპოლის დაცემის რა მიზეზებს ასახლებს ანჯელინო ლომელინო?

30. შენი აზრით, რატომ მიაჩნია წყაროს ავტორს კონსტანტინოპოლის დაცემა „[ქრისტიანული] სამყაროს დაცემის დასაწყისად“?

31. წყაროდან მიღებული ინფორმაცია დააჯგუფე სფეროების მიხედვით (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული). შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული, დავ. 41**).

თანამედროვე ისტორიკოსების უდიდესი ნაწილი კონსტანტინოპოლის დაცემას ლოგიკურად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ეს გარდაუვალი იყო, რადგან აღარ არსებობდა ის რესურსები, რომლებიც მას საშუალებას მისცემდა, ოსმალებისთვის ან დასავლეთ ევროპისთვის წინააღმდეგობა გაეწია. საინტერესოა, ვნახოთ ერთ-ერთი მოსაზრება.

ისტორიკოსის კომენტარი

შარლ დილი, „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“

„ტერიტორიულად დაკნინებული და სამხედრო თუ ფინანსიური თვალსაზრისით დაუძლურებული იმპერიის გვერდით მხრებს შლიდნენ ძლევამოსილი და თავიანთ ძლიერებაში

დარწმუნებული ახალგაზრდა სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობდნენ, ბიზანტიისათვის წაერთმიათ მისი ოდინდელი ჰეგემონია...

ნაცვლად იმისა, რომ იმპერიას მიშველებოდნენ, აღმოსავლეთში დამკვიდრებულმა ლათინებმა – ვენეციელებმა და გენუელებმა – თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ბიზანტიის უბედურება... გალათაში, ზედ კონსტანტინოპოლთან, ისევე როგორც მცირე აზიის სანაპიროსა თუ შავი ზღვის პირას დამკვიდრებულმა გენუელებმა, საზღვაო ვაჭრობის ყველა გზა გადაუკეტეს ბიზანტიელებს.

არანაკლებ საშიშნი იყვნენ არქიპელაგის კუნძულებზე გაბატონებული ვენეციელები, რომლებმაც მალე შეაღწიეს კონსტანტინოპოლსა და თესალონიკეში. ვენეციამ მთელი კოლონიური იმპერია შექმნა ლევანტის ზღვებში. გენუამ 1347 წელს დაპყრობილ ქიოსზე მძლავრი სავაჭრო საზოგადოება „მაჰონი“ დააარსა. ერთი ბერძენი ისტორიკოსის სიტყვით, ლათინებმა „ხელთ იგდეს ბიზანტიის მთელი სიმდიდრე და საზღვაო ვაჭრობის თითქმის მთელი შემოსავალი“, რითაც დაასრულეს იმპერიის ეკონომიკის დაქცევა...

დასავლეთის დანარჩენი სახელმწიფოები თითქმის არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ ბიზანტიას. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს თურქებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ცალკეული ცდები...

პაპები საეკლესიო ერთიანობის აღდგენაზე ოცნებობდნენ და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ბიზანტიელთა სიძულვილს ამ პროექტის მიმართ. დასავლეთის სახელმწიფოებს კი მხოლოდ ერთი საფიქრალი ჰქონდათ: როგორ გაეყოთ და გაენაწილებინათ იმპერია. ამაოდ ჩადიოდნენ ბიზანტიის იმპერატორები იტალიაში, საფრანგეთსა თუ ინგლისში დახმარების სათხოვნად: მათ მხოლოდ თავაზიანად იღებდნენ და ცარიელი დაპირებებით ისტუმრებდნენ უკან. და როცა მეჰმედ მეორემ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო იმპერიისთვის, ბიზანტიას ისღა დარჩენოდა, ღირსეულად მომკვდარიყო...

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ფინანსების სავალალო მდგომარეობა. ყოველგვარი სახსარი ამოიწურა, ხაზინა ცარიელი იყო. კატასტროფულად ქვეითდებოდა ქვეყნის სამხედრო ძლიერება: მცირერიცხოვან, დეზორგანიზებულ, ურჩ და უმართავ არმიას სულ უფრო ნაკლებად შესწევდა იმის ძალა, რომ ქვეყანა დაეცვა. ბიზანტიის მიერ დაქირავებული ჯარისკაცები აჯანყებებს აწყობდნენ მის წინააღმდეგ...“

დეივიდ ნიკოლი, ბრიტანელი ისტორიკოსი, „კონსტანტინოპოლის დაცემა“

„კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ბალკანეთზე სრული გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო ლაშქრობებისა და დაპყრობების სერია. 1456 წლიდან უნგრეთთან დაპირისპირებამ ოსმალები ბელგრადს მიღმა წაიყვანა, ალბანელების ბრძოლამ 1468 წლამდე გასტანა, ვლახეთმაც აღიარა ოსმალთა სიუზერენობა... შორს დასავლეთ ევროპაში კონსტანტინოპოლის დაცემამ დიდი შეშფოთება გამოიწვია. ჰუმანისტები შეძრწუნებული იყვნენ, რომ ამიერიდან ბერძნები თურქების გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. სწავლული ენეა სილვიო დე პიკოლომინი (შემდგომში პაპი პიუს II (1458-1464 წწ.)) წერდა: ,,აჰა, ეს არის მეორედ გარდაცვალება ჰომეროსისა და პლატონის“. ამის მიუხედავად, ევროპელთა უმეტესობა უსაფრთხოდ გრძნობდა თავს ძლიერი, კათოლიკური უნგრეთის უკან. XVI საუკუნის დასაწყისში კი, როცა უნგრეთის სამეფო დაეცა, დანარჩენმა ევროპამ მხოლოდ მაშინ გაიღვიძა და რეალურად აღიქვა აღმოსავლეთიდან მომავალი საშიშროება“.

32. შარლ დილის შეფასებიდან პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშნით გამოყავი ბიზანტიის დაცემის მიზეზები. რატომ განსხვავდება ისინი XV საუკუნის ავტორის მიერ დასახელებული მიზეზებისგან? რა შეიძლება იყოს ამ განსხვავებულობის მიზეზი?

33. იმსჯელე, შეიძლებოდა თუ არა ამ მიზეზების აღმოფხვრა და არსებობდა თუ არა ისტორიის ალტერნატიული განვითარების გზა.

34. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპის სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოები?

35. შარლ დილის მოსაზრებიდან გამოყავი ფაქტორები, რომლებმაც იმპერია დაცემამდე მიიყვანა, შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 42**).

36. შენი აზრით, რატომ ადარებს კონსტანტინოპოლის დაცემას დეივიდ ნიკოლი „ჰომეროსისა და პლატონის მეორედ გარდაცვალებას“?

კონსტანტინოპოლის დაცემის შედეგები

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეებიდან ახალ დროებაზე გადასვლა სწორედ კონსტანტინოპოლის დაცემას უკავშირდება. ბიზანტიის განადგურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა იმდროინდელ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. ეს ცვლილებები შეეხო არა მარტო კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ბერძნებს, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებსა და ხალხებს, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. ოსმალეთის იმპერიის მიერ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი აუზის დაკავებამ და შემდგომში დასავლეთით გაგრძელებულმა ექსპანსიამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ სახელმწიფოებზე – გაჩნდა ახალი ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევდა ევროპის ყველა სახელმწიფო. კონსტანტინოპოლის აღებით ოსმალებმა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო პუნქტი ჩაიგდეს ხელში. კონსტანტინოპოლის დაცემიდან ერთ საუკუნეში ოსმალთა იმპერიის ტერიტორია მესოპოტამიიდან ადრიატიკის ზღვამდე გადაიჭიმა. ოსმალთა ხელში მსოფლიო უმნიშვნელოვანესი სახმელეთო და საზღვაო სავაჭრო გზები აღმოჩნდა, რომლებიც ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავი ზღვების მეშვეობით ევროპას აზიასთან აკავშირებდა.

ბიზანტიის, როგორც მართლმადიდებლობის ბურჯის, დაცემამ დიდი ზიანი მიაყენა იმდროინდელ ქრისტიანულ კულტურას: თავისი არსებობის ბოლო ხანებამდე ბიზანტია მთელი ევროპის კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. იქ განათლების მისაღებად ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩადიოდნენ. კონსტანტინოპოლის ქუჩებში დასავლეთ ევროპიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან, სერბეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან ჩასული მრავალი მომლოცველი, ბერ-მონაზონი თუ უბრალოდ წიგნების მოყვარული ადამიანი შეგხვდებოდათ. კონსტანტინოპოლი დიდ როლს ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის კულტურული მიღწევების გაცვლა-გამოცვლაშიც. ბიზანტიის დედაქალაქის დაცემით ეს კულტურული კავშირები შეწყდა. მეორე მხრივ, იმ ბერძენმა მოაზროვნეებმა, რომლებმაც კონსტანტინოპოლის დაცემამდე გაქცევა მოასწრეს, თავი დასავლეთ ევროპას შეფარეს. მათ ნაწილობრივ იხსნეს განადგურებისგან ძველი ბერძნული ხელნაწერები და ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები. ამ ხელნაწერებმა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე აღორძინების პროცესში დიდი წვლილი შეიტანა, ევროპელებს ანტიკური ფილოსოფია, რომის სამართალი, ანტიკური ლიტერატურა და ხელოვნება გააცნო.

კონსტანტინოპოლის აღებამ, რომელიც ევროპასა და აზიას შორის მთავარ სავაჭრო გამტარს წარმოადგენდა, ევროპელ მოვაჭრეებსა და ზღვაოსნებს დიდი სტიმული მისცა, რათა მათ ახალი გზები ეძებნათ ინდოეთში მოსახვედრად. შედეგად, შეიძლებას ითქვას, რომ ოსმალურმა დაპყრობებმა, გარკვეულწილად, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც განაპირობა.

37. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგაც იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა. ერთი მხრივ, რომის პაპი, ქალაქ-რესპუბლიკები გენუა და ვენეცია, უნგრეთის სამეფო, მეორე მხრივ, ირანის მმართველი და გიორგი VIII და ქართველი მთავრები აქტიურად თანამშრომლობდნენ ევროპელ მონარქებთან და რომის პაპთან ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად.. ყოველ მათგანს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. რატომ ცდილობდნენ ეს ქვეყნები ოსმალების წინააღმდეგ გაერთიანებას? რა შედეგი მოჰყვებოდა თითოეული ამ მხარისთვის ბიზანტიის დაცემას? შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული, დავ. 43**).

38. გაიხსენე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რომელი სავაჭრო გზა გადიოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სირია-პალესტინის ტერიტორიაზე და რა როლი ჰქონდა მას საერთაშორისო ვაჭრობაში? იმსჯელე, რა შედეგი მოჰყვებოდა დასავლეთ ვეროპის ეკონომიკისთვის ამ სახმელეთო და საზღვაო სავაჭრო გზების ოსმალების ხელში გადასვლას.

39. რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის დაცემას მართლმადიდებლური სამყაროსთვის? პასუხი დაასაბუთე.

§26. რეკონკისტის დასასრული. გრანადის დაცემა

რეკონკისტა (ესპ. დაბრუნება) – არაბების წინააღმდეგ ესპანელი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა – თითქმის რვა საუკუნე მიმდინარეობდა. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც ქრისტიანულმა სამეფოებმა ალ-ანდალუსის ტერიტორია დაიპყრეს. რეკონკისტის დასაწყისად 718 წელი ითვლება, როცა ვესტგუთების სარდალმა პელაიომ კოვადონგის ხეობაში არაბებზე გაიმარჯვა და გათავისუფლებულ მიწაზე ასტურიის სამეფო შექმნა.

არაბებთან ბრძოლის პარალელურად დაპირისპირება ქრისტიანულ სამეფოებს შორისაც ხდებოდა. ზოგჯერ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ მუსლიმებთან ალიანსსაც ქმნიდნენ, მაგრამ XIII საუკუნიდან ალ-ანდალუსის მიწების დაპყრობამ და ქრისტიანული სამეფოების გაფართოებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

X საუკუნის დასაწყისში ასტურიის სამეფოს დედაქალაქი ქალაქი ლეონი გახდა და შემდგომში სამეფოსაც ლეონს უწოდებენ. თავიდან ლეონის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა კასტილიის საგრაფო, რომლიც XI საუკუნეში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. სახელი ,,კასტილია“, რაც „ციხესიმაგრეების მიწას“ ნიშნავს, მის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი გამაგრებული ადგილის გამო ეწოდა. XIII საუკუნეში ლეონის მეფე ფერდინანდ III-მ (1217-1252 წწ.) დედისგან მემკვიდრეობით მიიღო კასტილიის სამეფო და ასე ჩამოყალიბდა კასტილიისა და ლეონის სამეფო, რომელსაც ხშირად კასტილიის სამეფოსაც უწოდებენ.



როდრიგო დიას დე ბიბარი (1043-1099) – კასტილიელი რაინდი და სამხედრო მეთაური, რომელიც იბრძოდა როგორც მუსლიმური სამთავროებისა და საამიროების, ისე ქრისტიანული სამეფოების წინააღმდეგ. ესპანელები მას ელ კამპეადორს (გულადს), ხოლო მუსლიმები ელ სიდს (ბატონს) ეძახდნენ. როდრიგო მრავალ ბრძოლაში მონაწილეობდა. მათ შორის აღსანიშნავია სარაგოსის, ვალენსიისა და არაგონის ბრძოლები. ის ერთდროულად შიშსაც იწვევდა და პატივისცემასაც როგორც ქრისტიანებში, ისე მუსლიმებში. როდრიგო დიასი გარდაცვალებიდან მალევე გახდა ქრისტიანული ესპანეთის გმირი და რეკონკისტის სიმბოლო. ის ესპანური ეპოსის „სიმღერა ჩემს სიდზე“ მთავარი გმირიცაა. ელ სიდი დღემდე ესპანეთის ეროვნულ და სახალხო გმირად რჩება.

არაგონის სამეფოც XI საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ნავარის სამეფო სამ ნაწილად დაიშალა. XII საუკუნეში არაგონის სამეფო და კატალონიის საგრაფო ერთი დინასტიის მმართველობაში გაერთიანდა, ხოლო მეფე ხაიმე I-ის (1213-1276 წწ.) მეფობიდან მოყოლებული სამეფო მუსლიმური საამიროების ხარჯზე გაფართოვდა.

XIII საუკუნეში რეკონკისტა აქტიურ ფაზაში შევიდა.

1229-1235 წლებში არაგონმა დაიპყრო ბალეარის კუნძულები მისი ძირითადი ქალაქებით, პალმისა და იბიცის ჩათვლით. 1236 წელს კასტილიის სამეფომ დაიკავა ქალაქი კორდობა, რომელიც თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში მუსლიმური ესპანეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ორი წლის შემდეგ არაგონის სამეფომ დაიპყრო ქალაქი ვალენსია და პირინეს ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაბატონდა. ამ დროისათვის მუსლიმთა ხელში მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ქალაქი რჩებოდა: გრანდა და სევილია. სევილიაც ვალენსიის დაკავებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ კასტილიის სამეფომ დაიპყრო. პირენეს ნახევარკუნძულზე არაბების ბოლო დასაყრდენი გრანდა დარჩა.

წყარო ა) ალფონსო X-ის ქრონიკები (პირველი ზოგადი ქრონიკა), XIII საუკუნე, სევილიის შესახებ

„თექვსმეტი თვის განმავლობაში სევილია ალყაში ჰყავდა მეფე ფერდინანდს. ის კი უდიდესი ქალაქია, ძლიერი და განიერი კედლებითა და მაღალი კოშკებით, რომელიც შეიძლება ოკეანის ამ მხარეს ნახო. ქალაქი სავსეა ყოველგვარი სიკეთითა და სიმდიდრით,

რომლის ერთ ქუჩაზე ხალიჩებითა და სპილოს ძვლით მოვაჭრეები თუ ფულის გადამცვლელები არიან; მეორეზე – აფთიაქარები, მეწამლეები და მკურნალები; მესამეზე – იარაღითა და საჭურვლით მოვაჭრენი; მეოთხეზე – თევზისა და ხორცის გამყიდველები და სხვ. ქალაქიდან მთელ მსოფლიოში ზღვითა თუ ხმელეთით ზეითუნის ზეთი გააქვთ. მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან: სეუტიდან, ალექსანდრიიდან, ტუნისიდან, გენუიდან, ინგლისიდან, ლომბარდიიდან, ბორდოდან და კიდევ სხვა ქრისტიანებისა და მავრების მიწებიდან სევილიაში ხომალდები და გალერები მოცურავს“.



■ *სურ. 1 ელ სიდი ესპანეთის საფოსტო მარკაზე*



■ *რუკა 20. რეკონკისტა*

1. დააკვირდი რუკას, რომელი გეოგრაფიული მიმართულებებით მიმდინარეობდა კასტილიისა და არაგონის სამეფოების რეკონკისტა? რით იყო ეს განპირობებული?

2. რუკისა და გაკვეთილში მოცემული ინფორმაციის მიხედვით იმსჯელე, რამდენად თანამიმდევრული იყო რეკონკისტის პროცესი.

3. XI საუკუნიდან დაწყებული ჯვაროსნული ომების დროს ევროპელთა სამიზნე არაბული ესპანეთი არ ყოფილა. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

4. რას გეუბნება წყარო ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ? რატომ მოცურავდნენ სევილიაში ხომალდები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან?

5. სევილიის გეოგრაფიული მდებარეობა შეადარე კონსტანტინოპოლის, გენუისა და ვენეციის მდებარეობას და იმსჯელე, ექნებოდა თუ არა სევილიას იგივე სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია, რაც ხმელთაშუა ზღვის ჩამოთვლილ ცენტრებს.

6. შენი აზრით, მოახდენდა თუ არა კონსტანტინოპოლის დაცემა სევილიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენას?

გრანადის საამირო კორდობის დაცემის შემდეგ კასტილიის ვასალური სახელმწიფო გახდა და ყოველწლიურად ოქროს სახით ხარკს იხდიდა. საამირო ყველა იმ მუსლიმის თავშესაფრად იქცა, რომლებიც ქრისტიანული სამეფოებიდან რეკონკისტას გაურბოდნენ.

აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ ევროპას **ტრანსსაჰარულ სავაჭრო მაგისტრალთან** და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებთან აკავშირებდა.

ტრანსსაჰარული სავაჭრო მაგისტრალი – სავაჭრო გზა, რომელიც სუბსაჰარას ჩრდილოეთ აფრიკასთან აკავშირებდა. ძირითადი მარშრუტი იყო თანამედროვე ტუნისიდან ჩადისა და მალის გავლით ნიგერიამდე. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა VII-XVII საუკუნეებში სუდანიდან და მალიდან ოქროს, სპილოს ძვლისა და მონების ექსპორტში.

წყარო ბ) გრანადა ეგვიპტელი მოგზაურის თვალით, 1465 წ.

„გრანადა განსაცვიფრებელ და ვრცელ ქვეყანად მომეჩვენა, რომელიც ალ-ანდალუსის სივრცეში მდებარეობს. იქ ალ-ანდალუსის მუსლიმი მეფის დედაქალაქი და რეზიდენციაა. ქალაქს მშვენიერი მდებარეობა და ბრწყინვალე შენობები აქვს. იქ ყველა სახის ხელოსნები არიან, სირიის დამასკის მსგავსად. ქალაქში მდინარეები, ბაღები, ბოსტნები და ვენახებია. ეს ცნობილი ადამიანების – პოეტების, ბრძენთა და არტისტთა თავშეყრის ადგილია. იქ ჩვენი დროის საუკეთესო კაცები ცხოვრობენ, დიდებული ქანდაკებები დგას და მშვენიერი ადგილებია. ქალაქის საზღვრები დამასკის საზღვრებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ გაცილებით მჭიდროდაა დასახლებული. ქალაქგარეთაც ვიყავი. მოვინახულე მეჩეთიც, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მეჩეთებს არ ჩამოუვარდება თეთრი მარმარილოს სვეტებით. შემდეგ მოვინახულეთ ალჰამბრა, რომელიც მმართველის რეზიდენცია,



სურ. 2 ალჰამბრა. საერთო ხედი

სულთნის ციტადელი და მისი სამეფო საცხოვრებელია. იგი საოცარია ფორმით, ჰარმონიულობით, გრაციოზული არქიტექტურით. ალჰამბრა მთაზე დგას. ერთი მხრიდან გრანადის გაშლილი ველია, სადაც ხენილი მიედინება. მეორე მხარეს ბაღები და ბოსტნებია. მთა, რომელზეც სასახლე მდებარეობს, მოწითალო ფერისაა. მთის ძირას, დაბლობზე არის ადგილი, საიდანაც წითელი მიწა ამოაქვთ და მას ალ-ანდალუსის ქვეყანაში „წითელი მინერალის მიწას“ უწოდებენ. ამ ქვეყანაში მისგან ბოთლებს ამზადებენ და მასში წყალს ასხამენ. ეს თხელკედლიანი ნატიფი ბოთლებია“.

7. იმსჯელე, ექნებოდა თუ არა ტრანსსაჰარულ სავაჭრო გზას დასავლეთ ევროპისთვის იგივე მნიშვნელობა, რაც აბრეშუმის გზას ჰქონდა.

8. წყაროს მიხედვით, როგორ ქალაქად წარმოგვიდგება გრანადა? წყაროდან რა ინფორმაცია მიანიშნებს, რომ ის: ა) პოლიტიკური, ბ) ეკონომიკური, გ) კულტურული ცენტრია?

9. რა მნიშვნელობა აქვს ბ) წყაროს გრანადის ისტორიის შესასწავლად და რამდენად სანდოა ის?

10. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქისთვის სავაჭრო გზებზე მდებარეობას?

11. რატომ იყო მნიშვნელოვანი ქრისტიანული სამეფოებისთვის გრანადის დაპყრობა?

12. ალ-ჰამბრის ფოტოსა და აღწერილობის მიხედვით იმსჯელე გრანადის მმართველი დინასტიის ძალაუფლების შესახებ.

რეკონკისტაში ჩართული იყო საზოგადოების ყველა ფენა: ფეოდალები, ეკლესია და სასულიერო-რაინდული ორდენები, რაინდობა, ქალაქების მოსახლეობა და გლეხობა. ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა ბრძოლაში და საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილებაც სურდა. მთელი რეკონსკიტის განმავლობაში განსაკუთრებული იყო კათოლიკე ეკლესიის როლი. ეკლესია უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლებში. ბევრ ეპისკოპოსს შეიარაღებული რაზმები ჰყავდა და პირადად მიუძღოდა მუსლიმთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იმავდროულად, ესპანეთში შეიქმნა ახალი სასულიერო ორდენები – სანტიაგო, ალკანტარა და კალატრავა. მათთან ერთად დიდი როლი შეასრულეს მრავალრიცხოვანმა რაინდებმა — იდალგოებმა. ახალ ტერიტორიებზე ფეოდალური ურთიერთობით ნაკლებად შებოჭილ პირობებსა და და ახალ მიწებს ეძებდნენ გლეხებიც.

სამხრეთისკენ მიმავალ გზაზე მეომრების ძირითად დასაყრდენ პუნქტებს ციხესიმაგრეები წარმოადგენდა. იქიდან აწყობდნენ თავდასხმებს მუსლიმებზე და სულ უფრო მეტ მიწას ათავისუფლებდნენ. ახალდაპყრობილ ტერიტორიებზე ყველაზე დიდი სარგებელი მსხვილმა ფეოდალებმა მიიღეს. მათ უზარმაზარი სამფლობელოები მიითვისეს. მიწების სახით შემოწირულობებს იღებდა ეკლესიაც, მაგრამ ამასთანავე ყოველ მუსლიმურ სამფლობელოში ახალ ეკლესია-მონასტერს აშენებდა, საეპისკოპოსოებს აარსებდა და მრევლს იმრავლებდა. მიწები მიიღეს რაინდულმა ორდენებმაც. ქალაქები, რომლებიც რეკონკისტის დროს დაარსდა, ან არაბებს წაართვეს და ქრისტიანებმა დაასახლეს, მნიშვნელოვან შეღავათებს ღებულობდა. მეფეები მათ გარკვეულ ავტონომიასა და თავისუფლებას ანიჭებდნენ. ქალაქებმა თვითმმართველობა მიიღეს და მხოლოდ მეფის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. სანაცვლოდ, ისინი ვალდებული იყვნენ, მეფისათვის გარკვეული გადასახადი და სამხედრო ძალა გაეგზავნათ. მსგავსი ტიპის ავტონომიის მინიჭება ხელს უწყობდა ქალაქებში ქრისტიანული მოსახლეობის, მისი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდას.

ეკლესიამ რეკონკისტა, ფაქტობრივად, ჯვაროსნული ომების მსგავსად, წმინდა ომად აღიარა. აღსანიშნავია, რომ რეკონკისტის მიდინარეობისას მასში მონაწილეობას ტამპლიერებიც იღებდნენ, ხოლო II ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ევროპელი რაინდები, რომლებიც პორტუგალიაში შეჩერდნენ, პორტუგალიელებს ლისაბონის აღებაში დაეხმარნენ.

წყარო: გ) ჰელმო დი (1120-1177 წწ.), საქსონელი ისტორიკოსი და მღვდელი, სლავების ქრონიკა, ლისაბონის შტურმი:

„არმიამ, საზღვაო ძალებმა თავი მოიყარეს ქალაქ კელნიდან და მდინარე რაინის პირას არსებული სხვა ქალაქებიდან. მათ გაცურეს ბრიტანეთამდე, იქიდან კი – ესპანეთამდე, გადმოსხდნენ პორტუგალიაში (ქალაქ პორტოში), გალისიის უკეთილშობილეს ქალაქში, რათა თაყვანი ეცათ მოციქულ იაკობის წმინდა ნაწილებისთვის. ჯვაროსნების მოსვლით გახარებულმა მეფემ (პორტუგალიის პირველი მეფე – ალფონსო I (1129-1185 წწ.)) ღმერთის სახელით სთხოვა მათ, ლისაბონის წინააღმდეგ ებრძოლათ, რადგან ლისაბონელები მოსაზღვრე ქრისტიანთა მიწებს არბევდნენ. ჯვაროსნები დათანხმდნენ და დიდი ფლოტით ლისაბონისკენ გაემართნენ, მეფე კი თავისი არმიით ხმელეთით წავიდა. ამდენად, ქალაქი ზღვიდან და ხმელეთიდან ალყაში მოექცა. ალყა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. როცა ჯვაროსნებმა ქალაქი აიღეს და ბარბაროსები გაანადგურეს, მეფემ სთხოვა ჯვაროსნებს, ლისაბონი მისთვის დაეთმოთ. როგორც მოკავშირეებმა, პირველ რიგში, მათ ალაფი გაიყვეს, შემდეგ კი ქალაქში ქრისტიანული კოლონია დააარსეს, რომელიც დღემდე არსებობს. იმ საქმეებიდან, რომლებიც ჯვაროსანთა არმიამ გააკეთა (იგულისხმება II ჯვაროსნული ლაშქრობა), მხოლოდ ეს საქმე აღმოჩნდა წარმატებული“.

გრანადის საამიროს დაახლოებით ორ-ნახევარ საუკუნეზე მეტხანს (1230-1492 წწ.) ნასრიდთა დინასტია მართავდა. ამ ხნის განმავლობაში ისინი ახერხებდნენ ლავირებას კასტილიისა და არაგონის სამეფოებს შორის. თუმცა ეს პერიოდი ამ სამეფოების გაერთიანებით დასრულდა: დედოფალი იზაბელ I კასტილიელი (1474-1504 წწ.) და მეფე ფერდინანდ II არაგონელი (1479-151 წწ.) ერთმანეთს დინასტიური ქორწინებით დაუკავშირდნენ. ეს მოვლენა ესპანეთის ფაქტობრივ გაერთიანებად ითვლება. ისტორიაში იზაბელ I და ფერდინანდ II „კათოლიკე მონარქებად“ იწოდებიან, რადგან მათი მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კათოლიკური ეკლესიის გავლენა და მრავალი იუდეველი და მუსლიმი ნებით თუ ძალით გაქრისტიანდა.



სურ. 3 ფერდინანდი და იზაბელა „კათოლიკე მეფეები“. უცნობი მხატვარი XV ს.

1482 წელს გრანადისთვის ომი დაიწყო და ათი წლის თავზე გრანადის დაპყრობით დასრულდა. საამიროს ქალაქებისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არტილერიამ, რომელმაც ქალაქების ხანგრძლივი ალყის პროცესი ჩაანაცვლა. გრანადის დაცემა რეკონკისტის დასასრულად ითვლება. რაც შეეხება მის მოსახლეობას, მუსლიმებსა და იუდეველებს, ისინი არჩევანის წინაშე დადგნენ: მიეღოთ ქრისტიანობა და ქალაქში დარჩენილიყვნენ ან დაეტოვებინათ ქალაქი და საცხოვრებლად ისლამურ სამყაროში გადასულიყვნენ.

წყარო გ) ერნანდო დელ პულგარი, ისტორიკოსი, კასტილიის მეფეების ქრონიკა, გრანადის კაპიტულაცია, XV ს.

„2. 40 დღეში ქალაქი სრულად უნდა დანებდეს და ამ ხნის განმავლობაში ორმოცდაათმა ცნობილმა ოჯახმა ტყვეები უნდა გადმოგვცეს. ქალაქის დანებების შემდეგ ისინი გათავისუფლდებიან.

3. იზაბელი, ფერდინანდი და უფლისწული ხუანი გრანადის დანებების შემდეგ მის მოსახლეობას, სხვა ქვეშევრდომების მსგავსად, ქონებისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობას აღუთქვამენ.



სურ. 4 ალჰამბრა, შიდა ეზო

5. იმავე დღეს, როდესაც მეფე აბდალაჰი (გრანადის მმართველი) ციხესიმაგრეს ჩააბარებს, მისი ვაჟი და სხვა ტყვეები თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდებიან, იმათ გარდა, ვინც ქრისტიანობას მიიღებს.

7. მავრებს მათი სამართლის – შარიათის მიხედვით განსჯიან მათივე მოსამართლეები – ყადები.

8. ქვემეხების გარდა, მათ საჭურველსა და ცხენებს არ ჩამოართმევენ.

10. ვისაც ქალაქის დატოვება სურს, შეუძლია ოჯახთან და ქონებასთან ერთად დატოვოს ის და წავიდეს მშვიდობით. ჩვენ გამოვყავით 10 დიდი გემი, რომლებიც შემდეგი 70 დღის განმავლობაში მათ უსასყიდლოდ გადაიყვანენ მათივე არჩეულ ,,ბარბაროსთა“ პორტებში, სადაც ქრისტიანთა სავაჭრო გემები ჩვეულებრივ შედიან.

17. ქრისტიანებს ეკრძალებათ იმ მეჩეთებში შესვლა, სადაც მუსლიმები ლოცულობენ.

25. არც ერთ მავრს არ ევალება, გადაუხადოს ქრისტიან მეფეს იმაზე მეტი, ვიდრე მავრების მეფეს უხდიდა.

27. თუ მავრი ჩრდილოეთ აფრიკაში გადასახლდება და იქ ცხოვრება არ მოეწონება, შეუძლია, უკან დაბრუნდეს და კაპიტულაციის პირობებით ისარგებლოს.

30. არც ერთ მავრს იძულებით არ გააქრისტიანებენ, ხოლო ვინც ამას ისურვებს, ჯერ გამოჰკითხავენ.

48. გრანადაში, აბაისინში, მათ შემოგარენსა და სხვა ადგილებში, სადაც კაპიტულაცია ვრცელდება, მცხოვრები იუდეველები ქრისტიანობის მიღების შემთხვევაში ყველა უფლებით ისარგებლებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამი წლის ვადაში ჩრდილოეთ აფრიკაში გადასვლა მოუწევთ“.

წყარო დ) ალ-ჰამბრას დეკრეტი, 1492 წლის 31 მარტი

„მეფე ფერდინანდი და დედოფალი იზაბელი, მეფე და დედოფალი კასტილიის, ლეონის, არაგონის, გრანადის, ტოლედოს, ვალენსიის, გალისიის, ბალეარის კუნძულების, სიცილიის, სარდინიის, ნეაპოლის, სევილიის, კორდობის, გიბლარტარის, კანარის კუნძულების, გრაფები ბარსელონისა და სხვათა, ჩვენს ძვირფას უფლისწულ ხუანთან, ქვეყნის (პრელატებთან) გრაფებთან, ჰერცოგებთან, მარკიზებთან და სხვებთან ერთად.

...გასულ წელს ტოლედოში მოწყობილ კორტესზე გადავწყვიტეთ ქალაქებში იუდეველთათვის ცალკე საცხოვრებელი ადგილის გამოყოფა.

თუმცა ისინი ჩვენი წმინდა კათოლიკური რწმენიდან მორწმუნე ქრისტიანების გადაბირებას აგრძელებენ... და თავიანთ რჯულზე აქცევენ... ვბრძანებთ, რომ ყველა იუდეველმა ივლისის თვის ბოლომდე ჩვენი სამეფო და საბრძანებელი დატოვოს. მათ უსაფრთხოდ შეუძლიათ, წაიღონ საკუთარი ქონება და სავაჭრო საქონელი“.

13. როგორ შეიცვალა გრანადის მცხოვრებათა უფლებრივი მდგომარეობა ესპანელების მიერ ქალაქის აღების შემდეგ?

14. გამოთქვი მოსაზრება, გრანადის საამიროს დაცემის შემდეგ შეინარჩუნებდა თუ არა ესპანეთი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ჩრდილოეთ აფრიკასთან? შენი მოსაზრება დაასაბუთე.

15. რატომ შეიძლებოდა გადასახლებულიყვნენ მუსლიმები ჩრდილოეთ აფრიკაში და ჰქონდათ თუ არა იმავე არჩევანის საშუალება თავდაპირველად იუდეველებს? პასუხი დაასაბუთე.

16. იმსჯელე, როგორ შეიცვალა წყაროების მიხედვით იუდეველების მიმართ დამოკიდებულება და რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

17. T დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე არაბული სახელმწიფოებისა და გაერთიანებული ესპანეთის სამეფო კარის დამოკიდებულება იუდევლების მიმართ. (**მოსწავლის რვეული, დავ. 44**)

18. გრანადის კაპიტულაციის დოკუმენტში რომელი მუხლი მიგაჩნია მუსლიმებისთვის უმნიშვნელოვანესად და რატომ?

19. შენი აზრით, რომელი პორტები იგულისხმება კაპიტულაციის დოკუმენტის „ბარბაროსულ პორტებში“? რატომ იხსენიებს წყარო მათ ამ ფორმით? გაიხსენე ისტორიიდან, როდის, ვის მიმართ და რა კონტექსტში იხსენიებოდა „ბარბაროსი“. იმავე დამოკიდებულებას გამოხატავს თუ არა, შენი აზრით, ესპანელთა მხრიდან წყარო?

20. შეაჯამე: რა შედეგი მოჰყვა გრანადის დაცემას; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას გრანადაში მცხოვრები მუსლიმებისთვის, ებრაელებისთვის, ესპანელებისთვის, ქრისტიანული და მუსლიმური სამყაროსთვის.

21. შეადარე გრანადისა და კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობა ერთმანეთს. რა მსგავსება-განსხვავებაა ამ მოვლენებს შორის?

22. რომელ რელიგიურ კონფესიებს დევნიდა კათოლიკური ესპანეთის ხელისუფლება და რატომ?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ არაბულ ესპანეთში, გრანადაში, მცხოვრები არაბი ვაჭარი ხარ. მე-15 საუკუნის მიწურულს, ესპანელების მიერ ქალაქის აღების შემდეგ, იძულებული გახდი, ჩრდილოეთ აფრიკაში გადსულიყავი, მოგვიანებით კი ოსმალთა სამფლობელოში – ეგვიპტეში დასახლდი. საქმიანობის გამო ბევრი მოგზაურობა გიწევს ოსმალეთის იმპერიაში, მათ შორის ეწვიე დედაქალაქს – კონსტანტინოპოლს. შენი მოგზაურობის ამბები აღწერე ჩანაწერების სახით.

ჩანაწერებში ხაზგასმით წარმოადგინე:

- რა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული შედეგები მოჰყვა არაბული გრანადის დაცემას და რეკონკისტის დასრულებას?
- რა წინაპირობებმა შეუწყო ხელი ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას და რა იყო მისი გაფართოების ხელის შემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები?
- როგორ აღწერდნენ და აფასებდნენ კონსტანტინოპოლის დაცემას მოვლენის თანამედროვეები?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა კონსტანტინოპოლის დაცემას საერთაშორისო საზოგადოებისთვის? საქართველოსთვის?

§27-28. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტების გადაკეტვამ ევროპელებს ალტერნატიული გზების ძებნა დააწყებინა. თუმცა, ჯერ კიდევ მანამდე პორტუგალიელებს უკვე დაწყებული ჰქონდათ ახალი სანაპიროების გამოკვლევა და გზების ძიება. აფრიკის დასავლეთ სანაპიროს კვლევას საფუძველი დაუდო პორტუგალიელმა მოგზაურმა ენრიკე ზღვაოსანმა (1394-1460 წწ.).

ამ კვლევის მიზანი აზიაში სამხრეთ გასასვლელის მონახვა იყო. პორტუგალიელებმა ხელთ იგდეს მაროკოს სანაპიროზე მდებარე ქალაქი სუტა, საიდანაც თავდაპირველად ისინი, ხოლო მოგვიანებით ესპანელები შედიოდნენ აფრიკის სიღრმეში.

1492 წელს რეკონკისტის დასრულების შემდეგ ახალი სავაჭრო გზების ძებნაში ესპანეთიც ჩაერთო. იმავე წელს ესპანეთის სამეფო კარმა დააფინანსა იტალიელი მოგზაურის, ქრისტეფორე კოლუმბის, ექსპედიცია. კოლუმბს არ ასვენებდა ფიქრი ინდოეთისკენ უმოკლესი საზღვაო გზის აღმოჩენაზე. იგი იზიარებდა კოპერნიკის იმხანად გავრცელებულ შეხედულებას დედამიწის სიმრგვალის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ინდოეთისკენ უმოკლესი საზღვაო გზის აღმოსაჩენად უმჯობესი იქნებოდა არა აღმოსავლეთით, არამედ დასავლეთით წასვლა. თავისი იდეები კოლუმბმა პორტუგალიის ხელისუფლებას გააცნო. მათ უარით გაისტუმრეს მეზღვაური. მაშინ კოლუმბმა ესპანეთს მიმართა. მეფე ფერდინანდმა და დედოფალმა იზაბელმა ხელშეკრულება დადეს კოლუმბთან.

1492 წელს სამი პატარა ხომალდის – „სანტა მარიას“, „ნინიასა“ და „პინტას“ – 90-კაციანი ეკიპაჟი ქრისტეფორე კოლუმბის წინამძღოლობით 69-დღიანი მოგზაურობის შემდეგ ამერიკის ნაპირებს მიადგა. ამის შემდეგ კოლუმბმა კიდევ 3 ექსპედიცია მოაწყო და სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთისკენ მიმავალი უმოკლესი გზა აღმოაჩინა.

1501-1502 წლებში იტალიელმა ამერიგო ვესპუჩიმ იმოგზაურა ახალაღმოჩენილ მიწებზე და დაამტკიცა, რომ ის, რაც კოლუმბს ინდოეთი ეგონა, სინამდვილეში ახალი კონტინენტი

პორტუგალიელთა აღმოჩენების ქრონიკა

1445 წელს პორტუგალიელებმა აფრიკის უკიდურეს დასავლეთ წერტილს – მწვანე კონცხს მიაღწიეს.

1471 წელს ეკვატორამდე მიცურდნენ და აფრიკის სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროს შესწავლა დაიწყეს.

1487 წელს პორტუგალიელმა მოგზაურმა ბართოლომეო დიაშმა (დიასმა) აფრიკის შემოვლით ინდოეთის ოკეანეში სცადა გასვლა. მან აფრიკის უკიდურეს სამხრეთ წერტილს მიაღწია და „კეთილი იმედის კონცხი“ უწოდა.

1498 წელს დიაშის შედეგი გააუმჯობესა ვასკო და გამამ (ვაშკუ და გამამ). ის გასცდა „კეთილი იმედის კონცხს“ და ინდოეთის ოკეანეში გავიდა. 4 გემით და 168 მეზღვაურის თანხლებით 10-თვიანი მოგზაურობის შემდეგ ისინი ინდოეთის ქალაქ კალკუტას მიადგნენ. მძიმე მოგზაურობისა და მეზღვაურების დაკარგვის მიუხედავად, ვასკო და გამა უკან სანელებლებით დატვირთული გემით დაბრუნდა.

1502 წელს ვასკო და გამამ მეორედ იმოგზაურა იმავე მიმართულებით. იგი სათავეში ედგა 21 გემისაგან შემდგარ, ზარბაზნებით შეიარაღებულ ფლოტილიას. ინდოეთამდე მათ მუსლიმთა არაერთი შემხვედრი გემი გაძარცვეს და ჩაძირეს. მაგ., პორტუგალიელებმა მექაში მიმავალი პილიგრიმებით სავსე ხომალდი შეიპყრეს, ხელში ჩაიგდეს 12 000 დუკატი და 10 000 დუკატის ღირებულების საქონელი, გემი კი მგზავრებიანად დაწვეს. ვასკო და გამამ სავაჭრო გზების გასაკონტროლებლად ინდოეთის ოკეანეში ხუთი სამხედრო გემი დატოვა. 1509 წელს მათ ორმუზდის სრუტე დაიპყრეს და მუსლიმთა ფლოტი გაანადგურეს. პორტუგალიელებმა ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ გოაში, შტაბბინა დააარსეს, ხოლო ინდონეზიასა და ჩინეთში – გამაგრებული პატარა პორტების მთელი ქსელი. 1504 წლიდან მოყოლებული ყოველთვე ერთი გემი მაინც მიემგზავრებოდა ლისაბონიდან აზიაში.

იყო. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდა კონტინენტს ამერიკა.

მას შემდეგ, რაც ვესპუჩიმ დაამტკიცა, რომ ამერიკა ახალი კონტინენტი იყო, ევროპელებმა დაიწყეს ფიქრი დასავლეთიდან ინდოეთში მოხვედრის შესახებ. პირველად ასეთი პროექტი შეიმუშავა პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ფერნანდო მაგელანმა (1480-1521), მაგრამ პორტუგალიის ხელისუფლებამ ამ მოგზაურობის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. მაშინ მაგელანმა თხოვნით მიმართა ესპანეთის სამეფო კარს და დაფინანსებაც მიიღო. მისი ექსპედიცია 5 გემისა და 250 კაცის შემადგენლობით 1519 წლის სექტემბერში ქალაქ სევილიიდან გავიდა და დასავლეთისკენ დაიძრა. მათ სამხრეთ-დასავლეთისაკენ აიღეს გეზი. სამხრეთიდან შემოუარეს ამერიკის კონტინენტს, სადაც ვიწრო სრუტე იპოვეს, რომელსაც დღეს მაგელანი სრუტე ეწოდება და 1520 წლის ნოემბერში მისი გავლით ოკეანეში აღმოჩნდნენ, რომელიც იმ დროისათვის ისეთი მშვიდი იყო, რომ მაგელანმა მას „წყნარი“ უწოდა. ამის შემდეგ მათ გეზი ჩრდილო-დასავლეთისაკენ აიღეს და 1521 წლის მარტში ფილიპინების კუნძულებს მიაღწიეს, სადაც მაგელანს ადგილობრივ ტომებთან მოუხდა ბრძოლა და შეტაკებაში დაიღუპა. მისი ექსპედიცია მალევე უკან გამობრუნდა და აფრიკის კონტინენტის სამხრეთიდან შემოვლით 1522 წლის სექტემბერში ესპანეთში დაბრუნდა.



სურ. 1 კარაველა

იალქნიანი ხომალდი „კარაველა“ სწრაფად დაცურავდა და შორს გადაადგილების საშუალებას იძლეოდა.

XVI საუკუნეში ევროპელები უკვე ჩინეთსა და იაპონიამდეც აღწევენ. XVII საუკუნეში ევროპელებმა კიდევ ერთი ახალი კონტინენტი – ავსტრალია – აღმოაჩინეს. ევროპელებმა საკუთარი თვალით დაინახეს ის სამყარო, რომელზეც მხოლოდ გადმოცემებით ჰქონდათ ბუნდოვანი წარმოდგენა.

XV საუკუნიდან XVII საუკუნემდე ევროპელებმა თავიანთთვის მანამდე უცნობი ახალი მიწები – სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკა, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების კუნძულები, ავსტრალია და ახალი ზელანდია აღმოაჩინეს. სწორედ ამიტომ ამ პერიოდს „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანა“ უწოდეს. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და ახალი მიწების ათვისებამ სრულიად შეცვალა იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებული ძალთა თანაფარდობა.

1. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩამოთვლილ აღმოჩენებსა და მოგზაურობებს გეოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოებისთვის? რა დასკვნის გაკეთება შეეძლოთ თანამედროვეებს თითოეულ მათგანზე დაფუძნებით?
ა) აფრიკის უკიდურესი დასავლეთი წერტილის, ბ) „კეთილი იმედის კონცხის“ აღმოჩენას, გ) კოლუმბისა და დ) მაგელანის მოგზაურობებს?

2. ქვემოთ მოცემულია 2 ორი რუკა: 1490 და 1570 წელს შედგენილი. იმსჯელე, რა ინფორმაცია მოგვაწოდა თითოეულმა მათგანმა, როგორც ისტორიული წყარომ? როგორ შეიცვალა გეოგრაფიული ცოდნა ამ დროის განმავლობაში. რით განსხვავდება 1570 წელს შედგენილი რუკა თანამედროვე რუკისგან? სამყაროს რა ნაწილი არ არის მასზე ჯერ კიდევ ასახული?

3. რა მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოსთვის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონებისთვის? რა შედეგების მომტანი იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ცენტრებისთვის, მაგ., ვენეციისა და გენუისთვის? დარჩებოდა თუ არა იგივე ფუნქცია დიდ აბრეშუმის გზას? როგორ ფიქრობ, რა გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა საქართველოსა და მასზე გამავალ სავაჭრო გზებზე?



სურ. 2 მსოფლიოს რუკა, შედგენილი 1470 წელს ენრიკო მარტელოს მიერ



სურ. 3 მსოფლიოს რუკა, შედგენილი 1570 წელს აბრაჰამ ორტელიუსის მიერ

დავა პორტუგალიელებსა და ესპანელებს შორის. ტორდესილასის ხელშეკრულება

1494 წლიდან ესპანელებსა და პორტუგალიელებს შორის დაპირისპირება დაიწყო იმის გამო, თუ ვისი საკუთრება უნდა გამხდარიყო ახლად აღმოჩენილი მიწები. დავის გადასაწყვეტად მათ რომის პაპს მიმართეს. პაპის ინიციატივით მხარეები ქალაქ ტორდესილასში შეიკრიბნენ. რომის პაპმა შესთავზა, სამფლობელოების გამყოფ საზღვრად მიეჩნიათ მერიდიანი, რომელიც მწვანე კონცხის კუნძულებიდან დასავლეთით დაახლოებით 1000 კი-

ლომეტრზე გადიოდა. მიწები, რომლებიც მერიდიანის დასავლეთით აღმოაჩინეს, ესპანეთის სამეფოს სამფლობელოებად გამოაცხადა, მერიდიანის აღმოსავლეთით აღმოჩენილი ზღვები და მიწები კი პორტუგალიის სამეფოსი. შემდეგ ეს მერიდიანი დასავლეთით კიდევ 700 კმ-ით გადასწიეს (ხშირად ამ მერიდიანს „პაპის მერიდიანს“ უწოდებენ).

საზღვაო ექსპედიციები აღმოსავლეთ ნახევარსფეროშიც ეწყობოდა. დასადგენი გახდა აღმოსავლეთის საზღვარიც. 1529 წელს რომის პაპის ჩარევით აღმოსავლეთის საზღვარმა მოლუკის კუნძულების აღმოსავლეთით გაიარა. ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დადებული ეს ხელშეკრულება ევროპის საზღვრებს გარეთ არსებულ დანარჩენ სამყაროზე ამ სახელმწიფოების სამუდამო გავლენას ითვალისწინებდა.

4. რატომ მიმართეს მხარეებმა რომის პაპს?

5. ჩაატარე პატარა გამოკვლევა. პორტუგალიური და ესპანური კოლონიების რუკაზე დააკვირდი სამხრეთ ამერიკის კონტინენტს და შეადარე თანამედროვე რუკას. დაადგინე, დღეს რომელი სახელმწიფოები მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში ყოფილი ესპანური და პორტუგალიური კოლონიების ადგილზე. დააჯგუფე ისინი ამ ნიშნის მიხედვით. ინტერნეტით მოიძიე ინფორმაცია ამ ქვეყნებში სახელმწიფო ენების შესახებ. შეაჯამე და დასკვნის სახით ჩაწერე: როგორ შეიძლება გამოიწვიოს ისტორიულმა მოვლენამ კულტურულ-გეოგრაფიული სივრცის ფორმირება. ისტორიიდან მოიყვანე ანალოგიური მაგალითები.



რუკა 21. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

6. „დასავლეთში მოხდა ის ერთადერთი, მნიშვნელოვანი და მთელი მსოფლიოსთვის არსებითი გარღვევა, რომლის შედეგებმაც დღემდე მოგვიყვანა და რომლის საბოლოო მნიშვნელობა ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა“ – წერდა ერთ-ერთი ისტორიკოსი და ამ გარღვევაში უდიდეს როლს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს აკუთვნებდა. იმსჯელე, რატომ ანიჭებენ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ასეთ დიდ მნიშვნელობას?

7. შეავსე ცხრილი, რომელშიც შეაჯამებ გეოგრაფიულ აღმოჩენებს და შეაფასებ აღმოჩენილი მიწების ეკონომიკურ მნიშვნელობას (**მოსწავლის რვეული, დავ. 45**).

სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მრავალრიცხოვანი ტომები ცხოვრობდნენ. ისინი თავიანთი რაოდენობით, სამეურნეო ყოფით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. ესპანელმა, პორტუგალიელმა და იტალიელმა მოგზაურებმა არაერთი ჩანაწერი და დღიური შემოგვინახეს, რომლებშიც ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაა აღწერილი. ერთ-ერთი ასეთი დღიური ეკუთვნის ფერნანდო მაგელანის 1519-1522 წლების ექსპედიციის წევრს, იტალიელ მეზღვაურს, ანტონიო პიგაფეტას

წყარო ა) ანტონიო პიგაფეტა, იტალიელი მეზღვაური, მაგელანის ექსპედიციის მონაწილე, XVI ს. „მაგელანის მოგზაურობა“

„სამხრეთ-დასავლეთის კურსით მივუახლოვდით ქვეყანას, რომელიც **ვერზინად** იწოდება... აქ ანკესის ერთ კაუჭში ხუთ ან ექვს ქათამს გვიცვლიდნენ, ნიჩაბში – წყვილ ბატს, სარკესა და მაკრატელში – იმდენ თევზს, ათეულობით კაცის გამოკვებას რომ ეყოფოდა, ტყავის თასმაში – მთელ კალათა ბატატებს. ბატატი გემოთი წაბლსა ჰგავს, სიდიდით კი თალგამისხელაა. ბანქოში ექვს ქათამს მაძლევდნენ, თან თვლიდნენ, რომ დიდად მომატყუეს...

ვერზინის ქვეყანა სიდიდითა და სიმდიდრით, ერთად აღებული, ესპანეთის, საფრანგეთისა და იტალიისოდენაა და პორტუგალიის მეფეს ეკუთვნის. აქაურები ქრისტიანები არ არიან და არაფერს არ სცემენ თაყვანს. ისინი ბუნების წესებით ცხოვრობენ და 125-140 წელს აღწევენ. როგორც მამაკაცები, ისე ქალები შიშვლები დადიან; ცხოვრობენ წაგრძელებულ სახლებში, რომლებსაც „ბოიის“ ეძახიან და სძინავთ ბამბის ბადეში – „ამაკეში“, რომელსაც სახლში ხის ბოძებზე წვეროებით ამაგრებენ. ბადის ქვევით იატაკზე კერიებია დადგმული. თითოეულ ბოიაში ასამდე მამაკაცი ეტევა ცოლებითა და შვილებით, ამიტომ დიდი ხმაური დგას. მათ აქვთ ნავები, კანოე, რომელიც ქვის ცულებით გულამოღებული დიდი ხეა. რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებს არა აქვთ რკინა, ისინი ქვით სარგებლობენ ისევე, როგორც ჩვენ რკინით... მამაკაცები და ქალები ჩვენი მსგავსი აღნაგობისანი არიან...

იმ მიწის მცხოვრებლები სხეულსა და სახეს იხატავენ. მამაკაცები პირწმინდად თავგადაპარსულები არიან, წვერი არა აქვთ: თმის ღერებს იძრობენ. თუთიყუშის ბუმბულის კაბები აცვიათ, წელზე კი ყველაზე გრძელი ბუმბულის სარტყელი აკრავთ. ქალებისა და ბავშვების გარდა, ქვედა ტუჩზე ყველას სამი ნახვრეტი აქვთ, რომელზედაც თითის სიგრძის მრგვალ კენჭებს იკიდებენ. კანის ფერი შავი არა აქვთ, უფრო მოყვითალო... ისინი მრგვალი პურის გამოსაცხობად იყენებენ რბილ მასას, რომელიც ხის გულსა და ქერქს შორისაა და შედედებულ რძეს ჰგავს. გემრიელი არ არის... ჩვენებურ ერთ ცულში ან დანაში ტყვედ ერთ ან ორ საკუთარ ქალიშვილს გვაძლევდნენ, მაგრამ საკუთარ ცოლს არაფერში არ ცვლიდნენ...

ქალები ყანას ამუშავებენ, მთიდან მინდორში ჩამოსვლისას საკვები თავზე დამაგრებულ კალათებში ან ყუთებში უწყვიათ. ეჭვიანობის გამო მათ მუდმივად მიაცილებენ ქმრები, რომლებიც ბრაზილიური ხის ან შავი პალმისგან დამზადებული მშვილდებითა და ბამბუკის ისრებით არიან შეიარაღებული. შვილები, ბამბის ბადეებში გამოკრული, კისერზე ჰყავთ დაკიდებული... ნაპირზე ორჯერ ჩავატარეთ **მესა**, რომლის განმავლობაში იქაურები მუხლმოდრეკილნი, ისეთი მონანიე სახეებითა და ხელაპყრობილნი იდგნენ, რომ მათი ხილვა ჭეშმარიტ სიხარულს გვანიჭებდა...

ვერზინი – ასე მოიხსენიებს მოგზაური ბრაზილიას.

მესა – კათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა.

ორი თვის განმავლობაში აქ წვიმა არ ყოფილა სწორედ მაშინ, როდესაც პირველად პორტში მივედით, წვიმა წამოვიდა. ამის გამო ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ციდან მოვევლინეთ და თან წვიმა მოვიტანეთ. ამ ხალხის ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევა ადვილია“.

8. წყაროში მონახე ადგილები, რომლებიც სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

9. საზოგადოების განვითარების ისტორიიდან რომელ პერიოდთან გაავლებდი პარალელს და რატომ?

10. შენი აზრით, რამ განაპირობა მოცემული საზოგადოების განვითარების ნელი ტემპი?

11. მოყვანილ ნაწყვეტებში მონახე ადგილები, რომლებიც: ა) გადმოგვცემს ადგილობრივი მოსახლეობის ევროპელებისადმი დამოკიდებულებას; ბ) გადმოგვცემს ევროპელების ადგილობრივი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებას. რა არის ორივე მხრიდან ამ დამოკიდებულების მიზეზი?

12. რაზე მეტყველებს ანტონიო პიგაფეტას იმედი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანება იოლია? რატომ შეიძლებოდა ჰქონოდათ ევროპელებს ადგილობრივების გაქრისტიანების სურვილი?

13. ვენის დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე ევროპელებისა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების წესი, საზოგადოების განვითარების დონე. (**მოსწავლის რვეული, დავ. 46**).

სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ ტომებს შორის განსაკუთრებით თანამედროვე მექსიკის, ცენტრალური ამერიკისა და პერუს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები იყვნენ დაწინაურებული.

აცტეკების სახელწიფო ცენტრალურ მექსიკაში მდებარეობდა. დედაქალაქი იყო ტენოჩტიტლანი, რომელიც ტესკოკოს ტბაში კუნძულებზე მდებარეობდა. დღეს იმ ადგილას მექსიკის დედაქალაქი მექსიკო მდებარეობს. აცტეკების ბოლო მეფე მონტესუმა II (1502-1519 წწ.) იყო. არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ აცტეკებმა მდიდარი კულტურა შექმნეს, მრავალი ქალაქი ააშენეს და კეთილმოაწყვეს. იმის მიუხედავად, რომ აცტეკები შინაურ ცხოველებს, როგორც გამწევ ძალას, არ იყენებდნენ, არ ჰყავდათ ცხენები, არ ჰქონდათ ბორბლიანი ტრანსპორტი, გზებს მაინც აშენებდნენ, ოღონდ ქვეითად მოსიარულეთათვის. გზებზე ყოველ 10-15 კილომეტრში მგზავრებისთვის შენობები იდგა, სადაც მათ დასვენება და წახემსება, ასევე ტუალეტით სარგებლობა შეეძლოთ.

აცტეკების დამარცხება ვერავინ შეძლო. ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხა პურეპეჩის ტომმა, რომელმაც, განსხვავებით სხვა ტომებისგან, ბრინჯაოს ცულების ჩამოსხმა იცოდა. აცტეკები ტესკოკოს ტბაზე პატარა ხელოვნურ მცურავ კუნძულებს – ჩინამპებს აგებდნენ. მათზე კი სიმინდსა და გოგრას თესავდნენ, რაც აცტეკების ძირითად საკვები პროდუქტი იყო. აცტეკებს მოყავდათ კაკაოც, რომელიც გაცვლა-გამოცვლის ერთეული იყო არამარტო აცტეკებთან, არამედ სამხრეთ და მეზოამერიკაში. აცტეკები კაკაოს მარცვლებს იყენებდნენ რელიგიურ რიტუალებშიც.

1519 წელს ესპანელი კონკისტადორი (ასე უწოდებდნენ ესპანელ და პორტუგალიელ დამპყრობლებს) ერნან კორტესი 500-კაციანი რაზმითა და რამდენიმე ზარბაზნით აცტეკების ქვეყანას მიადგა. იმის მიუხედავად, რომ აცტეკების მეთაურს, მონტესუმას, დიდი არმია ჰყავდა, მან კორტესი დიდი პატივით მიიღო, რადგან ის აცტეკების ღმერთი ეგონა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ერთ დღეს უნდა დაბრუნებულიყო. კორტესმა მონტესუმა მისივე სასახლეში დაატყვევა და დიდი გამოსასყიდი მოითხოვა. აცტეკები აჯანყდნენ და კორტესი ქვეყნიდან გაიქცა, თუმცა მალევე მან აცტეკებისგან შევიწროებული სხვა ადგილობრივი ტომები მიიმხრო და მათი დახმარებით 3-თვიანი ბრძოლის შემდეგ დედაქალაქი ტენოჩტიტლანი აიღო. დამპყრობლებმა ქალაქი დაანგრიეს, გაძარცვეს და დიდი რაოდენობის ძვირფასეულობა მიითვისეს. კორტესმა ქალაქს სახელი შეუცვალა და მექსიკო დაარქვა.

კეცალკოატლი მეზოამერიკაში გავრცელებული ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაება იყო. მას სათანადო ადგილი ეჭირა აცტეკების პანთეონშიც. თავდაპირველად ის მუქ ზურმუხტისფერ ბუმბულიან ფრინველად წარმოედგინათ. კეცალკოატლს უკავშირებდნენ საკუთარ ძალაუფლებას სხვადასხვა ტომის მმართველები, ამიტომ დროთა განმავლობაში ღმერთის გამოსახულებამ ადამიანური ნიშნები შეიძინა.

ყველაზე გავრცელებული მითი კეცალკოატლზე ტოლტეკების ტომიდან მომდინარეობს. გადმოცემის თანახმად, ტოლტეკების მმართველი მოწინააღმდეგეებმა მოკლეს, ცოლი კი მშობიარობას გადაჰყვა. მემკვიდრე სე აკატლ ტოპილცინი დაობლდა. როცა ყმაწვილი წამოიზარდა, ტოლტეკებმა ის კეცალკოატლის უმაღლეს ქურუმად აირჩიეს და ასე მიიღო სე აკატლ ტოპილცინ კეცალკოატლის სახელი. მან მამის მკვლელები იპოვა, სიკვდილით დასაჯა და ტოლტეკების მმართველი გახდა. მისი მმართველობა 20 წელს გაგრძელდა. კეცალკოატლმა ხალხს ასწავლა დამწერლობა, ანგარიში, ასტრონომია, ხელოსნობა, მედიცინა, მაგრამ მასაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები: დიდებულები და სხვა ქურუმები, რომლებსაც სიახლეები არ მოსწონდათ. დიდი დაპირისპირების შემდეგ კეცალკოატლი დამარცხდა და იძულებული გახდა, ქალაქი დაეტოვებინა. ის დარჩენილებს დაემუქრა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა და შურს იძიებდა. ამის შემდეგ სხვაგან გადასახლდა და ქალაქი ჩიჩევიცა დააარსა.

ეს მითი ტოლტეკებისგან მაიას ცივილიზაციამ შეითვისა, შემდეგ კი – მისმა მემკვიდრე აცტეკებმა. ამდენად, როცა კორტესი გამოჩნდა, აცტეკებმა ის განრისხებული მმართველის დაბრუნებად ჩათვალეს. კორტესი გარეგნობითაც: წვერისა და თეთრი სახის გამო ღვთაებას მიამსგავსეს, ცხენებიც, რომელიც აცტეკებს მანამდე არ ენახათ, ღვთაებას დაუკავშირეს.



■ *სურ. 4 აცტეკი მეომრები. ნახატი აცტეკების კოდექსიდან. XVI ს.*



■ *სურ. 5 კონკისტადორები. ნახატი აცტეკების კოდექსიდან. XVI ს.*

14. რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები აცტეკების კოდექსიდან? როგორია მათი მეომრების ჩაცმულობა და აღჭურვილობა? რით განსხავავდებიან ისინი ევროპელი მეომრებისგან?

15. რის გადმოცემა სურს მე-2 ნახატით ავტორს? რატომ არიან აცტეკები კონკისტადორების ლაშქარში?

16. ნახატის მიხედვით, შეეცადე, აღწერო აცტეკების თვალით დანახული ევროპელები.

1532 წელს კიდევ ერთი ცნობილი ესპანელი კონსკისტადორი ფრანსისკო პისარო 160 ჯარისკაცთან ერთად პერუს ნაპირებს მიადგა. იმ დროს ინკების იმპერიაში იმპერატორის ვაჟებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. ამით ისარგებლა პისარომ, ერთ ძმას მეორე მოაკვლევინა, ცოცხლად დარჩენილი კი მოტყუებით ტყვედ ჩაიგდო და დიდი გამოსასყიდი მოითხოვა. ინკებმა დიდი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი მოაგროვეს იმპერატორის

გამოსასყიდად. პისარომ ქონება მიიღო, ხოლო იმპერატორი სიცოცხლეს გამოასალმა. პისარომ ინკების დედაქალაქი კუსკოც აიღო. უმეთაუროდ დარჩენილი ინკები მალე დამარცხდნენ პისაროს მცირერიცხოვან ჯართან. ინკების სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.



სურ. 6 ფრანსისკო პისაროს პორტრეტი. ამაბლ პოლ ქუტანი. XIX ს.

1535 წელს ესპანელებს უკვე განადგურებული ჰქონდათ ამერიკის ორი უდიდესი იმპერია – აცტეკებისა და ინკების. მალე მათ ამერიკის კონტინენტის კოლონიზაცია დაიწყეს. აცტეკების იმპერია ახალი ესპანეთის სამეფოდ გამოცხადდა, ინკების მიწებს კი პერუს ვიცე-სამეფო ეწოდა. ორივე მათგანს ესპანეთის სამეფო კარი მართავდა და მათთვის ახალ კანონებს ქმნიდა. ესპანელებმა ანდების მთებში ვერცხლის მდიდარ საბადოებს მიაგნეს და მისი აქტიური გამოყენება დაიწყეს, შედეგად XVI საუკუნეში ამერიკიდან ესპანეთში დიდი ქონება შევიდა. ახალ ტერიტორიებზე დასახლება დაიწყეს ესპანელმა ემიგრანტებმა. კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას უსამართლოდ და მკაცრად ექცეოდნენ. მძიმე სამუშაოების შესრულებას ავალდებულებდნენ. ბევრი მათგანი მონებად მიჰყავდათ ესპანეთში. გარდა ამისა, ევროპელებმა ამერიკაში შეიტანეს ადგილობრივებისათვის სრულიად უცხო ინფექციური დაავადებები – წითელა, ყვავილი, რომლის მიმართ ადგილობრივებს იმუნიტეტი არ გააჩნდათ და ამიტომ ეს დაავადებები მათთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. კოლონისტებს თან მიჰყვებოდნენ მღვდლებიც, რომლებიც ადგილობრივებს ქრისტიანობის მიღებას ავალდებულებდნენ. კოლონიზაციის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვმა მკვეთრად იკლო. თუ 1500 წლისათვის მათი რიცხვი დაახლოებით 25 მილიონი იყო, ერთი საუკუნის შემდეგ 1 მილიონამდე შემცირდა.

ინკებმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში სამხრეთ ამერიკაში ანდებსა და მის მიმდებარე სანაპირო ოლქში სახელმწიფო შექმნეს. სახელმწიფოს ფუძემდებელი იყო მითიური ინკა, რომელმაც დედაქალაქი კუსკო დააარსა. ინკებს მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდათ, ამიტომ სახელმწიფოს გაფართოება ადვილად მოახერხეს. ინკების სახელმწიფო მოიცავდა თანამედროვე პერუს, ბოლივიის, ეკვადორისა და ნაწილობრივ, ჩილეს, არგენტინისა და კოლუმბიის ტერიტორიებს.

მათი მთავარი ქალაქი იყო კუსკო, რაც ინკების ენაზე „ჭიპს“, ანუ სამყაროს ცენტრს, ნიშნავს. ინკები დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში სრულიად იზოლირებულად ცხოვრობდნენ.

XV საუკუნეში მათ დაპყრობითი ომები დაიწყეს და უკვე 1500 წლისათვის დიდი იმპერია შექმნეს.

ინკების იმპერიის მმართველები მზის ღმერთის შთამომავლებად ითვლებოდნენ და მათ ღმერთებივით ექცეოდნენ. საქვეყნო საქმეებს მათი მოხელეები განაგებდნენ, ისინი აკონტროლებდნენ იმპერიაში ვაჭრობის, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის ეფექტიან მუშაობას.

ინკებს დამწერლობა არ ჰქონდათ, მაგრამ ინფორმაციის გადასაცემად იყენებდნენ ე.წ. „კვანძოვან დამწერლობას“ – კიპუს, რომელიც გრძელ თოკზე დაკიდებულ სხვადასხვა ფერისა და ზომის განასკვულ ძაფებს წარმოადგენდა. ინფორმაციის გადაცემა ფერებისა და ნასკვების რაოდენობითა და კომბინაციით ხდებოდა.

ინკებს მთიან რელიეფზე მორგებული გზათა რთული სისტემა ჰქონდათ. იმპერიაში ქვით მოკირწყლული ორი ძირითადი გზა არსებობდა, რომლებიც მცირე გზებით სოფლებსა და ქალაქებს უერთდებოდა. ასევე საინტერესოა, რომ ინკებმა ხის იარაღების გამოყენებით მთიანი ტერიტორია ტერასებად დაყვეს. ამ ტერასებზე მოჰყავდათ მათ საკვები კულტურები

და იქვე აშენებდნენ დიდ ქალაქებს. ინკების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქალაქი მაჩუ-პიქჩუ ზღვის დონიდან 2430 მეტრზე მდებარეობდა და ისე იყო მიმალული, რომ მხოლოდ 1911 წელს აღმოაჩინეს. ქალაქი ურთულეს რელიეფზე მდებარეობდა.

შენობები უზუსტესად გამოთლილი ქვის ლოდებით იყო ნაგები დუღაბის გარეშე. ეს ქალაქი ინკების რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მზის ტაძარი და ასტრონომიული ობსერვატორია იდგა. XVI საუკუნის დასაწყისში ინკების იმპერიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, ამით ისარგებლეს ესპანელებმა და მათივე გზების გამოყენებით ინკების იმპერია სრულად გაანადგურეს.



სურ. 7 მაჩუ-პიქჩუ

აცტეკის შეთხზული მონათხრობი, რომელიც რეალურ ამბებს გადმოგვცემს:

როცა კორტესის რაზმი ჩვენი დედაქალაქისკენ მოემართებოდა, ქალაქ ჩოლულასთან შეჩერდა. კორტესმა ქალაქის მცხოვრებლები შეთქმულებასა და ღალატში დაადანაშაულა. ქალაქის წარმომადგენლები ტაძრის ეზოში შეკრიბეს და კოცონში ცოცხლად შეყარეს. შემდეგ ქალაქს ალყა შემოარტყეს და სამი დღე ძარცვავდნენ და არბევდნენ. ჩოლულაში ხუთი ათასამდე ადამიანი დაიხოცა. ჩვენმა მმართველმა, მონტესუმამ, ესპანელები დედაქალაქში მოიწვია. კორტესმა კი, სანამ დედაქალაქში შემოვიდოდა, შემდეგი გეგმა მოიფიქრა: როგორმე მონტესუმა უნდა დაეტყვევებინა და, სანამ მმართველი ესპანელების ტყვე იქნებოდა, აცტეკები მათზე თავდასხმას ვერ გაბედავდნენ. როგორც კი ესპანელები სასახლის ეზოში შემოვიდნენ, ეზოს კარი ჩაკეტეს და ჭიშკართან ზარბაზნები დააყენეს. მონტესუმა და მისი ამალა ესპანელების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. სასახლეში ესპანელებმა ჩვენი საგანძური იპოვეს. დაითვალეს, რომ თითოეულ

ინკის შეთხზული მონათხრობი, რომელიც რეალურ ამბებს გადმოგვცემს:

ანდების მთების გადმოლახვის შემდეგ პისარო ქალაქ კახამარკას მოუახლოვდა, სადაც იმ დროს ჩვენი „უმაღლესი ინკი“, ქურუმი ატაუალპა იმყოფებოდა. პისარომ მასთან საკუთარი ელჩები გააგზავნა. უმაღლესი ინკის გადაწყვეტილებით, მათ მეგობრულად შეხვდნენ, გაუმასპინძლდნენ და მეომრებს ღამის გასათევიც შესთავაზეს. ატაუალპამ პისაროს შეხვედრა მეორე დღეს დაუთქვა. მაგრამ შეხვედრის ადგილას პისაროს ქურუმს მახე დაუგო. როცა მოედანზე ქურუმი 5 000 ინკ მეომართან ერთად მივიდა, იქ მხოლოდ ესპანელი ბერი დახვდა. შეურაცხყოფილმა ატახულკამ იკითხა, სად არიან „თეთრი მოსულები?“ მაშინ ქურუმის წინაშე ესპანელი ბერი წარდგა, რომელსაც ხელში ბიბლია ეჭირა და უთხრა: თქვენ ესპანეთის მეფეს უნდა დაემორჩილოთ. განრისხებულმა ატაუალპამ იკითხა: ვინ მოგცათ ნება, ასე მელაპარაკოთ? ბერმა კი უსიტყვოდ ბიბლიაზე მიუთითა. გაოგნებულმა ქურუმმა ბიბლია გადაფურცლა, შემდეგ

ნივთში 30 000 გულდენს მისცემდნენ და ამით აღფრთოვანებულები იყვნენ. მაგრამ კორტესს განძთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები ჰქონდა: მეხუთედი მეფისთვის უნდოდა, მეორე მეხუთედი – ლაშქრობის მეთაურისთვის, მესამე მეხუთედი – კუბის გუბერნატორისთვის, მეოთხე მეხუთედი – თავად-აზნაურებისთვის და დარჩენილი მეხუთედი – რიგითი მეომრებისთვის. ამგვარად თითოეულ მეომარზე 100 გულდენი გამოდიოდა. „მწუხარების ღამეს“, როცა ჩვენ აღვდექით და სასახლე იერიშით ავიღეთ, კორტესმა უკან დახევის ბრძანება გასცა. ბრძოლა წყალსაცავზე გადებულ ხიდზე გრძელდებოდა. წყალმა ჯებირი გაანგრია და ესპანელები შიშმა მოიცვა. ყველა ცდილობდა, ხიდზე გადასვლა და გაქცევა მოესწრო. მაგრამ ხიდი ჩატყდა და ესპანელები წყალსაცავში ჩაცვივდნენ. კორტესმა მცირერიცხოვან მხედრებთან ერთად გაქცევა მოახერხა და ჩვენი საგანძურიც თან წაიღო. იმ ღამეს კორტესმა არმია და ღირსება დაკარგა, ოქრო კი შეინარჩუნა. თუმცა შემდეგ საკუთარ მეფეს წერილში სწერდა, რომ მთელი საგანძური ტბაში ჩაიძირა. კორტესმა კუბაში ახალი ესპანელი მეომრები აიყვანა და უკან დაბრუნდა. ჩვენი დედაქალაქი ალყაში მოაქცია, აიღო და დაანგრია, მოსახლეობა დახოცა. ესპანეთში კი, როგორც გამარჯვებული გმირი, ისე დაბრუნდა. ესპანეთის მეფემ ის „სამხრეთ ზღვის ადმირალის“ ტიტულით დააჯილდოვა და მექსიკაში სამფლობელოები უბოძა.

კი მოისროლა. ბერმა დაიყვირა: დახოცეთ წარმართები! ესპანელებს სინამდვილეში შეხვედრის ადგილი, მოედანი გარშემორტყმული ჰქონდათ. პისაროს მიცემულ ნიშანზე ესპანელების ზარბაზანმა გაისროლა და ინკების ხოცვა დაიწყო. 3 000-მდე ინკი დაიღუპა, უმაღლესი ქურუმი კი ტყვედ წაიყვანეს. როცა ქურუმი მიხვდა, რომ ესპანელებს ყველაზე მეტად ოქრო უნდოდათ, მაშინ საკუთარი თავის გამოსახსნელად ესპანელებს დიდი გამოსასყიდი შესთავაზა და იმ შენობის, სადაც იმყოფებოდნენ, ოქროთი გავსებას შეპირდა. პისარომ ეს წინადადება მიიღო და ოქროს შესაგროვებლად ორი თვის ვადა მისცა. ინკების ქვეყნის ყველა კუთხიდან კახამარკაში ოქრო მოჰქონდათ. მხოლოდ მეფისთვის მისაცემმა მეხუთედმა 1 ტონა ოქრო და 2,5 ტონა ვერცხლი შეადგინა. მაგრამ პისაროს ქურუმი მოატყუა და ის შეკრებილ სასამართლოს გადასცა.

სასამართლომ ქურუმს სასიკვდილო განაჩენი – კოცონზე დაწვა გამოუტანა. სიკვდილის წინ ბერმა ქურუმს შესთავაზა, თუ მის სარწმუნოებას მიიღებდა და მოინათლებოდა, კი არ დაწვავდნენ, გაგუდავდნენ. ქურუმი დათანხმდა და ის კოცონზე არ დაწვეს, თუმცა სიკვდილით დასაჯეს. დამპყრობლებმა ჩვენი დედაქალაქი – კუსკო დაიკავეს, ყველა სასახლე, ტაძარი, საფლავებიც კი გაძარცვეს.

17. წარმოიდგინე, რომ ესპანელი კონკისტადორი ხარ. აცტეკისა და ინკის მსგავსად, შენც მოჰყევი იმავე ამბავს. შეეცადე, შენი მონათხრობი რეალურ ამბებსა და ესპანელი კონკისტადორის პოზიციას დაეფუძნოს.

18. სქემატურად წარმოადგინე კონკისტადორების მიერ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის დაპყრობის პროცესი (**მოსწავლის რვეული, დავ. 47**).

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ბევრი ცვლილება მოჰყვა. ძველმა სავაჭრო ცენტრებმა ძველი დანიშნულება დაკარგა და ადგილი დაუთმო ჯერ პორტუგალიასა და ესპანეთს, შემდეგ კი ჰოლანდიასა და ინგლისს. ახალი მიწების აღმოჩენასა და კოლონიზაციას შედეგად „ფასების რევოლუცია“ მოჰყვა. ოქროსა და ძვირფასი ლითონების მოპოვების გაზრდამ მათზე ფასების დაცემა გამოიწვია, მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდა ფასები სავაჭრო-საწარმოო საქონელზე. ამან ხელი შეუწყო ევროპაში კაპიტალის დაგროვებას. გართულდა ფინანსური სისტემა და საბანკო საქმე. ახალი სამყაროს მიწები ევროპისთვის ნედლეულის ბაზად და იმავდროულად გასაღების ბაზრად გადაიქცა. გასაღების ახალმა ბაზრებმა კი ხელი შეუწყო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები

ევროპელების ხელში აღმოჩნდა არა მარტო ახალი მიწები, არამედ საზღვაო გზები და პორტები. ისინი აკონტროლებდნენ შორეული აღმოსავლეთიდან სანელებლებისა და ამერიკის კონტინენტზე არსებული მანამდე უცნობი საკვები კულტურების ევროპაში შემოტანას.

კარტოფილს ეპანეთსა და იტალიაში XVI საუკუნის ბოლოდან გაეცნენ. ირლანდიაში XVII საუკუნეში კარტოფილი უკვე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა და კვების პროდუქტი იყო. საფრანგეთსა და სახელმწიფოებში კარტოფილის მიმართ თავდაპირველად

უნდობლად განეწყვნენ. მაგრამ ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავრცელებით თავად სახელმწიფო იყო დაინტერესებული, რადგან იაფი კვების პროდუქტი იყო. სიტყვა „კარტოფილი“ ერთ-ერთი სოკოს იტალიური სახელწოდებიდან წარმოდგება, რომელიც ასევე მიწის ქვეშ იზრდება. იტალიელებმა კარტოფილის ბოლქვებს დაცინვით ტარტუფოლო უწოდეს. გერმანელებმა კი ეს სახელწოდება გადაიღეს, ოღონდ გამოთქვამდნენ, როგორც „კარტოფელს“. რუსეთში კარტოფილი და მისი სახელი პეტრე I-ის დროს, XVIII ს-ის დასაწყისში, შევიდა გერმანიიდან, ხოლო იქიდან უკვე საქართველოში. გერმანელი მწერალი გიუნტერ გრასი ამტკიცებს, რომ კარტოფილმა გერმანიის ისტორიაში უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე დაპყრობითმა ომებმა. მისი მოსაზრება ასეთია: კარტოფილი იაფი პროდუქტია, თან მალე იზრდება და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას არ მოითხოვს. ის ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო და ევროპაში შიმშილის პრობლემა მოაგვარა – ადამიანები დაანაყრა.

სიმინდი ესპანეთში პირველად 1520 წელს შემოიტანეს. შემდეგ სიმინდის მოყვანა საფრანგეთში, იტალიასა და უნგრეთში დაიწყეს. თანდათან ის ბალკანეთში, უკრაინაში, მცირე აზიაში, კავკასიასა და ჩრდილოეთ აფრიკაშიც გავრცელდა. იმავე პერიოდში და ისევ კოლონიებში **შაქრის ლერწმის** მოყვანაც დაიწყეს. დასავლეთ ევროპაში შაქარი ძირითადად კუბიდან შემოჰქონდათ. **კაკაოს** მარცვლები ეპანეთში XVI, ევროპის დანარჩენ ქვეყნებში კი XVII საუკუნეში შეიტანეს. განსხვავებით ამერიკელი აცტეკებისგან, რომლებიც კაკაოს სასმელს – ჩოკოლატლის (ესპანელები გამოთქვამდნენ, როგორც „ჩოკოლატე“) – უშაქროდ, წიწაკასა და სხვა სანელებლებთან შერევით ამზადებდნენ, ევროპელებმა მისგან შაქრისა და ვანილის შერევით ტკბილი სასმელი დაამზადეს, მოგვიანებით კი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ტკბილეული – შოკოლადი.

ყავა პირველად XV საუკუნეში ეთიოპიაში მოაშენეს. XVI საუკუნეში ის ხმელთაშუა ზღვის მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელდა, იქიდან კი – ევროპაში. ყავით ვაჭრობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქალაქი მოკა არაბეთში (დღეს: იემენი). ისევე როგორც კაკაოს, ყავის მოყვანა XVII –XVIII საუკუნეებში ევროპის კოლონიურ ქვეყნებში დაიწყეს.

თავდაპირველად **ჩაი**, როგორც ეგზოტიკური სასმელი, პორტუგალიის სამეფო კარზე გამოჩნდა. პორტუგალიელებმა ევროპისთვის მანამდე უცნობი მცენარის ფოთლები აღმოსავლეთიდან, კერძოდ, ჩინეთიდან შემოიტანეს. XVI-XVII საუკუნეებში ჩაი ევროპაში ძირითადად პორტუგალიელებსა და ჰოლანდიელებს შემოჰქონდათ. 1662 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა ჩაის ფოთლები მეფეს, ჩარლზ II-ს, საჩუქრად მიართვეს. თანდათანობით ჩაი პოპულარული სასმელი გახდა. თუ თავდაპირველად ჩაის ფოთლებს აფთიაქებში ყიდდნენ, შემდეგ სპეციალური ჩაის სახლებიც გაჩნდა, სადაც სტუმრებს ცხელი ჩაით უმასპინძლდებოდნენ.

XVI საუკუნეში ევროპელები დარწმუნებული იყვნენ, რომ იმ დროისთვის სამყარო მთლიანად აღმოჩენილი იყო.

19. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ევროპა მოწინავე რეგიონად გადაიქცა. როგორც ახლად აღმოჩენილი მიწები, ისე აზიის უდიდესი ნაწილი ეკონომიკურად ევროპაზე დამოკიდებული გახდა. როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა ევროპული ცივილიზაცია მათზე? გაავრცელებდნენ თუ არა ევროპელები საკუთარ ღირებულებებსა და მიღწევებს და რამდენად ნებაყოფლობითი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს გავლენა?

§29-30. ჰუმანიზმი, რენესანსი

XIII-XV საუკუნეებში ევროპაში საქალაქო ცხოვრების, ვაჭარ-ხელოსნობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ფეოდალურ საზოგადოებაში ცვლილებები მოჰყვა. გაჩნდა ახალი ფენა მოქალაქეებისა, რომლებიც ხელოსნებს, ოსტატებს, ვაჭრებს, ბანკირებსა და ქალაქის დანარჩენ მცხოვრებლებს აერთიანებდა. ამ საზოგადოებაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ფეოდალურ იერარქიულობას და, შესაბამისად, იმ ღირებულებებს, რომლებიც ფეოდალურ საზოგადოებას ახასიათებდა; უმთავრესი იყო ადამიანის პიროვნული თვისებები და უნარები და არა მისი ადგილი ფეოდალურ-წოდებრივ საზოგადოებაში.

ამ პერიოდში ქალაქური ცხოვრება ყველაზე მეტად იტალიაში იყო დაწინაურებული, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. იტალიური ქალაქ-სახელმწიფოები: გენუა, ვენეცია, ფლორენცია, პიზა ხმელთაშუა ზღვის აუზში ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი იყვნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო შუამავლებიც, რასაც ქალაქებისთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ქალაქების შემოსავლის გაზრდას ადგილობრივი მანუფაქტურული წარმოებისა და მევახშეობის განვითარება მოჰყვა. თანდათან ჩამოყალიბდა ახალი – მეწარმეთა – ფენა, რომელსაც რაციონალიზმი, საქმიან წამოწყებაში გაბედულება ახასიათებდა.

1. გაიხსენე: რა იყო ადამიანის მთავარი სიმდიდრე ადრეულ შუა საუკუნეებში და როგორ განაპირობებდა ეს სიმდიდრე მის ადგილს საზოგადოებაში? როგორი იყო მეურნეობის ხასიათი, ეკონომიკური ურთიერთობები? საზოგადოების რა ნაწილს ეკუთვნოდნენ ხელოსნები და ვაჭრები?

2. შენი აზრით, რატომ ვეღარ თავსდება ქალაქების განვითარების შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი მეწარმეთა ფენა ფეოდალურ-წოდებრივ იერარქიაში? რით განსხვავდებიან ისინი შუა საუკუნეების წოდებებისგან?

ახალი კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **რაციონალიზმის** ნიშნების გაჩენას. საეკლესიო მორალის – ასკეტიზმის საპირისპიროდ ვაჭრებისა და ხელოსნების ფენაში ყალიბდებოდა ახალი მორალი, რომელიც რაციონალიზმს, ანგარიშიანობას,, გაბედულებას, საკუთარი შესაძლებლობის გააზრებას ეფუძნებოდა.

რაციონალიზმი — ფილოსოფიური მიმდინარეობა, მსოფლმხედველობა, რომელიც სამყაროს შემეცნების პროცესში გრძნობადი შემეცნების უნარებთან შედარებით ადამიანურ გონებას (ლათ. რაციო – „გონება“, „განსჯა“) ანიჭებს უპირატესობას. რაციონალიზმის მიხედვით, გონებისეული აზროვნება შემეცნების ერთადერთი ამოსავალი წერტილია.

შეიცვალა დამოკიდებულება დროის აღრიცხვის მიმართ. XIV საუკუნის იტალიის ყველა ქალაქის რატუშაზე გაჩნდა საათები, რომლებიც რომლების ადამიანებს დროს ახსენებდა.

დღემდე შემორჩენილ საათებს შორის ყველაზე ძველია XIV საუკუნის იტალიის ქალაქ მილანში აგებული კოშკის მექანიკური საათი. პირველ კოშკის საათებს ციფერბლატი არ ჰქონდა და ყოველ ერთ საათში გარკვეულ სიგნალს გამოსცემდა. დროთა განმავლობაში,



სურ. 1 პრაღის ასტროლოგიური საათი

დაახლოებით XVI–XVII საუკუნეებში, ამგვარი საათები მოძრავი ფიგურებით შეამკეს. ისინი სხვადასხვა რელიგიურ პერსონაჟსა და სიუჟეტს ასახავდა. ქალაქის მცხოვრებლები ღირსების საქმედ თვლიდნენ კოშკის საათის შემკობას მოძრავი ფიგურებით. საათი დღის განმავლობაში მოსახლეობას ამა თუ იმ მნიშვნელოვან მომენტებს შეახსენებდა, მაგ., ღვთისმსახურების დაწყებას. ასეთ კოშკებს შორის დღესაც ძალზე პოპულარულია ლონდონის 13-ტონიანი სამრეკლო, ე. წ. „ბიგ-ბენი“ (დიდი ბენი), ის დიდხანს ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე დიდ საათად.

ადრეულ ახალ დროში გატარდა კალენდრის რეფორმაც. შუა საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულ სამყაროში იულიუსის კალენდრით სარგებლობდნენ. ჯერ კიდევ 325 წელს ნიკეაში გამართულმა პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ იულიუსის კალენდარი სავალდებულო გახადა ქრისტიანებისთვის. საუკუნეების განმავლობაში ევროპა მისი საშუალებით აღრიცხავდა დროს, ადგენდა სადღესასწაულო თარიღებს (მაგ., მოძრავ დღე-სასწაულებს: ბზობას, აღდგომას, ამაღლებას, ზოგიერთი წმინდანის ხსენების დღეს და სხვ.), მაგრამ დროთა განმავლობაში თავი იჩინა იულიუსის კალენდრის მცირე უზუსტობამ.

იულიუსის კალენდრის ხანგრძლივობა 365 დღე და 6 საათი იყო. ეს ნიშნავს, რომ იგი ბუნებრივ წელიწადს (365 დღე, 5 საათი, 48 წუთი და 46 წამი) 11 წუთით და 14 წამით უსწრებდა. რამდენიმე წლის მანძილზე ეს ცდომილება დიდ სხვაობას არ იძლეოდა, მაგრამ 128 წელიწადში ის უკვე 1 დღეს შეადგენდა, ხოლო 1280 წელში – 10 დღეს. ამდენად, კალენდარმა ბუნებრივ წელს გაუსწრო. სწავლულებმა უკვე XIII-XIV საუკუნეებში შეამჩნიეს ეს განსხვავება.

რომის პაპმა გრიგორი XIII-მ გადაწყვიტა, გამოესწორებინა საქმე. კალენდრის რეფორმის პროექტი შეადგინა იტალიელმა ექიმმა და მათემატიკოსმა ლუიჯი ლილიომ. პროექტის მიხედვით, პაპმა 1582 წლის 5 ოქტომბერი 15 ოქტომბრად გამოაცხადა.

გრიგორიანული კალენდარი ერთბაშად ყველა ქვეყანას არ მიუღია. თავდაპირველად კალენდრის ეს სისტემა იტალიამ, ესპანეთმა და საფრანგეთმა მიიღო. შემდეგ სხვა სახელმწიფოებშიც გავრცელდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისამდე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ იულიუსის კალენდარი მოქმედებდა. საუკუნეების განმავლობაში იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდრებს შორის ცდომილება კიდევ უფრო გაიზარდა: თუ XVI საუკუნეში 10 დღე იყო, დღეს სხვაობა 13 დღეა, ხოლო მომავალი ასწლეულის დასაწყისში ამ ცდომილებას 1 დღე დაემატება.

საქართველოში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას – „ძველი სტილით“, „ახალი სტილით“. აქ სწორედ იულიუსისა და გრიგორიანული კალენდრები იგულისხმება. ამიტომაც არის, რომ „ახალი სტილით“ ახალი წელი პირველ იანვარს დგება, ხოლო „ძველი სტილით“ – 14 იანვარს (სხვაობა 13 დღეა. 2100 წლიდან ახალი წელი 15 იანვარს დადგება).

3. შენი აზრით, რამ გამოწვია XIV-XV საუკუნეების ქალაქებში დროისადმი დამოკიდებულების შეცვლა? რატომ გაჩნდა საათები ქალაქის რატუშაზე და არა, მაგალითად, ფეოდალის ციხესიმაგრეზე ან რომელიმე ჰერცოგისა თუ გრაფის სასახლეზე?

4. შენი აზრით, რატომ არ მიიღო ყველა ქრისტიანულმა ქვეყანამ ერთდროულად გრიგორიანული კალენდარი?

5. რაზე მეტყველებს, რომ საქართველოში საეკლესიო დღესასწაულები „ძველი სტილით“ აღინიშნება?

6. გაიხსენე, როგორ აღირიცხებოდა უძველესი დროიდან დრო და იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი წელთაღრიცხვის სისტემების შემოღებას? როგორ ფიქრობ, რატომ არ მოხერხდა დროის აღრიცხვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც დაზუსტება არ დასჭირდებოდა? როგორ ფიქრობ, რატომ არ მოხერხდა დროის აღრიცხვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც დაზუსტება არ დასჭირდებოდა?

XIV-XV საუკუნეების იტალიაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფონზე განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ადამიანმა, რომელიც უკვე ვეღარ თავსდებოდა ფეოდალურ-წოდებრივი ურთიერთობების, საეკლესიო-ასკეტური მორალისა და შუა საუკუნეების ტრადიციების ჩარჩოებში. ამან გამოიწვია ღირებულებების თავისებური გადაფასება, შეხედულებების შეცვლა. გაჩნდნენ მოაზროვნეები, რომელთა ყურადღების ცენტრში თავად ადამიანი, პიროვნება მოექცა. ეს მოაზროვნეები მოქალაქეების ახალი სოციალური ფენიდან – მესამე წოდებიდან იყვნენ გამოსული.

მათი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ანტიკურმა ფილოსოფიამ და ლიტერატურამ. ევროპელი სწავლულები დიდ ინტერესს იჩენდნენ არაბული სამყაროდან და ბიზანტიიდან შემოსული ანტიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ლიტერატურის მიმართ.

XIV საუკუნეში ბიზანტიაში შექმნილი ღრმა პოლიტიკური კრიზისის გამო ბევრმა ბერძენმა სწავლულმა თავი იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს შეაფარა. კიდევ უფრო გაიზარდა ემიგრაცია კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ. ამ ადამიანებმა თან მოიტანეს ანტიკური ცოდნა. მაგ., ფლორენციის რესპუბლიკის მმართველმა და ბანკირმა, კოზიმო მედიჩიმ, რომელიც ქველმოქმედებით იყო ცნობილი, სწორედ ბიზანტიიდან დევნილი მოაზროვნეების გავლენით შექმნა აკადემია.

ევროპელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანტიკური ფილოსოფია განიხილავდა ისეთ საკითხებსაც, რომლებზეც ეკლესიას ამომწურავი პასუხები არ გააჩნდა. ძირითადად ეს ეხებოდა ადამიანის ბუნებას და მის როლს ამ სამყაროში. სწორედ ანტიკური ფილოსოფიისა და ხელოვნების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა „ჰუმანიზმი“ – შეხედულებათა ახალი სისტემა.

ჰუმანიზმმა ყველაზე მაღლა ადამიანი და ადამიანურ ფასეულობები დააყენა. ისინი თვლიდნენ, რომ ღმერთმა ადამიანი თავისუფლებისთვის შექმნა, მისცა შრომისა და შენების უნარი, გონება – სამყაროს შესასწავლად, სულიერება – მშვენიერების შესაგრძნობად; რომ მთავარი იყო არა ადამიანის წოდებრივი მდგომარეობა, არამედ მისი პირადი თვისებები და ღირსება: ნიჭი, გონიერება, შესაძლებლობა, მოხერხებულობა და ა. შ. ჰუმანისტებმა დაიწყეს ბრძოლა ადამიანის მოღვაწეობასა და აზროვნებაზე დაწესებული საეკლესიო კონტროლის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა შუა საუკუნეების მორალის ისეთი საფუძვლების კრიტიკით, როგორიცაა ავტორიტეტი, ტრადიციები და დოგმები.

ჰუმანიზმის იდეებმა გამოხატულება ჰპოვა ხელოვნებაში, რომლის ძირითად თემად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი იქცა თავისი სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობებით. ეს სიახლე იგრძნობოდა ყველა სფეროში. მწერლები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები ადამიანს აღწერდნენ, გამოსახავდნენ, აქანდაკებდნენ ჩვეულებრივი, დამახასიათებელი სილამაზით, ემოციებით, საქმიანობით, შთაგონების წყაროს კი ანტიკური სამყაროს კულტურულ მემკვიდრეობაში ეძებდნენ.

იტალიელმა მოაზროვნეებმა გააცოცხლეს, აღორძინეს ანტიკური კულტურის მიღწევები და ისინი ახალი დროის სამსახურში ჩააყენეს. ამიტომაც ამ ეპოქას მოგვიანებით აღორძინების ანუ რენესანსის ხანა ეწოდა. „რენესანსი“ ფრანგული სიტყვაა და აღორძინებას ნიშნავს. აღორძინებამ გადატრიალება მოახდინა ფეოდალური ევროპის ცხოვრებაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ცივილიზაციას.

ტერმინი რენესანსი პირველად იტალიური მხატვრობის ისტორიკოსმა ჯორჯო ვაზარიმ იხმარა, როგორც – ხელახლად შობა, აღორძინება. ეს მეტაფორა შემდგომში ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ სიტყვად აქცია, გერმანული კულტურის ისტორიკოსმა იაკობ ბურკგარტმა კი დაამკვიდრა თავის ეპოქალურ შრომაში „რენესანსის კულტურა ისტორიაში“.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები აღორძინების ხანის მოაზროვნეთა შეხედულებებს გაგაცნობთ.

წყარო ა) მარსილიო ფიჩინო (1433-1499 წწ.), ფილოსოფოსი და ასტროლოგი, „ქრისტიანული რელიგია“

„ნება მიეცით ადამიანს, თაყვანი სცეს საკუთარ თავს, როგორც ღმერთის ხატებას. ნება მიეცით მას, კვლავ ამაღლდეს ღმერთამდე, ღმერთი უყვარდეს მთელი გულით, ის ღმერთი, რომელმაც დიდი სიყვარულით თავი კაცად გარდაქმნა“.

წყარო ბ) პეტრარკა (1304-1374 წწ.), ჰუმანისტი, პოეტი და დიპლომატი, „წერილები“

„თუ თაყვანს სცემ **ციცერონს**, ეს ნიშნავს, რომ ციცერონის მიმდევარი ხარ და მე ვარ ასეთი. მე უსაზღვროდ ვცემ თაყვანს ციცერონს და მიკვირს იმათი, ვინც ამას არ აკეთებს. მაგრამ, როდესაც ვფიქრობთ ან ვლაპარაკობთ რელიგიაზე, მაშინ მე ნამდვილად არა ვარ არც ციცერონის და არც **პლატონის** მიმდევარი. მე ქრისტიანი ვარ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ციცერონს პირადად რომ გაეცნო ქრისტე, ქრისტიანი გახდებოდა და სიღრმისეულად ჩასწვდებოდა მის მოძღვრებას. რაც შეეხება პლატონს, მას რომ **ნეტარი ავგუსტინეს** დროს ეცხოვრა, ისიც ქრისტიანი გახდებოდა. ავგუსტინე მოგვითხრობს, რომ მის სიცოცხლეში პლატონის მიმდევართა უმრავლესობა ქრისტიანი გახდა და საკუთარ თავსაც ამ ადამიანთა რიცხვს აკუთვნებს“.

ციცერონი – რესპუბლიკის პერიოდის რომაელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, სწავლული და ყველაზე სახელგანთქმული ორატორი რომში. ანტიკურ ხანაშივე ის ლათინურენოვანი პროზის კანონმდებლად გამოაცხადეს. ციცერონის ენა კლასიკური ლათინური ენის ნორმად/ეტალონად ითვლება. შემორჩენილია ციცერონის ლიტერატურული მემკვიდრეობა, პოლიტიკური და სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვები, წერილები, ფილოსოფიური ტრაქტატები.

პლატონი – ერთ-ერთი უდიდესი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. მოღვაწეობდა ძვ. წ. V საუკუნეში. მისი მოძღვრება ცივილიზებული სამყაროს ისტორიაში დასავლური აზროვნებისა და ზოგადად კულტურის სიბრძნის წყაროდ ითვლება.

ნეტარი ავგუსტინე – IV-V საუკუნეების ცნობილი ღვთისმეტყველი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ მსოფლმხედველობის თანახმად, ნებისმიერი მოვლენა უზენაესი არსების – ღმერთის – განგებით ხდება.

წყარო გ) ნიკოლო მაკიაველი (1469-1527 წწ.), პოლიტიკური მოაზროვნე, ისტორიკოსი, დიპლომატი, ფილოსოფოსი, მწერალი და ჰუმანისტი, „მთავარი“

„მაგრამ, როდესაც მოსაღამოვდება, შინ ვბრუნდები და სანამ ჩემს ბიბლიოთეკაში შევალ, კართან ვტოვებ მტვრიან ტანსაცმელს. ისეთ სამოსს ვიცვამ, თითქოს სამეფო კარის წინაშე წარმდგარი ფლორენციის დესპანი ვიყო. ასე საზეიმოდ გამოწყობილი ანტიკურობის გამოჩენილ ადამიანებთან შევდივარ, რომლებიც მეგობრული გრძნობებით მეგებებიან და დიდ სულიერ საზრდოს მაწვდიან. ყოველგვარი ყალბი მორცხვობის გარეშე ვეკითხები მათ ჩადენილი დიადი საქმეების მიზეზების შესახებ. ისინი ისეთი დიდბუნებოვანნი არიან, რომ მპასუხობენ დასმულ კითხვებზე. ოთხი გრძელი და ბედნიერი საათის განმავლობაში თავდავიწყებით ვსაუბრობ მათთან და მავიწყდება ყველა გასაჭირი, არ მეშინია არც სიღარიბის და არც სიკვდილისა“.



სურ. 2 ნიკოლო მაკიაველის პორტრეტი. სანტი დი ტიტო, XVI ს.

წყარო დ) XVI ს.-ის იტალიელი ჰუმანისტი, ლეონ ბატისტა ალბერტი

„ბუნებამ, მაშასადამე ღმერთმა, ადამიანს უბოძა ღვთიური ნაწილი, რაც უდავოდ უფრო მშვენიერი და კეთილშობილია, ვიდრე რამე მოკვდავი. მან დააჯილდოვა ადამიანი ნიჭით და სწავლის უნარით“.

7. შენი აზრით, რატომ სვამს მარსილიო ფიჩინო საკითხს ამგვარად: „ნება მიეცით ადამიანს, თაყვანი სცეს საკუთარ თავს, როგორც ღმერთის ხატებას. ნება მიეცით მას, კვლავ ამაღლდეს ღმერთამდე“? რით განსხვავდება ადამიანის მიმართ ეს დამოკიდებულება შუა საუკუნეებში არსებული წარმოდგენისგან?

8. რას იტყოდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულებაზე შუა საუკუნეების ბერი? შეცვალე შუა საუკუნეების ეპოქის შესაბამისად იტალიელი ჰუმანისტის ნათქვამი და დაასრულე წინადადება: ნება მიეცით ადამიანს...

9. პეტრარკას მიხედვით, რა დამოკიდებულება აქვთ ჰუმანისტებს ქრისტიანობის მიმართ? შეიძლება თუ არა ჰუმანიზმი განვიხილოთ ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ ფილოსოფიურ მიმდინარეობად?

10. როგორ ცდილობს პეტრარკა ქრისტიანობისა და ანტიკური შეხედულებების გაერთიანებას?

11. წყარო გ)-ს მიხედვით, რატომ ელოდება ნიკოლო მაკიაველი ყოველდღე ანტიკურობის გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრას? წარმოიდგინე თავი მის ადგილას. შენ რა კითხვებს დაუსვამდი მათ?

12. მოიფიქრე ან მოყვანილი წყაროებიდან აირჩიე ფრაზა, რომელიც მოკლედ გამოხატავს აღორძინების ეპოქის არსს.

13. რა ინფორმაციას გვაწვდის მოყვანილი წყაროები გვიანი შუა საუკუნეების შესახებ? რით განსხვავდება ისინი ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების წყაროებისგან? რა ტიპის წყაროებს იყენებდი შუა საუკუნეების ისტორიის, სხვადასხვა სფეროს, ყოველდღიურობის შესასწავლად?

14. იმსჯელე, მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად როგორ და რატომ გამრავალფეროვნდა წყაროები.

კოზიმო მედიჩის კარზე არაერთი სახელგანთქმული მხატვარი, მოქანდაკე თუ არქიტექტორი მოღვაწეობდა. 1462 წელს კოზიმომ ფლორენციის გარეუბანში თავისი ვილა და ბერძნული ხელნაწერები მარსილიო ფიჩინისა და სხვა მოაზროვნეებს დაუთმო. მათ პლატონისა და მისი მიმდევრების თხზულებები ლათინურად უნდა ეთარგმნათ. ასე დაარსდა იტალიური ჰუმანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური სკოლა – „პლატონის აკადემია“, სადაც, მარსილიო ფიჩინის გარდა, იკრიბებოდნენ ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა, ქრისტეფორე ლანდინო და ჰუმანიზმის სხვა ცნობილი წარმომადგენლები, მათ შორის მხატვრები, მაგ., სანდრო ბოტიჩელი. კოზიმოს შვილიშვილის, ლორენცო ბრწყინვალის, დროს ვილა აღორძინების ეპოქის კულტურის ცენტრად გადაიქცა. მის კარზე მოღვაწეობდა მიქელანჯელო ბუანაროტიც.



სურ. 3 კოზიმო მედიჩის პორტრეტი. ჯაკომო პონტორმო, XVI ს.

საზოგადოების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებამ, ახალმა აღმოჩენებმა და გამოგონებებმა.

XV საუკუნის მნიშვნელოვან გამოგონებად შეიძლება ჩაითვალოს 1445 წელს იოჰან გუტენბერგის მიერ წიგნის საბეჭდი დაზგის გამოგონება, რამაც ხელი შეუწყო რენესანსის იდეების გავრცელებას. ამიერიდან წიგნი გაცილებით მეტი ადამიანისთვის იყო ხელმისაწვდომი.

აღორძინების ეპოქაში მათემატიკისა და ასტრონომიის სფეროში პირველი მიღწევები XV ს.-ის შუა ხანებს განეკუთვნება. ი.მიულერმა შეადგინა შედარებით სრულყოფილი ასტრონომიული ცხრილები – ეფემერიდები, რომლებიც 1492 წელს გამოიცა. ამგვარი ცხრილებით მეზღვაურები სარგებლობდნენ. შწორედ მიულერის ცხრილებით იხელმძღვანელმა კოლუმბმაც შორეულ მოგზაურობაში.

XV საუკუნეში განვითარდა კარტოგრაფია და გეოგრაფია. 1490 წელს გერმანელმა მარტინ ბეჰაიმმა შექმნა პირველი გლობუსი.

მრავალ აღმოჩენათა შორის, რომლითაც ასე მდიდარია ეს ეპოქა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლონელი მეცნიერის, ნიკოლაი კოპერნიკის (1473-1543 წწ.) ჰელიოცენტრულ თეორიას. კოპერნიკმა ტრაქტატში „ციური სხეულების მოძრაობის შესახებ“ უარყო მანამდე დამკვიდრებული აზრი, სამყაროს გეოცენტრისტული აგებულების შესახებ და გამოთქვა აზრი, რომ ციური სხეულები, მათ შორის დედამიწაც, მზის ირგვლივ ბრუნავს და, ამის გარდა, დედამიწა საკუთარი ღერძის გარშემოც ტრიალებს. მაგრამ კოპერნიკის აზრმა სამეცნიერო წრეებში მხარდაჭერა ვერ პოვა. კოპერნიკის იდეები განავითარეს დანიელმა ასტრონომმა ტიხო ბრაჰემ (1545-1601 წწ.), გერმანელმა მეცნიერმა იოჰანეს კეპლერმა (1571-1630 წწ.). კოპერნიკის იდეის მიმდევრები იყვნენ იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო (1548-1600 წწ.) და ასტრონომი და ფიზიკოსი გალილეო გალილეი (1564-1642 წწ.). გალილეო იყო პირველი, ვინც ლინზებიანი მილი ტელესკოპად აქცია და ცას მისი საშუალებით აკვირდებოდა.

XV საუკუნე მნიშვნელოვანი იყო სამხედრო ისტორიის კუთხითაც. ბრძოლის დროს პირველად გამოიყენეს არტილერია. არტილერიის გამოყენების პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა ახალი - სამეცნიერო პრობლემები. მაგ., ნიკოლო ტარტალიამ ტრაქტატში „ახალი მეცნიერება“ **ბალისტიკის** საკითხები განიხილა. ჯერონიმო კარდანო, რომელიც მათემატიკოსი იყო, შეისწავლიდა ბერკეტებისა და საწონების თეორიებსაც.

ბალისტიკა – (ბერძნ. ბალო – გადავისვრი) თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს ჰორიზონტის მიმართ გარკვეული კუთხით გასროლილი მძიმე სხეულის მოძრაობის კანონებს; მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოსვლის შემდეგ.

15. იმსჯელე, როგორ აისახებოდა გამოგონებები და აღმოჩენები იმ ეპოქაში მცხოვრები ადამიანის მსოფლმხედველობაზე?

16. როგორ ფიქრობ, წიგნის ბეჭდვა მხოლოდ ჰუმანიზმის იდეების გავრცელებას შეუწყობდა ხელს? კიდევ რა სახის ლიტერატურაზე შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხოვნა საზოგადოებაში?

17. კანადელი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი მარშალ მაკლუენი კაცობრიობის განვითარების გზას მხოლოდ სამ ეტაპად ყოფს: დამწერლობამდე, დამწერლობიდან ნაბეჭდ სიტყვამდე და ნაბეჭდი სიტყვიდან კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებამდე.

რა უდევს საფუძვლად მაკლუენის მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციას?

ამ პერიოდიზაციაში ათვლის ერთ-ერთი წერტილი წიგნის ბეჭდვის დაწყებაა. რატომ მიანიჭა მეცნიერმა მას ასეთი დიდი მნიშვნელობა? პასუხი დაასაბუთე. შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული დავ. 48**).

რენესანსის ხანის მწერლობა

XIV საუკუნეში ევროპული მწერლობის ახალი ეტაპი იწყება. აღორძინების ხანის მწერლობაში სრულად წარმოჩნდა ეპოქის ჰუმანისტური იდეალები – თავისუფლება, სილამაზე, სრულყოფილება. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა და ჯოვანი ბოკაჩო. სამივე ფლორენციაში ცხოვრობდა. დანტე აღორძინების ხანის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. მისი პოემა „ღვთაებრივი კომედია“ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. პეტრარკას ჰუმანიზმის მამასაც უწოდებდნენ, მისმა სასიყვარულო სონეტებმა მკაფიოდ წარმოაჩინა ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმე და მისი ემოციების სიმდიდრე; ბოკაჩოს მიერ დაწერილ მოთხრობათა კრებულს კი „დეკამერონი“ ჰქვია. XV საუკუნის ბოლოს კათოლიკურმა ეკლესიამ „დეკამერონი“ აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა. აღორძინების ხანის მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო ფლორენციელი პოლიტიკოსი, დიპლომატი და ფილოსოფოსი ნიკოლო მაკიაველი. მან პოლიტიკური ხასიათის ნაშრომები შექმნა და დასაბამი დაუდო პოლიტიკურ რეალიზმს, რაც ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური ქმედებისათვის ნამდვილი სახელის დარქმევას გულისხმობდა.



სურ. 4 დანტე ალეგიერგია პორტრეტი. ლუკას სინიორელი. XV ს.



სურ. 5 პეტრარკას პორტრეტი. უცნობი ავტორი

აღორძინების ხანის მწერლობას, გარდა იმისა, რომ რეალისტური და ჰუმანისტური იყო, კომიკური ხასიათიც ჰქონდა, რაც არსებული რეალობის მწვავე კრიტიკას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეებში ნაწარმოებები ძირითადად ლათინურად იწერებოდა, XV საუკუნიდან კი საფუძველი ეყრება ეროვნულ მწერლობას, ნაწარმოებები იქმნება იტალიურად, ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად, რაც ამ ენების განვითარებას უწყობდა ხელს. გარდა ამისა, მხატვრული შემოქმედება უფრო ფართო მასებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. ევროპულ ქალაქებში დაარსდა თეატრები, რამაც ხელი შეუწყო დრამატურგიის განვითარებას.

18. გაიხსენე, როგორი იყო ადრე შუა საუკუნეების მწერლობა? რა მიზნებსა და იდეალებს ემსახურებოდა?

19. იმსჯელე, რატომ ვერ იქნებოდა ადრე შუა საუკუნეების მწერლობა რეალისტური, ჰუმანისტურუ და კრიტიკული?

რენესანსის ხანის სახვითი ხელოვნება

აღორძინების ხანის მსოფლმხედველობა — ჰუმანიზმი და რეალიზმი – შესანიშნავად გამოიხატა XIV-XVI საუკუნეების მხატვრობასა და ქანდაკებაში.



სურ. 6 ღვთისმშობელი ჩვილით, 1280 წ. უფიცის გალერეა, ფლორენცია



სურ. 7 ღვთისმშობელი ანგელოზებთან ერთად, სანდრო ბოტიჩელი, 1478 წ. ბერლინის სამხატვრო გალერეა.



სურ. 8 ხარება. ბიზანტიური ხატი. XIII ს.



სურ. 9 ხარება. ლეონარდო და ვინჩი. 1472-1476 წ. უფიცის გალერეა ფლორენციაში ხარება. გაბრიელ მთავარანგელოზი ახარებს მარიამ ღვთისმშობელს, რომ იგი შობს იესო ქრისტეს, ძე ღვთისას.

20. დააკვირდი ნახატებს. რით განსხვავდება რენესანსის ეპოქის ნახატები შუა საუკუნეების მხატვრობისგან?

რაციონალიზმი გაბატონდა მხატვრობაშიც. რენესანსამდელ მხატვრებს წარმოდგენა არ ჰქონდათ პერსპექტივაზე, რომელიც ასევე გამოანგარიშების პრინციპზე იყო აგებული. ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იერარქია მხატვრობაშიც იყო გადატანილი: მეფე და წმინდანი ზომებით აღემატებოდა უბრალო მოკვდავთ. ამგვარად, რენესანსის პერიოდში მხატვრობაში გაჩნდა პერსპექტივა, მხატვრები წმინდანების გარდა ხატავდნენ ადამიანებს, რომლებსაც რაღაც უხაროდათ, სწყინდათ, იღიმებოდნენ. წმინდანებსაც ჩვეულებრივი ადამიანების სახით გამოსახავდნენ. გაჩნდა პორტრეტული ჟანრი. ადამიანის სიდიდემ ბუნებრივი ზომები შეიძინა.

XV-XVI სს.-ში გაიზარდა ინტერესი ანატომიის მიმართ, რამაც ასევე უდიდესი გავლენა მოახდინა მხატვრობასა და სკულპტურაზე.

ლეონარდო და ვინჩი (1452-1519 წწ.) ხშირად არა მარტო აღორძინების ხანის, არამედ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ გენიალურ პიროვნებად მოიხსენიება. ის უდიდესი მხატვარი და მეცნიერი იყო. საზოგადოებამ ლეონარდოს ღვაწლი მოგვიანებით, მხოლოდ მას შემდეგ დააფასა, რაც მისი მემკვიდრეობისა და ხელნაწერების გაცნობა და შესწავლა დაიწყო. ლეონარდოს მიერ შექმნილი ტილოებიდან გამოსარჩევია ფლორენციელი ქალის პორტრეტი „მონა ლიზა“ (ჯოკონდა), „საიდუმლო სერობა“, რომელიც მილანში სანტა-მარია-დელე-გრაციეს ეკლესიის სატრაპეზოს ამშვენებს. ლეონარდო და ვინჩი იყო მოქანდაკეც და მუსიკოსიც. ჰქონდა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები მედიცინაში, ანატომიაში, ბოტანიკაში, ინჟინერიასა და მეცნიერების სხვა დარგებში. ჩვენამდე მოაღწია მისმა ჩანახატებმა და ჩანაწერებმა ემბრიონის განვითარების, წყლის მოძრაობის, ადამიანის აგებულების შესახებ. ასევე ცნობილია მისი ჩანახატები, რომლებზეც სხვადასხვა ტიპის (ვერტმფრენის მსგავსი) საფრენი მანქანებია გამოსახული.



სურ. 10 ლეონარდო და ვინჩის ავტოპორტრეტი

ლეონარდო და ვინჩი ითვლება ჰიდრავლიკის ფუძემდებლადაც. ის მუშაობდა ჰიდრონაგებობების მოწყობაზე, ასევე არხების გაყვანის საკითხებზე. ლეონარდოს სხვა საინტერესო იდეებიც ჰქონდა, რომელთა განხორციელებაზეც მუდმივად მუშაობდა: ხაზავდა, ხატავდა, ითვლიდა. თუმცა იმ დროისთვის ბევრი მათგანის განხორციელება წარმოუდგენელი იყო.





სურ. 11-12 საფრენი მოწყობილობები. ლეონარდო და ვინჩის ჩანახატები

ლეონარდო დაინტერესებული იყო ფრენის პრობლემებით. ამ თემაზე ის მრავალ ჩანახატს აკეთებდა და ფრინველების აგებულებას სწავლობდა. დაკვირვების გარდა, ცდებსაც ატარებდა, მაგრამ უშედეგოდ. ლეონარდოს ძალიან უნდოდა საფრენი აპარატის აგება და ხშირად ამბობდა: „ვინც ყველაფერი იცის, მას ყველაფერი შეუძლია. უნდა გავიგო და ფრთებიც მექნება“. თავიდან ლეონარდო ფრთების საშუალებით ფრენაზე მუშაობდა. ამ შემთხვევაში ადამიანს ფრთები თავად უნდა ემოძრავებინა, მაგრამ შემდეგ იმ აზრამდე მივიდა, რომ საჭირო იყო ისეთი აპარატის აგება, სადაც ადამიანი თავისუფლად იქნებოდა და ფრთების ქნევა არ მოუწევდა. ასეთ აპარატს თავად უნდა ეფრინა. ლეონარდომ ყველაფერი დაწვრილებით გამოთვალა, ერთადერთი, სადამდეც ვერ მივიდა, ძრავას იდეა იყო. ლეონარდო ისეთი საფრენი აპარატის შექმნაზე ფიქრობდა, რომელიც ვერტიკალურად აფრინდებოდა და დაეშვებოდა.



სურ. 13საიდუმლო სერობა. ლეონარდო და ვინჩი

მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564 წწ.) – მოქანდაკე, ფერმწერი, არქიტექტორი, სამხედრო ინჟინერი და პოეტი. ადამიანის სხეულის, მისი ანატომიის ზედმიწევნით ცოდნის შედეგად მიქელანჯელომ მოახერხა, დიდი სიზუსტით გადმოეცა ადამიანის სხეულის სილამაზე და სრულყოფილება.

ის პირადად მონაწილეობდა ფლორენციის თავისუფლებისთვის ბრძოლაში – ხელმძღვანელობდა ქალაქის საინჟინრო გასამაგრებელ სამუშაოებს. 1501 წელს მიქელანჯელომ მარმარილოსაგან ბიბლიური მეფის, დავითის, გამოქანდაკება დაიწყო. დავითის ქანდაკება ადამიანისთვის ღვთით ბოძებულ, განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და ძლიერებას გამოსახავს. მიქელანჯელოს გამორჩეული ნამუშევარია „პიეტა“ (ჯვრიდან გარდამოხსნილი იესოს დატირება ღვთისმშობლის მიერ), რომელიც რომის წმინდა პეტრეს ტაძარში დგას.



სურ. 14 მიქელანჯელო ბუონაროტის პორტრეტი. დანიელე და ვოლტერა, XV ს.



სურ. 15 დავითი. მიქელანჯელო ბუონაროტი 1501-1504 წწ.

1501 წელს მიქელანჯელომ მარმარილოსაგან ბიბლიური მეფის, დავითის გამოქანდაკება დაიწყო. ხუთ-ნახევარი მეტრის სიმაღლის დავითის ქანდაკება ადამიანისთვის ღვთით ბოძებულ, განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და ძლიერებას გამოსახავს.

რაფაელ სანტი (1483-1520 წწ.)

ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით, ლეონარდო განასახიერებდა ინტელექტს, მიქელანჯელო – ადამიანურ სიძლიერეს, რაფაელი კი ჰარმონიას. რაფაელის მოხატულია ვატიკანის სასახლის რამდენიმე დარბაზი. ის რომის პაპმა იულიუს II-მ მიიწვია. ამ დარბაზების ფრესკები იტალიური რენესანსის მხატვრობის ყველაზე გრანდიოზულ და მნიშვნელოვან ნიმუშებად ითვლება.

ასევე რენესანსის მხატვრობისა და სრულყოფილი სილამაზის სიმბოლოდ ითვლება „სიქსტის ღვთისმშობელიც“. ის განასახიერებს არა მარტო ღვთისმშობელს, არამედ სახეს ციური დედოფლისა, რომელსაც საკუთარი ძე – ყრმა იესო ქრისტე მიჰყავს ადამიანებთან მათი ცოდვების გამოსასყიდად.



სურ. 16 ავტოპორტრეტი. რაფაელ სანტი. 1504-6 წწ. პიტის გალერეა. ფლორენცია



სურ. 17 სიქსტის ღვთისმშობელი. რაფაელ სანტი. (1512-1513 წწ.). დრეზდენის ნაციონალური გალერეა



სურ. 18 ათენის სკოლა. რაფაელ სანტი. 1511 წ. ვატიკანი

აღორძინების ხანის დიდი იტალიელი ხელოვანები იყვნენ სანდრო ბოტიჩელი, რაფაელი, დონატელო, ტიციანი და სხვები. ახალი კულტურა XV საუკუნის ბოლოდან იტალიიდან ჩრდილოეთისკენ იწყებს გავრცელებას, სადაც ახალი იტალიური კულტურისა და ჩრდილოეთ ევროპის ადგილობრივი ეროვნული ტრადიციების შერწყმით ჩამოყალიბდა ჩრდილოევროპული აღორძინება.

აღორძინება არქიტექტურაში

აღორძინების ხანის არქიტექტურა ანტიკურ ფორმებსა და პრინციპებს უბრუნდება, განსაკუთრებით კი რომაულ არქიტექტურას. აღორძინების ხანის არქიტექტორები ახალი ნაგებობების პროექტირებისა და შენების პროცესში ძირითადად ძვ. წ. I საუკუნის გამოჩენილი არქიტექტორისა და ინჟინრის ვიტრუვიუსის ტრაქტატებს ეყრდობოდნენ. დღეს აღორძინების ხანის კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება ქალაქები ფლორენცია და ვენეცია. ამ

ქალაქებში აღორძინების ეპოქის არქიტექტურა სრულადაა წარმოდგენილი და დაცული. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი არქიტექტორები – ფილიპო ბრუნელესკი, ჯორჯო ვაზარი და სხვები. ამ ეპოქაში არქიტექტორებმა არა მარტო აღორძინეს ანტიკური ტრადიციები, არამედ უამრავი სხვა სიახლეც შემოიტანეს. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სიმეტრიასა და პროპორციებს, გეომეტრიასა და ნაგებობის შემადგენელი ნაწილების წესრიგს. ფილიპო ბრუნელესკიმ შექმნა ისეთი არქიტექტურული ფორმები, რომლებსაც მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ და სრულყოფდნენ იტალიელი ხუროთმოძღვრები. განვითარდა საერო ხასიათის სამოქალაქო არქიტექტურა; შენდებოდა ქალაქის მრავალსართულიანი შენობები, რატუშები, სავაჭრო გილდიების სახლები, უნივერსიტეტები, ბაზრები; ჩამოყალიბდა ქალაქის სასახლის ტიპი – პალაცო, ანუ მდიდარი მოქალაქის – ბიურგერის – სასახლე; შეიცვალა ქალაქების დაგეგმარება; თუ შუა საუკუნეებში არქიტექტორები, მოქანდაკეები, მხატვრები ძირითადად ეკლესიისა და მსხვილი ფეოდალების შეკვეთებს ასრულებდნენ, აღორძინების ხანაში დამკვეთთა სოციალური წრე გაფართოვდა. ხშირად ამა თუ იმ მშენებლობის ინიციატორები იყვნენ ხელოსანთა გაერთიანებები, სავაჭრო გილდიები, ქალაქის თვითმმართველობები, კერძო პირები – ბიურგერები და სხვა წარჩინებულები.

აღორძინების ხანის არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლად ითვლება სანტა-მარია-დელ-ფიორეს საკათედრო ტაძარი ფლორენციაში. მისი მშენებლობა XIII-XV საუკუნეებში მიმდინარეობდა და მას სხვადასხვა არქიტექტორი ხელმძღვანელობდა, თუმცა ტაძრის გუმბათის აგებას, რაც ყველაზე რთული და შრომატევადი საქმე იყო ფილიპო ბრუნელესკი (1377-1446 წწ.) ხელმძღვანელობდა.



სურ. 19 სანტა-მარია-დელ-ფიორეს საკათედრო ტაძარი. ფლორენცია

ტომ მიულერი, ამერიკელი ავტორი სანტა-მარია-დელ-ფიორეს გუმბათის აგების სირთულეებზე:

როგორ უნდა დაეშენებინათ ტაძრის 55-მეტრი სიმაღლის კედლებზე 42 მეტრი სიგანის გუმბათი? ტაძრის ზედამხედველებს ბევრი სხვა პრობლემაც აწუხებდათ. მათ არ სურდათ ტაძრის პროექტში ეხილათ გოტიკური არქიტექტურისათვის და მეტოქე ჩრდილო-იტალიური ქალაქების (კერძოდ, მოსისხლე მტერ მილანისათვის) დამახასიათებელი არკბუტანები (საყრდენი თაღები) და წვეტიანი თაღები. საქმე ისაა, რომ ამ მასშტაბის ნაგებობისათვის მაშინ მხოლოდ გოთიკურ არქიტექტურულ სტილსა და ხერხებს მისდევდნენ. დაიჭერდა კედლები ამ თაღების გარეშე გუმბათს, რომელიც ათობით ათას ტონას იწონის? მოიპოვებოდა კი ტოსკანაში ხარაჩოებისა და შაბლონებისათვის ხის იმდენი მასალა, რომ გუმბათის ქვის წყობისათვის საჭირო ფორმა მიეცათ? და ბოლოს, შესაძლებელი იქნებოდა გუმბათის დასმა არსებულ კედლებზე, ისე რომ ქვის წყობა არ ჩაშლილიყო? არავინ უწყოდა.

ბრუნელესკიმ გადაწყვიტა გუმბათი აგურით აეგო. 42 მეტრის დიამეტრის გუმბათის ასაგებად საჭირო იყო 36 ტონა (4 მილიონი აგური), რომელიც მან სიმაღლეზე ტაძრის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ამწეებით აზიდა.

სამშენებლო-ტექნიკურ გამოგონებების წყალობით არქიტექტორმა უზარმაზარი რვაკუთხა გუმბათი ააგო არა ფოლადისა და ბეტონის, არამედ 25 ათასი ტონა ქვისა და აგურისგან, თანაც ხეტყის გამოუყენებლად.

21. რით განსხვავდება აღორძინების ხანაში დამკვიდრებული ღირებულებები წინა ეპოქის ღირებულებებისგან?

22. ხშირად რენესანსს თანამედროვე ეპოქის დასაწყისთან აიგივებენ. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.

23. შენი აზრით, რა დანიშნულება აქვს ადამიანს თანამედროვე სამყაროში? შენი მოსაზრება შეადარე აღორძინების ეპოქის ავტორთა ნააზრევს.

ისტორიოგრაფია და ისტორიული აზრის განვითარება აღორძინების ხანაში

ჰუმანიზმმა დიდი როლი ითამაშა ისტორიოგრაფიის განვითარებაშიც. ისტორიკოსებმა პირველად გამოიყენეს ტექსტის ფილოლოგიური კრიტიკის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით მათ ეჭვქვეშ დააყენეს კათოლიკური ეკლესიის ბევრი დოკუმენტი. მათ თხზულებებში აღარ გვხვდება ლეგენდები, სასწაულების აღწერა. ჰუმანისტი ისტორიკოსების პოზიცია შემდეგნაირად გამოიხატებოდა: „ისტორია დასვენების საათებში გასართობად საკითხავი კი არ არის, არამედ მეცნიერების დარგია წინამორბედ თაობათა გამოცდილების ასათვისებლად“. პირველად სწორედ ამ დროს გაჩნდა ტერმინი „შუა საუკუნეები“, რომელიც ძველ („ძველში“ იგულისხმებოდა მსოფლიო ისტორიის პერიოდი რომის იმპერიის დაცემამდე, ახ. წ. V საუკუნემდე) და ახალ („ახალში“ ჰუმანისტები XIV-XV საუკუნეებს თვლიდნენ) პერიოდებს შორის იყო მოქცეული, ანუ V-XV საუკუნეები. სწორედ ამ დროს შემოიღეს ე. წ. „ისტორიის სამწვეროვანი დაყოფა“, ანუ ისტორიის პერიოდიზაცია ძველ პერიოდად, შუა საუკუნეებად და ახალ დროდ. ამ დაყოფას მეცნიერები ახლაც იყენებენ (დაემატა უახლესი პერიოდი). პერიოდების დათარიღება ზუსტი არ არის და ამაზე ისტორიკოსებს შორის კამათი ახლაც მიმდინარეობს.

აღორძინების ეპოქაში ნაშრომებს ქმნიდნენ იტალიელი ჰუმანისტი ლორენცო ვალა (XV ს.), ფრანგი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი ჟან ბოდენი (XVI ს.). ამ უკანასკნელის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „ისტორიის მარტივად შექმნის მეთოდი“. XVI-XVII სს. მოღვაწეობდა ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი. ის ამბობდა, რომ ღმერთს სამყაროს შეცნობა არ აუკრძალავს. ბეკონი თვლიდა, რომ მეცნიერული კვლევის გარეშე შეუძლებელია სამყაროს შეცნობა.

XIV-XV სს. ჯერ ესპანეთში, შემდეგ კი ეგვიპტეში მოღვაწეობდა თანამედროვე ისლამური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წინამორბედი, არაბი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იბნ-ხალდუნი.

პირველი წმინდა ჰუმანისტი ისტორიკოსი იყო ლეონარდო ბრუნი (1370-1444 წწ.). მას ეკუთვნის „ფლორენციელი ხალხის ისტორია“. ამ ნაწარმოების მთავარი წყარო იყო ჯოვანი ვილანის „ქრონიკები“, მაგრამ ბრუნიმ პირველწყარო ლეგენდებისა და სასწაულებისაგან გაწმინდა. მან მხოლოდ მშრალი ფაქტები ამოიღო ვილანის „ქრონიკებიდან“. ამასთანავე ლეონარდო ბრუნის დამსახურება ის იყო, რომ მან თავისი ისტორიის წერისას უამრავი სხვა მასალაც გამოიყენა, მათ შორის ფლორენციის არქივში დაცული დოკუმენტები.

წყარო ე) ლეონარდო ბრუნი, „ფლორენციელი ხალხის ისტორია“, XIV-XV სს.

„რომის იმპერიის დაცემა მას შემდეგ დაიწყო, რაც რომმა პოლიტიკური თავისუფლება დაკარგა და იმპერატორების მონა გახდა. თავისუფლების განადგურების შემდეგ გაქრა ღირსება. მთელი მმართველობა უღირსი ადამიანების ხელში გადავიდა, რაც იმპერიის დაცემის მიზეზი გახდა“.

ნიკოლო მაკიაველი – იტალიელი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი. მაკიაველის თანახმად, საზოგადოება ბუნებრივი მიზეზებით ვითარდება და არა ღმერთის ნებით. პოლიტიკურ ბრძოლაში მაკიაველის დასაშვებად მიაჩნდა მორალის კანონების უგულებელყოფა, მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალების გამოყენება; ძალაუფლებისათვის ბრძოლაში იგი ამართლებდა მმართველთა სიმკაცრესა და მუხანათობას. მაკიაველის თანახმად, სახელმწიფო ცხოვრების უმაღლესი ღირებულებაა, ყოველივე მას უნდა დაექვემდებაროს და მის მიერ უნდა იყოს მართული. სახელმწიფოს ძლიერების მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამოდგება, მათ შორის რელიგიაც. სახელმწიფოს შესახებ მაკიაველის თეორია „სახელმწიფოს ინტერესის“ დოქტრინის სახელით შევიდა ისტორიაში. მისი ძირითადი შრომებია: „მთავარი“, „ფლორენციის ისტორია“, „მსჯელობა ტიტუს ლივიუსზე“.

24. როგორი იყო შუა საუკუნეების განმავლობაში ისტორიოგრაფია და რა ცვლილება მოხდა XIV-XV საუკუნეებში? რით განსხვავდება რენესანსის ეპოქის მოაზროვნეების დამოკიდებულება ისტორიული პროცესისადმი?

25. რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიოგრაფიისთვის ტექსტის კრიტიკის მეთოდის დანერგვას?

26. წყაროს ე)-ს მიხედვით, რას ასახელებს ლეონარდო ბრუნი რომის იმპერიის დაცემის მიზეზად?

27. შენი აზრით, რომის იმპერიის დაცემის რა მიზეზს დაასახელებდა ადრეულ შუა საუკუნეებში მოღვაწე ისტორიკოსი? რატომ?

28. ეთანხმები თუ არა მაკიაველის მოსაზრებებს სახელმწიფოს შესახებ? შენი აზრით, რა არის სახელმწიფო? მაკიაველთან აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრის მიუხედავად, იმსჯელე, რატომ იყო მისი შეხედულებები იმ დროისთვის პროგრესული.

კირიაკე ანკონელი (1391-1449 წწ.) – იტალიელი ჰუმანიტი, რომელმაც სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა ანტიკური სამყაროს ქვეყნებში: საბერძნეთში, მცირე აზიაში, ასევე ეგვიპტეში, სირიაში, ლივანსა და დალმაციაში და მოგზაურობის შედეგები დღიურში ჩაიწერა, შემდეგ კი თავის ნაწარმოებში „კომენტარებში“ აღბეჭდა. კირიაკე, ჩანაწერების გარდა, აკეთებდა ჩანახატებსაც, მაგ., ძველბერძნული ქალაქის ნანგრევები კუნძულ ევბეაზე, იუსტინიანეს სვეტი, პართენონი, ეგვიპტის პირამიდები. ეს ჩანახატები დღესაც იწვევს მკვლევართა ინტერესს, რადგან იმ დროისთვის ზოგი ძეგლი უკეთ იყო შემორჩენილი, ვიდრე დღეს. კირიაკე ანკონელი არქეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც ითვლება, რადგან აგროვებდა და იხატავდა ძველ ნივთებსაც.

29. შენი აზრით, ანტიკური წარსულისა და სიძველეებისადმი ინტერესის გაზრდას, არქეოლოგიის გარდა, კიდევ რა დისციპლინების ჩამოყალიბება შეიძლებოდა მოჰყოლოდა?

30. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 49**). რა დამოკიდებულება ექნებოდა, მეცნიერული კვლევის მიმართ ერთი მხრივ, ჰუმანისტებსა და, მეორე მხრივ, კათოლიკურ ეკლესიას?.

§31. რეფორმაცია

პროტესტანტიზმი, ანუ როგორც მას სხვანაირად მოიხსენიებენ, რეფორმაცია, რთული რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც XVI საუკუნეში აღმოცენდა კათოლიციზმის წიაღში. მართალია, მანამდე კათოლიკური სამყარო მონოლითური იყო, მაგრამ მისი ისტორიის განმავლობაში არცთუ ისე იშვიათი გახლდათ გარკვეული რელიგიური მიმდინარეობების წარმოშობა, რომლებიც სერიოზულად უპირისპირდებოდნენ კათოლიკურ ეკლესიას იდეოლოგიურ ან ორგანიზაციულ ასპექტებში (ასეთები იყო, მაგალითად, კათარების, ალბიგოელებისა და ვალდენსების მოძრაობა), თუმცა კათოლიკური ეკლესიის ორსაუკუნოვანი დაუღალავი ბრძოლის შედეგად ისინი განადგურდნენ. რაც შეეხება ცალკეულ რეფორმატორებს, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XIV საუკუნის ინგლისელი ღვთისმეტყველის, ჯონ უიკლიფისა, და ნაწილობრივ, XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ჩეხი თეოლოგისა და სასულიერო მოღვაწის, იან ჰუსის, მოძღვრებანი. მაგალითად, ჯონ უიკლიფი მოითხოვდა, რომ ბიბლია მოსახლეობისთვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე თარგმნილიყო (სახარება თავადვე თარგმნა), ბიბლია მიაჩნდა რწმენის საფუძვლად და არა პაპისა და საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებანი, არ ცნობდა მონასტრულ ცხოვრებას, დანაშაულად მიაჩნდა ინდულგენციების (ინდულგენტია – ლათ. შემწყნარებლობა, შებრალება – ეკლესიის მიერ მორწმუნისთვის ცოდვების მთლიანი ან ნაწილობრივი მიტევების მოწმობა) გაცემა. უიკლიფი თვლიდა, რომ ზიარების დროს პური პურად რჩებოდა და ღვინო- ღვინოდ და ქრისტეს ხორცი და სული მათში მხოლოდ სიმბოლურად იმყოფებოდა. იან ჰუსი თავს უიკლიფის სულიერ მოწაფედ მიიჩნევდა, მის იდეებს იზიარებდა და უიკლიფისგან განსხვავებით, ამას შეეწირა კიდეც. ის ერეტიკოსად შერაცხეს და 1415 წელს კოცონზე დაწვეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თვალსაჩინო მსგავსებისა და ცალკეულ დოგმატებში – იდენტურობისა, რეფორმაცია (პროტესტანტიზმი) მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ზემოხსენებული მოძღვრებების უშუალო მემკვიდრედ. იგი უფრო დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, პროტესტანტიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, იმდროინდელ ევროპაში არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ და, მეორე მხრივ, თვით კათოლიკურ სამყაროში მიმდინარე კრიზისულმა პროცესებმა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ე.წ. „ავინიონის პაპების ტყვეობის“ სახელით ცნობილი ისტორიული მოვლენა, რომელიც 100 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. ავინიონის ტყვეობაში იგულისხმება პაპის რეზიდენციის იძულებით გადატანა რომიდან საფრანგეთის ქალაქ ავინიონში, რომლის დროსაც პაპები, ფაქტობრივად, საფრანგეთის სამეფო კარის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კათოლიკე ეკლესიას ერთდროულად ორი მეთაური ჰყავდა: ე.წ. „ავინიონის პაპი“ და რომის პაპი. მხოლოდ კონსტანცის საეკლესიო კრებამ (1417-1418) დაუსვა წერტილი დიდ განხეთქილებას და პაპად მარტინ V აირჩია.

ამ მოვლენებმა სერიოზულად შელახა კათოლიკე ეკლესიის, მისი მეთაურის, რომის პაპისა, და, ზოგადად, პაპობის ინსტიტუტის ავტორიტეტი.

უშუალოდ პროტესტანტიზმის წარმოშობა გერმანელი ბერის, ქალაქ ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორის, მარტინ ლუთერის (1483-1546) სახელს უკავშირდება. სწორედ ის იყო პირველი, ვინც აშკარად და საჯაროდ დაუპირისპირდა კათოლიკე ეკლესიას.

1. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითქმის საუკუნის განმავლობაში პაპები ავინიონის ტყვეობაში იმყოფებოდნენ?

საღვთო რომის იმპერია XVI საუკუნის დასაწყისში

XVI საუკუნის დასაწყისში საღვთო რომის იმპერია კვლავ ევროპის უდიდეს სახელმწიფოდ რჩებოდა. საკუთრივ გერმანიის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა თანამედროვე ავსტრიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, ჩეხეთისა და კიდევ სხვა მიწებიც. იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა შვეიცარიაც, რომელიც XV საუკუნის ბოლოდან, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იყო.

გერმანია **„არჩევითი მონარქია“** იყო. გერმანიის მეფეს იმპერატორად კურთხევის უფლება ჰქონდა, თუმცა იმპერატორის ხელისუფლება ვერ აერთიანებდა დაქუცმაცებულ პოლიტიკურ ერთეულებს: საკურფიურსტოებს, საჰერცოგოებს, სამარკგრაფოებს, საგრაფოებს და ა. შ., რომელთა სათავეშიც მთავრები იდგნენ. ისინი გამოსცემდნენ კანონებს, ჰყავდათ საკუთარი არმია, ხშირად ერთმანეთს ეომებოდნენ, ზავდებოდნენ, ქვეშევრდომებს ასამართლებდნენ და თავს სრულად დამოუკიდებლად გრძნობდნენ.

ფეოდალთა წრიდან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ წვრილი ფეოდალები და რაინდები. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ რაინდებისა და ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა შეამცირა, მათ თითქმის აღარ ქირაობდნენ და ისინი გაღატაკების პირას აღმოჩნდნენ. იმის მიუხედავად, რომ გლეხობა, რომელიც გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა, ბატონყმობისგან გათავისუფლებული იყო, მაინც მძიმე პირობებში ცხოვრობდა. გლეხი მიწით სარგებლობისათვის გადასახადს უხდიდა მემამულეს, სახელმწიფო გადასახადს – მთავარს და შემოსავლის მეათედს – ეკლესიას.

მატერიალურად ყველაზე კარგ მდგომარეობაში დიდ მთავრებთან ერთად სასულიერო ზედა ფენა იყო, რომელიც გლეხებისგან მიღებული გადასახადებით დიდ სარგებელს იღებდა. ამას გარდა, რომის პაპის მორჩილებაში მყოფ საეკლესიო პირებს დიდი პოლიტიკური ძალაუფლება ჰქონდათ და ხშირად თვით მეფე-მთავრებსაც არ უწევდნენ ანგარიშს.

კურფიურსტი – (გერმ. კურ – არჩევა, ფიურსტ – დიდებული) – დიდებული, რომელსაც არჩევის უფლება ჰქონდა.

არჩევითი მონარქია – მონარქიის ტიპი, როდესაც ახალ მონარქს მისი წინამორბედის უფლებამოსილებების შეწყვეტის შემდეგ ირჩევს პარლამენტი, მონარქიული ოჯახის წევრები ან სხვა სპეციალური ორგანო.

საიმპერატორო გვირგვინი ჰაბსბურგთა დინასტიას ეკუთვნოდა, თუმცა მის ბედს 7 **კურფიურსტი** წყვეტდა (7 კურფიურსტი ირჩევდა იმპერატორს).

2. დააკვირდი ნახატს. როგორ შეიძლება გავიგოთ, ვინ არიან, რომელი მხარის დიდებულები კურფიურსტები? რომელი ისტორიული დისციპლინა დაგეხმარება კურფიურსტების ვინაობის დადგენაში?

3. რატომ ჰქონდათ პაპის მორჩილებაში მყოფ სასულიერო პირებს დიდი პოლიტიკური ძალაუფლება?



სურ. 1 შვიდი კურფიურსტი. შუა საუკუნეების გერმანული მინიატურა

7 კურფიურსტის გარდა, გერმანიაში 70-მდე საერო და სასულიერო ხელისუფალი იყო: არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, ჰერცოგები, მარკგრაფები. იყო 70 მსხვილი მონასტრის აბატი, 120-მდე გრაფი, მრავარიცხოვან რაინდთა წრე, რომლებიც შედარებით დაბალ წოდებას ეკუთვნოდნენ. სახელმწიფოში არ არსებობდა საერთო გერმანული პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, მმართველობის ორგანო, არმია, ხაზინა. ერთადერთი საერთო იმპერიული ინსტიტუცია **რაიხსტაგი** იყო, რომელიც 1485 წლიდან ყოველწლიურად იკრიბებოდა. რაიხსტაგის მუშაობას ხელმძღვანელობდა მაინცის არქიეპისკოპოსი, რომელიც მთავარი-კურფიურსტების კურიის სათავეში იდგა. რაიხსტაგის გადაწყვეტილებას ამტკიცებდა იმპერატორი და ძალაში ამის შემდეგ შედიოდა.

რაიხსტაგი (გერმ. საიმპერიო კრება) – წოდებრივ-წარმომადგენლობითი სათათბირო ორგანო საღვთო რომის იმპერიაში. რაიხსტაგი იღებდა საერთო იმპერიულ კანონებს, წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, ამტკიცებდა გადასახადებს, საიმპერიო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

4. გაიხსენე, კიდევ რომელ სახელმწიფოებში არსებობდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები და რომელი წოდებები იყვნენ მასში გაერთიანებული? გამოთქვი ვარაუდი რაიხსტაგის შემადგენლობის შესახებაც.

გერმანიაში ბევრი ქალაქი იყო. XVI საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 3 000-მდე აღწევდა. დიდი ქალაქები იყო აუგსბურგი, კელნი, ნიურნბერგი, სტრასბურგი. ქალაქებში ძალაუფლება დიდებულებს ეკუთვნოდათ, საშუალო და წვრილი მოქალაქეები კი მათი ოპოზიცია იყო, რომლებიც ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობისთვის იბრძოდნენ.



სურ. 2 შეკრება რაიხსტაგში. გრავიურა XVII ს.

ქალაქების სიმრავლის მიუხედავად, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა.

გერმანული ეკონომიკის საფუძველი სამთამადნო წარმოება წარმოადგენდა. ის პირველ ადგილზე იყო ვერცხლის მოპოვებით, ცნობილი იყო მაღალხარისხოვანი თუჯის, ტექსტილის წარმოებით, წიგნის ბეჭდვით. წარმოების განვითარებული დარგების მიუხედავად, პოლიტიკური დაქუცმაცებულობა აფერხებდა გერმანიის ეკონომიკურ განვითარებას.

5. როგორ იმართებოდა გერმანული ქალაქები და რატომ იბრძოდნენ საშუალო და წვრილი მოქალაქეები თვითმმართველობისთვის? რა უფლება - მოვალეობები ჰქონდათ გლეხებს?

კათოლიკური ეკლესია XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე

კათოლიკური ეკლესია, რომელსაც პაპის კურია ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ აქტიურად ერეოდა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. დასავლეთევროპულ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს: სამყაროს საზღვრების გაფართოებას, ახალი კონტინენტების ეკონომიკურ ათვისებას, გასაღების ბაზრებზე მოთხოვნილების ზრდასა და ეროვნული სახელწიფოების გაძლიერებას თანდათან რომის პაპის ავტორიტეტის შემცირება მოჰყვა. საერო ხელისუფლებას ეკლესიისთვის გადასახადების გადახდა აღარ უნდოდა. მონარქები და პაპები აშკარად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მეფის ხელისუფლება მტკიცე იყო, რომის პაპისათვის გადასახადების გაგზავნას მეფე მეთვალყურეობდა, მაგრამ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ საღვთო რომის იმპერიაში ამას თავად სასულიერო პირები არეგულირებდნენ.

რომის ეკლესიაში გარკვეული პერიოდიდან პრაქტიკაში იყო ინდულგენციების გაცემა.

XVI საუკუნის დასაწყისში რომის პაპის, ლეო X-ის ინიციატივით, მორწმუნეთა მიერ წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობაში წვლილის შეტანის საბაბით, ეკლესიამ ინდულგენციებით ვაჭრობა გააჩაღა. მღვდლები და ეპისკოპოსები ხალხს უმტკიცებდნენ, რომ ინდულგენციის ყიდვით არათუ უკვე ჩადენილის, არამედ მომავალში ჩასადენი ცოდვისგან გათავისუფლებაც კი შეეძლოთ.

ინდულგენციებით ვაჭრობა გერმანიაში

გერმანიაში ინდულგენციებით ვაჭრობა დაევალა ბერ იოჰან ტეცელს, რომელიც მთელ გერმანიაში მოგზაურობდა, ხალხმრავალ ადგილებში ინდულგენციებს ყიდდა და ხმამაღლა იძახდა: „როგორც კი ჩემი ყულაბის ფსკერზე ფული გაიწკრიალებს, სული ჯოჯოხეთს დააღწევს თავს!“; „მე თან მაქვს საშვი, რომელიც ადამიანს სამოთხის სიამოვნებას აზიარებს. წმინდა მამას (პაპს) ზეცაშიც და ხმელეთზეც აქვს ცოდვების მიტევების ძალაუფლება, და თუკი ის მიუტევებს ცოდვებს, ღმერთმაც უნდა მიუტევოს“. ტეცელი ხალხს ყველა ცოდვისგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა და აუარებელ ინდულგენციას ყიდდა, (განურჩევლად იმისა, ინანიებდნენ თუ არა მყიდველები ცოდვებს) განსაკუთრებით გლეხებში, რომლებიც ინდულგენციით ცოდვების გამოსყიდვის შესაძლებლობას ადვილად იჯერებდნენ. ეს კი ისედაც ღარიბ გლეხებს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა.

6. იმსჯელე, ავტორს მხოლოდ ასახული აქვს ინდულგენციებით ვაჭრობა თუ საკუთარ პოზიციასაც გადმოგვცემს ინდულგენციებით ვაჭრობის ფორმასთან დაკავშირებით?



სურ. 3 ტეცელის ვაჭრობა ინდულგენციებით. გრავიურა

წყარო ა) ხალხური თქმულება ტეცელის მიერ ინდულგენციებით ვაჭრობის შესახებ

ერთხელ ბერლინისკენ მიმავალ ტეცელს გზად შემოხვდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ბერს მომავალში ჩასადენი ცოდვებისათვის ინდულგენცია მოსთხოვა. მართალია, ტეცელმა გაიკვირვა ეს უცნაური მოთხოვნა, მაგრამ, როდესაც ახალგაზრდამ დიდი თანხა შესთავაზა, ტეცელმა გადასცა მომავალი ცოდვების მოსანანიებელი ფურცელი და გზა გაანაგრძო. მეორე დღეს ტეცელსა და მის მხლებლებს თავს ყაჩაღები დასხნენ. ერთმა ბერს სიგელი უჩვენა და უთხრა: „ეს ის ცოდვაა, რომლისთვისაც გუშინ გადაგიხადე“. ყაჩაღებმა ტეცელის ეტლში მდგარი ფულით სავსე სკივრები გახსნეს, ამოასუფთავეს და გაუჩინარდნენ“.

ტეცელის მიერ შეგროვებული თანხის ნახევარი ეგზავნებოდა ბრანდენბურგის არქიეპისკოპოს ალბერტს, რომელსაც გერმანიაში ინდულგენციებით ვაჭრობის უფლება ჰქონდა მიღებული, ხოლო დანარჩენი რომში, პაპთან იგზავნებოდა.

7. შენი აზრით, რამდენად ეთანხმებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ მიღებული ინდულგენციებით ვაჭრობის დადგენილი წესი ქრისტიანული მოძღვრების პრინციპებს?

8. შენი აზრით, რატომ იყიდებოდა უფრო მეტად ინდულგენციები გლეხებში და რატომ იჯერებდნენ ისინი ადვილად ცოდვების გამოსყიდვის შესაძლებლობას?

9. შენი აზრით, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო საზოგადოებაში ინდულგენციების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი? პასუხი დაასაბუთე.

10. რაზე მეტყველებს ხალხური თქმულება ტეცელის შესახებ?

რეფორმაცია

სწორედ კათოლიკე ეკლესიის ინდულგენციებით ვაჭრობა გახდა იმის საბაბი, რომ ბერმა მარტინ ლუთერმა 1517 წელს ქალაქ ვიტენბერგის ეკლესიის კარზე მიაკრა „95 თეზისი“, რომელშიც გმობდა ინდულგენციით ვაჭრობას და ამტკიცებდა, რომ სულის ხსნა ინდულგენციითა და წმინდა ადგილების მოლოცვით კი არა, ჭეშმარიტი სინანულითა და რწმენით მიიღწევა.

„95 თეზისი“ კათოლიკე ეკლესიასთან ლუთერის პირველი აშკარა დაპირისპირება იყო. იგი ამაზე არ შეჩერებულა და თანმიმდევრული ლოგიკური განვითარების შედეგად მისი მოძღვრების ამოსავალ დებულებად იქცა რწმენით გამართლების დოგმატი, ანუ ქრისტიანის სულის ხსნის საკითხში რწმენის უპირატესობის აღიარება.



სურ. 4 ბერი მარტინ ლუთერი, ლუკას კრანახ უფროსი, 1520 წ. ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი ლონდონში

ლუთერისათვის მიუღებელი იყო კათოლიკური პრინციპი, რომლის თანახმად, ადამიანის სულის ხსნა შეიძლება „კეთილი საქმეებით“ – წირვა-ლოცვაზე სისტემატური დასწრებით, მარხვით, წმინდა ადგილების მოლოცვით, შემოწირულობების გაღებით და თვით სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობითაც კი (ბერობით, მღვდლობით). ლუთერს მიაჩნდა, რომ სულის ხსნა რწმენის გარეშე წარმოუდგენელია და რომ ადამიანი უფლის წინაშე მხოლოდ რწმენით გამართლდება. ლუთერის მოსაზრებით, კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესიების წარმოდგენებისაგან განსხვავებით, უფლის მადლი ადამიანზე ეკლესიის მეშვეობით კი არა, პირდაპირ გადმოდის და ამისთვის შუამავალი (ეკლესია) საჭირო არ არის. აქედან გამომდინარე, არანაირი საეკლესიო ან საერო სტატუსი და იერარქია სულის ხსნის გარანტიას არ წარმოადგენს. ღვთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. არ არსებობს პრინციპული სხვაობა საერო და სასულიერო პირებს შორის. ლუთერი ფიქრობდა, რომ ღვთისმ¬სახურება არა ლათინურ, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ენებზე უნდა აღსრულებულიყო, რათა ის ყველასთვის გასაგები ყოფილიყო.

ეს იყო ქრისტიანობის სრულიად ახლებური გაგება, რომლის მიმართ კათოლიკე ეკლესია, ცხადია, მტრულად განეწყო და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინა. პაპმა ლუთერს მწვალებლობა დააბრალა და 1521 წელს ის ეკლესიისგან განკვეთა. ამის საპასუხოდ ლუთერმა პაპის სიგელი საჯაროდ დაწვა კოცონზე და, პირიქით, ის გამოაცხადა მწვალებლად.
რომის პაპის მხარე დაიჭირა საღვთო რომის იმპერატორმა კარლ V-მ, რომელიც იმ დროს ომებში იყო ჩაბმული და რომის პაპისა და კათოლიკე სამღვდელოების მხარდაჭერა სჭირდებოდა.
ლუთერი იმპერიაში კანონგარეშე გამოცხადდა. დაიწყო მისი მომხრეების დევნა. ვიტენბერგ-საქსონიის ჰერცოგმა მის უსაფრთხოებაზე ზრუნვა გადაწყვიტა. ჰერცოგის ხალხმა ლუთერი მოიტაცა და ციხესიმაგრეში გადამალა. იქ ლუთერმა გერმანულ ენაზე თარგმნა ბიბლია, რითაც გერმანულ სალიტერატურო ენას ჩაუყარა საფუძველი.



სურ. 5მარტინ ლუთერი რაიხტაგში.ფერადი ხის გრავიურა. 1556 წ.

ლუთერის წამოწყებულ მოძრაობას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა დიდებულებსა და მოქალაქეებს შორის. გერმანიის სამთავროთა ნაწილი რეფორმაციას მიემხრო. რაიხსტაგში ლუთერის მომხრეებმა თავიანთთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება შეძლეს. ყოველ გერმანელ მთავარს უფლება ეძლეოდა, თავის სამფლობელოში საკუთარი შეხედულებისამებრ აერჩია რელიგიური აღმსარებლობა. თუმცა მომდევნო რაიხსტაგმა 1529 წელს ეს გადაწყვეტილება გააუქმა, რასაც რეფორმაციის მომხრე მთავრებისა და ქალაქების საჯარო პროტესტი მოჰყვა (აქედან მომდინარეობს „პროტესტანტიზმი“ და „პროტესტანტები“). ლუთერის მოძღვრების მიმდევრებს პროტესტანტები ეწოდათ. უთანხმოება კათოლიკურ და პროტესტანტულ სამთავროებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

11. შენი აზრით რატომ დაუჭირა მხარი კარლ V-მ რომის პაპს?

12. რა იყო მარტინ ლუთერის დებულებების მთავარი პრინციპები?

13. შენი აზრით, რატომ შეიფარა მთავარმა ლუთერი? რატომ გახდა მისი მოძღვრება გერმანიაში ასე პოპულარული?

14. რა მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი ხალხისთვის ბიბლიის მშობლიურ ენაზე თარგმნას?

15. როგორ ფიქრობ, გერმანიაში კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას, რელიგიურის გარდა, სხვა მიზეზებიც ჰქონდა თუ არა?

ლუთერანული რწმენა

საბოლოოდ ლუთერმა უარყო არა მარტო ეკლესიის ტრადიციული გაგება და სასულიერო პირების ინსტიტუტები (ბერმონაზვნობა, მღვდლობა, პაპობა), არამედ ღვთისმშობლის კულტი, ანგელოზთა და წმინდანთა თაყვანისცემა, მარხვა (როგორც სავალდებულო რიტუალი), ხატები და წმინდა ნაწილები. ლუთერანობის თანახმად, მორწმუნეთა თემის სასულიერო ხელმძღვანელი ტრადიციული (მართლმადიდებლური ან კათოლიკური გაგებით, „ღვთაებრივი მადლით ცხებული“) მღვდელი კი არა, თავად თემის მიერ არჩეული სასულიერო პირი – პასტორი – უნდა ყოფილიყო. გამარტივდა კათოლიკე ეკლესიის ნორმები. შვიდი საეკლესიო საიდუმლოდან დარჩა მხოლოდ ორი – ზიარება და ნათლობა.

ლუთერს მიაჩნდა, რომ რწმენის საფუძველი მხოლოდ ბიბლიაა და მისი განმარტების უფლება მარტო სასულიერო პირებს კი არა, ნებისმიერ მორწმუნეს აქვს, ხოლო რწმენის საკითხებში გადაწყვეტილება მიიღება არა უმრავლესობის ან უმცირესობის, არამედ მხ-

ოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით მიხედვით. შესაბამისად, ნებიმიერ მორწმუნეს შეეძლო ყოფილიყო სასულიერო პირი (პასტორი). ამით ლუთერმა აღიარა საყოველთაო მღვდელობა, ხოლო ადამიანის მთელი საერო მოღვაწეობა, ანუ მისი საზოგადოებრივი, პროფესიული და პირადი ცხოვრებაც ღვთის მსახურებად გამოაცხადა. ამ დებულებით ლუთერმა საფუძველი ჩაუყარა პროტესტანტული ეკლესიის დემოკრატიული პრინციპით მოწყობას, რომელშიც სასულიერო პირის არჩევითობა, თემის წინაშე მისი ანგარიშვალდებულება და თემის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა იგულისხმება.

პირველად ლუთერმა წამოაყენა ეკლესიისაგან სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იდეა.

16. როგორ ფიქრობ, რა რეაქცია ექნებოდა ამ იდეას საზოგადოების მხრიდან?

17. რამდენად მართებულად მიგაჩნია ლუთერის ეს იდეა? პასუხი დაასაბუთე.

საბოლოოდ ლუთერმა კათოლიციზმისაგან მარტო ის დატოვა, რაც პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა საღვთო წერილს. ზოგიერთი თეოლოგის აზრით, ლუთერმა ეკლესიის ავტორიტეტი ბიბლიის ავტორიტეტით შეცვალა და ქრისტიანობა წიგნის რელიგიად აქცია.

კარლ მარქსი, გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ლუთერის შესახებ:

„მან დაამარცხა მონობა გარეგნული ღვთისმოსაობისა, რათა მის ადგილზე დაემკვიდრებინა მონობა მრწამსის მიხედვით; მან დაამსხვრია ავტორიტეტის რწმენა, რათა აღედგინა რწმენის ავტორიტეტი; მან აქცია ერისკაცებად მღვდლები, რათა ერისკაცები მღვდლებად გადაექცია; მან გაათავისუფრლა ადამიანი გარეგანი რელიგიურობისაგან, რათა რელიგიურობა ადამიანის შინაგან სამყაროდ გადაექცია. მან ახსნა ბორკილები ხორცს, რათა სამუდამო ბორკილებში მოემწყვდია გული“.

18. ეთანხმები თუ არა ამ შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.

რეფორმაცია გერმანიაში მალე საერთო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა, თუმცა სხვადასხვა ფენისა და წრის წარმომადგენლები ლუთერის სწავლებას, საკუთარი ინტერესების მიხედვით, განსხვავებულად ხსნიდნენ.

ბიურგერები სასწრაფოდ მოითხოვდნენ ეკლესიაში რადიკალურ ცვლილებებს. მათ უკმაყოფილებას ხშირად თან სდევდა კათოლიკური ეკლესია-მონასტრების დარბევა. აჯანყდა რაინდთა ნაწილიც – მათ, გერმანიის რომის პაპის გავლენისგან გათავისუფლების გარდა, რაინდთა წრის მდგომარეობის განმტკიცებაც უნდოდათ. მალე გერმანიაში გლეხთა ომიც დაიწყო (1524-25 წწ.). მართალია, ისინი რეფორმაციას ემხრობოდნენ, მაგრამ სოციალური მოთხოვნებიც ჰქონდათ. გლეხთა მოძრაობის ლიდერს, ტომას მიუნცერს, მიაჩნდა, რომ მიწაზე ღვთაებრივი სამართლიანობისა და სიკეთის აღდგენა მხოლოდ მშრომელ ხალხს შეუძლია, მაგრამ გლეხებისა და ხელოსნებისთვის ძალაუფლების მიცემას არავინ აპირებდა. ტომას მიუნცერი სიკვდილით დასაჯეს, უამრავი ადამიანი კი ომის დროს დაიღუპა.

19. შენი აზრით, რა მიზეზებმა განაპირობა გლეხთა ომის დაწყება და რატომ ვერ მიაღწიეს მათ წარმატებას?

20. შენი აზრით, გერმანელ ბიურგერებსა და რაინდებს ექნებოდათ თუ არა ერთნაირი მოთხოვნები?

21. მიუნცერის მოთხოვნებს სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს. შენი აზრით, რატომ?

რეფორმაციამ საკმაოდ მძიმე დარტყმა მიაყენა კათოლიციზმს, მაგრამ ცოტა ხანში კათოლიკე ეკლესიის რეაქციამაც არ დააყოვნა. ტრიენტის საეკლესიო კრებამ (1545 - 1549; 1551-1552; 1662-1663) რეფორმაცია ქრისტიანობის მთავარ მტრად გამოაცხადა. კრებაზე განიხილეს კათოლიკე ეკლესიაში არსებული პრობლემები. კრებამ ოფიციალურად გააუქმა ინდულგენციებით ვაჭრობა, რაც მნიშვნელოვანი კომპრომისი იყო, და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ნიკეის საეკლესიო კრებაზე (325 წ.) მიღებული გადაწყვეტილებებისა და ბიბლიის ლათინური თარგმანის კანონიკურობა.

წყარო გ) რომის პაპი პიუს X რეფორმაციის შესახებ

რეფორმატორები „სიამაყისა და აჯანყების ჟინით, მიწიერი და არა ზეციური დიდებით გასწორებას კი არ ისახავენ მიზნად, არამედ სარწმუნოების ფუნდამენტური დოგმების ნგრევას, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია... განუკითხაობის ყულფში თავგაყოფილნი ეკლესიის ავტორიტეტს უარყოფენ... და ქრისტიანული მოძღვრების, ეკლესიის წყობილებ¬სა და წესრიგის განადგურებას ცდილობენ. ყოველივე ამის შემდეგ კი... ბედავენ და თავის აჯანყებას, რელიგიისა და მორალის ნგრევას „რესტავრაციას“, საკუთარ თავს კი ძველი წესრიგის „რესტავრატორებს“ უწოდებენ. სინამდვილეში ისინი გამანადგურებლები არიან... მათ ახალ დროში ეკლესიისგან განდგომილთა რიცხვი გაზარდეს“.

კარლ V-ს იმედი ჰქონდა, რომ პაპის მხარდაჭერითა და რეფორმაციის დამარცხებით სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებას შეძლებდა, მაგრამ ლუთერის მომხრე გერმანელ დიდებულებთან ბრძოლაში მან გამარჯვებას ვერ მიაღწია და იძულებული გახდა, დათმობებზე წასულიყო. 1555 წელს ქ. აუგსბურგში კარლ V-მ გერმანელ დიდებულებთან რელიგიური ზავი დადო, რომლის თანახმადაც ყოველ მთავარს უფლება მიენიჭა, თავის სამფლობელოში პროტესტანტობა ან კათოლიკობა აერჩია. გერმანიის 7 მთავრიდან 3 პროტესტანტი, ანუ ლუთერანული აღმსარებლობის მიმდევარი, გახდა.



სურ. 6 საღვთო რომის იმპერატორი კარლ V და რომის პაპი კლიმენტ VII, ჯაკოპო ლიგოცი, XVI ს.

22. წარმოიდგინე, რომ არ იცი ვის ეკუთვნის ნახატი, როდისაა შესრულებული, ვინ არიან მასზე გამოსახული. ჩამოწერე კითხვები, რომლებიც ნახატის დახმარებით ამ საკითხების გამორკვევაში დაგეხმარება.

კარლ V (1519-1558 წწ.) საღვთო რომის საიმპერატორო საგვარეულოს – ჰაბსბურგების – წარმომადგენელი, იმავდროულად, დედის მხრიდან ესპანეთის მეფე-დედოფლის ფერდინანდისა და იზაბელის შთამომავალი (შვილიშვილი) იყო, შესაბამისად, გერმანიის გარდა, მას ეკუთვნოდა ნიდერლანდები, იტალიისა და ესპანეთის ნაწილი ამერიკული სამფლობელოებით.

1555 წელს აუგსბურგში დადებული ზავის შემდეგ დამარცხებულმა კარლ V-მ კურფიურსტებს მიმართა, რომ ტახტიდან გადაეყენებინათ, თუმცა მისი თხოვნა მხოლოდ 1558 წელს დააკმაყოფილეს. მან გერმანიის იმპერატორობა თავის ძმას ფერდინანდ I-ს გადასცა, ხოლო ნეაპოლის, ნიდერლანდების, ესპანეთისა და ამერიკის კოლონიების მმართველობა თავის ვაჟს ფილიპე II-ს უანდერძა. ასე გაიყო ჰაბსბურგთა საგვარეულო ორ შტოდ – ავსტრიელ და ესპანელ ჰაბსბურგებად.

23. რა იყო მარტინ ლუთერის წამოწყებული ბრძოლისა და რეფორმაციის საბოლოოდ გამარჯვების მიზეზი?

24. მოიყვანე არგუმენტები რომის პაპის მიერ ტრენტის საბჭოზე გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ.

25. რა გავლენას მოახდენდა რეფორმაცია საზოგადოებაზე? სახელმწიფოზე? შეასუსტებდა თუ არა იმპერატორის ძალაუფლება?

26. როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა რეგორმაციაზე აღორძინების ხანის იდეები?

27. დიდი ხნის განმავლობაში ისტორიკოსთა შორის კარლ V-ის შეფასებისას ეროვნული მოტივები ჭარბობდა. გერმანელი ისტორიკოსების აზრით, ჰაბსბურგთა საგვარეულოს გაყოფისას კარლ V გერმანიის ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ხოლო ესპანელი ისტორიკოსები მის ქმედებაში ესპანეთისა და კათოლიკური ეკლესიის ერთიანობისთვის ზრუნვას ხედავდნენ. ისტორიკოსები იმავდროულად აღიარებდნენ, რომ, აუგსბურგის ზავით რაც მისაღები იყო გერმანიისთვის, მიუღებელი იქნებოდა ესპანეთისთვის. კლასში იმსჯელეთ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო აუგსბურგის ზავი გერმანიისა და ესპანეთისთვის განსხვავებული მნიშვნელობის? მოაწყვეთ დისკუსია და შეაფასეთ კარლ V-ის გადაწყვეტილება ორივე პოზიციის თვალსაზრისით, მოიყვანეთ არგუმენტები.

28. რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა რეფორმაციას ევროპისთვის? შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული, დავ. 50**).

§32-33. რეფორმაციის გავრცელება. კონტრრეფორმაცია.

რეფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობა: ლუთერანობა, კალვინიზმი, ანგლიკანობა, ანაბაპტიზმი. მათ გარდა, არსებობს სხვა პროტესტანტული მიმდინარეობებიც. მაგ., ადვენტისტები, პრესვიტერიანელები და სხვ.

კალვინიზმი

შვეიცარიაში რეფორმაციას სათავეში ედგა განმანათლებელი ულრიხ ცვინგლი. ცვინგლის მოძღვრება ძირითადად ემთხვეოდა ლუთერისას, მაგრამ ლუთერისგან განსხვავებით, იგი ნათლობასა და ზიარებას მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ცვინგლი ლუთერზე უფრო აგრესიულად ებრძოდა საეკლესიო წეს-ჩვეულებების დაკანონებულ ტრადიციებს. მან კატეგორიულად უარყო საკურთხეველი, ხატები, ჯვარი, ყოველგვარი რელიგიური რიტუალი, ლოცვის მუსიკალური გაფორმება, ზარების რეკვა და ა. შ. ცვინგლის მოძღვრება სწრაფად გავრცელდა ქვეყნის ნაწილში, მაგრამ სამხრეთ შვეიცარიაში სწავლება არ მიიღეს, რასაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი მოჰყვა. ერთ-ერთი შეტაკების დროს ცვინგლი დაიღუპა.



სურ. 1 ჟან კალვინის პორტრეტი. უცნობი ავტორი, XVI ს.

1546 წელს გარდაიცვალა მარტინ ლუთერიც და რეფორმაცია თავისი სულიერი ლიდერების გარეშე დარჩა.

ლუთერის მომავალი მემკვიდრის ამოცანა კიდევ უფრო რთული იყო, რადგან რეფორმაციის შემდგომი წარმატებისათვის საკმარისი აღარ იყო არც კათოლიკე ეკლესიის ნაკლოვანებების მხილება და არც პროტესტანტული მოძღვრების უბრალო ქადაგება. მწყობრი კათოლიკური სისტემის საფუძვლების შესარყევად რეფორმაციას სჭირდებოდა პროტესტანტული პრინციპების არანაკლებ მწყობრი სისტემა. ახალ პროტესტანტულ ეკლესიას ისეთივე მკაცრი და გამართული ორგანიზაცია უნდა ჰქონოდა, როგორიც კათოლიკეს, დაბოლოს, აუცილებელი იყო ახალი დამოუკიდებელი ცენტრის შექმნა, საიდანაც თამამად უნდა გაწეულიყო რელიგიური პროპაგანდა.

ამგვარ ცენტრად XVI ს-ის ბოლოს იქცა ჟენევა, ხოლო ეკლესიის ორგანიზატორის მისია საფრანგეთიდან დევნილმა თეოლოგმა ჟან კალვინმა (1509-1564 წწ.) იტვირთა. თავისი ნაშრომით, „ქრისტიანული რწმენის დარიგებანი“, მან პროტესტანტული მოძღვრების სისტემატიზაცია მოახდინა. ნაშრომის გამოსვლისთანავე არა მარტო პროტესტანტები, არამედ კათოლიკეებიც მიხვდნენ, თუ რა მძლავრი დასაყრდენი პოვა მისი სახით პროტესტანტობამ. ცნობილი კათოლიკე მწერალი და მოაზროვნე ლორიმონ დე რემონი მას „მწვალებლობის ყურანს“ და „ჩვენი უბედურების მთავარ მიზეზს“ უწოდებდა. ჩგარდა ამისა, კალვინმა ჟენევაში კარგად ორგანიზებული პროტესტანტული ეკლესია ჩამოაყალიბა.

აქედან მოყოლებული, რეფორმაციის მომხრეებს შეეძლოთ წამოეყენებინათ რწმენის მკაფიო, ნათელი ფორმულირება და კათოლიციზმის მწყობრი ორგანიზაციისთვის საკუთარი, ასეთივე მწყობრი ორგანიზაცია დაეპირისპირებინათ.

უნდა აღინიშნოს, რომ კალვინს ლუთერის მოძღვრებისგან განხსვავებული რაიმე ახალი დებულება არ წამოუყენებია, თუმცა ბევრ საკითხში იგი გაცილებით რადიკალური იყო. რწმენის საკითხში კალვინი, ლუთერის მსგავსად, მხოლოდ ერთ უპირობო ავტორიტეტს აღიარებდა – წმინდა წერილს. მისი აზრით, ღმერთმა ერთხელ და სამუდამოდ გამოხატა თავისი ნება წმინდა წერილში და აქედან გამომდინარე, ადამიანის მთელი ცხოვრება, როგორც

რელიგიურ-ზნეობრივი, ისე პოლიტიკური და, მასთან ერთად, ეკლესიის მოწყობაც, მკაცრად უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ამ კანონთან. კალვინი კატეგორიულად უარყოფდა ბერმონაზვნობას, მაგრამ კათილიციზმისთვის დამახასიათებელი ასკეტური იდეალი მან ყველა მორწმუნისთვის სავალდებულო გახადა. როგორც მოგვიანებით ცნობილმა ფრანგმა განმანათლებელმა ვოლტერმა აღნიშნა, „კალვინმა ფართოდ გააღო მონასტრების კარიბჭენი, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ბერმონაზვნები გამოსულიყვნენ იქიდან, არამედ იმისთვის, რომ მთელი კაცობრიობა შიგ შეერეკა“.

კალვინი კატეგორიულად გამოდიოდა ეკლესიის დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობის მოთხოვნით. მისი აზრით, ყოველი რელიგიურ თემს უნდა ესარგებლა თვითმმართველობით; ეკლესიის მართვაში მთავარი უნდა ყოფილიყო არჩევითობისა და თემის წინაშე ანგარიშგების პრინციპი. ეს იდეები კალვინმა სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებზეც გადაიტანა და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი მართვის საკითხებში მმართველობის რესპუბლიკური პრინციპი შეიმუშავა. მან არა მარტო შექმნა სახელმწიფოს დემოკრატიულ პრონციპებზე მოწყობის თეორიული მოდელი, არამედ პრაქტიკულად განახორციელა კიდევაც ის ჟენევაში (ჟენევის რესპუბლიკა), რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ევროპაში რესპუბლიკური მმართ¬ველობის ჩამოყალიბებას.

ასეთივე რადიკალური იყო კალვინი ღვთისმსახურების საკითხებშიც. თუ ლუთერის თანახმად, ეკლესიაში ყველაფერი, რაც ბიბლიას ეწინააღმდეგებოდა, უნდა გაუქმებულიყო, კალვინი უფრო შორს წავიდა და ისიც კი გააუქმა, რასაც ბიბლია პირდაპირ არ ითხოვდა. მან აკრძალა ისიც, რაც ლუთერს დასაშვებად მიაჩნდა, მაგალითად, საეკლესიო გალობა და ორღანი, რადგან მიაჩნდა, რომ ქრისტიანობა სულის რელიგიაა და არავითარ გარეგან ფორმას არ საჭიროებს.

კალვინმა უკიდურესობამდე განავითარა ლუთერის მოსაზრება ღვთაებრივი წინასწარგანსაზ-ღვრულობის შესახებ. ლუთერი ცდილობდა, ადამიანის ღვთაებრივი წინასწარგანასაზღვრულობის იდეა მის თავისუფალ ნებასთან მოერიგებინა, კალვინი კი ამტკიცებდა, რომ არავითარი თავისუფალი ნება ადამიანისა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ეს იგივეა, ღმერთის ნება ადამიანისას დაუქვემდებარო. ᳕უფალი თავისი გულმოწყალების განსადიდებლად მავანს წინასწარ განუსაზღვრავს ხსნას, ხოლო სხვას, თავისივე სამართლიანობის განსადიდებლად, წინასწარ განუსაზღვრავს წაწყმედას.

კალვინის მოსაზრებით, ჭეშმარიტი მორწმუნე მხოლოდ ის შეიძლება გახდეს, ვინც ღმერთის „რჩეულია“, მაგრამ ადამიანს არ ძალუძს, განჭვრიტოს ღვთის საიდუმლო გადაწყვეტილებები და არც არავინ იცის წინასწარ, რჩეულია ის თუ დასაღუპად განწირული (და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მის წარმომავლობასა და სოციალურ მდგომარეობას). პირიქით, ყველა უნდა თვლიდეს, რომ სწორედ ის არის რჩეული და თავგამოდებით ცდილობდეს, თავისი რწმენითა და ქცევით რჩეულობის ღირსი იყოს. აქედან გამომდინარე, კალვინს მიაჩნდა, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურია, წარმატება სხვადასხვა საქმიანობაში (მათ შორის – პროფესიულშიც) ადამიანის რჩეულობის ერთ-ერთი ნიშანია. ამ პრინციპმა დროთა განმავლობაში დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, მათ შორის, ეკონომიკურზეც. ᳕პროტესტანტულმა რწმენამ, რომ საერო ცხოვრებაც ღვთის სამსახურის ასპარეზია, განაპირობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის საკითხის უდიდესი მნიშვნელობა პროტესტანტებისთვის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პროტესტანტული რელიგიური თემები აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნიდერლანდებსა და, განსაკუთრებით, ინგლისში კი ეს თემები ადრებურჟუაზიულ პოლიტიკურ ორეგანიზაციებად(პოლიტიკური პარტიების პროტოტიპებად) გადაიქცნენ და უზარმაზარი როლი შესრულეს ამ ქვეყნების რევოლუციებში.

ჟენევა კალვინის სიცოცხლეშივე გადაიქცა რეფორმაციის ცენტრად, საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

კალვინისტები სასტიკად უსწორდებოდნენ თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეებს, მაგალითად, კალვინის ძალისხმევით დააპატიმრეს ჟენევაში მოღვაწე ესპანელი ჰუმანისტი, ექიმი და თეოლოგი მიგელ სერვეტი და „მკრეხელობისთვის“ კოცონზე დაწვეს; ერთ-ერთი პროტესტანტული მიმდინარეობის, **ანაბაპტისტების** წარმომადგენლების შესახებ კი კალვინი წერდა: „ესენი (ანაბაპტისტები) ისევე უნდა განადგურდნენ, როგორც ესპანელი სერვეტი გავანადგურე“.

ანაბაპტიზმი – პროტესტანტიზმის ერთ-ერთი რადიკალური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა საეკლესიო იერარქიას, ქადაგებდა პაციფიზმს, მოითხოვდა საერთო საკუთრებას, ადამიანის მოწიფულ ასაკში მონათვლას და ა.შ. გამოხატავდა ქალაქების ღარიბი მოსახლეობისა და ხელოსნების ინტერესებს.



სურ. 2 ხატების განადგურება ციურიხში. 1524 წ., უცნობი მხატვარი

1. რა ფაქტორების გამო იყო რეფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის სახელმწიფოების მომავალი განვითარებისათვის?

2. რატომ იყო დამკვიდრებული ევროპის სახელმწიფოებში და მოსახლეობაში კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი? რა უწყობდა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის შენარჩუნებას ხელს?

3. რა განასხვევებს ლუთერისა და კალვინის მოძღვრებას ერთმანეთისგან?

4. შენი აზრით როგორ შეუწყო კალვინისტურმა მოძღვრებამ ეკონომიკის გარდაქმნას ხელი? შეავსე ცხრილი: რა გავლენა მოახდინა კალვინიზმმა სხვადასხვა სფეროზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 51**)

5. შენი აზრით რატომ იყენებდნენ კალვინისტები რადიკალურ მეთოდებს მათი იდეური მოწინააღმდეგეთა მიმართ?

6. სურათის გაცნობის შემდეგ იმსჯელე რა დამოკიდებულება ჰქონდათ კალვინისტებს ეკლესიების მიმართ და რა დეტალებმა მიიქცია შენი ყურადღება? რატომ?

ანგლიკანური ეკლესია

გერმანიაში რეფორმაციის დაწყების შემდეგ ინგლისის მეფემ, ჰენრი VIII-მ (1509-1547 წწ.), მხარი რომის პაპს დაუჭირა და ზომებიც კი მიიღო, რომ რეფორმაცია ინგლისში არ გავრცელებულიყო, თუმცა შემდეგ პოზიცია შეიცვალა. 1534 წელს მან რომის პაპთან ურთ-

იერთობა გაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებას დიდებულებმაც დაუჭირეს მხარი. იმავე წელს ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა „უზენაესობის აქტი“. ეს დოკუმენტი მეფე ჰენრი VIII-სა და შემდგომში მის მემკვიდრეებს ინგლისის ეკლესიის ერთადერთ და უზენაეს მეთაურად აღიარებდა, რადგან ინგლისის ეკლესიის გარდაქმნის სათავეში თავად ინგლისის მეფე იდგა.

ჰენრი VIII-ის, მისი ვაჟის ედუარდ VI-ისა (1547-1553 წწ.) და ქალიშვილის ელისაბედ I-ის (1558-1603 წწ.) მეფობის პერიოდში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ანგლიკანური ეკლესია, რომელსაც სახელი ქვეყნის სახელის მიხედვით ეწოდა.

ანგლიკანობის პრინციპების ჩამოყალიბებაში ჰენრი VIII-სა და ედუარდ VI-თან ერთად დიდი როლი ითამაშა კენტერბერიელმა არქიეპისკოპოსმა თომას კრანმერმა, რომელმაც ანგლიკანური ეკლესია კათოლიკობას, ლუთერანიზმსა და კალვინიზმს შორის მოაქცია.

ჰენრი VIII დაქორწინებული იყო ესპანეთის „კათოლიკე მეფეების“ ფერდინანდისა და იზაბელის ქალიშვილზე – კატარინა არაგონელზე, რომელთანაც ტახტის მემკვიდრე ვაჟი არ უჩნდებოდა. ჰენრიმ მეუღლესთან გაყრა გადაწყვიტა. მას ანა ბოლეინზე დაქორწინება სურდა. ჰენრიმ რომის პაპს მიმართა, რომ მისი ქორწინება კატარინა არაგონელთან გაეუქმებინა, რათა შემდეგ ბოლეინზე ექორწინა. რომის პაპმა ჰენრი VIII-ს განქორწინების უფლება არ მისცა. ამან დაარწმუნა მეფე, რომ ძალაუფლებას მხოლოდ მას შემდეგ განიმტკიცებდა, თუ საკუთარ საქმეებში რომის პაპს ჩარევის უფლებას არ მისცემდა და მისი გავლენისგან გათავისუფლდებოდა. ჰენრიმ რომის პაპთან ურთიერთობა შეწყვიტა და ანა ბოლეინზე თვითნებურად დაქორწინდა. რომის პაპმა ჰენრი VIII ეკლესიისგან განკვეთა, რის შემდეგაც ინგლისში რეფორმაციას სათავეში მეფე ჩაუდგა.

ელისაბედ I-ის დროს, 1563 წელს, მიღებულ ე. წ. „რწმენის 39 მუხლში“ ანგლიკანური ეკლესიის ძირითადი პრინციპებია თავმოყრილი. თუკი ლუთერანები ქრისტიანობას მხოლოდ ბიბლიაზე დაყრდნობით განიხილავენ, ანგლიკანები ბიბლიასთან ერთად მოციქულთა ქადაგებებს და წმინდა მამების შეგონებებს ეყრდნობიან. ანგლიკანიზმში არსებობს იერარქია – ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები, რადგან ანგლიკანიზმი აღიარებს, როგორც ეკლესიის შუამავალ როლს, ისე პირადი რწმენით გამართლებით პრინციპსაც. ამით ანგლიკანური ეკლესია ტრადიციული პროტესტანტობისაგან განსხვავდება.

7. ჰენრი VIII-ის მიერ რომის პაპის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას დიდებულებმაც დაუჭირეს მხარი. შენი აზრით, რატომ?

8. პროტესტანტული მიმდინარეობა – ანგლიკანიზმი – ძირითადად დიდ ბრიტანეთშია გავრცელებული. იმსჯელე, რატომ?

რელიგიური ომი საფრანგეთში

ყველაზე ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლა პროტესტანტული ეკლესიის თავისუფლებისთვის საფრანგეთში მიმდინარეობდა. XVI საუკუნის 60-იან წლებში მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა პროვინციაში, კალვინისტური თემები არსებობდა. მათი რიცხვი 2 000-ს აღწევდა, მორწმუნეთა რაოდენობა კი – 400 000-ს. ჰუგენოტებმა ჩამოაყა-ლიბეს ფედერაცია და პარიზში კრება მოიწვიეს. საფრანგეთში პროტესტანტებს ჰუგენოტებს (გერმანული სიტყვიდან – „მოკავშირე“) უწოდებდნენ. ყველა მცდელობა, როგორმე ჰუგენოტების რაოდენობის ზრდა შეეჩერებინათ, მარცხით დასრულდა. მალე კონფლიქტმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო და საფრანგეთში რელიგიური ომები დაიწყო.

1570 წელს სენ-ჟერმენის ხელშეკრულების თანახმად, ჰუგენოტებს აღმსარებლობის თავისუფლება, სამოქალაქო უფლებები და ოთხი დიდი ციხესიმაგრე უბოძეს. მაგრამ 1572 წელს, ბართლომეს ღამის შემდეგ, როცა 50 000-მდე ჰუგენოტი დაიღუპა, რელიგიური ომი კვლავ განახლდა.

1572 წლის 18 აგვისტოს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ჰუგენოტების ლიდერის – ნავარის მეფის, ანრი ბურბონისა და მარგარიტა ვალუას, საფრანგეთის მეფე შარლ IX-ის დის, ჯვრისწერა გაიმართა. ამის გამო პარიზში მრავალი ჰუგენოტი იყო შეკრებილი.

გიზების ძლიერმა კათოლიკურმა საგვარეულომ გადაწყვიტა, ეს მოვლენა ჰუგენოტებთან გასასწორებლად გამოეყენებინა. დედა-დედოფლის, ეკატერინე მედიჩის, დახმარებით, მათ შეძლეს შარლ IX-ის (1560-1574 წწ.) დარწმუნება, რომ ჰუგენოტების ამოხოცვის ნებართვა გაეცა. კათოლიკეებმა ჰუგენოტების საცხოვრებელი სახლების კარები წინასწარ თეთრი ჯვრებით აღნიშნეს. 24 აგვისტოს ღამეს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს, ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

ლუვრში სტუმრად მყოფი ჰუგენოტები ამოხოცეს. ყველა ჰუგენოტს სახლში უცვივდებოდნენ და ხოცავდნენ, ხოლო ვინც გაქცევას მოახერხებდა, მას უკვე სამეფო გვარდია უსწორდებოდა. ჰუგენოტების დარბევა პარიზში თითქმის მთელი კვირა გაგრძელდა, შემდეგ კი საფრანგეთის სხვა ქალაქებსა და პროვინციებშიც გადაინაცვლა. „ბართლომეს ღამე“ – ასე ეწოდება ისტორიაში ამ საზარელ ღამეს. მადრიდსა და რომში მას ისე შეხვდნენ, როგორც გამარჯვებას.



სურ. 3 ბართლომეს ღამე. ფრანსუა დიუბუა, XVI ს.

9. როგორ ფიქრობ, არის თუ არა ნახატი „ბართლომეს ღამე“ ისტორიული წყარო? გამოთქვი ვარაუდები, ვინ შეიძლება იყოს მხატვარი აღმსარებლობით: ჰუგენოტი თუ კათოლიკე? ორივე შემთხვევის განხილვისას იმსჯელე, რის თქმა უნდოდა ავტორს?

1576 წელს მეფის მიერ გამოცემული შესარიგებელი ედიქტის მიუხედავად, XVI საუკუნის 80-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირებამ უმწვავესი ხასიათი მიიღო, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საფრანგეთის მეფე ანრი III (1574-1589 წწ.), ჰუგენოტი ანრი ბურბონი და რადიკალურად განწყობილი კათოლიკეების ლიდერი ანრი გიზი. ანრი III-ის მიერ მიღებული ედიქტით კათოლიკეები უკმაყოფილო დარჩნენ და მეფეს დაუპირისპირდნენ. ეს დაპირისპირება ისტორიაში „სამი ანრის ომის“ სახელით არის ცნობილი. ამ ბრძოლაში ანრი III და ანრი გიზი მოკლეს. შედეგად გამარჯვება ანრი ბურბონს დარჩა. კათოლიკური პარიზი უარს ამბობდა ანრი ბურბონის ქალაქში შეშვებაზე, ამის გამო მან ფორმალურად კათოლიკობა მიიღო და საფრანგეთის სამეფო ტახტზე ანრი IV-ის (1589-1610 წწ.) სახელით ავიდა. მან ბურბონთა დინასტიის მმართველობას ჩაუყარა საფუძველი.

1598 წელს ანრიმ გამოსცა ნანტის ედიქტი, რომლითაც ჰუგენოტებს თავისუფალი აღმსარებლობის უფლება მისცა. საფრანგეთში ჰუგენოტებსა და კათოლიკეებს შორის მიმდინარე რელიგიური ომი დასრულდა.

წყარო ა) ნანტის ედიქტი

„I. პირველ რიგში, ყველაფერი, რაც 1585 წლის მარტიდან ჩვენს გამეფებამდე მოხდა, უნდა ჩავთვალოთ, რომ არ მომხდარა.

III. ვბრძანებთ, რომ რომის სამოციქულო კათოლიკური ეკლესია აღდგენილ იქნეს ყველგან, ჩვენს სამეფოში და ჩვენი მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყნებში...

VI. იმისათვის, რომ ჩვენს ქვეშევრდომებს შორის არ იყოს შუღლი და უკმაყოფილება, ჩვენ ეგრეთ წოდებული რეფორმირებული რელიგიის მიმდევრებს ნებას ვრთავთ, იცხოვრონ და ისაქმიანონ ჩვენი სამეფოს ნებისმიერ ქალაქსა და სხვა ადგილებში დევნისა და შევიწროების გარეშე...

XIII. ჩვენ კატეგორიულად ვუკრძალავთ ხსენებული რელიგიის მიმდევრებს თავიანთი მრწამსის წარმოჩენას სამსახურში, ჯარში, საჯარო სასწავლებლებში და ჩვენს სამფლობელოებში...

XVIII. ასევე, ჩვენს ქვეშევრდომებს, მათი წოდებისა და თანამდებობის მიუხედავად, ვუკრძალავთ ხსენებული რელიგიის მიმდევრებისათვის, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით და მოტყუებით ბავშვების წართმევას, იმ მიზეზით, რომ მონათლონ ისინი კათოლიკურ ეკლესიაში...

XXI. დასაშვებია აღნიშნულ რელიგიასთან დაკავშირებული წიგნების ბეჭდვა და გავრცელება მხოლოდ იმ ქალაქებსა და ადგილებში, სადაც ეს რელიგია სახალხოდ არის აღიარებული...

XXII. ვბრძანებთ, რომ არ იქნეს დაშვებული არავითარი გამორჩევა ხსენებული რელიგიის მიმდევრების მიმართ მათი უნივერსიტეტებში, კოლეჯებსა და სკოლებში მიღებისას, ავადმყოფებისა და გაჭირვებულების ჰოსპიტლებსა და საზოგადოებრივი მზრუნველობის სახლებში შეშვებისას...“

?

10. ნანტის ედიქტის ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელი გეჩვენება ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ჰუგენოტებისათვის?

11. შენი აზრით, რატომ გახდა საჭირო ნანტის ედიქტში XVIII მუხლში მოცემული დებულების შეტანა?

12. თავისუფალი აღმსარებლობის უფლების მიცემის მიუხედავად, შენი აზრით, რატომ უკრძალავს ედიქტი ჰუგენოტებს თავიანთი მრწამსის წარმოჩენას სამსახურში, ჯარში, საჯარო სასწავლებლებსა და საფრანგეთის სამფლობელოებში? რატომ არ უკრძალავს იმავეს კათოლიკეებს?

13. როგორ ფიქრობ, მოაგვარებდა თუ არა ედიქტი კათოლიკეებისა და ჰუგენოტების დაპირისპირებას?

14. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო სამომავლოდ საფრანგეთის სამოქალაქო საზოგადოების გავითარებისათვის ნანტის ედიქტით გათვალისწინებული დებულებები? შეავსე ცხრილი. (**მოსწავლის რვეული დავ. 52**).

15. წარმოიდგინე, რომ ხელთ ჩაგივარდა ანრი IV-ის მიერ თავისი ჰუგენოტი მეგობრისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის ნანტის ედიქტის შესახებ წერს. იმსჯელე, რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ასეთ წერილს, როგორც ისტორიულ წყაროს?

16. რა დადებითი და უარყოფითი აქვს ნანტის ედიქტს, როგორც ისტორიულ დოკუმენტს? რა ინფორმაციას გვაწვდის და რას არა ისტორიული დოკუმენტი?

17. კიდევ რა ტიპის ისტორიული წყაროები შეიძლება დაგეხმაროს მოცემული საკითხის (ანრი IV-ის მიერ ნანტის ედიქტის გამოცემა) შესასწავლად? გაითვალისწინებ თუ არა ნახატიდან მიღებულ ინფორმაციასაც?

18. იმსჯელე, რა ფაქტორების გამო იყო რეფორმაცია მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპის სახელმწიფოების მომავალი განვითარებისათვის?

19. ქვემოთ მოცემულია ევროპის რეფორმაციის რუკა. დააკვირდი და უპასუხე კითხვებს:

- რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოებში გავრცელდა პროტესტანტიზმი და რომელში დარჩა კათოლიკობა?

- შეეცადე, ახსნა, რატომ გავრცელდა პროტესტანტიზმი უფრო ჩრდილოეთის ქვეყნებში?
- იმსჯელე, რატომ არ გავრცელებულა პროტესტანტიზმი ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში.
- რუკის მიხედვით, რელიგიური თვალსაზრისით რა ვითარებაა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში?
- რატომ არ გავრცელებულა პროტესტანტიზმი, შენი აზრით, მართლმადიდებლურ სამყაროში?
- რა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა ევროპის რუკის ამგვარ რელიგიურ სივრცეებად დაყოფა?



რუკა 22. ევროპის რელიგიური რუკა პროტესტანტული რეფორმაციის შემდეგ (XVI ს.-ის შუა ხანები)

კონტრრეფორმაცია

პროტესტანტიზმის გავრცელებასთან ერთად კათოლიკურმა ეკლესიამ მისი შეჩერება გადაწყვიტა. ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც რეფორმაციის წინააღმდეგ იყო მიმართული და მას კონტრრეფორმაცია ეწოდა. დაიწყო პროტესტანტების სასტიკი დევნა, სხვადასხვა ქვეყანაში მისიონერები გააგზავნეს, მღვდელ-მონაზვნების განათლების ასამაღლებლად დააარსდა სასულიერო სემინარიები, შეიქმნა „აკრძალული წიგნების“ ჩამონათვალი, დაარსდა ახალი – იეზუიტთა – ორდენი. ამ ყველაფრის მიზანი კათოლიკობის სიღრმისეული განახლება იყო.

ესპანელმა იგნასიო ლოიოლამ ექვსი მეგობარი შემოიკრიბა დ მათთან ერთად სიღატაკის, უბიწოების, წმიდა მიწაზე მისიონერული საქმიანობისა და პაპისადმი განსაკუთრებული მორჩილების აღთქმა დადო. ამგვარად შეიქმნა მომავალი „იესოს საზოგადოების“ საწყისი გაერთიანება. 1539 წლის დოკუმენტში მოციქულობის კონკრეტულ მიზნებად დასახელებულია: ქადაგება, სულიერი წვრთნანი, გულმოწყალე საქმიანობა, სწავლება და სულებზე ზრუნვა, კერძოდ, აღმსარებელთა როლში. 1540 წელს რომის პაპმა პავლე III-მ ახალი იეზუიტთა ორდენი – „იესოს საზოგადოება“ დაამტკიცა. ორდენს ხელმძღვანელობდა გენერალი. პირველი გენერალი იგნასიო ლოიოლა გახდა. ის კათოლიკურ ეკლესიაში გავლენით მეორე პირი იყო. იეზუიტები მხოლოდ გენერალს და უშუალოდ რომის პაპს ემორჩილებოდნენ. ორდენის ბერებს ევალებოდათ, ყველა საშუალებით ებრძოლათ კათოლიკური ეკლესიის ოპონენტთა და პროტესტანტთა წინააღმდეგ.

იეზუიტებმა დიდი ყურადღება მიაქციეს განათლებას. მათი აზრით, რადგან პროტესტანტები ბიბლიის ზედმიწევნით ცოდნითა და რწმენის სიმტკიცით გამოირჩეოდნენ, ამიტომ კათოლიკური სამყაროდან ასეთივე მტკიცე რწმენისა და განსწავლული ადამიანები უნდა დაპირისპირებოდნენ. სწორედ ამ ნიშნით გამოირჩეოდნენ იეზუიტები. მათი მომზადება 14-15 წელს გრძელდებოდა. რელიგიური განათლების გარდა, ისინი საუკეთესო საერო განათლებასაც იღებდნენ. ფიზიკურადაც კი კარგად იყვნენ მომზადებულნი. ამიტომაც მიდიოდნენ მისიონერებად იქ, სადაც არც ერთ ქრისტიანს ფეხი არ დაედგა. განსაკუთრებული ღვაწლი იეზუიტებს საგანმანათლებლო საქმეში მიუძღვით.

XVI საუკუნეში იეზუიტებმა ევროპაში სკოლები დააარსეს. პირველი სკოლა 1548 წელს სიცილიაში, მესინაში, გაიხსნა. ამ დროისთვის ორდენში უკვე რამდენიმე ასეული კაცი ითვლებოდა, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს. მათი დიდი ნაწილი იტალიაში ცხოვრობდა. იეზუიტები ხშირად მიჰყვებოდნენ ესპანელ, პორტუგალიელ და ფრანგ მოგზაურებსა და მკვლევრებს ახალ სამყაროში და ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად სკოლებსაც აარსებდნენ. პირველი სკოლის გახსნიდან 40 წელიწადში მათ უკვე ჰქონდათ სკოლა აღმოსავლეთ აზიაშიც, პორტუგალიის კოლონია მაკაოში, შემდეგ კი – იაპონიაშიც.

იეზუიტები სწავლების არსებული მეთოდების დახვეწას ცდილობდნენ. მოსწავლეები ასაკის მიხედვით კლასებად დაყვეს; თვლიდნენ, რომ განათლების მისაღებად და საკითხების გასააზრებლად მხოლოდ ტექსტების კითხვა საკმარისი არ იყო, ამისთვის მოსწავლეს ტექსტები თავადაც უნდა დაეწერა და გამოსასვლელი სიტყვები მოემზადებინა; პიესის უკეთ გასაგებად უმჯობესი იყო მასში მონაწილეობის მიღება.



სურ. 4 ნახატები ჩინეთში მოღვაწე პოლონელი იეზუიტი ბერის მიხეილ ბოიმის წიგნიდან „ჩინეთის ფლორა“

20. იმსჯელე, რამდენად მართებული იყო იეზუიტთა არჩეული სამოქმედო სტრატეგია და ივარაუდე, მოხერხდებოდა თუ არა იეზუიტთა ორდენის დახმარებით კათოლიკობასა და პროტესტანტიზმს შორის ურთიერთობის მოგვარება?

21. რატომ იყო მნიშვნელოვანი მათი მოღვაწეობა ევროპის ფარგლებს გარეთ? შენი აზრით, სად უფრო შედეგიანი იქნებოდა კათოლიკობის ქადაგება: ახლად აღმოჩენილ მიწებზე თუ აღმოსავლეთ აზიაში? პასუხი დაასაბუთე.

22. რა ინფორმაციას გვაწვდის მიხეილ ბოიმის ჩანახატები? რით განსხვავდება ის სხვა ისტორიული წყაროებისგან და რა საკითხის შესასწავლად გამოადგებათ მკვლევრებს?

23. შეავსე სქემა, როგორ შეიცვალა კათოლიკური ეკლესია კონტრრეფორმაციის შედეგად (**მოსწავლის რვეული დავ. 53**).

კათოლიკური ეკლესიის მიერ მისიონერული მოღვაწეობის განახლებასთან ერთად სხვადასხვა ბერ-მონაზვნური ორდენის წევრები საქართველოშიც გამოჩნდნენ. სხვადასხვა დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ ფრანცისკელთა, დომინიკელთა, თეატინელთა ორდენის წევრები. XV საუკუნიდან საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი და ორ იმპერიას: ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის გავლენის სფეროებად განაწილებული. ოსმალური ექსპანსიის გამო ევროპას მოწყვეტილი საქართველო მისიონერების მეშვეობით იმდროინდელი ევროპის კულტურულ და სამეცნიერო მიღწევებს ეცნობოდა. გარდა ამისა, მისიონერების დახმარებით ქართველი ბავშვები ევროპაში მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად.

XVII ს.-ის 20-იანი წლებიდან რომმა მისიონერებად თეატინელთა ორდენის წევრები – ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ჯუდიჩე მილანელი, ქრისტოფორო დე კასტელი და სხვები გამოაგზავნა. თეატინელთა სამოღვაწეო ასპარეზი მთელი საქართველო იყო, განსაკუთრებით ქართლი, გურია და სამეგრელო. კათოლიკური თემები დაარსდა ქართულ ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში და სხვაგან.

1626 წელს ვატიკანში შეადგინეს სპეციალური ინსტრუქცია საქართველოში მისიონერული მუშაობის შესახებ. მისიონერებს უნდა ეფიქრათ, როგორ გაევრცელებინათ და დაეცვათ კათოლიკური ეკლესიის დოგმები. მისიონერებს არ უნდა ეცადათ, ქართველებს უარი ეთქვათ საკუთარ რიტუალებზე, არამედ დაერწმუნებინათ ისინი, რომ პაპს „უყვარს და მოსწონს ბერძნული (მართლმადიდებლური) რიტუალები“. მისიონერებს ვატიკანისთვის უნდა ეცნობებინათ ქვეყანაში არსებული ვითარება, მოენათლათ ბავშვები, ესწავლებინათ მათთვის ლათინური ენა, რათა შემდგომში რომში სწავლის გაგრძელება შესძლებოდათ. მისიონერები კათოლიკობის ქადაგებით უნდა ცდილიყვნენ, გაეზარდათ რომის პოლიტიკური გავლენა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ადგილებზე შეესწავლათ ირანთან დამაკავშირებელი სავაჭრო მარშრუტები.

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შედეგად დაგროვდა დიდი რაოდენობის ოფიციალური წერილები, ჩანაწერები, დღიურები, ანგარიშები და ჩანახატები, რომლებიც უმნიშვნელოვანესი წყაროებია საქართველოს XVII-XVIII საუკუნეების ისტორიის შესწავლისათვის.

24. კიდევ რა ტიპის და სადაური ისტორიული წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლაში, როცა ამ პერიოდის ქართული ისტორიული წყაროები, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიპოვება?

§34. ნიდერლანდების რევოლუცია. რელიგიური ომის განახლება ევროპაში – ოცდაათწლიანი ომი

ნიდერლანდების რევოლუცია



სურ. 1 კათოლიკური ეკლესიების დარბევა. ფრანს ჰოჰენბერგი, XVI ს.

1556 წელს კარლ V-ის ესპანური მემკვიდრეობა მის ვაჟს ფილიპე II-ს ერგო. კათოლიკე ფილიპეს არ მოსწონდა, რომ მის სამეფოში შემავალ ნიდერლანდებში კალვინიზმი იყო გავრცელებული. ის ფიქრობდა, რომ, თუ ნიდერლანდის მოსახლეობას კვლავ კათოლიკობაზე მოაქცევდა, უფრო ადვილად დაიმორჩილებდა ამ ქვეყანას. გამეფების პირველსავე წლებში ფილიპე II-მ დაიწყო ნიდერლანდების დამორჩილების კამპანია – პირველ რიგში მან დაიწყო ხელისუფლების ცენტრალიზაცია და ნიდერლანდების ქალაქების და მხარეების მმართველებად თავისათვის სანდო ხალხი დანიშნა. ამავდროულად მან დაიწყო პროტესტანტების შევიწროება და მოსახლეობას გადასახადები გაუძვირა.

ნიდერლანდების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პროტესტი გამოთქვეს ფილიპე II-ის ღონისძიებების წინააღმდეგ და გაზრდილი გადასახადების გადახდაზე უარი თქვეს, ამას მოჰყვა კალვინისტების გამოსვლები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის ხელისუფლების განმტკიცებას ეწინააღმდეგებოდნენ.

1566 წელს ნიდერლანდებში აჯანყება დაიწყო, რომელშიც, კათოლიკე სამღვდელოების გარდა, საზოგადოების ყველა ფენა ჩაერთო – აჯანყებულებმა კათოლიკური ეკლესია-მონასტრების დარბევა დაიწყეს. პროტესტანტებს ეკლესიებიდან ხატები გამოჰქონდათ და წვავდნენ და ეკლესია-მონასტრებში არსებულ წმინდანების და ანგელოზების ფრესკებსა და ქანდაკებებს შლიდნენ და ამტვრევდნენ.

ფილიპე II-მ აჯანყების ჩასახშობად ნიდერლანდებში დამსჯელი რაზმი გაგზავნა, რომელსაც სათავეში გამოცდილი სარდალი ჰერცოგი ალბა ჩაუყენა. ალბამ ადვილად მოახერხა ნიდერლანდების ტერიტორიების დაკავება და რეპრესიების გატარება დაიწყო: მან აჯანყების წარჩინებული ლიდერები სიკვდილით დასაჯა და ნიდერლანდებში საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა. ალბამ შექმნა სპეციალური სასამართლო „არეულობის საქმეთა საბჭო“, რომელმაც 8 ათასზე მეტი ადამიანი დასაჯა სიკვდილით. ამიტომ მას „სისხლიანი საბჭო“ უწოდეს; ხშირად ალბა არც ეთანხმებოდა საბჭოს წევრების მიერ გამოტანილ განაჩენს და ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას.

წყარო ა) ფრაგმენტი ჰერცოგ ალბას მიერ ფილიპე II-თვის მიწერილი წერილიდან:

„...ორი მიზეზის გამო გადავწყვიტე მე ამ საბჭოს უფლებების შეზღუდვა: პირველი ის, რომ კარგად არ ვიცნობდი საბჭოს წევრებს და ამიტომ მათ ადვილად შეეძლოთ მოვეტყუებინე; მეორე ის, რომ კანონმდებლები (საბჭოს წევრები) მხოლოდ დამტკიცებული დანაშაულის გამო ასამართლებენ, მაშინ როდესაც... კანონები, რომლითაც აქ სახელმწიფოს მართავდნენ, უფრო წესებს ჰგავს, ვიდრე კანონებს“.

1. შენი აზრით, რა ფაქტორები უწყობდა ხელს ნიდერლანდებში პროტესტანტიზმის გავრცელებას? როგორ აისახებოდა ეს ფაქტი ნიდერლანდების და ესპანური საზოგადოების ურთიერთობაზე?.

2. რამდენად მართებულად მიგაჩნია ფილიპე მეორის პოზიცია, რომ კათოლიკური რელიგიის მხარდაჭერით იმპერიის სიმტკიცის შენარჩუნება იქნებოდა შესაძლებელი?

3. რას გეუბნებათ 1566 წელს ნიდარლანდების აჯანყების მონაწილეთა სოციალური სიჭრელე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შესახებ?

4. რატომ იყო აჯანყებულ ნიდერლანდელთა სამიზნე ეკლესია -მონასტრები"

5. შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა ესპანეთის სამეფო ხელისუფლებას ნიდერლანდების პროტესტანტულის საზოგადოების მიმართ შეუწყნარებელი და სასტიკი პოლიტიკა?

6. როგორ ხსნის ჰერცოგ ალბას წერილი "არეულობის საქმეთა საბჭოს" მიმართ მის უნდობლობას?

ალბას რეპრესიებმა ნიდერლანდებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია – დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ესპანეთის ჯარებსა და ნიდერლანდების აჯანყებულ მოსახლეობას შორის. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ ნიდერლანდების გამგებელი, დიდგვაროვანი ვილჰელმ ორანელი, რომელიც ალბას ნიდერლანდში შეჭრის დროს გერმანიაში გაიქცა, თუმცა მალევე აჯანყების ლიდერი გახდა. სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი უერთდებოდა აჯანყებულებს. ჰოლანდიელები ძირითადად პარტიზანულ ბრძოლებს მიმართავდნენ. ნიდერლანდებიდან გაქცეულმა მოქალაქეებმა ხომალდები შეიძინეს და სისტემატურად ესხმოდნენ თავს ესპანურ გემებს.



სურ. 2 ვილჰელმ ორანელი. ადრიან ტომას კეი. 1579 წ.

ესპანეთსა და ნიდერლანდებს შორის დაწყებული ბრძოლა გაჭინაურდა. ალბამ ვერაფრით მოახერხა ქვეყნის დამორჩილება. ესპანეთიდან შორს მყოფი ჯარის შესანახად დიდი სახსრები იყო საჭირო, რომლის გადახდაც ესპანეთს არ შეეძლო. ფილიპე II-მ გენერალი ალბა ესპანეთში გაიწვია.

ესპანელ დამპყრობლებს ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას ჩრდილოეთ ნიდერლანდების ქალაქები და პროვინციები უწევდნენ, რომლებიც სავაჭრო პორტების ხარჯზე ეკონომიკურად ბევრად უფრო განვითარებულები იყვნენ ვიდრე სამხრეთ ნიდერლანდები. 1581 წელს ჩრდილოეთ ნიდერლანდების შვიდმა პროვინციამ გაერთიანებული სახელმწიფო ჩამოაყალიბა და ესპანეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალმა სახელმწიფომ საკუთარი მმართველი ორგანო და ჯარი ჩამოაყალიბა. სამხრეთ ნიდერლანდები კი ესპანეთის მმართველობის ქვეშ რჩებოდა. ამით აღშფოთებულმა ფილიპე II-მ ნიდერლანდებში დამსჯელი რაზმი გაუშვა – დაიწყო ომის ახალი ეტაპი.

ესპანეთის წინააღმდეგ ომებში ნიდერლანდებს დახმარებას უწევდა პროტესტანტული ინგლისი. სწორედ ამიტომ ესპანეთმა ინგლისის საზღვაო ფლოტის განადგურება გადაწყვიტა და ამისათვის შექმნა ძვირად ღირებული, 130 გემისგან შემდგარი ფლოტი, რომელსაც „უძლეველი არმადა" ეწოდა. 1588 წელს „უძლეველი არმადა" ნიდერლანდებისკენ დაიძრა, ლა მანშის სრუტის გავლის დროს მათ თავს დაესხნენ ინგლისური გემები, დაქსაქსული და დაბნეული ესპანური ხომალდები ღია ზღვაში გავიდნენ, სადაც ისინი შტორმში მოხვდნენ და მათი უმეტესობა განადგურდა. უძლეველი არმადის განადგურებამ ესპანეთის საზღვაო და სამხედრო ძლევამოსილებას ბოლო მოუღო.

1598 წელს ფილიპე II გარდაიცვალა. ამ დროისათვის ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, თუმცა ისედაც დასუსტებულ ესპანურ ჯარებს ფილიპეს გარდაცვალების შემდეგ

გამარჯვების ყველა შესაძლებლობა მოესპოთ. 1609 წელს ესპანეთმა ომის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და იმავე წელს ჰააგაში ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელების თანდასწრებით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ცნო ჩრდილოეთ ნიდერლანდების დამოუკიდებლობა და გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკის ლეგიტიმურობა. ამ აღიარების მიუხედავად, ესპანეთსა და ჩრდილოეთ ნიდერლანდებს შორის ომი კვლავ განახლდა 1621 წლიდან, თუმცა საბოლოოდ 1648 წელს დაიდო მიუნსტერის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჰოლანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, მასვე გადაეცა ომის დასკვნით ნაწილში დაკავებული სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციების ნაწილი. მიუნსტერის შეთანხმება ვესტფალიის ზავის შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის შედეგადაც დასრულდა ოცდაათწლიანი ომი ევროპაში, ხოლო ნიდერლანდებმა დამოუკიდებლობა საბოლოოდ მოიპოვა.

7. რა იყო ესპანეთის მონარქისათვის ნიდერლანდებში სამხედრო წარმატებაში ხელისშემშლელი ფაქტორები?

8. რა უპირატესობა ჰქონდა ჩრდილოეთ ნიდერლანდებს, სამხრეთთან შედარებით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?

9. რა საერთო ინტერესი იქნებოდათ ინგლისის და ნიდერლანდების საზოგადოებას ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში?

10. შენი აზრით, რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვებოდა ევროპაში ესპანეთის მარცხს და ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქვეყნების დაწინაურებას?

11. იმსჯელეთ ფაქტორებზე, რომლებმაც ევროპის ადრეული კოლონიური იმპერიის სამხედრო და ეკონომიკურ რეგრესს შეუწყო ხელი.

ოცდაათწლიანი ომი (1618-1648 წწ.)

1555 წელს დადებულმა აუგსბურგის ზავმა ბოლო ვერ მოუღო კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპირისპირებას გერმანელი ხალხის საღვთო რომის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის შემადგენლობაში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პროტესტანტები მშვიდად ცხოვრობდნენ, იმპერატორმა ფერდინანდ II-მ დაიწყო იმპერიაში შემავალ ტერიტორიაზე, ბოჰემიაში მცხოვრები ჩეხი პროტესტანტების – **ჰუსიტების** შევიწროება.

ჰუსიტები – XV საუკუნის დასაწყისში ჩეხეთში წარმოქმნილი პროტესტანტული მოძღვრების მიმდევრები იყვნენ. მათ სახელი ჩეხეთის ეროვნული გმირისა და იდეოლოგის იან ჰუსის პატივსაცემად მიიღეს. ის ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1410 წელს რომის პაპმა იან ჰუსი შეაჩვენა. 1415 წელს ქ. კონსტანცაში მას ერეტიკოსობა დააბრალეს და კოცონზე დაწვეს. ჰუსიტები ჩეხი ხალხის მრავალწლიანი განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ.

1617 წელს პრაღაში პროტესტანტული სამლოცველოები დახურეს, რასაც მოჰყვა ჩეხების აღშფოთება. 1618 წელს ფერდინანდმა პრაღაში გაგზავნა თავისი ორი წარმომადგენელი, რომლებსაც ადგილობრივი მმართველობა უნდა ჩაებარებინდათ. ჩეხმა დიდებულებმა სათათბიროდ მისული იმპერატორის კათოლიკე წარმომადგენლები პრაღის ციხის ციტადელის ფანჯრიდან გადაყარეს. ამ ფაქტმა დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა. ბოჰემიაში ჩეხი დიდებულების აჯანყება დაიწყო, თუმცა იმპერატორმა მოახერხა აჯანყების ჩახშობა და ჩეხეთში უმკაცრესი რეფორმები გაატარა. ამასობაში იმპერატორს აუჯანყდნენ ჩრდილოეთ გერმანელი პროტესტანტი დიდებულები, რომლებიც შიშობდნენ, რომ ფერდინანდი მათგანაც მოითხოვდა გაკათოლიკებას. დაიწყო ხანგრძლივი ომი გერმანელ პროტესტანტ დიდებულებსა და იმპერატორს შორის.

პირველ ეტაპზე ეს ომი გერმანიის საზღვრებს არ გასცდენია, თუმცა მალევე კონფლიქტში ევროპის სხვა სახელმწიფოებიც ჩაერთნენ. იმპერატორს მხარი დაუჭირეს ესპანელმა კა-

თოლიკე ჰაბსბურგებმა, ხოლო დიდებულებს – პროტესტანტმა დანიის მეფემ. იმპერატორის არმია შეიარაღებით და ტაქტიკური განსწავლულობით დიდებულების ჯარებზე მაღლა იდგა და, შესაბამისად, გამარჯვებაც მათ მხარეზე იყო. გამარჯვებულმა ფერდინანდმა გაილაშქრა ჩრდილოეთ გერმანიაში, სადაც დანიის ჯარები დაამარცხა და იქაური ქალაქები მიწასთან გაასწორა.

1630 წლიდან გერმანიის ომში ჩაერთო შვედეთი. ამ ქვეყნის პროტესტანტი მეფე გუსტავ II ადოლფი შიშით უყურებდა გერმანიის იმპერატორის დაპყრობით ომებს ჩრდილოეთ გერმანიაში და ბალტიის ზღვის აუზში. თავდაპირველად გუსტავ II ადოლფს მხარს არ უჭერდნენ გერმანელი ლუთერანები. მისი ერთადერთი მოკავშირე საფრანგეთი იყო, რომელიც ჰაბსბურგების დასუსტებას ცდილობდა და შვედებს ფინანსურად ეხმარებოდა. 1631 წელს საიმპერატორო ჯარებმა პროტესტანტების ქალაქი მაგდებურგი მიწასთან გაასწორეს, რამაც ლუთერანების დიდი აღშფოთება გამოიწვია და ისინი შვედებს მიემხრნენ. 4-წლიანი ომის შემდეგ გუსტავ ადოლფი ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს და შვედებმა გერმანიის ტერიტორიები დაკარგეს. პროტესტანტი გერმანელი დიდებულები იმპერატორს დაუზავდნენ.

1635 წლიდან, მას შემდეგ, რაც შვედეთი და გერმანელი დიდებულები ომში დამარცხდნენ, საფრანგეთის ხელისუფლება აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. მათ ესპანელი და გერმანელი ჰაბსბურგების გაერთიანების პერსპექტივა აშინებდათ და ამიტომ გერმანიის ტერიტორიაზე მყოფი ესპანეთისა და გერმანიის იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ ომი დაიწყეს. იმავდროულად ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიებზე ხელახლა შეიჭრნენ შვედეთის ჯარები. ფრანგებმა და შვედებმა ააოხრეს გერმანიის ტერიტორიები. გერმანიის ჯარებს ბრძოლის რესურსები გამოელიათ და საბოლოოდ იმპერატორმა ზავი ითხოვა.

12. რატომ ხედავდა საფრთხეს, ჩეხეთში დაწყებულ ჰუსიტურ მოძრაობაში, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი?

13. შენი აზრით, რატომ ვერ მოაგვარა აუგსბურგის რელიგიურმა ზავმა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ურთიერთობა?

14. რატომ მოქმედებდა საფრანგეთის კათოლიკური ხელისუფლება ოცდაათწლიან ომში საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის წინააღმდეგ?

15. იმსჯელე, რელიგიური ერთმორწმუნეობის მნიშვნელობაზე სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებში.

1648 წელს გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონ ვესტფალიაში მხარეებს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო.



სურ. 3 ზავის დადება მიუნსტერში (ესპანეთსა და ნიდერლანდებს შორის). ჰერარდ ტერბურგი. 1648 წ. ნაციონალური გალერეა ლონდონში.

მხატვარი მიწვეული იყო მიუნსტერში პორტრეტების დასახატად. ის ასევე დაესწრო საზავო მოლაპარაკებებს და თავის ტილოში ეს ისტორიული მომენტი უკვდავყო.

ზავის მიხედვით შვედეთმა გერმანიის ჩრდილოეთ ტერიტორიების ნაწილი მიიერთა, საფრანგეთმა გერმანიისგან მიიღო ელზასის მხარე; შვეიცარიამ და ნიდერლანდებმა საღვთო რომის იმპერიისაგან დამოუკიდებლობა მიიღეს, ასევე დიდი სუვერენიტეტი ებოძა გერმანულ სამეფო-სამთავროებსაც, იმ პირობით, რომ ისინი სამხედრო კავშირს არ შეკრავდნენ იმპერიის წინააღმდეგ. მათი დამოკიდებულება იმპერატორისადმი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჰაბსბურგებს სამართავად ძირითადად დღევანდელი ავსტრიის ტერიტორია დარჩათ. გერმანიის ტერიტორიაზე კი 300-მდე დამოუკიდებელი სამეფო, სამთავრო და ქალაქ-სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

წყარო ბ) ამონარიდი ვესტფალიის სამშვიდობო ხელშეკრულებიდან

„დაე, დამკვიდრდეს ქრისტიანული, საერთო და სამუდამო მშვიდობა წმინდა იმპერატორის დიდებულებასა და წმინდა სამეფო დიდებულებასა და მთლიან შვედეთის სამეფოს შორის... არავინ დაისჯება რელიგიის გამო. ორივე შემთხვევაში მათ თანაბარი უფლებები ექნებათ. რელიგიის გამო ემიგრირებულ პირებს მათი ქონების სრულად დაბრუნების და გამოყენების უფლება მიენიჭებათ... პროტესტანტებს, სხვების მსგავსად, ენიჭებათ წირვა-ლოცვის უფლება... მაგრამ ზემოთ ნახსენები რელიგიის მიმდევრების (ლუთერანების) გარდა, სხვა არავინ იქნება მიღებული ან შეწყნარებული საღვთო რომის იმპერიაში“.



რუკა 23. საღვთო რომის იმპერია ოცდაათწლიანი ომის დროს

16. რა უფლებები მიენიჭათ პროტესტანტებს ვესტფალიის ზავით?

17. რუკის მიხედვით, რომელი რელიგიური მიმდინარეობა წარმოადგენდა უმრავლესობას და რომელი – უმცირესობას საღვთო რომის იმპერიაში 1648 წლის შემდეგ?

18. გეოგრაფიულად როგორ განაწილდა რელიგიური მიმდინარეობები საღვთო რომის იმპერიაში? შენი აზრით, რა იყო ასეთი განაწილების მიზეზი?

19. ერთმანეთს შეადარე ნანტის ედიქტსა და ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებაში მოტანილი დებულებები.

20. ერთმანეთს შეადარე საფრანგეთსა და გერმანიაში მომხდარი რელიგიური ომები და იმსჯელე, რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანი იყო ევროპის შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის?

დაასახელე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ახალი ეპოქის ევროპას დაახასიათებდა.

კომპლექსური დავალება

რეფორმაციის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში პროტესტანტების დევნა დაიწყო, რის გამოც არაერთმა მათგანმა დატოვა ევროპა და ახლად აღმოჩენილ, აუთვისებელ მიწებს მიაშურა. წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ XVII საუკუნის დამდეგს და რელიგიური დევნის გამო შენს თანამოაზრეებთან ერთად ჩრდილოეთ ამერიკისათვის თავის შეფარება მოგიხდა. ახალ კონტინენტზე ცხოვრებისას შეაგროვე საინტერესო ინფორმაცია ამერიკის კოლონიზაციის შესახებ.

გადაწყვიტე, რომ დაწერო თხზულება, რომელშიც აღწერ იმ მოვლენებს, რომელთა თვითმხილველიც ხარ (რეფორმაცია, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები). თხზულებაში გააანალიზებ წინაპირობებს და მიზეზებს (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ჰუმანიზმი, რენესანსი), რომლებმაც ევროპასა და მსოფლიოში დიდ ცვლილებებს ჩაუყარა საფუძველი.

თხზულებაში თვალნათლივ წარმოაჩინე:

- რა სახის წყაროები არსებობს დიდი გეოგრაფიული აღამოჩენების შესახებ და რამდენად მრავალფეროვანი და სანდო ცნობებს გვაწვდის ისინი?
- როგორ იცვლებოდა ევროპული მსოფლმხედველობა და კულტურა XIV-XVI საუკუნეებში, ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქაში და რატომ გაჩნდა განსხვავებული დამოკიდებულება ანტიკური კულტურის მიმართ?
- რატომ და როგორ შეიცვალა იულიუსის კალენდარი პაპ გრიგორი XIII-ის გადაწყვეტილებით?
- როგორ და რატომ გაჩნდა ევროპაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ჯგუფები, რა იყო მათი ინტერესი და საზრუნავი და რა დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას მათ მიმართ?
- რა დამოკიდებულება ჰქონდათ ევროპელ მონარქებს პროტესტანტიზმის მიმდევრების სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის მიმართ და რა პოლიტიკას მიმართავდნენ ისინი ამისთვის?

§35. სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის პირველი დაპირისპირება. ოსმალეთის გაფართოება სულეიმან I-ის მმართველობის ხანაში.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ევროპიდან წამოსული იმპულსების შედეგად სამყარო მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც გავლენა მოახდინა აზიაზეც. 1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ტრადიციული მსოფლიო სავაჭრო გზა, რომელზეც იტალიელი ზღვაოსნები დომინირებდნენ, ერთადერთი აღარ იყო. ამიერიდან ევროპელებს შუამავლების გარეშე შეეძლოთ ჩინეთიდან და ინდოეთიდან საქონლის პირდაპირ შესყიდვა და სატრანზიტო ქვეყნების გვერდის ავლა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც თითქოს აზიას უშუალოდ არ ეხებოდა. მაგ., გუტენბერგის გამოგონების წყალობით ევროპაში ფართოდ გავრცელდა წიგნის ბეჭდვა და ცოდნა; ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფამ მომთაბარე ტომებს დაუკარგა ზოგიერთი უპირატესობა: ცხენებით სწრაფად გადაადგილება და მშვილდ-ისრის ეფექტიანი გამოყენება, ქალაქების მაღალი კედლები თეატრალურ დეკორაციად გადააქცია. სწორედ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ევროპამ ზურგი აქცია თავის წარსულს და ინტელექტუალურ, მხატვრულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ცხადი იყო, რომ მსოფლიოში ბალანსი იცვლებოდა.

მართალია, XVI-XVII საუკუნეებში აზიაში იქნება კიდევ აღმავლობის პერიოდები, მაგ., ოსმალეთში – სულეიმან ბრწყინვალის (1520-1566), ირანში – შაჰ-აბას პირველის (1588-1625) დრო.

1. როგორ შეუწყო ხელი კონსტატინოპოლის აღებამ ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკურ განვითარებას?

2. შენი აზრით, როგორ აისახებოდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენის შედეგები ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

სეფიანთა ირანის შექმნა

XV ს.-ის შუა ხანებიდან ირანის ტერიტორიაზე გაძლიერება დაიწყო ახალმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომლის სათავეშიც სეფიანთა საგვარეულო იდგა. მის დამაარსებლად ითვლება სეფი ად-დინ არდაბილელი, რომელმაც XIV საუკუნის დასაწყისში მუსლიმური რელიგიური ორდენი საფავია დააარსა. XV საუკუნის შუა ხანებიდან რელიგიური ორდენი ორგანიზებულ გასამხედროებულ ჯგუფად გადაიქცა და ირანის ტერიტორიაზე სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებებში ჩაება.

სეფიანების ძირითად დასაყრდენ ძალას მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და აზერბაიჯანში მომთაბარე თურქმანული ტომები წარმოადგენდნენ. ისინი წითელ თავსაბურავებს ატარებდნენ, ამიტომ ოსმალები მათ ყიზილბაშებს, ანუ წითელთავიანებს, უწოდებდნენ.

სეფიანთა ძირითადი სამხედრო დასაყრდენი სწორედ ყიზილბაშ ტომთა რაზმები გახდნენ. ეს მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები მთელი XVI საუკუნის განმავლობაში სეფიანთა სახელმწიფოს ფეოდალური არმიის უმთავრესი ნაწილი იყო. სეფიანთა ირანის დაარსების თარიღად 1501 წელი მიიჩნევა, როდესაც მათ აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიანთა) დედაქალაქი თავრიზი დაიკავეს და მათმა ლიდერმა ისმაილმა თავი შაჰად გამოაცხადა (1501-1524). აღსანიშნავია, რომ სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში მონაწილეობა ქართულმა სამეფო-სამთავროებმაც მიღეს. ისმაილმა მოლაპარაკებები აწარმოა კახეთისა (ალექსანდრე I (1476-1511 წწ.)) და ქართლის მეფეებთან (კონსტანტინე II (1479-1505 წწ.)) და სამცხის მთავართან (ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.)) სამხედრო დახმარების თაობაზე, იმ პირობით, რომ თუ ქართველი მეფე-მთავრები თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდნენ, ხარკისა და მათი მიწების დარბევისგან გათავისუფლდებოდნენ. თავრიზის დაპყრობისას ისმაილს 9000 ქართველი მეომარი ახლდა, როცა თავად 8000 ყიზილბაში მებრძოლი ჰყავდა.

3. შენი აზრით, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო სეფიანთა ირანის შექმნა დადებითი შედეგის მომტანი? პასუხი დაასაბუთე.

4. როგორ ფიქრობ, რა ურთიერთობა ექნებოდა ახლად შექმნილ სეფინთა ირანს ოსმალეთის იმპერიასთან? რატომ?

სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირება

მალევე სეფიანთა ირანი და ოსმალეთის იმპერია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მათი ბრძოლის ასპარეზად ერაყი და სამხრეთი კავკასია, მათ შორის ქართული სამეფო-სამთავროები გადაიქცა. 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლაში ოსმალებმა ირანელები დაამარცხეს. მომდევნო სამ წელიწადში კი სირია და ეგვიპტე დაიმორჩილეს და მუსლიმთა წმინდა ქალაქები – მექა და მედინა დაიკავეს. ამ ბრძოლებში ოსმალთა წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა ზარბაზნებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გამოყენებამ.

სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის პირველი დაპირისპირება 1555 წლამდე გაგრძელდა და ქალაქ ამასიაში დადებული ზავით დასრულდა.

ამასიის ზავის პირობები

ოსმალეთმა ზავის თანახმად მიიღო ერაყის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, მათ შორის ქალაქი ბაღდადი, რამაც სპარსეთის ყურეზე გასვლის საშუალება მისცა; სეფიანებმა ძველი დედაქალაქის – თავრიზისა და ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების შენარჩუნება მოახერხეს. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, შემდეგნაირად გაინაწილეს: ოსმალეთს ერგო იმერეთის სამეფო სამეგრელო-გურიის სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი); ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი (მტკვრის აუზი); ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის შაჰის ვასალებად გამოცხადდნენ. მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი სეფიანებმა შეინარჩუნეს, სომხეთისავე დასავლეთი კი (ვანის ტბის რაიონი) ოსმალეთს ერგო; სასაზღვრო ზონა – ყარსის ოლქი – გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო, მისი მოსახლეობა ირანში უნდა გადაესახლებინათ. ყარსის ციხესიმაგრე მიწასთან გაასწორეს.



სურ. 1 ყარსის ციხესიმაგრე ჩანახატი. უცნობი ავტორი

5. დააკვირდი რუკას და იმსჯელე, არსებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა ირანს? ოსმალეთს?

6. შენი აზრით, რა ინტერესები ჰქონდა ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში?

7. იმსჯელე, რით იყო განპირობებული საქართველოს ამგვარი განაწილება?

8. შენი აზრით, რატომ მიიღეს მხარეებმა ყარსის ოლქის გაუკაცრიელებისა და ციხესიმაგრის მიწასთან გასწორების გადაწყვეტილება?

9. იმუშავე კონტურულ რუკაზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 54**), დაიტანე ირანისა და ოსმალეთის გავლენის სფეროები საქართველოს ტერიტორიაზე.



რუკა 24. ოსმალეთის და ირანის დაპირისპირება XV–XVII სს.-ში

10. როგორ ფიქრობ, ამასიის ზავის თანახმად, ქართული სამეფო-სამთავროებიდან რომელი ჩავარდა უფრო მძიმე მდგომარეობაში? პასუხი დაასაბუთე.

11. ოსმალეთის ხელში გადავიდა სირია, ეგვიპტე, მექა და მედინა. როგორ ფიქრობ, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერიტორიებს?

12. გაიხსენე, რომელი სავაჭრო გზის მონაკვეთი გადიოდა არაბეთის ნახევარკუნძულზე და როგორ შეიძლებოდა ეს გზა გამოეყენებინა ოსმალეთს/ირანს?

13. შეავსე ცხრილი ამასიის ზავის პირობების შესახებ (**მოსწავლის რვეული დავ.55**).

დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს ტერიტორია ისე გაინაწილეს, რომ ჯერ დაპყრობილიც კი არ ჰქონდათ. ირანის მმართველმა შაჰ-თამაზმა 1541-1554 წლებში ოთხჯერ ილაშქრა აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) არ ცნობდა ამასიის ზავის პირობებს და მასთან ბრძოლას აგრძელებდა. დამპყრობლებთან ბრძოლას შეეწირნენ ლუარსაბ I და მისი შვილი სიმონ I (1556-1569; 1578-1600 წწ.).

ამასიის ზავს საქართველოსათვის უაღრესად უარყოფითი შედეგი ჰქონდა. საქართველოს გაერთიანების ნებისმიერი მცდელობა საფუძველშივე აღმოჩნდა ჩაკლული. ირანი არ დაუშვებდა ოსმალეთის კუთვნილი ტერიტორიის – დასავლეთ საქართველოს ჩარევას აღმოსავლეთ საქართველოს შინაურ საქმეებში, რადგან ამას ირანის საშინაო საქმეებში ოსმალეთის ჩარევად მიიჩნევდა. ოსმალეთიც არ დაუშვებდა დასავლეთ საქართველოს შეერთებას აღმოსავლეთ საქართველოსთან, რადგან ეს უკანასკნელი ირანის ხელდებული ქვეყანა იყო და ეს ოსმალეთის შინაურ საქმეებში ირანის ჩარევად ჩაითვლებოდა. ამასთანავე, ვიდრე ოსმალეთი და ირანი ზავის პირობებს იცავდნენ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს ამ მოქიშპე სახელმწიფოების დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ისინი მთლიანად საკუთარ სუსტ ძალებზე დამოკიდებული რჩებოდნენ.

ოსმალეთი სულეიმან I-ის დროს

ირან-ოსმალეთის პირველი დაპირისპირების დროს ოსმალეთის სულთანი იყო სულეიმან I (1520-1566 წწ.), რომლის მმართველობის პერიოდიც ოსმალეთის სიძლიერის ხანად ითვლება. სულეიმან I-მა არაერთი რეფორმა ჩაატარა, რომლის მიზანი სახელმწიფო აპარატის დახვეწა, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, სამხედრო პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდა იყო.

ოსმალეთის იმპერია ცალკეულ ოლქებად, მხარეებად – ვილაიეთებად და უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა. მათ სათავეში სხვადასხვა რანგის მოხელე-გამგებლები იდგნენ. ამ მოხელე-გამგებლების ტიტულებს შორის უმაღლესი იყო ფაშა – ოლქის მმართველი. როგორც სხვა სახელმწიფო მოხელეები, ადგილობრივი გამგებლებიც სულთანს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.



სურ. 2 სულთან სულეიმანის პორტრეტი. ტიციანი, XVI ს. ვენის ხელოვნების მუზეუმი

აღჩა – ოსმალეთის იმპერიის ფულის ერთეული.

მართალია სულთანი ერთპიროვნულ და შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდა, მაგრამ სახელმწიფოს მართვაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ვეზირთა დივანი, რომელსაც დიდი ვეზირი ედგა სათავეში. ეს სათათბირო ორგანო ერთგვარ მთავრობას წარმოადგენდა, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელები (სამხედრო, გადასახადების, ვაჭრობის, გასავლების, ადმინისტრაციული და სხვ.) – ვეზირები – შედიოდნენ. დიდი ვეზირი სულთნის ბეჭედს ფლობდა და ხშირად სულთნის ნაცვლად ხელმძღვანელობდა მნიშვნელოვან სამხედრო კამპანიებს.

14. ტიციანი ვენეციის რესპუბლიკის პირველი მხატვრის თანამდებობა ეჭირა. ოსმალეთისა და ვენეციის ურთიერთობის მიუხედავად, შენი აზრით, როგორ და რატომ იყო შესაძლებელი ამ ტიპის კომუნიკაცია?

ოსმალეთის არმია ორი ნაწილისგან შედგებოდა: 1. რეგულარული ქვეითი ჯარი – იანიჩარები, რომელთა რაოდენობა 12 000-ს აღწევდა; 2. ლაშქარი, რომელიც პროვინციებისა და დაპყრობილი ქვეყნების მმართველებს და ბოლოს მომთაბარეებს გამოჰყავდათ. სულთან სულეიმანის დროს იანიჩარების რაოდენობა 20 000-მდე გაიზარდა. ისინი სამ კატეგორიად იყოფოდნენ. პირველს და ყველაზე მრავალრიცხოვანს ჯარში მომსახურე იანიჩარები განეკუთვნებოდნენ. მათ დღეში 3-იდან 7 აღჩამდე ხელფასს უხდიდნენ. მეორე კატეგორიაში დამსახურებული ვეტერანები იყვნენ. მათი ხელფასი 9-იდან 12 აღჩამდე იყო. მესამე კატეგორიაში შედიოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის პირები, როგორც ოფიცრები, ისე ჯარისკაცები და მათ 20-30 აღჩა ეძლეოდათ.

სულეიმანის ბრძანებით, პროვინციის გამგებლები ვალდებული იყვნენ, პირველსავე დაძახებაზე სალაშქროდ გამოსულიყვნენ და თან დადგენილი რაოდენობის საკუთარი გლეხებისგან შემდგარი რაზმი წამოეყვანათ. არმიის რეფორმის განხორციელების შემდეგ სულეიმანმა იმას მიაღწია, რომ ოსმალეთის ჯარი იანიჩარების გარეშე 250 000 კაცს აღწევდა.



სურ. 3 სულეიმანი ბუდაში. ოსმალური მინიატურა, XVI ს.

სულეიმანმა მოაწესრიგა იურიდიული საკონონმდებლო ბაზა, ამოიღო ურთიერთგამომრიცხავი კანონები, შემოიღო ჯარიმები ზოგიერთ ისეთ დანაშაულზე, რომლებიც სიკვდილით დასჯას ან წამება-დასახიჩრებას ითვალისწინებდა. მის მიერ შექმნილ კოდექსს ,,ოსმალეთის კანონები“ ეწოდა და დაახლოებით სამი საუკუნე იარსება. ,,ომალეთის კანონებით“ გაიზარდა კერძო საკუთრების დაცულობაც და დადგინდა დამნაშავისთვის ქონების ჩამორთმევის პირობები. გაუმჯობესდა იუდეველებისა და ქრისტიანების მდგომარეობაც და აიკრძალა მათი რბევა, უმიზეზოდ დასჯა, ცილისწამებასა და ცრურწმენაზე დაფუძნებული ანტისემიტური ქმედებები.

წყარო. სულეიმან I-ის ბრძანება იერუსალიმის ქრისტიანებისადმი

„ქრისტიანებმა უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად ჩვენი მფარველი ფრთის ქვეშ. მათ ექნებათ უფლება, შეაკეთონ თავიანთი კარები და ფანჯრები და უსაფრთხოდ შეინარჩუნონ თავიანთი საცხოვრებელი და ლოცვის ადგილები, რომლებსაც ისინი რეალურად ფლობენ. არავის აქვს უფლება, შეაფერხოს ან დააშინოს ისინი ამ საქმეში“.

სულეიმან I ირანთან ომის პარალელურად ევროპაში გაფართოებასაც ცდილობდა.

1521 წელს სულეიმანმა უნგრეთის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი ბელგრადი აიღო. ამით მან ხელში ჩაიგდო სტარტეგიულად მომგებიანი დასაყრდენი პუნქტი ევროპაში სამომავლო ომის საწარმოებლად.

1522 წელს ოსმალებმა აიღეს კუნძული როდოსი და იქიდან ჯვაროსანი რაინდები გააძევეს. როდოსი ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სტატრეგიული პუნქტი იყო.

1526 წელს მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა სულეიმანის არმიასა და უნგრეთ-ჩეხეთის გაერთიანებულ ჯარს შორის უნგრეთში, მდინარე დუნაის მარჯვენა ნაპირზე, ქ. მოჰაჩთან.

ამ ბრძოლაში სულეიმანს 100 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა და 300 ზარბაზანი ჰქონდა, ხოლო მის მოწინააღმდეგეებს დაახლოებით – 25-ათასიანი არმია, ამიტომ ოსმალებმა

ადვილად გაიმარჯვეს. ამის შემდეგ სულეიმანმა მთელი უნგრეთი დაიპყრო და მდინარე დუნაიზე მდებარე დედაქალაქი ბუდაც დაიკავა.

ამით მას გზა გაეხსნა ცენტრალური ევროპისაკენ და იმავდროულად ხელში ჩაიგდო დუნაიზე გამავალი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სანაოსნო გზა.

15. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ევროპაში ოსმალეთის შემდგომი გაფართოებისთვის სულეიმან I-ის სამხედრო მიღწევებს, მაგ., რა კონკრეტული მნიშვნელობა ექნებოდა: ა) ბელგრადის, ბ) კუნძულ როდოსის აღებას, გ) მოჰაჩთან გამარჯვებას, დ) სანაოსნო მდინარე დუნაიზე ბუდის დაკავებას?

16. რომელ სახელმწიფოებს უქმნიდა საფრთხეს ოსმალეთის გაფართოება?

17. შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა დაპყრობილი ხალხის ცხოვრება ევროპის იმ ნაწილში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა?

18. უნგრეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო მდინარე დუნაიზე გასასვლელი. როგორ ფიქრობ, რატომ არის დუნაი ეკონომიკურად და სტარტეგიულად მნიშვნელოვანი? რომელი ქვეყნები შედიოდა იმ დროისთვის დუნაის აუზში?

19. რუკის მიხედვით განსაზღვრე, კუნძულ როდოსის გარდა, კიდევ რომელი კუნძულების ფლობაა მნიშვნელოვანი ხმელთაშუა ზღვის აუზში უპირატესობის მოსაპოვებლად?

1529 წელს ოსმალები ევროპის შუაგულში შეიჭრნენ და ვენას შეუტიეს. ავსტრიელებმა იცოდნენ, რომ სულეიმანი ვენის ასაღებად ემზადებოდა და შეტევის მოსაგერიებლად მოემზადნენ. თავის მხრივ, პრობლემები შეექმნათ ოსმალებსაც, რომლებმაც საგანგებოდ ვენის კედლების დასანგრევად წაღებული ზარბაზნები და სხვა იარაღი დაჭაობებულ და ძნელად გასავალ გზებზე ვერ გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, სექტემბერ-ოქტომბერში ოსმალებს ვენა ალყაში ჰქონდათ მოქცეული. მათ თავიდან ვენის დამცველებს ქალაქის უომრად ჩაბარება მოსთხოვეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს; ამის შემდეგ ისინი მაინც შეეცადნენ კედლების დანგრევას, მაგრამ უშედეგოდ; ბოლოს ოსმალებმა ქალაქის იერიშით აღება გადაწყვიტეს, მაგრამ აქაც არ გაუმართლათ. ამასობაში ზამთარიც ახლოვდებოდა და ოსმალები იძულებული გახდნენ, უკან გაბრუნებულიყვნენ.

1533 წელს ავსტრიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ავსტრიამ უნგრეთის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები შეინარჩუნა, ამის სანაცვლოდ კი ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკის გადახდა დაეკისრა. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში წარმოებული სამხედრო კამპანიების პარალელურად სულეიმანმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-თან.

1536 წელს ამ ორ ქვეყანას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ“.

ფრანკო-ოსმალური ალიანსი ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ურთიერთდახმარების სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა ქრისტიანულ და მუსლიმურ სახელმწიფოებს შორის. ამ ალიანსმა საკმაოდ დიდხანს, თითქმის ორ-ნახევარი საუკუნე იარსება. XVI საუკუნე კი ამ ალიანსის ყველაზე აქტიური პერიოდი იყო, როდესაც რამდენიმე ერთობლივი შეტევა განახორციელეს იტალიურ ქალაქებზე. მათ შორის იყო თავდასხმა ვენეციასა და გენუაზე და ნიცის ალყა. 1443-1444 წლების მიჯნაზე ოსმალურმა ფლოტმა ადმირალ ხაირ ად-დინ ბარბაროსას (1475-1546 წწ.) მეთაურობით ტულონში გამოიზამთრა, შემდეგ კი ესპანური და იტალიური სანაპირო ქალაქები დაარბია.

წყარო. ფრანსუა I-ის ინსტრუქცია პროვანსის გენერალ-გუბერნატორს.

„ზამთრის განმავლობაში დააბინავეთ თურქთა დიდი მეფის მიერ გამოგზავნილი ბატონი ბარბაროსა, თავის თურქულ არმიასთან, რომელიც 30 000 მებრძოლს მოიცავს და

დიდებულ ხომალდებთან ერთად ქ. ტულონსა და მის პორტში... ხსენებული არმიის განთავსებისა და სანაპიროს კეთილდღეობისთვის შეუფერებელი იქნება, თუ ტულონის მცხოვრებლები იქ დარჩებიან და თურქებს შეერევიან, ბევრი სირთულის გამო, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას“.



■ *სურ. 4 ბარბაროსას ფლოტი ტულონის პორტში 1543 წელს. ნასუჰ მატრაკჩის მინიატიურა. XVI ს.*



■ *სურ. 5 ნიცის ალყა. 1543 წლის გრავიურა. ნიცის მუნიციპალური არქივი.*

ხელშეკრულების თანახმად ამ ორი სახელმწიფოს მოქალაქეებს ერთმანეთთან მიმოსვლისა და ვაჭრობის უფლება მიეცათ. ოსმალეთისა და საფრანგეთის მოკავშირეობა ესპანეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ოსმალეთს ევროპაში მოკავშირის ყოლა ხელს აძლევდა, ხოლო ჰაბსბურგებისგან შევიწროებულ საფრანგეთს ოსმალეთთან გაფორმებული ალიანსი ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. გარდა ამისა, საფრანგეთი იქნებოდა ერთადერთი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ოსმალეთთან ვაჭრობას მოახერხებდა.

ოსმალებმა ფეხის მოკიდება იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოებშიც სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. სულიემან I-მა 1540-1547 წლებში კიდევ რამდენჯერმე დალაშქრა უნგრეთი და ავსტრია. ამ კამპანიის დროს ოსმალების მხარეს ბრძოლებში მონაწილეობა ფრანგულმა არტილერიამაც მიიღო. XVI საუკუნის 60-იან წლებში ოსმალები ძირითადად ტრანსილვანიის (დღევანდელი რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის) დასაპყრობად იბრძოდნენ, სადაც რამდენიმე ქალაქი აიღეს.

20. შენი აზრით, რამ განაპირობა ოსმალთა იმპერიის წარმატებული დაპყრობები და რატომ ვერ ერთიანდებოდნენ ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის წინააღმდეგ?

21. რატომ იყო „მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულება მნიშვნელოვანი თითოეული მხარისთვის?

22. რა შედეგები მოუტანა საფრანგეთ-ოსმალეთის მოკავშირეობამ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს?

23. როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო არახელსაყრელი ირანისთვის საფრანგეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება?

24. შეავსე ცხრილი 1521-1536 წლების მოვლენებთან დაკავშირებით (**მოსაწავლის რვეული, დავ. 56**).

§36. ირან-ოსმალეთის დაპირისპირება XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში. შაჰ-აბასი სეფიანთა ირანის სათავეში

ირან-ოსმალეთის დაპირისპირება ამასიის ზავის შემდეგაც გაგრძელდა. XVI საუკუნის 70-იან წლებში ირანში შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ ვითარებით ისარგებლეს ოსმალებმა და 1578 წელს ირანის წინააღმდეგ ომი განაახლეს. სულთანმა სარდლად მუსტაფა ლალა-ფაშა დანიშნა.

იმავე წელს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო მთლიანად დაიპყრეს და ირანელები ჩილდირის ტბასთან სასტიკად დაამარცხეს. მუსტაფა ლალა-ფაშამ მალე თბილისიც აიღო.

1579 წელს საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე სულთანმა შექმნა ოსმალური ადმინისტრაციული ერთეული – გურჯისტანის ვილაიეთი. 1595 წელს აღწერეს ვილაიეთის მოსახლეობა, შემოიღეს ოსმალური მიწისმფლობელობის წესი და ისეთი კანონები, რომ ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი გამხდარიყო ისლამის მიღება.

ომის მიმდინარეობისას, 1587 წელს, ირანის ტახტზე ავიდა შაჰ-აბას I (1587-1628 წწ.), რომელიც მალევე მიხვდა, რომ რეფორმების გარეშე ოსმალეთის დამარცხებას ვერ შეძლებდა, ამიტომ 1590 წელს ახალი ზავი დაიდო. ირანმა ცნო ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში: აღმოსავლეთი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანის დიდი ნაწილი მოწინააღმდეგეს დაუთმო.

1. რა ეკონომიკურ და სტარეტეგიულ უპირატესობას აძლევდა სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატება ოსმალეთს ირანთან დაპირისპირების პროცესში?

2. შენი აზრით, როგორ აისახებოდა ოსმალების მიერ შემოღებული მიწისმფლობელობის წესი გურჯისტანის ვილაიეთში მცხოვრებ მოსახლეობაზე და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროცესს?

შაჰ-აბასი ირანის სათავეში

ოსმალეთთან დადებული ზავის შემდეგ შაჰ-აბას I-მა საშინაო საქმეების მოგვარება დაიწყო და სხვადასხვა რეფორმა გაატარა. სახელმწიფოს ეკონომიკურად გასაძლიერებლად საგადასახადო სისტემა მოწესრიგდა, დადგინდა და მკაცრად განისაზღვრა ხელოსნობისთვის დაწესებული გადასახადები; ვაჭრებისთვის აშენდა **ქარვასლები** და **ფუნდუკები**; მიწების დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა და გლეხები უშუალოდ სახელმწიფოსთვის მუშაობდნენ; აბრეშუმის წარმოებასა და ვაჭრობაზე დაწესდა შაჰის პირადი კონტროლი.

ქარვასლა – დიდი სავაჭრო-სახელოსნო სახლი, სადაც შორიდან მომავალი მექარავნეები, ვაჭრები ისვენებდნენ და საქონელსაც დროებით იქ ინახავდნენ.

ფუნდუკი – სავაჭრო მაგისტრალზე მდებარე ერთგვარი სასტუმრო.

ოსმალეთთან განცდილმა მარცხმა შაჰ-აბასს აჩვენა, რომ ირანულ-ყიზილბაშური ფეოდალური არმია ვერ აკმაყოფილებდა იმ ეპოქის სტანდარტებს. ყიზილბაშთა ტომებს არ გააჩნდათ თანამედროვე შეიარაღება, ხშირად თავს ესხმოდნენ სოფლებს, ქალაქებსა და სავაჭრო ქარავნებს, შაჰის ერთგულება კი მიღებულ გასამრჯელოზე იყო დამოკიდებული. ოსმალების სამხედრო წარმატებები მათი სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობით იყო გამოწვეული. მათ ჰყავდათ მუდმივი ჯარი, იანიჩართა ქვეითი ჯარი, შესანიშნავი არტილერია მაშინ, როცა ირანს ფეოდალურ ლაშქართან ერთად მხოლოდ 6 000-იანი ცხენოსანი გვარდია – ყორჩიების კორპუსი ჰყავდა. ფეოდალური ლაშქრის მეომრები ძირითადად მომთაბარე ყიზილბას იყვნენ. ოსმალეთის არმია შეიარაღებითაც სჯობდა ირანულს. ისინი ბრძოლის დროს უკვე ზარბაზნებსაც იყენებდნენ.

შაჰ-აბასმა ოსმალეთის მიბაძვით შექმნა მუდმივი ჯარი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში არსებული იანიჩართა ჯარის მსგავსად, ღულამებისგან – გამუსლიმებული კავკასიელებისგან – ძირითადად ქართველების, სომხებისა და ჩერქეზებისგან შედგებოდა და ხელფასს სახელმწიფო ხაზინიდან იღებდა. სწორედ ღულამებისგან დაკომპლექტდა შაჰის პირადი გვარდია – შაჰსევანი. შეიქმნა **არკებუზების** კორპუსი და ცხენოსანთა გვარდია. ასევე დაკომპლექტდა მეთოფეთა კორპუსი, რომელიც ირანელებისგან შედგებოდა. ევროპიდან მოიწვიეს იარაღის ხელოსნები და ზარბაზნების ჩამოსხმა და თოფების ფართოდ წარმოება დაიწყეს. ინგლისიდან მოიწვიეს სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც ჯარის გაწვრთნასა და ფლოტის აგებაში იღებდნენ მონაწილეობას. შეიქმნა ასევე ყულის, ანუ დაქირავებულ მებრძოლთა, ჯარი. ყულის ჯარში ძირითადად კავკასიელები მსახურობდნენ.

შაჰ-აბასის მიზანი ყიზილბაშური ტომებისა და მათი ხელმძღვანელების გავლენის შესუსტება იყო. ეს სამხედრო-ფეოდალური ელემენტი ხშირად არ ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ქვეყნის მართვის საქმეში ერეოდა. მაგალითად, ყიზილბაშური არისტოკრატია მუდმივად ცდილობდა, ჩარეულიყო ირანის ,,დიდი ვეზირის“ დანიშვნის საქმეში, რათა შემდგომში ზეწოლა მოეხდინა მასზე. შაჰ-აბასის პერიოდში დიდი ვეზირის მნიშვნელობა გაიზარდა და ის მხოლოდ შაჰის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. შაჰ-აბასმა, ოსმალეთის იმპერიის მსგავსად, ირანი დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებად – ბეილერბეილიქებად დაყო, რომლებიც ოსმალურ საფაშოებს უდრიდა. პროვინციების მმართველებად კი არა მხოლოდ ყიზილბაში ემირები, არამედ ღულამებიც ინიშნებოდნენ. შაჰ-აბასის ამ რეფორმებამდე მთელი სამხედრო-ადმინისტრაციული ძალაუფლება ყიზლიბაშების ხელში იყო, მისი რეფორმების შემდეგ კი სპარსელი და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ჩაერთვნენ ქვეყნის სამხედრო, ადმინისტრაციულ თუ საფინანსო საქმიანობაში.

სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმები, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკური რეფორმების გარეშე. შაჰ-აბასი ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობის განვითარებას, რომელზეც სახელმწიფოს მონოპოლია ჰქონდა დაწესებული. ვაჭრებისთვის გზებზე მრავალგან აშენდა ქარავან-სარაი (აქედან ქართული – ქარვასლა), რომელშიც ვაჭრებსა და მოგზაურებს უსაფრთხოდ გაჩერება, საქონლის დაბინავება და ვაჭრობაც კი შეეძლოთ. შემცირდა ვაჭრობასა და ხელოსნობაზე დაწესებული გადასახადები. ყველა პროვინციისთვის განისაზღვრა გადასახადების ზუსტი ოდენობა, რომელთა აკრეფაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები შემცირდა, შაჰს შეეძლო გამოეცა ბრძანებულება რომელიმე პროვინციაში ან მთელ ქვეყანაში დამატებითი გადასახადის აკრეფის შესახებ. თუმცა ეს მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა და მალევე უქმდებოდა.

შაჰ-აბასი იყო პირველი სეფიანთა დინასტიიდან, ვინც დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ევროპულ სახელმწიფოებთან: პოლონეთთან, ესპანეთთან, გერმანიასთან, ინგლისთან. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ინგლისთან ურთიერთობა. ინგლისელი ძმები რობერტ და ენტონი შირლები შაჰ-აბასის კარზე სამხედრო ინსტრუქტორებად მსახურობდნენ. ასევე, სპარსეთის ყურიდან გასასვლელი ორმუზის სრუტის დაკავებაში ინგლისელებმაც მიიღეს მონაწილეობა და მათი დახმარებით 1622 წელს სპარსელებმა პორტუგალიელები დაამარცხეს და განდევნეს.

შაჰ-აბასის რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერე. სეფიანთა ირანს 44 000-იანი დისციპლინირებული და შაჰის ერთგული მუდმივი ჯარი ჰყავდა, რომელიც შეიარაღებული იყო იმ დროის უახლესი იარაღით. სამხედრო რეფორმის შედეგად ფეოდალურმა ლაშქარმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა. შაჰ-აბასს საშუალება მიეცა, ყიზილბაშებისთვის გადაცემული მიწები ჩამოერთმია და სახელმწიფოსთვის გადაეცა. სამხედრო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ქალაქებისა თუ პროვინციების მმართველებად უკვე **ღულამთა** რიგებიდან გამოსული მეომრების დანიშვნა დაიწყეს.

არკებუზი – ძველებური პატრუქიანი თოფი, რომელიც ლულიდან იტენებოდა. გამოიყენებოდა XIV-XVI სს.-ში.

ღულამი – დაპყრობილი არამუსლიმური ქვეყნებიდან მონებად, ტყვედ წაყვანილი ახალგაზრდები, რომლებსაც რელიგიის შეცვლის შემდეგ სამხედრო განათლებას აძლევდნენ და სამხედრო რიგებში რიცხავდნენ.

წყარო ა) ნაწყვეტები ჯეიმს I-ის (შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI 1567 წლიდან და ინგლისის მეფე 1603-1625 წწ.) წერილიდან შაჰ-აბასისადმი

„ჯეიმსი მეფე შოტლანდიისა და მის გარშემო კუნძულებისა, ღმერთის წყალობით, მემკვიდრე უძლიერესი სამეფოსი ინგლისისა და ირლანდიისა.
უძლეველ შაჰ აბბას სპარსეთის იმპერატორს...

არცთუ დიდი ხნის წინ ინგლისელმა რაინდმა ენტონი შირლიმ შესანიშნავად შეასრულა ელჩის მოვალეობები, თქვენი უდიდებულესობის მიერ მინდობილი, პრინცებისა თუ იმპერატორების წინაშე. გონივრულად და დაჟინებით განიხილა სპარსეთთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. მან დატოვა სამშობლო და ახლობლები იმისათვის, რომ გემსახუროთ თქვენ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ძალიან მალე თურქი ხალხის საძულველი ალმები ფეხქვეშ იქნება გათელილი და დასაცინად გამოფენილი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს დიდი იმედი და მოლოდინი, რომ ინგლისი გაგიწევთ არსებით სამხედრო დახმარებას, რადგან იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც ინგლისს მართავენ, აპირებს, შეკრას სავაჭრო კავშირი თურქებთან. ჩვენ მივეცით ინსტრუქცია ენტონი შირლს, რომ არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც ზიანის მომტანი იქნება თქვენი უდიდებულესობისთვის. ხოლო მას შემდეგ, რაც [ინგლისის] გვირგვინი ჩვენზე გადმოვა, ინგლისის უძლიერესი ფლოტით შიშის ზარს დავცემთ ოსმალებს. იქამდე კი დიდსულოვანი და ნაქები რაინდი შირლი იქნება თქვენთან, როგორც მრავალმხრივი ცოდნის მქონე პირი ომისა და სახელმწიფოს მართვის საკითხებში...

დაიწერა ქრისტეს შობიდან 1601 წელსა და ჩვენი გამეფებიდან 34-ე წელს.
თქვენი მოსიყვარულე ძმა ჯეიმსი“.

შაჰ-აბას I-ის მმართველობის დასასრულს ღულამთა რაოდენობა სახელმწიფოს ადმინისტრაციის უმაღლეს თანამდებობათა 1/5-ს შეადგენდა. მაგალითად, ყულის ჯარისა და შაჰსევანთა მეთაურები ძირითადად ქართული წარმოშობის იყვნენ. მალე საგვარეულო დინასტიებიც შეიქმნა და ღულამთა რიგებიდან გამოსულები წარჩინებულებადაც იქცნენ.

შაჰის კარზე ქართული და სომხური წარმოშობის არაერთი ცნობილი სარდალი მოღვაწეობდა (მაგ., ქართველი ალავერდი-ხან უნდილაძე, სომეხი ყარჩიხა-ხანი და სხვები. ალავერდი-ხანი ისპაჰანის გამგებელი და ფარსის გენერალ-გუბერნატორი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ფარსის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა მისმა შვილმა იმამ ყული-ხანმა დაიკავა).

ირანის საზოგადოება სეფიანთა ხანაში

სეფიანთა ირანი ეთნიკურად ჭრელი სახელმწიფო იყო, რომელშიც ირანელები და თურქმანული (თურქული) ტომები დომინირებდნენ. შაჰ-აბას I-ის რეფორმების შემდგომ მესამე ძალად მმართველობაში კავკასიურმა ელემენტმა წამოიწია. სეფიანთა სახელმწიფოს სოციალური მოწყობა, ფაქტობრივად, **მერიტოკრატიული** იყო, რაც იმას გულისხმობდა, რომ თანამდებობებზე ნიჭიერ და კომპეტენტურ ადამიანებს აწინაურებდნენ. ცხადია, წარჩინებულთა და დიდგვაროვანთა სოციალური ფენა არსებობდა, მაგრამ თანამდებობის დასაკავებლად მხოლოდ წარმომავლობა არ იყო საკმარისი. სეფიანთა ირანის საზოგადოებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ სასულიერო პირებს, რომლებიც ხშირად შუამავლის ან მომლაპარაკებლის როლს ასრულებდნენ შაჰის ხელისუფლებასა და დაქვემდებარებულებს შორის. ამგვარად, სეფიანთა ირანის სოციალური პირამიდის სათავეში იდგა შაჰი და მისი ოჯახი, შემდეგ მოდიოდნენ დიდებულები და სასულიერო პირები, პირამიდის ბოლოში კი იყვნენ გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები.

მერიტოკრატია – მმართველობის ფორმა, სადაც თანამდებობების გადაცემა ხდება არა ჩამომავლობით ან სოციალური მდგომარეობით, არამედ პიროვნული უნარებით

შაჰ-აბას I-ის მმართველობის პერიოდში ირანში აღორძინდა კულტურაც. შენდებოდა ქალაქები, ბაზრები, ხიდები და სასახლეები.

3. ერთი შეხედვით ირანის საზოგადოება იმავე სოციალური ფენებისგან შედგება, რომლებისგანაც ევროპული, მაგრამ საზოგადოებებს შორის დიდი განსხვავებაა. შეადარე ირანული და ევროპული ფეოდალური საზოგადოება და გამოყავი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

შაჰ-აბას I-მა 1598 წელს დედაქალაქი ყაზვინიდან ისპაჰანში გადაიტანა და მის დაგეგმარებასა და აღმშენებლობას პირადად ხელმძღვანელობდა. ქალაქის მთავარ მოედანს „ნაყშ-ე-ჯაჰან“ – „ქვეყნიერების სურათი“ ეწოდა. მას ამშვენებდა შაჰის სასახლე, ბრწყინვალე მეჩეთები და ბაზრები.





სურ. 1-2 პასკალ კოსტე, ფრანგი არქიტექტორი, რომელმაც 1839-1841 წლებში იმოგზაურა ირანში და დახატა ისპაჰანის ღირსშესანიშნაობები. მოედანი – „ნაყშ-ე-ჯაჰანი“; შაჰის მეჩეთი.



სურ. 3 შაჰის მეჩეთის ინტერიერი



სურ 4. ალი-კაპუს („მაღალი კარიბჭე“) სასახლე.

შაჰ-აბას I-ის დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაიწყო დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა, გაიგზავნა დელეგაციები. საფრანგეთიდან და ინგლისიდან ირანში ჩასულმა ელჩებმა, მოგზაურებმა თუ ვაჭრებმა არაერთი საინტერესო ჩანაწერი და მოგონება დაგვიტოვეს, რაც იმ პერიოდის სეფიანთა ირანის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა.

პოლო

ითვლება, რომ სპორტის ეს სახეობა ირანში ჯერ კიდევ სასანიანთ ეპოქაში წარმოიშვა და შემდეგ იქიდან გავრცელდა ჩინეთში, კავკასიაში, ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში. ის დღესაც ირანის ეროვნული სპორტის სახეობად ითვლება და სეფიანთა ხანაშიც დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. მხედრები ჯორზე, ვირზე ან ცხენზე ისხდნენ და სპეციალური ჩოგნებით ბურთზე დარტყმით მოწინააღმდეგის კარის აღებას ცდილობდნენ. პოლო ერთერთ პირველ გუნდურ თამაშადაც ითვლება.

4. რა გავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოებთან კონტაქტმა ირანის შემდგომ განვითარებაზე? რატომ?

5. როგორ აისახა ირანის გავლენა მის მიერ დაპყრობილი ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე?

6. შენი აზრით, რატომ გაუჩნდათ ევროპულ სახელმწიფოებს ირანის მიმართ ინტერესი და რამდენად ხელსაყრელია ეს ურთიერთობა ოსმალეთისთვის?



სურ. 5 პოლოს მოთამაშეები, ირანული მინიატიურა. XVII ს.

ირან-ოსმალეთის დაპირისპირება

შაჰ-აბას I-მა კავკასიაში დაკარგული უფლებების აღდგენა გადაწყვიტა და 1603 წელს ოსმალეთს ომი გამოუცხადა. მან ერევნის ციხე აიღო. 1605 წელს ირანელებმა ურმიის ტბასთან სასტიკად დაამარცხეს ოსმალების არმია. ოსმალეთი იძულებული გახდა, აღმოსავლეთ კავკასიაში ირანის ბატონობა ეცნო. 1612 წლის ზავით ირან-ოსმალეთმა კიდევ ერთხელ გაიყო კავკასია. მათ ძირითადად ამასიის ზავის პირობები მიიღეს.



სურ. 6 ქართველები თამაშობენ პოლოს იმერეთის სამეფოში, კასტელის ჩანახატი 1640 წ.

წყარო ბ) სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში 1612 წლის ზავზე

„ბევრი დავისა და ბჭობის შემდეგ გადაწყდა ზავი ისეთსავე პირობებზე, როგორც სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თამაზ I) და სულთან სოლეიმანის (სულეიმან I) დროს დაიდო... რადგან ზემოხსენებულ ცხონებულ ხელმწიფეთა შორის ზავის დადების შემდეგ ხანგრძლივი დრო და ჟამი იყო გასული და, დროთა ბრუნვისა და ჟამთა ტრიალის გამო, ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ის, რომ მესხეთი და ახალციხის ციხე, რომელიც წინანდელი ზავით ამ მხარეში (ირანში) შემოდიოდა, უკანასკნელ დრომდე ოსმალების მფლობელობაში რჩებოდა, ხოლო არაბისტანის ზოგიერთი ციხე და ადგილი და ბაღდადი (მაშინ) ოსმალეთის საზღვრებში შედიოდა, ამჟამად კი ირანის მფლობელობაშია, მათი დაცლა და ორივე მხრისათვის გადაცემა ძნელი იყო. უკეთესია, რომ რაც საზავო ხელშეკრულების დადების დროს თითოეული მხარის დანიშნულ პირთა მფლობელობაში იყო, ისე დარჩენილიყო სამუდამოდ და მხარეებს ის ადგილები არ შეევიწროებინათ. გაგზავნილ პირებს დაავალეს, დაეცვათ ეს წესი და საზღვრები და მიჯნები ისე დაედგინათ, რომ სრულებით მოსპობილიყო მტრობისა და ჩხუბის საბაბი და ნაწილის გამო მთელი არ შეეფერხებინათ“.

7. რით განსხვავდებოდა 1612 წელს დადებული ზავი ამასიის ზავისგან?

8. როგორ ხსნის წყაროს ავტორი ახალციხის ოსმალეთისთვის გადაცემას?

ოსმალეთთან დადებულმა ზავმა ირანს შესაძლებლობა მისცა, თავისუფლად ეწარმოებინა აგრესიული საგარეო პოლიტიკა კავკასიაში, რომელიც ძირითადად კახეთისა და ქართლის სამეფოების წინააღმდეგ წარიმართა. შაჰ-აბასის მიზანი ქართლისა და კახეთის

უშუალოდ ირანისთვის მიერთება იყო და ამ სამეფოების ვასალური დამოკიდებულება აღარ აკმაყოფილებდა. 1614 წელს შაჰ-აბასი დიდი ჯარით შეიჭრა კახეთში. კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648 წწ.) უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-თან (1606-1615 წწ.) ერთად იმერეთში გაიხიზნა. ირანელთა ჯარმა კახეთი მოარბია, იქ შაჰ-აბასმა თავისი მოხელე დანიშნა, მერე ქართლში გადავიდა და დიდძალი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა. ტყვეებს შორის იყო თეიმურაზ I-ის დედა ქეთევან დედოფალი. კახეთს ბრძოლა არ შეუწყვეტია, რასაც 1616-1617 წლებში ირანელთა კიდევ სამი ლაშქრობა მოჰყვა. შედეგად კახეთის ძირითადი ნაწილი გაჩანაგდა. ტყვედ წაყვანილი მოსახლეობის ოდენობამ 200 ათასს გადააჭარბა, რამაც ქვეყანა ხალხისაგან დაცალა. შაჰ-აბასმა მათ ნაცვლად კახეთის სამეფოში თავისი ერთგული თურქმანული ტომები ჩაასახლა, ქართლსა და კახეთს კი უკვე მისი მოხელეები განაგებდნენ. 1625 წელს ქართლ-კახეთი ხელახლა აჯანყდა და შაჰ-აბასმა ახალი სადამსჯელო ჯარი გამოგზავნა. 25 მარტს მარტყოფის ბრძოლაში ქართველებმა გიორგი სააკაძისა და დავით ჯანდიერის მეთაურობით სეფიანთა ჯარი სასტიკად დაამარცხეს. 1625 წლის ივნისში ირანელთა ახალი ჯარი შემოვიდა ქართლში. მარაბდის ბრძოლაში, რომელშიც ქართველებს თეიმურაზ I მეთაურობდა, ქართველები დამარცხდნენ. მიუხედავად მარცხისა, ქართველები განაგრძობდნენ პარტიზანულ ომს და მტერს დიდ ზარალს აყენებდნენ. მართალია, შაჰ-აბასმა ქართლსა და კახეთში თავისი მოხელეები დანიშნა, მაგრამ გარკვეულ დათმობაზე მოუწია წასვლა და ხელი აიღო მოსახლეობის გაწყვეტასა და ტერიტორიის მოოხრებაზე.

1612 წლის ზავით დაპირისპირება არ დასრულებულა და ომი ხანმოკლე შესვენებებით 1639 წლამდე გაგრძელდა. საბოლოოდ, მხარეთა შორის შეთანხმება 1639 წელს მოხდა. მიღებული ზუჰაბის ზავით ერაყის დიდი ნაწილი ბაღდადით ოსმალებს დარჩა; სასაზღვრო ციხესიმაგრეები ამ რეგიონშიც დაანგრიეს; აღმოსავლეთი სომხეთი და აღმოსავლეთი ქურთისტანი ირანს ერგო, დასავლეთი სომხეთი და დასავლეთი ქურთისტანი – ოსმალეთს. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიას: აღმოსავლეთი საქართველო – ირანს, დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო – ოსმალეთს. ზუჰაბის ზავი 1723 წლამდე არ დარღვეულა, ამიტომ ხშირად მას „საუკუნო ზავსაც“ უწოდებენ.

9. იმსჯელე, რა გავლენას მოახდენდა ქართულ სამეფო-სამთავროებზე ზუჰაბის ზავი? რა შედეგი მოჰყვებოდა ხანგრძლივად ოსმალური და ირანული გავლენაში ყოფნას?

10. შეავსე ცხრილი. ერთმანეთს შეადარე ირან-ოსმალეთს შორის დადებული ზავის პირობები და ტერიტორიული გადანაწილება (**მოსწავლის რვეული, დავ. 57**).

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ XVII საუკუნის შუა ხანებში ოსმალეთის იმპერიაში და სულთნის კარის მრჩეველი ხარ. სულთნის კარმა დაგავალა, მოამზადო მოხსენება, რომელიც ოსმალეთის ხელისუფლებას დაეხმარება სახელმწიფოს წინაშე არსებული საგარეო პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრაში და ირანისაგან მოსალოდნელი საფრთხეების შეფასებასა და თავიდან არიდებაში.

მოხსენებაში თვალნათლივ წარმოადგინე:

- როგორ ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანი და რა ფაქტორებმა შეუწყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ერთ სივრცეში გაერთიანებას ხელი?
- რომელი გეოგრაფიული სივრცე წარმოადგენდა ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროს და როგორ შეიცვალა მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ხალხების ცხოვრება? (რელიგია, ეკონომიკა, კულტურა).
- რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირან-ოსმალეთის დაპირისპირების პროცესში კავკასიას?

§ 37. ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ. ᲚᲣᲘ XIII

XVII საუკუნეში საფრანგეთმა დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია. მმართველების მეტად ეფექტიანმა და წინდახედულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ საფრანგეთი ევროპის წამყვან სახელმწიფოდ იქცა. ეს იყო აბსოლუტიზმის ხანა, როდესაც ქვეყანაში სრული ძალაუფლება მეფისა და კარდინალის ხელში იყო.

1610 წელს საფრანგეთის ტახტზე 9 წლის ლუი XIII ავიდა. მისი რეგენტი დედამისი, ანრი IV-ის ქვრივი, დედოფალი მარია მედიჩი გახდა და, ფაქტობრივად, ძალაუფლება მის ხელში აღმოჩნდა. მარია მედიჩი შვიდი წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას და ამ ხნის განმავლობაში ძირფესვიანად შეცვალა საფრანგეთის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური კურსი.

სრულწლოვანების შემდეგ ლუი XIII-მ მარია მედიჩი პარიზიდან გაასახლა და დამოუკიდებელი მმართველი გახდა. ლუი XIII-თან დარჩა დედოფლის პირადი მოძღვარი რიშელიე. მისი ინიციატივით, რომის პაპმა რიშელიეს კარდინალის წოდება მიანიჭა, შემდეგ კი მეფის პირადი მრჩეველი და პირველი მინისტრი გახდა. ლუი XIII-მ მას სრული ნდობა გამოუცხადა.

იმ დროისათვის საფრანგეთში არსებულ ვითარებას არასტაბილურად აფასებდა რიშელიე.

წყარო ა) საფრანგეთში არსებული ვითარება, აღწერილი რიშელიეს მიერ

„როდესაც თქვენმა უდიდებულესობამ თქვენს საბჭოში მომიწვია... ჰუგენოტები სახელმწიფოს თქვენთან ერთად მართავდნენ, დიდებულები ისე იქცეოდნენ, თითქოს თქვენი ქვეშევრდომები არ იყვნენ, ხოლო გუბერნატორები თავს დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავიანთ სამფლობელოებში. სხვა სახელმწიფოებთან კავშირი თავის ნებაზე იყო მიშვებული... მომავალში აღარ შეიძლებოდა იმ ხალხის საქციელის მოთმენა, რომლებსაც თქვენ სახელმწიფოს მართვა მიანდეთ... მეორე მხრივ, არ შეიძლებოდა ყველაფრის ერთდროულად შეცვლა... რათა ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ მოვხვედრილიყავით“.

1. განვლილი მასალიდან გაიხსენე, რომელი ინსტიტუტი ზღუდავდა შუა საუკუნეების საფრანგეთში მეფის ერთპიროვნულ ძალუფლებას? როგორ?

2. როგორ შეაფასებ იმ ფაქტს, რომ მეფემ სასულიერო პირს – კარდინალს ჩააბარა მაღალი პოლიტიკური თანამდებობა? როგორი იქნებოდა სახელმწიფოში კათოლიკური ეკლესიის როლი?

3. რიშელიეს მიხედვით, რა იყო მეფის ხელისუფლებისთვის ძირითადი პრობლემა?

4. როგორ ფიქრობ, სუბიექტურია თუ არა კარდინალი მოვლენების შეფასებისას? პასუხი დაასაბუთე.

5. რა კონტრარგუმენტები შეიძლება მოიყვანოს რიშელიეს შეფასების წინააღმდეგ იმ დროს საფრანგეთში მცხოვრებმა დიდებულმა ან ჰუგენოტმა?

რიშელიემ ბურბონთა ხელისუფლების გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. მას სჯეროდა, რომ პროტესტანტიზმი ხშირად კათოლიკე მეფის წინააღმდეგ პოლიტიკური შეთქმულების საბაბი იყო. ამიტომ ჰუგენოტების შევიწროება დაიწყო.

ლა-როშელი ჰუგენოტების ქალაქი და იმავდროულად, საფრანგეთის მნიშვნელოვანი პორტი იყო. მას დიდი გალავანი ჰქონდა შემოვლებული და, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობით სარგებლობდა. 1627 წელს ჰუგენოტებსა და სამეფო ჯარებს შორის დაპირისპირება მოხდა. რიშელიემ ჰუგენოტების წინააღმდეგობას ქალაქის ალყით უპასუხა, რომელიც თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა და 1628 წელს კათოლიკე მეფისა და კარდინალის გამარჯვებით დასრულდა. ჰუგენოტებმა დაკარგეს ყველა პრივილეგია, რომლებიც ჰქონდათ, პოლიტიკური და ტერიტორიული თვითმმართველობის უფლებები, შესაბამისად, ლა-როშელთან ერთად

ყველა სხვა ციხესიმაგრე თუ ქალაქიც ჩამოერთვათ. დაპირისპირების მიუხედავად, რიშელიემ მათ თავისუფალი აღმსარებლობის უფლება შეუნარჩუნა.



სურ.1 კარდინალი რიშელიე ლა-როშელის ალყის დროს. ანრი მოტე. 1881 წ.

ქალაქის ალყის დროს, მეფის არყოფნის შემთხვევაში, მხედართმთავრის ფუნქციას რიშელიე ასრულებდა.

რიშელიემ მკაცრი ზომები მიიღო მეფისგან განდგომილი დიდებულების წინააღმდეგ და მათ პრივილეგიები ჩამოართვა. ასევე მოთხოვა ციხესიმაგრეებისთვის გალავნების მოხსნა, გარდა იმ საფორტიფიკაციო ნაგებობებისა, რომლებიც მტრის შემოჭრის შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

რიშელიემ ჯერ კიდევ პირველ მინისტრად დანიშვნამდე მიაღწია პირველ წარმატებას – 1614 წელს გენერალურმა შტატებმა თვითდათხოვნა გამოაცხადა და ამის შემდეგ საფრანგეთში ის 175 წლის განმავლობაში აღარ მოუწვევიათ. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი აბსოლუტიზმის დამყარების გზაზე საფრანგეთში.

რიშელიეს მიზანი საფრანგეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევა იყო. როგორც თავად წერდა: „ჩემი პირველი მიზანი მეფის სიდიადე იყო, ხოლო მეორე – სახელმწიფოს ძლიერება“. ყველაზე დიდ დაბრკოლებად მას მეზობელ საღვთო რომის იმპერიაში ჰაბსბურგთა მმართველობა მიაჩნდა. ამ ორ სახელმწიფოს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა კონფლიქტი სასაზღვრო მიწების გამო.

1618 წელს დაიწყო 30-წლიანი ომი და ჰაბსბურგთა იმპერიამ პირველ ეტაპზე დიდწარმატებებს მიაღწია. რიშელიე აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ არა ჯარით, არამედ დიპლომატიითა და ფინანსებით. ის ჰაბსბურგთა წინააღმდეგ დახმარებას უწევდა დანიას, შვედეთს, ნიდერლანდებსა და ბავარიას. 1635 წლიდან კი საფრანგეთი საკუთარი არმიით ჩაერთო ომში ჯერ ესპანელი, ხოლო შემდეგ გერმანელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ. მართალია, რიშელიე ვერ მოესწრო ომის დასრულებას, მაგრამ მისი აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად ვესტფალიის ზავით საფრანგეთმა ელზასისა და ლოთარინგიის ტერიტორიები მიიღო და სამხედრო თვალსაზრისით ევროპაში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.



სურ.2 სორბონის უნივერსიტეტი

კარდინალი რეშელიე ხელოვნების მფარველი იყო. ჰქონდა ნახატების შესანიშნავი კოლექცია. მას ეკუთვნის რელიგიური თუ პოლიტიკური ნაწარმოებები, რომელთა შორის გამოირჩევა მისი პოლიტიკური ანდერძი. რიშელიე მუდმივად ცდილობდა ბიბლიოთეკის შევსებას, ამიტომ წიგნებისა და ხელნაწერების მოსაძიებლად საზღვარგარეთ აგზავნიდა მრჩევლებს. ანდერძით მან ბიბლიოთეკა ძმისშვილს დაუტოვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბიბლიოთეკა არა მარტო ოჯახს, არამედ დადგენილ საათებში მეცნიერებსაც მოემსახურებოდა.

ბიბლიოთეკა 1660 წელს სორბონის უნივერსიტეტს გადაეცა.

რიშელიეს უნდოდა, ლიტერატურაც კი სახელმწიფოსთვის დაექვემდებარებინა, ამიტომ დააარსა საფრანგეთის აკადემია. მისი აზრით, ლიტერატურა და ხელოვნება სახელმწიფოს სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და მონარქი და მისი სამეფო კარი უნდა განედიდებინა. სწორედ ამიტომ კარდინალი ყოველმხრივ ხელს უწყობდა კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. რიშელიემ დააარსა საფრანგეთის აკადემია, ლიტერატურული საზოგადოება, გამოსცა პირველი ფრანგული გაზეთი „La Gazette“. იყო თეატრის მოყვარული. 1622 წელს აირჩიეს სორბონის ხელმძღვანელად.



სურ. 3 სორბონის სამლოცველო

რიშელიემ უდიდეს წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკურ არენაზე, მოახერხა საფრანგეთში ხელისუფლების საბოლოოდ ცენტრალიზება მეფის ხელში, მაგრამ ყოველივე ეს პიროვნულად ძალზე ძვირად დაუჯდა. ის არავის უყვარდა სახელმწიფოში: არც დიდებულებს, არც ჰუგენოტებს, უბრალო ხალხშიც არაპოპულარული იყო მის მიერ დაწესებული მაღალი გადასახადების გამო. კარდინალი, მეფის გარდა, პრაქტიკულად არავის უყვარდა. ლუი XIII-მ კი ასე შეაფასა პირველი მინისტრის ღვაწლი: „კარდინალ რიშელიეზე ერთგული მსახური საფრანგეთს არასოდეს ჰყოლია“. გადმოცემის თანახმად, რიშელიემ სიკვდილის წინ განაცხადა: „მე მტრები არ მყავდა, ჩემი მტრები სახელმწიფოს მტრები იყვნენ“.

1642 წლის ბოლოს 18-წლიანი მმართველობის შემდეგ კარდინალი რიშელიე გარდაიცვალა. ის სორბონის უნივერსიტეტის მის მიერვე აგებულ სამლოცველოში დაკრძალეს. მომდევნო წელს მეფე ლუი XIII-ც გარდაიცვალა.



სურ. 4 რიშელიეს სამმაგი პორტრეტი. ფილიპე დე შამპანი

6. შენი აზრით, რატომ დახატა მხატვარმა რიშელიეს პორტრეტი ამგვარად? რა შინაარსის მატარებელია სამმაგი პორტრეტი?

7. შენი აზრით, რატომ შეუნარჩუნა კარდინალმა ჰუგენოტებს თავისუფალი აღმსარებლობის უფლება?

8. როგორ ფიქრობ, რატომ ეხმარებოდა კარდინალი რიშელიე ოცდაათწლიან ომში პროტესტანტულ ქვეყნებს?

9. კარდინალის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რა მიაჩნდა მას ქვეყნის შიგნით ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ?

10. შეავსე ცხრილი გენერალური შტატების თვითდათხოვნით გამოწვეულ შედეგებზე. (**მოსწავლის რვეული, დავ. 58**).

11. როგორ ფიქრობ, კარდინალის პოლიტიკა, სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა ხელოვნება და კულტურა, რა გავლენას მოახდენდა მათ განვითარებაზე?

12. შენი აზრით, რატომ იყო კარდინალი რიშელიესათვის უფრო მნიშვნელოვანი „მეფის სიდიადე“, ვიდრე „სახელმწიფოს ძლიერება“?

13. შენი აზრით, რომელი მიღწევა შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის ძლიერების დასაწყისად? პასუხი დაასაბუთე.

14. როგორ შეაფასებ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას საფრანგეთისთვის? როგორი მემკვიდრეობა დაუტოვა მან საფრანგეთის სამეფო ხელისუფლებას? რა არის შენი შეფასების მთავარი კრიტერიუმი? ახსენი შენი პოზიცია.

1643 წელს მეფედ აკურთხეს 5 წლის უფლისწული ლუი XIV, რომლის რეგენტიც დედამისი ანა ავსტრიელი გახდა და ქვეყნის მმართველობაც მის ხელში გადავიდა. საფრანგეთის პირველ მინისტრად იტალიური წარმოშობის მოღვაწე, ჯულიო მაზარინი, დანიშნა, რომელიც საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურში მსახურობდა და კარდინალ რიშელიეს დიდი ნდობით სარგებლობდა. რიშელიე წერდა: „მე ვიცი მხოლოდ ერთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია, ჩემი ღირსეული მემკვიდრე გახდეს, მაგრამ ის უცხოელია“. ასე რომ, რიშელიეს დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა მისმა მემკვიდრემ კარდინალმა ჯულიო მაზარინიმ, სწორედ მის მმართველობას დაემთხვა ოცდაათწლიანი ომის დამამთავრებელი ეტაპი და ვესტფალიის ზავის დადება, სადაც მაზარინიმ დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოავლინა და მიღებული შედეგების წყალობით საფრანგეთი ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

1648 წელს პარიზში დაიწყო დიდებულებისა და მსხვილი ვაჭარ-ხელოსნების აჯანყება, რომელიც ისტორიაში „ფრონდას“ სახელით არის ცნობილი. აჯანყებულები რიშელიესა და მაზარინის მიერ შემოღებული გადასახადების გაუქმებასა და წართმეული პრივილეგიების დაბრუნებას მოითხოვდნენ. მაზარინიმ სამეფო ოჯახი ქალაქიდან გაიყვანა. აჯანყება, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელიც მაზარინიმ 1653 წელს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, არმიის დახმარებით ჩაახშო. შემდგომ წლებში მაზარინის მიერ საგარეო პოლიტიკაში მიღწეულმა შედეგებმა კიდევ უფრო განამტკიცა საფრანგეთის ჰეგემონობა ევროპაში. მან გააფორმა სამხედრო კავშირი ინგლისთან; დაასუსტა ჰაბსბურგთა მმართველობა; ესპანეთთან მოლაპარაკებების გზით, პირენეს ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთს რამდენიმე ესპანური პროვინცია გადაეცა; საფრანგეთისა და ესპანეთის დაახლოების მიზნით ლუი XIV-სა და ესპანელი პრინცესას მარია ტერეზიას დაქორწინება გადაწყდა. ამ პოლიტიკურმა ქორწინებამ ორ ქვეყანას შორის მტრობა დაასრულა.



სურ. 5 მაზარინის პორტრეტი. მატიე ლენენი

15. როგორ შეაფასებ იმ ფაქტს, რომ მსხვილმა ვაჭარ-ხელოსნებმა აჯანყების გზით სცადეს თავიანთი უფლებების დაცვა?

16. მაზარინისა და სამეფო ხელისუფლების ფრონდაზე გამარჯვება ტრიუმფად ითვლება. შენი აზრით, რატომ?

17. შენი აზრით, როგორი დამოკიდებულება ექნებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენას მაზარინის მიმართ და რატომ?

18. შეავსე ცხრილი. დააჯგუფე კარდინალ რიშელიესა და ლუი XIII-ის მიღწევები პოლიტიკური, რელიგიური და სოციალურ-კულტურული ნიშნით. გამოყავი კარდინალების მმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ (**მოსწავლის რვეული, დავ. 59**)

§ 38. აბსოლუტიზმი საფრანგეთში. ლუი XIV

ლუი XIV (1643-1715) – მეფე მზე

1661 წელს კარდინალი მაზარინი გარდაიცვალა. ამ დროისათვის ლუი XIV უკვე 22 წლის იყო, თუმცა ქვეყნის მართვაში არ მონაწილეობდა. 1624 წლიდან საფრანგეთს მინისტრები მართავდნენ, სწორედ ამიტომ ქვეყანა ელოდებოდა, ვის დანიშნავდა მეფე თავის პირველ მინისტრად. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ლუი XIV-მ განაცხადა, რომ თვითონ გაუძღვებოდა სახელმწიფოს მართვას. საკუთარი პოზიციების გასამყარებლად მან ადგილობრივ დიდებულებსა და ბურჟუაზიას გამოართვა 1648 წელს ფრონდის დროს წარმოდგენილი მოთხოვნების სია, მათ თვალწინ დახია და განუცხადა: „თქვენ გგონიათ, რომ სახელმწიფო თქვენ ხართ? ცდებით! სახელმწიფო მე ვარ!“. დიდებულთა ნაცვლად მეფემ უფლებები გაუზარდა სამეფო მოხელეებს – ინტენდანტებს, დედაქალაქიდან პროვინციებში გაგზავნილ სასამართლო მოხელეებს. ისინი მხოლოდ მეფის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებული. ამდენად, ადგილებზე ისინი დიდებულებსა და გუბერნატორებზე მაღლა იდგნენ.



სურ. 1 ლუი XIV-ის პორტრეტი. იასენტ რიგო

1. შენი აზრით, რატომ არ აირჩია ლუი XIV -მ მისი წინამორბედების გზა – პირველი მინისტრის ხელით ემართა სახელმწიფო?

2. რა შედეგები მოჰყვებოდა პროვინციებში სასამართლო მოხელეების ძალაუფლების გაზრდას? რა მიზანი ჰქონდა ამ რეფორმას? დაასახელე მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

3. როგორ გესმის ცენტრალიზებული მმართველობა? რა კავშირი არსებობს მეფის სრულ – აბსოლუტურ – ძალაუფლებასა და ცენტრალიზებულ მმართველობას შორის?

4. როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა დღეს ცენტრალიზებული მმართველობა პროგრესულად მივიჩნიოთ? პასუხი დაასაბუთე.

წყარო ა) ამონარიდები ლუი XIV-ის მიერ 1666 წელს შვილისადმი მიძღვნილი მემორანდუმიდან

„უდავოა, რომ ორი რამ აუცილებელია მმართველისთვის: ჩემი მხრიდან დიდი შრომისმოყვარეობა და, იმავდროულად, იმ ადამიანების სწორად შერჩევა, რომლებსაც საქმე მივანდე. საკუთარ თავს მუშაობის წესი განვუსაზღვრე: მემუშავა რეგულარულად დღეში ორჯერ ორი-სამი საათი. ამას გარდა, კიდევ სხვა დროს ვუთმობდი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტას ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევას. ჩემს მინისტრებს მივეცი უფლება: პრობლემების შემთხვევაში ჩემთვის ნებისმიერ დროს მოემართათ. ვერ აღგიწერ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის მუშაობის პროცესი. თავს ამაღლებულად ვგრძნობდი. აღმოვაჩინე, რომ სრულიად სხვა ადამიანი ვიყავი და ვბრაზდებოდი საკუთარ თავზე, როგორ არ მესმოდა ადრე მუშაობის მნიშვნელობა. ჩემი გაუბედაობა, განსაკუთრებით, საჯარო გამოსვლების დროს, უმოკლეს ვადაში გაქრა. ვგრძნობდი, რომ მეფე ვიყავი და მეფედვე დავიბადე. ისეთი განცდები დამეუფლა, რასაც მხოლოდ მეფედ გახდომის შემთხვევაში გაიგებ.

უდავოა, მეფემ კეთილშობილური გრძნობებით უნდა იხელმძღვანელოს ბუნებრივად, ძალდატანების გარეშე. რაც უნდა კარგი მინისტრები ჰყავდეს, სწორედ მეფეა წარმატების მთავარი მიზეზი. ის ვერ იმოქმედებს, თუ არ გააანალიზა და შეაფასა მოსალოდნელი შედეგი. პატარა საქმეში მიღწეული წარმატება ისევე მახარებს, როგორც დიდ საქმეში მიღწეული...

მეფემ ყველაფერი უნდა იცოდეს: ეს იქნება პროვინციებიდან საათობრივად მოსული ახალი ამბები, სასამართლოს საიდუმლოებები, დიდებულებისა თუ მინისტრების განწყობა და მათი სისუსტეები. ის კარგად უნდა იყოს ინფორმირებული ყველა საკითხზე, იქნება ეს ეკონომიკური, სამეცნიერო თუ ხელოვნება და ფილოსოფია... მე არ ვიცი სხვა სიამოვნება, სამეფო საქმის გარდა“.

5. ლუი XIV-ის სიტყვებიდან გამომდინარე, იმსჯელე, რა ნიშნით, როგორ შეარჩევდა მინისტრებსა და მრჩევლებს? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლებოდა ჰქონოდა მეფის ამგვარ დამოკიდებულებას სამეფო საქმისადმი?

6. როგორ შეაფასებ ლუი XIV -ის მოსაზრებას, რომ კარგი კადრების მიუხედავად, სახელმწიფოს წარმატება მაინც მონარქზეა დამოკიდებული?

მეფის მოხელეები

ლუი XIV-მ სახელმწიფოს სამართავად დააარსა სპეციალური სამეფო საბჭოები, რომლებშიც შედიოდნენ მინისტრები, მათ ჰყავდათ მრჩეველები, მრჩევლებს კი – მოადგილეები. საბჭოებიდან მთავარი იყო მინისტრთა საბჭო, რომელიც საგარეო პოლიტიკას, სამხედრო, სასამართლო კონფლიქტებსა და სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს განიხილავდა. საბჭო მუდმივმოქმედი იყო და მას მეფე ხელმძღვანელობდა. ამას გარდა, არსებობდა ფინანსთა, სავაჭრო, საფოსტო, სასულიერო და დიდი საბჭო (უზენაესი სასამართლო), რომელშიც ოთხი მოსამართლე და 27 მრჩეველი შედიოდა. სახელმწიფო საბჭოს კანცლერი ხელმძღვანელობდა. საბჭო განიხილავდა მიწის მესაკუთრეობის საკითხებს, მნიშვნელოვან გადასახადებსა და სხვ. მეფეს ჰყავდა კანცლერიც, რომელსაც სამეფო ბეჭდის შენახვა ევალებოდა.

7. შენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა სახელმწიფო მმართველობის რეფორმასა და ბიუროკრატიული აპარატის გაზრდას?

8. შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო კარზე არსებულ რომელ ინსტიტუტს შეადარებდი სამეფო საბჭოებს? რა მსგავსება-განსხვავებებს ხედავ?

ეკონომიკა

ლუი XIV-ის მთავარი ამოცანა ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება იყო. მან ეს საქმე ფინანსთა მინისტრს – ჟან ბატისტ კოლბერს – მიანდო. კოლბერი 1661 წლიდან მოყოლებული, ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში საფრანგეთის ფინანსებსა და ეკონომიკაზე იყო პასუხისმგებელი. მან გაატარა ეფექტიანი საგადასახადო რეფორმები, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სამეფო საფინანსო სამსახურში გაბატონებულ კორუფციასა და სახსრების მითვისებას და ბევრი ჩინოვნიკი დააპატიმრებინა კიდეც. სამაგიეროდ, მან სახელმწიფო გადასახადებისა და ვალების შემცირებით, ასევე ქვეყნის შიდა საბაჟო გადასახადების გაუქმებით საფრანგეთში წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას შეუწყო ხელი.

კოლბერის ეკონომიკური პოლიტიკა **მერკანტილიზმს** ეყრდნობოდა.

მერკანტილიზმი – XV ს.-იდან ევროპაში გავრცელებული ეკონომიკური თეორია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლად არა მრეწველობის განვითარებას, არამედ სასაქონლო და ფულადი საშუალებების ბრუნვას თვლიდა. მერკანტილისტური დოქტრინა

მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო ვაჭრობის იმგვარად რეგულირებას, როდესაც საქონლის გატანა სჭარბობდა მის შემოტანას, ხოლო ქვეყანაში შემოტანილი დოვლათი ფულადი კაპიტალის სახით გროვდებოდა. XVII-XVIII სს.-ში მერკანტილიზმის წარმომადგენლებმა პირველად გამოიყენეს აქტიური და პასიური სავაჭრო ბალანსის ცნებები. აქტიური ბალანსი ქვეყნიდან გატანილი (ექსპორტი) პროდუქტის მოცულობას ასახავს, ხოლო პასიური – შემოტანილისა (იმპორტი). მერკანტილისტების მთავარი პრინციპი იყო დადებითი სავაჭრო ბალანსის მიღება, რაც იმას გულისხმობდა, რომ ქვეყნის ექსპორტი მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იმპორტი. ამის მისაღწევად საჭიროდ მიაჩნდათ სახელმწიფოს მიერ ვაჭრობის მთლიანად ხელში აღება. ისინი ითხოვდნენ, რომ მმართველები ქვეყნის ეკონომიკაში ჩარეულიყვნენ და დაეცვათ ქვეყნის ეროვნული პროდუქცია, მისი წარმოების წახალისების გზით. ამ სისტემას პროტექციონიზმი ეწოდება. ის მერკანტილიზმის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო.

კოლბერმა კომპანიების ეკონომიკური ხელშეწყობა დაიწყო და წასახალისებლად ფინანსები გამოუყო; უცხოურ საქონელზე უმაღალი საბაჟო ტარიფები დააწესა; შიდა საბაჟოები გააუქმა; ნედლეულის გატანა აკრძალა. კოლონიალიზმის გასამყარებლად არაერთი სავაჭრო კომპანია დაარსდა. მათ კოლონიებიდან საფრანგეთში დიდი რაოდენობის ნედლეული შემოჰქონდათ და, იმავდროულად, საფრანგეთში წარმოებული საქონელი კოლონიებში გაჰქონდათ. მოქალაქეებს ახალისებდნენ, რომ კოლონიებში გადასულიყვნენ და მეწარმეობა დაეწყოთ. მაგალითად, კანადაში დაარსებული კომპანიების წყალობით საფრანგეთი ახალი პროდუქციის – ბეწვეულის მწარმოებელი გახდა.

კოლბერის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საფრანგეთიდან უფრო მეტი პროდუქცია გადიოდა საგარეო ბაზარზე, ვიდრე შემოდიოდა, ანუ ექსპორტის მოცულობა აჭარბებდა იმპორტისას და, შესაბამისად, ქვეყანაში ფინანსების ნაკადი იზრდებოდა. გამართული ეკონომიკური სისტემის პირობებში საფრანგეთში დიდი სამშენებლო, საწარმოო და კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა – იგებოდა ახალი გზები, ხიდები და არხები, სასტუმროები. გაიზარდა სამხედრო და სავაჭრო ფლოტიც.

9. „მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ, რაც მეტს მუშაობს ადამიანი და მეტ დოვლათს ქმნის, მით ნაკლებად უნდა დაიბეგროს იგი, ხოლო ზარმაცი და უმუშევარი, პირიქით, უფრო მაღალი განაკვეთით უნდა იყოს დაბეგრილი“. ეთანხმები თუ არა ამ პრინციპს? შენი აზრით, რამდენად ქმედითი იქნებოდა ის დღევანდელი ეკონომიკის პირობებში? პასუხი დაასაბუთე.

10. რა როლს ასრულებდა სახელმწიფო და მისი კოლონიური სისტემა მერკანტილისტურ სისტემაში?

11. რამდენად უწყობდა ხელს მერკანტილისტური პოლიტიკა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას? რატომ?

12. რა ეკონომიკური შედეგი ექნებოდა შიდა საბაჟოების გაუქმებასა და უცხოურ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების შემოღებას?

13. რა შედეგს მოუტანდა კოლონიებს საფრანგეთის ეკონომიკური პოლიტიკა? შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 60**)





სურ. 2-3 1644 წელს აგებული სასტუმრო „ლამბერი“ პარიზში. ექსტერიერი და ინტერიერი



რუკა 25. საფრანგეთის ეკონომიკური რუკა ლუი XIV-ის დროს

14. რუკის მიხედვით დაახასიათე ლუი XIV-ის დროინდელი საფრანგეთის ეკონომიკა.

რელიგიური პოლიტიკა

ლუი XIV-მ გამოსცა პეტიცია, რომელიც ჰუგენოტურ ქადაგებებს კრძალავდა. ბიბლია მხოლოდ ლათინურად უნდა ყოფილიყო დაწერილი. სხვა ენებზე შექმნილი ბიბლიები შეაგროვეს და ვერსალის ეზოში დაწვეს. მეფე თვლიდა, რომ მხოლოდ ერთი, კათოლიკური, რელიგია ქვეყნის შიდა მდგომარეობას უფრო სტაბილურს გახდიდა. ქვეყანა იმავე აღმსარებლობის უნდა ყოფილიყო, რომლისაც მისი მონარქი იყო. ამ შემთხვევაში საფრანგეთი

აბსოლუტურად კათოლიკური ქვეყანა უნდა გამხდარიყო. მეფის ბრძანებით, ჰუგენოტი ან კათოლიკე უნდა გამხდარიყო, ან ქვეყანა დაეტოვებინა. ბევრმა ჰუგენოტმა სტატუსის შესანარჩუნებლად კათოლიკობა მიიღო, თუმცა შემდგომ, ძირითადად მესამე ფენიდან, ქვეყნის დატოვება დაიწყეს.

მეფემ ამ პროცესის შესაჩერებლად ჰუგენოტებს ქვეყნის დატოვება აუკრძალა. ჰუგენოტები არჩევანის წინაშე დადგნენ: მიეღოთ კათოლიკობა, ან საინკვიზიციო სასამართლოს წინაშე წარმდგარიყვნენ. მეფის დავალებით შეიქმნა ახალი საპოლიციო – დრაგონადების სამსახური, რომელსაც ჰუგენოტების შევიწროება, დევნა და მათი მეურნეობების განადგურება ევალებოდა. ბევრი ჰუგენოტი ვერ უძლებდა ამ ძალადობას და კათოლიკობას იღებდა. ლუი XIV-მ ჰუგენოტების რაოდენობის შემცირება საბაბად გამოიყენა და 1685 წელს ფონტენბლოს ედიქტით ნანტის ედიქტი გააუქმა. მეფე თავის გადაწყვეტილებას ასე ხსნიდა: ნანტის ედიქტი საჭირო იყო მაშინ, როცა ქვეყანაში ჰუგენოტები არსებობდნენ. მათი არარსებობის შემთხვევაში კი ედიქტი აზრს კარგავდა. საფრანგეთში დარჩენილი პროტესტანტული ეკლესიების დანგრევა დაიწყეს. ასეთ ვითარებაში, ქვეყნის დატოვების აკრძალვის მიუხედავად, 200 ათასამდე ჰუგენოტმა საფრანგეთი დატოვა და ინგლისს, შვეიცარიას, გერმანიასა თუ ამერიკულ კოლონიებს მიაშურა. ბევრი მათგანი მსხვილი ან წვრილი ვაჭარი, ხელოსანი თუ მეწარმე იყო.



სურ. 4 დრაგონადი აიძულებს ლუი XIV-ს, ხელი მოაწეროს ფონტონებლოს ედიქტს. პროტესტანტების მიერ შექმნილი გრავიურა

15. შენი აზრით, როგორ აისახებოდა ფრანგულ ეკონომიკაზე ჰუგენოტების დევნა? პასუხი დაასაბუთე.

16. იმსჯელე, მეფის ხელისუფლებისთვის რა დადებით და უარყოფით შედეგს მოიტანდა ნანტის ედიქტის გაუქმება.

17. იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თავად საფრანგეთისთვის ნანტის ედიქტის ძალაში დატოვება. შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული დავ. 61**).

18. ივარაუდე, როგორი იქნებოდა საზოგადოების სხვადასხვა წევრის დამოკიდებულება საფრანგეთში მიმდინარე პროცესებისადმი.

მეფის ცხოვრების სტილი

მეფე ლუი XIV, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებსა და ეკონომიკაზე ზრუნავდა, მეორე მხრივ კი, ფუფუნებისთვის ბევრ ფულს ხარჯავდა. მაგ., მეფეს სადილობისას დაახლოებით 500-მდე მზარეული, მიმტანი და სხვა პერსონალი ემსახურებოდა.

თავად-აზნაურთა კონტროლი

ყოველ დილას 8.30 წუთზე მეფეს უფროსი მსახური აღვიძებდა. ფარდის მიღმა თავს ასამდე დიდგვაროვანი იყრიდა. ისინი მეფის გაღვიძებას ელოდნენ. მხოლოდ ოთხ მათგანს

ერგებოდა პატივი, მეფისთვის საშინაო ფეხსაცმელები გადაეცა ან სახელოები დაეჭირა. დანარჩენი დიდგვაროვნები მეფეს საძინებლის გარეთ ელოდნენ იმ იმედით, რომ მეფე მათ შეამჩნევდა.

სენტ-სიმონის ჰერცოგი ასე იხსენებს მეფის დამოკიდებულებას დიდებულების მიმართ: „ის ყურადღებით ადევნებდა თვალს ყველას და ყველაფერს: გაღვიძებისას, დაძინებისას, ჭამის დროსა და ბაღში სეირნობისას. ამჩნევდა ყველას, ვინც სხდომას აცდენდა, მოითხოვდა მათგან ახსნას და არავის აძლევდა თავის მართლების შესაძლებლობას“.



სურ. 5 მეფის აპარტამენტი, ვერსალი

ვერსალის სასახლე

ჯერ კიდევ ლუი XIII-ის დროს დაიწყო სამეფო სასახლის მშენებლობა ვერსალში, რომელიც ლუი XIV-მ მუდმივ რეზიდენციად აქცია. „მეფე მზემ“ მისი გაფართოება და ბაღებით გამშვენიერება გადაწყვიტა. მებაღე არქიტექტორებმა ანდრე ლენოტრმა და შარლ ლებრენმა ვერსალის ბაღის გეგმა შეადგინეს. ბუნებასაც კი რაციონალური, გეომეტრიული ფორმები ჰქონდა მიცემული, ისეთი, როგორიც ადამიანის გონებამ განუსაზღვრა. ბაღი გამოირჩეოდა სიმეტრიული ხეივნებითა და ტბებით, ჩამწკრივებული გაკრეჭილი ხეებითა და ყვავილების რიგებით. მას ამშვენებდა შადრევნები და ქანდაკებებიც. ვერსალის ბაღი მეფის სასახლესა და სხვა ნაგებობებთან ერთად ერთიან ანსამბლს ქმნიდა. ასეთ არქიტექტურულ ანსამბლებში დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორი ხედი იქნებოდა ბაღიდან სასახლეზე ან პირიქით. ლენოტრმა ხეივნები ისე დაგეგმა, რომ მათ მზის დისკოს გარშემო გაშლილი სხივების ფორმა ჰქონდათ, და მზის თემატიკა სულაც არ იყო შემთხვევითი. ეს ლუი XIV-ის სიმბოლო იყო. ხეივნები წრიულად იშლებოდა სასახლიდან, კონკრეტულად კი სასახლის იმ ნაწილიდან, სადაც მეფე მზის დარბაზი იყო. ვერსალის ბაღში გრანდიოზული სანახაობები იმართებოდა, ხშირად საბალეტო წარმოდგენებსაც დგამდნენ. ვერსალის ზეგავლენით ევროპაში არაერთი სამეფო სასახლე აშენდა.

კლასიციზმი საფრანგეთიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ეს მიმდინარეობა ევროპულ ხელოვნებაში თითქმის XIX საუკუნემდე არსებობდა. ცხადია, ასეთი სასახლეებისა და ბაღების მშენებლობა და მოწყობა აბსოლუტური მონარქიისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ამაზე უზარმაზარი თანხები იხარჯებოდა.

კლასიციზმი – ახალი მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც თავდაპირველად XVII საუკუნეში საფრანგეთში ჩამოყალიბდა. კლასიციზმი ანტიკურ მემკვიდრეობას მიუბრუნდა და ძველი ტრადიციებიდან სანიმუშოდ გაიხადა პატრიოტული, სამოქალაქო თემატიკა.

კლასიციზმი შემდეგ პრინციპებს ეფუძნება: ყველაფრის საფუძველი გონებაა; მშვენიერია მხოლოდ ის, რაც გონივრულია; მთავარი ამოცანაა აბსოლუტური მონარქიის განმტკიცება; მონარქი გონივრულის განსახიერებაა.

ამ პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში მთავარი თემა ხშირად პირადი და სამოქალაქო ინტერესების კონფლიქტი იყო. ამ დაპირისპირებაში კი უპირატესობა პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას ენიჭებოდა. ადამიანის მთავარი ღირებულება მოვალეობის პირნათლად შესრულება, სახელმწიფო იდეალების მსახურებაა.



სურ. 6 ვერსალის სასახლე. პიერ პატე, 1668 წ.



სურ. 7 სარკეებიანი დარბაზი ვერსალში



სურ. 8 მეფის ბაღი, სადაც 1400 შადრევანი იხსნებოდა მაშინ, როცა მეფე ჩაუვლიდა

19. როგორ ფიქრობ, რა იყო მეფე ლუი XIV-ის მოტივაცია, როცა ასეთ გრანდიოზულ და მდიდრულ სასახლეს აგებდა? ახსენი, რა პრაქტიკული თუ სიმბოლური დანიშნულება ექნებოდა ვერსალს.

20. რა დამოკიდებულება ექნებოდათ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს სამეფო კარის არნახული ფუფუნების მიმართ? პასუხი დაასაბუთე

აბსოლუტიზმის ხანის ხელოვნება

ვერსალი ხელოვნების კერა გახდა, თუმცა აბსოლუტიზმის ხელოვნების მიზანი მეფის განდიდება იყო. სამეფო კარი დიდ დახმარებას უწევდა მწერლებს, მხატვრებს, მუსკოსებს, მეცნიერებს, თეატრისა და ოპერის მოღვაწეებს. ლუი XIV-ს განსაკუთრებით ბალეტი უყვარდა. ბავშვობაში ის მონაწილეობდა საბალეტო წარმოდგენაშიც, სადაც მზის ღვთაების – აპოლონის – როლი შეასრულა. სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს მას „მეფე-მზე“.

„მეფე-მზის“ სიმბოლოს ვერსალში შენობებზე, ასევე სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალზე დღესაც შეხვდებით.



სურ. 9 ლუი XIV აპოლონის როლში



სურ. 10 ვერსალის ჭიშკრის ფრაგმენტი



სურ. 11 კედლის საათი, ვერსალი

ლუი XIV-ის ინიციატივითა და მფარველობით საფრანგეთში ცეკვის სამეფო აკადემია დაარსდა. ჟან კოლბერის ინიციატივით კი – საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია, სადაც სხვადასხვა დარგში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა.

ლუი XIV დიდ მზრუნველობას იჩენდა მწერლების მიმართ. შედეგად XVII საუკუნის ფრანგულმა მწერლობამ მაღალ დონეს მიაღწია და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ფრანგული ენა საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ საკომუნიკაციო ენად იქცა. ფრანგული კლასიციზმის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან კორნელი, რასინი და მოლიერი. ამავე პერიოდის გამოჩენილი მწერალი იყო ჟან ლაფონტენი, რომელმაც იგავ-არაკებით გაითქვა სახელი.



სურ. 12 ტიუილრის ბაღი. გაიხსნა 1662 წელს ლუი XIV-ის პირველი შვილის დაბადების აღსანიშნავად. პარიზი



სურ. 13 შეზღუდული შესაძლებლობის ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი სასახლე. აიგება 1670 წელს. კომპლექსს ჰქონდა თხუთმეტი ეზო, მოოქროვილი გუმბათოვანი სამლოცველო და 4000 ადგილი ჯარისკაცებისთვის.

ბრძოლა ესპანური მემკვიდრეობისთვის

ლუი XIV-ის მმართველობის დროს საფრანგეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანა გახდა. 1660 წლისთვის მისი მოსახლეობა დაახლოებით 20 მილიონს შეადგენდა. ეს ინგლისის მოსახლეობაზე ოთხჯერ, ხოლო ნიდერლანდების მოსახლეობაზე ათჯერ მეტი იყო. შესაბამისად, ლუი XIV-ის არმია ერთ-ერთი ყველაზე დიდი არმია იყო ევროპაში.

1667 წელს, მაზარინის გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირაში, ლუი XIV საზღვრების გასაფართოებლად ესპანეთის ნიდერლანდებში შეიჭრა. თავიდან ფრანგებმა 12 ქალაქი აიღეს, მაგრამ შემდეგ ბრძოლები გაგრძელდა და ფრანგებმა მხოლოდ რამდენიმე ქალაქის შენარჩუნება მოახერხეს. სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად მეფეს მეტი ფინანსები ესაჭიროებოდა, ამიტომ მოსახლეობას გადასახადები გაუზარდა, რაც სამეფო კარის მიმართ უკმაყოფილებას ზრდიდა.



სურ. 14 დენენის ბრძოლა (საფრანგეთ-ესპანეთის ომიდან). ჟან ალო

1700 წელს, როცა ესპანეთის მეფე კარლოს II გარდაიცვალა, ტახტი მემკვიდრეობით მეფე ლუი XIV-ის შვილიშვილს – ფილიპეს ერგო. ესპანეთში ჰაბსბურგთა საგვარეულო ბურბონთა დინასტიამ შეცვალა. ევროპის ორი უდიდესი სახელმწიფოს სათავეში ბურბონები აღმოჩნდნენ. საფრანგეთის ასე გაძლიერება სხვა ევროპულ სახელმწიფოებს არ სურდათ. ავსტრიამ, ინგლისმა, ნიდერლანდებმა, შვედეთმა, პორტუგალიამ, გერმანულმა და იტალიურმა სამფლობელოებმა ორი ქვეყნის მოსალოდნელი გაერთიანების წინააღმდეგ ალიანსი შეკრეს.ჰესპანეთის მემკვიდრეობისთვის ხანგრძლივი ბრძოლა (1701-1715 წწ.) საფრანგეთს ძვირი დაუჯდა. მართალია, ესპანეთის სათავეში ბურბონები დარჩნენ, მაგრამ საფრანგეთისა და ესპანეთის სამეფოები არ გაერთიანებულა. ამას გარდა, ესპანეთმა დაკარგა სამფლობელოები იტალიასა და ნიდერლანდებში და გიბრალტარი, რომელიც ინგლისმა დაიკავა. ამ ომებმა საფრანგეთი ეკონომიკურად დააზარალა. ასე რომ, 1715 წელს, როცა 72-წლიანი მმართველობის შემდეგ ლუი XIV გარდაიცვალა, თავის შვილთაშვილს და ტახტის მემკვიდრეს, ლუი XV-ს, ევროპაში დიდი ავტორიტეტის მქონე, მაგრამ ომებისგან თითქმის გაკოტრებული ქვეყანა დაუტოვა.

21. დროის ხაზზე დაიტანე საფრანგეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები 1643 წლიდან 1715 წლამდე, რომლებმაც გააძლიერეს და დაასუსტეს სამეფო (**მოსწავლის რვეული, დავ. 62**).

22. შეაჯამე ლუი XIV-ის მოღვაწეობა. შეავსე დიაგრამა (**მოსწავლის რვეული, დავ. 63**). მოკლედ დაახასიათე თითოეული სფერო (საშინაო და საგარეო, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული პოლიტიკა, ცხოვრების სტილი). დიაგრამის შევსების შემდეგ უპასუხე კითხვას: რა არის აბსოლუტიზმი? ჩამოაყალიბე აბსოლუტიზმის განმარტება.

23. რა შედეგი მოუტანა კოლბერისა და მეფის ეკონომიკურმა პოლიტიკამ საფრანგეთს? განიხილე როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები.

24. როგორ ფიქრობ, რამდენად შეუწყო ხელი ლუი XIV-ის რელიგიურმა პოლიტიკამ საფრანგეთის დიდების დასრულებას?

25. გამოიკვლიე, ვინ მართავს დღეს ესპანეთის სამეფო ტახტს? რა მოუვიდა ვერსალის სასახლეს ლუი XIV-ის სიკვდილის შემდეგ და რას წარმოადგენს იგი დღეს?

ლუი XIV-ის შეფასება – განსხვავებული პერსპექტივები

წყარო ბ) ვოლტერი, ლუი XIV-ის ეპოქა. 1751 წ.

„ლუი XIV საკუთარი ერის აყვავებას ცდილობდა. ამის აღიარების გარეშე მისი შრომისა და ძალისხმევის დანახვა შეუძლებელია. წარმოვიდგინოთ, როგორი მდგომარეობა იყო საფრანგეთში ფრონდის დღეებში და როგორია ამჟამად. ლუი XIV-მ თავის ერს უფრო მეტი სიკეთე მოუტანა, ვიდრე მისმა ოცმა წინამორბედმა ერთად. მაგრამ ბოლომდე წარმატების მიღწევა მასაც გაუჭირდა.

კოლბერის მიერ ვაჭრობის დაკნინება და უსასრულო ომი მისი დამარცხების მიზეზი გახდა. მეფეს რომ დაეჯერებინა და უამრავი ადამიანისთვის რელიგიის შეცვლა არ აეძულებინა, საფრანგეთი ამდენ ადამიანს არ დაკარგავდა. ამის მიუხედავად, ეს ქვეყანა დღეს აყვავებული და ძლიერია, რადგან მთელი სიკეთე, რაც მეფემ გააკეთა, კვლავაც არსებობს...“

26. შენი აზრით, რატომ მიიჩნევს ვოლტერი კოლბერის ეკონომიკურ პოლიტიკას „ვაჭრობის დაკნინებად“?

27. რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ წყარო 1751 წლითაა დათარიღებული?

28. როგორია ვოლტერის მიერ მეფის შეფასება? ეთანხმები თუ არა მას?

29. შენი აზრით, რას თვლის ვოლტერი ლუი XIV მეფობის მთავარ „სიკეთედ“?



სურ. 15 ვანდომის მოედანზე აღმართული მეფე ლუი XIV-ის ქანდაკების განადგურება მოქალაქეების მიერ. 1792 წელი. ანონიმი მხატვარი.

30. გააანალიზე ნახატი. როგორ ფიქრობ, რატომ უნდა ჩამოეგდოთ მეფის ქანდაკება პარიზის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე?

წყარო გ) ფილიპ მენსელი, ინგლისელი ისტორიკოსი, „მსოფლიოს მეფე – ლუი XIV-ის ცხოვრება“, 2019 წ.

„ლუი XIV იყო საფრანგეთის მეფეც და მსოფლიოს მმართველიც გლობალური ამბიციებით. მან ამერიკაში, აფრიკასა და ინდოეთში კოლონიები დააარსა; სიამის (ტაილანდი) ხელში ჩაგდება სცადა, მისიონერები და მათემატიკოსები ჩინეთის იმპერატორთან გაგზავნა და საფრანგეთისთვის მსოფლიო ბაზრის მოპოვებას ცდილობდა, რაც დღემდე გრძელდება. საფრანგეთი საერთაშორისო მოთამაშე გახადა. საფრანგეთის დღევანდელი ლიდერები აღარ ოცნებობენ გლობალურ დაპყრობებზე, მაგრამ როგორც პრეზიდენტმა მაკრონმა თქვა, ლუი XIV-ის „იუპიტერული“ სიდიადე დღემდე გრძელდება“.

31. რამდენად ეთანხმები თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.

წყარო დ) სარა ბერინგერ გორდონი, ამერიკელი მკვლევარი, „ლუი XIV-ის მიერ მოდის გამოყენება ძალაუფლებისა და კონტროლის გამოხატვისთვის“, 2012 წ.

„მოდა მნიშვნელოვანი იყო მეფისთვის პრაქტიკული მიზეზების გამოც: ეს იყო დაბალი ფენის დასაქმების არაჩვეულებრივი საშუალება. მდიდრული სამოსი, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ვერსალის სამეფო კარი, მხოლოდ საფრანგეთში უნდა დამზადებულიყო. უცხოური ქსოვილების შემოტანა აიკრძალა, რასაც ქსოვილების წარმოებისა და შესაბამისად ამ სფეროში დასაქმებული მუშახელის ზრდა მოჰყვა. მოდური და მდიდრული მაქმანების დამზადებას ყველაზე მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდებოდა: მარტო მაქმანის ვიწრო ზოლის მოსაქსოვად თვეები იყო საჭირო.

დრო სჭირდებოდა ვაჭრების, დიდგვაროვნების, საშუალო ფენის წარმომადგენლების ტანსაცმლის, მოსამართლეთა კაბების შეკერვას... საფრანგეთის მოდის ინდუსტრიაში საერთოდ დასაქმებულთა დაახლოებით მესამედი – 900 ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული. მკერავების გარდა, ესენი იყვნენ დიზაინერები, გამყიდველები, გადამყიდველები. შედარებისთვის, რკინისა და ფოლადის მრეწველობაში დაახლოებით 38 000 ადამიანი იყო დასაქმებული. ეს ღარიბი ფენისთვის გადარჩენის შესაძლებლობა იყო. ლუი XIV-ის ფუფუნებასა და სიმდიდრეში ცხოვრების სურვილის გარდა, მოდა მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენისთვის სარჩოს შოვნის საშუალებაც იყო.

მეფემ ქვეყნის გაძლიერებისთვის ბევრ მეთოდს მიმართა და მოდაც ერთ-ერთი მათგანი იყო. ლუი XIV-თვის სამოსი საკუთარი ქვეყნის შთამბეჭდავად წარმოდგენის შესაძლებლობაც იყო“.

32. რა კრიტერიუმებით აფასებს ამერიკელი მკვლევარი ლუი XIV-ს? რამდენად ეთანხმები მის შეფასებას?

33. რაში ეთანხმები ან არ ეთანხმები მოყვანილ შეფასებებს? ჩამოაყალიბე შენი პოზიცია.

34. გაიხსენე, საფრანგეთში განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული როგორ იცვლებოდა მეფის ძალაუფლების ხარისხი, რა იყო ამის მიზეზი, რა ფაქტორები განაპირობებდა სხვადასხვა დროს მეფის ძალაუფლების ხარისხს?

§39. ინგლისი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში

1558-1603 წლებში ინგლისს დედოფალი ელისაბედ I ტიუდორი მართავდა. მისმა პოლიტიკამ ინგლისი ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. ტახტზე ასვლის პირველივე ხანებში მან ქვეყანაში არსებული რელიგიური დაპირისპირების აღსაკვეთად რეფომების გატარება დაიწყო, მამის – ჰენრი VIII-ის – რელიგიური პოლიტიკა გააგრძელა: ანგლიკანური ეკლესიის გაძლიერება, თუმცა, იმავდროულად, დედოფალმა ღვთისმსახურების თავისუფლად ჩატარების უფლება კათოლიკეებსაც მისცა. ელისაბედ I-მა შოტლანდიაში თავიდან აიცილა რელიგიური აჯანყება. მისი მეფობის პერიოდს ემთხვევა ინგლისის საზღვაო ძლიერების ხანაც. ინგლისის საზღვაო ძალებმა ესპანეთის „ძლევამოსილი არმადის“ დამარცხებით ზღვაზე უპირატესობა მოიპოვეს. საზღვაო ვაჭრობაში ლიდერობამ ინგლისის ეკონომიკურ განვითარებასაც შეუწყო ხელი. ელისაბედმა 45 წელი იმეფა. მისი მმართველობის ხანა ინგლისის „ოქროს ხანად“ არის მიჩნეული; იცოდა 6 ენა: ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული და ლათინური. დიდ დახმარებას უწევდა თეატრებს. მისი მმართველობის დროს განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ინგლისურმა დრამატურგიამ. სწორედ იმ ეპოქაში მოღვაწეობდა მსოფლიოს დრამატურგიის კლასიკოსი – უილიამ შექსპირი.



სურ. 1 ელისაბედ I-ის პორტრეტი. უცნობი ავტორი XVI ს.



სურ. 2 თეატრის ინტერიერი. 1596 წლის ესკიზის ასლი

ინგლისის ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ინგლისში თვალსაჩინო ეკომომიკური ძვრები დაიწყო. დედოფალ ელისაბედის მეფობის დროს ქვეყანაში გაჩნდა მანუფაქტურები, განვითარდა სამთო მრეწველობა და რიგი მრეწველობის ახალი დარგებისა, როგორებიც იყო: ქაღალდის, მინის, ბამბის ქსოვილების წარმოება. 1600 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია“, რომელმაც ინგლისი საერთაშორისო ვაჭრობის წამყვან სახელმწიფოდ აქცია. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მიწათმფლობელთა ახალი ფენა **ჯენტრი** (სიტყვიდან gentle -კეთილშობილი), რომელიც ადვილად მოერგო ახალჩასახულ სამეურნეო (კაპიტალისტურ) ურთიერთობებს და მისი მთავარი გამტარებელი გახდა სოფლად. ეს ფენა შედგებოდა წვრილი (უტიტულო) თავადაზანურობისაგან. ეს იყო განათლებული, საქმიანი და პოლიტიკურად აქტიური ფენა, რომელმაც მოახერხა, ერთი მხრივ, შეეძინა მიმდინარე რელი-

გიური რეფორმის შედეგად სეკულარიზებული სამონასტრო მიწები და მეორე მხრივ, ხელში ჩაეგდო სანადელო და სათემო მიწები, რომლებსაც მეურნეობის ახალი მეთოდების დასანერგად და გასავითარებლად იყენებდა. ისინი მისდევდნენ არა მარტო მიწათმოქმედებასა ან მეცხოველეობას, არამედ ხსნიდნენ რკინისა და კალის მომპოვებელ მაღაროებს, აწყობდნენ სამხერხაოებს, ტყავისა და მაუდის საწარმოებს, სადაც ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. გარდა ამისა, იჯარით გასცემდნენ თავიანთ ნაკვეთებს და ამ გზითაც იღებდნენ შემოსავალს. ძველი ყაიდის ფეოდალური ზედაფენისაგან განსხვავებით, ჯენტრი წარმატებით ჩაება მატერიალური დოვლათის შექმნაში და ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პიონერი გახდა. ამგვარად, წარმოების განვითარების შედეგად ინგლისში ჩამოყალიბდა ახალი ფენა თავისუფალი მოქალაქეები ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა.



სურ. 3 მისტერ და მისის ენდრიუსები – ჯენტრის წარმომადგენელი წყვილი – ქორწინების კავშირი ორ ადგილობრივ ჯენტრს შორის-ერთი მემამულე, მეორე-ვაჭრის ოჯახიდან. ავტორი თომას გეინსბორო, 1750 წელი. ლონდონის ეროვნული გალერეა.

მეფე და ძველი თავადაზნაურობა

- მათი წოდება, ტიტულები, ქონება გადადიოდა მემკვიდრეობით – თაობიდან თაობაზე.
- შედიოდნენ ლორდთა პალატაში, სადაც ადგილები განისაზღვრება მემკვიდრეობით.
- მეფე/დედოფალი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია. ამდენად ანგლიკანური ეკლესია ამ ფენის დასაყრდენი გახდა.
- მათ ჰქონდათ ფული, გავლენა და ძალა. ყავდათ ჯარი და ფლოტი,
- ფლობდნენ დიდ მიწებს ნაკლებად დასახლებულ ჩრდილოეთ ინგლისში.
- აწესებენ და კრეფენ გადასახადებს

ახალი თავად-აზნაურობა-ბურჟუაზია

- მათ საკუთარი შრომით დააგროვეს დოვლათი, შეიძინეს მიწები, დაიქირავეს მუშახელი.
- წარმოდგენილები არიან თამთა პალატაში, არჩევითობის მიხედვით.
- დასაყრდენი გახდა ახალი პროტესტანტული რელიგია-კათოლიკური ეკლესიის ელემენტებისგან გაწმენდილი, და დამოუკიდებელი პურიტანული ეკლესია.
- ფლოტს დიდი სახსრები სჭირდება. ამ ფენას აქვს რესურსები ფლოტის ასაგებად.
- ქონებას/წარმოებას/ქმნიან მჭიდროდ დასახლებულ სამხრეთში.
- ქმნიან დოვლათს და იხდიან გადასახადებს.

1. წარმოდგენილი ცხრილის და ტექსტის მიხედვით იმსჯელე, რა სოციალური ცვლილებები მოხდა ინგლისში?

2. რა მიზეზებმა განაპირობეს ინგლისის ეკონომიკური/სოციალური ცვლილებები?

- როგორ შეაფასებ ამ ცვლილებებს ძველი თავად-აზნაურობის პერსპექტივიდან?
- როგორ შეაფასებ ამ ცვლილებებს ახალი თავად-აზნაურობის პერსპექტივიდან?
- რომელი ფენა იყო შენი აზრით, ძლიერი? რის მიხედვით შეაფასე ამ ფენის ძლიერება?
- გარდა ზემოთ მოცემული ფენებისა, ინგლისის მოსახელობას შეადგენდნენ უპოვარები, მაწანწალები ანუ ღარიბები. როგორ ფიქრობ, ვისი მომხრეები იქნებოდნენ საზოგადოების ეს ფენა?

3. წარმოადგინე პირამიდული დიაგრამა ინგლისის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ. მასზე დაიტანე შესაბამისად ყველა სოციალური ფენა-თავად-აზნაურობა; ახალი თავად-აზნაურობა; ჯენტრი; ვაჭრები; ფერმერები; უპოვარები; მაწანწალები.

4. შენი აზრით, რა პრობლემების წინაშე დააყენებდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას ძველი ფეოდალური სისტემის არსებობა?

5. იმსჯელე, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა საზოგადოებაში სოციალურ ცვლილებებს?

6. შეავსე დიაგრამა: ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 64**).

ჯეიმს I სტიუარტი

1603 წელს ელისაბედი გარდაიცვალა და რადგან მემკვიდრე არ ჰყავდა, ინგლისის სამეფო ტახტზე შოტლანდიის მეფეების დინასტიის – სტიუარტების – წარმომადგენელი ჯეიმს I (1603-1625 წწ.) ავიდა. ჯეიმს I ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებდა და ხალხს ახალ-ახალ გადასახადებს აკისრებდა. მოსახლეობა და პარლამენტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მეფის ერთპიროვნული და უკანონო გადაწყვეტილებების გამო. თუმცა ჯეიმსი მოვლენებს სხვაგვარად აფასებდა.

ჯეიმს I-ის მორალური დილემა

შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI 13 წლის ასაკში ავიდა ტახტზე და სრულწლოვანების შემდეგ (1579 წლიდან) ერთპიროვნულად განაგრძო მართვა. 1586 წელს ჯეიმსის დედა – შოტლანდიის დედა-დედოფალი მარიამ სტიუარტი ინგლისის დედოფლის – ელისაბედის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში დაადანაშაულეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ჯეიმსმა არაერთხელ მისწერა წერილი დედოფალს, რომ დედა გადაერჩინა. განაჩენის აღსრულებამდე ელისაბედმა უარი განაცხადა შოტლანდიის დიდგვაროვნების ნებისმიერი დელეგაციის მიღებაზე. ჯეიმსმა კარგად იცოდა, რომ ინგლისთან პოლიტიკური კავშირის გაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს დაუკავშირდებოდა, რომელიც ინგლისში შეჭრას გეგმავდა. თუმცა იცოდა, რომ შოტლანდიაში ეს არაპოპულარული ნაბიჯი იქნებოდა. მან ელისაბედს დედის გადასარჩენად კიდევ ერთხელ მისწერა და დასძინა, რომ ელისაბედის სიცოცხლე ისეთივე მნიშვნელოვანია მისთვის, როგორიც საკუთარი დედის.

არაერთგვაროვანი ცნობებია დაცული იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ჯეიმსმა დედის სიკვდილით დასჯა. ზოგიერთი ცნობით, მას უხაროდა, რომ ახლა ინგლისის ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო; მეორე ვერსიით, ის დადარდიანებული იყო. ფაქტი ერთია: ჯეიმსმა დაიჯერა ინგლისის დედოფლის არგუმენტი, რომ სიკვდილით დასჯასთან საერთო არაფერი ჰქონდა და მისმა მრჩეველმა უფლებამოსილებას გადააჭარბა.



სურ. 4 შოტლანდიის დედოფლის სიკვდილით დასჯა. ჩაიხატა დიპლომატმა რობერტ ბელიმ, რომელიც ამ სცენას ესწრებოდა.

წყარო ა) პარლამენტის საპროტესტო განცხადებიდან. 1621 წელი. (ციტირებული ჯონ რაშვორტის მიერ. ისტორიული კოლექციები, ლონდონი, 1721 წელი)

პარლამენტი ინგლისის თავისუფლების უძველესი და უდავო უფლებაა... რათა დაიცვას მეფე, ინგლისის ეკლესია, სამეფო და ხალხი... კანონების დაცვა და მიღება, შეცდომებისა და საჩივრების გამოსწორება და გადახედვა,...რჩევა და დებატები პარლამენტის უპირობო უფლებაა; პარლამენტის პალატის თითოეულ წევრს აქვს უფლება, გამოთქვას და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება.



სურ. 5 ჯეიმს I პარლამენტში. გრავიურა

წყარო ბ) ნაწყვეტი ჯეიმს I-ის მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვიდან, XVII ს.-ის დასაწყისი

„მონარქიას მიწაზე უზენაესი მდგომარეობა უჭირავს... ღვთის გმობაა იმის განსჯა, რა უნდა მოიმოქმედოს ღმერთმა, ასევე ღვთის გმობაა ქვეშევრდომთა მხრივ განსჯა იმისა, რა უნდა გააკეთოს ან როგორ უნდა მოიქცეს მეფე... რასთანაც ღმერთმა შემაუღლა, იმას ადამიანი ნუ დაარღვევს. მე ვარ ქმარი, ხოლო მთლიანად კუნძული – ჩემი კანონიერი მეუღლეა. მე თავი ვარ, კუნძული კი ჩემი სხეულია. მე მწყემსი ვარ, კუნძული კი ჩემი სამწყსო... მე ვარ თქვენი მეფე... პასუხი თქვენს შეცდომებზე მე უნდა ვაგო... ჩვენი არქივები, სადაც სამეფოს ძველი და ახალი სამართალი ინახება, ნათელყოფს იმას, რომ მეფეა ბატონ-პატრონი მისი ხელისუფლებისათვის უშუალოდ დაქვემდებარებულ ქვეშევრდომთა ქონებისა. ყველა მათგანი მისი ვასალია. სამსახურისა და ერთგულების საფასურად მისგან იღებენ თავის სამფლობელოს. მეფეს თავისი ქვეშევრდომების სამფლობელო ტიტულების შეცვლა შეუძლია, მაგალითად, შეუძლია, უბრალო მამული ფეოდად აქციოს, ახალი ბარონები შექმნას, თანაც ვინმესთან შეთანხმების გარეშე და თუ ვინმე მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა, მისი ქონება და სამფლობელოები მეფეს ეკუთვნის...

...ღმერთი განსაკუთრებით მფარველობს მემკვიდრეობით მონარქიას. მონარქს აქვს იმის უფლება, რომ საკუთარი შეხედულებით მართოს. ის კანონებს კეთილი ნების გამო ასრულებს. ყველა კანონი, რომლებიც მეფის უფლებებს ზღუდავს, თავად მონარქის წყალობის შედეგია და როცა ისურვებს, შეუძლია, უარი თქვას მათზე. იურისტებს არა აქვთ უფლება, სამეფო ხელისუფლების საკითხებზე იმსჯელონ, რადგან მკრეხელობაა განსაჯო ის, რაც ღმერთმა დაადგინა“.

7. რატომ მიიჩნევს ჯონ რაშვორტი პარლამენტს ინგლისის თავისუფლების ძირითად დასაყრდენად?

8. რა არის მეფის სიტყვის მთავარი აზრი?

9. იმსჯელე, რამდენად პასუხობს მეფის დამოკიდებულება პარლამენტის საპროტესტო განცხადებას.

10. რა არგუმენტები მოჰყავს მეფეს საკუთარი ძლიერების საჩვენებლად?

11. როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა მისი არგუმენტები XVI საუკუნის ინგლისური საზოგადოებისთვის? პასუხი დაასაბუთე. შეავსე ცხრილი. ჯეიმს I-ის სიტყვიდან მოყვანილ დებულებებს ან დაეთანხმე და ან უარყავი. შენი პასუხები დაასაბუთე (**მოსწავლის რვეული, დავ. 65**).

წყარო გ) ჯეიმს I-ისა და ჰერცოგ ბუკინგემის დიალოგი: ჩარლზ ედუარდ ჰაიდის ჩანაწერებიდან, 1660 წელი.

„თქვენ, ბატონო ჰერცოგო, მალე აღმოაჩენთ, რომ თქვენი პოპულარულობა შეიცვლება პირიქით, თქვენი დევნით და ყველა ჯოხი თქვენზე გადატყდება. ვერ ხედავთ, რომ ომი მწიფდება? რომ უკმაყოფილება იზრდება? რატომ თქვით ჩემზე, პარლამენტის ფუნქციებში არ ჩაერიოსო? რატომ თქვით, როცა ჯეიმსი მოკვდება, ყველა მიხვდება, რაოდენ დიდი როლი შეასრულა მან ერთდროულად პარლამენტისა და გვირგვინის დასუსტებაშიო?!“

12. რა დამატებით ინფორმაციას გვაწვდის წყარო? როგორ წარმოაჩენს მეფისა და პარლამენტის ურთიერთობას?

13. შენი აზრით, რატომ უკავშირებს ჰერცოგი ბუკინგემი პარლამენტის ძლიერებას სამეფო ხელისუფლების სიმტკიცეს?

14. რა მნიშვნელობა აქვს ამ წყაროს ისტორიკოსისათვის, რომელიც ამ პერიოდის ინგლისის ისტორიას სწავლობს?

15. შენ რომ ჰერცოგი ბუკინგემი იყო, რა პასუხს გასცემდი მეფეს?

ისტორიკოსის კომენტარი

ისტორიკოსი ბერი ქოვარდი, 1980 წელი

„პოლიტიკური დაძაბულობა სამეფოში მხოლოდ ჯეიმს I-ის მიზეზით არ იყო გამოწვეული. 1603 წელს ელისაბედის გადაწყვეტილება მემკვიდრეობაზე უკვე იმთავითვე არ იყო სწორი. შოტლანდიელი მეფის ინგლისში გამეფება უდავოდ გამოიწვევდა ეკლესიის უკმაყოფილებას. სამეფო შემოსავლები სტაბილური არ იყო. სისტემას რეფორმები ესაჭიროებოდა. ახლა უკვე ნათელია, რომ ჯეიმსმა დიდი წარმატებით შეასრულა ბრიტანეთის მართვის ამოცანა, გამოიყენა ხან მოქნილობის, ხან კომპრომისის უნარი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში. ჯეიმსის სასამართლოებს ელისაბედის ფორმალური დეკორაცია აკლდა. მისმა არაფორმალურობამ შეხედულებებისა და აზრების ღიად გამოხატვას გაუხსნა გზა“.

ისტორიკოსის კომენტარი

ისტორიკოსი პაულინა ქროფთი, 2003

„ჯეიმსი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იყო. ამდენად, ფიქრობდა, რომ სასწავლი არაფერი ჰქონდა. მან ვერ გააცნობიერა, რომ ინგლისისა და შოტლანდიის მონარქებს შორის განსხვავებებს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მსგავსებებს. თავდაჯერებულობამ დიდ შეცდომაში შეიყვანა ის. ჯეიმსი მიჩვეული იყო შოტლანდიის სრულიად განსხვავებულ პარლამენტს და არ ფიქრობდა, რომ ინგლისის პარლამენტს განსხვავებული მართვა სჭირდებოდა: ინგლისური კონტექსტი ჰარმონიასა და კონსესუსს ნიშნავდა. მან დაუშვა შეცდომა, როცა პარლამენტი გადასახადების აკრეფისა და გაზრდის მიზნით იარაღად აქცია. მართალია, ჯეიმსი ფინანსებზე კონტროლის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ არ უსმენდა მრჩევლებს, რომლებიც პარლამენტთან შეთანხმების მიღწევას ურჩევდნენ; არ ითვალისწინებდა, რომ ომის შემთხვევაში მხოლოდ პარლამენტს ძალუძდა სახსრების გამოყოფა. პარლამენტთან ურთიერთობა უსაფრთხოების გარანტიისთვის მხოლოდ ნდობის საფუძველზე უნდა აგებულიყო“.

ისტორიკოსის კომენტარი

განსხვავებული პერსპექტივები ჯეიმს I სტიუარტის შესახებ:

ისტორიკოსი დევიდ ჰენრი ვისლონი, 1956 წელი.

„ინგლისის პრობლემა ჯეიმსმა სათანადოდ ვერ შეაფასა. ეჭვგარეშეა, რომ მას საამისოდ არც მოთმინება გააჩნდა და არც თავმდაბლობა. მას მთავრობისადმი პირადი და არა სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ჰქონდა. მისი პოლიტიკა ძირითადად თავისი სარგებლისთვის გეგმების განხორციელება იყო“.

16. ისტორიკოსებს მეფის შეფასებისას განსხვავებული არგუმენტები მოჰყავთ. გამოყავი ყველა არგუმენტი. მეფის რომელ შეფასებას ემხრობი? რატომ?

17. რა არის მიჩნეული ორივე ისტორიკოსის შეფასებაში ჯეიმს I -ის გამეფების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად?

18. როგორ ფიქრობ, შეიძლება თუ არა დავადანაშაულოთ მეფე სამოქალაქო ომში, რომელიც მისი სიკვდილიდან წლების შემდეგ დაიწყო? პასუხი დაასაბუთე.

§40. ინგლისის სამოქალაქო ომის მიზეზები

ჯეიმს I-ის შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი ჩარლზ I (1625-1649) ავიდა. იგი არანაკლებ შეურიგებელი აღმოჩნდა პარლამენტისადმი. მეფემ თავიდანვე განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა თავის მინისტრებს, მაღალი თანამდებობის მოხელეებს, ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს, რომლებიც მისი სიმპათიით სარგებლობდნენ. ის ანგარიშს არ უწევდა პარლამენტის აზრს. პარლამენტი მკაცრად აკრიტიკებდა მინისტრებს, რომელთა საქმიანობას ინგლისისთვის წარმატება არ მოჰქონდა.



სურ. 1 ჩარლზ I-ის სამმაგი პორტრეტი. ვან დეიკი, XVII ს.

ამავე დროს ქვეყანაში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და რელიგიური კუთხით. ინგლისი საფრანგეთთან და ესპანეთთან წარუმატებელ ომს აწარმოებდა. ამიტომ ჩარლზი პარლამენტის მიერ დაწესებულზე მეტ გადასახადს თვითნებურად იღებდა. ვინც გადასახადს არ გადაიხდიდა, აპატიმრებდნენ. თუმცა სასამართლომ რამდენიმე დაპატიმრებული დიდებული გაათავისუფლა. პარლამენტი ომისთვის საკმარის თანხებს არ გამოყოფდა და მეფის ფავორიტის, პირველი მინისტრის, გადადგომას მოითხოვდა. 1628 წელს მეფემ არასასურველი პარლამენტი დაითხოვა, მაგრამ მის მიერ დაწესებული გადასახადები პარლამენტის თანხმობის გარეშე უკანონოდ ითვლებოდა. 1628 წ. ჩარლზ I იძულებული გახდა, ახალი პარლამენტი მოეწვია.

ახალმა პარლამენტმა ჩარლზს წარუდგინა „პეტიცია უფლებების შესახებ“.

წყარო ა) „პეტიცია უფლებების შესახებ“, 1628 წ.

1. სასულიერო და საერო ლორდები და თემები, რომლებიც პარლამენტში შეიკრიბნენ, წარმოგიდგენთ შემდეგს... ჯერ კიდევ ედუარდ I-ის დროს დაკანონდა, რომ არ შეიძლება მეფის ან მისი მემკვიდრეების მიერ რაიმე გადასახადის ან ბაჟის აკრეფა არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, გრაფების, ბარონების, რაინდების, მოქალაქეებისა და სხვა თავისუფალი ადამიანების თანხმობისა და კეთილი ნების გარეშე; ედუარდ III-ის მეფობის მეხუთე წელს მოწვეულმა პარლამენტმა დაადგინა და დააკანონა, რომ მომავალში საკუთარი ნების გარეშე არავინ არ არის ვალდებული, მისცეს სესხი მეფეს, რადგან ასეთი სესხები ეწინააღმდეგება სამართლიანობას და ქვეყნის თავისუფლებებს... ვეყრდნობით რა ამ ქვეყნის ზემოთ ნახსენებ კანონებს, თქვენმა ქვეშევრდომებმა მემკვიდრეობით მიიღეს თავისუფლება, ძალდატანებით არ გადაიხადონ რომელიმე გადასახადი, ბაჟი თუ ნაბოძვარი პარლამენტის თანხმობის გარეშე...

3. ინგლისის „თავისუფლების დიდი ქარტია“ აცხადებს და აკანონებს იმას, რომ არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება დაიჭირონ, ციხეში ჩასვან, საკუთარი მიწა და თავისუფლება ჩამოართვან, კანონგარეშე გამოაცხადონ, გააძევონ ან რამენაირად შეავიწროონ კანონიერი ბრალდების წაყენების, მოქმედი კანონის საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გარეშე...

10. ამის შედეგად სასულიერო და საერო ლორდები და თემები თქვენს უდიდებულესობას უმორჩილესად სთხოვენ, რომ ამიერიდან არავინ აიძულონ საჩუქრის, სესხის, შემოწირულობის, გადასახადის სახით რამის გადახდა პარლამენტის საერთო თანხმობის გარეშე; და არავის მოეთხოვოს პასუხი... ამგვარი გადასახადის გადაუხდელობის გამო; ზემოთ ხსენ-

ებული კანონების დაცვის გარეშე არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ უნდა დააპატიმრონ; თქვენმა უდიდებულესობამ კეთილი ინებოს და აკრძალოს მოსახლეობაში ჯარის ჩასახლება და მისი ხარჯით ჯარის შენახვა; სახელმწიფოში აიკრძალოს მშვიდობიან დროს მოქალაქეთა დაპატიმრება და რეპრესირება სამხედრო წესების შესაბამისად.

11. რათა დაკმაყოფილდეს და დაწყნარდეს მოსახლეობა, თქვენმა უდიდებულესობამ ინებოს და გამოაცხადოს, რომ ყველა თქვენი მოხელე და სახელმწიფო მოღვაწე იმ სახელმწიფო კანონებით იმოქმედებს, რომლებსაც თქვენი უდიდებულესობის დიდება და სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს“.

1. რატომ იწვევდა ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებას ის ფაქტი, რომ მეფე საკუთარი გადაწყვეტილებით გადასახადებს აწესებდა და ურჩი გადამხდელების მიმართ სამართლებრივ ზომებს იღებდა?

2. პარლამენტის პეტიცია შეადარე ჯეიმს I-ის სიტყვებს. რამდენად მისაღები იქნებოდა პეტიცია ინგლისის მეფისათვის?

3. წყაროს მიხედვით, ჩამოთვალე, რა და რა სახით იღებდა შემოსავალს მეფე მოსახლეობისაგან.

4. წყაროს მიხედვით, ჩამოთვალე, რა ღონისძიებებს მიმართავდნენ მეფის მოხელეები გადასახადებზე უარის თქმის შემთხვევაში.

5. განსაზღვრე, რა შემადგენლობისაა პარლამენტი და როგორია მისი პოზიცია?

6. როგორ ახასიათებს პეტიცია ინგლისის პარლამენტსა და საზოგადოებას? მეფეს? შენი აზრით, ჰქონდა თუ არა ალტერნატივა მეფეს, რომ პარლამენტზე ფინანსური დამოკიდებულებისათვის დაეღწია თავი? დაასაბუთე შენი მოსაზრება

7. რას უნდა გამოხატავდეს, შენი აზრით, ფლამანდიელი მხატვრის, ვან დეიკის პორტრეტი – მეფის სამი სახე?

სამ თვეში მეფემ ახალი მოწვეული პარლამენტი დაითხოვა. ამიტომ მას ისტორიაში „ხანმოკლე პარლამენტის“ სახელით იცნობენ. მართალია, ჩარლზ I ამის შემდეგ საფრანგეთს და ესპანეთს მალევე დაუზავდა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო.

ვაჭრები დაემორჩილნენ ყოფილი პარლამენტის მოწოდებას და გადასახადებს არ იხდიდნენ. მეფე კი კონტრშეტევაზე გადავიდა. მისი ბრძანებით, მისთვის მიუღებელ ადამიანებს აპატიმრებდნენ.

1603 წლიდან ინგლისსა და შოტლანდიას ერთი მეფე ჰყავდა, თუმცა შოტლანდია რელიგიურ საქმეებში გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა. მეფემ და მისმა მრჩევლებმა შოტლანდიის ეკლესიის საქმეებში ჩარევა გადაწყვიტეს. საპასუხოდ შოტლანდია აჯანყდა. მათ საკმაოდ კარგი არმია ჰყავდათ და ინგლისელები რამდენჯერმე დაამარცხეს. ჩარლზს ახალი არმია სჭირდებოდა, მაგრამ ამისთვის თანხა არ გააჩნდა. ამასობაში შოტლანდიელებმა მთელი ჩრდილოეთი ინგლისი დაიკავეს. მეფემ დამამცირებელი ზავი დადო და დიდი კონტრიბუციის გადახდა იკისრა. ამასთანავე, შოტლანდიელებმა მოითხოვეს, რომ მათი საქმეები მხოლოდ პარლამენტს განეხილა და არა მეფეს. ინგლისის მოსახლეობაც ახალი პარლამენტის მოწვევას ითხოვდა. მეფე იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

1640 წლის ბოლოს შეიკრიბა ახალი პარლამენტი, რომელიც ისტორიაში „ხანგრძლივი პარლამენტის“ სახელით შევიდა.

პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობა მეფის მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი. მათ მიიღეს 204-მუხლიანი დოკუმენტი, რომელშიც მეფის პოლიტიკა იყო გაკრიტიკებული. პარლამენტმა გააუქმა მეფის შემოღებული უკანონო გადასახადები და სხვა კანონებიც, გამოსცა საპროტესტო წერილი („დიდი რემონსტრაცია“) მეფისა და მმართველი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელშიც პარლამენტი მეფესა და სასულიერო ლიდერებს უკანონო

საქმეებში ამხელდა და მიიღო კანონი, რომლითაც პარლამენტის დათხოვნა და დანიშვნა მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი.

პარლამენტში მეფის მომხრეებიც იყვნენ, ძირითადად უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები. მათ „კავალრებს“ უწოდებდნენ. ისინი მეფის უფლებების ასეთი შეზღუდვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ცდილობდნენ, სამეფოში ძველი წესრიგი შეენარჩუნებინათ. მათი მოწინააღმდეგეები კი, რომლებსაც მეფის მომხრეები „მრგვალთავიანებს“ უწოდებდნენ – ძირითადად წვრილი მემამულეები – პარლამენტის უფლებების გაძლიერებას, ახალი ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას უჭერდნენ მხარს. ამ დაჯგუფებას სათავეში ოლივერ კრომველი ჩაუდგა.

დაპირისპირება მეფესა და პარლამენტის გარკვეულ ნაწილს შორის უკიდურესად გამწვავდა. 1642 წელს მეფემ სცადა დაეპატიმრებინა პარლამენტის 5 ოპოზიციონერი გავლენიანი დეპუტატი, მაგრამ ვერ შეძლო. მეფე იძულებული გახდა, თავის მომხრეებთან ერთად ლონდონი დაეტოვებინა და ჩრდილოეთში, იორკში, დაბანაკებულიყო. მეფემ მომხრეებს ომისკენ მოუწოდა.



სურ. 2 ჩარლზ I-ის თემთა პალატაში შეჭრა. ჩარლზ ქოუფი, 1850 წ.

მეფეს 400 შეიარაღებული მეომარი ახლდა. მათ 5 ოპოზიციონერი დეპუტატის დაპატიმრება უნდოდათ. ნახატზე მუხლმოდრეკილი მამაკაცი პარლამენტის სპიკერი, უილიამ ლენტალია. როცა მეფემ მას ჰკითხა: სად იყო ის ხუთეული, ლენტალმა უპასუხა: „არც თვალები მაქვს, რომ დავინახო, არც პირი, რომ ვილაპარაკო, ვიდრე ამას პარლამენტი არ მიბრძანებს“.

8. რა განაპირობებდა „კავალერებისა“ და „მრგვალთავიანების“ განსხვავებულ დამოკიდებულებას სამეფოში არსებული წესრიგის მიმართ?

9. რა უპირატესობას აძლევდა საკანონმდებლო ორგანოს კანონი, რომლის მიხედვით პარლამენტის მოწვევა მხოლოდ მისივე პრეროგატივა იყო?

10. შენი აზრით, რა ფაქტორებმა უბიძგა მეფეს, რომ ძალისმიერი გზით ეცადა პარლამენტთან უთანხმოების გადაჭრა?

11. შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მხატვარმა ამ სცენის უკვდავყოფა? რით არის ის გამორჩეული?

12. შეაფასე სპიკერის პასუხი. ივარაუდე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სპიკერის პასუხი სხვა დროსა და ვითარებაში, თუნდაც ჯეიმს I-ის დროს?

13. შეავსე დიაგრამა (**მოსწავლის რვეული, დავ. 66**) და განსაზღვრე სამოქალაქო ომის მიზეზები მნიშვნელობის მიხედვით.

14. დააკვირდი ნახატს როგორ აღიქვამს ამ ისტორიულ მოვლენას XIX საუკუნის მხატვარი? შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა ამ სცენის უკვდავყოფა?

§41. სამოქალაქო ომის შედეგები

1642 წელს ინგლისში სამოქალაქო ომი დაიწყო. საზოგადოება ორად გაიყო, ზოგი მეფის მხარეს აღმოჩნდა, ზოგი კი – პარლამენტის მხარეს. როგორ ირჩევდნენ ადამიანები პოზიციას? ამას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავდა: პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური. მაგ., ჯარისკაცები მეფის პოზიციას იცავდნენ. ღარიბი ოჯახიდან გამოსული მეომრები რეგულარულ ჯარში მსახურებისას ანაზღაურებით, საკვებითა და ტანსაცმლით იყვნენ უზრუნველყოფილი; ზოგი რელიგიური თავისუფლების დასაცად იბრძოდა; ზოგს პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება უნდოდა; ნაწილს არჩევანი არ ჰქონდა, რასაც ბატონი უბრძანებდა, ის უნდა გაეკეთებინა; იყვნენ ისეთებიც, ვისაც თავგადასავალი იზიდავდა. ასე გაიყო საზოგადოება ორ ნაწილად. შესაძლოა, ამ დაპირისპირებაში მეგობრები, ოჯახის წევრები, ნათესავები სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილიყვნენ.

1. როგორ ფიქრობ, გარდაუვალი იყო თუ არა ინგლისში სამოქალაქო ომის დაწყება? პასუხი დაასაბუთე

2. ივარაუდე, რომელ ბანაკში აღმოჩნდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენა? მაგ., თავადაზნაურობა? ბურჟუაზია? პასუხი დაასაბუთე.

3. რა ინფორმაციას გაწვდის რუკა ომის საწყისი ეტაპის შესახებ?



რუკა 26. სამოქალაქო ომი ინგლისში

თავდაპირველად ბრძოლები მეფის მომხრეების – როიალისტების – გამარჯვებით მიმდინარეობდა. მეფის არმია პარლამენტის გამოუცდელ ჯარს სჯობნიდა. ოლივერ კრომველი ლონდონში დაბრუნდა. მოკლე ხანში მან „ახალი მოდელის არმიის“ ჩამოყალიბება შეძლო. მისი ჯარი ცხენოსანი მეომრებისგან (კავალერიისაგან) შედგებოდა. ისინი თავის სიმართლეში დარწმუნებული მორწმუნე პურიტანები იყვნენ და სისხლის ბოლო წვეთამდე უნდა ებრძოლათ. არმიის საფუძველი მკაცრი დისციპლინა იყო, ჯარისკაცებს სასტიკად ეკრძალებოდათ მშვიდობიან მოსახლეობასა და დასახლებებზე თავდასხმა.

■ *სურ. 1* როიალისტები - კავალრები



■ *სურ. 2* პარლამენტარები - მრგვალთავიანები



4. სურათზე გამოსახულია ორი დაპირისპირებული მხარე. რა ჰქონდათ ამ ჯარისკაცებს გამორჩეულად განსხვავებული?

5. განსაზღვრე, მოცემულ ჩამონათვალში რომელია კავალერისტის პოზიცია და რომელი – მრგვალთავიანის. ახსენი შენი პასუხი.

- მათ სჯეროდათ მეფის ღვთაებრივი უფლებების;
- სჯეროდათ, რომ პარლამენტის შეთანხმების გარეშე გადასახადების დაწესება მიუღებელი იყო;
- მხარს უჭერდნენ ეპისკოპოსებს;
- მხარს უჭერდნენ მეფის დადგენილებას, დაეწესებინა გადასახადები, როცა მოესურვებოდა;
- სძულდათ ეპისკოპოსები და პურიტანული რეფორმები, უნდოდათ, ინგლისის ეკლესია უფრო მეტად პროტესტანტული ყოფილიყო;
- ფიქრობდნენ, რომ ხალხი მეფეს უნდა ემორჩილებოდეს;
- სჯეროდათ, რომ მეფის ერთგულება, თუ იგი ცდებოდა, სწორი არ იყო;
- სჯეროდათ, რომ პარლამენტს უნდა მიეღო კანონები და ემართა ერი.

6. როგორ ფიქრობ, რომელი მხარის პოზიცია შეესაბამებოდა ეპოქას? დაასაბუთე პასუხი.

7. ქვემოთ მოცემულია სამოქალაქო ომის მოკლე ქრონიკა. მისი გაცნობის შემდეგ გამოყავი პარლამენტის გამარჯვების მიზეზები.

ინგლისის სამოქალაქო ომის მოკლე ქრონიკა

- 1643 – როიალისტების სამი არმია ლონდონისკენ ერთდროულად მიიწევდა. საბოლოოდ მეფე დამარცხდა, რადგან ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად საბრძოლო მასალა ამოეწურა.

- 1644 – საზღვაო ფლოტი მხარს უჭერდა პარლამენტს. ამდენად, ყველა პორტი პარლამენტის ხელში გადავიდა. ჩარლზ I საზღვარგარეთიდან დახმარებას ვეღარ იღებდა. მეფისა და როიალისტების სახსრების შევსება ვეღარ ხერხედებოდა. პარლამენტის ჯარს მეფის წინააღმდეგ შოტლანდიელთა ჯარიც შეურთდა.
- 1645 – „ახალი მოდელის არმია“ კარგად მომზადებული და დისციპლინირებული იყო. ისინი თავისუფალ დროს ლოცვასა და პოლიტიკაზე საუბარში ატარებდნენ. მოსახლეობას არ არბევდნენ. კრომველის არმიამ მეფის ჯარი დაამარცხა. მეფე გაიქცა.
- 1646 – მეფე შოტლანდიელებს დანებდა.
- 1647 – მეფე შოტლანდიელებს მოურიგდა. ეს მეორე სამოქალაქო ომის დასაწყისად ითვლება.
- 1648 – კრომველის „ახალი მოდელის“ არმიამ შოტლანდიელები დაამარცხა. ოლივერ კრომველმა პირობა დადო, რომ ჩარლზ სტიუარტს, „იმ სისხლიან კაცს, პასუხისგებაში მისცემდა“.
- იმავე წლის დეკემბერში მეფე დააპატიმრეს.
- 1649 – იანვარში შეიქმნა 135-კაციანი სასამართლო, რომელსაც მეფის გასამართლება დაევალა.



სურ. 3 თომას უენტფორტის სიკვდილით დასჯა, გრავიურა. 1641 წელი. ლონდონი

თომას უენტფორტი, სტრაფორდის პირველი გრაფი-ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და მთავარი ფიგურა ინგლისის სამოქალაქო ომის დაწყებამდე. იყო ლორდთა პალატის წევრი და მეფე ჩარლზ I-ის მრჩეველი, 1632-1640 წლებში კი ირლანდიის ლორდ დეპუტატი, სადაც დაამყარა ძლიერი ავტორიტარული მმართველობა. მის ტირანიას მოჰყვა ირლანდიელთა აჯანყება, რომელსაც უენტფორტი სასტიკად გაუსწორდა. ირლანდიელების რბევას დაახლოებით 12 000 ადამიანი ემსხვერპლა.

მეფემ გრაფი ინგლისში გამოიწვია და სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში წამყვან მრჩეველად დანიშნა. ამ პოზიციაზეც გრაფი სტრაფორდი უკომპრომისო პოლიტიკას ატარებდა, აპატიმრებდა ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწობილებს, უზრუნველყოფდა მეფის მიერ დაწესებული გადასახადების აკრეფას, აყალიბებდა სამეფო ჯარს, ცდილობდა გაეძლიერებინა სამეფო პოზიციები პარლამენტის წინააღმდეგ. სტრაფორდის გრაფმა რეკომენდაცია გაუწია მეფეს შოტლანდიელების წინააღმდეგ ომის საწარმოებლად შემოეღო ახალი გადასახადები. როდესაც პარლამენტმა ამ ინიციატივას წინააღმდეგობა გაუწია, გრაფმა მეფეს შესთავაზა პარლამენტის დაშლა. 1640 წლის ბოლოს, როდესაც პარლამენტი ხელახლა მოიწვიეს, პარლამენტის სპიკერმა სახელმწიფოს ღალატისთვის გრაფის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. მეფე იძულებული გახდა, განაჩენისთვის ხელი მოეწერა. გადაწყვეტილებიდან ორი დღის შემდეგ ლონდონის თაუერში თომას უენტფორტს უამრავი ხალხის წინ თავი მოკვეთეს.

წყარო ა) მხარეების არჩევანი ინგლისის სამოქალაქო ომში. ინგლისელი ისტორიკოსი მაიკ სტოილი. 2001 წ.

პარლამენტმა თავიდანვე საკუთარი თავის „ინგლისის“ პარტიად წარმოჩენა განიზრახა და იმის მიუხედავად, რომ ინგლისი სამეფოს უმეტეს ნაწილს წარმოადგენდა, მაინც მოახერხა „კელტური“ უელსისა თუ კორნუოლის პროვიცირება. 1642 წელს ამ რეგიონებიდან მოსახლეობის უმრავლესობა მეფის მხარდასაჭერად გამოვიდა და ომის მსვლელობისას ეს ორი რეგიონი მეფის დასაყრდენი იყო. მათ ჯარებს როიალისტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა მეფის ამ „კელტურ“ რეგიონებზე დაყრდნობას ოპონენტების მხრიდან იმის მტკიცება მოჰყვა, რომ როიალისტური პარტია ფუნდამენტურად „არაინგლისური“ იყო.

ჩარლზმა გამოიყენა ირლანდიიდან ჩამოყვანილი ჯარისკაცებიც, რომელთაგან ბევრი, პარლამენტარების აზრით, კათოლიკე იყო. ომის პირველ ნახევარში პარლამენტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა შოტლანდიელებთან, რამაც ანტიშოტლანდიური განწყობა გაზარდა და მეფის ბანაკს უამრავმა ინგლისელმა კაცმა თუ ქალმა მიაშურა. 1645 წლიდან კი – მას შემდეგ, რაც პარლამენტსა და შოტლანდიას შორის ურთიერთობა გაფუჭდა და, პირიქით, მეფესა და შოტლანდიელებს შორის დაიწყო – მდგომარეობა შეიცვალა.

ინგლისელი ხალხის არჩევნის წინაშე დადგა – ეროვნული დამორჩილება თუ თავისუფლება.

ვინც მეფის დროშა აირჩია, ახლა მას ტოვებდნენ. როიალისტური პარტიის დამარცხება გარდაუვალი იყო“.

8. შენი აზრით, რატომ ურჩევდა სტრაფორდის გრაფი მეფეს: „მეფე უნდა გათავისუფლდეს ხელისუფლების ყველა შტოსგან“?

9. რა შედეგი გამოიღო გრაფის ამ რჩევამ?

10. როგორ ფიქრობ, რა იყო სტრაფორდის გრაფის სიკვდილით დასჯის მიზანი?

11. რა როლი ითამაშა პურიტანიზმა პარლამენტის არმიის სამხედრო წარმატებაში? ვის ხელში იყო სამოქალაქო ომის დროს ეკონომიკური უპირატესობა? რატომ? რა მნიშვნელობა ჰქონდა მას?

12. ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, როგორ იყენებდნენ მხარეები კონფლიქტის დროს ეთნიკურობის საკითხს?

13. რა გავლენა მოახდინა შოტლანდიისა და ირლანდიის ჯარების გამოყენებამ სამოქალაქო ომში?

14. ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, როიალისტები იდეოლოგიურად დამარცხდნენ. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? მოიყვანე ამ პოზიციის როგორც განმამტკიცებელი, ისე საწინააღმდეგო არგუმენტი.

წყარო ბ) უმაღლესი სასამართლო პალატის განაჩენი, 1649 წ.

„სასამართლო დარწმუნდა, რომ ის, ჩარლზ სტიუარტი, დამნაშავეა პარლამენტის წინააღმდეგ ომის გაჩაღებასა და გაგრძელებაში, რაშიც მხილებულ იქნა... ის არის დამნაშავე, შემოქმედი და გამგრძელებელი ამ სასტიკი და სისხლიანი ომისა და შედეგად დამნაშავეა სახელმწიფო ღალატში, მკვლელობებში, ძარცვაში, ხანძრებში, ძალადობაში, განადგურებაში, ერისათვის მიყენებულ ზიანსა და უბედურებებში, რომლებიც ჩაიდინა და მიაყენა ამ ომში.

ყველა ამ ღალატისა და დანაშაულისათვის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას, ზემოთ მოხსენიებულ ჩარლზ სტიუარტს, როგორც ტირანს, მოღალატეს, მკვლელსა და ერის მტერს, მიესაჯოს სიკვდილი თავის მოკვეთით“.

15. შეავსე ცხრილი. ერთმანეთს შედარე პარლამენტისა და მონარქის სამხედრო შესაძლებლობები სამოქალაქო ომის დროს (**მოსწავლის რვეული, დავ. 67**)

16. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტყვედ ჩაგდებული ჩარლზ I სასამართლოს გადასცეს?

17. რის გამო დასაჯეს სიკვდილით ჩარლზ I?

მეფის სიკვდილით დასჯა – განსხვავებული თვალთახედვა

თვალთახედვა 1:



სურ. 4 გრავიურა შესრულებულია 1725 წელს, ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯიდან 76 წლის შემდეგ. ქვედა მარჯვენა კუთხეში გადმოცემულია განაჩენის აღსრულების პროცესი. სურათის ცენტრალურ ნაწილში კი გამოსახულია სამოთხეში ამაღლებული ჩარლზ I. ის ანგელოზები გარემოცვაშია. ფიგურა ქვედა მარცხენა კუთხეში ბრიტანეთს განასახიერებს. ის სხვა მხარეს იყურება, რადგან ჩარლზის სიკვდილით დასჯის გამო განაწყენებულია.

გრავიურას ეწოდება „აპოთეოზი“ ან „მეფის სიკვდილი“. ამ ნახატით მხატვარი სიმბოლურად გადმოსცემს, რომ მეფის სიკვდილით დასჯა არ შეიძლებოდა.

თვალთახედვა 2:

ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესის მთავარი პროკურორი იყო ჯონ კუკი. განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ მან გამოაქვეყნა პამფლეტი, რომელშიც წერდა: „თამამად ვიტყვი, რომ ამ უმაღლესმა სასამართლომ დესპოტს, ტირანს თავი მოჰკვეთა და სასამართლო არათუ სწორად, არამედ კარგად მოიქცა. გადაწყვეტილებათა შორის, რაც კი სასამართლოს თავისი არსებობის მანძილზე მიუღია, ეს საუკეთესოა“.

18. იმსჯელე, რით არის ორივე თვალთახედვა განპირობებული. მოიყვანე არგუმენტები როგორც ერთი, ისე მეორე პოზიციის დასაცავად.

სამოქალაქო ომის დასასრული და ოლივერ კრომველის პროტექტორატი

ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯისა და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ინგლისში უმაღლესი ხელისუფლება ოლივერ კრომველმა ჩაიგდო ხელში. 1653 წლიდან მან ქვეყნის ერთპიროვნული მართვა დაიწყო, ლორდ-პროტექტორის წოდება მიიღო, პარლამენტი დაითხოვა და ქვეყნის დიქტატორი გახდა.

კრომველმა სამოქალაქო ომისა და რევოლუციის შემდეგ ინგლისში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ქვეყანა 11 სამხედრო ოლქად დაყო და მათი მართვა თავის ერთგულ გენერლებს ჩააბარა. კრომველის პურიტანმა გენერლებმა განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიებები კათოლიკურ ირლანდიაში გაატარეს. მათ ირლანდიელებს მიწები ჩამოართვეს და ინგლისელ ჯარისკაცებს დაუნაწილეს, თუმცა ირლანდიაში ფეხი ვერ მოიკიდეს. კრომველის ჯარების რეპრესიებსა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას ირლანდიის მოსახლეობის მესამედი შეეწირა. ამ მოვლენამ სათავე დაუდო ინგლის-ირლანდიის მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებას.

კრომველის მმართველობის წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა პურიტანული იდეოლოგია. კრომველის გარშემო შემოკრებილი პურიტანები მოსახლეობას ცხოვრების მკაცრი წესებით ცხოვრებას აიძულებდნენ, აიკრძალა ყოველგვარი სანახაობა, თეატრები, ქუჩის

მუსიკოსები, კვირაობით ბაზრობები, დოღი, ბანქოს თამაში, ჭიდაობა თუ ფეხბურთი. დაიხურა ლუდხანები. 1652 წლის კანონით კრომველმა შობის დღესასწაულის აღნიშვნაც აკრძალა. ჯარისკაცები სახლებში შეიჭრნენ და ხალხს საშობაო ვახშამი წაართვეს.

ოლივერ კრომველი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. იმისათვის, რომ ინგლისი ყველაზე ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გამხდარიყო, კრომველმა სხვადასხვა სახის რეფორმები გაატარა და ჰოლანდიასთან ომშიც ჩაება. ომში გამარჯვების შედეგად ინგლისი მთელ ევროპაში მოწინავე საზღვაოსნო ქვეყანა გახდა. კრომველმა ინგლისის კოლონიებიც გააფართოვა – მან ესპანეთს შაქრის ლერწმის პლანტაციებით მდიდარი კუნძული იამაიკა წაართვა. 1658 წელს ოლივერ კრომველი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

19. როგორ შეიცვალა ინგლისში მმართველობის ფორმა რევოლუციის შემდეგ?

20. შენი აზრით, რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავდა ყველზე აქტიურად კრომველის საგარეო პოლიტიკური კურსი?

21. როგორ ფიქრობ, ინგლისში ოლივერ კრომველის დიქტატურის დამყარება იმოქმედებდა თუ არა მის მომხრეებზე? როგორ შეიძლებოდა გაემართლებინათ მათ საკუთარი ლიდერი?

22. შეავსე ცხრილი. ერთმანეთს შეადარე: რა მოლოდინები ქონდათ პარლამენტის მხარდამჭერებს სამოქალაქო ომის წინ და რა შედეგები მიიღეს სამოქალაქო ომის შემდეგ. **(მოსწავლის რვეული, დავ. 68)**

23. კლასში დაინაწილეთ ინგლისური საზოგადოებიდან როლები: როიალისტი, ოლივერ კრომველის მომხრე, პარლამენტის წევრი, ანგლიკანი, პურიტანი, შეგიძლიათ დაამატოთ საზოგადოების სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელი, ასევე ინგლისელი, ირლანდიელი, შოტლანდიელი – გამართეთ შეკრება და საკუთარი პოზიციებიდან განიხილეთ ინგლისში განვითარებული მოვლენები.



სურ. 5 ოლივერ კრომველის მონუმენტი ლონდონში, პარლამენტის შენობის წინ.

განსხვავებული თვალთახედვა

➤ ედმუნდ ლუდლოუ, მოგონებები, 1657 წ. იგი პარლამენტისთვის იბრძოდა, მაგრამ გენერალიტეტი სძულდა.

„ამბიციამ აზროვნება გაუფუჭა“.

➤ ჯონ მეიდსტონი, კრომველის მსახური. 1658 წ.

„უზარმაზარი სულის პატრონი იყო! კრომველი ცხოვრობდა და მოკვდა ღმერთთან დაახლოებული. მას მხოლოდ საკუთარი ხალხის სიკეთე და მშვიდობა სურდა“.

➤ გრაფი კლარენდონი, როიალისტი, 1662 წ.

„ის მამაცი, მაგრამ ნაძირალა იყო“.

➤ რობერტ ჯონ ანსტიდი, ისტორიკოსი, 1962 წ.

„ბედის უცნაური ირონიით, კრომველი იმაზე მეტად ტირანი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე ჩარლზი გაბედავდა“.

➤ ისტორიკოსი ლოი ბურელი, 1988 წ.

„მან ინგლისს მშვიდობა მოუტანა და მის სახელს მთელი ევროპა პატივს სცემდა“.

➤ ოლივერ კრომველი, 1654 წ.

„მე აქ, ინგლისში, მიხმეს! ერმა საკუთარი სამსახურისთვის მიხმო და ჩემს მოვალეობას ღვთის, ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ვასრულებ!“

24. ბევრი ისტორიკოსი იზიარებს მოსაზრებას, რომ „პროტექტორი ისეთივე დესპოტური იყო, როგორიც ნებისმიერი ტიუდორი თუ სტიუარტი მეფე“. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.

25. იმსჯელე, რატომ აირჩია ოლივერ კრომველმა ასეთი გზა?

26. დააკვირდი ოლივერ კრომველის მონუმენტის ფოტოს. დააკვირდი წარწერას, სად დგას ეს მონუმენტი და გამოთქვი მოსაზრება, რატომ შეარჩიეს ქანდაკებისთვის ეს ადგილი?

27. შეაჯამე ოლივერ კრომველის როლი ინგლისის ისტორიაში. შეავსე ცხრილი. (**მოსწავლის რვეული, დავ. 69**).

ხავერდოვანი, ანუ უსისხლო, რევოლუცია

ორწლიანი ქაოსის შემდეგ ინგლისის ბურჟუაზიამ და თავადაზნაურობამ მეფედ ჩარლზ I-ის ვაჟი ჩარლზ II აკურთხა იმ პირობით, რომ ის კონსტიტუციურ მონარქიას დაამყარებდა, ანუ მეფის ხელისუფლებას პარლამენტი გაუწევდა კონტროლს. ჩარლზ II-მ პირობა დადო, რომ რევოლუციის მონაწილეებისა და რევოლუციის მომხრეების დევნას არ დაიწყებდა, ახალ მესაკუთრეებს მიწას არ ჩამოართმევდა და კვლავ ძველ თავადაზნაურობას არ დაუბრუნებდა. 1660 წელს ინგლისში სტიუარტების სამეფო დინასტია აღდგა. ჩარლზ II-მ მონაწილეების სასტიკი დევნა დაიწყო. მან კრომველისა და რევოლუციის სხვა ცნობილი ლიდერების გვამები საფლავებიდან ამოათხრევინა და სახალხოდ სახრჩობელაზე ჩამოაკიდებინა. ინგლისში ახალი სამოქალაქო დაპირისპირება მომწიფდა, რომელიც საბოლოოდ XVII საუკუნის 80-იან წლებში, ჩარლზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, უსისხლო რევოლუციით დასრულდა. 1688 წელს პარლამენტმა სამეფო ტახტზე ჩარლზის შვილიშვილი მერი და მისი მეუღლე, ჰოლანდიის მმართველი, უილიამ ორანელი, აიყვანა. ჩარლზ II-ის ვაჟი ჯეიმს II (1685-1688 წწ.) იძულებული გახდა, საფრანგეთში გაქცეულიყო.

უილიამ ორანელი დათანხმდა უკიდურესად შეზღუდულ უფლებებს. საკანონმდებლო უფლებები მთლიანად პარლამენტს გადაეცა. მეფეს აეკრძალა კანონების გამოცემა, ჯარისა და გადასახადების შეკრება პარლამენტის თანხმობის გარეშე და სხვ. ხანგრძლივი ბრძოლა ხელისუფლებისთვის მეფესა და პარლამენტს შორის პარლამენტის გამარჯვებით დასრულდა.

28. რა იყო ხავერდოვანი რევოლუციის მთავარი მონაპოვარი?

29. როგორ ფიქრობ, ხავერდოვანი რევოლუცია უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თუ ინგლისის სამოქალაქო ომი? პასუხი დაასაბუთე.

30. მმართველობის რომელი ფორმა ჩამოყალიბდა ინგლისში „უსისხლო რევოლუციის“ შემდეგ ?

31. დროის ხაზზე (**მოსწავლის რვეული, დავ. 70**) დაიტანე XVII საუკუნის ინგლისში სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებები და თითოეულ შემთხვევაში მიუწერე, როგორ იყო ძალაუფლება განაწილებული.

§42. მოსკოვის სამთავროდან – რუსეთის იმპერიამდე

რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება

XIV საუკუნის ბოლოდან მონღოლური „ოქროს ურდოს“ დასუსტებასთან ერთად ჩამოყალიბება დაიწყო რუსულმა სამთავროებმა. მათ შორის დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო, რომელიც მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლას ედგა სათავეში.

1462 წელს მოსკოვის მთავარი გახდა ივანე III (1462-1505 წწ.). 1480 წელს მან საბოლოოდ მოახერხა მონღოლების ქვეყნიდან განდევნა და თავი „მთელი რუსეთის მმართველად“ გამოაცხადა. დაიწყო რუსეთის სამეფოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი. ივანე III-მ სხვა რუსული სამთავროები: ნოვგოროდი, ტვერი, ფსკოვი, სმოლენსკი და რიაზანი შემოიერთა.

ქვეყნის გაერთიანებასთან ერთად ვითარდებოდა სახელმწიფო სისტემაც: ივანე III-მ შეადგინა სამართლის წიგნი, რომლის მიხედვითაც რუსეთის ერთიანი სასამართლო-ადმინისტრაციული სისტემა შეიქმნა. ამავე აქტით ჩამოყალიბდა მოქალაქეების უფლება-მოვალეობებისა და საკუთრების უფლების განმსაზღვრელი კანონები. ითვლება, რომ სწორედ ივანე III-ის დროს ჩამოყალიბდა ის იდეები, რომლებიც შემდგომში რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა.

უპირველეს ყოვლისა, ეს მთავრის ტიტულში გამოჩნდა. თავდაპირველად ივანე III მოსკოვის დიდ მთავრად იწოდებოდა. სამთავროების შემოერთების შემდეგ კი მას უკვე იხსენიებენ სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფედ და ვლადიმირის, მოსკოვის, ნოვგოროდის, ფსკოვისა და ა. შ. დიდ მთავარად. ამ ტიტულს ასევე დაემატა „თვითმპყრობელი“, რაც ბიზანტიური **„ავტოკრატორიდან“** იყო ნაწარმოები.

ავტოკრატორი – ავტოკრატი (ბერძნ. ავტო – თავად, კრატოს – მართვა) ერთპიროვნული მმართველი; სრული, აბსოლუტური ძალაუფლების აღმნიშვნელი.

1. როგორ ფიქრობ რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი სასამართლო-ადმინისტრაციული სისტემის შექმნას? რა წინაპირობას ქმნიდა ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება?

2. შენი აზრით, რაზე მიუთითებს ივანე III-ეს ტიტულატურა? რა იდეოლოგიური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას?

ისტორიკოსის კომენტარი:

გიორგი ბადრიძე, მოსკოვი — მესამე რომი: რელიგიური იდეა პოლიტიკური ინტერესების სამსახურში

„რუსეთის (უფრო ზუსტად, მოსკოვის დიდი სამთავროს) პირველი სახელმწიფო იდეოლოგია „მესამე რომის“ კონცეფციას ეფუძნებოდა. გადმოცემის თანახმად, XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვასილი III-ს (1505-1533 წწ.) მისი ახალი რელიგიური მისიის — აღმოსავლეთ საქრისტიანოს ლიდერობის – შესახებ ფსკოველმა ბერმა ფილოთეუსმა აუწყა: „ორი რომი დაეცა, მესამე დგას, ხოლო მეოთხე აღარ იქნება“. პირველი თავად რომი იყო, მეორეში კონსტანტინოპოლი იგულისხმებოდა, მესამე კი, რა თქმა უნდა, მოსკოვი უნდა გამხდარიყო.

ბუნებრივია, ვასილი III-სა და მის მემკვიდრეებს ეს იდეა ძალიან მიმზიდველად მოეჩვენათ. პირველ რიგში, ეს მოსკოვის მმართველების სტატუსს ეხებოდა — ამიერიდან ვასილი არა უბრალოდ „დიდი მთავარი“, არამედ კეისარი ხდებოდა (რუსული „ცარ“ (მეფე) ნაწარმოებია სიტყვიდან „ცეზარი“ — „კეისარი“, თუმცა ვასილი III მეფედ მხოლოდ დიპლომატიურ წერილებშია მოხსენიებული).

ტიტულთან ერთად მან ბიზანტიის გერბი — ორთავიანი არწივიც — საკუთარი ჰერალდიკის ცენტრალურ სიმბოლოდ აქცია. შესაბამისად, მოსკოვის სამთავრო სამეფოდ და შემდეგ იმპერიად გარდასახვის გზას დაადგა და კიდევ უფრო დიდი ამბიცია გაუჩნდა — აღმოსავლეთ საქრისტიანოს გაერთიანება დაისახა მიზნად. ამ დროიდან მოსკოვის მიერ ნებისმიერი ახალი მიწის დაპყრობა „ღვთის ნებით“ იყო გამართლებული.

1589 წელს ჭეშმარიტად იმპერიული სტატუსისკენ მიმავალ გზაზე მოსკოვმა ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც დაუძლურებული მსოფლიო საპატრიარქოსაგან საკუთარი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას მიაღწია და მიტროპოლიტი იობი პატრიარქად გამოაცხადა. ამან მოსკოვის გეოპოლიტიკურ ამბიციებს მხოლოდ ახალი ძალა შემატა“.

3. მოკლედ ჩამოაყალიბე, რას ეფუძნებოდა: ა) ახალი რუსული სახელმწიფოს იდეოლოგია, ბ) „მესამე რომის“ კონცეფცია.

4. დიდი ხანია, რომის იმპერია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ „მარადიული რომის“ იდეა არსებობას აგრძელებდა. შენი აზრით, რატომ მიისწრაფოდნენ სახელმწიფოები რომის იმპერიის მემკვიდრეობისკენ?

5. გაიხსენე, კიდევ რომელ სახელმწიფოს ჰქონდა პრეტენზია რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე? როგორ აისახა ეს პრეტენზია სახელწოდებასა თუ სიმბოლიკაზე?

6. ორთავიანი არწივი თავდაპირველად ივანე III-ის ბეჭედზე გაჩნდა, ვასილი III-ისგან მოყოლებული კი ჰერალდიკის ცენტრალურ სიმბოლოდ იქცა. რაზე მეტყველებდა ამ სიმბოლოს გაჩენა რუსულ ჰერალდიკაში?

7. შენი აზრით, როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის გერბი 1993 წლიდან კვლავ ორთავიანი არწივია?



სურ. 1 ივანე III-ის ბეჭედი



სურ. 2 მეფე ალექსი მიხეილის ძის დიდი სახელმწიფო ბეჭდის გერბი, რომელიც ძალაში იყო 1660–1670 წლებში.

8. როგორ ფიქრობ რატომ იყო მოსკოვის მიერ ნებისმიერი ახალი მიწის დაპყრობა „ღვთის ნებით“ გამართლებული?

9. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მოპოვება?

ივანე IV

1533 წლიდან რუსეთის დიდი მთავარი იყო ივანე ვასილის ძე, მაგრამ რადგან ტახტზე 3 წლის ასაკში ავიდა და მალე დედაც გარდაეცვალა, ქვეყანას მისი სახელით მეურვე ბოიარები მართავდნენ. 1543 წლიდან ის ქვეყნის მმართველობაში ჩაერთო და 1547 წელს ოფიციალურად ეკურთხა, არა როგორც რუსეთის დიდი მთავარი, არამედ როგორც მეფე -„ცარ“. მის დროს დაიწყო რუსეთის გაძლიერებისა და გაფართოების ახალი ეტაპი. მეფობის პირველივე წლებში მან ერთგული და საიმედო ხალხი შემოიკრიბა და რეფორმების გატარებას შეუდგა. პირველ რიგში მან ურჩი ფეოდალების შევიწროება დაიწყო; გამოსცა ახალი სამართლის წიგნი, რომლის მიხედვითაც ყველა მნიშვნელოვანი საქმე სამეფო სასამართლოში იხილებოდა; შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებშიც ქალაქების მდიდარ ვაჭრებსა და ხელოსნებს ირჩევდნენ; ჩამოაყალიბა მეთოფეთა მუდმივი ჯარი („სტრელცები“).

ივანე IV-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა იყო „ოპრიჩნინების“ ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ამ რეფორმით მან სახელმწიფოს მიწების დიდი ნაწილი სამეფო მმართველობაში გადაიტანა და ამ ტერიტორიებს ოპრიჩნინები უწოდა, იქ მცხოვრებ დიდებულებს – ბოიარებს – მიწები ჩამოართვა და მეფის სანდო პირებს – ოპრიჩნიკებს გადასცა. ოპრიჩნიკები უსაზღვრო ძალაუფლებით სარგებლობდნენ, ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ მეფის მოწინააღმდეგეებს. მათი განუკითხაობისა და უსამართლობის შედეგად ქვეყანა ეკონომიკურადაც გამოიფიტა. მოსახლეობა მუდმივად შიშში ცხოვრობდა.

მკაცრი და სასტიკი საშინაო პოლიტიკის გამო ხალხმა ივანე IV-ს „მრისხანე“ უწოდა. მისი მეფობის დროს ნებისმიერი რამის თქმა საშიში იყო; სამეფო კარის მოხელე მეტისმეტად მხიარული ან მოღუშული სახის ან მეტისმეტად ჩუმი ან ხმამაღალი ლაპარაკის გამოც კი შეიძლებოდა სიკვდილით დასჯილიყო. ოპრიჩნიკები ყველა საეჭვო ადამიანს ღალატში სდებდნენ ბრალს და იჭერდნენ; ივანე მრისხანე სასტიკად უსწორდებოდა ყველა ფენის ადამიანს – უბრალო ხალხსა თუ დიდებულებს.

ივანე IV-მ გააფართოვა რუსეთის საზღვრები. XVI საუკუნის 50-იან წლებში მან ყაზანისა და ასტრახანის სახანოები დაიპყრო და ამით გზა გაეხსნა აღმოსავლეთით ციმბირის სახანოებისაკენ. ამ ორი პროვინციის დაპყრობით ივანე IV-მ კონტროლი დააწესა მდინარე ვოლგის სავაჭრო გზაზე, რომლის მეშვეობითაც რუსეთი კასპიის ზღვაზე გავიდა. ივანე IV-ის დაპყრობების შემდეგი ეტაპი იყო ციმბირის სახანოს დაპყრობა. ციმბირის დაპყრობა ძვირად ღირებული ბეწვეულით ვაჭრობის ხელში ჩასაგდებად იყო მნიშვნელოვანი. ამისათვის ივანემ რუს ვაჭრებს ციმბირში ციხესიმაგრეები ააშენებინა და პოზიციები გაამყარებინა. მალე ციმბირში მოვაჭრე რუსებმა ვოლგისპირელ კაზაკთა რაზმების დახმარებით ციმბირის სახანოს დაპყრობა მოახერხეს.

ციმბირისათვის წარმოებულ ბრძოლებში კაზაკებს დიდი სამხედრო უპრატესობა ჰქონდათ – ისინი ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული, ციმბირელი თათრები კი მხოლოდ მშვილდ-ისრებითა და შუბებით და მათ სათანადო წინააღმდეგობას უწევდნენ. XVI საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთმა საბოლოოდ მოახერხა დასავლეთ ციმბირის დამორჩილება.

ივანე IV ბრძოლებს აწარმოებდა ყირიმის სახანოს წინააღმდეგაც. 50-იან წლებში მან დალაშქრა ყირიმის სახანო, მაგრამ მისი დამორჩილება ვერ შეძლო. მოგვიანებით ყირიმის ხანმა რუსეთში გაილაშქრა, მოსკოვი აიღო და გადაწვა.

1558 წელს ივანე IV-მ ხანგრძლივი ომი დაიწყო ბალტიისპირეთის დასაუფლებლად. თავდაპირველად მან ბრძოლა **ლივონიის ორდენის** წინააღმდეგ დაიწყო.

ლივონიის ორდენი – რაინდთა კათოლიკური სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში 1237-1562 წლებში.

ომის პირველ ეტაპზე რუსეთმა წარმატებას მიაღწია და ლივონიის ტერიტორიებიც დაიკავა, მაგრამ შემდეგ ორდენი დაიშალა. 1561 წელს ომში შვედეთი, პოლონეთი და ლიეტუვა ჩაებნენ. თავიდან ამ ომში რუსეთი გარკვეულ წარმატებებს აღწევდა, მაგრამ 1564 წლიდან რუსეთის ჯარები სისტემატურად მარცხდებოდნენ.

1569 წელს პოლონეთის სამეფოსა და ლიეტუვის დიდ სამთავროს შორის დაიდო ხელშეკრულება – „ლუბლინის უნია“, რომელიც ამ ორი სახელმწიფოს გაერთიანებას და საერთო ხელისფლების ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ახალ სახელმწიფოს პოლონეთის გვირგვინისა და ლიეტუვის დიდი სამთავროს რესპუბლიკა (პოლონურად – რეჩ-პოსპოლიტა), ანუ პოლონეთ-ლიეტუვის თანამეგობრობა, ეწოდა. რეჩ-პოსპოლიტის შექმნამ რუსეთის მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. პოლონეთისა და ლიეტუვის გაერთიანებული ჯარები რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და არაერთი ქალაქი აიღეს. 1582 წელს დაიდო ზავი, რომლითაც მოსკოვმა დაკავებული ტერიტორიები დათმო. ლივონია რეჩ-პოსპოლიტის შემადგენლობაში შევიდა. მომდევნო წელს შვედეთთან დადებული ზავით რუსეთმა სხვა ტერიტორიები და ქალაქებიც დათმო.

10. შენი აზრით, რისთვის დასჭირდა ივანე IV-ს ოპრიჩნინის შემოღება? რა შედეგები მოჰყვებოდა ამას?

11 . რა მიზანს ემსახურებოდა ივანე IV-ის რეფორმები?

12. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი თვითმართველობების შექმნას?

13. რატომ იყო მეთოფეთა მუდმივი ჯარის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი?

14. მმართველობის როგორი ფორმაა რუსეთში? შეადარე იმდროინდელი ინგლისის მმართველობის ფორმას. რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის?

15. დაახასიათე ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკა. რა მიმართულებით წარიმართა დაპყრობითი ომები და რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ მიმართულებას?

16. შენი აზრით რატომ ცდილობს ივანე IV ციმბირში რუსი ვაჭრების პოზიციის გამყარებას? რა მეთოდებს იყენებს ის ამისთვის?

17. შენი აზრით, რატომ ეყრდნობოდა ივანე IV ციმბირის ათვისებისას ძირითადად კაზაკთა რაზმებს?

18. T დიაგრამის საშუალებით ერთმანეთს შეადარე ივანე III და ივანე IV როგორ ცდილობდნენ ძალაუფლების განმტკიცებას. (**მოსწავლის რვეული, დავ. 71**)

რუსეთის სახელმწიფოს იმპერიად გადაქცევა. პეტრე I

XVII საუკუნეში რუსეთში მმართველი დინასტია შეიცვალა. 1613 წელს მოსკოვში გაიმართა რუსი ერობის კრება, რომელმაც რუსეთის მეფედ მიხეილ რომანოვი აირჩია. მისი გამეფებით დასრულდა რიურიკთა მმართველობა და საფუძველი ჩაეყარა რომანოვთა დინასტიის მმართველობას. ისინი რუსეთს 300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 1917 წლამდე მართავდნენ.

XVII საუკუნის ბოლომდე რუსეთი ჩამორჩენილ ფეოდალურ სახელმწიფოდ რჩებოდა.

1682 წელს რუსეთის სამეფოს ტახტზე ავიდა პეტრე I, რომელმაც რეფორმების გატარება და სახელმწიფოს მოდერნიზება დაიწყო.

პეტრე I-მა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად, პირველ რიგში, ადგილობრივი დიდებულების, ბოიარების, ძალაუფლების შესუსტება დაიწყო. პეტრემ ბოიარების მემკვიდრეობით არსებული პრივილეგიები გააუქმა და ევროპულ არისტოკრატიასთან გარეგნული მსგავსების მისაღწევად მათ წვერის შეჭრაც კი დააძალა. პეტრემ სრულად შეცვალა სახელმწიფო აპარატიც და ის ევროპულ ყაიდაზე მოაწყო. დააარსა მეფის უმაღლესი ორგანო – სენატი და კოლეგიები. სენატი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა, შედგებოდა ცხრა წევრისაგან, რომლებსაც მეფე ენდობოდა და თავად ნიშნავდა. სენატის წევრები მუშაობდნენ

ახალ კანონებზე, თვალყურს ადევნებდნენ სახელმწიფო დაწესებულებებისა და მოხელეების საქმიანობას, გადასახადების შეგროვებას, არმიის შეკრებას. სენატს ექვემდებარებოდა კოლეგიები, რომლებსაც სამინისტროების ფუნქციები დააკისრა; თითოეული კოლეგია სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროს განაგებდა: საგარეოს, საშინაოს, სამხედროს, იუსტიციას, ეკონომიკას და ა. შ.

პეტრე I-მა გააუქმა რუსეთის საპატრიარქო და ეკლესიის მართვა სასულიერო კოლეგიას – სინოდს – დაუქვემდებარა. ამ კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, თუმცა მას სათავეში საერო პირი – ობერ-პროკურორი (ე. წ. საეკლესიო საქმეთა მინისტრი) ედგა.

პეტრემ რუსეთი ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად – თავდაპირველად რვა, შემდგომ კი თერთმეტ გუბერნიად დაყო და მათ სათავეში თავისი ნდობით აღჭურვილი პირები – გუბერნატორები – ჩააყენა. გუბერნიები, თავის მხრივ, პროვინციებად იყოფოდა, პროვინცია კი – ერობებად. პროვინციის სათავეში ვოევოდა იდგა, ხოლო ერობის სათავეში – საერობო კომისარი.



სურ. 3 პეტრე I-ის პორტრეტი. ჟან-მარკ ნატიე. 1717 წ.

?

19. როგორ დაახასიათებ რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმას?

20. რა რეფორმები გაატარა პეტრე I-მა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად? რით განსხვავდება ის ივანე IV-ის რეფორმებისგან?

21. რას ისახავდა მიზნად საპატრიარქოს გაუქმება და სასულიერო კოლეგიის დაარსება?

22. შენი აზრით, რა შედეგი მოჰყვებოდა რუსეთის პროვინციებში ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმას?

23. როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები იქნებოდა პეტრე I-ის რეფორმები საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისთვის? პასუხი დაასაბუთე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მის მიერ შემუშავებული „რანგების ტაბელი“, ანუ ცხრილი, რომელშიც ქვეყანაში სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებისა და წოდებების (ჩინების) გაცემის სისტემა და სახელმწიფო სამსახურში დაწინაურების პირობები იყო გაწერილი. ამ დოკუმენტის თანახმად, დაწინაურება ხდებოდა განათლების, ნიჭისა და დამსახურების მიხედვით და არა წარმომავლობით.

პეტრემ სახელმწიფო ხაზინაში შესული გადასახადების კონტროლის მიზნით ქვეყანაში შრომის უნარის მქონე და გადასახადებით დასაბეგრი მამაკაცების აღწერა ჩაატარებინა. შეცვალა საგადასახადო სისტემაც – ამოქმედდა სულადობრივი გადასახადი, რომელმაც მანამდე არსებული ყველა სხვა გადასახადი ჩაანაცვლა.

პეტრე I განსაკუთრებით ზრუნავდა რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების წესის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნაზე – ამისათვის ის ავალდებულებდა თავის ქვეშევრდომებს, რომ ევროპული ტანსაცმელი ჩაეცვათ და იქაური მანერები გადაეღოთ.

წყარო ა) პეტრეს გამოცემული ბრძანებები:

ბრძანება „გერმანული სამოსის, გაპარსული წვერისა და ულვაშის ტარებასთან დაკავშირებით“

„მე მსურს, რომ მოქალაქეები წვერის გარეშე ევროპელებს დაემსგავსონ, სასულიერო პირები კი, თუნდაც წვერით, ეკლესიებში მრევლს ქრისტიანულ ღირებულებებს ისევე ასწავლიდნენ, როგორც გერმანიაში ვიხილე და მოვისმინე“.

ბრძანება ახალი წლის 1-ლ იანვარს აღნიშვნასთან დაკავშირებით

(რუსეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ახალ წელს მანამდე გაზაფხულზე, ბუნიობის დღეს (როცა დღისა და ღამის ხანგრძლივობა ერთმანეთს უტოლდება), აღნიშნავდა.

„რადგან რუსეთში ახალ წელს სხვადასხვა დროს აღნიშნავენ, ამიერიდან ყველგან (მთელ რუსეთში) ახალი წელი პირველი იანვრიდან აღვნიშნოთ. წლის კეთილი დასაწყისის ნიშნად მას მხიარულად შევეგებოთ და ერთმანეთს მივულოცოთ, ერთმანეთს სიკეთე და კეთილდღეობა ვუსურვოთ. ახალი წლის აღსანიშნავად ნაძვის ხეები მოვრთოთ, ბავშვები გავართოთ, ციგებით ვასრიალოთ, მოზრდილებმა კი ლოთობისა და ჩხუბისაგან თავი შევიკავოთ, ამისთვის სხვა დღეებიც საკმარისია“.

ბრძანება „ასამბლეის“ შემოღებასთან დაკავშირებით

„ასამბლეა“ ადამიანთა ურთიერთობის ახალი ფორმა გახდა. ასამბლეაზე დიდებულები ცეკვავდნენ და ერთმანეთს სხვადასხვა თემებზე ესაუბრებოდნენ, განსხვავებით ძველი ყაიდის დროის ერთად გატარების ფორმისაგან – სადღესასწაულო ქეიფისაგან.

სპეციალური ბრძანებებით დადგინდა წერის წესები

ოფიციალურ დოკუმენტებში შემოკლებული და დამამცირებელი (კნინობითი) სახელების ნაცვლად სახელები და გვარები სრულად უნდა ჩაწერილიყო;

ბრძანება ქცევის წესების შესახებ

მეფის წინაშე მუხლებზე არ უნდა დაცემულიყვნენ, ზამთარში იმ სახლთან გავლისას, სადაც მეფე იმყოფებოდა, ქუდი არ უნდა მოეხადათ. პეტრე თავად ასე ხსნიდა შემოღებულ სიახლეებს: „ნაკლები მლიქვნელობა, მეტი გულმოდგინება სამსახურის და მეტი ერთგულება სახელმწიფოსა და ჩემ მიმართ“.

ბრძანება მეფის ხელისუფლებასთან დაკავშირებით

„მისი სამეფო უდიდებულესობა არის თვითმპყრობელი მონარქი, რომელიც არ არის ვალდებული, ვინმეს პასუხი გასცეს თავის ქმედებებზე“.



სურ. 4 სამეფო წვეულება. XVII საუკუნის რუსული მინიატიურა.

24. შენი აზრით რა მნიშვნელობა ჰქონდა პეტრე I-ის მიერ შემუშავებულ „რანგების ტაბელს“?

25. როგორ ფიქრობ, რატომ შემოიღო პეტრე I-მა სულადობრივი გადასახადი?

26. შენი აზრით, რატომ ცდილობდა პეტრე I რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების წესის გარდაქმნას?

27. რა ინფორმაციას გვაწვდის XVII საუკუნის რუსული მინიატიურა სამეფო წვეულებაზე? როგორ ატარებდნენ დროს იმ დროს რუსეთის სამეფო კარზე?

პეტრეს ინიციატივით დაარსდა პირველი რუსული გაზეთი, პირველი რუსული მუზეუმი - კუნსტ-კამერა და საჯარო ბიბლიოთეკა; განვითარდა თეატრალური კულტურა, ხელოვნება და არქიტექტურა.



სურ. 5 ასამბლეა პეტრე I-ის კარზე. სტანისლავ ხლებოვსკი, XIX ს.

28. რა ინფორმაციას გვაწვდის მხატვარი სტანისლავ ხლებოვსკი პეტრე I-ის სამეფო კარზე გამართულ ასამბლეაზე?

პეტრე I-მა რუსეთის ეკონომიკის განვითარებისათვის არაერთი კანონი მიიღო და ეფექტიანი რეფორმების გატარება დაიწყო: პეტრეს მმართველობის პერიოდში რუსეთში დაახლოებით 200 საწარმო აშენდა. დაიწყო ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონების მოპოვება. პეტრე რუსეთის ეკონომიკის განვითარებისათვის თანამედროვე ეკონომიკური იდეებით ხელმძღვანელობდა – ცდილობდა, ქვეყნიდან გატანილი პროდუქტის რაოდენობა შემოტანილზე მეტი ყოფილიყო. ვაჭრობისა და წარმოების წასახალისებლად ხელს უწყობდა ქალაქების განვითარებას. პეტრეს მიერ მიღებული სხვადასხვა კანონი ქალაქის მოსახლეობას მრავალ პრივილეგიას ანიჭებდა. პეტრე საზოგადოების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. დიდებულების შვილებისათვის განათლების მიღება სავალდებულო გახდა; პეტრეს ინიციატივით 1700-1721 წლებში რუსეთში ათობით სასწავლებელი გაიხსნა. განსაკუთრებით გამოსარჩევია მათემატიკისა და ნავიგაციის, არტილერიის, საინჟინრო, სამედიცინო და სამთო სკოლები; გიმნაზია და საზღვაო აკადემია; წერა-კითხვის გავრცელებისათვის მან ძველი საეკლესიო სლავური დამწერლობა ახალი, უფრო გასაგები სამოქალაქო დამწერლობით ჩაანაცვლა. პეტრე ახალგაზრდებს ევროპაშიც გზავნიდა სასწავლებლად. შედეგად XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ევროპიდან რუსეთში მრავალი განათლებული ახალგაზრდა დაბრუნდა, რომლებმაც პეტრეს სიკვდილის შემდეგ რუსეთის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა გააგრძელეს.

29. როგორ ცდილობდა პეტრე I ეკონომიკის გაძლიერებას?

30. იმსჯელე პეტრე I-ის მიერ საგანმათლებლო და საქალაქო ცხოვრებაში გატარებული რეფორმებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ.

31. შეადარე პეტრე I-ის ეკონომიკური რეფორმები აბსოლუტიზმის ხანის საფრანგეთის ეკონომიკურ პოლიტიკას. იმსჯელე: ა) მათ შორის მსგავსებაზე; ბ) რუსეთისთვის ამ ეკონომიკური პოლიტიკის შედეგზე.

პეტრე I-ის საგარეო პოლიტიკა

პეტრე I-ის საგარეო პოლიტიკის მიზანი დაპყრობითი ომებით საზღვრების გაზრდა და ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო.

პეტრე I ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად შვედეთს დაუპირისპირდა.

შვედეთის ფლოტი წამყვან ძალას წარმოადგენდა ბალტიის ზღვის აუზში და, შესაბამისად, იქ გასასვლელის მოსაპოვებლად მისი დამარცხება გაჭირდებოდა. პეტრე I-მა კავშირი დაამყარა პოლონეთთან და დანიასთან და 1700 წელს შვედეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი, რომელიც 21 წელს გრძელდებოდა (1700-1721 წწ.) და იგი „ჩრდილოეთის ომის“ სახელით არის ცნობილი.



სურ. 6 შვედების დამარცხება პოლტავის ბრძოლაში. ალექსეი კივშენკო XIX ს.

ომის პირველ ეტაპზე შვედების ჯარმა მეფე კარლ XII-ის ხელმძღვანელობით დიდი უპირატესობა მოიპოვა და მოკავშირეები დაამარცხა. ომის საწყისი ეტაპის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა შვედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მნიშვნელოვან ციხესიმაგრე ნარვასთან, სადაც რუსების ჯარი სასტიკად დამარცხდა. პეტრე I იძულებული გახდა, უკან დაეხია. მოსკოვში დაბრუნებულმა პეტრე I-მა არმიის გარდაქმნა დაიწყო. შემოიღო კანონი, რომლის თანახმადაც, ყოველი 20 კომლიდან ერთი კაცი სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო. შედეგად რუსეთში შეიქმნა რეგულარული არმია, რომელიც პეტრემ ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა.

1701 წელს პეტრემ განაახლა ბრძოლა შვედების წინააღმდეგ და სერიოზულ სამხედრო წარმატებებს მიაღწია, დაიკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე, მათ შორის ნარვა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა. 1709 წელს მოხდა ჩრდილოეთის ომის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ბრძოლა უკრაინაში, პოლტავის ველზე, სადაც რუსეთმა გაიმარჯვა.

ოსმალეთი შიშობდა, რომ შვედებთან გამარჯვების შემდეგ პეტრე I სამხრეთითაც გააგრძობდა ლაშქრობებს და ამიტომ რუსეთს ომი გამოუცხადა. პეტრე I იძულებული გახდა, თავისი ჯარი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადაესროლა. ოსმალეთთან წარმოებულ ბრძოლებში რუსეთის ჯარმა წარმატებებს ვერ მიაღწია და 1713 წელს პეტრე I იძულებული გახდა, ზავი დაედო, რომლის თანახმადაც რუსეთმა მანამდე ოსმალეთისგანვე მოპოვებული აზოვის ციხესიმაგრე და ზღვაზე გასასვლელი დაკარგა.

ჩრდილოეთის 21-წლიანი ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა – 1721 წელს რუსეთსა და შვედეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, რუსეთმა ომში დაკავებული ტერიტორიები – ესტონეთი და ლივონია – მიიღო და ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა.

ჩრდილოეთის ომში მიღწეული გამარჯვების აღსანიშნავად რუსეთი იმპერიად გამოცხადდა, ხოლო პეტრე I-ს მთელი რუსეთის იმპერატორი ეწოდა.

შვედეთთან წარმოებული ხანგრძლივი ომის დასრულების შემდეგ პეტრე I-მა კასპიის ზღვის სანაპიროების დასაუფლებლად დაიწყო ბრძოლა. 1722-23 წლებში რუსეთის ჯარმა კასპიის დასავლეთი სანაპიროები დაიპყრო. პეტრე I-ის მიერ კასპიის ზღვის ტერიტორიების დაპყრობა სპარსეთის უკმაყოფილებას იწვევდა. პეტრე I კი მის წინააღმდეგ სალაშქროდაც ემზადებოდა და ამისათვის ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან შეთანხმებაც კი გააფორმა, თუმცა 1723 წელს მან სპარსეთთან ხელშეკრულება დადო და სპარსეთთან საომრად გამზადებული ვახტანგ VI მტერს მარტო შეატოვა.



რუკა 27. რუსეთი პეტრე დიდის მმართველობისას

32. დააკვირდი რუკას და იმსჯელე პეტრე I-ის ეკონომიკური პოლიტიკისა და წარმოებული ომების შედეგებზე.

პეტრე I-ის ეპოქის რუსეთის სიმბოლოდ იქცა მის მიერ დაარსებული ქალაქი სანქტ-პეტერბურგი.

1703 წელს, ჩრდილოეთის ომის დროს, რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ბალტიის ზღვასთან მდინარე ნევის შესართავის მიმდებარე ტერიტორიები, რომლებიც მანამდე შვედებს ეკუთვნოდათ. პეტრემ მდინარე ნევაზე არსებული კუნძულებიდან ერთი ამოარჩია. ეს კუნძული ყველაზე ძნელად მისადგომი იყო. სამაგიეროდ, იქიდან ნევის აუზის სრული კონტროლი იყო შესაძლებელი. პეტრეს გადაწყვეტილებით ამ კუნძულზე იმავე წელს ციხე-ქალაქის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც სახელი წმინდა პეტრეს პატივსაცემად დაარქვეს – სანქტ-პეტერბურგი (წმინდა პეტრეს ქალაქი). ქალაქის დასაპროექტებლად და ასაშენებლად პეტრემ მრავალი ევროპელი არქიტექტორი, მშენებელი და ხელოსანი მოიწვია. სანქტ-პეტერბურგის მშენებლობის დაწყებისთანავე აიკრძალა მთელ რუსეთში ქვის მშენებლობები, რადგან ქვის ყველა ხელოსანს ახალი ქალაქის მშენებლობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. მეფესთან დაახლოებულ პირებსა და დიდებულებს ქალაქში მიწის ნაკვეთები დაურიგეს და სასახლეების მშენებლობა დაავალეს.



სურ. 7 სანქტ-პეტერბურგი

ახალი ქალაქი იმდროინდელი ევროპის შესაფერისი, სასახლეებით, ხიდებით, არხებით, დაგეგმილი ქუჩებით და ბაღებით დამშვენებული ქალაქი იყო. 1712 წელს პეტრემ დედაქალაქი პეტერბურგში გადაიტანა. ის რუსეთის მთავარი სავაჭრო-საპორტო ქალაქი გახდა, ევროპასთან არსებული სავაჭრო მიმოსვლა სწორედ პეტერბურგის გავლით ხდებოდა. მალე ის რუსეთის ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის ცენტრი გახდა.

33. შეადარე ერთმანეთს პეტრე I-ისა და ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკა. იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთისთვის ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება.

34. შეავსე სქემა: რა მეთოდებსა და რესურსებს იყენებს პეტრე I წარმატების მისაღწევად (**მოსწავლის რვეული, დავ. 72**)

§43. განმანათლებლობა

განმანათლებლობის სახელით მოიხსენიება პერიოდი XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, როდესაც ევროპაში ერთდროულად დაიწყო განვითარება და პიკს მიაღწია მეცნიერების სხვადასხვა სფერომ, ხელოვნებამ, ფილოსოფიამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა აზროვნებამ. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარდამტეხი პერიოდი ევროპის კულტურის ისტორიაში. მისი ინტელექტუალური საფუძვლები იყო **რაციონალიზმი** და თავისუფალი აზროვნება.

რაციონალიზმის მამამთავრებად ითვლებიან ფრანგი მეცნიერი და ფილოსოფოსი რენე დეკარტი (1596-1650 წწ.) და ნიდერლანდელი ფილოსოფი რაციონალისტი ბენედიქტ (ბარუხ) სპინოზა (1632-1677 წწ). შეიძლება ითქვას, რომ დეკარტის ცნობილი გამონათქვამი „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ (ჩოგიტო, ერგო სუმ) საფუძვლად დაედო არა მარტო რაციონალიზმს, არამედ საერთოდ განმანათლებლობის ეპოქის იდეებს.

რაციონალიზმი –ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც გონებას აღიარებს ან სამყაროს საფუძვლად ან შემეცნების ერთადერთ წყაროდ.

განმანათლებლობის იდეები თავდაპირველად ინგლისში წარმოიშვა, რაც გარკვეულწილად განსაზღვრა სამეცნიერო რევოლუციამ, ამ უკანასკნელის ინტელექტუალური საფუძვლები კი ცნობილმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ფრენსის ბეკონმა (1561-1626) ჩამოაყალიბა. ბეკონის აზრით, მეცნიერება უნდა ემყარებოდეს ცდას, ექსპერიმენტს; მან შეიმუშავა კვლევის ინდუქციური (ანუ კერძოდან ზოგადისკენ) მეთოდი, რომლის მიხედვითაც მეცნიერების ზოგადი კანონზომიერებები უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ექსპერიმენტების შედეგებიდან. სწორედ ამ მეთოდის დანერგვამ განაპირობა მეცნიერების სწრაფი განვითარება. იმ დროის მეცნიერებმა სამყაროსა და ადამიანის კვლევა დაიწყეს. გაჩნდა მისწრაფება ყველაფრის შემოწმებისა და გამოკვლევისკენ, ცოდნის გაღრმავებისკენ. იმ პერიოდს ეკუთვნის უამრავი მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა: შეიქმნა მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციები; მოიგონეს ტელესკოპი, ბარომეტრი, ქანქარიანი საათი; ინგლისელმა, გერმანელმა, იტალიელმა და ფრანგმა მეცნიერებმა დიდი აღმოჩენები გააკეთეს მათემატიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ასტრონომიაში. მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთის სამეფო აკადემიამ და ინგლისის სამეფო საზოგადოებამ, სადაც იმ დროის გამორჩეული მოაზროვნეები იყრიდნენ თავს, სხვადასხვა სამეცნიერო საკითხზე მსჯელობდნენ და საკუთარ გამოცდილებასა და აღმოჩენებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

განმანათლებლობის არსი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: უარყოფილ იქნა სამყაროს შეცნობის რელიგიური გზა და გონება გახდა სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების შემეცნების ერთადერთი საშუალება; ძირითადი მნიშნელობა მიენიჭა არა სულის ხსნას, არამედ ადამიანის ბედნიერებას, არა ადამიანსა და ღმერთს შორის, არამედ – ადამიანებს შორის ურთიერთობას. განმანათლებლობისთვის ბედნიერებად მოიაზრებოდა სხეულის, გონებისა და გულის სრული ჰარმონია. მათ (განმანათლებლებს) მიაჩნდათ, რომ ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ბედს, საკუთარ მორალს, მისთვის მთავარია არა სულიერი, არამედ სოციალურ-პოლიტიკური საკითხები.

ყოველივე აღნიშნულის მიღწევის ერთადერთ გზად განმანათლებლებს მიაჩნდათ ცოდნა, რომელიც ყველასათვის (და არა მარტო პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებისთვის) თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო.

ცოდნის ყველასთვის ხელმისაწვდომობის იდეა ქალებსაც შეეხებოდა, ასე მაგალითად, ფრანჩესკო ალგაროტიმ (1712-1764) გამოსცა წიგნი „ნიუტონიანიზმი ქალებისთვის“, რომელშიც ქალებს აცნობდა მექანიკის საფუძვლებს, ხოლო ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი დეივიდ იუმი (1711-1776) ერთ-ერთ ესეში ისტორიის შესახებ წერდა: „არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც შემიძლია შევთავაზო ჩემს მკითხველ ქალბატონებს, ვიდრე ისტორიის შესწავლა“.

განმანათლებლობას ნიადაგი მოუმზადა, ერთი მხრივ, ჰუმანიზმის იდეებმა, ხოლო მეორე მხრივ, პროტესტანტულმა იდეებმა (მაგალითად, სინდისის თავისუფლების შესახებ).

უნდა აღინიშნოს, რომ განმანათლებლები, ზოგადად, კრიტიკულად იყვნენ განწყობილი რელიგიის მიმართ. უმრავლესობა მათგანი დეიზმის პოზიციაზე იყო, ანუ აღიარებდნენ ღმერთს სამყაროს უპირობო პირველსაწყისად, მაგრამ უარყოფდნენ პიროვნული სახით ღმერთის არსებობას და მის ყოველდღიურ ჩარევას სამყაროში. დეიზმის მიხედვით, ღმერთმა შექმნა სამყარო, დააწესა კანონები და მას შემდეგ ეს კანონები მართავენ სამყაროს ღმერთისგან დამოუკიდებლად. ღმერთმა მისცა ადამიანს გონება, რომლის მეშვეობით მას შეუძლია არა მარტო შეიცნოს სამყარო და საკუთარი თავი, არამედ მართოს კიდეც ისინი.

1. როგორ გესმის გამოთქმა:ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ და შენი აზრით, რატომ დაუდო მან საფუძველი გამანათლებლობის ეპოქას?

2. რა მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო რევოლუციას და რატომ განსაზღვრა მან განმანათლებლობის საფუძვლები?.

3. როგორ ფიქრობ, რატომ იყვნენ განმანათლებელთა უმრავლესობა დეისტები?

ჯონ ლოკი

განმანათლებლობის ერთ-ერთ მთავარ ფუძემდებლად XVII საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი ფილოსოფოსი, ექიმი და თავისი დროის გამორჩეული მოაზროვნე ჯონ ლოკი (1632-1704) ითვლება.

მას **„ლიბერალიზმის** მამასაც“ უწოდებენ. ლოკის შრომებიდან გამოსარჩევია „მოსაზრებები აღზრდის შესახებ“. XVIII საუკუნეში ეს შრომა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა და დიდი გავლენა მოახდინა განათლების პრობლემებზე მომუშავე ევროპელ მეცნიერებზე. დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ლოკის მიერ შემუშავებულ სახელმწიფოს მოწყობის ლიბერალურ მოძღვრებას. ლოკის იდეებმა დიდი გავლენა იქონია XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობის კლასიკოსების – მონტესკიეს, ვოლტერისა და ჟან-ჟაკ რუსოს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.



სურ. 1 ჯონ ლოკის პორტრეტი. ჯონ გრინჰილი. XVII ს.

ლიბერალიზმი – ფილოსოფიური, ეკონომიკური და პოლიტიკური სწავლებაა, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლებიდან, განკარგოს საკუთარი თავი და საკუთრება. ლიბერალიზმის იდეალია საზოგადოება, სადაც ყველას აქვს მოქმედების თავისუფლება, სადაც შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლება და მისი ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ლიბერალიზმის ფუნდამენტური ღირებულებებია: საზოგადოების ყოველი წევრის პირადი თავისუფლება და პირადი პასუხისმგებლობა; არჩევნებისა და გაერთიანებების თავისუფლება; ხელისუფლების დაყოფა; კანონის უზენაესობა; საზოგადოების დემოკრატიული მშენებლობა და საზოგადოების დემოკრატიული კონტროლი სახელმწიფოზე; კერძო საკუთრება, ეკონომიკური თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა; უფლებათა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობათა თანასწორობა ყოველი მოქალაქისათვის.

წყარო ა) ჯონ ლოკის შეხედულებები სახელმწიფოზე,
www.library.iliauni.edu.ge/ebooks/jon-loki/

სახელმწიფო შეიმუშავებს საერთო წესებს, რომლებიც ნებისმიერი კერძო ინდივიდის ან ჯგუფის მოსაზრებაზე მაღლა დგას — ანუ კანონს; ის სჯის იმას, ვინც არღვევს საზოგადოების მიერ მიღებულ წესებს — ანუ აღასრულებს კანონს; დაბოლოს, ის იცავს საზოგადოებას გარე საფრთხისაგან — ანუ წყვეტს ომისა და მშვიდობის საკითხებს. დანარჩენი ინდივიდების საქმეა. ადამიანებს შეუძლიათ გაწყვიტონ ხელშეკრულება და დაიბრუნონ თავიანთი უფლებები, თუ სახელმწიფო დამაკმაყოფილებლად არ შეასრულებს თავის ფუნქციებს ან გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებას. კერძოდ, ეს ეხება დესპოტურ მმართველობას, რომელიც ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას და ზღუდავს მის ძირეულ უფლებებს. ამიტომ ადამიანებს აქვთ უფლება, აუჯანყდნენ ტირანულ ხელისუფლებას.

1. რატომ ითვლება ჯონ ლოკი „ლიბერალიზმის მამად“? მისი შეხედულებებიდან მოიყვანე ამის დამადასტურებელი ადგილები.

2. რით განსხვავდება ჯონ ლოკის ნააზრევი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს შესახებ იმ დროს არსებული შეხედულებებისგან?

3. ლოკის აზრით რატომ ემორჩილებიან ადამიანები სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ წესებსა და კანონებს?

4. შენი აზრით, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კანონი არ იარსებებს რა დაარეგულირებს ადამიანებს შორის ურთიერთობას?

5. გამოთქვი მოსაზრება, რამდენად პოპულარული შეიძლებოდა გამხდარიყო ჯონ ლოკის მოსაზრებები იმდროინდელ ინგლისში? საზოგადოების რომელი ნაწილისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო მისაღები და რომლისთვის მიუღებელი მისი შეხედულებები?

6. ჯონ ლოკის აზრებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობ, რა დამოკიდებულება ექნებოდა მას ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის, ოლივერ კრომველის ან ინგლისის რევოლუციის მიმართ?

XVIII საუკუნის განმანათლებლობა

XVII საუკუნის ინგლისში დაწყებული განმანათლებლობა მალე ევროპის სხვა ქვეყნებშიც – შოტლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში და სხვ. – გავრცელდა და კლასიკური სახე XVIII საუკუნეში მიიღო. თუ XVII საუკუნე მეცნიერების განვითარების მაღალი დონით („სამეცნიერო რევოლუცია“) გამოირჩეოდა, XVIII საუკუნის განამანათლებლებმა ძირითადად ადამიანსა და სამყაროში მის ადგილზე გაამახვილეს ყურადღება.

ამ პერიოდში განმანათლებლობა ევროპის ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ მიმდინარეობად იქცა. მის წარმომადგენელთა აზრით, დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილება, ზნეობა, პოლიტიკა და ყოფა სიკეთისა და სამართლიანობის იდეებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით უნდა შეცვლილიყო, ამასთან, ეს ცვლილებები მშვიდობიანი რეფორმებით უნდა განხორციელებულიყო. საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებებს განმანათლებლობა ადამიანების უვიცობით, საკუთარი ბუნების უცოდინარობით ხსნიდა.

განმანათლებლობის იდეები ფართოდ გავრცელდა მრავალი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. XVIII ს.-ში განმანათლებლობამ დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე.

XVIII საუკუნის განმანათლებლობის ძირითადი დებულებები იყო:

1. ყველა ადამიანური და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში გონების ჩართვა;
2. თავისუფალი აზროვნება და ანტიდოგმატიზმი;
3. **ანტიკლერიკალიზმი.**

კლერიკალიზმი — პოლიტიკური პოზიცია, რომლის თანახმად, საზოგადოების პოლიტიკურ, კულტურულ და პირად ცხოვრებაში წამყვანი როლი ეკლესიასა და სამღვდელოებას ენიჭება.

რაც შეეხება ამ პერიოდის განმანათლებლობის დამახასიათებელ ნიშნებს, ესენი იყო: 1. დემოკრატიზმი, 2. რაციონალიზმი და 3. ისტორიული ოპტიმიზმი.

დემოკრატიზმი გულისხმობდა ფართო მასების მიერ კულტურისა და ცოდნის ზიარება-დაუფლების აუცილებლობას, რაციონალიზმი – გონების შეუზღუდავი შესაძლებლობის რწმენას, ხოლო მესამე – მეცნიერებისა და საზოგადოების პროგრესის რწმენას.

10. გაიაზრე განმანათლებლობის მთავარი დებულებები და იმსჯელე:

ა) როგორ გესმის: ყველა ადამიანური და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში გონების ჩართვა?

გაიხსენე, როგორი იყო შუა საუკუნეებში მსოფლმხედველობა, რას ეფუძნებოდა საზოგადოების მოწყობის შესახებ შეხედულებები და დაუპირისპირე განმანათლებლობის მოყვანილ დებულებას;

ბ) რას გულისხმობს თავისუფალი აზროვნება და ანტიდოგმატიზმი?

გ) რას ნიშნავს ანტიკლერიკალიზმი? როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები შეიძლებოდა გამხდარიყო ის საზოგადოებისთვის?

დღეს განმანათლებლობა, თავისი კლასიკური გაგებითა და ფართო მნიშვნელობით, XVIII საუკუნის ფრანგ მოაზროვნეებს – ვოლტერს, მონტესკიეს რუსოს, დიდროს და სხვებს – უკა-ვშირდება. მათ მიერ შემუშავებული თეორიები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და დიდი გავლენა იქონია XVIII-XIX საუკუნეების პოლიტიკური და საზოგადოებრივი კულტურის ჩამოყალიბებაზე.

რევოლუციურ ინგლისში წარმოშობილმა იდეებმა, მათ შორის, სახელმწიფო მოწყობის საკითხში (კონსტიტუციური მონარქია, პარლამენტარიზმი, სახელმწიფოს შექმნა საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე), გარკვეული გავლენა იქონია XVIII საუკუნის ფრანგ მოაზროვნეებზე და გამოიხატა ე.წ. „განათლებული აბსოლუტიზმის“ სახით. ეს იყო საერო სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, განათლებული აბსოლუტიზმის კონცეფციის მთავარი იდეა იყო მონარქის (მეფის, იმპერატორის) მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება უკლებლივ ყველა ქვეშევრდომის მიმართ, განურჩევლად წოდებისა ან კლასისა. ქვეშევრდომები კი, თავის მხრივ, უნდა აფასებდნენ ამგვარი ხელისუფლის ქმედებებს და ყველანაირად მხარს უჭერდნენ მის წამოწყებებს. ეს იყო ახალი ტიპის მონარქიის იდეა.

განათლებული აბსოლუტიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები იყო:

- ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა; სახელმწიფო იქმნება საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე, რომლის შედეგია მონარქისა და ქვეშევრდომთა ურთიერთვალდებულებები;
- სახელმწიფო წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების შექმნის ძირითად საშუალებას;
- ყველა რეფორმა, რომლებიც ემყარება სამართლიან კანონებს, უნდა მოდიოდეს „ზემოდან“, ანუ სახელმწიფოდან (მონარქისგან), რომლის მოღვაწეობას საფუძვლად უდევს პრინციპი: „ყველაფერი ხალხისთვის და არაფერი — ხალხის ხარჯზე“;
- განათლება სახელმიწფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და იმავდროულად ქვეშევრდომებისაგან შეგნებული მოქალაქეების აღზრდის საშუალებაა;
- სიტყვის, აზრისა და თვითგამოხატვის თავისუფლება.[7].

განათლებული აბსოლუტიზმის იდეები პოპულარული გახდა და თანდათან თითქმის მთელი კონტინენტური ევროპა მოიცვა.

XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების უმრავლესობის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ მკვეთრად ნეგატიური იყო. აი, როგორ აფასებდნენ ისინი საფრანგეთში გაბატონებული კათოლიკე ეკლესიის მანკიერ მხარეებს:

დენი დიდრო:

„ფილოსოფოსები ბევრ ცუდს ლაპარაკობდნენ სასულიერო პირებზე, თავის მხრივ, სასულიერო პირებიც ბევრ ცუდს ამბობობდნენ ფილოსოფოსებზე, მაგრამ ფილოსოფოსებს არასდროს დაუხოცავთ სასულიერო პირები, სასულიერო პირები კი ხშირად სჯიდნენ სიკვდილით ფილოსოფოსებს“.

პოლ ანრი ჰოლბახი:

„სასულიერო პირები, ალბათ, არ იქნებოდნენ კმაყოფილი, მათი სულიერი მოღვაწეობა სულიერი საფასურით რომ ნაზღაურდებოდეს“.

პოლ ანრი ჰოლბახი:

„რაც უფრო ყურადღებით ვსწავლობთ რელიგიას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ მისი ერთადერთი მიზანი სასულიერო წოდების წარმომადგენლების კეთილდღეობაა“.

11. შეაფასე განათლებული აბსოლუტიზმის დამახასიათებელი ნიშნები და აღნიშნე, რომელი ნიშანი მიგაჩნია უფრო მნიშვნელოვნად? პასუხი დაასაბუთე

12. როგორ ფიქრობ, რატომ გახდა განათლებული აბსოლუტიზმი ასეთი პოპულარული ევროპაში და დაფიქრდი, რამდენად შეიძლებოდა მისი რეალურ ცხოვრებაში წარმატებით განხორციელება? პასუხი დაასაბუთე.

ვოლტერის აზრები უკეთეს საზოგადოებაზე

ვოლტერის აზრით, უკეთეს საზოგადოებაში ადამიანებს რელიგიური აღმსარებლობისა და სიტყვის თავისუფლება უნდა ჰქონოდათ, ასევე ყოველი წოდების ადამიანი თანასწორი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ის ილაშქრებდა კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგ და თავის შრომებში ამხელდა საზოგადოების მანკიერებებს, ფეოდალურ უსამართლობას, წოდებრიობას, ცრურწმენას. ვოლტერი ათეისტი არ იყო (დეისტი იყო), მაგრამ აშკარად უარყოფითად იყო განწყობილი კათოლიკე ეკლესიის მიმართ. ცნობილია, მაგალითად მისი ლოზუნგი: „გავსრისოთ ეს სისაძაგლე“, რომელიც მიმართული იყო არა რელიგიის, არამედ ეკლესიაში დამკვიდრებულ სხვადასხვა მანკიერების წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ თავის კრიტიკაში ვოლტერი აბსოლუტიზმის უარყოფის იდეამდე არასოდეს მისულა. იგი „განათლებული აბსოლუტიზმის“ მომხრე იყო. იდეალური ბურჟუაზიული საზოგადოების სათავეში მონარქი უნდა მდგარიყო. იდეალურ მმართველად მას ფილოსოფოსი წარმოედგინა. რელიგიის საკითხთან მიმართებით ვოლტერი სქოლასტიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

ვოლტერს სამი წლის განმავლობაში ინგლისში იძულებით ცხოვრება მოუწია მან დეტალურად შეისწავლა ამ ქვეყნის პოლიტიკური წყობა, მეცნიერება, ლიტერატურა და მიღებული შთაბეჭდილებები ასახა თავის „ფილოსოფიურ წერილებში“, რომლებიც ინგლისური ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს ეხება.

ვოლტერი (1694-1778 წწ.) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ფილოსოფოსი, „ფილოსოფიური წერილების“, მრავალი ისტორიული და ფილოსოფიური ნაწარმოების ავტორი.



სურ. 2 ვოლტერის პორტრეტი. ნიკოლა დე ლარჟილიერი, XVIII ს

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ ნაშრომიდან:

1. „ინგლისში რომ ერთი რელიგია იყოს, დესპოტიის საშიშროება შეიქმნებოდა, ორი რომ იყოს – ერთმანეთს ამოხოცავდნენ, მაგრამ იქ 30-ზე მეტი რელიგიური მიმდინარეობაა. ამიტომაც სიამტკბილობაში არიან“.

2. სავსებით შესაძლებელია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არასდროს უარსებია ლოკისთანა ზუსტი ლოგიკისა და ღრმა აზროვნების ადამიანს;

3. მე პირველმა გავაცანი შექსპირი ფრანგებს, გადავთარგმნე ცალკეული ნაწილები **მილტონიდან**, **დრაიდენიდან**, **პოუპიდან**. ჩემამდე საფრანგეთში არავინ იცნობდა ინგლისურ პოეზიას.

ჯონ მილტონი (1608-1674) – დიდი ინგლისელი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე;

ჯონ დრაიდენი (1631-1700) – ინგლისელი პოეტი და დრამატურგი;

ალექსანდრ პოუპი (1688-1744) – ინგლისელი პოეტი.

13. იმსჯელე, რატომ მიაჩნია ვოლტერს უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელ პირობად რელიგიური აღმსარებლობისა და სიტყვის თავისუფლება?

14. საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებებს განმანათლებლები ადამიანების უვიცობით, საკუთარი ბუნების უცოდინარობით ხსნიდნენ. მათი აზრით, უკეთესი საზოგადოების ასაშენებლად აუცილებელი იყო განათლების ამაღლება და გავრცელება. იმსჯელე, რა კავშირშია ერთმანეთთან განათლება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

შარლ ლუი დე მონტესკიეს აზრები ხელისუფლების დანაწილების შესახებ

მონტესკიემ გამოყო ხელისულების სამი შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი (ამ ორზე ჯონ ლოკიც საუბრობდა) და სასამართლო. მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში სამი სახის ხელისუფლებაა. პირველის ვალია, შექმნას კანონები, დროებითი ან მუდმივი; მეორეს ევალება ომის გამოცხადება ან პირიქით, მშვიდობის დამყარება, აგზავნის ან იღებს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ა. შ. მესამეს, სასამართლო ხელისუფლებას, ევალება დამნაშავეების დასჯა, კერძო პირებს შორის ურთიერთობების მოგვარება. ამ პრინციპით, ხელისუფლების შტოები დამოუკიდებელნი არიან და არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში, რაც მათი ძალაუფლების ეფექტიან გადანაწილებას უზრუნველყოფს. ამ მექანიზმს გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმი ეწოდება, როდესაც ხელისუფლების შტოებს არ ეძლევათ საშუალება, მოახდინონ ძალაუფლების უზურპაცია.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დემოკრატიულ სახელმწიფოებს ახასიათებს. დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომ ძალაუფლების წყარო ხალხი იყოს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა., რასაც ხალხი უშუალ-

შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755 წწ.) – ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი, ავტორი რომანისა „სპარსული წერილები“.



სურ. 1 შარლ ლუი დე მონტესკიეს პორტრეტი. ჟაკ-ანტუან დასიე XVIII ს.

ოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით ახორციელებს. „არ არსებობს თავისუფლება იქ, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ცალკე ინდივიდის ან კრებითი პირის ხელშია თავმოყრილი; თავისუფლება არც მაშინ არსებობს, თუ სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გამიჯნული არ არის“...

როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება ერთი პირის ანდა ერთი ორგანოს ხელშია თავმოყრილი, თავისუფლება ქრება, ვინაიდან არსებობს საფრთხე იმისა, რომ იგივე მონარქი ან სენატი ტირანულ კანონებს შემოიღებს და ტირანული მეთოდებით შეეცდება მათ განხორციელებას.

15. შეავსე სქემა. ერთმანეთს შეადარე ლოკის, მონტესკიესა და ვოლტერის იდეები სახელმწიფო მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით. (**მოსწავლის რვეული, დავ. 73**)

16. გაიხსენე, როგორ იყო შუა საუკუნეებში ძალაუფლება განაწილებული? ვის ან ხელისუფლების რომელი ორგანოს ხელში იყო თავმოყრილი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება?

17. რით განსხვავდება მონტესკიეს მმართველობის მოდელი შუა საუკუნეებში გავრცელებული სახელმწიფო მმართველობის ფორმებისგან?

18. როგორ გესმის გამოთქმა, რომ ძალაუფლების წყაროა ხალხი?

19. შენი აზრით რატომ უნდა იყოს დაცული სახელისუფლებო შტოებს შორის შემოწმებისა და შეკავების პრინციპი? დღეს რა ბერკეტი არსებობს აღნიშნული პრინციპის დასაცავად?

20. შეადარე ერთმანეთს მონტესკიესა და ლოკის პოლიტიკური ნააზრევი და იმსჯელე, რა წვლილი მიუძღვით სახელმწიფოს მმართველობის სისტემის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში?

21. რატომ იყო შეუძლებელი ფეოდალურ საზოგადოებაში დემოკრატიული მოდელის არსებობა? ჩამოთვალე, რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობდა.

განმანათლებლობის ეპოქაში გამოიცა პირველი ენციკლოპედია რომლის შექმნის ინიციატივა ფრანგ მწერალსა და ფილოსოფოს-განმანათლებელს, დენი დიდროს (1713-1784 წწ.) ეკუთვნოდა. ამ საგანმანათლებლო საცნობარო გამოცემის შექმნაში თითქმის ყველა ფრანგი განმანათლებელი მონაწილეობდა. მათ ენციკლოპედისტების სახელით მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედისტებს შორის მატერიალისტებიც იყვნენ, დეისტებიც და ათეისტებიც, მათ საერთო კონცეფციაში ძირითადი იყო: საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გამეფებული კონსერვატიული იდეოლოგიის დაძლევა; ბრძოლა კლერიკალიზმის საყოველთაო (მათ შორის, კულტურაზე, მეცნიერებაზე) გავლენის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ, ენციკლოპედიის ზოგადი მიმართულება რაციონალური მსოფლმხედველობისა და მოვლენათა მეცნიერული ახსნის პრინციპებებისთვის დაექვემდებარებინათ.

ენციკლოპედისტებს აკრიტიკებდა და სდევნიდა საეკლესიო და საერო ხელისუფლება.

საფრანგეთის შემდეგ განმანათლებლობის იდეები ყველაზე მძლავრად XVIII საუკუნის გერმანულ ხელოვნებასა და კულტურაში განვითარდა. გერმანული განმანათლებლობის გამორჩეული წარმომადგენლები იყვნენ ლესინგი, შილერი და გოეთე.

22. შენი აზრით, რატომ სდევნიდა საერო და საეკლესიო ხელისუფლება ენციკლოპედისტებს?

23. იმსჯელე, როგორ შეიცვალა და განვითარდა აზროვნება შუა საუკუნეებიდან ახალ დროში; რომელმა ისტორიულმა და კულტურულმა მოვლენებმა განაპირობა ეს ცვლილება? შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 74**), რომლითაც ამ მოვლენების არსს წარმოაჩენ.

§44. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია. ინგლისური კოლონიური სისტემა

1606 წლის აპრილში ინგლისის მეფე ჯეიმს I-ის თაოსნობით დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ვირჯინიის კომპანია“, რომლის მიზანი ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლონიების დაარსება იყო. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე კოლონიები ასევე ჰქონდათ საფრანგეთს, ნიდერლანდებს და ესპანეთს.

„ვირჯინიის კომპანიამ“ ამერიკის ნაპირებისკენ მალე სხვა გემებიც გაგზავნა. 1620 წელს ერთ-ერთი მათგანი, „მეიფლაუერი“, რომლის გემბანზეც ინგლისელი პურიტანები იმყოფებოდნენ, კურსს ასცდა და მასაჩუსეტსის ჩრდილოეთ სანაპიროს მიადგა. 41-მა პურიტანმა - გადასახლებულთა ოჯახების უფროსებმა, რომლებიც ამერიკის ისტორიაში „პილიგრიმი-მამების“ სახელწოდებით შევიდნენ და ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ პირველ დამაარსებლებად ითვლებიან, - ნაპირზე გადასვლამდე შეიმუშავეს და ხელი მოაწერეს „მეიფლაუერის ხელშეკრულებას“ – „სამართლიანობისა და თანასწორობის კანონს“ და შეთანხმდნენ, რომ თავად მართავდნენ საკუთარ დასახლებას. მათ დაარსებულ დასახლებას პლიმუთი ეწოდა.

პირველი ზამთარი განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა. საკვებისა და საცხოვრებელი პირობების უქონლობის გამო ჯგუფის ნახევარი დაიღუპა. გადარჩენილებმა ააგეს სახლები, ისწავლეს თევზაობა და ნადირობა, ადგილობრივი მოსახლეობისგან – სიმინდის მოყვანა.



რუკა 28. კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში XVII ს.

„მადლიერების დღე“

ახალმოსახლეობის ერთი წლის აღსანიშნავად 1621 წლის ნოემბერში პილიგრიმმა მამებმა მეგობარ ინდიელებთან ერთად ნადიმი მოაწყვეს და ღმერთს მადლობდნენ გადარჩენისა და მოპოვებული საკვებისთვის. ასე ჩაეყარა საფუძველი ამერიკელების ერთ-ერთ უსაყვარლეს ოჯახურ დღესასწაულს – „მადლიერების დღეს“. ყოველი წლის ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს ამერიკელთა ოჯახებში იშლება საზეიმო სუფრა, რომელსაც ტრადიციულად შემწვარი ინდაური ამშვენებს.

ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფის ყველა წევრსა და შემდგომში შემოერთებულ ახალ ემიგრანტებსაც კოლონია თანასწორობისა და თანხმობის საფუძველზე უნდა ემართათ. ეს ხელშეკრულება ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია აშშ-ის ისტორიაში.

კოლონისტები ხელშეკრულების თანახმად:

- ქმნიდნენ კანონებს;
- პირობას დებდნენ, რომ კოლონიის სასიკეთოდ მიღებულ კანონებს დაიცავდნენ;
- შექმნიდნენ საზოგადოებრივ გაერთიანებას, ერთად სამუშაოდ და გასაძლიერებლად;
- იცხოვრებდნენ ქრისტიანული რწმენის შესაბამისად.

კოლონიის მოსახლეობა იზრდებოდა. მასაჩუსეტსის კოლონიაში ახალი დასახლებები გაჩნდა, რის გამოც საერთო სასამართლოს შექმნა გახდა საჭირო. თითოეული ქალაქიდან სასამართლოში დასასწრებად წარმომადგენელს ირჩევდნენ. სასამართლო ერთგვარ წარმომადგენლობით მთავრობას დაემსგავსა.

1691 წელს თვითმმართველი პლიმუთი მასაჩუსეტსის კოლონიას შეუერთდა.

1. პლიმუთის კოლონია 1620-1691 წლებში არსებობდა და „სამართლიანობისა და თანასწორობის კანონის“ – სულ 200-სიტყვიანი დოკუმენტის მიხედვით იმართებოდა. შენი აზრით, საკმარისია თუ არა 200-სიტყვიანი დოკუმენტი საზოგადოების სამართავად? როგორ ფიქრობ, დატოვებდა თუ არა რამე კვალს პლიმუთის საზოგადოებაში ეს დოკუმენტი? რა გამოცდილებას შეიძენდნენ პლიმუთელები?

2. შენი აზრით რატომ იყო მნიშვნელოვანი საერთო სასამართლოს შექმნა და რატომ ჰქონდა მას წარმომადგენლობითი ხასიათი?

ინგლისური კოლონიები ამერიკაში

1607 წლიდან 1732 წლამდე, 125 წლის განმავლობაში ამერიკის ტერიტორიაზე 13 კოლონია დააარსდა.

1607 წელი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე პირველი კოლონიის

„ვირჯინიის კოლონიის“ დაარსება

1732 წელი

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე 13 კოლონია არსებობდა

ბრიტანელთა ყურადღება ამერიკის კონტინენტმა იმთავითვე მიიპყრო. მათთვის მომხიბვლელი იყო მონათხრობები ამერიკის მდიდარი ბუნებრივი რესურსების შესახებ. ჯერ კიდევ XVI საუკუნის ბოლოს, დედოფალ ელისაბედ I-ის დროს, გაიცა პირველი ოფიციალური ნებართვა ამერიკის ნაპირებზე კოლონიის დაარსების შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც - 1585 წელს დაარსდა პირველი კოლონია აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი ჩრდილოეთ კაროლინის ტერიტორიაზე, თუმცა მან მალევე შეწყვიტა არსებობა. ერთი წლის შემდეგ მცდელობა განმეორდა, მაგრამ საბოლოოდ ისიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

ამერიკის ნამდვილი ბრიტანული კოლონიზაცია XVII საუკუნეში დაიწყო. კონტინენტის ბუნებრივი რესურსების სიმდიდრესთან ერთად, ბრიტანელებს მისი სიშორე და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური არასტაბილურობისა და რელიგიური დევნისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა იზიდავდა. რელიგიური დევნა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ბრიტანელებს ამერიკაში გადასახლებისკენ უბიძგებდა. სწორედ ანგლიკანური ეკლესიის მხრიდან განხორციელებული დევნა და შევიწროება გახდა პილიგრიმი მამების გადასახლებისა და პლიმუტის კოლონიის დაარსების მიზეზი. კოლონისტებს სწამდათ, რომ ახალი სამყარო შესთავაზებდათ შესაძლებლობებს, ეცხოვრათ საკუთარი რწმენისა და პოლი-

ტიკური შეხედულებების მიხედვით. ინგლისის სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა ამერიკის კონტინენტის ათვისება, რის გამოც იგი ხელს უწყობდა ახალი კოლონიების დაარსებას. ამგვარად, ეს იყო კოლონიაში ბრიტანელთა ნებაყოფლობითი მიგრაციის ძირითადი გზა.

კოლონიაში მოსახლეობის მიგრაციის მეორე გზაც არსებობდა – იძულებითი გადასახლება, რომელიც ინგლისის მთავრობას საშუალებას აძლევდა, ქვეყნიდან განედევნა სოციალურად არასასურველი ადამიანები – დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები (საინტერესოა, მაგალითად, რომ სიკვდილმისჯილებს შეეძლოთ აერჩიათ ან გადასახლება, ან ჩამოხრჩობა). ამ გზით იქნა ემიგრირებული დაახლოებით 50000 დამნაშავე, რომლებიც სხვადასხვა სახის დანაშაულისთვის იყვნენ გასამართლებული. ასევე იძულებით ასახლებდნენ ამერიკაში მონებს აფრიკის კონტინენტიდან.

მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება	1700	1790
ინგლისი/უელსი	80%	49%
ნიდერლანდელები	4%	3%
შოტლანდიელები	3%	7%
აფრიკელები	11%	19%
სხვები	2%	9%
გერმანელები		7%
ირლანდიელები		3%
შოტლანდია-ირლანდიელები		5%

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ლინგვისტური და ეროვნული შემადგენლობის კომიტეტის ანგარიში. 1932 წელი. საზოგადოებების შემსწავლელი ამერიკული საბჭოები (ACLS)- (პროცენტები დამრგვალებულია).

კოლონიები ბუნებრივი პირობებით, რესურსებით, კლიმატით, მოსახლეობის რაოდენობით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. კოლონიებს ლონდონის მიერ დანიშნული გუბერნატორები მართავდნენ.

მეტროპოლია, ანუ ინგლისი, თავად არეგულირებდა ვაჭრობას და კოლონიებს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობას უკრძალავდა, გადასახადებს კრეფდა. ინგლისისთვის კოლონიებში ეკონომიკური პოლიტიკის კონტროლი იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე კოლონისტებმა საკუთარი გადასახადების დაწესების უფლება მიიღეს.

ინგლისის ამერიკული კოლონიები სამ ჯგუფად იყოფოდა.

ჩრდილოეთის კოლონიები

ჩრდილოეთით მდებარე კოლონიების ჯგუფს ახალ ინგლისს უწოდებდნენ. მასში შედიოდა მასაჩუსეტსის ყურის, კონექტიკუტისა და ნიუ-ჰევენის კოლონიები, რომლებმაც 1643 წელს ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნის მიზნით ახალი ინგლისის კონფედერაცია შექმნეს, რომლის ცენტრი მასაჩუსეტში იყო.

ჩამოსახლებულები: ინგლისელები. პურიტანი ფერმერები.

რელიგია: მეტწილად პურიტანული ეკლესია; მკაცრი მიმდევრები.
გეოგრაფიული გარემო: მეტწილად კლდოვანი, ბორცვიანი; ხანგრძლივი ზამთარი; შესაბამისად, მიწის დამუშავებისთვის უვარგისი იყო.

მთავარი ეკონომიკური საქმიანობა:

პატარა ქალაქებისა და სოფლებისგან შემდგარ დასახლებებში ძირითადად წვრილი ფერმერები და ხელოსნები სახლობდნენ. მისდევდნენ თევზაობას, ხეტყის ჭრას. ოკეანისპირა ქალაქები ნელ-ნელა პორტებად გადაიქცა. ისინი გემთმშენებლობასა და ვაჭრობას მისდევდნენ.

მთავარი ქალაქები: ბოსტონი; პროვიდენსი; ნიუპორტი. თავისი მნიშვნელობითა და განვითარების დონით გამოირჩეოდა ბოსტონი.

საზოგადოება: ჩრდილოეთის კოლონიებში ბავშვები სკოლებში იღებდნენ განათლებას; წერა-კითხვა ყველამ იცოდა, რადგან ბიბლია აუცილებლად უნდა წაეკითხათ; 1636 წელს დაარსდა ჰარვარდის კოლეჯი, რომელიც იმავე საუკუნის შუა ხანებში უნივერსიტეტად გადაიქცა.

შავკანიანების რაოდენობა მცირე იყო, ძირითადად მუშებად და მტვირთავებად მუშაობდნენ.

ქალაქებში იმართებოდა შეკრებები, სადაც ყველას ჰქონდა აზრის გამოთქმის უფლება; უმეტეს ქალაქებში არსებობდა თვითმმართველობა;



რუკა 29. ინგლისური კოლონიები ამერიკაში

შუა კოლონიებს შორის ყველაზე დიდი იყო 1664 წელს ინგლისელების მიერ ჰოლანდიელებისთვის წართმეული ნიუ-იორკი და პენსილვანია.

ჩამოსახლებულები: პროტესტანტი კვაკერები; ჰოლანდიელები; ფრანგები; გერმანელები; შოტლანდიელები, ირლანდიელები.

რელიგია: კვაკერები; კათოლიკები; ებრაელები; პროტესტანტები.

გეოგრაფიული გარემო: ნაყოფიერი ნიადაგი; გაშლილი მინდვრები და მდელოები; უხვი მდინარეები; ნორმალური თბილი კლიმატი.

მთავარი ქალაქები: საპორტო ქალაქები; ნიუ-იორკი, ფილადელფია, რომელიც 1770 წლისთვის ყველაზე დიდი ქალაქი იყო ამერიკაში 28 000 მცხოვრებით.

ეკონომიკური საქმიანობა: მარცვლეული კულტურა; მესაქონლეობა; მადნის მოპოვება; ვაჭრობა.

მოსახლეობა: მეტწილად მანუფაქტურულ წარმოებაში იყვნენ დასაქმებული; იყენებდნენ მონურ შრომას, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც სამხრეთში. სკოლები იყო, თუმცა მცირე რაოდენობით. ბავშვებს ძირითადად შინ კერძო მასწავლებლები ასწავლიდნენ. 1693 წელს აქ უილიამისა და მერის კოლეჯი დაარსდა. ქალაქების ნაწილში არსებობდა თვითმმართველობა.

სამხრეთის კოლონიების ჯგუფში შედიოდა ვირჯინია, ჩრდილოეთი და სამხრეთი კაროლინა და ჯორჯია.

ჩამოსახლებულები: ინგლისელი არისტოკრატია; პლანტატორები; მონები.

გეოგრაფიული გარემო: ნაყოფიერი ველები; მდინარის დაბლობები. გამოირჩეოდა ცხელი კლიმატით.

მთავარი ქალაქები: საპორტო ქალაქები; სავანა, ჩარლსტონი.

ეკონომიკური საქმიანობა: ეკონომიკის საფუძველი იყო თამბაქოსა და ბამბის პლანტაციები, რომლებსაც მდიდარი პლანტატორები ფლობდნენ. პლანტაციებს ძირითადად აფრიკელი მონები ამუშავებდნენ. ჩრდილოეთი და შუა კოლონიების პატარ-პატარა მიმოფანტული ფერმერული სოფლების ნაცვლად აქ პლანტატორთა სასახლეები იდგა, რომლებიც გარშემორტყმული იყო თვალუწვდენელი პლანტაციებითა და მონათა საცხოვრებელი ფარდულებით. თამბაქოსა და ბამბის გარდა, აქ ინდიგო და ბრინჯიც მოდიოდა. არ იყო განვითარებული მანუფაქტურა, ხელოსნობა.

რელიგია: ანგლიკანური ეკლესია; კათოლიკეები.

მოსახლეობა: პლანტაციებში მონურ შრომას იყენებდნენ, შესაბამისად კოლონიებში ბევრი შავკანიანი მონა ცხოვრობდა. სკოლები არ იყო. განათლებას პლანტატორების შვილები შინ იღებდნენ.

გამოყენებული იყო მონური შრომა.



სურ 1. ჩრდილოეთი ამერიკა. ჰარვარდი. პოლ რევერი. 1767 წელი.



სურ. 2 ფილადელფია. პიტერ კუპერი. 1720 წელი.



სურ. 3 მონების შრომა შაქრის ლერწმის პლანტაციაში. უცნობი მხატვარი

3. მოცემული ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრე, რა მიზეზები განაპირობდა მოსახლეობის ემგრაციას ინგლისიდან ამერიკის კოლონიებში?

4. რა მიზეზები განაპირობებდა მოსახლეობის ემიგრაციას ამერიკის კოლონიებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან?

5. რა მიზეზები განაპირობებს ემიგრაციას დღეს?

კოლონიური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა

კოლონიების საზოგადოების სტრუქტურა თავიდან ბრიტანულ საზოგადოებაზე იყო დაფუძნებული. 1700 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობა 300000-ზე ნაკლები იყო. 1775 წლისთვის ის დაახლოებით 2,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა. უმრავლესობა თავიდან ინგლისელი იყო. ამავე დროს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ შოტლანდიელები, ირლანდიელები, გერმანელები – ევროპიდან საკუთარი სურვილით, უკეთესი ცხოვრების იმედით წასულები თუ რელიგიური შევიწროების გამო გაქცეულები. კოლონისტებს, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკაში სახლდებოდნენ, საერთო რელიგიური რწმენა არ გააჩნდათ და სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. „ძველი სამყაროს“ ხალხი სხვადასხვა ეროვნებისა იყო და, შესაბამისად, განსხვავებული რწმენა ჰქონდათ. ამიტომ ისინი ერთად სახლდებოდნენ სხვადასხვა ადგილას, მაგალითად, ინგლისელი კათოლიკეები მერილენდში დამკვიდრდნენ, ჰუგენოტები საფრანგეთიდან – სამხრეთ კაროლინაში, შვედები – დელავერში, ვირჯინია სავსე იყო იტალიელი, პოლონელი და გერმანელი ხელოსნებით. მანჰეტენზე პირველი ჰოლანდიური დასახლება – ახალი ნიდერლანდი – ჰოლანდიელებს ეკუთვნოდათ (1613 წ.), ვიდრე ინგლისმა არ დაიპყრო.

ანგლო-ამერიკელ კოლონისტებს თავი ბრიტანეთის იმპერიის ნაწილად მიაჩნდათ, როგორც პოლიტიკურად, ისე რელიგიური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით. ამერიკული ჯენტრის წარმომადგენლები მდიდარი მიწის მესაკუთრეები იყვნენ და კოლონიურ სამხრეთში საზოგადოების უმაღლესი ფენას შეადგენდნენ. ამგვარად, ჯენტრი, ინგლისის მსგავსად, აღნიშნავდა მდიდარ ფერმერებს, რომლებიც თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, განათლებული, წარმატებული და პოლიტიკურად აქტიური ადამიანები იყვნენ. მართავდნენ პლანტაციებს ან დიდ მეურნეობებს, ჰყავდათ მონები, აქირავებდნენ მიწებს მოიჯარე ფერმერებზე. ეწეოდნენ მდიდრულ ცხოვრებას: ჰქონდათ კარგად მოწყობილი ელეგანტური სახლები, ჰყავდათ ცხენები და ეტლები, დახვეწილად იცვამდნენ. ამ წრის ქალები არ მუშაობდნენ, მაგრამ ოჯახის საქმეებს მართავდნენ. ამ საზოგადოებაში ჯენტრს ჰქონდა არა მარტო დიდი გავლენა, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც, რადგან ქვეყნის სავაჭრო ნედლეულის დიდ ნაწილს ისინი ქმნიდნენ, მხარს უჭერდნენ ადგილობრივ ეკლესიებს, მონაწილეობდნენ წესრიგის დაცვაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში და ა.შ.



სურ. 4 ისააკ როიალი და მისი ოჯახი. პორტრეტი შესრულებულია რობერტ ფეიკის მიერ 1741 წელს. ისააკ როიალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონათფლობელი იყო.



სურ. 5 ტავერნის ინტერიერი. მხატვარი ჯონ შააკი, 1762 წ.

საშუალო ფენა – ამ ფენის მამაკაცებიდან ცოტას ეკავა საჯარო თანამდებობა. ისინი ფლობდნენ მცირე ფერმებს, მცირე ზომის მაღაზიებს, მცირე ბიზნესს. იყვნენ გამოცდილი ვაჭრები, ექიმები, იურისტები.

ქვედა ფენას შეადგენდნენ ღარიბი თეთრკანიანები. ისინი იყვნენ ხელოსნები, მსახურები, შეგირდები, მეზღვაურები, უფრო მეტად კი – დაქირავებული ფერმერები.

ღატაკები და მსჯავრდებულები – ახალ სამყაროში ჩასული გემების მგზავრებს შორის ბევრი მაწანწალა და ბოროტმოქმედი იყო, რომლებსაც, ინგლისის გარდა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოები არჩევანის გაკეთებას სთავაზობდნენ პატიმრობასა და გადასახლებას შორის. ინგლისის პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილებით დაკანონდა „მაწანწალების, უსაქმურებისა და მათხოვრების“ საზღვარგარეთ გაძევება, ასევე დამნაშავეთა თავისუფლების აღკვეთა 7-იდან 14 წლამდე ვადით. ამ გემების მგზავრებს ხშირად იძულებით ასახლებდნენ მეტროპოლიიდან, როგორც „არასაიმედო ელემენტებს“. შედეგად ამერიკულ კოლონიებში (ძირითადად მერილენდსა და ვირჯინიაში) 50.000 მსჯავრდებული აღმოჩნდა, რომლებიც კოლონისტებმა დაქირავებულ მუშებად აიყვანეს და მათ ისე ამუშავებდნენ, როგორც „თეთრ მონებს“. 7 წლის მანძილზე მათი შრომა არ ნაზღაურდებოდა. მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ შეეძლოთ, შეეცვალათ ადგილი, სამსახური, დაქორწინებულიყვნენ, ეყიდათ მიწა სიმბოლურ ფასად (მაგალითად, მე-17 საუკუნის ბოლოს კაროლინაში ერთი ჰექტარი მიწა ერთი პენი ღირდა).



სურ. 6 ჯეიმსთაუნი: მსჯავრდებული ქალები. ნახატზე გამოსახულია მსჯავრდებული ქალი ინგლისის ციხიდან, რომელიც ჯეიმსთაუნში, ვირჯინიაში, გადაიყვანეს და კოლონიზატორს მიჰყიდეს ცოლად 100 ფუნტი თამბაქოს სანაცვლოდ. მე-19 საუკუნის გრავიურა.

ადგლობრივი მოსახლეობა, რომლებიც ინგლისელ კოლონიზატორებს თავიდან მეგობრულად შეხვდნენ, ეხმარებოდნენ პროდუქტების მომარაგებაში, ასწავლიდნენ სიმინდის, თამბაქოს მოყვანას. მაგრამ კოლონიზატორებმა ინდიელთა მიწების ჩალის ფასად ყიდვა დაიწყეს. მაგალითად, 1626 წელს ჰოლანდიელმა კოლონისმა ინდიელებისგან ნიუ-ამსტერდამის მიწა 24 დოლარად იყიდა (ნიუ-ამსტერდამს ინლისელი კოლონიზატორიების ჩამოსვლის შემდეგ ნიუ-იორკი დაერქვა). ხშირად კოლონიზატორები ინდიელებს კოლონიებიდან შორს, დასავლეთით აძევებდნენ. არაერთი დაპირისპირებისა და ბრძოლის მიუხედავად, ინგლისელმა კოლონიზატორებმა ვერ შეძლეს ინდიელების დამონება.

წყარო ა) 1722 წელი. ბოსტონის პურიტანი მინისტრის გამამართლებელი სიტყვა კოლონისტების მიერ ინდიელთა მიწების იაფად შეძენის შესახებ:

კოლონიზატორები: დამნაშავეები ვართ, რომ ვიყიდეთ ინდიელებისაგან მიწები? ისინი მათ არ ამუშავებდნენ. რატომ ვიყიდეთ მცირე ფასად? იმიტომ, რომ დამუშავებული არ იყო. ღმერთმა ხომ დალოცა ადამიანი და უთხრა: გამრავლდი, დაეუფლეთ დედამიწას, მიწებს, დაიმორჩილეთ იგი, დაეუფლეთ ზღვაში თევზებს და ცაში ფრინველებს. ინდიელები კი ამ მიწებს მხოლოდ ნადირობისთვის იყენებდნენ. ინდიელები კმაყოფილები უნდა იყვნენ იმით, რომ ჩვენ დავამუშავებთ მიწას, მათ ხელში კი ეს მიწა ნაკლებად ღირებული იქნებოდა.

მოსახლეობის უუფლებო ფენას მონები შეადგენდნენ. მონების უმრავლესობა აფრიკიდან სამხრეთ კოლონიებში შაქრის, თამბაქოს პლანტაციებში სამუშაოდ მიჰყავდათ. მაგალითად, ვირჯინიაში მონები პირველად 1619 წელს ჩაიყვანეს. 1776 წლისთვის მოსახლეობის 20%-ს აფრიკელი მონები შეადგენდნენ. მონების შრომას იყენებდნენ ჩრდილოეთ და ცენტრალურ კოლონიებში, თუმცა მათი რაოდენობა დიდი არ იყო. მონები ყველაზე მეტნი სამხრეთის შტატებში იყვნენ და მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ.

წყარო ბ) ვირჯინიის კანონი მონების შესახებ, მიღებული ვირჯინიის საკანონმდებლო ორგანოს პალატის მიერ 1662 წელს.

„მიუხედავად იმისა, რომ გაჩნდა გარკვეული ეჭვი, რომელიმე შავკანიანი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვი თავისუფალი უნდა იყოს თუ მონა, დღევანდელი შეკრება აცხადებს: ქვეყანაში დაბადებული ყველა ბავშვის კანონიერება განისაზღვროს დედის სტატუსის მიხედვით. მხოლოდ ამის მიხედვით გადაწყდეს, ბავშვი თავისუფალი იქნება თუ მონა. და თუ რომელიმე ქრისტიანი ქალი ან კაცი სიძვას ჩაიდენს შავკანიან მამაკაცთან ან ქალთან, ის ორმაგ ჯარიმას გადაიხდის“.

6. რა მიგაჩნია ჩრდილოეთის, შუა და სამხრეთის კოლონიების ძირითად განმასხვავებელ ნიშნებად? პასუხისათვის გამოიყენე რუკა, ინფორმაცია და ილუსტრაციები.

7. რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდათ კოლონიურ და მეტროპოლიის საზოგადოებებს?

8. შენი აზრით, გამოიწვევდა თუ არა უკმაყოფილებას ის ფაქტი, რომ კოლონიებს ლონდონიდან დანიშნული გუბერნატორები მართავდნენ? რატომ?

9. კოლონიის სავაჭრო სისტემა მეტროპოლიის – ინგლისის – მიერ იყო შექმნილი. როგორ ფიქრობ, რამდენად განსხვავებული იქნებოდა სავაჭრო პოლიტიკა მეტროპოლიასა და კოლონიაში?

10. იმსჯელე, კოლონიებში გავრცელებული ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება რა გავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე.

11. „ბევრმა ნამდვილად არ იცოდა, რას ელოდა ამერიკისგან. მაგრამ აქ დასაქმებულთაგან ზოგიერთი აღფრთოვანებული იყო, ზოგიერთი კი – იმედგაცრუებული. მთავარი ის იყო, რომ ამდენი ცრურწმენა, ზღაპარი თუ რეალობა, წამოსული სხვადასხვა სოფლიდან, ოჯახიდან, საზოგადოებიდან, ერთმანეთში აირია, მაგრამ მიუხედავად განსხვავებულობისა, ყველა თანხმდებოდა, რომ მათ რაც შეიძლება მეტი უნდა აეთვისებინათ,

მათ შორის, ადამიანი“. როგორ გესმის ამერიკელი თანამედროვე მწერლის ნილ სტეფენსონის ეს სიტყვები?

13 კოლონიის მმართველობის სისტემა

ბრიტანეთის
მეფე და პარლამენტი

სამეფო გუბერნატორი

ნიშნავდა მეფე;
შეეძლო, მოეწვია, დაეთხოვა ლეგისლატურა (საკანონმდებლო ორგანოთა ერთობლიობა);
ამტკიცებდა კანონებს;
შეეძლო კანონისთვის ვეტოს დადება;
მეთაურობდა ჯარს;
ნიშნავდა მოსამართლეებს, შერიფებს, მაგისტრატებს (მათ ეხებოდათ მცირე საქმეები, მაგ., ქორწინება, განქორწინება);
არ განაგებდა კოლონიის ხარჯებს და არ შეეძლო სახსრების დამოუკიდებლად ხარჯვა.



გუბერნატორის საბჭო
აღმასრულებელი ორგანო

საბჭო 12 კაცისაგან შედგებოდა (თუმცა იყო გამონაკლისი კოლონიებიც. მაგალითად, მასაჩუსეტსის კოლონიაში 28 კაცი შედიოდა, ხოლო მერილენდში – თავდაპირველად 3 კაცი).

საბჭოს წევრები ამ კოლონიის მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ. მათ მეფე ან კოლონიის მფლობელი ნიშნავდა. საბჭო გუბერნატორს რჩევებს აძლევდა; გუბერნატორის საბჭო კოლონიაში სასამართლო ხელისუფლებასაც წარმოადგენდა.



კოლონიური კრება
საკანონმდებლო ორგანო

შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული წევრებისგან;
იღებდა კანონებს;
აწესებდა გადასახადებს;
მაგისტრს კანონზე/გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადება მეფის გარეშეც შეეძლო.

12. რა ინფორმაცია მოგაწოდა სქემამ 13 კოლონიის მმართველობის შესახებ? როგორ იმართებოდა კოლონიები?

13. როგორც ხედავ, კოლონიებს თვითმმართველობის ელემენტები ჰქონდათ. როგორ ფიქრობ, შეეძლოთ თუ არა ამერიკელ კოლონიზატორებს ინგლისის გარეშე, დამოუკიდებლად ცხოვრება? პასუხი დაასაბუთე.

14. წარმოიდგინე, რომ:

ა) დაიბადე ერთ-ერთ კოლონიაში 1610 წელს და ამ კოლონიაში მცხოვრები პირველი თაობა ხარ. იმსჯელე, როგორი შეიძლება იყოს შენი დამოკიდებულება მეტროპოლიის/მეფის მიმართ?

ბ) დაიბადე ერთ-ერთ კოლონიაში 1650 წელს და ამ კოლონიაში მცხოვრები მეორე თაობა ხარ. იმსჯელე, როგორი შეიძლება იყოს შენი დამოკიდებულება მეტროპოლიის/მეფის მიმართ?

გ) დაიბადე ერთ-ერთ კოლონიაში 1700 წელს და ამ კოლონიაში მცხოვრები მესამე თაობა ხარ. იმსჯელე, როგორი შეიძლება იყოს შენი დამოკიდებულება მეტროპოლიის/მეფის მიმართ? იცვლებოდა თუ არა თაობათა განმავლობაში მეტროპოლიის მიმართ დამოკიდებულება? რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

15. მოამზადე კოლონიაში გამომავალი გაზეთის პირველი გვერდი – თავფურცელი, რომელზეც იქნება 4-6 სტატიის სათაური და ანონსი, თუ რაზე იქნება სტატია. სტატიათა სათაურები შეარჩიე ისე, რომ გამოჩნდეს კოლონიზაციის პერიოდის აქტუალური საკითხები.

§45 - 46. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

XVIII საუკუნეში დიდ სახელმწიფოებს შორის (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი) არაერთი ომი მიმდინარეობდა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების განაწილებისთვის. ამ ომებიდან დიდი ბრიტანეთი დაწინაურებული გამოვიდა. თუმცა ომის დასრულების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ომისაგან გაჩანაგებული ხაზინის შესავსებად ახალი გადასახადების შემოღება გადაწყვიტა, მათ შორის კოლონიებშიც. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 1764 წელს კოლონიებს აუკრძალა საკუთარი ქაღალდის ფულით მეტროპოლიასთან ეკონომიკური ვალდებულების აღსრულება. შედეგად კოლონიებშიც ძალიან შემცირდა საკუთარი ქაღალდის ფულის გამოყენება, რამაც კოლონიების ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. ყველაზე დიდი უკმაყოფილება კოლონიებში გამოიწვია ე. წ. „საგერბო გადასახადმა“. ყველა იურიდიულ დოკუმენტზე, გაზეთზე დიდი ბრიტანეთის მეფის გერბი უნდა დაერტყათ და შესაბამისად, ამის საფასური გადაეხადათ.

დაიწყო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები. წინააღმდეგობის მოძრაობას სათავე დაუდო ვირჯინიის კოლონიის ასამბლეამ, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ ვირჯინიელების მართვა მხოლოდ იმ კანონებით შეიძლებოდა, რომლებსაც თავად ვირჯინიელები დაეთანხმებოდნენ. ვირჯინიას მხარი აუბეს დანარჩენმა კოლონიებმაც და უარი განაცხადეს დიდი ბრიტანეთიდან საქონლის იმპორტზე.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა, უკან დაეხია.

1. როგორ ფიქრობ რამდენად სამართლიანი იყო კოლონიებში არსებული წინააღმდეგობრივი მოძრაობის მოთხოვნები და გადაწყვეტილები? პასუხი დაასაბუთე

2. რა მეთოდებს იყენებდა დიდ ბრიტანეთის ხელისუფლება საკუთარი კოლონიური ინტერესების დასაკმაყოფილებლად?

ჩაის სმა ბოსტონურად

კოლონიების დიდ ბრიტანეთთან დაპირისპირებამ პიკს 1773 წელს მიაღწია. ოსტინდოეთის კომპანიამ გადაწყვიტა, კოლონიებში გაესაღებინა დიდი ბრიტანეთის საწყობებში ჩაწოლილი ჩაი. ამ სავაჭრო აქციის განსახორციელებლად კომპანიამ მთავრობისგან მიიღო მონოპოლია კოლონიებში ჩაის შეტანაზე და თავისი აგენტების მეშვეობით სცადა ამის განხორციელება. კოლონისტებმა იეჭვეს, რომ შემდგომში კომპანია სხვა საქონელზეც მოინდომებდა მონოპოლიის მოპოვებას, რაც ამერიკის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის დასრულების ტოლფასი იქნებოდა. დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობა. ზოგიერთ ქალაქში (ნიუ-იორკში, ფილადელფიაში) უბრალოდ ვერ შეიტანეს ჩაი, მხოლოდ ბოსტონის ნავსადგურში შეძლო გემმა შესვლა. 16 დეკემბერს ინდიელთა სამოსში გადაცმული ბოსტონელები გემზე აიჭრნენ და გადმოსატვირთად გამზადებული ყუთებიდან მთელი ჩაი ოკეანეში გადაყარეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ პორტი დახურულად გამოაცხადა, ვიდრე ჩაის საფასური არ იქნებოდა გადახდილი.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველა კოლონიიდან იგზავნებოდა ბოსტონში საკვები პროდუქტები და ფულადი დახმარება. სოლიდარობის აქციის შესაჩერებლად ვირჯინიის კოლონიის გუბერნატორმა დაშლილად გამოაცხადა ვირჯინიის ასამბლეა. დათხოვნილი ასამბლეის წევრები ტავერნაში შეიკრიბნენ და სხვა კოლონიების ასამბლეებს მოწვევა გაუგზავნეს. გადაწყდა კონტინენტური კონგრესის შეკრება. პირველი კონტინენტური კონგრესი ფილადელფიაში 1774 წ. 5 სექტემბერს გაიხსნა. კონგრესში მონაწილეობას იღებდა 55 დელეგატი 12 კოლონიიდან. კონგრესმა გადაწყვიტა, რომ დიდი ბრიტანეთის პარლამენტს მხოლოდ ვაჭრობისა და მთლიანად იმპერიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების რეგულირების უფლება უნდა ჰქონოდა, არ უნდა ჰქონოდა კოლონიების შიდა მმართველობაში ჩარევის უფლება და კოლონიებში ჯარების განთავსების

საკითხი მთლიანად ადგილობრივი მმართველობის უფლება უნდა ყოფილიყო; ამასთან კონგრესმა მოუწოდა ყველას, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ინგლისური საქონლისათვის.

ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ წინააღმდეგობებს პოლიტიკური განხეთქილება მოჰყვა. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ უარი თქვა პირველ კონტინენტურ კონგრესთან მოლაპარაკებაზე.

3. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველი კონტინენტური კონგრესის შეკრებას?

4. პროტესტის როგორი ფორმა აირჩია პირველმა კონტინტურმა კონგრესემა და შენი აზრით, რატომ?

5. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ბრიტანეთის ხელისუფლების ნაბიჯი უარი ეთქვა კონტინენტურ კონგრესთან მოლაპარაკებაზე?

6. შენი აზრით, შეეძლო თუ არა ბრიტანეთს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება?

წყარო ა) თომას პეინი, „საღი აზრი“.

პამფლეტი ანონიმურად დაიბეჭდა ფილადელფიაში 1776 წლის იანვარში.

„მე მსმენია ზოგიერთთა მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგანაც ამერიკა დიდ ბრიტანეთთან კავშირის წყალობით ვითარდება, ამიტომ მისი ბედნიერებისათვის ასეთი კავშირი მომავალშიც აუცილებელია, იგი ყოველთვის კეთილი ნაყოფის მომტანი იქნება. მაგრამ ასეთი მოსაზრება ძალზე გადაჭარბებულია... მე სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცებ, რომ ამერიკა ევროპის სახელმწიფოთა მზრუნველობის გარეშეც განვითარდებოდა და გაცილებით უკეთაც. ამერიკა გამდიდრდა ევროპისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მიყიდვით. მისთვის გასაღება უზრუნველყოფილი იქნება ყოველთვის, სანამ ევროპელები ჭამას არ გადაეჩვევიან... ამერიკის სამშობლო ევროპაა და არა ინგლისი. ახალი ქვეყანა, სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლებისათვის დევნილთა ყველა ევროპელის თავშესაფარია. ისინი აქ გამოექცნენ არა დედობრივ ნაზ ალერსს, არამედ ურჩხულთა საშინელ სისასტიკეს. ყოველივე ეს ინგლისის მიმართაც სავსებით სწორია... ტირანია, რომელმაც ინგლისიდან პირველი ემიგრანტები განდევნა, დღესაც დევნის მათ შთამომავლობას... ბევრი ითქვა ბრიტანეთისა და კოლონიების ერთიანი ძლიერების შესახებ, იმაზე, რომ მათ, შეკავშირებულებს, შეუძლიათ, მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ თვითდაიმედებაა... მე მოვუწოდებ შემრიგებლური პოლიტიკის ყველა აქტიურ დამცველს, დაასახელონ თუნდაც ერთი სარგებელი, რომლის მოტანაც დიდ ბრიტანეთთან კონტინენტის კავშირს შეუძლია. მე ვიმეორებ ამ მოწოდებას. ასეთი სარგებლიანობა გამორიცხულია“.

თომას პეინი – ახალი დროის თვალსაჩინო პოლიტიკური მოაზროვნე, ამერიკის რევოლუციის იდეოლოგი, პამფლეტისტი. მონაწილეობდა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ამერიკაში ინგლისიდან 1774 წელს ჩავიდა და ორ წელიწადში გამოაქვეყნა თავისი ცნობილი პამფლეტი „საღი აზრი“.


THE LAW OF LIBERTY.

A SERMON
ON
AMERICAN AFFAIRS,
PREACHED
AT THE OPENING OF THE PROVINCIAL CONGRESS OF GEORGIA.
ADDRESSED
TO THE RIGHT HONOURABLE
THE EARL OF DARTMOUTH.

WITH AN APPENDIX,
GIVING A CONCISE ACCOUNT OF THE STRUGGLES OF SWISSERLAND TO RECOVER THEIR LIBERTY.

BY JOHN J. ZUBLY, D.D.

EPHRAIM shall not envy JUDAH,
And JUDAH shall not vex EPHRAIM. ISA. xi. 13.

PHILADELPHIA PRINTED;
AND
LONDON Re-printed for J. ALMON, oppofite Burlington Houfe, in Piccadilly.
MDCCLXXV.

სურ. 1 „საღი აზრის“

7. როგორი იყო დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ამერიკული კოლონიებისადმი?

8. რა არის პამფლეტის მთავარი იდეა?

9. შენი აზრით, რატომ იყო პამფლეტი ანონიმური?

10. როგორ ფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ დღეში პამფლეტის 100 000 ეგზემპლარი გაიყიდა?

11. როგორ ფიქრობ, რა ფაქტორებმა შეიძლება შეუწყოს კოლონიების დამოუკიდებლად განვითარებას ხელი? პასუხი დაასაბუთე.

1775 წელს ბოსტონთან დიდი ბრიტანეთის არმიასა და კოლონისტების ლაშქარს შორის შეიარაღებული შეტაკებით დაიწყო კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის. 1775 წ. ფილადელფიაში შეკრებილმა მეორე კონტინენტურმა კონგრესმა ეს ორგანო სათათბიროდან საკანონმდებლო ხელისუფლებად – კონგრესად (პარლამენტად) – გადააქცია.

კონგრესმა დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობა შეწყვიტა და შექმნა მოხალისეთა არმია, რომელსაც სათავეში ჯორჯ ვაშინგტონი ჩაუყენა. ინგლისსა და ამერიკის კოლონიებს შორის ეკონომიკური დაპირისპირება პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

12. შენი აზრით, რატომ შეიძლება მეორე კონტინეტური კონგრესის გადაწყვეტილება ლეგიტიმურად ჩაითვალოს?



კონგრესმა ხუთი წევრისგან შემდგარ ჯგუფს – კომიტეტს – „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ შემუშავება დაავალა. ამ კომიტეტში შედიოდნენ თომას ჯეფერსონი, ჯონ ადამსი, ბენჯამენ ფრანკლინი, როჯერ შერმანი და რობერტ ლივინგსტონი. კომიტეტის ერთ-ერთ შეკრებაზე მისმა წევრებმა თომას ჯეფერსონს ერთხმად შესთავაზეს, რომ „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ მას დაეწერა. 1776 წ. 4 ივლისს კონგრესმა მიიღო თომას ჯეფერსონის მიერ შემუშავებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“.

სურ. 2 ხუთი კონგრესმენი. ჯონ ტრამბული XIX ს.

თომას ჯეფერსონი

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, ამერიკელი მეცნიერი, იურისტი, პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. დაიბადა ვირჯინიის შტატში. მუშაობდა ამავე შტატში იურისტად და 1774 წელს დაწერა „ბრიტანული ამერიკის უფლებების განხილვა“, სადაც აღწერა ამერიკელების კულტურული შთამომავლობა ბრიტანელებისაგან და აღნიშნა ამერიკელების ეროვნული დამოკიდებულება ინგლისთან. წიგნი პოპულარული გახდა არა მხოლოდ ვირჯინიაში, არამედ მთელ რევოლუციურ ამერიკაში. ჯეფერსონი წერდა: „ჩემთვის აქსიომაა, რომ ჩვენი თავისუფლების შენარჩუნება შეუძლია ხალხს, რომელიც ცოდნით, განათლების გარკვეული დონითაა აღჭურვილი. განათლება საშუალებას მისცემს მოქალაქეს, გაერკვეს საკუთარ უფლებებში, მიჰყვეს მათ და გონივრულად შეასრულოს საკუთარი როლი თვითმმართველობაში“.

ჯონ ადამსი

ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტი (1797-1801 წწ.). ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობისას იყო აშშ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. წარმოადგენდა დელეგატს

მასაჩუსეტსიდან. იყო კონგრესის წარმომადგენელი ევროპაში, მთავარი მომლაპარაკებელი ბრიტანეთთან, შეძლო ნიდერლანდებიდან ამერიკის ახალი სახელმწიფოსთვის დიდი კრედიტის მოპოვება. პრეზიდენტობის შემდეგ მეუღლესთან ერთად დააარსა პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და ისტორიკოსების დინასტია, რომელიც დღეს ადამსების პოლიტიკური ოჯახის სახელით არის ცნობილი. იგი იყო აშშ-ის მეექვსე პრეზიდენტის, ჯონ კუინსი ადამსის, მამა.

ბენჯამინ ფრანკლინი

მეცნიერი, გამომცემელი, ფილოსოფოსი, ამერიკის რევოლუციის სულისჩამდგმელი. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ დამფუძნებელ მამად წოდებული. ხელი მოაწერა სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს: დამოუკიდებლობის დეკლარაციას, კონსტიტუციას, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას (1783 წ.), რომელმაც ფორმალურად დაასრულა ამერიკის 13 კოლონიისა და დიდი ბრიტანეთის ომი.

როჯერ შერმანი

იურისტი, სახელმწიფო მოღვაწე კონექტიკუტის შტატიდან, სადაც მსახურობდა, როგორც უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე. მონაწილეობდა კონსტიტუციის შექმნაში, როგორც დელეგატი. კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ იგი შედიოდა შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში, მსახურობდა სენატში სიკვდილამდე (1793 წ.). თომას ჯეფერსონმა ერთხელ როჯერ შერმანს უწოდა „ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში არასდროს უთქვამს რამე უგუნურება“.

რობერტ ლივინგსტონი

იურისტი, პოლიტიკოსი, დიპლომატი ნიუ-იორკიდან, შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამა. იგი ცნობილი იყო როგორც „კანცლერი“, ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი იურიდიული თანამდებობის გამო, რომელიც 25 წლის განმავლობაში ეკავა. ის იყო ხუთთა კომიტეტის წევრი, რომელმაც შექმნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. არჩეული იყო ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების წევრად.

წყარო ბ) თომას ჯეფერსონი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 1776 წლის 4 ივლისი

„როდესაც კაცობრიობის ისტორიაში ერთი რომელიმე ხალხისთვის აუცილებელი ხდება, დაშალოს ის პოლიტიკური კავშირი, რომელიც მას სხვა ხალხებს უქვემდებარებს და იმისათვის, რომ მან ბუნების კანონისა და ღვთის ბუნებით მონიჭებული უფლების ძალით მოიპოვოს დამოუკიდებელი და თანასწორი ადგილი დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოთა შორის, კაცობრიობის აზრისადმი მართებული პატივისცემა მოითხოვს, განაცხადოს ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა, ცალკე გამოყოფილიყო.

ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღვთის მიერ მონიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებების განსამტკიცებლად იქმნება მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას იღებენ იმათივე თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ. თუ გამგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება, შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორიც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის. ჭეშმარიტად, კეთილგონიერება მოითხოვს, არ შეიცვალოს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული მთავრობა უმნიშვნელო და წარმავალი მიზეზის გამო. ამის შესაბამისად გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ სანამ ბოროტება გასაძლისია, ადამიანები უფრო ადვილად ეგუებიან სიდუხჭირეს, ვიდრე მიჩვეულის მოსპობით – ტვირთის შემსუბუქებას, მაგრამ როდესაც გაუთავებელი უსამართლობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მისი გამუდმებით ერთი მიზნისკენ წარმართვა ხალხს აბსოლუტური დესპოტიზმით ემუქრება, მისი უფლება და ვალია, ბოლო მოუღოს ამგვარ მთავრობას და მიავლინოს მოღვაწეთა ახალი დასი თავისი მომავალი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად...

ინგლისის მეფემ უარი თქვა, დაემტკიცებინა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უაღრესად სასარგებლო და საჭირო კანონები... მან უარი თქვა, გაეტარებინა სხვა

კანონებიც, სანამ აქ მცხოვრები ხალხები უარს არ იტყოდნენ საკანონმდებლო პალატაში წარმომადგენლობის უფლებაზე, უფლებაზე, რომელიც ფასდაუდებელია მათთვის და ტირანისთვის კი – საზარელი. მან ხელი შეუშალა სამართლიანობის აღსრულებას იმით, რომ არ მისცა თანხმობა, დადგენილიყო მოსამართლებრივი უფლებების დამაფუძნებელი კანონ-წესები. მას მშვიდობიან დროშიც კი ჩვენი კანონმდებლობის თანხმობის გარეშე ჩვენს მიწაზე რეგულარული ჯარები ჰყავს განლაგებული.

...მისცა რა თანხმობა ფარისევლურ გადაწყვეტილებებს: რომ ჩვენი სავაჭრო გზები მსოფლიოს ყველა ქვეყნისაკენ გადაეკეტათ; რომ ჩვენი თანხმობის გარეშე ჩვენთვის გადასახადები დაეკისრებინათ; რომ ჩვენი ქარტიები ჩამოერთმიათ, ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონები გაეუქმებინათ და ჩვენი ხელისუფლების ფორმები ძირფესვიანად შეეცვალათ; რომ ჩვენი საკანონმდებლო ორგანოები დაეხურათ და თავი უფლებამოსილად გამოეცხადებინათ, ჩვენთვის საჭირო სხვადასხვა კანონ-წესები თვითონვე შეექმნათ. მან აქაური მთავრობა გააუქმა, იგი კანონგარეშედ გამოაცხადა და ჩვენს წინააღმდეგ ომს აწარმოებს...

ჩვენ, შეერთებული შტატების წარმომადგენლები, სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ სახალხო კონგრესში, რომ ღვთის წინაშე, ჩვენი გადაწყვეტილების სამართლიანობის რწმენით და ამ კოლონიების კეთილი ნების ადამიანების სახელით, ვაღიაროთ და საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ეს გაერთიანებული კოლონიებია და სამართლის ძალით უნდა იყონ თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები“.


IN CONGRESS, JULY 4, 1776.

The unanimous Declaration of the thirteen united States of America,

სურ. 3 „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“

13. გაიხსნე ჯონ ლოკის პოლიტიკური შეხედულებები და შეადარე ისინი ჯეფერსონის ნააზრევს, რა საერთო და განსხვავებულია მათ შორის?

14. „დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან“ გამომდინარე, რა იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების მთავარი მიზეზი?

15. თომას პეინის „საღი აზრი“ წინ უსწრებს ამ დოკუმენტს, რომელიც იმავე წელსაა შექმნილი. როგორ ფიქრობ, იქონია თუ არა მნიშვნელობა პეინის პამფლეტმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე? პასუხი დაასაბუთე.

16. შეადარე ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: „მეიფლაუერის ხელშეკრულება“ და „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“. რა საერთო იდეა აქვთ ამ ორ დოკუმენტს?

17. დასავლეთის ისტორიკოსები ამერიკაში მომხდარ ამ მოვლენას ამერიკის რევოლუციის დასაწყისს უწოდებენ, ისტორიკოსების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს რევოლუცია არ იყო, რადგან რევოლუცია ქვეყნის შიდა მოვლენებში არსებულ ცვლილებებს ასახავს. შენ რომელ აზრს ემხრობი?

18. როგორ გესმის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ სიტყვები: „თუ გამგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება, შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა“? რა გზით შეუძლია მას ეს?

19. რით განსხვავდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი მმართველობის სისტემა მანამდე სხვა სახელმწიფოებში არსებული მმართველობის სისტემისგან?

20. შეიძლება თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი ტიპის სახელმწიფო ვუწოდოთ? პასუხი დაასაბუთე.

ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა ოთხ დოკუმენტს დაეფუძნა. ესენია: კონტინენტური ასოციაცია, „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, კონფედერაციის მუხლები და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

კონფედერაციის მუხლები

გათავისუფლებული კოლონიების პირველი ეროვნული დოკუმენტი ისტორიაში 1781 წელს კონფედერაციის კონსტიტუციის სახელით შევიდა. მუხლები დიდი დებატებისა და დისკუსიის შედეგად მიიღეს. კამათი ცენტრალიზებული ხელისუფლების საკითხმა გამოიწვია. ზოგი თვლიდა, რომ ცენტრალიზებული ხელისუფლება აუცილებელი იყო, ზოგი კი, პირიქით. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ ყველა შტატი შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობები, შეიარაღებული ძალები, ფლოტი მხოლოდ კონფედერაციის სფეროდ რჩებოდა. თითოეული შტატიდან არჩეული დელეგატები შევიდოდნენ კონგრესში – კონფედერაციის უზენაეს ხელისუფლების ორგანოში. მე-5 მუხლი არეგულირებდა კონგრესის ყოველწლიურად შეკრების წესს. ყოველ შტატს ჰქონდა დელეგატის გამოწვევისა და მის ადგილზე ახლის წარგზავნის უფლება. კონფედერაციის პრეზიდენტი ირჩეოდა ერთი წლის ვადით.

21. შენი აზრით, რა საფრთხეებს შეიცავდა კონფედერაციის კონსტუტუციის მმართველობის ასეთი მოდელი? დაასაბუთე შენი მოსაზრება

22. კონფედერაციის მუხლები დებატებისა და მწვავე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა. შენი აზრით, ვის სასარგებლოდ დასრულდა დებატები: ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრეების თუ მოწინააღმდეგეების?

23. ბრიტანეთთან ომი 1783 წელს დასრულდა. საჭირო იყო შტატების მიერ საერთო გადაწყვეტილებების მიღება. როგორ ფიქრობ, ამ ვითარებაში რამდენად რეალური იყო:

ა) საერთო ეროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება?

ბ) ომით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საერთო ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება?

1781 წელს იორკთაუნთან გადამწყვეტ ბრძოლაში ამერიკელებმა დაამარცხეს ბრიტანელები. ომი დასრულდა. 1783 წ. 3 სექტემბერს ხელი მოეწერა პარიზის ზავს. დიდმა ბრიტანეთმა აღიარა ამერიკის დამოუკიდებლობა და მდინარე მისისიპი დასავლეთ საზღვრად ჩაითვალა.

1787 წ. საგანგებო პარლამენტმა – კონგრესმა – ჯეიმს მედისონის პროექტის საფუძველზე შეიმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს მასში შეტანილ შესწორებებთან ერთად. 1789 წელს კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ამერიკელებმა პირველ პრეზიდენტად ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს.

დიდი კომპრომისი

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პროექტის შემუშავება

1787 წლის 25 მაისს ფილადელფიაში გამართულ შეხვედრას შტატების 55 დელეგატი ესწრებოდა. მათ შორის არ იყვნენ როდ-აილენდის წარმომადგენლები, რომლებიც ერთიანი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნას მხარს არ უჭერდნენ. ამ შეკრებას ხელმძღვანელობდა ჯორჯ ვაშინგტონი, რომელიც დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს. კონსტიტუციას უნდა გადაეწყვიტა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც იყო ხელისუფლების გადანაწილება. სირთულეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ უნდა შენარჩუნებულიყო შტატების ადგ-

ილობრივი ძალაუფლება და, იმავდროულად, ძლიერი უნდა ყოფილიყო ფედერალური ხელისუფლება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დოკუმენტის შემუშავების დროს დადგა, საკანონმდებლო ხელისუფლებაში შტატების წარმომადგენლობას ეხებოდა. დიდ შტატებს სურდათ, რომ კონგრესში წარმომადგენელთა რაოდენობა მოსახლეობის პროპორციულად განსაზღვრულიყო, პატარა შტატები კი თანაბარ წარმომადგენლობას ითხოვდნენ. დებატებმა მწვავე ხასიათი მიიღო. დიდი შტატის წარმომადგენელმა ნიუ-ჯერსიდან წარმოადგინა გეგმა, რომელიც ხმათა უპირატესობას დიდ შტატებს ანიჭებდა. ვირჯინიის შტატმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც, კონსესუსის საფუძველზე, საბოლოოდ ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. დებატები დასრულდა კომპრომისით, რომლის თანახმადაც, საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი იქნებოდა: სენატში თითოეული შტატიდან, სიდიდის მიუხედავად, ორ-ორი სენატორი შევიდოდა. როგორც ტექსასის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი ჯორჯ ედვარდ III აღნიშნავს, „კალიფორნიაში დაახლოებით 68-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე უაიომინგის შტატში, თუმცა სენატში ორივე შტატს თანაბარი ხმები აქვს“. წარმომადგენლობითი პალატა თითოეული შტატის პროპორციულად დაკომპლექტდებოდა (მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით).



სურ. 4 ჯორჯ ვაშინგტონი ფილადელფიაში გამოსვლისას. უცნობი ავტორი XIX ს.

ვირჯინიის გეგმა

- მეტ ძალაუფლებას ენიჭებდა ეროვნულ (ადგილობრივ) მთავრობას
- ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო
- ორივე პალატაში რაოდენობა ნაწილდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

დიდი კომპრომისი

- ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო
- წარმომადგენობით პალატაში რაოდენობა განისაზღვრება შტატების სიდიდის-მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით
- სენატში-ზედა პალატაში თითოეული შტატიდან თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლები.

ნიუ ჯერსის გეგმა

- მეტ ძალაუფლებას ანიჭებდა სახელმწიფო მთავრობას
- ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო
- წარმომადგენლობითი რაოდენობა
- შტატებს შორის ნაწილდება თანაბრად.

მეორე მნიშვნელოვან სადებატო თემა იყო მონობა – როგორ უნდა მომხდარიყო მონების „დათვლა“? ზოგი შტატი მიიჩევდა, რომ მონობის შენარჩუნებისა თუ გაუქმების პრეროგატივა თავად შტატებისთვის უნდა დაეტოვებინათ და ეს საკითხი კონსტიტუციით არ გადაწყვეტილიყო. ჩრდილოეთის შტატებში, სადაც ეკონომიკა მონობაზე არ იყო დამოკიდებული, თვლიდნენ, რომ წარმომადგენელთა პალატაში დელეგატების რაოდენობის განსაზღვრისას მონები მოსახლეობის რაოდენობაში არ უნდა ჩაეთვალათ. სამხრეთის შტატებში კი პირიქით ფიქრობდნენ. დებატები სამი მეხუთედის კომპრომისით დასრულდა: ა) ყოველი ხუთი მონიდან 3 რაოდენობაში ჩაითვლებოდა; ბ) კონგრესი მონობით ვაჭრობაში 1808 წლამდე ვერ ჩაერეოდა.

წყარო: შეერთებული შტატების 1790 წლის მოსახლეობის მონაცემები:

მესამე კომპრომისი პრეზიდენტის თანამდებობასა და არჩევის წესს ეხებოდა. ყველა თანხმდებოდა, რომ საჭირო იყო ცენტრალიზებული ხელისუფლება ძლიერი აღმასრულებელი ინსტიტუტით. მაგრამ დავა ამ შემთხვევაშიც სამხრეთისა და ჩრდილოეთის დელე-

გატებს შორის პრეზიდენტის არჩევის პრინციპზე წარიმართა. როგორ უნდა აერჩიათ პრეზიდენტი ისე, რომ ყველა შტატის როლი მნიშვნელოვანი ყოფილიყო? კომპრომისის მიხედვით გადაწყდა, რომ არჩევნები სენატის და არა წარმომადგენლობის პალატის საშუალებით – არაპირდაპირი გზით უნდა მომხდარიყო. მოქალაქეები საარჩევნო კოლეგიაში ხმას მისცემდნენ შტატის კანდიდატს, რომელიც შემდგომში უკვე ხმას პრეზიდენტს მისცემდა.

შტატი	მოსახლეობის რაოდენობა	მონათა რაოდენობა
კონექტიკუტი	237,946	2,764
დელავერი	59,096	8,887
ჯორჯია	82,548	29,264
მერილენდი	319,728	103,036
მასაჩუსეტსი	378,787	0
ნიუ-ჰემფშირი	141,885	158
ნიუ-ჯერსი	184,139	11,423
ნიუ-იორკი	340,120	21,324
ჩრდილოეთი კაროლინა	393,751	100,572
პენსილვანია	434,373	3,737
როდ-აილენდი	68,825	948
სამხრეთი კაროლინა	249,073	107,094
ვირჯინია	691,737	292,627

24. კონსტიტუციის მიხედვით, როგორ მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მიხედვით ძალაუფლების განაწილება? რა ფუნქციები დარჩა შტატებს და რა გადაეცა ფედერალურ ხელისუფლებას?

25. შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დიდი კომპრომისი? შეაფასე ეს ფაქტი.

26. იმსჯელე, რამდენად მნიშვნელოვანია კომპრომისების ხელოვნება დღეს?

27. რამდენად ეთანხმები იმ აზრს, რომ ამერიკის კონსტიტუცია სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვევების, ტრადიციებისა და პოლიტიკური ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ორგანული ერთობა?

28. როგორ ფიქრობ, რატომ თანხმდებობდებოდნენ შტატების წარმომადგენელები, რომ საჭირო იყო ცენტარალური ხელისუფლება ძლიერი აღმასრულებელი ინსტიტუტით?

დებატები სახელმწიფო მმართველობის ფორმაზეც მიმდინარეობდა. დელეგატების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მონტესკიესეული მოდელის მიღებას და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ისე განაწილებას, რომ არც ერთ მათგანს მართვის პროცესში უპირატესობა არ ჰქონოდა. დელეგატების ნაწილი არ დაეთანხმა ამ პროექტს. მათ „ანტიფედერალისტები“ უწოდეს. „ანტიფედერალისტების“ მთავარი არგუმენტი ის იყო, არ არსებობდა ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმი, რასაც, შესაძლოა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა მოჰყოლოდა. „ფედერალისტებმა“ „ანტიფედერალისტებს“ კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა შესთავაზეს.

1787 წლის 17 სექტემბერს აშშ-ის კონსტიტუციაზე მუშაობა დასრულდა.



სურ. 5 კონსტიტუციის პრეამბულის დეტალი, 1787 წ.

კონსტიტუცია დაეფუძნა მარტივ, მაგრამ ყოვლისმომცველ პრინციპს, რომელიც აღიარებდა, რომ ადამიანს უფლებები სახელ-

მწიფოსგან კი არ ენიჭება, არამედ ბუნებრივად აქვს. ამასთან, ამერიკის „დამფუძნებელი“ მამებს სჯეროდათ, რომ მთავრობა უნაკლო ადამიანებისგან არ შედგებოდა და უნაკლონი არც დანარჩენები იყვნენ. ამიტომ ხელისუფლება შეზღუდული უნდა ყოფილიყო. ხალხს კონსტიტუციით ხელისუფლებისთვის მხოლოდ ის უფლებები უნდა მიეცა, რომელთა მიცემაც სურდა.

29. შეავსე სქემა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შემუშავებისას წამოჭრილ წინააღმდეგობრივ საკითხებს და მათთან დაკავშირებით მიღებულ კომპრომისებს ჩამოწერ და შემდეგ საკუთარ პოზიციას დააფიქსირებ (**მოსწავლის რვეული, დავ. 75**).

პრეამბულაში ვკითხულობთ

კონსტიტუცია შედგება სამი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან:

- პრეამბულა
- მუხლები (1-7)
- უფლებათა ბილი შესწორებები (1-10)

→ 2 წლის შემდეგ მიიღეს 10 შესწორება – მთავრობის ძალაუფლების შემზღუდავი 10 კონკრეტული პუნქტი, რომელსაც უფლებათა ბილი ეწოდა.

წყარო გ) აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულა

„ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, დავამყაროთ საშინაო მშვიდობა, უზრუნველვყოთ საერთო თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და შევუნარჩუნოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლობას მადლი თავისუფლებისა, ვადგენთ და ვაფუძნებთ ამერიკის შეერთებული შტატების წინამდებარე კონსტიტუციას“.

1-ლი მუხლი	ეხება საკანონმდებლო ხელისუფლების ფორმირებას, მის კომპეტენციას და ვალდებულებებს.	**სენატი** წარმომადგენლობითი პალატა (თითოეულ შტატში ჩატარებული არჩევნების საფუძველზე)
მე-2 მუხლი	განსაზღვრავს აღმასრულებელ ხელისუფლების ფორმირების წესს და მის კომპტენციას. მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევის წესი (არაპირდაპირი არჩევნები).	
მე-3 მუხლი	განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებას.	
მე-4 მუხლი	განსაზღვრავს შტატების უფლებამოსილებებს, მათი ურთიერთთანამშრომლობისა და ახალი შტატების წარმოშობის შემთხვევაში მათი გაწევრიანების პრინციპებს.	
მე-5 მუხლი	განსაზღვრავს კონსტიტუციაში შესწორებებისა და დამატებების შეტანის წესს.	

წყარო დ) „ბილი უფლებათა შესახებ“ (კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება)

1. ხელისუფლებას არა აქვს უფლება, შეზღუდოს სიტყვისა და პრესის თავისუფლება;
2. ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს მშვიდობიანი თავშეყრა;
3. ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს დაშვებული უსამართლობის გამოსწორების მიზნით მთავრობისადმი პეტიციით მიმართვა;
4. ხელისუფლება არ აკანონებს რომელიმე რელიგიას;
5. ხელისუფლება არ კრძალავს რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას.
6. მთავრობას არ შეუძლია ჩაატაროს უმიზეზო ჩხრეკა და დაპატიმრება, ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი საფუძვლიან მიზეზებს უნდა ეყრდნობოდეს;
7. არავინაა ვალდებული, რაიმე დანაშაულის შემთხვევაში თავისი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება;
8. არ უნდა მოხდეს სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების წართმევა სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე;
9. არ უნდა ჩამოერთვას კერძო საკუთრება სახელმწიფოებრივი სარგებლობისათვის სამართლიანი კომპენსაციის გარეშე;
10. მოსახლეობას აქვს იარაღის შენახვისა და ტარების უფლება.

30. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციის შესწორებები – უფლებათა ბილი?

31. რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ამერიკის კონსტიტუცია თავისი შესწორებებით დღესაც მოქმედებს?

31. უფლებათა ბილის ერთ-ერთი მუხლი დღეს მწვავე დებატების საგანია. როგორ ფიქრობ, რომელი მუხლი შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი?





სურ. 6 ჯორჯ ვაშინგტონი

„არ არსებობს თავისუფლება იქ, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მმართველთა ერთ გუნდში ან ერთ პიროვნებაშია განსახიერებული“ – მონტესკიეს ამ აზრს დამფუძნებელი მამებიც იზიარებდნენ. ჯორჯ ვაშინგტონი 1796 წლის მიმართვაში ხალხისადმი ამბობდა: „ძალაუფლების სიყვარული ნამდვილ დესპოტიზმს შექმნის, თუ სათანადო კონტროლი და ბალანსი არ იქნება დაცული მთავრობის ძალაუფლების შესაზღუდავად“. ეს უმნიშვნელოვანესი იდეა დამფუძნებელმა მამებმა რეალობად აქციეს. ძალაუფლება ისე გადანაწილდა ხალხსა და ხელისუფლების შტოებს შორის, რომ მართვის სადავეებთან ისევ ხალხი დარჩა, როგორც ძალაუფლების ერთადერთი წყარო. დამფუძნებელმა მამებმა იცოდნენ, „იმდენად წარმტაცია ძალაუფლების სიყვარული, რომ ცოტას თუ შეუძლია გაუძლოს მის მაცდურ ბუნებას“. ამის არიდების მიზნით მათ ხელისუფლების დანაწილებასთან ერთად შეკავებისა და გაწონასწორების სისტემა შექმნეს. ასეთი სქემა აუცილებელია ამ კაგვეთილში.



33. როგორ ამოწმებს საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას?

34. როგორ შეუძლია სასამართლო შტოს საკანონმდებლო ხელისუფლების შემოწმება?

35. როგორ შეუძლია აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეამოწმოს სასამართლო ხელისუფლება?

36. როგორ შეუძლია სასამართლო ხელისუფლებას, შეამოწმოს აღმასრულებელი ხელისუფლება?

37. საჭიროა თუ არა ხელისუფლების სამივე შტოს ერთად მუშაობა? რატომ კი ან რატომ არა? პასუხი დაასაბუთე.

38. შეავსე სქემა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შესახებ (**მოსწავლის რვეული, დავ.76**).

39. ამ ელექტრონულ მისამართზე www.soundcloud.com/user-862052174/3y8eq1fiki-vd მოუსმინე ჯორჯ ვაშინგტონის საინაუგურაციო სიტყვას. ეს არის ერთ-ერთი უმოკლესი სიტყვა ისტორიაში. რა შთაბეჭდილება დაგრჩა სიტყვის მოსმენისას პრეზიდენტზე? რა იყო მისი მთავარი სათქმელი?

40. ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლოს შენობაზე: „ჭეშმარიტი მართლმსაჯულება კარგი მთავრობის ყველაზე მყარი საყრდენია“. იმსჯელე ამ სიტყვებზე.

41. დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ცნება იცვლებოდა და მასთან ერთად იცვლებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, მმართველობის ფორმები, კანონები. საბოლოოდ, სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა სამართლებრივ სახელმწიფოდ, სადაც უმაღლეს სოციალურ ღირებულებად ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებებია მიჩნეული.

გაიხსენე, განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული რა იყო სახელმწიფოს მთავარი იდეა და რა ღირებულებებს ემსახურებოდა ის.

პუნქტებად ჩამოწერე ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც, შენი აზრით, დიდი როლი ითამაშა სახელმწიფო მმართველობის ფორმის ტრანსფორმაციაში. შენი არჩევანი დაასაბუთე.

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ ხარ მკვლევარი, რომელიც დაინტერესებულია მმართველობის საკითხებით. გადაწყვიტე, რომ შეისწავლო XVII-XVIII საუკუნეებში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი, აშშ) მმართველობის ისტორიული გამოცდილება და შექმნა სტატია ბლოგისთვის, რომლის დახმარებითაც შენს ნამუშევარს გააცნობ ფართო საზოგადოებას.

სტატიაში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- როგორ ჩამოყალიბდა ფრანგული აბსოლუტიზმი და რა რესურსებსა და იდეოლოგიას ეყრდნობოდა ის.
- როგორ იბრძოდნენ ძალუფლებისათვის მეფე და პარლამენტი ინგლისში, რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობოდნენ ისინი.
- რატომ და როგორ უპირისპირდებოდნენ რუსეთის მონარქები (XVII-XVII სს) გავლენიან დიდებულებს და რა საშინაო და საგარეო სირთულეებს აწყდებოდნენ ძალაუფლების განმტკიცების პროცესში?
- როგორ აისახა განმანათლებელთა იდეებში ხელისუფლების დანაწილების თეორია და როგორ ეყრდნობოდნენ ამ იდეებს აშშ-ს „დამფუძნებელი მამები“ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში?

თემა III. „ხანგრძლივი XIX საუკუნე“

XIX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში დიდი ცვლილებების ხანა გამოდგა არა მარტო პოლიტიკური და სოციალური, არამედ გამოგონებებისა და აღმოჩენების თვალსაზრისითაც. ამ ცვლილებების შედეგია თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბება, ახალი კულტურა, მსოფლმხედველობა, აზროვნება, პოლიტიკა, მოდა და ყოველდღიურობა.

„ხანგრძლივი XIX საუკუნე“ – ასე უწოდა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰობსბაუმმა ამ ეპოქას, თუმცა მისი ათვლა საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან – 1789 წლიდან დაიწყო და დაასრულა 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით, რომლის დროსაც ევროპაში არსებული დიდი იმპერიები: გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის დაინგრა.

მეცნიერმა ამ ხანგრძლივ XIX საუკუნეში ცალკე პერიოდებიც გამოყო და უწოდა: რევოლუციების ეპოქა: ევროპა 1789 – 1848, კაპიტალის ეპოქა: ევროპა 1848 – 1875, იმპერიების საუკუნე: ევროპა 1875 – 1914.

სწორედ ამ ეპოქაში დასრულდა უმნიშვნელოვანესი გარდატეხა კაცობრიობის ისტორიაში – სამრეწველო გადატრიალება, რომლის ძირითადი შედეგი ინდუსტრიალიზაცია – აგრარული ეკონომიკიდან სამრეწველო ეკონომიკაზე გადასვლა, აგრარული საზოგადოების ინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაქმნა იყო. ცვლილებები შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს.

§47 - 48. საფრანგეთის რევოლუცია

XVIII ს. ევროპის ბევრ სახელმწიფოში და მათ შორის საფრანგეთში შემორჩენილი იყო ფეოდალური საზოგადოების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. მართალია, ახალმა დრომ ბევრი სიახლე მოიტანა, გაჩნდა ახალი – მეწარმეთა – ფენა, მაგრამ წოდებრიობა ჯერ კიდევ იყო საზოგადოებაში შენარჩუნებული. პირველ წოდებაში სასულიერო პირები შედიოდნენ. ეკლესია გავლენიანი და ძლიერი ორგანიზაცია იყო. ერთი მხრივ, ისინი საფრანგეთში მიწების საკმაოდ დიდ რაოდენობას ფლობდნენ და, მეორე მხრივ, გლეხებისგან გადასახადებს იღებდნენ. თავის მხრივ, ამ წოდებაშიც იყო განსხვავება, სამღვდელოების ერთი ნაწილი მდიდარი ოჯახებიდან იყო გამოსულიყო, ხოლო მეორე ნაწილი – ღარიბი და საშუალო ფენიდან.

მეორე წოდებაში თავად-აზნაურები შედიოდნენ. ისინი მიწების უმრავლესობას ფლობდნენ, გადასახადებს არ იხდიდნენ და საკმაოდ დიდ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ამის გარდა, ისინი სახელმწიფო ხაზინიდან დაახლოებით 28 მილიონ ლივრს იღებდნენ, რაც მაშინდელ საფრანგეთში საკმაოდ დიდი თანხა იყო.

მესამე წოდება ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. მასში განსხვავებული პროფესიისა და ქონებრივი მდგომარეობის ადამიანები შედიოდნენ: ქალაქის ხელოსნები, მუშები, გლეხები, ვაჭრები, მეცნიერები, ექიმები, ადვოკატები. მესამე წოდება საფრანგეთის მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენდა. მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე არავინ ზრუნავდა. გადასახადებსაც სახელმწიფოში მხოლოდ ეს მესამე ფენა იხდიდა.

მესამე წოდებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა ბურჟუაზია. ბურჟუაზიაში შედიოდნენ ვაჭრები, ბანკირები, მეწარმეები. ბურჟუაზიამ საკმაოდ დიდი სიმდიდრის დაგროვება მოახერხა და უნდოდა, ქვეყნის მართვაში აქტიურად ყოფილიყო ჩართული. მათი რეალური მდგომარეობა საზოგადოებაში მათ უფლებრივ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა.



სურ. 1 ფრანგული კარიკატურა, XVIII ს.

1. კარიკატურის მიხედვით იმსჯელე მესამე წოდების მდგომარეობაზე.

წყარო ა) აბატ სიეისის პამფლეტი „რა არის მესამე წოდება?“, 1789 წ.

1) რა არის მესამე წოდება? – მთელი ერი, ხელფეხშეკრული და გაყვლეფილი.
2) რას წარმოადგენდა იგი ამ დრომდე პოლიტიკურად? – არაფერს.
3) რად სურს მას გახდომა? – რაიმედ.

2. როგორ ფიქრობ, რატომ თვლის ტექსტის ავტორი, რომ მესამე წოდება მთელი ერია?

3. შენი აზრით, რატომ თვლის ა) წყაროს ავტორი, რომ ეს წოდება რევოლუციამდე არაფერს წარმოადგენდა?

4. რამდენად გასაზიარებელია მისი შეხედულებები მესამე წოდებაზე?

გენერალური შტატების მოწვევა

კრიზისის დასაძლევად. მეფე იძულებული გახდა, გენერალური შტატები მოეწვია, რომელიც 1614 წლის შემდეგ აღარ მოწვეულა.



სურ. 3 ლუი XVI-ის პორტრეტი, ანტუან ფრანსუა კალე, XVIII ს.

დოკუმენტი გენერალური შტატების მოწვევის შესახებ

მისმა უდიდებულესობამ გადაწყვიტა, უზრუნველყოს სამეფოში გენერალური შტატების დაუყონებლივ მოწვევა.

მის უდიდებულესობას ჯერ არ გადაუწყვეტია, სად შედგება გენერალური შტატების შეხვედრა, მაგრამ შეუძლია თქმა, რომ შეკრება 1789 წლის 1 მაისს უნდა ჩატარდეს. დარწმუნებული იმაში, რომ წარმომადგენლების სიყვარულისა და ენთუზიაზმის ნაყოფს მოიმკის, მისი უდიდებულესობა უკვე ფიქრობს ქარიშხლის შემდგომ დამდგარ წყნარ და მშვიდობიან დღეებზე. ყველა პროვინციაში აღდგენილი იქნება წესრიგი, ეროვნული ვალიც დაიფარება და საფრანგეთი ყოველგვარი შფოთის გარეშე ისარგებლებს ძალაუფლებითა და პატივისცემით, რომელიც მას ეკუთვნის თავისი სიდიდის, სიმდიდრისა და ხალხის ხასიათის გამო.

მისი უდიდებულესობა ბრძანებს, ეს დეკრეტი დაიბეჭდოს, გამოქვეყნდეს და გავრცელდეს მთელ სამეფოში. პარიზის პოლიციის ლეიტენანტ-გენერალს და პროვინციის ინტენდანტებს დავალებული აქვთ, მიხედონ ამ საქმეს.

5. გაიხსენე, რა ფუნქციები და უფლებები ჰქონდა შუა საუკუნეებში გენერალურ შტატებს?

6. რამდენად შეიძლებოდა, მისი მოწვევა გამოსავალი ყოფილიყო მეფისთვის?

გენერალურ შტატებში მოწვეული იყვნენ სამივე წოდების წარმომადგენლები. 1789 წლის 5 მაისს გაიხსნა ცერემონიალი. მეფემ ქუდი დაიხურა და ტახტზე ავიდა. პირველი და მეორე წოდების წარმომადგენლებმა მას პატივი მიაგეს, ხოლო მესამე წოდების წარმომადგენლებმა იმის ნაცვლად, რომ ქუდმოხდილებს პატივი მიეგოთ, ქუდი დაიხურეს და მუხლი არ მოიყარეს.

7. შენი აზრით, რატომ მოიყარეს მუხლი მეფის წინაშე პირველი და მეორე წოდების წარმომადგენლებმა და არ მოიყარეს მესამე წოდების წარმომადგენლებმა? რას ნიშნავდა მათი მხრიდან ეს ნაბიჯი?

გენერალური შტატების სხდომაზე საშუალო ფენის (მესამე წოდების) წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ გადასახადები პირველი და მეორე წოდების წარმომადგენლებსაც გადაეხადათ. მეფემ მათი მოთხოვნა უარყო და განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიიღებოდა არა დეპუტატთა საერთო კენჭისყრით, არამედ ცალცალკე კენჭისყრით წოდებათა მიხედვით.

მესამე წოდების დეპუტატები მეფის სურვილს არ დაემორჩილნენ. ისინი ვერსალის სასახლეში შეიკრიბნენ და თავი მთელი ფრანგი ერის წარმომადგენლად, ეროვნულ კრებად, გამოაცხადეს. მეფის ხელისუფლება შეეცადა, ისინი როგორმე შეეჩერებინა. 20 ივნისს სათათბიროდ მისულ დეპუტატებს კარი დაკეტილი დახვდათ. მათ დაიფიცეს, რომ არ დაიშლებოდნენ, სანამ არ მიიღებდნენ კონსტიტუციას, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა მონარქიის პრინციპები და ეროვნული კრების ადგილი და როლი მომავალ სახელმწიფოში.

მეფის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაუმორჩილებელი დეპუტატები დაეპატიმრებინა და 11 ივლისს დამატებითი, ძირითადად დაქირავებული უცხოელი ჯარისკაცებისაგან შემდგარი შეიარაღებული ძალები აამოქმედა პარიზსა და ვერსალში.

ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ხალხის მღელვარება მოჰყვა. პარიზელებმა დაიკავეს სამთავრობო შენობები და 14 ივლისს მეფის ხელისუფლების მთავარი სიმბოლო – ბასტილიის ციხე აიღეს. იმ დროს ციხეში მხოლოდ შვიდი პოლიტიკური პატიმარი იმყოფებოდა. ბასტილიის ციხეს ვეტერანები მეთვალყურეობდნენ. ბრბოსთან შეტაკებაში ერთ-ერთი დაიღუპა, სამი ციხის აღების შემდეგ ჩაქოლა ბრბომ, ასევე დახოცეს რამდენიმე მცველი. რევოლუციონერებმა ხელთ ჩაიგდეს ციხეში არსებული იარაღი და აღჭურვილობა.

მეფე იძულებული გახდა, არსებულ მდგომარეობას დროებით შერიგებოდა, მან რევოლუციონერთა წარმატება ცნო.

8. რატომ სურდა მეფეს, გენერალური შტატების მოწვევისას გადაწყვეტილება წოდებათა მიხედვით ყოფილიყო მიღებული და არა საერთო კენჭისყრით?

9. როგორ ფიქრობ, რა განწყობა ექნებოდათ სხვადასხვა წოდების წარმომადგენელებს და სოციალურ ფენებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ?

10. შენი აზრით, რატომ იყო მნიშვნელოვანი მესამე წოდებისთვის დამფუძნებელი კრების მოწვევა?

11. რა მეთოდებს იყენებს მეფე ხელისუფლების შენარჩუნებისთვის? შეაფასე მეფის გადაწყვეტილება.

ისტორიკოსის კომენტარი:

გ.კიღურაძე, „საფრანგეთის არმია 1789-1793 წლებში“

20 ივნისს, ფიცის დადების დღეს, მეფეს დღიურში ჩაუწერია: ირემზე ნადირობა მაუტარში, საღამოს 9 საათზე მოვინადირე ერთი (ირემი), 22 ივნისს (ამ დღეს სასუ-ლიერო წოდების დეპუტატების დიდი ნაწ-ილი შეუერთდა მესამე წოდების დეპუტა-ტებს, რომლებმაც თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადეს) დღიურში წერია: არაფერი მნიშვნელოვანი. ასევე ჩაუწერია მეფეს 13 და 14 ივლისს.



სურ. 4 ბასტილიის ციხის აღება. უცნობი ინგლისელი ავტორი XX ს.

12. რას შეიძლება ნიშნავდეს, რომ პოლიტიკურად დაძაბულ და რთულ პერიოდში მეფე ან მხოლოდ ნადირობაზე ჰყვება, ან წერს, რომ არაფერი მომხდა-რა?

წყარო ბ) ბასტილიის აღება:

ბასტილიის ციხის აღების ერთ-ერთი მონაწილის მონათხრობი:

პირველად სიმაგრეს სენტ-ანტუანის ქუჩის მხრიდან მივუახლოვდით, აქ შესვლის ნებართვა არავის ჰქონდა, თუკი საშინელი დესპოტიზმი ნებას არ დართავდა. მოქმედება უფრო ინტენსიური გახდა, მოქალაქეებს ტყვიის აღარ ეშინოდათ, ისინი მიცოცავდნენ სახურავზე, ოთახებში. როდესაც გარნიზონი გამოჩნდა, მან მაშინვე მიიპყრო ასობით მს-როლელის ყურადღება. მათ გარნიზონი ძირს დასცეს. მრისხანება მატულობდა, არავის ეშინოდა, არავინ ფიქრობდა სიკვდილზე, საფრთხეზე, ქალები გვეხმარებოდნენ მთელი ძალით, ხოლო ზარბაზნის ყოველი გასროლის შემდეგ ბავშვები დარბოდნენ და ჭურვებს კრეფდნენ. წინ მივაწექით, კიბეს მივაღწიეთ, ზოგმა სიმაგრის მცველები დაატყვევა.



სურ. 5 ბასტილიის აღება. უცნობი ფრანგი ავტორი XIX ს.

13. რა განწყობები ჩანს ამ დოკუმენტში?

14. შენი აზრით, რატომ იბრძოდნენ პარიზის მოქალაქეები ასეთი ენთუზიაზმით?

15. შენ რა პოზიციას დაიკავებდი მათ ადგილას?

17 ივლისს ლუი XVI იძულებული გახდა, პარიზში ჩასულიყო და ხალხის რევოლუცია ელიარებინა. პარიზის ახალმა ქალაქის თავმა „ერისა და გვირგვინის ერთობის“ ნიშნად მას თავსაბურავზე დასამაგრებელი ნიშანი – სამფეროვანი კოკარდა გადასცა. ლურჯი და წითელი პარიზის, ხოლო თეთრი – ბურბონთა სამეფო საგვარეულოს ფერი იყო. ლურჯი, თეთრი და წითელი შემდგომში სამფეროვანი ეროვნული დროშის ფერებად აირჩიეს.

ლუი XVI-მ აღიარა დამფუძნებელი კრების უფლებამოსილება. აგვისტოს თვეში დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა ფეოდალური პრივილეგიები და გამოაცხადა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“.

წყარო გ) ნაწყვეტები „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან“

1. ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და უფლებებით თანასწორნი. საზოგადოე ბრივი განსხვავებანი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ საერთო სარგებლიანობის ინტერესებს.

2. ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მიზანი უნდა იყოს ადამიანის ბუნებითი უფლებების შენარჩუნება. ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ჩაგვრისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

4. თავისუფლება გულისხმობს ყველაფრის გაკეთების უფლებას, რაც ზიანის მომ-ტანი არ იქნება სხვისთვის. აქედან გამომდინარე, ადამიანის ბუნებითი უფლებებით სარგებლო-ბას არ გააჩნია საზღვარი, თუ იგი საზოგადოების სხვა წევრს არ ზღუდავს თავისი უფლებით სარგებლობაში.

6. კანონი საერთო ნების გამომხატველია. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, კანონის შექმნაში მონაწილეობა მიიღოს თვითონ ან წარმომადგენლების საშუალებით. კანონი

თანაბარი უნდა იყოს ყველასათვის, იმ შემთხვევაში, როცა ის უწევს მფარველობას და იმ შემთხვევაშიც, როცა ის სჯის...

9. უმაღლესი ძალაუფლების საფუძველი (წყარო) ყოველთვის ერში (ხალხში) არსებობს. არც ერთ დაწესებულებას, არც ერთ პირს არ შეუძლია განახორციელოს ძალაუფლება, თუ ის ერისგან არ მომდინარეობს.

10. ყველა თავისუფალია შეხედულებებში, რწმენაშიც კი, თუ მათი გამოვლენა არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

11. აზრებისა და შეხედულებების თავისუფალი გაცვლა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა; შესაბამისად, ყველა ადამიანს შეუძლია თავისუფლად ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს იმ პირობით, რომ ბოროტად არ ისარგებლებს ამ თავისუფლებით, რაც განსაზღვრულია კანონით.

?

16. რამ გამოიწვია საფრანგეთში ძველი ხელისუფლების კრიზისი?

17. შენი აზრით, განმუხტავდა თუ არა პოლიტიკურ კრიზისს „ადამიანისა და მოქა-ლაქის უფლებათა დეკლარაცია“?

18. დეკლარაციის თანახმად, ვინ არის ძალაუფლების წყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი ეს უფლება?

19. როგორ შეცვლიდა ფრანგულ საზოგადოებას დეკლარაცია? რა შედეგი მოჰყვებოდა მის ამოქმედებას?

20. შენი აზრით, რას გულისხმობს ყველა ადამიანის თავისუფლება რწმენაში? იმსჯელე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო ან პრივილეგირებული სარწმუნოება? რა შედეგი მოჰყვებოდა ამ მუხლის ამოქმედებას?

21. გაიხსენე წინა პარაგრაფებში შესწავლილი მასალა. რომელ პოლიტიკურ დოკუმენტს შეადარებდი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“ და რატომ?

22. რომელ იდეებს დაეფუძნა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“?

23. შეავსე ცხრილი; რა დამოკიდებულება ექნებოდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მიმართ მეფეს, ეკლესიასა და მესამე წოდებას? (**მოსწავლის რვეული, დავ. 77**).

პარიზში დაწყებული ანტიმონარქიული და ანტიფეოდალური მოძრაობა მთელ საფრან-გეთს მოედო. ბევრ რეგიონში გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე, წვავდ-ნენ სასახლეებს, ხოცავდნენ ბატონებს, ამას დიდი შიშიანობის პერიოდი ეწოდა.

წყარო დ) დიდგვაროვან პერინის წერილი დიდი შიშიანობის შესახებ

ცეცხლის ალი ანჯუს და მეინს მოედო. ბატონმა ლორენსინმა წაგვიკითხა საშინელი ამბები, რომლებიც ქალბატონს, მის დას, შეემთხვა. იგი დოფინეში ორ კოშკში იმყოფებოდა. ქაღალდები დაიწვა, კოშკი გაძარცვეს და უსახურავოდ დატოვეს (შეიძლება დაიწვა კიდეც. ვერ შეძლეს მოსავლის აღება და დაცვა). წერილის ბოლოში მისტერ ლორენსინის და ამბობს, რომ იგი სასოწარკვეთილებაშია, რადგან პირველად ნასროლი ტყვიით არ მოკვდა. იგი თავის გაუთხოვარ და



სურ. 6 დიდი შიშიანობა. უცნობი ავტორი.

ლამაზ შვილთან ერთად ჯერ ორ კოშკში გაიქცა და შემდეგ მეგობრის სახლში. ისინი 35 საათის განმავლობაში შეუსვენებლად გაურბოდნენ მდევრებს. კლუნიელი ბერები უფრო ჭკვიანები და იღბლიანები აღმოჩნდნენ. ქალაქის მცხოვრებლები მათთან დაკავშირებულები იყვნენ თავიანთი დამსახურებისა და იმის გამო, რომ უარყვეს თავიანთი უფლებები და გადასახადები. ერთ-ერთი ბერის ხელმძღვანელობით კლუნიელებმა ქალაქი ყაჩაღთა ბანდისგან გაათავისუფლეს. კლუნის მოქალაქეები კარგად შეიარაღებულები იყვნენ. სააბატოში მათ დამალეს ორი ზარბაზანი, რომლებიც ქალაქის მთავარ გზას უყურებ და. ყაჩაღები ფიქრობდნენ, რომ მოულოდნელად შეძლებდნენ ქალაქის აღებას. მცხოვრებლებმა ისინი შიგნით შემოუშვეს, კარები დახურეს და შემდეგ დამალული ზარბაზანებიდან ცეცხლი გაუხსნეს. არც ერთი ბოროტმოქმედი არ გაქცეულა, ისინი ან დაიხოცნენ, ან სამეფო სატიმროში გადაიყვანეს. მათ ფურცლები უპოვეს, რომლებზეც ეწერა: მეფის ბრძანებით. ასეთი დოკუმენტები მათ საშუალებას აძლევდა, დაეწვათ კოშკები და სააბატოები იმ საბაბით, რომ დიდებულები წამლავდნენ ჭებს, აგროვებდნენ მარცვლეულს. შეუძლებელია ახლა და ახლო მომავალში იცოდე, სად შეგეძლება იცხოვრო საფრანგეთში ან ვის შეუძლია დაიცვას თავისი სიმდიდრე. მეფე სასოწარკვეთილებაშია და საჩივრების საპასუხოდ ამბობს, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

24. შენი აზრით, რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება მდიდარი მოქალაქეების დაცვას?

25. შენი აზრით, რა გამოსავალი უნდა მოეფიქრებინა მეფეს ასეთი კრიზისული სიტუაციის დროს?

1789 წლის ოქტომბერში 6 ათასი პარიზელი ქალი ვერსალისკენ დაიძრა. ისინი პურზე ფასის გაძვირებას აპროტესტებდნენ. „გაბრაზებულმა“ ქალებმა ზოგიერთ უბანში სასულიერო პირები აიძულეს, განგაშის ზარები დაერეკათ. ამის გამო უამრავი ხალხი შეიკრიბა.

მათ გეზი ვერსალისკენ აიღეს. მხედართმთავრის გაფრთხილების მიუხედავად, ეროვნულმა გვარდიამ მსვლელობას წინააღმდეგობა არ გაუწია, პირიქით, ჯარისკაცები სიმპათიასაც კი გამოხატავდნენ მსვლელობის მონაწილეების მიმართ. ვერსალის ალყა 6 საათს გაგრძელდა. გამოსვლას დამფუძნებელი კრების წევრებიც შეუერთდნენ. პურის ფასის გაიაფებასთან ერთად მარშის მონაწილეებმა მეფის პარიზში გადმოსვლა და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების აღიარება მოითხოვეს. მეფე იძულებული გახდა, პარიზში დაბრუნებულიყო და ეს მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. გზაში ქალები მღეროდნენ სიმღერას: ნუ გეშინიათ, მოგვყავს მცხობელი და მცხობელის ცოლი.

მოგვიანებით ფრანგმა რევოლუციონერებმა ამ მარშს „ქალთა გმირობა“ უწოდეს.

1790 წელს დამფუძნებელმა კრებამ ეკლესიის შესახებ კანონი მიიღო. ეკლესიისთვის მიწები უნდა ჩამოერთმიათ. ეპისკოპოსების რაოდენობა 135-იდან 83-მდე უნდა შემცირებულიყო. კათოლიკობა სახელმწიფო რელიგიად რჩებოდა, მაგრამ ამიერიდან ის ვატიკანს კი არ ექვემდებარებოდა, არამედ სახელმწიფოს. სკოლა ეკლესიას უნდა გამოჰყოფოდა და სამოქალაქო გამგებლობაში გადასულიყო. სასულიერო პირებს ამომრჩევლები ირჩევდნენ, ხელფასს კი მათ სახელმწიფო უხდიდა.

ამან ბევრი სასულიერო პირის უკმაყოფილება გამოიწვია და რევოლუციას დაუპირისპირა.

მეფე ლუი XVI ახალ პოლიტიკურ წესრიგთან შეგუებას არ ფიქრობდა, იგი მიმოწერას აწარმოებდა უცხოელ დიდგვაროვნებთან და ემიგრაციაში მყოფი თავისი ძმების დიდი იმედი ჰქონდა. 1791 წელს მან საფრანგეთიდან გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ ერთ-ერთმა სახელმწიფო მოხელემ იცნო, ხელისუფლებას აცნობა და იგი უკან დააბრუნეს (ეს ამბავი დასახლება ვარენის მახლობლად მოხდა, ამიტომ ეს მოვლენა ისტორიაში „ვარენის კრიზისის“ სახელით შევიდა).



სურ. 7 მეფის დაპატიმრება ვარენში. თომას ფალკონ მარშალი, XIX ს.

რადიკალი ჟურნალისტის ჰებერტის სიტყვები მეფის გაქცევასთან დაკავშირებით

შენ, ჩემო მეფეო, ჩემი მეფე აღარ ხარ, აღარ ხარ ჩემი მეფე.
არავინ ხარ, გარდა მშიშარა დეზერტირისა, მეფე ხალხის მამა უნდა იყოს და არა მისი ჯალათი. როდესაც ხალხი ძალაუფლებას დაიბრუნებს, ისეთი სულელი არ იქნება, რომ შენნაირი მშიშარა უკან მიიღოს.
შენ მეფე ხარ? შენ მოქალაქეც კი არ ხარ. იღბლიანი იქნები, თუ ეშაფოტს გადაურჩები, როცა ადამიანის მოკვლას ცდილობდი.
ეჭვი არ მეპარება, თავს მოიკატუნებ, რომ პატიოსანი ხარ და საკონტიტუციო კომიტეტის არამზადებით მხარდაჭერილი ხალხს სასწაულებს დაჰპირდები.
მათ კიდევ ერთხელ უნდათ, გვირგვინი დაგადგან.
მაგრამ ეს არ მოხდება, საფრანგეთის კიდიდან კიდემდე შენ მიმართ რისხვითაა აღსავსე.

წყარო: მეფის განმარტება ვარენის კრიზისთან დაკავშირებით.

„ქვეყნიდან წასვლა ჩემი ოჯახისთვის მიყენებულმა შეურაცხყოფამ და მუქარამ მაიძულა. მას შემდეგ, რაც ჩემსა და ჩემ ოჯახზე ძალადობის წამახალისებელი პროვოკაციული წერილები გამოქვეყნდა და ეს დაუსჯელი დარჩა, დავრწმუნდი, რომ პარიზში ჩვენი დარჩენა უსაფრთხო არ იყო. ამიტომ გადავწყვიტე, ქალაქი დაგვეტოვებინა, თან ღამით და თანმხლებები პირების გარეშე, რადგან ამას ღიად ვერ გავაკეთებდი.

არასოდეს მქონია სამეფოს დატოვების განზრახვა. არც უცხო ძალებთან, არც ჩემ ნათესავებთან შევთანხმებულვარ ამის თაობაზე.

26. როგორ ფიქრობ, რატომ არ მისცეს მეფეს საშუალება, დაეტოვებინა საფრანგეთი?

27. შენი აზრით, როგორ იმოქმედება მეფე უცხოეთიდან?

28. შენი აზრით, რატომ არის ჰებერტის გამოსვლა ასეთი რადიკალური?

29. შენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა მეფის წერილი და ზოგადად ვარენის კრიზისი მეფის ავტორიტეტსა და მისი მომხრეების სულისკვეთებაზე?

დეპუტატების ნაწილს ქვეყანაში კრიზისის გარღმავება არ სურდა. ამიტომ მეფე დააბრუნეს და გამოაცხადეს, რომ მეფე მოიტაცეს; მეორე ნაწილს კი საფრანგეთში რესპუბლიკის დამყარებს სურდა. ასეთ ვითარებაში 1791 წლის სექტემბერში დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია მიიღო.

წყარო ა) 1791 წლის კონსტიტუციის ნაწყვეტი

„საკანონმდებლო ძალაუფლებას ახორციელებს ეროვნული კრება, რომელიც შედგება ხალხის არჩეული წარმომადგენლებისგან.
აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლევა მეფეს, რომელიც მას ახორციელებს მინისტრებისა და სხვა პასუხისმგებელი პირების საშუალებით.
სამეფო ძალაუფლება ურყევია და მემკვიდრეობით გადადის მამისგან შვილზე.
საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილებები ეგზავნება მეფეს, რომელსაც შეუძლია, არ დაამტკიცოს ისინი; მაგრამ ეს დროებითია. თუ ორი საკანონმდებლო კრება ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებს მიიღებს, მეფე ვალდებულია, ისინი დაამტკიცოს“.

30. როგორ არის დანაწილებული ხელისუფლება კონსტიტუციის მიხედვით?

31. სახელმწიფო მმართველობის რა ფორმა ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1791 წლის კონსტიტუციის მიხედვით?

არჩევნებში მონაწილეობისთვის ქონებრივი ცენზი დაწესდა. აქედან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედს ჰქონდა.

წყარო ბ) ფრანგი პოლიტიკოსისა და რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის მაქსიმილიან რობესპიერის სიტყვა, წარმოთქმული საყოველთაო საარჩევნო უფლების დასაცავად

„ნუთუ მდიდრებს, ნუთუ დიდებულებს უმადლით თქვენ ამ სახელოვან აჯანყებას, რომელმაც გადაარჩინა საფრანგეთიც და თქვენც?.. რისთვის იბრძოდა ხალხი – იმისათვის, რომ დაგხმარებოდათ თქვენ, დაგეცვათ, გადაგერჩინათ მისი უფლებები და ღირსებები, თუ იმისათვის, რომ უზრუნველეყო თქვენთვის ხელისუფლება მისი განადგურებისათვის? იმისათვის მოიშორა მან ფეოდალური არისტოკრატიის უღელი, რომ ფულის უღელი დაედგა?.. არჩევნების ის სისტემა, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით, გამორიცხავს არჩევნებიდან ერის ცხრა მეათედს... ასეთია სინამდვილეში ამ დადგენილების ბუნება, რომელიც ეყრდნობა აბსურდულ წინააღმდეგობებს, რომელიც მოქალაქეობის საზომად სიმდიდრეს იყენებს. თქვენ ჩამოართვით უფლება ყველა მოქალაქეს, რომლებიც არც ისე მდიდრები არიან...“

32. რობესპიერს არ მოსწონს, რომ „კონსტიტუცია“ „მოქალაქეობის საზომად სიმდიდრეს იყენებს“. წარმოიდგინეთ, რომ იმ პერიოდში საფრანგეთში ცხოვრობთ და კლასში მოაწყვეთ დისკუსია, თემაზე: რა დადებითი და რა უარყოფითი მხარეები ჰქონდა კონსტიტუციაში ამ მუხლის შემოტანას?

1791 წლის პირველ ოქტომბერს მუშაობას შეუდგა ახალი კანონის საფუძველზე არჩეული ეროვნული კრება, რომელსაც ამჯერად საკანონმდებლო კრება ეწოდა. ახალ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობას კონსტიტუციური მონარქიის მომხრე დეპუტატები შეადგენდნენ. თავდაპირველად ისინი, პოლიტიკურად მერყევ დეპუტატთა დიდ ნაწილთან ერთად,

უპირატესობას ფლობდნენ. მათი მთავარი მოწინააღმდეგე იყო დეპუტატთა მცირე ჯგუფი. მოგვიანებით ამ ჯგუფს ჟირონდისტები უწოდეს (ეს დეპუტატები ძირითადად დეპარტამენტ ჟირონდიდან იყვნენ). ჟირონდისტები სულ უფრო მეტად იხრებოდნენ რესპუბლიკური წყობის დამყარების აზრისკენ. უკიდურეს მემარცხენე პოზიციას იკავებდა რობესპიერის მომხრე იაკობინელთა მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფი. „იაკობინელების სახელი“ მოდის წმინდა იაკობის მონასტრიდან, სადაც ისინი სისტემატურად იკრიბებოდნენ. ამ დეპუტატებს „მონტანიებს“, ანუ მთიელებს, უწოდებდნენ, რადგან ისინი ჩვეულებრივ საკანონმდებლო კრების დარბაზში ამფითეატრის ბოლო იარუსის სკამებზე ისხდნენ.

საყოველთაო უკმაყოფილების პირობებში ლუი XVI ფარულად დაუკავშირდა თავის ცოლისძმას, ავსტრიის იმპერატორს და სთხოვა, სამხედრო ძალით დახმარებოდა რევოლუციის დამარცხებაში. ევროპელი მონარქები მტრულად იყვნენ განწყობილი საფრანგეთის რევოლუციისადმი, რადგან ეშინოდათ, რომ რევოლუცია მათ ქვეყნებშიც გავრცელდებოდა. 1791 წლის აგვისტოდან მოყოლებული ავსტრიის იმპერატორისა და პრუსიის მეფის ერთობლივ განცხადებებს აკეთებდნენ და ფრანგი მონარქის უფლებების აღსადგენად სამხედრო ძალის გამოყენებით იმუქრებოდნენ.

1792 წლის გაზაფხულზე ჟირონდისტების ინიციატივით საკანონმდებლო კრებამ ომი გამოუცხადა ავსტრიის იმპერატორს. მაგრამ საფრანგეთის არმია მზად არ იყო ომისთვის. ცნობები საფრანგეთის ჯარების მიერ ზედიზედ განცდილი მარცხის შესახებ ნათელს ხდიდა საფრთხეს, რომელიც ქვეყანასა და მის დედაქალაქს ემუქრებოდა.

1792 წლის ზაფხულში საკანონმდებლო კრებამ თანამოქალაქეებს მოხალისეთა მასობრივი მობილიზაციის მოწოდებით მიმართა. „სახელმწიფო საფრთხეშია“ – აცხადებდა საკანონმდებლო კრების მიერ გამოშვებული დეკრეტი. ავსტრიისა და პრუსიის ჯარები პარიზის განადგურებით იმუქრებოდნენ.

ავსტრიელებთან და პრუსიელებთან ომის დროს საფრანგეთში იქმნებოდა მოხალისეთა რაზმები. ერთ-ერთ სიმღერას, რომელსაც ფრონტზე მიმავალი მარსელელი მოხალისეები მღეროდნენ, მალე მთელი ქვეყანა მღეროდა. „მარსელიეზად“ წოდებული ეს სიმღერა დღეს საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნია.



სურ. 8 მეფის სასახლის იერიში. ჟან დიუპლესი-ბერტო. 1793 წ. ვერსალი

ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა. პარიზში გაჩნდა სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური კლუბები. მათ ერთი საერთო მოთხოვნა ჰქონდათ: მონარქიის გაუქმება და საფრანგეთში შემოჭრილი მტრის შეჩერება რევოლუციური არმიის მეშვეობით. მათ შორის ყველაზე მეტი გავლენა მოიპოვა იაკობინელთა კლუბმა. ამ კლუბის ლიდერები: მარატი, რობესპიერი და დანტონი განსაკუთრებით პოპულარულები იყვნენ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ხალხს. 1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუციონერებმა მეფის სასახლე აიღეს. ლუი XVI და მისი ოჯახი დააპატიმრეს. მონარქია დაემხო.

იმავე წლის სექტემბერში საფრანგეთში მონარქიის მომხრეების – სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა, შედეგად რევოლუციურმა ბრბომ პარიზში, ვერსალსა და ლიონში ათასობით ადამიანი მოკლა. მეფის დატყვევების შემდეგ შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც ძირითადად ჟირონდისტები შეივიდნენ, დაინიშნა ეროვნული კრების (კონვენტის) არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობის უფლება 21 წლის ზემოთ ყველა მამაკაცს მიეცა.

33. შენი აზრით, მმართველობის რომელი ფორმა შეიძლებოდა აღდგენილიყო საფრანგეთში ავსტრიისა და პრუსიის წარმატების შემთხვევაში?

34. როგორ ფიქრობ, რა ვალდებულებები დაეკისრებოდა საფრანგეთს და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საერთაშორისო სტატუსი ავსტრიასა და პრუსიასთან მარცხის შემთხვევაში?

35. შეადარე ერთმანეთს საფრანგეთსა და ინგლისში განვითარებული ისტორიული პროცესები და იმსჯელე, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდება ერთმანეთისგან?

რესპუბლიკის გამოცხადება

1792 წლის 22 სექტემბერს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

საფრანგეთის რევოლუცია (1789-1799 წწ.) გარდამტეხი პერიოდი იყო საფრანგეთის, ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიაში. ამ პერიოდში საფრანგეთში აბსოლუტური მონარქია რესპუბლიკანიზმმა შეცვალა. ქვეყნის კათოლიკური ეკლესია იძულებული გახდა, რადიკალური ცვლილებები განხორციელებინა. იმის მიუხედავად, რომ პირველი რესპუბლიკის სამხედრო გადატრიალების შემდეგ მომდევნო 80 წლის განმავლობაში საფრანგეთში მრავალჯერ შეიცვალა მმართველობის სისტემა (რესპუბლიკა, იმპერია და მონარქია), ეს რევოლუცია საყოველთაოდ მიღებულია, როგორც გარდამავალი მომენტი დასავლური დემოკრატიის ისტორიაში – აბსოლუტიზმისა და არისტოკრატიის ხანიდან მოქალაქეობრი-ობის, როგორც დომინანტური პოლიტიკური ძალის, ეპოქაში. საფრანგეთის რევოლუციის წყალობით ქვეყანაში ძველი მონარქიული რეჟიმი დაემხო და „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“ გამოცხადდა. საფრანგეთმა ახალ ეპოქაში შეაბიჯა, თუმცა ამისთვის სისხლიანი და რთული გზა განვლო.

36. შეფასე რევოლუციის მონაპოვარი საფრანგეთისთვის, ევროპის სხვა სახელმწიფოებისთვის.

37. შენი აზრით, როგორ აისახება რევოლუცია ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაზე? პასუხი დაასაბუთე.

38. როგორ გესმის რევოლუციური ლოზუნგი – „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“?

ისტორიკოსის კომენტარი:

ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა ოლარი საფრანგეთის რევოლუციაზე:

სოციალური კუთხიდან რომ შევხედოთ, რევოლუციამ გააუქმა ფეოდალური სისტემა, ადამიანები უფლებრივად გაათანაბრა, გააუქმა დაბადებითი პრივილეგიები, დაამყარა თანასწორობა, გაამარტივა ცხოვრება. ფრანგული რევოლუცია განსხვავდება სხვა ეროვნული რევოლუციებისგან თავისი საკაცობრიობიო სარგებლობით.

1792 წელს საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ დროებითმა მთავრობამ ამ მოვლენის ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად გააუქმა ტრადიციული წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან და 1792 წლის 21 სექტემბერი „ახალი ხანის“ ათვლის თარიღად და რესპუბლიკის პირველ წლად გამოცხადდა (შეიცვალა თვეების სახელწოდებებიც).

შემოდგომა:

ვანდემიერი (22 სექტემბრიდან — 21 ოქტომბრამდე) – რთველი ბრიუმერი (22 ოქტომბრიდან – 20 ნოემბერი) – ნისლის თვე ფრიმერი (21 ნოემბერი – 20 დეკემბერი) – ყინვის თვე

ზამთარი:

ნივოზი (21 დეკემბერი – 19 იანვარი) – თოვლის თვე პლუვიოზი (20 იანვარი – 18 თებერვალი) – წვიმის თვე ვანტოზი (19 თებერვალი – 20 მარტი) – ქარის თვე

გაზაფხული:

ჟერმინალი (21 მარტი – 19 აპრილი) – აღმოცენების/ გაღვივების თვე ფლორეალი (20 აპრილი – 19 მაისი) – ყვავილობის თვე პრერიალი (20 მაისი – 18 ივნისი) – მდელოების თვე

ზაფხული:

მესიდორი (19 ივნისი – 18 ივლისი) — მკის თვე თერმიდორი (19 ივლისი – 17 აგვისტო) – სიცხის თვე ფრუქტიდორი (18 აგვისტო – 16 სექტემბერი) – ნაყოფის/ხილის თვე.

ყოველი თვე 30 დღისგან შედგებოდა და შვიდდღიანი კვირის ნაცვლად დეკადებად (ათ-ათ დღედ) იყოფოდა. რადგან წელიწადში 360 დღეზე მეტია, რევოლუციური კალენდრის ბოლო თვის (ფრუქტიდორის) მომდევნო დღეები 22 სექტემბრამდე უქმეებად და დღესას-წაულებად იყო გამოცხადებული. მაგ.,

17 სექტემბერი – ღირსების დღე;
18 სექტემბერი – ნიჭის/გენიის დღე;
19 სექტემბერი – შრომის დღე;
20 სექტემბერი – დაჯილდოების დღე;
21 სექტემბერი (კალენდრის დასაწყისის წინა დღე) – რევოლუციის დღე.

39. როგორ შეიცვალა კალენდარი? რით განსხვავდებოდა ის გრიგორიანული კალენდრისგან?

40. შენთვის ნაცნობ რომელ კალენდარს შეადარებ საფრანგეთის ახალ კალენდარს?რაზე მეტყველებს თვეების სახელწოდებები?

41. გაიხსენე, რა იყო გრიგორიანული კალენდრის შემოღების მიზეზი და როგორ გავრცელდა ის სხვა ქვეყნებში.

42. რა მიზანი ჰქონდა საფრანგეთში ახალი კალენდრის შემოღებას და როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები იქნებოდა ის სხვა ქვეყნებისთვის?

43. გამოთქვი ვარაუდი, გავრცელდებოდა თუ არა ახალი კალენდარი ევროპის სხვა ქვეყნებშიც? პასუხი დაასაბუთე.

იაკობინელთა დიქტატურა

კონვენტში ძირითადი სამუშაო კომიტეტებში მიმდინარეობდა. მათ შორის მთა-ვარი იყო „ეროვნული ხსნის კომიტეტი“. კონვენტს უამრავი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი: რესპუბლიკური კონსტიტუციის შემუშავება, რევოლუციური ომების წარმოება, ქვეყნის შიგნით ამბოხებების, განსაკუთრებით კი მეფისა და ეკლესიის მომხრე გლეხობის წინააღმ-დეგობის, დაძლევა, პარიზის მოსახლეობის სურსათით მომარაგება და მეფისა და მისი ოჯახის ბედის გადაწყვეტა. ყველა ეს საკითხი ჟირონდისტებსა და იაკობინელებს შორის დაპირისპირების საგანი გახდა, მათ შორის ლუი XVI-ის გასამართლების პროცესი. კონვენტის უმრავლესობა კონტრ-რევოლუციურ ძალებთან კონტაქტის გამო მეფეს დამნაშავედ მიიჩნევდა, მაგრამ სადავო იყო სასჯელის ზომა. ჟირონდისტებს უცხოელი მონარქების მკაცრი რეაქციის ეშინოდათ და მეფის მიმართ სასჯელის უკიდურესი ზომის გამოყენება არ უნდოდათ.

საბოლოოდ რობესპიერის მეთაურობით იაკობინელებმა გაიმარჯვეს და სამხედრო ძა-ლის გამოყენებით მოწინააღმდეგეები კონვენტიდან გააძევეს.

მეფის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მისი სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებით დასრულდა. ლუი XIV-ს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს და 1793 წლის 21 იანვარს რევოლუ-ციის მოედანზე თავი მოჰკვეთეს.



სურ. 7 ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა. უილიამ ლეინის გრავიურა. 1793 წ. ლონდონი

44. რა ინფორმაციას გვაწვდის ნახატები სიკვდილით დასჯის შესახებ? შენი აზრით, რატომ აღასრულებდნენ სასჯელს საჯაროდ? რით განსხვავდება მეფისა და დედოფლის სიკვდილით დასჯის სცენა?

45. წარმოიდგინე, რომ კონვენტის წევრი ხარ. მოიყვანე მეფის დასჯის მომხრეთა და მოწინააღმ-დეგეთა არგუმენტები. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 78**).



სურ. 8 მარია ანტუანეტას სიკვდილით დასჯა. უცნობი მხატვარი. 1793 წ.



მეფეს თავი მოჰკვეთეს ახლად გამოგონებული მექანიზმით, გილიოტინით, რომლის შექმნაზეც თავის დროზე თავად ლუი XVI-მ გასცა პატენტი. გილიოტინა სიკვდილით დასჯის საგანგებო მოწყობილობა იყო, რომელიც ექიმმა გილიოტენმა გამოიგონა.

სურ. 9 გილიოტინა



რობესპიერმა გამოსცა კანონი საეჭვოთა შესახებ. მისი ბრძანებით, რევოლუციის მტრებს აპატიმრებდნენ, უამრავი ადამიანი სიკვდილით დაისაჯა, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე რობესპიერი თვლიდა, რომ გამოძიება საჭირო არ იყო.

სურ. 10 რობესპიერის პორტრეტი, უცნობი მხატვარი. 1790 წ.

46. რა სახის ორგანოა კონვენტი და რა შედის მის მოვალეობაში?

47. რა მეთოდები გამოიყენეს იაკობინელებმა ჟირონდისტებთან დაპირისპირებისას?

48. როგორ ფიქრობ, რატომ დასჭირდა რობესპიერს „საეჭვოთა შესახებ“ კანონის მიღება?

49. გაიხსნე მუხლები „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან“ და იმსჯელე, მოქალაქის რა უფლებები ირღვევა რობესპიერის მიღებული კანონის ამოქმედებით.

50. შენი აზრით, რამდენად საჭირო იყო ასეთი კანონის შემოღება? პასუხი დაასაბუთე.

წყარო ე) ნაწყვეტი ანატოლ ფრანსის რომანიდან „ღმერთებს სწყურიათ“

რევოლუციური ტრიბუნალი თანასწორობის იდეის გულისთვის ისევე შეუბრალებლად ეპყრობოდა შავ მუშებსა და მოახლეებს, როგორც არისტოკრატებსა და ფინანსისტებს. გამ-ლენს (ნაწარმოების გმირს) სხვანაირი ყოფა-ქცევა ვერც წარმოედგინა სახალხო რეჟიმის დროს. ხალხისთვის შეურაცხყოფა, დამცირება იქნებოდა, თუ სიკვდილით დასჯის პრივი-ლეგიას მხოლოდ არჩეული პირებისთვის შეინარჩუნებდნენ, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ხალხი, ასე ვთქვათ, ღირსი არ არის დასჯისაო.

51. რატომ შეიძლებოდა მარტო არისტოკრატების დასჯა არასწორი ყოფილიყო?

52. რატომ იქნებოდა ხალხის დამცირება, თუ სიკვდილით დასჯის პრივილეგია მხოლოდ რჩეულ პირებს ერგებოდათ?

ამის მიუხედავად, გამოსავალი არ ჩანდა. რობესპიერი და რადიკალი იაკობინელები დაუნდობლად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეებს. მათი მმართველობის პერიოდი ისტორიაში „დიდი ტერორის“ სახელით არის ცნობილი. სექტემბერში იაკობინელებმა გამოსცეს დეკრეტი „არაკეთილსაიმედო პირთა შესახებ“, რომელიც საეჭვო პირთა სიებს ადგენდა და მათ შემოწმებას მოითხოვდა. „საზოგადოებრივი წესრიგის მტრების“ გამოვლენა და დაპატიმრება „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის“ ქვემდებარე „უშიშროების კომიტეტს“ დაევალა. დასმენა „რევოლუციურ სიქველედ“ გამოცხადდა. იაკობინელები მასობრივად აპატიმრებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ „რევოლუციის მტრებს“. სიკვდილით დასაჯეს ივნისში დაპატიმრებული ჟირონდისტებიც. 1793 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე დაახლოებით 3 ათასი ადამიანი დააპატიმრეს, 1794 წლის ზაფხულამდე კი მთელი ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 8 ათას ადამიანს მოკვეთეს თავი. „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა უდიდესი ნაწილი უდანაშაულო იყო.

კონვენტის წევრები შეშფოთებული იყვნენ რობესპიერის ტირანიით. 1794 წლის ივლისში რობესპიერი და მისი მომხრეები დააპატიმრეს. ისინი სიკვდილით დასაჯეს მათ მიერვე ერთი თვით ადრე დაკანონებული წესით – გამოძიებისა და გასამართლების გარეშე.



ჟან-პოლ მარატი იაკობინელების ერთ-ერთი ლიდერი იყო, მას მეტსახელად „ხალხის მეგობარს“ უწოდებდნენ. ის ამავე სახელწოდების გაზეთს გამოსცემდა.

მარატი განმანათლებლების რუსოსა და მონტესკიეს იდეებს იზიარებდა. მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება უნდა დანაწილებულიყო; ფიქრობდა, რომ კონსტიტუციური მონარქია მმართველობის საუკეთესო ფორმა იქნებოდა, რადგან რესპუბლიკა არაეფექტიანი იყო დიდი ქვეყნების სამართავად.

სურ. 11 ჟან-პოლ მარატი. ჟოზეფ ბოზე. 1973 წ.

დირექტორია

რობესპიერისა და მისი მომხრეების დამხობის შემდეგ საფრანგეთში ძალაუფლება ზომიერი პოლიტიკური ძალების ხელში გადავიდა. 1795 წლის აგვისტოში ზომიერებმა ახალი კონსტიტუცია შეიმუშავეს. კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი იყო. აღმასრულებელი ხელისუფლება კონცენტრირებული იყო ხუთკაციანი „დირექტორიის“ ხელში, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა – „უხუცესთა საბჭო“ – ირჩევდა. უახლოესი რევოლუციური წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იაკობინელთა ტერორის გათვალისწინებით, კონსტიტუცია პირველად მოქალაქეთა უფლე-ბებთან ერთად მათ მოვალეობებსაც განსაზღვრავდა, კანონისა და საკუთრების ხელშეუხე-ბლობის პატივისცემას მოითხოვდა.

წყარო გ) ფრაგმენტები საფრანგეთის 1795 წლის კონსტიტუციიდან: „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების დეკლარაცია“

უფლებები

1. ადამიანისა და საზოგადოების უფლებაა თავისუფლება, თანასწორობა, უსაფრთხოება და საკუთრება.

2. თავისუფლება გულისხმობს იმ შესაძლებლობების განხორციელებას, რომლებიც სხვას არ მიაყენებს ზიანს.

3. თანასწორობა მდგომარეობს იმაში, რომ კანონი თანაბარია ყველასათვის, მაშინ, როდესაც იცავს მათ და მაშინაც, როდესაც სჯის მათ. თანასწორობა არ უშვებს არავითარ სხვაობას წარმოშობისა და მემკვიდრეობის მიხედვით...

8. არ შეიძლება არავის გასამართლება, დადანაშაულება, დაკავება და დატუსაღება, თუკი ეს კანონით არ არის გათვალისწინებული...

14. არც ერთ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონს არ აქვს უკუქმედების ძალა...

მოვალეობები

2. ადამიანისა და საზოგადოების მოვალეობები ეფუძნება შემდეგ ორ პრინციპს: ნუ გაუკეთებთ სხვას იმას, რაც თქვენთვის არ გინდათ. მუდმივად აკეთეთ სხვებისათვის ის, რის მიღებაც თქვენთვის გსურთ.

3. თითოეულის მოვალეობაა საზოგადოების დაცვა, მისთვის სამსახურის გაწევა, კანონების მორჩილება და იმათი პატივისცემა, ვინც ამ კანონებს ახორციელებს.

4. ვერავინ იქნება კარგი მოქალაქე, თუ არ იქნება კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი ძმა, კარგი მეგობარი და კარგი მეუღლე...

6. ის, ვინც ღიად არღვევს კანონებს, საზოგადოებას ომს უცხადებს.

9. თითოეული მოქალაქე ვალდებულია, მთელი თავისი ძალისხმევა სამშობლოსთვის და თავისუფლების, თანასწორობისა და საკუთრების შენარჩუნებისათვის გამოიყენოს, ყოველთვის, როდესაც ამას კანონი მოითხოვს...

მოქალაქეთა პოლიტიკური მდგომარეობა

8. საფრანგეთში დაბადებული და მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შეუსრულდა ოცდაერთი წელი, ცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და იხდის პირდაპირ მიწის ან პროფესიულ გადასახადს, ითვლება საფრანგეთის მოქალაქედ...

11. მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეებს აქვთ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება...

?

53. როგორ შეიცვალა იაკობინელთა დამხობის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკური ინსტიტუტები და როგორ იმართება ქვეყანა?

54. შენი აზრით, რას ნიშნავს კანონის უკუქმედების ძალა და დაფიქრდი, რატომ ჩაიდო ეს მუხლი 1795 წლის კონსტიტუციაში?

55. გაიხსენე 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“ და შეადარე ის 1795 წლის დეკლარაციას, იპოვე მსგავსი და განსხვავებული მუხლები ამ ორ დეკლარაციაში.

§49 - 50. რესპუბლიკიდან იმპერიამდე. ნაპოლეონ ბონაპარტი

საფრანგეთსა და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს შორის საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ დაწყებული დაპირისპირება გაგრძელდა. დაპირისპირების პირველ ეტაპზე საფრანგეთმა წარმატებებს მიაღწია, ევროპის ზოგ სახელმწიფოსთან თავის სასარგებლოდ ზავიც დადო, მაგრამ ომი ამით არ დასრულებულა. პირიქით, ეს მხოლოდ დიდი ომის დასაწყისი იყო. ამ ვითარებაში რესპუბლიკურ საფრანგეთში ასპარეზზე ახალგაზრდა ოფიცერი ნაპოლეონ ბონაპარტი გამოჩნდა.

ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1621 წწ.) წარმოშობით საფრანგეთის კუნძულ კორსიკიდან იყო. მან სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და 1785 წლიდან არტილერიის უმცროს ლეიტენანტად დაიწყო სამსახური საფრანგეთის არმიაში.

საფრანგეთში მომხდარ რევოლუციას ნაპოლეონი აღფრთოვანებით შეხვდა. 1793 წელს ის მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ქალაქ ტულონის ალყაში. ტულონი მონარქიის მომხრეებს ჰქონდათ დაკავებული და რესპუბლიკელთა ჯარებმა ის ალყაში მოაქციეს. აჯანყებული ქალაქი რესპუბლიკელებმა ნაპოლეონის გეგმით აიღეს.

ამ დამსახურებისთვის 24 წლის კაპიტანს ბრიგადის გენერლობა უბოძეს. ასე დაიწყო ნაპოლეონის აღმასვლა სამხედრო კარიერაში.

1795 წელს პარიზში კვლავ მონარქისტთა აჯანყება მოხდა. ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ნაპოლეონი პარიზის გარნიზონის მეთაურად დანიშნეს, 1796 წელს კი, როცა რესპუბლიკურმა საფრანგეთმა იტალიაში სალაშქროდ არმია შეკრიბა, ნაპოლეონი უკვე ამ არმიის მთავარსარდალი იყო. მან იქ წარმატებას მიაღწია. 1798 წელს საფრანგეთის არმიამ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის მეთაურობით ეგვიპტეშიც წარმატებით ილაშქრა.



სურ. 1 ნაპოლეონი 1792 წელს, კორსიკის ეროვნული გვარდიის პოდპოლკოვნიკი. ფელიქს - ემანუელ ანრი ფილიპოტო. 1835წ.

ლაშქრობა იტალიაში

ისტორიკოსის კომენტარი:

ე.ტარლე „ნაპოლეონის ომები“

„მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა პარიზში მონარქიული აჯანყება ჩაახშო და რესპუბლიკის მოხელეთა თვალში ავტორიტეტი ერთიორად აიმაღლა, ის გამუდმებით ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო კოალიციის წინააღმდეგ გადამწყვეტი შემტევი მოქმედება. მართალია, ანტიფრანგულ გაერთიანებას 1795 წელს პრუსია გამოეთიშა, მაგრამ მასში რჩებოდნენ დანარჩენი სახელმწიფოები... დირექტორია და მისდამი მტრულად განწყობილი მთელი ევროპაც თვლიდნენ, რომ მომავალი სამხედრო კამპანიის მთავარი თეატრი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანია იქნებოდა, საიდანაც ფრანგები ავსტრიულ მიწებზე შეჭრას შეეცდებოდნენ. ამისთვის დირექტორია საუკეთესო ჯარებსა და სტრატეგოსებს ამზადებდა, რომელთაც სათავეში გენერალი მორო ჩაუდგებოდა.

საფრანგეთის მთავრობა ყველაზე დიდ იმედს ამ არმიაზე ამყარებდა და არც სახსრებს იშურებდა.

რაც შეეხება გენერალ ბონაპარტის დაჟინებულ მოთხოვნას სამხრეთ საფრანგეთიდან ჩრდილოეთ იტალიაში შეჭრის თაობაზე, დირექტორია მას დიდად არ იზიარებდა. მაგრამ მაინც გაითვალისწინეს ის მომენტი, რომ იტალიაში შეჭრა ავსტრიელებს აიძულებდა გამოეყოთ სამხედრო ძალები და მათ გერმანული თეატრის მიმართ ყურადღებას შეუნელებდა. გადაწყდა, რომ რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი, რომელიც სამხრეთ საფრანგეთის საზღვართან იდგა, ერთ-ერთ იტალიურ სამეფოში, ავსტრიელების

მოკავშირე სარდინიაში გაეშვათ. როდესაც დირექტორიაზე იმ საკითხის განხილვა დაიწყეს, თუ ვინ უნდა დაენიშნათ იტალიის მეორეხარისხოვან ფრონტზე მთავარსარდლად, ბონაპარტის კანდიდატურა დაასახელეს. ამ წინადადებას ყველამ მხარი დაუჭირა, რადგან ცნობილი გენერლებიდან ამ თანამდებობის მოპოვება დიდად არც არავის სურდა.“

1796 წლის აპრილში, როცა ნაპოლეონი ლაშქრობას იწყებდა, საკუთარი არმიის თვალში ის მხოლოდ ნიჭიერი არტილერისტი იყო, რომელმაც კარგად იმსახურა ტულონში, შემდეგ კი გენერალი გახდა და სამხრეთის არმია ჩააბარეს. განუზომელი ძალაუფლებით ის ჯერ არ სარგებლობდა. ნაპოლეონის ლაშქრობებზე მრავალტომიანი ნაშრომის ავტორი, სტრატეგოსი და ერთ დროს ნაპოლეონის თანამებრძოლი, გენერალი ჟომინი აღნიშნავდა, რომ მთავარსარდლობის პირველი დღიდანვე ბონაპარტმა თავხედობამდე მისული სიმამაცე გამოავლინა, ხშირად ის თავს საფრთხეშიც კი იგდებდა. მან საკუთარ შტაბთან ერთად ალპებში საკმაოდ სახიფათო გზა გაიარა. იმ ადგილას ალპები ზღვის სანაპიროზე ეშვებოდა, ზღვაში ინგლისური ხომალდები დაცურავდნენ და ალპების გადასასვლელს იქიდან ბომბავდნენ. უკვე იმ დროს გამოვლინდა ნაპოლეონის ერთი თვისება: პირადი მაგალითი ეჩვენებინა მეომრებისთვის. ნაპოლეონმა საჭიროდ ჩათვალა გაერისკა და საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. ასევე მოიქცა ერთ-ერთ ხიდზე გადასვლისას, რომლის მეორე ბოლოსაც 20 ზარბაზანი მოახლოებულ ფრანგებს ესროდა. ნაპოლეონმა ხიდი გადაიარა.

„მოგზაურობა“ ალპების ქედზე წარმატებით დასრულდა და ბონაპარტი იტალიაში აღმოჩნდა. ნაპოლეონმა საკუთარიო არმია ერთ მუშტად შეკრა და იქ მდგარ ჯარებს შეუტია. ექვსი დღის განმავლობაში ნაპოლეონი ბრძოლას ბრძოლაზე იგებდა. „ექვსი გამარჯვება ექვს დღეში“ – ასე უწოდეს ნაპოლეონის პირველ ბრძოლებს სამხედრო ისტორიკოსებმა.

ამ დღეებშივე გამოჩნდა ნაპოლეონის მთავარი პრინციპი – დიდი ძალების სწრაფად გაერთიანება, დასახული მიზნების ასევე სწრაფად თანამიმდევრულად შესრულება, რთული მანევრებისგან თავშეკავება და მოწინააღმდეგის ნაწილ-ნაწილ განადგურება. ნაპოლეონმა სხვა თვისებაც გამოავლინა – პოლიტიკისა და საომარი სტრატეგიის ერთ მიზნად გაერთიანება. იტალიაში ბრძოლების მიმდინარეობისას ის იმავდროულად მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია ზავისთვის.

ლაშქრობა ეგვიპტეში

1799 წლისათვის დირექტორიამ ეგვიპტეში ლაშქრობა გადაწყვიტა, ამ ჯარს კი სათავეში ნაპოლეონ ბონაპარტი უნდა ჩასდგომოდა. ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანიის მიზანი სამომავლოდ ინგლისის კოლონია ინდოეთზე ლაშქრობისათვის პლაცდარმის შექმნა იყო. ლაშქრობის გეგმა მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო, რადგან ინგლისელები საშუალებას არ მისცემდნენ ნაპოლეონს, ეგვიპტემდე ჩაეღწია.

1798 წელს ნაპოლეონმა ეგვიპტეში ჩასვლა მოახერხა.



სურ. 2 ნაპოლეონი სფინქსთან. ჟან-ლეონ ჟერომი. 1886 წ.

ეგვიპტეს იმ დროს მამლუქები მართავდნენ. ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ მებრძოლ მამლუქების ჯარს მურად ბეი (რომელიც, წარმოშობით, სავარაუდოდ, თბილისიდან იყო) და იბრაჰიმ ბეი (რომელიც, წარმოშობით, სავარაუდოდ, მარტყოფიდან იყო) ხელმძღვანელობდნენ. ფრანგთა არმია რიცხობრივად აღემატებოდა მამლუქებს, ჰქონდა კარგი შეიარაღება, განსაკუთრებით – არტილერია. თავად ნაპოლეონი მაღალ შეფასებას აძლევდა მამლუქების საბრძოლო თვისებებს და თვლიდა, რომ მათი დამარცხება ფრანგებს მხოლოდ დისციპლინის ხარჯზე შეეძლოთ.

„პირამიდების ბრძოლის“ სახელით ცნობილ გენერალურ ბრძოლაში (სოფ. ინბაბასთან, დღეს კაიროს ცენტრში) მან დაამარცხა მამლუქები და კაირო დაიკავა. ამის მიუხედავად, ნაპოლეონის ლაშქრობა წარმატებული არ გამოდგა, ინგლისურმა ფლოტმა ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით აბუქირთან ფრანგული ფლოტი დაამარცხა. ამას გარდა, ეგვიპტელები ფრანგებს ისე არ შეხვედრიან, როგორც გამათავისუფლებელებს, ისინი ნაპოლეონის არმიას პარტიზანულად ებრძოდნენ, თავს ესხმოდნენ ნაპოლეონის ჯარისკაცებს, წამლავდნენ ჭებს, რათა მოწინააღმდეგე უწყლოდ დარჩენილიყო.

ფრანგულ არმიაში შავმა ჭირმა იჩინა თავი. ნაპოლეონმა ჭირით დასნეულებული ერთ-ერთი ჯარისკაცი ხელშიც კი აიტაცა, რათა სხვებისთვის მაგალითი ეჩვენებინა. ეგვიპტეში გახშირდა ადგილობრივთა აჯანყებები. საფრანგეთიდან კი ხმები მოდიოდა, რომ მეფის ხელისუფლების მომხრეები აქტიურობდნენ და რესპუბლიკურ ხელისუფლებას დამხობით ემუქრებოდნენ. ნაპოლეონმა საფრანგეთში დაბრუნება გადაწყვიტა.

ნაპოლეონმა ეგვიპტიდან საფრანგეთში დაბრუნებისას მამლუქების ესკადრაც წაიყოლა, მათ შორის ერთ-ერთი იყო რუსტამ რაზა, რომელიც ნაპოლეონს დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა და პირადი მცველის მოვალეობას ასრულებდა. არსებობდა მოსაზრება რუსტამ რაზას ქართული წარმომავლობის შესახებ, მაგრამ დღეს მკვლევართა უმრავლესობა ამ ვერსიას აღარ იზიარებს, თუმცა ნაპოლეონის ჯარში ქართული წარმოშობის მამლუქები სხვა მსახურობდნენ: ჰასანი, მუსაჰა გიორგი, ანანია, რუსტამ გურჯი, დაუდ გურჯი, გიორგი ჩერკესი და შაჰინი.

1. რა მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისისთვის ინდოეთს? რატომ უნდოდა საფრანგეთს ინდოეთის დაკავება?

2. რა მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისთვის ეგვიპტის კონტროლს?

ქვეყნის შიგნით დირექტორია ვერ უმკლავდებოდა მძიმე ვითარებას. საზოგადოება რევოლუციის დასრულებას და ძლიერი, ქმედითი ხელისუფლების ჩამოყალიბებას მოითხოვდა. საფრანგეთში დაბრუნებული ნაპოლეონი ხედავდა, რომ სიტუაცია მართლაც შეცვლილი იყო. დირექტორიის წინააღმდეგ პრაქტიკულად საზოგადოების ყველა ფენა გამოდიოდა. ისინი ეგვიპტიდან ჩამოსულ ნაპოლეონში მხსნელს ხედავდნენ, ხშირად ქუჩაში ეგებებოდნენ შეძახილით: დიდება ნაპოლეონს. ხალხს ახსოვდა მისი წარმატებები იტალიაში, ხოტბას ასხამდნენ მის ბრძოლებს ეგვიპტეში. ბუნებრივია, დირექტორია მის მოქმედებებს თვალს ადევნებდა, საფრთხეს ხედავდა და მის დაპატიმრებსაც ფიქრობდა. ისტორიკოსი ჟან ტიულარი წერს, რომ დეპუტატების ერთი ნაწილის აზრით, „თუ ბონაპარტს დაბრუნებასა და არმიის მდგომარეობაზე პასუხს არ მოსთხოვდნენ, მაშინ ის ყველაფერს გაბედავდა“. დეპუტატების მეორე ნაწილი ამას სკეპტიკურად უყურებდა, რადგან თვლიდა, რომ ნაპოლეონი იმდენად გაიდეალებული იყო, ამ საკითხის დაყენება საბჭოებში განხეთქილებას გამოიწვევდა.

ნაპოლეონ ბონაპარტემ შეძლებულ მოქალაქეებზე დაყრდნობით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. ეს გადატრიალება ისტორიაში 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალების სახელითაა შესული. საფრანგეთში კონსულთა მმართველობა დამყარდა. აღმასრულებელი ხელისუფლება სამი კონსულის, ფაქტობრივად კი, პირველი კონსულის, ნაპოლეონის ხელში გადავიდა.

წყარო ა) ნაპოლეონის გამოსვლა დეპუტატების წინაშე

„რა მდგომარეობაში დავტოვე საფრანგეთი და როგორი დამხვდა? დაგიტოვეთ მშვიდობა და ომი მეგებება. დაგიტოვეთ დაპყრობილი ტერიტორიები და ჩვენს საზღვრებზე დღეს მტერია გადმოსული. დავტოვე სავსე არსენალი და ახლა იარაღის პოვნა მიჭირს. დავტოვე იტალიის მილიონები და ყველგან მძარცველურ კანონებსა და და სიღატაკეს ვაწყდები. ჩვენი ქვემეხები გაიყიდა, ქურდობა სისტემად ჩამოყალიბდა. სად არის ის ათასი მამაცი ამხანაგი, მე რომ დაფნის გვირგვინებით შემკული დავტოვე? რა დაემართათ? ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს, სამ თვეში დესპოტიზმი დამყარდება, მაგრამ ჩვენ რესპუბლიკა გვინდა, თანასწორობაზე, მორალზე, სამოქალაქო თავისუფლებასა და პოლიტიკურ თავისუფლებაზე დამყარებული რესპუბლიკა“.



სურ. 3 ნაპოლეონი პირველი კონსული. ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი. 1804 წ.

3. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ბონაპარტს, რომ ერთპიროვნული ძალაუფლება ჩაეგდო ხელში?

4. რაში ადანაშაულებს ნაპოლეონი დეპუტატებს? დეპუტატების წინაშე წარმოთქმული სიტყვის მიხედვით, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ნაპოლეონი?

წყარო ბ) ნაწყვეტი ნაპოლეონის მიერ მარკ-ანტუან ჟულიენისადმი მიწერილი წერილიდან, 1800 წ.

„მე არ ვეძებდი არანაირ საბაბს შეთქმულებისთვის, არც არანაირი პარტიული ინტერესები არ გამაჩნდა. მე რესპუბლიკის განმტკიცება მსურს, რომლის გარეშეც, ვიცი, ჩემთვის არც ხსნა და არც დიდება არ არსებობს. მაგრამ ვფიქრობ, რომ დიდ სახელმწიფოში რესპუბლიკური მმართველობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. ერთია, თუ მას ისე ზომიერს გავხდით, რომ ხალხისა და არისტოკრატიის, უფრო სწორად კი, მონარქიულ ტენდენციებს გავუთანაბრებთ. ჩვენს საუკუნეში საფრანგეთის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აზრი გვაიძულებს, უკუვაგდოთ არისტოკრატიის უფლებების, მემკვიდრეობითი ძალაუფლების, პრივილეგირებული წოდებების, აბსოლუტური უთანასწორობის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა... ყველას სურს თანასწორობა, ის, რომ უმაღლესი მოხელეები იცვლებოდნენ. თუ ვიღაცას, შესაძლოა, გუშინ გარკვეული მდგომარეობა ეჭირა, ხვალ ის, შეიძლება, თანამდებობის პირი გახდეს, ზეგ კი ისევ ხალხის მასაში გაითქვიფოს. საზოგადოებრივი აზრი შმაგ ცხენსა ჰგავს, რომლის შეკავებას და მიმართულების მიცემას ვცდილობ. როდესაც მთავრობა საზოგადოების ნდობას კარგავს, მაშინ ის ეცემა. ასე მოხდა აღმასრულებელი დირექტორიის შემთხვევაშიც... ჩვენ შერეული ტიპის რესპუბლიკა გვჭირდება. ჩემი ხელობა გამარჯვებაა. როდესაც ჩემი საათი ჩამოჰკრავს ან საზოგადოებრივი აზრი ზურგს მაქცევს, გავქრები ისევე, როგორც მრავალი სხვა გამქრალა...“

5. როგორ ხსნის ნაპოლეონი საფრანგეთში არსებული რესპუბლიკური მმართველობის შეცვლის აუცილებლობას?

6. ნაპოლეონის სიტყვებში მოძებნე ის ადგილი, სადაც მონარქიული მმართველობისთვის დამახასიათებელი ნიშნებია ჩამოთვლილი.

7. წყაროს მიხედვით დაახასიათე ნაპოლეონი. გამოხატე შენი პოზიცია, რა მოგწონს და რა არა მის მსჯელობაში.

კონსულობის პერიოდი

ნაპოლეონმა მთავრობა საკმაოდ შერეულად დააკომპლექტა: საგარეო საქმეთა მინისტრად ოტენის ყოფილი ეპისკოპოსი ტალეირანი დანიშნა, პოლიციის მინისტრად – მემარცხენე იდეებით ცნობილი ფუშე, სამხედრო მინისტრად – კარნო, რომელიც რესპუბლიკურ წყობილებას უჭერდა მხარს.

8. შენი აზრით, რატომ დააკომპლექტა მთავრობა ამგვარად? რამდენად სწორი იყო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირების ერთ ხელისუფლებაში ყოფნა?

ნაპოლეონმა სახალხო გამოკითხვა (პლებისციტი) ჩაატარა, რომლითაც იგი სამუდამოდ კონსულად ინიშნებოდა.

ნაპოლეონმა თავდაპირველად პრესის თავისუფლება დაუშვა, გაზეთები თავისუფლად წერდნენ, მოგვიანებით მან პრესას მკაცრი ცენზურა დაუწესა, გაზეთების უმეტესობა დახურა, ხოლო დარჩენილები კონტროლს დაუქვემდებარა. ხალხის დიდი ნაწილი ამ აკრძალვას დაემორჩილა.

მეცნიერები თვლიან, რომ ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ერთი ის, რომ პურის ფასი დარეგულირებული იყო და ხალხი ამ მხრივ უკმაყოფილო არ იყო, მეორე ის, რომ ხალხს წესრიგი და სიმშვიდე ჰქონდა მონატრებული და მესამე ის, რომ წარმატებული საგარეო სამხედრო ოპერაციების შემდეგ ნაპოლეონის პოპულარულობა მკვეთრად იყო გაზრდილი და რაკი შესაძლებლობა მიეცა, ერთპიროვნული მმართველობა გაეზარდა, ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა...

გარდა ამისა, ჟოზეფ ფუშეს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იყო უმკაცრესი საპოლიციო სისტემა, რომელიც ყველა საეჭვო პირს უთვალთვალებდა.

9. ნაპოლეონს უკვე აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა და იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ თვითონ მართავდა საფრანგეთს, მაშინ რაში დაჭირდა, შენი აზრით, პლებისციტის ჩატარება?

ნაპოლეონმა თითქმის ყველა სფეროში რეფორმების გატარება დაიწყო. ერთ-ერთი პირველი, სახელმწიფო-ადმინისტრაციულ რეფორმასთან ერთად, სამართლის ნორმების შემუშავება იყო. მან ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია სამოქალაქო კოდექსის შექმნას და კანონებზე სამუშაოდ კომისია მოიწვია. კომისიამ მუშაობის შედეგები სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა. 1804 წელს, კანონების განხილვის შემდეგ, საბჭომ სამოქალაქო კოდექსი დაამტკიცა.

კოდექსი მიზნად ისახავდა კანონის უზენაესობას. უთანასწორობა და არისტოკრატიული პრივილეგიები წარსულს ჩაბარდა. კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. მეორე მნიშვნელოვანი იდეა იყო კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, რომელსაც საფუძვლად ედო საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური კანონმდებლობის აღიარება. ფრანგმა გლეხმა შეინარჩუნა რევოლუციის შედეგად მოპოვებული მიწა. ნაპოლეონის დროს რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა ძალაში დარჩა. ამიტომ იყო, რომ ფრანგი გლეხი პირდაპირ

აღმერთებდა ნაპოლეონს. კოდექსი ხელს უწყობდა კერძო საკუთრებით თავისუფალ სარგებლობას. განამტკიცებ-და და უზრუნველყოფდა თავისუფალი მეწარმოების განვითარებას. კოდექსი გვევლინება რევოლუციის შედეგად საშუალო ფენის მიერ მოპოვებული წარმატების კონსტიტუციურ გარანტიად. რევოლუციის შედეგად მოპოვებული ქონება მის ახალ მფლობელს უმტკიცდებოდა. იქმნებოდა მყარი საფუძველი საშუალო ფენის განვითარებისათვის. კოდექსი ქადაგებდა „1789 წლის პრინციპებს“, რომლის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა პიროვნების თავისუფლება. კოდექსის კიდევ ერთი პლუსი იყო რელიგიის მიმართ შემწყნარებლობის პოლიტიკა, სინდისის თავისუფლება.

10. იმსჯელე, რატომ იყო მნიშვნელოვანი სამოქალაქო კოდექსის მიღება.

11. იმსჯელე, როგორ შეხვდებოდა ნაპოლეონის კოდექსს ფრანგული საზოგადოება. შენი აზრით, ყველასთვის იქნებოდა ის მისაღები თუ არა?

12. რომელი სოციალური ფენები იქნებოდა ნაპოლეონის ძალაუფლების დასაყრდენი?პასუხი დაასაბუთე.

13. რომელ იდეებს ეფუძვნებოდა, 1789 წლის პრინციპები, ისე ნაპოლეონის კოდექსი?

ნაპოლეონმა გაზეთების რიცხვი ჯერ ცამეტამდე ჩამოიყვანა, ხოლო შემდეგ ოთხამდე. როდესაც მას ინგლისზე მიანიშნეს, სადაც პრესა თავისუფლებით სარგებლობდა, ნაპოლეონმა უპასუხა: ინგლისში სახელმწიფო დიდი ხანია ჩამოყალიბებულია, შესაბამისად სახელმწიფოც მყარია. ჩვენთან საზოგადოებრივი ჯგუფები სრულად ჯერ არ ჩამოყალიბებულან, მოქალაქეები ჯერაც საკმაოდ მოწყვლადები არიან, ხოლო მთავრობა შედარებით სუსტია, ამიტომ ჟურნალისტებს შეეძლებათ, ძირი გამოუთხარონ პიროვნებას, ინსტიტუტებსა და სახელმწიფოსაც კი.

14. შენი აზრით, ეწინააღმდეგებოდა თუ არა პრესისადმი დამოკიდებულება „1789 წლის პრინციპებს“, რომლის მთავარ ქვაკუთხედს პიროვნების თავისუფლება წარმოადგენდა?

15. რა მნიშვნელობა აქვს პრესას საზოგადოებისთვის?

16. იმსჯელე, რამდენად მართებული იყო ნაპოლეონის პრესასთან დაკავშირებული ფრაზა. შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფოს მხრიდან პრესაზე რამე ტიპის ცენზურა არსებობდეს? პასუხი დაასაბუთე.

ისტორიკოსის კომენტარი:

ნიკა ხოფერია, ნაპოლეონი საფრანგეთში: რეფორმები კონსულობისა და იმპერიის ხანაში „...ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ნაპოლეონის პირველი ამოცანა იყო, დაეს რულებინა რევოლუცია და ერთიანი სახელის – „ფრანგების“ – ქვეშ გაეერთიანებინა ის ხალხი, რომელიც ათი წლის განმავლობაში ერთმანეთს მხოლოდ მტრული მეტსახელებით მიმართავდა, – იქნებოდა ეს „ემიგრანტი“, „ტერორისტი“, „იაკობინელი“ თუ „როიალისტი“. საფრანგეთის კარი ხელახლა გაიღო ქვეყნიდან წასული ემიგრანტებისათვის და 80 ათასი ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა.

1802 წლის 18 აპრილს, ძველი გრეგორიანული კალენდრის მიხედვით აღდგომის კვირას, ინგლისთან დაზავებისა (**ამიენის ზავი**) და კათოლიკურ ეკლესიასთან კონკორდატის აღსანიშნავად გამართული წირვისას, პარიზელებმა ათი წლის შემდეგ პირველად მოისმინეს საკათედრო ტაძრის ზარების რეკვის ხმა. ნაპოლეონი თვლიდა, რომ „კარგად მართული ქვეყნისათვის საჭიროა მთავარი რელიგია და სახელმწიფოზე დამოკიდებული მღვდელი. ეკლესია უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს და არა სახელმწიფო ეკლესიას. მისი კონსულობის პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას სწორედ პაპ პიუს VII-თან კონკორდატის დადება წარმოადგენდა. ამან ბონაპარტს

მეტი მხარდამჭერი შესძინა იმ ფრანგთა შორის, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ რევოლუციისას ეკლესიის განდევნითა და მოსპობით. „სახელმწიფო იღებდა კონტროლს განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების აღრიცხვაზე, რასაც ადრე ეკლესია აკეთებდა. დამყარდა რელიგიური თავისუფლება და დამკვიდრდა სამოქალაქო ქორწინება და განქორწინება“.

www.samxedro-istoria.blogspot.com/

ამიენის ზავი – 1802 წელს ამიენის ზავით დასრულდა საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილი მეორე ანტიფრანგული კოალიცია, ინლისი, საფრანგეთი და მათი მოკავშირეები დაზავდნენ.

სათავეში ნაპოლეონ ბონაპარტის მოსვლის შემდეგ საფრანგეთის წინააღმდეგ მიმდინარე ომის ხასიათი და მასშტაბები მთლიანად შეიცვალა. ევროპის სახელმწიფოები საფრანგეთის წინააღმდეგ რამდენჯერმე გაერთიანდნენ. ამიენის ზავიც დროებითი შესვენება აღმოჩნდა ორივე მხარისთვის.



სურ. 4 ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა. ჟაკ-ლუი დავიდი, XIX ს ლუვრის მუზეუმი.

1804 წელს ნაპოლეონმა რომის პაპს თავი იმპერატორად აკურთხებინა. ასევე კათო-ლიკობა ფრანგი ხალხის უმრავლესობის რელიგიად გამოაცხადა.

წყაროები მოგვითხრობს, რომ რომის პაპს სურდა, ნაპოლეონისთვის გვირგვინი დაედგა, როგორც ოდესღაც რომის პაპმა დაადგა ფრანკთა მეფეს, კარლოს დიდს, თავზე გვირგვინი. მაგრამ ნაპოლეონმა გვირგვინი ხელიდან გამოსტაცა და თვითონ დაიდგა თავზე.

ნაპოლეონი რელიგიის შესახებ: ამბობენ, რომ პაპისტი ვარ. სინამდვილეში მე არავინ არ ვარ. ეგვიპტეში მუსლიმი ვიყავი, აქ კათოლიკე ვიქნები ხალხის გულისათვის. მე არ მწამს რელიგიების.

17. იმსჯელე, რატომ არ უნდოდა ნაპოლეონს პაპის ხელიდან გვირგვინის მიღება?

18. შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა ნაპოლეონმა მოგვიანებით იმპერატორად კურთხ ევა? რა პრინციპული განსხვავება შეიძლებოდა ყოფილიყო იმპერატორსა და თუნდაც კონსულს შორის, თუკი ორივე შემთხვევაში იგი იყო მმართველი?

19. ნაპოლეონი თავს რელიგიურ ადამიანად არ თვლიდა, მაშინ რაში დასჭირდა უმაღლესი რანგის სასულიერო პირისგან კურთხევა და ფრანგი ხალხის უმრავლესობის რელიგიად კათოლიკობის გამოცხადება?

20. ისტორიიდან მოიყვანე საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის მაგალითები და შეადარე ნაპოლეონის მაგალითს.

21. როგორ გესმის ფრაზა: „ხალხის გულისათვის კათოლიკე ვიქნები“?

22. შეავსე ცხრილი. გამოყავი საფრანგეთში იმპერიის ჩამოყალიბების დადებითი და უარყოფითი მხარეები (**მოსწავლის რვეული, დავ. 79**)

23. დილემა:

ისტორიკოსები ნაპოლეონის შესახებ დღესაც დავობენ და სრულიად განსხვავებულად აფასებენ, კითხვას სვამენ: ვინ იყო ნაპოლეონი – დიქტატორი თუ რეფორმატორი?

თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ სხვა საკითხებზეც მსჯელობენ: მაგ., ტრადიციული საზოგადოების ტრანსფორმაცია სხვადასხვა გზით მიმდინარეობს: რევოლუციური და ევოლუციური. ზოგან ეს რევოლუციის შედეგად ხდება, ზოგან კი – რეფორმების საშუალებით. შეიძლება ნაპოლეონის მმართველობის ძველ (რევოლუციამდელ) რეჟიმთან გაიგივება?

რა მიზანს ისახავდა ნაპოლეონის რეფორმები? საფრანგეთში რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარებიდან ნაპოლეონის რეფორმები ერთადერთი რეალური გამოსავალი იყო? ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა კი ასე დასვა კითხვა: საფრანგეთის რევოლუციის შედეგად (საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით) წყვეტა არსებობდა თუ უწყვეტობა? ნაპოლეონის რეჟიმი შეესატყვისებოდა ტრადიციას თუ პირიქით?

ნაპოლეონის ომები

ნაპოლეონმა საფრანგეთის სათავეში მოსვლისთანავე შეცვალა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ პოლიტიკა. რევოლუციის შემდეგ ისინი საფრანგეთის წინააღმდეგ ომებს აწარმოებდნენ. ევროპის სახელმწიფოების ნაწილი იმედოვნებდა, რომ რევოლუციური შიდა ბრძოლებით დასუსტებულ საფრანგეთს გარკვეულ ტერიტორიებს წაართმევდა და თან საერთაშორისო ვაჭრობაში ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტს მოიშორებდა. ნაპოლეონმა თავად წამოიწყო ომი. მისი მიზანი ევროპაში საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონიის დამკვიდრება იყო. ევროპულმა სახელმწიფოებმა არაერთხელ შექმნეს კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ.



სურ. 5 ტრაფალგარის ბრძოლა. კლარკსონ ფრედერიკ სტენფილდი. 1836 წ.

ომი საფრანგეთსა და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს შორის 1815 წლამდე გაგრძელდა. ისტორიკოსებმა ამ ეპოპეას „ნაპოლეონის ომები“ უწოდეს და ეპოქასაც ნაპოლეონის სახელით მოიხსენიებენ, რადგან ის, რაც საფრანგეთში და შემდეგ ნაპოლეონის ომების დროს ხდებოდა, ერთი ქვეყნის, ერთი რეგიონის ფარგლებს სცილდებოდა, გლობალური ხასიათი ჰქონდა და მთელი მაშინდელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი იყო.

თავდაპირველად ნაპოლეონი ბრძოლებს ყველა ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზატორის – დიდი ბრიტანეთისა და კონტინენტზე მისი მოკავშირეების წინააღმდეგ აწარმოებდა. ნაპოლეონს ნათქვამი ჰქონდა, რომ ლონდონის ასაღებად მხოლოდ რამდენიმე ნისლიანი ღამე დასჭირდებოდა, თუმცა 1805 წლის 21 ოქტომბერს ტრაფალგარის ბრძოლაში ნაპოლეო-ნის საზღვაო ფლოტი ინგლისელებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. ინგლისის ფლოტს იმ დროის საუკეთესო ადმირალი ნელსონი ხელმძღვანელობდა. ტრაფალგარის ბრძოლა ერთ-ერთი უმსხვილესი საზღაო ბრძოლაა დასავლეთ ევროპის ისტორიაში. მართალია, ნაპოლეონის გეგმა ინგლისის აღებასთან დაკავშირებით ჩაიშალა, მაგრამ მთლიანობაში ომის მიმდინარეობაზე არ უმოქმედია.

იმავე წელს ნაპოლეონი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ტრიუმფით შევიდა, 2 დეკემბერს კი დაბა აუსტერლიცთან მესამე კოალიციის მთავარი წევრების – რუსეთისა და ავსტრიის – არმიებს დაუპირისპირდა. ამ ბრძოლას ისტორიაში სამი იმპერატორის (ნაპოლეონ ბონაპარტის – საფრანგეთის, ფრანც II-ის – ავსტრიის და ალექსანდრე I-ის – რუსეთის) სახელსაც კი უწოდებენ. აუსტერლიცის ბრძოლა ნაპოლეონის ბრძოლებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურად ითვლება.

აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ ავსტრიამ ხელი მოაწერა საფრანგეთთან ზავს და ცნო საფრანგეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, იკისრა დიდი კონტრიბუციის გადახდაც; ავსტრია ასევე ცნობდა სამხრეთგერმანულ მიწებზე ახალი გაერთიანების, „რაინის კავშირის“, შექმნას, რომელიც საფრანგეთის მფარველობაში შევიდოდა. ავსტრიამ ამ ხელშეკრულებით თავისი მიწების დიდი ნაწილი დაკარგა. მომდევნო წელს ნაპოლეონმა პრუსიაც დაამარცხა და ბერლინში შევიდა.

1806 წლის 21 დეკემბერს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა დეკრეტს „კონტინენტური ბლოკადის“ შესახებ. ეს დეკრეტი საფრანგეთზე დამოკიდებულ ყველა სახელმწიფოს ინგლისთან ვაჭრობას და ბრიტანული საქონლის ევროპაში შემოტანას უკრძალავდა. ამ ღონისძიებებით ნაპოლეონი ინგლისისთვის ფინანსური ზარალის მიყენებას ცდილობდა. თუმცა ხერხი არც ისე ეფექტიანი გამოდგა, რადგან ესპანელები და პორტუგალიელები ინგლისელებთან ვაჭრობას არ წყვეტდნენ. თავის მხრივ, ინგლისმაც გამოუცხადა საფრანგეთს ბლოკადა: საქონლით დატვირთულ ყველა ნეიტრალურ ხომალდს, რომელიც საფრანგეთისკენ მიემართებოდა, აკავებდა და საფრანგეთამდე არ უშვებდა.



სურ. 6 ინგლისის პრემიერ-მინისტრი უილიამ პიტი და ნაპოლეონ ბონაპარტე იყოფენ მსოფლიოს. ინგლისელი კარიკატურისტი ჯეიმს გირლეი. 1805 წ.

24. რას აშარჟებს ამ კარიკატურით ავტორი? რა ინფორმაციას გვაწვდის კარიკატურა მიმდინარე მოვლენებზე?

1807 წელს ნაპოლეონმა დაამარცხა მეოთხე კოალიციის წევრების – პრუსიისა და რუსეთის – გაერთიანებული ჯარები და ქალაქ ტილზიტში დადებული ზავით რუსეთი აიძულა, ელიარებინა ევროპაში მომხდარი ყველა ტერიტორიულ-პოლიტიკური ცვლილება და ნაპოლეონის მიერ გამოცხადებულ კონტინენტურ ბლოკადას მიერთებოდა.

ისტორიკოსის კომენტარი:
ალექსანდრე მიქაბერიძე

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქართლ-კახეთის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ნაპოლეონისა და ირანის ურთიერთობებში. ირანის შაჰს სურდა საქართველოსა და აზერბაიჯანზე კონტროლის აღდგენა, ნაპოლეონს კი ირანის ამხედრება და აღმოსავლეთში პოზიციიის განმტკიცება.

1807 წლის 4 მაისს, საფრანგეთსა და ირანს შორის ფინკენშტაინის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მეოთხე მუხლით აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის ძალაუფლების აღდგენა იყო გათვალისწინებული.

რეალურად ეს მუხლი არასოდეს განხორციებულა. ნაპოლეონს წერილს უგზავნიდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე და აგრეთვე რუსეთის მოწინააღმდეგე თეიმურაზ და ალექსანდრე ბატონიშვილები. ისინი მას დახმარებას თხოვდნენ, თუმცა ცხადია ნაპოლეონს მათთვის არ ეცალა.

იმავე წელს ნაპოლეონმა პორტუგალიასაც მოსთხოვა, შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას, თუმცა უარი მიიღო. მომდევნო წელს ნაპოლეონის ჯარებმა პორტუგალია დაიკავეს, 1808 წელს კი ესპანეთის ოკუპაცია დაიწყო. ესპანელები ნაპოლეონის წინააღმდეგ პარტიზანულ ომში ჩაებნენ, ამიტომ ფრანგებმა მადრიდის აღება უდიდესი მსხვერპლის ფასად მოახერხეს.



სურ. 7 სამი მაისი. (ფრანგი ჯარისკაცები ხვრეტენ ესპანელ მებრძოლებს) ფრანსისკო გოია, 1814 წ.

25. რა მიზანი ჰქონდა „კონტინენტურ ბლოკადას“? რა შემთხვევაში შეეძლო საფრანგეთს ამ მიზნის მიღწევა?

26. რა არის გოიას მთავარი სათქმელი?

27. რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს მხატვრობა, როგორც პროპაგანდა? რამდენად იმოქმედებდა ადამიანებზე მსგავსი ნახატის ხილვა? მოიძიე ნაპოლეონის კარის მხატვრების ნამუშევრები და შეადარე გოიას ნამუშევარს.



რუკა 30. ევროპა 1810 წლისთვის.

28. 1810 წლისთვის ასე გამოიყურებოდა ევროპის რუკა. რუკის მიხედვით, რომელი სახელწიფოები მოექცა საფრანგეთის გავლენის სფეროში?

29. როგორ ფიქრობ, მიაღწია თუ არა ნაპოლეონმა თავის მიზანს? საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ამ სახელმწიფოების დაპყრობა?

თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ნაპოლეონი იმაში ხედავდა, რომ ახალი ფრანგუ-ლი კანონები გაევრცელებინა დაპყრობილ ევროპის ქვეყნებში. 1806 წელს ის შემოიღეს იტალ-იაში, 1807 წელს გერმანიაში და ჰოლანდიაში, 1810 წელს პოლონეთში. 1813 წელს ესპანეთ-ში გააუქმეს ინკვიზიცია.დაპყრობილ ქვეყნებში გაუქმდა ფეოდალური სენიორალური ვალ-დებულებები.

წყარო ბ) ნაპოლეონი სამოქალაქო კოდექსზე

ჩემი ნამდვილი დიდება ორმოცი ბრძოლის მოგება კი არ არის – მათ მეხსიერებიდან მხოლოდ ვატერლოოც წაშლის. ის, რაც დავიწყებას არ მიეცემა და მუდმივად იარსებებს, ჩემი სამოქალაქო კოდექსია.

30. რატომ მიაჩნდა ნაპოლეონს თავის მთავარ მიღწევად სამოქალაქო კოდექსის გავრცელება?

31 როგორ აფასებს ამ ფაქტს ნიკო ნიკოლაძე? როგორ გესმის მისი ნათქვამი: „მან აქ, (გერმანიაში) ძველი უწესობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“? რა იგულისხმება „უწესობასა და უსამართლობაში“?

32. იმსჯელე, რა განსხვავებული განწყობები შეიძლებოდა ჰქონოდათ ადამიანებს სხვადასხვა ქვეყანაში ნაპოლენის ომების მიმართ.

33. როგორ ფიქრობ, ექნებოდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის გავრცელებას რამე მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ ნაპოლეონი დაპყრობილ ტერიტორიებს ვერ შეინარჩუნებდა?

ნაპოლეონმა კონტინენტური ბლოკადით თავის მიზანს ვერ მიაღწია, რადგან საფრან-გეთის მოკავშირეები, მათ შორის რუსეთიც, კონტინენტური ბლოკადის წესებს არღვევდნენ და ინგლისთან ფარულად ვაჭრობდნენ. მან რუსეთზე ლაშქრობა გადაწყვიტა და 1810 წლის ბოლოდან ლაშქრობის სამზადისს შეუდგა. ნაპოლეონმა დიდი არმია შეკრიბა, რომელშიც ფრანგების გარდა, უკვე დამორჩილებული და მოკავშირედ ქცეული ქვეყნების ჯარებიც შედიოდნენ.

1812 წელს ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა. რუსეთის არმიის გენერლის ბარკალაი დე ტოლის გეგმა იყო, ნაპოლეონი რუსეთის სიღრმეში შეეტყუებინათ. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი რაც უფრო შორს მიდიოდა, სულ უფრო იზრდებოდა უკმაყოფილება რუსეთში, დე ტოლი ჩამოაშორეს სარდლობას, მთავარსარდალი მიხეილ კუტუზოვი გახდა. 1812 წელს ნაპოლეონმა მოახერხა ბოროდინის ველზე ბრძოლაში გამარჯვება და რუსული არმიის დამარცხება, მან მოსკოვიც კი აიღო.



სურ. 8 ფრანგების უკან დახევა რუსეთიდან. ილარიონ პრიანიშნიკოვი, XIX ს.

მაგრამ რუსებმა ქალაქი მას ცარიელი და გადამწვარი დაუტოვეს. ნაპოლეონი არ ელოდებოდა ომის დიდხანს გაგრძელებას, ამიტომ მისი ჯარისკაცები ხანგრძლივი ზამთრისათვის მზად არ იყვნენ, სუსხიანი ამინდი და საკვების უკმარისობა ფრანგული არმიისთვის პრობლემად იქცა. წყაროები მოგვითხრობს, რომ რუსებმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ე. წ. გადამწვარი მიწის ტაქტიკა შეიმუშავეს. ანადგურებდნენ და წვავდნენ ყველა ადგილს, სადაც ნაპოლეონს შეიძლებოდა გაევლო.

რუსეთში ეს ომი სამამულო ომად ითვლებოდა, რუსი პარტიზანები ნაპოლეონის ლაშქარს დიდ ზარალს აყენებდნენ. საბოლოოდ ნაპოლეონი იძულებული გახდა, საკმაოდ დაზარალებული და შეთხელებული არმია რუსეთიდან გაეყვანა.

34. რა იყო რუსეთში ნაპოლეონის დამარცხების მიზეზები?

35. შენი აზრით, რა გზები არსებობდა გამარჯვებისათვის და რა შეცდომები დაუშვა ნაპოლეონმა?

36. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა ბონაპარტი რუსეთში განცდილი მარცხის შემდეგ?

1812 წლის ბოლოს პარიზში დაბრუნებული ნაპოლეონი ახალი არმიის შეკრებას შეუდგა. მაგრამ ძალთა თანაფარდობა მისთვის ხელსაყრელი აღარ იყო. საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთი, პრუსია, ავსტრია და შვედეთი გაერთიანდნენ.

1813 წლის 16-19 ოქტომბერს ლაიფციგთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ეს იყო ყველაზე სასტიკი და სისხლიანი ბრძოლა, რომელიც ისტორიაში „ხალხთა ბრძოლის“ სახელით შევიდა. ნაპოლეონი დამარცხდა. ფრანგებმა 80 ათასამდე კაცი და თითქმის მთელი არტილერია დაკარგეს, მოკავშირეებმა — 54 ათასი კაცი. ლაიფციგის ბრძოლამ დააჩქარა ნაპოლეონის საბოლოოდ დამხობა. 1814 წლის მარტის ბოლოს მოკავშირეთა ძალები უკვე პარიზისკენ დაიძრნენ და 31 მარტს პარიზში შევიდნენ.

მონარქისტებმა სამეფო დინასტიის აღდგენა მოითხოვეს. ნაპოლეონის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **ტალეირანი** და ზოგი მოხელე მონარქისტების მხარეზე გადავიდნენ. სენატმა ნაპოლეონი იმპერატორობიდან გადააყენა და საფრანგეთის მეფედ ლუი XVIII (საფრაგეთის რევოლუციის პერიოდში სიკვდილით დასჯილი ლუი XVI-ის ძმა) გამოაცხადა. ემიგრაციაში მყოფი ბურბონების დინასტია პარიზში დაბრუნდა, ნაპოლეონი კი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს და 1000 ჯარისკაცი გააყოლეს მეთვალყურედ.



შარლ მორის დე ტალეირანი – ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელსაც ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა სხვადასხვა რეჟიმის დროს, დაწყებული დირექტორიიდან დამთავრებული ლუი-ფილიპის მთავრობით.

საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია დამყარდა. თუმცა, მცდელობის მუხედავად, მონარქისტული ტრადიციები სრულად ვერ აღდგა, რადგან ბურჟუაზიის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. ტახტზე დაბრუნებულმა ბურბონმა მეფემ ლუი XVIII-მ მიიღო ქარტია, რომლის მიხედვითაც მყარდებოდა კონსტიტუციური მონარქია, ხალხის სამოქალაქო უფლებები გარანტირებული იქნებოდა, კათოლიკობა სახელმწიფო რელიგია იქნებოდა, თუმცა ქარტია ითვალისწინებდა რელიგიური თავისუფლების იდეას. აგრეთვე მიიღეს ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატაში მეფე ნიშნავდა წარმომადგენლებს, ხოლო ქვედა პალატა არჩევითი იყო. მიუხედავად ამისა, ხალხი უკმაყოფილო იყო ბურბონების მმართველობით და ნაპოლეონის დაბრუნების მომხრე იყო.

ნაპოლეონი მოვლენების განვითარებას კუნძულიდან აკვირდებოდა. იმავდროულად, 1814 წელს ევროპული სახელმწიფოების მონაწილეობით ვენაში კონგრესი შეიკრიბა, რომელსაც ევროპაში წესრიგი უნდა დაემყარებინა და საზღვრები დაედგინა. კონგრესის მიმდინარეობის დროს მონაწილე სახელმწიფოებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო.



სურ. 9 კარიკატურა: ბონის სევდა, მედიტაციები კუნძულ ელბაზე

37. რა ფაქტორები უშლიდა ხელს საფრანგეთში მონარქის ძალაუფლების რევოლუციამდელი ფორმით აღდგენას?

38. რატომ იყვნენ მოკავშირეები დაინტერესებული საფრანგეთში მონარქიის აღდგენ ით?

39. რატომ დადგა ევროპაში ვენის კონგრესის მოწვევის აუცლილებლობა? რა წინააღმდეგობები იქნებოდა კონგრესის მონაწილე ევროპულ სახლმწიფოებს შორის?

40. SWOT-ანალიზის სქემის სა შუალებით შეაფასე ნაპოლონის სამხედრო შესაძლებლობები 1812 წლის რუსეთის სამხედრო კამპანიის დაწყების წინ (**მოსწავლის რვეული, დავ. 80**).

41. რა არის კარიკატურის ავტორის მთავარი სათქმელი?

42. მხარეს, რომელსაც იგი გაჰყურებს, ევროპის კონტინენტი აწერია. რაზე მიანიშნებს მხატვარი?

100-დღიანი მმართველობა

ნაპოლეონმა გადაწყვიტა, ამ ვითარებით ესარგებლა. 1815 წლის 1 მარტს ის ათასკაციანი რაზმით და 6 ზარბაზნით საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე გადავიდა და ძალიან სწრაფად დაიძრა პარიზისკენ. საფრანგეთის მეფის მიერ მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები ნაპოლეონის მხარეზე გადავიდნენ. მალე ნაპოლეონი პარიზში ტრიუმფით შევიდა. მეფე თავისი ამალითურთ საზღვარგარეთ გაიქცა.



სურ. 10 კარიკატურა: ნაპოლეონის გაქცევა კუნ-ძულ ელბადან

43. რა არის კარიკატურის ავტორის მთავარი სათქმელი?

44. კარიკატურის ავტორი ნაპოლეონის მხარდამჭერია თუ მოწინააღმდეგე? დაასაბუთე სურათის მიხედვით.

ევროპული სახელმწიფოები სასწრაფოდ გაერთიანდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოს ბრძოლაში მოკავშირეებმა ნაპოლეონი საბოლოოდ დაამარცხეს. ნაპოლეონმა ძალაუფლების დაბრუნება მხოლოდ მხოლოდ ასი დღით შეძლო, ამიტომ ამ პერიოდს ისტორიაში „ნაპოლეონის 100-დღიან მმართველობას“ უწოდებენ. ამის შემდეგ საფრანგეთში ისევ ბურბონთა დინასტია აღადგინეს. ნაპოლეონმა იმპერატორობაზე კვლავ

უარი განაცხადა. ის ამერიკაში გამგზავრებას გეგმავდა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ინგლისურ ესკადრას საფრანგეთის სანაპირო ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული. ნაპოლეონი იძულებული გახდა, ინგლისელებს ჩაბარებოდა. ინგლისის მთავრობამ დანარჩენ მოკავშირეებთან შეთანხმებით ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლა, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც 1821 წელს.

კუნძულზე გამგზავრების წინ ნაპოლეონმა საკუთარ გვარდიასთან გამომშვიდობება ისურვა და მებრძოლებს მიმართა: „მე თქვენი, ყველას, ჩახუტება მსურდა, მაგრამ დროშას ვაკოცებ, რადგან ის ყველას გაერთიანებთ“. ნაპოლეონმა დროშას აკოცა, გვარდიამ კი შესძახა: „გაუმარჯოს იმპერატორს!“

წყარო ა) ნაპოლეონის გადადგომის აქტი, 22.VI. 1815 წ.

„ფრანგებო! დავიწყე რა ომი ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ვიმედოვნებდი ყველა ძალისხმევისა და ყველა სურვილის გაერთიანების ხელშეწყობას. მე მქონდა საფუძველი, წარმატების იმედი მქონოდა და არ ვანიჭებდი მნიშვნელობას ჩემ წინააღმდეგ მომართულ მთავრობათა დეკლარაციებს. მდგომარეობა იცვლება. მე თავს ვდებ საფრანგეთის მტრების სიძულვილის სამსხვერპლოზე. შეიძლება კი ისინი იყვნენ გულწრფელნი, როცა აცხადებდნენ, რომ მათ ყოველთვის მხოლოდ ჩემი თავი სჭირდებოდათ?!

ჩემი პოლიტიკური ცხოვრება დასრულდა და მევე ვაცხადებ ჩემს ვაჟიშვილს ნაპოლეონ II-დ და საფრანგეთის იმპერატორად... მოქმედი მინისტრები ქმნიან დროებით სახელმწიფო საბჭოს. ზრუნვა ჩემს ვაჟზე მაიძულებს, მივმართო პალატებს, რომ მათ დაუყონებლივ, საკანონმდებლო წესით დააარსონ რეგენტობა. ყველანი გაერთიანდით საზოგადოებრივი ხსნისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად!“.

45. რაზე მეტყველებს ნაპოლეონის შესვლა ასე სწრაფად პარიზში?

46. შენი აზრით, ჰქონდა თუ არა ნაპოლეონს ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო რესურსი (ადამიანური, მატერიალური)?

47. რის გადარჩენას აპირებდა ნაპოლეონი გადადგომით?

48. რა დამოკიდებულება ჰქონდა ნაპოლეონს ძალაუფლების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით? რამდენად მისაღები იქნებოდა მოკავშირეებისთვის (იგულისხმება მოწინააღმდეგე სახელმწიფოები) გადადგომის აქტში განცხადებული სურვილი?

49. კლასში კიდევ ერთხელ დაუბრუნდით დასმულ დილემას: ვინ იყო ნაპოლეონი: დიქტატორი თუ რეფორმატორი? გამოთქვით მოსაზრებები.

50. შენი აზრით, რატომ არ დასაჯეს სიკვდილით ნაპოლეონი და რატომ გადაასახლეს?

51. წარმოიდგინე, რომ ომი დასრულდა, ვატერლოოს ბრძოლა წაგებულია, ფრანგული არმია განადგურდა, იმპერატორი ტყვედ ჩავარდა. ხარ ინგლისის წარმომადგენელი. რა პოზიცია გექნებოდა ნაპოლეონის ბედთან დაკავშირებით? შეიწყალებდი, სიკვდილით დასჯას მოითხოვდი თუ გადასახლებას დაუჭერდი მხარს? (მოიფიქრე არგუმენტები).

52. წარმოიდგინე, რომ ნაპოლეონმა ვატერლოოს ბრძოლაში გაიმარჯვა. შენი აზრით, ასეთ შემთხვევაში როგორ განვითარდებოდა ევროპის ისტორია?

53. მომდევნო გვერდზე მოყვანილია შეფასებები ნაპოლეონზე. გაეცანი მათ და კლასში გამართეთ დისკუსია, რომელ მათგანს იზიარებთ და რატომ?

ისტორიკოსის კომენტარი

პოლ შრედერი, ამერიკელი ისტორიკოსი

მან არა მხოლოდ დაიპყრო და დათრგუნა სხვა სახელმწიფოები ომში, არამედ მათზე ჩაგვრის, მანიპულაციისა და გამოძალვის ტაქტიკას იყენებდა მშვიდობის დროს, თითქმის არ აინტერესებდა, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი თუ მეგობრულად; ის ხშირად არღვევდა გააზრებებს, დაპირებებს და ხელშეკრულების ვალდებულებებს; მან ყველა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები პრინციპულად დაუქვემდებარა საფრანგეთს და საბოლოოდ თავის თავს.

ემანუელ მაკრონი (საფრანგეთის პრეზიდენტი)

ნაპოლეონი არის ადამიანი, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩვენი ადმინისტრაციული და პოლიტიკური წესრიგი, გაურკვეველი სუვერენიტეტი, რომელიც რევოლუციის შედეგად იყო წარმოშობილი, მან წესრიგად იქცა.

ჟან ტიულარი, ფრანგი ისტორიკოსი

თავისი სიკვდილის შემდეგ ნაპოლეონმა ცარიელი ადგილი დატოვა, რადგან შემცვლელი არ ჰყოლია. 1804 წელს გამოცხადებული მემკვიდრეობითი იმპერია 1811 წლამდე უმემკვიდრეო მონარქია იყო.

ნაპოლეონი მხოლოდ ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებული ავანტიურისტი იყო, ცინცინატუსის მსგავსი მხსნელი, რომელიც რესპუბლიკის გადარჩენის შემდეგ თავის გუთანს აღარ მიბრუნებია.

კლოდ რიბე, ფრანგი ისტორიკოსი და საზოგადოებრივი აქტივისტი, ავტორი წიგნისა „ნაპოლეონის დანაშაულები“

ნაპოლეონი იყო გადამწყვეტი რასიზმისა და დისკრიმინაციის შექმნაში.
ბევრ ქვეყანაში არსებობდა მონობა, მაგრამ საფრანგეთი ერთადერთი იყო, რომელმაც აღადგინა იგი.

(რიბე საუბრობს ფაქტზე, როდესაც ნაპოლეონმა საფრანგეთის კოლონიებში მონობის აღდგენას მოაწერა ხელი, რომელიც 1794 წელს გაუქმდა. ამან აჯანყებები გამოიწვია, თუმცა სასტიკად ჩაახშვეს).

ალექსანდრე მიქაბერიძე ისტორიკოსი

ნაპოლეონმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მემკვიდრეობა დატოვა, რომელმაც დიდად განსაზღვრა ბევრი ქვეყნის განვითარება, თუნდაც ადმინისტრაციული ცვლილებები, განათლების ახალი სისტემა, კანონები და კოდექსები თუ საფინანსო უწყებები, ნაპოლეონმა რომ შექმნა და დღემდე ქმედითუნარიანია.

ედუარდ დრიაულთი. ინგლისელი ისტორიკოსი

„მონარქიული ევროპა 15 წლის განმავლობაში ებრძოდა ნაპოლეონს, როგორც ებრძოდა რევოლუციას, რომლის მემკვიდრეც თავად ნაპოლეონი იყო. რევოლუციის მსგავსად მან საბოლოოდ გაანადგურა ბასტილიები და ყველა ქვეყანაში შეიტანა თანასწორობის „სახარება“. აუსტერლიცში მან სასიკვდილოდ განგმირა საღვთო რომის იმპერია და მეტიც, ადგილობრივ პალატას გაუღვივა ეროვნული მისწრაფებები, რადგან პალატაში მათ შეეძლოთ თავისუფლად გამოეხატათ აზრი... ის ძალიან ამბიციური იყო, მაგრამ, ამავე დროს, გადაღლილი. მისი მმართველობა კონტრასტულია. მაგრამ რაც უნდა ითქვას, ფაქტი ერთია, რომელსაც ისტორია ყოველთვის გაუსვამს ხაზს: მან დაიწყო ომი ძველი რეჟიმის ფეოდალური პრივილეგიების დამცველი მეფეების წინააღმდეგ, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ და ბრძოლა პრივილეგიების წინააღმდეგ. ამიტომაც როცა იგი დამარცხდა, მასთან ერთად ხალხიც დამარცხდა“. ფრანსუა-რენე დე შატობრიანი, ფრანგი მწერალი, პოლიტიკოსი, დიპლომატი და ისტორიკოსი. მოგონება (მოგონებები შეგროვდა და გამოქვეყნდა 1849-1850 წლებში).

„ბონაპარტი არ იქნება ცნობილი თავისი სიტყვებითა თუ გამოსვლებით, წერილებით, ჩანაწერებით, თავისუფლების სიყვარულით. ეს მას არასოდეს ახასიათებდა. ის იქნება ცნობილი შესანიშნავი საქმეებით: რეგულარული მთავრობის შექმნით, კანონთა კოდექსით, სასამართლოებით, სკოლებით, ძლიერი, აქტიური და ინტელექტუალური ადმინისტრაციით. ის შესანიშნავია იმის გამო, რომ ქაოსი წესრიგად გადააქცია. ის გენიოსია, რომელმაც შეძლო 36-ზე მეტი მილიონი სუბიექტის დამორჩილება. თავისი ათწლიანი მმართველობის განმავლობაში მან შექნა საოცრება, რომლის გაგება დღეს ძნელია“.

§ 51. ვენის კონგრესი. საფრანგეთში ბურბონების რესტავრაციიდან ივლისის რევოლუციამდე

წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის გადასახლების შემდეგ ვენის კონგრესმა მუშაობა განაახლა. საფრანგეთის მოლაპარაკების მაგიდასთან მიწვევას არავინ ელოდა. თუმცა სხვადასხვა გარემოების გამო მიიწვიეს და განაცხადეს, რომ დამარცხებული არა საფრანგეთი, არამედ ნაპოლეონი იყო. კონგრესზე ბურბონების წარმომადგენელი, ნაპოლეონის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი დაუშვეს. რუსეთს თავად იმპერატორი ალექსანდრე I წარმოადგენდა. კონგრესის განმავლობაში დიპლომატიური ბრძოლა მიმდინარეობდა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელებს შორის.

წყარო ა) წყარო ბ. ტალეირანი, „მემუარები“

„ისინი (გამარჯვებული ქვეყნები) გაკვირვებული იყვნენ იმის გამო, რომ პარიზის დაკავების შედეგად მათ უმნიშვნელო სარგებელი მიიღეს. როგორ შეეძლოთ მათ, ევროპული სახელმწიფოების საბჭოზე დაეშვათ სახელმწიფო, რომლის იარაღის მუქარის ქვეშ იყო ევროპა 20 წლის მანძილზე?.. მე მალე შევიტყვე, რომ მათ უკვე შექმნეს კომიტეტი და ჩაატარეს თათბირი, რის თაობაზეც ოქმი შეადგინეს. ისინი იზრუნებდნენ, თვითონ გადაეწყვიტათ ყველაფერი საფრანგეთის, ესპანეთისა და მეორეხარისხოვან სახელმწიფოების გარეშე. მე შემეძლო, მხოლოდ იმის იმედი მქონოდა, რომ სახელმწიფოთა შორის თავს იჩენდა წინააღმდეგობები, როცა საქმე მიდგებოდა იმ ვრცელი ტერიტორიების განაწილებაზე, რომლებიც ომის მსვლელობაში აღმოჩნდა მათ განკარგულებაში. თითოეულ მათგანს სურდა, ან თავისთვის, ან მასზე დამოკიდებული ქვეყნისათვის მიეღო დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი... საჭირო იყო ყოველივე იმის გაუქმება, რაც საფრანგეთის გვერდით ავლით იყო გადაწყვეტილი. როცა საფრანგეთის წარმომადგენლები კონგრესზე ღიად გამოვიდნენ **ლეგიტიმიზმის** პრინციპის მხარდასაჭერად, სახელმწიფოებმა მისთვის მხარდაჭერის მზადყოფნა გამოხატეს... როდესაც ეს სახელმწიფოები (საფრანგეთი, ავსტრია, ინგლისი) დარწმუნდნენ, რომ მათი ინტერესები თანხვდება ლეგიტიმიზმის პრინციპებს, ხალისით აღიარეს მისი უპირატესობა სხვა სახელმწიფოთა გამორჩენის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი იქცნენ მის დამცველებად და მალე საფრანგეთმა, ავსტრიამ და ინგლისმა ჩამოაყალიბეს საიდუმლო კავშირი რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ“.

ლეგიტიმიზმი – მე-19-20 სს.-ში დასავლეთ ევროპაში (განსაკუთრებით საფრანგეთში): პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც სახელმწიფო წეს-წყობილების მთავარ პრინციპად მიაჩნდა ხელისუფლებაზე რომელიმე დინასტიის მემკვიდრეობის უფლება.

1. რით იყო გამოწვეული დამარცხებული საფრანგეთის დაშვება ვენის კონგრესზე და რამდენად სწორი პოზიცია დაიკავა მისმა დელეგაციამ კონგრესზე?

2. რაში ხედავ საფრანგეთის დიპლომატიის მთავარ წარმატებას კონგრესზე? ტალეირანს ხშირად მედროვეობისა და უპრინციპობის სინონიმად მოიხსენიებენ. მოსწავლის რვეულში გაეცანი დამატებით ინფორმაციას ტალეირანზე და იმსჯელე, მართებულია თუ არა მისი ასეთი შეფასება?

3. წყაროების მიხედვით დაასკვენი, რომელი სახელმწიფოები წყვეტდნენ მაშინდელი ევროპის ბედს?

კონგრესის დასკვნით აქტს ხელი 1815 წლის 9 ივნისს მოაწერეს. მიჩნეულია, რომ საერ-თაშორისო ურთიერთობებში ახალი ეტაპი სწორედ ვენის კონგრესით იწყება. ამ ეტაპს „ვენის სისტემას“ უწოდებენ. ევროპული სახელმწიფოებისთვის უმთავრესი გახდა ევროპაში წონას-წორობისა და ბალანსის შენარჩუნება. პასუხისმგებლობა კი თავად „დიდ სახელმწიფოებს“:

დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს ეკისრებოდა. ამ სისტემამ საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა დაამკვიდრა. პირველად დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაში მოლაპარაკებები შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობების ვენის სისტემა, ე. წ. „ევროპული კონგრესი“, უაღრესად მდგრადი აღმოჩნდა.

- საფრანგეთის წარმომადგენელმა ტალეირანმა წარმატებას მიაღწია, რადგან საფრანგეთი ნაპოლეონამდელ საზღვრებს დაუბრუნეს.
- რუსეთმა მიიღო ვარშავის საჰერცოგოს დიდი ნაწილი, რომელზეც მას დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა პრეტენზია.
- პრუსიას გადაეცა ვარშავის საჰერცოგოსა და საქსონიის ნაწილი.
- გერმანიის სახელმწიფოები და თავისუფალი ქალაქები (39 სახელმწიფო) გაერთიანდა „საერთო გერმანულ კავშირში“ (კონფედერაციაში).
- ნიდერლანდები და ბელგია ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა და ეწოდა ნიდერლანდების სამეფო.
- შვეიცარიას მიენიჭა ნეიტრალიტეტი.
- ავსტრიას გადაეცა ვენეციის ოლქი და დალმაცია.
- ნეაპოლიტანელ ბურბონთა საგვარეულოს წარმომადგენელს – ფერდინანდ IV-ს დაუბრუნდა ნეაპოლის სამეფო და ის ორივე სიცილიის (ნეაპოლისა და სიცილიის) მეფედ აღიარეს.



რუკა 31. ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ



სურ. 1 ვენის კონგრესი. კარიკატურა, 1815 წ.

4. ჩამოთვალე ის სახელმწიფოები, რომლებმაც ვენის კონგრესის შემდეგ: ა) ახალი ტერიტორიები მიიერთეს, ბ) ტერიტორიები დაკარგეს.

5. შენი აზრით, რომელმა სახელმწიფოებმა მოიგეს განსაკუთრებით ვენის კონგრესის დასკვნითი აქტით?

6. ევროპისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ვენის კონგრესს?

7. იმსჯელე ვენის კონგრესის როლზე ევროპის ისტორიისათვის.

8. შენი აზრით, რამდენად სამართლიანად განაწილდა ტერიტორიები?

9. შენი აზრით, ის „წონასწორობა და ბალანსი“, რომელიც ევროპაში ვენის კონგრესის შემდეგ დამკვიდრდა, იქნებოდა თუ არა იქ მცხოვრები ყველა ხალხისათვის მისაღები? რატომ?

10. როგორ ფიქრობ, უზრუნველყოფდა თუ არა მშვიდობას ასეთი განაწილება? პასუხი დაასაბუთე.

11. როგორ შეაფასებ ვენის კონგრესის შედეგებს საფრანგეთისთვის?

12. შენი აზრით, რა არის კარიკატურის მთავარი სათქმელი?

13. შენი აზრით, კარიკატურაზე საფრანგეთის წარმომადგენლად რატომ არის გამოყვანილი ნაპოლეონი?

ბურბონების რესტავრაცია

ნაპოლეონმა რამდენჯერმე სცადა, დაბრუნებულიყო საფრანგეთში, მაგრამ ინგლისელები საიმედოდ სდარაჯობდნენ. იმპერატორს წმინდა ელენეს კუნძულზე დრო წიგნების კითხვითა და მემუარების წერით გაჰყავდა. იგი 1821 წელს გარდაიცვალა. საფრანგეთში კი ისევ ბურბონთა საგვარეულო დინასტიის წარმომადგენელი ლუი XVIII გამეფდა. მან გადაწყვიტა, ნაპოლეონის მომხრეებისა და რესპუბლიკელების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებები წამოეწყო. მოკლეს ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მარშალი ნეი, ასევე მოკლეს მარშალი ბრუნი და მისი სხეულის ნარჩენები მდინარეში გადაყარეს, დახოცეს ნაპოლეონის მამლუქები, რომლებიც ეგვიპტეში დაბრუნებას აპირებდნენ. მეფე სახალხოდ ასეთ ამბებს არ იწონებდა, მაგრამ ისტორიკოსები ამბობენ, რომ სინამ-დვილეში სწორედ იგი იყო ასეთი ტერორის წამხალისებელი.



სურ. 2 მოხუცი სულელი XVIII ცდილობს, ნაპოლეონის ჩექმები მოირგოს – ესპანური ლაშქრობისათვის ემზადება.

14. რა პოზიციას აფიქსირებს კარიკატურის ავტორი ლუი XVIII-თან დაკავშირებით?

15. როგორ გესმის კარიკატურაში ,,ნაპოლეონის ჩექმების მორგება“?

16. რას დასცინის კარიკატურის ავტორი?

17. ნახატის (სურ.3) მიხედვით, როგორ ხვდება მკვლელებს მარშალი?

18. შეიძლება თუ არა გამოვიცნოთ, ვის მხარესაა ნახატის ავტორი? პასუხი დაასაბუთე.

19. რატომ ეშინოდათ ბურბონებს ფრანგული არმიის გავლენიანი მარშლების?

საფრანგეთიდან გააძევეს პირები, ვისაც ლუი XVI-ის სიკვდილისთვის ჰქონდა ხმა მიცე-მული. ლუი XVIII-ის მეფობა კონსტიტუციური მონარქიის პერიოდია. ფრანგულ პარლამენ-ტში ორი მიმართულება გამოიკვეთა: ულტრაროიალისტები და ლიბერალები. ულტრაროიალისტები ცდილობდნენ, სამღვდელოების, არისტოკრატიისა და მიწისმ-ფლობელების ინტერესები გაეტარებინათ (ისინი აკონტროლებდნენ საფრანგეთის პარლამენ-ტის ქვედა პალატას). მათი სურვილი იყო, რევოლუციის ყველა მონაპოვარი გაექროთ, რასაც მეფე არ ეთანხმებოდა. მან 1816 წელს ეს პარლამენტი დაითხოვა.



სურ. 3 მარშალ ბრუნის მკვლელობა. გუსტავ რუ, XIX ს.

მეფემ ძველი რეჟიმის დროინდელი რამდენიმე რელიგიური დღესასწაული დააბრუნა, მაგალითად 25 აგვისტოს წმინდა ლუის ხსენების დღე. მაგრამ იგი მომხრე იყო, ქვეყანაში რელიგიური თავისუფლება ყოფილიყო.

თავდაპირველად მეფე პრესის მიმართ ლიბერალურად იყო განწყობილი, თუმცა თავისი მომხრის, შარლ ფერდინანდის, მკვლელობის შემდეგ პრესის თავისუფლება შეზღუდა და თა-ვისი მმართველობისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხის თვალთვალი გააძლიერა. 1821 წლიდან ულტაროიალისტები აღზევდნენ.

საგარეო მიმართულებით მეფე კონსერვატიულად იყო განწყობილი. იგი ცდილობდა, მეზობელ ქვეყნებში არ დაეშვა რევოლუციური მოძრაობები. 1823 წელს ფრანგული არმია ესპანეთში შეიჭრა, რევოლუციური მოძრაობა ჩაახშო და ტახტი მეფე ფერდინანდ VII-ს დაუბრუნა. 1824 წელს მეფე ლუი XVIII გარდაიცვალა, მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ ტახტი მისმა უმცროსმა ძმამ შარლ X-მ (1824-1830 წწ.) დაიკავა.

20. შენი აზრით, რატომ ცდილობდა საფრანგეთი, არ დაეშვა მეზობელ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობები? გამოთქვი ვარაუდი.

1830 წლის ივლისის რევოლუცია

შარლ X თავიდანვე ცნობილი იყო, როგორც ულტრაროიალისტების წინამძღოლი და მათი ინტერესების გამტარებელი.

ამის მიუხედავად, ხელისუფლებაში მოსვლისას მან ლიბერალური რეფორმა გაატარა და პრესასთან დაკავშირებული ცენზურა შეასუსტა. მალე მეფემ თავისი გუნდის ინტერესების გატარება დაიწყო, მაგალითად, ერთ-ერთი მიღებული კანონის მიხედვით, ფულადი კომპენსაცია უნდა გადაეხადათ იმ ხალხისთვის, ვინც რევოლუციისას ქონება დაკარგა. საქმე ეხებოდა დაახლოებით 988 მილიონ ფრანკს, რაც უზარმაზარი თანხა იყო. მოწინააღმდეგეები თვლიდნენ, რომ შარლ X-მ რევოლუციის მონაპოვარს ხაზი გადაუსვა, რადგან მის დროს გაიზარდა კათოლიკური ეკლესიის გავლენა სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ხალხის ნაწილი მისგან რელიგიური თავისუფლების დატოვებას მოითხოვდა.

შარლ X-ის არაპოპულარული მთავრობის თავმჯდომარე დე ვილელი იძულებული გახდა, გადამდგარიყო, მეფემ მთავრობის მეთაურად მოიყვანა პოლინიაკი, რომელიც მისი იდეების გამტარებელი იყო.

1830 წელს საფრანგეთში არჩევნებში ულტრაროიალისტებმა გამარჯვება ვერ მოახერხეს, მეფემ გადაწყვიტა, ეს არჩევნები გაექმებინა და ასევე შემოიღო მუხლი, რომლის მიხედვითაც პრესის თავისუფლებას ზღუდავდა. ახალი ბრძანებულება 26 ივლისს გამოქვეყნდა. იმავე დღეს აკრძალული ათი დიდი გაზეთის ჟურნალისტებმა პროვინციებში პროტესტის წერილი დააგზავნეს. ქუჩაში გა მოვიდნენ ასოთამწყობები და მუშები, რომლებმაც გაზეთების დახურვის გამო სამსახურები დაკარგეს. ამის პარალელურად ქუჩაში გამოვიდნენ რესპუბლიკური პარტიის წევრები და პარიზის ვიწრო ქუჩებში ბარიკადები აღმართეს, საიდანაც თავს ესხმოდნენ მეფის ჯარს. თავის მხრივ, ჯარის დიდ ნაწილს ბრძოლა სრულებით არ სურდა. აჯანყებულები მესამე დღეს მეფის სასახლეში შეიჭრნენ. მეფე იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მან ტახტი თავისი შვილიშვილის სასარგებლოდ დათმო, მაგრამ ხალხს ჰყავდა არჩეული კანდიდატი ლუი ფილიპე ორლეანელი. მეფედ სწორედ იგი გამოცხადდა, ხოლო შარლ X იძულებული გახდა, ინგლისში გადახვეწილიყო.

აღდგენილმა საკანონმდებლო ორგანომ მეფის ტიტულატურაში ჩაამატა სიტყვები „ხალხის ნებით“. მეფეს აეკრძალა ძირითადი კანონების გაუქმება. ამიერიდან მთავრობა მეფის ნაცვლად პარლამენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება და აიკრძალა ცენზურა. ამ მოვლენას საფრანგეთის ისტორიაში „ივლისის რევოლუცია“, რევოლუციის შემდეგ მოსულ მთავრობას კი „ივლისის მთავრობა“ ეწოდება.



სურ. 4 1830 წლის რევოლუცია, ქუჩის ბრძოლები. იპოლიტ ლეკომტი

21. რაზე მეტყველებს არჩევნებში როიალისტების წარუმატებლობა? როგორი იყო ფრანგი ხალხის განწყობა?

22. შეადარე ერთმანეთს შარლ X და ლუი XVIII. რომლის მმართველობის ფორმა უფრო მისაღებია შენთვის?

23. რა მიგაჩნია თითოეულის მთავარ შეცდომად?

24. რა მიგაჩნია ივლისის რევოლუციის მთავარ მონაპოვრად?

25. ერთმანეთს შეადარე 1830 და 1789 წლის რევოლუციები და გამოყავი ძირითადი განსმასხვევებელი ნიშნები.

26. როგორ ფიქრობ, ფრანგული საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, რომელ რევოლუციას უფრო დიდი წვლილი მიუძღვის? პასუხი დაასაბუთე.

27. რა გავლენა ჰქონდა ფრანგული საზოგადოების დაბალ ფენებს პოლიტიკურ პროცესებზე?

28. შეავსე ცხრილი. შეადარე ერთმანეთს ინგლისისა და საფრანგეთის მონარქიების რესტავრაციის შედეგები (**მოსწავლის რვეული, დავ. 81**).

წყარო ბ) იმ დროის ბელგიელებში პოპულარული სიმღერის ტექსტი:

„დიახ, მე ბელგიელი ვარ
და ვამაყობ ამით.
ვფიცავ, რომ მეამაყება
ჩემი სამშობლოს სახელი
და არასდროს ვიტყვი
მე ამაზე უარს.
ჩვენ ვუპატრონებთ მას.
მე არ ვარ ნიდერლანდელი
და არც მინდა, რომ ვიყო!“

29. ლექსის მიხედვით, როგორია ბელგიელების განწყობა?

30. რა შეიძლება იყოს მთავრობის მიმართ ბელგიელების უმაყოფილების მიზეზი?

1830 წლის 24 აგვისტოს ბრუსელში საყოველთაო გამოსვლები დაიწყო. ბელგიის თითქმის ყველა დიდი ქალაქი გამოსვლებში ჩაება. ნიდერლანდის მეფემ ვილჰელმ I-მა აჯანყებულებთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. სექტემბერში მეფის ჯარსა და აჯანყებულებს შორის სამხედრო დაპირისპირება დაიწყო. აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და დროებითი მთავრობა შექმნეს. ვილჰელმ I-მა დახმარებისთვის მიმართა ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რომლებმაც 1830 წლის ბოლოს ლონდონში კონფერენცია მოიწვიეს. კონფერენციას ინგლისის, ავსტრიის, პრუსიის, რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ერთთვიანი მსჯელობის შემდეგ კონფერენციამ ბელგია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო.

31. რით განსხვავდება ბელგიასა და საფრანგეთში განვითარებული რევოლუციები ერთმანეთისგან?

32. მოკლედ ჩამოაყალიბე ორივე რევოლუციის ძირითადი მოთხოვნები. იმსჯელე მათ შორის განსხვავების მიზეზებზე. შენი აზრით, მოახდენდა თუ არა გავლენას ეს რევოლუციები ევროპის დანარჩენ ერებზე?

33. გამოთქვი ვარაუდი, რომელ სახელმწიფოებში შეიძლება დაწყებულიყო მღევლვარება ა) სოციალურ და ბ) ეროვნულ ნიადაგზე?

34. რატომ შეიკრიბნენ ლონდონში კონკრეტულად ეს სახელმწიფოები?

35. შენი აზრით, რატომ ცნეს ლონდონის კონფერენციაზე ბელგია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ? რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონოდა ამ გადაწყვეტილებას?

XIX საუკუნის 20-იან წლებში ეროვნული მოძრაობა გამოცოცხლდა საქართველოშიც. 1825 წელს, დიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, პეტერბურგში პირველი საიდუმლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მისი წევრები საქართველოს გათავისუფლების გზებზე მსჯელობდნენ 1826 წელს მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, მეორე საიდუმლო ორგანიზაციაც ჩამოყალიბდა. 1827-1829 წლებში შეთქმულების ცენტრმა რუსეთიდან თბილისში გადმოინაცვლა. აქ შეთქმულებს შეუერთდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვები. 1830 წელს მათ შეადგინეს ფარული ორგანიზაციის წესდება, სახელწოდებით „აქტი გონიური“.

შეთქმულები შექმნილი ვითარების გამოყენებას ცდილობდნენ – 1830-1831 წლებში, როცა ევროპაში რევოლუციური მოძრაობა გააქტიურდა, აჯანყება დაიწყო პოლონეთშიც. პოლონეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ქართველი შეთქმულები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის სამხედრო ძალები პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად იყო მიმართული, ამიტომ, შესაფერისი დრო იყო საქართველოშიც აჯანყების წამოსაწყებად.

1832 წლის ნოემბერში აჯანყების გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმას „პირველი ღამის განკარგულება“ უწოდეს. აჯანყების თარიღიც გადაწყვიტეს, მაგრამ შეთქმულებს აღარ დასცალდათ. შეთქმულება გამჟღავნდა. ხელისუფლებამ 145 კაცი დააპატიმრა. ისინი გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გადაასახლეს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან დაწყებული მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ევროპაში არაერთი რევოლუცია მოხდა. ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰობსბაუმმა „ხანგრძლივ XIX საუკუნეში“ ცალკე გამოყო კიდეც „რევოლუციების ეპოქა“ (1789-1848 წწ.)

წყარო გ) ერიკ ჰობსბაუმი, „რევოლუციების ეპოქა: ევროპა 1789 – 1848“

„იშვიათად, რომ მთავრობას ისეთი მოუქნელობა ეჩვენებინა, როგორც ზეს 1815 წლის შემდეგ მოხდა. ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის, რომლებმაც ბოლო 20 წელი პირველი რევოლუციის ჩახშობას მოანდომეს, უმთავრესი ამოცანა იყო, არ დაეშვათ საფრანგეთში რევოლუცია, ან კიდევ უარესი კატასტროფა – საყოველთაო ევროპული რევოლუცია ფრანგული მოდელით. ბრიტანელებსაც კი, რომლებსაც ევროპაში კვლავ დამკვიდრებული რეაქციული აბსოლუტიზმის მიმართ არანაირი სიმპათია არ გააჩნდათ და კარგად იცოდნენ, რომ რეფორმების გვერდის ავლა არ შეიძლებოდა, ფრანგული იაკობინური მოძრაობის უფრო ეშინოდათ, ვიდრე რომელიმე საერთაშორისო შემთხვევითი მოვლენის. და ამ ყველაფრის მიუხედავად, არასდროს ვეროპის ისტორიაში ან სადმე სხვაგან რევოლუციური სული არ ყოფილა ასეთი დამახასიათებელი, გრანდიოზული და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც პროპაგანდის წყალობით ინფექციასავით გავრცელების უნარი ჰქონდა“

36. როგორ ახასიათებს „რევოლუციების ეპოქის“ მთავარ საზრუნავს ერიკ ჰობსბაუმი? რა ნიშნის მიხედვით გამოყოფს ამ ეპოქას „ხანგრძლივ XIX საუკუნეში“?

37. რატომ ეშინოდათ ბრიტანელებს ფრანგული რევოლუციური მოძრაობის?

37. რატომ ეშინოდათ ბრიტანელებს ფრანგული რევოლუციური მოძრაობის?

38. რა ფაქტორები უწყობდა ხელს რევოლუციური იდეების სწრაფ გავრცელებას ევროპის სახელმწიფოებსა და ხალხებში?

39. იმსჯელე, ა) როგორ განაპირობა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ევროპაში რევოლუციური ტალღის დაწყება? ბ) რა როლი მიუძღვის ამ პროცესებში „ნაპოლეონის ომებს“?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნის შუახანებში ცხოვრობ საფრანგეთში და ქვეყანაში განვითარებული ისტორიული პროცესების (საფრანგეთის დიდი რევოლუციის, ნაპოლეონის ომების, ბურბონთა რესტავრაციისა და 1830 წლის ივლისის რევოლუციის) მომსწრე ხარ, მაგ. (მარკიზ დე ლაფაიეტი) ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტმა გადაწყვიტა, თქვენთან ინტერვიუ ჩაწეროს. ინტერვიუს მსვლელობისას უნდა გაიხსენოთ და შეაფასოთ მომხდარი და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

განმარტება: მარკიზ დე ლაფაიეტი (1757-1834) ფრანგი არისტოკრატი, სამხედრო მოღვაწე. ის იყო სამი რევოლუციის მონაწილე. ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, დიდი ფრანგული რევოლუციის და 1830 წლის ივლისის რევოლუციის.

ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე

- როგორ იცვლებოდა საფრანგეთის მმართველობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე?
- რა ეპოქებს გამოყოფდით მმართველობის ფორმის მიხედვით საფრანგეთში და ვინ ფლობდა ხელისუფლებას სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე?
- რას ემყარებოდა საფრანგეთში მმართველთა ძალაუფლება და რა რესურსებს, მეთოდებსა და იდეოლოგიას იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში ?
- როგორ და რატომ შემოიღეს რევოლუციურ საფრანგეთში დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემა?

§ 52-53. გამოგონებები და ცვლილებები ინდუსტრიულ ეპოქაში

XVIII-XIX საუკუნეებში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდა სხვადასხვა სფეროში: მიწათმოქმედებაში, მრეწველობაში, სამთო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და საწარმოო საშუალებების განვითარებაში. დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივად დაიწყო ხელოსნური წარმოების სამრეწველო წარმოებით, მანუფაქტურების ფაბრიკებით ჩანაცვლების პროცესი. სამრეწველო გადატრიალების ძირითადი შედეგი ინდუსტრიალიზაცია – აგრარული ეკონომიკიდან სამრეწველო ეკონომიკაზე გადასვლა – იყო, რასაც აგრარული საზოგადოების ინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაქმნა მოჰყვა. ისტორიკოსები ამ პროცესს „ინდუსტრიულ რევოლუციას“ უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მან ცხოვრების სრულიად ახალ წესს დაუდო დასაბამი.

ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისიდან დაიწყო. მეცნიერები გამოყოფენ ინდუსტრიალიზაციის ორ ეტაპს: I – XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან XIX საუკუნის 50-იან წლებამდე, როცა პროცესი ძირითადად დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობდა და II – XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, როცა სამრეწველო გადატრიალება დანარჩენ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელდა.

ინდუსტრიული რევოლუციის წინაპირობები ინგლისში

ინგლისში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მომწიფდა სამრეწველო გადატრიალების წინაპირობები. სწრაფად იზრდებოდა მანუფაქტურების რაოდენობა. სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებდა სოფელს და სამუშაოდ ქალაქში გადადიოდა. მათ მუშებად ძირითადად მანუფაქტურების მფლობებლები ქირაობდნენ. მანუფაქტურების მფლობელები დაინტერესებული იყვნენ, რაც შეიძლება მეტი საქონელი ეწარმოებინათ, ამისთვის კი საწარმოო პროცესის გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა იყო საჭირო.

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველ ნახევარშია გამოცემული.

წყარო ა) სამეფო პატენტი, რომელიც მიეცა ლორდ დედლის თუჯის წარმოებისთვის, XVII ს.

„ჩვენმა ერთგულმა ლორდმა ედუარდ დედლიმ ხანგრძლივი შრომისა და მრავალი ძვირად ღირებული ცდის შედეგად აღმოაჩინა საიდუმლოება, წესი და საშუალება რკინის მადნის გამოდნობისა და ქვანახშირის გამოყენებით სამჭედლო საბერვლიან ღუმლებში თუჯის წარმოებისა. თუჯი გამოვიდა ისეთივე მაღალხარისხოვანი, როგორიც ხის ნახშირის საშუალებით გამოდნებოდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი გონებამახვილური და სასარგებლო გამოგონებანი ხელს შეუწყობს საყოველთაო კეთილდღეობას ჩვენს სამეფოში და, ამასთან, მნიშვნელოვნად შეამცირებს უშველებელ დანახარჯებს – ხეტყის გამოყენებას თუჯის ქარხნებში. ამ მიზეზით ჩვენ ნებას ვრთავთ ლორდ დედლის, მის ნამდვილ მემკვიდრეებს, მეურვეებს და მათ, ვისაც ლორდი თავის უფლებებს გადასცემს, ამ პატენტის გაცემიდან 14 წლის მანძილზე ინგლისის სამეფოში თავისუფლად გამოიყენოს ხსენებული საწარმოო საიდუმლოება. ნებას ვრთავთ მას, ინგლისის ნებისმიერ ადგილზე დადგას ღუმლები ან მანქანები, რომლებიც საჭიროა ქვანახშირის საშუალებით რკინის მადნის გამოდნობისა და მისგან თუჯის დამზადებისთვის. ნებას ვრთავთ, თუჯი თავისუფლად გაყიდოს იმ ფასად, რომელსაც ის დააწესებს მაქსიმალური სარგებლიანობის მისაღებად“.

პატენტი – სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე;

1. დოკუმენტის მიხედვით დაასახელე ინგლისში არსებული საწარმოო რესურები.

2. დაასახელე, რომელი დარგების განვითარებას შეუწყობდა ხელს თუჯის წარმოება.

3. შენი აზრით, რას შეიძლება გულისხმობდეს მეფე, როცა თუჯის წარმოებას საყოველთაო კეთილდღეობას უკავშირებს?

4. ასეთი სახის პატენტების გაცემა, შენი აზრით, წაახალისებდა თუ არა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას? პასუხი დაასაბუთე.

5. როგორ ფიქრობ, თუჯის წარმოებაზე პატენტის მიღებას მეფის თანხმობა უნდა სჭირდებოდეს? პასუხი დაასაბუთე.

წყარო ბ) აქტი ინგლისის რესპუბლიკის ვაჭრობისა და მრეწველობის წახალისებისა და რეგულირების შესახებ, 1650 წ. 1. 08

„ინგლისის პარლამენტი ზრუნავს ქვეყანაში ვაჭრობასა და მრეწველობაზე ერის სასარგებლოდ, რათა ამით გამდიდრდეს რესპუბლიკა, ხელს უწყობს ვაჭრობას, საშინაოსა და საგარეოს და ბრძანებს: ხუთი კაცი დაინიშნოს კომისრად, რომლებიც შექმნიან მუდმივ საბჭოს ვაჭრობისა და მრეწველობის მართვისა და რეგულირებისათვის ქვეყნის ყველა ნაწილში.

1. საბჭოს წევრებმა თვალყური უნდა ადევნონ ინგლისურ საქონელს და გასცენ მათი ხარისხიანად დამზადების განკარგულებანი რესპუბლიკის ღირსებისა და სარგებლიანობისათვის.

2. ისინი უნდა დაინტერესდნენ ქვეყნის ყველა ნაწილში მრეწველობისა და ვაჭრობის შესაფერისი და თანაბარი განაწილებით, რათა ერთ ნაწილში წარმოების სიჭარბე არ იყოს, ხოლო სხვაგან – ჩამორჩენა.

3. მათ უნდა შეიმუშაონ ქვეყნის ერთი ნაწილის მეორესთან ვაჭრობის წარმოების ყველაზე ხელსაყრელი საშუალებები. მათ უნდა შეისწავლონ, როგორ გახადონ მდინარეები სანაოსნოდ, ხოლო ნავსადგურები ხომალდებისთვის უფრო მოსახერხებლად.

4. მათ უნდა განიხილონ საკითხი, როგორ გაყიდონ ინგლისური საქონელი უცხოეთის სახელმწიფოებში ქვეყნისთვის სასარგებლო პირობებით, აიცილონ წინაღობანი უცხოეთის სახელმწიფოებთან ვაჭრობისას, გამონახონ ახალი ადგილები საქონლის უკეთ გასაღებისათვის.

10. ისინი უნდა გაეცნონ სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო კომპანიის წესდებებს, სიგელებს, პატენტებსა და დებულებებს. თუ რომელიმე შეუსაბამო აღმოჩნდება რესპუბლიკის ინტერესებისთვის, უნდა შეცვალონ ან გააუქმონ პარლამენტის შეხედულებისამებრ.

11. მათ უნდა იზრუნონ უმნიშვნელოვანესი რეწვის – მეთევზეობის საკითხზე არა მარტო ინგლისის სანაპიროზე, არამედ ისლანდიაში, გრელანდიაში, ნიუფაუნდლენდში, ახალ ინგლისში და სხვაგან. მათ ხელი უნდა შეუწყონ მებადურთა წახალისებას, სავაჭრო ფლოტისა და მეზღვაურთა ზრდას.

12. ისინი უნდა დაინტერესდნენ ინგლისის პლანტაციებით ამერიკაში და სხვაგანაც, წარმოადგინონ რეკომენდაციები, როგორ შეიძლება მათი უკეთ მართვა, უფრო მეტი საქონლის წარმოება, ხარისხის გაუმჯობესება“.

6. განმარტე, რატომ მოიხსენიება დოკუმენტში ინგლისი რესპუბლიკად? რა არის, დოკუმენტის მიხედვით, ინგლისში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო? გაიხსენე ინგლისის ისტორიიდან ეს პერიოდი.

7. დაახასიათე ამ დოკუმენტის მიხედვით ინგლისის ეკონომიკა.

8. რაზე მეტყველებს ეკონომიკასთან დაკავშირებით ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები?

XVII საუკუნის ბოლოდან დიდი ცვლილება მოხდა სოფელშიც. არისტოკრატთა შორის ჩამოყალიბდა ახლად გამდიდრებულ მემამულეთა ფენა. ტრადიციული მეურნეობის წარმართვისა და დაწესებული შემოსავლის მიღების ნაცვლად, ისინი ცდილობდნენ, სიმდიდრე საკუთარი საქმიანობით დაეგროვებინათ. განსაკუთრებით მომგებიანი იყო მაუდის წარმოება. თბილი და მსუბუქი ქსოვილი სარფიანად იყიდებოდა მთელ ევროპაში და მოთხოვნილება მასზე მუდმივად იზრდებოდა. დიდი რაოდენობით მაუდის დამზადებას ცხვრის უზარმაზარი ფარები და ვრცელი საძოვრები ესაჭიროებოდა. მემამულეებმა ჯერ სათემო მიწების, მოგვიანებით კი გლეხების მიწების შემოღობვა დაიწყეს. გლეხების დიდ ნაწილს მემამულეები ფეოდალური ვალდებულე-ბებისგან ათავისუფლებდნენ. მათი ნაწილი ქალაქში მიდიოდა, ნაწილი კი სოფლად რჩებოდა. თუმცა ახლა ისინი, უკვე როგორც დაქირავებულები, სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისთვის გასამრჯელოს იღებდნენ.

წყარო გ) ართურ იუნგი (1741-1820 წწ.), ინგლისელი მწერალი, აგრონომი და ეკონომისტი, „შემოღობვათა სარგებლიანობის შესახებ“

„კანონმდებლობა ხელს უწყობს შემოღობვათა გავრცელებას... შემოღობვის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ შემოღობვის შემდეგ ნაყოფიერი მიწები საძოვრებად იქცევა და ამის გამო ინგლისის მოსახლეობა მცირდება. მაგრამ, მე ვფიქრობ, მოსახლეობის საკითხს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ნიადაგი ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ მან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მოგვცეს. ფერმერს არ უნდა შეექმნას დაბრკოლება მეურნეობის კარგად წარმართვის საქმეში. მოსახლეობა, რომელიც სახელმწიფოსთვის ტვირთად იქცევა, მავნე საზოგადოებაა. ინგლისის ცენტრალურ საგრაფოებში, სადაც ადგილობრივი ტენიანი ნიადაგი საძოვრებად უფრო გამოსადეგია, ვიდრე ხვნა-თესვისათვის, მესაქონლეობას (ხორცს, ტყავსა და მატყლს) შეუდარებლად დიდი შემოსავალი მოაქვს. ლორდის შემოსავალი ორმაგდება. ეს მას საშუალებას აძლევს, სამუშაო მისცეს მანუფაქტურების პატრონებსა და ბევრ ხელოსანს. ამის შემდეგ განა შეიძლება უიმედო დასკვნები გავაკეთოთ მოსახლეობის შემცირების, შიმშილისა და გაღატაკების შესახებ?“

9. როგორ ფიქრობ, რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მასობრივ შემოღობვას?

მანუფაქტურიდან ფაბრიკამდე

ინგლისში მანუფაქტურების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებდა სოფელს და სამუშაოდ ქალაქში გადადიოდა. მათ ძირითადად მანუფაქტურების მფლობელები ქირაობდნენ მუშებად. მანუფაქტურების მფლობელები დაინტერესებულები იყვნენ, რაც შეიძლება მეტი საქონელი ეწარმოებინათ, ამისთვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოო პროცესის გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიის დანერგვა იყო საჭირო.

პირველი ინდუსტრია, რომელმაც მანუფაქტურებიდან ფაბრიკაში გადაინაცვლა, ტექსტილის წარმოება იყო. ერთი მხრივ, ამერიკის კოლონიების პლანტაციებიდან ინგლისში ბამბის დიდი რაოდენობა მიედინებოდა, მეორე მხრივ, ინდოეთიდან. ინდური ბამბის ქსოვილები იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ მათზე მოთხოვნილება გაიზარდა.



სურ. 1 სართავი მექანიზმი „ჯენი“

1733

ჯონ ქეი – 1733 წელს გამოიგონა „მფრინავი მაქო“, რომელმაც რადიკალურად დააჩქარა ქსოვის პროცესი. www.youtube.com/watch?v=kNqHgY4TQwM

ამ გვერდზე შეგიძლია იხილო ქეის გამოგონების მნიშვნელობა.

1764

1764 წელს ინგლისელმა ფეიქარმა ჯეიმზ ჰარგრივზმა ძაფის სართავი მექანიზმი – სახელგანთქმული „ჯენი“ გამოიგონა, რასაც მექანიკური საქსოვი დაზგის გამოგონება მოჰყვა.

1769

1769 წელს პრესტონში რიჩარდ არკრაითმა გამოიგონა წყლის ბორბალზე მომუშავე საქსოვი დაზგა. მაგრამ იმდენად დიდი იყო, რომ სახლში ვერ დაეტეოდა. ამიტომ ამ დაზგისთვის სპეციალური ნაგებობა, ფაქტობრივად, პირველი ფაბრიკა, ააგო.

1779

1779 წელს სამუელ კრომპტონი გამოიგონა ახალი მექანიკური სართავი დაზგა, რომელიც უფრო დახვეწილი და შედარებით დიდი მოცულობის იყო.

1785

1785 წელს ედმუნდ ქართრაიდმა კიდევ უფრო დახვეწა სართავი დაზგა, რომელმაც 40-ჯერ გაზარდა შრომისნაყოფიერება. მოგვიანებით ფაბრიკის მესაკუთრეთა მიმართვის საფუძველზე პარლამენტმა გამომგონებელი 10.000 ფუნტი სტერლინგით დააჯილდოვა.

?

10. მოიძიე ამ გამოგონებების ავტორების ბიოგრაფიები, წარმომავლობა, ქალაქები, სადაც დაიბადნენ და იმსჯელე ამის შესახებ.

11. როგორც ქეი, ისე ქართრაიდი ინგლისელ მუშახელს მათივე გამოგონებების გამო არ უყვარდა. ქეი იძულებული გახდა, საფრანგეთში გადახვეწილიყო, ქართრაიდს კი სახლი დაუწვეს. როგორ ფიქრობ, ვინ და რატომ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

12. როგორ ფიქრობ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო გამოგონებების უარყოფითი მხარე მოსახლეობისთვის? რომელი კატეგორია იქნებოდა მეტად უკმაყოფილო და რატომ?

13. იმსჯელე, არსებობს თუ არა დღეს ასეთი მტრული დამოკიდებულება ან იწვევს თუ არა შეშფოთებას ახალი ტექნოლოგიების გამოგონება?

წყარო დ) რობერტ ოუენი, ინგლისელი ფილოსოფოსი და პედაგოგი, ბამბეულის მრეწველობაში გადატრიალების შესახებ, 1771–1858 წწ.

„პირველი ბრიტანული ქსოვილის – მუსლინის დამზადება დაიწყო ჩეშირის საგრაფოში, მანჩესტერის სიახლოვეს. ეს იყო ახალი საქონელი, რომელიც მოდაში იყო და მას თავადაზნაურობა სწრაფად ყიდულობდა. ასეთია მოდის ყოვლისშემძლე გავლენა. ბამბის მრეწვ-ელობის გრანდიოზული ზრდა ჩვენი დროის ერთ-ერთი საოცრებაა. 40 წლის მანძილზე მე ენერგიულ მონაწილეო-



სურ. 2 საფეიქრო ფაბრიკა ინგლისში

ბას ვიღებდი ამ დარგის განვითარებაში, როგორც დიდი ფაბრიკების ორგანიზატორი და მმართველი. ვცდილობდი, გამეუმჯობესებინა აქ მომუშავე პირთა მდგო-მარეობა, რადგან შევნიშნე, რომ დიდი ყურადღება ექცევა ფაბრიკებში უსულო მანქანებს, მომუშავე ადამიანების მიმართ კი უყურადღებობაა“.

14. შენი აზრით, რატომაა ტექსტში ხაზგასმული, რომ მუსლინი ბრიტანული ქსოვილია?

15. რატომ ენიჭება, დოკუმენტის მიხედვით, მოდას დიდი მნიშვნელობა საქონლის გასაღებაში?

16. შენი აზრით, რატომ ექცეოდა უფრო დიდი ყურადღება მანქანებს ადამიანებთან შედარებით?

17. ახსენი, რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის მონაწილეობა ნებისმიერ სამრეწველო პროცესში.

18. შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა მწარმოებელს ფაბრიკაში მის მიერ მუშების მიმართ გამოჩენილი ყურადღება? რატომ?

ახალი გამოგონებები

ახალი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონება, რომელმაც შემდგომ მთელი საწარმოო პროცესი შეცვალა, ორთქლის ძრავა იყო. XVIII საუკუნის დასაწყისიდან მის შექმნასა და სრულყოფაზე არაერთი მეცნიერი მუშაობდა, მაგ., თომას სევერი, თომას ნიუკომენი და სხვ. თავის მხრივ, ქვანახშირის წარმოებამ, კოქსის ქვანახშირის მიღებამ დააჩქარა ამ მიმართულებით ტექნოლოგიური განვითარება.

XVIII საუკუნის დასაწყისში ტრადიციულად ჯერ კიდევ ქარის, წყლისა და ცხენის ძალას იყენებდნენ. ქვანახშირის წარმოების განვითარებასთან ერთად მაღაროები სულ უფრო ღრმავდებოდა და მისი მოპოვებაც იზრდებოდა. ქვანახშირის ამოსაღებად საჭირო გახდა ახალი ტექნოლოგიების მოფიქრება, რომ მაღაროები არ დატბორილიყო. XVIII საუკუნის 60-იან წლებში უკვე დაახლოებით 100 დანადგარის საშუალებით ხდებოდა წყლის ამოტუმბვა და ქვანახშირის მოპოვება, თუმცა ეს რთული, შრომატევადი და ძვირად ღირებული სამუშაო იყო. 1763-1784 წლებში შოტლანდიელი ინჟინერი და მათემატიკოსი, ჯეიმს უატი არსებული ორთქლის ძრავების მოდიფიცირებაზე მუშაობდა. საბოლოოდ შექმნა გაცილებით ეფექტიანი, ორმაგი მოქმედების ორთქლის ძრავა, რომელსაც დღეს ვატის ორთქლის ძრავა ეწოდება. მის პატივსაცემად სიმძლავრის ერთეულს ვატი ეწოდება.

www.animatedengines.com/newcomen.html ამ მისამართზე შეგიძლია ნახო გამოგონების ანიმაცია, მისი კავშირი ფიზიკასთან.

გაჩნდა ისეთი მექანიზმები, რომლებსაც ორთქლის ძრავა ამოძრავებდა; იმავე პრინციპით შესაძლებელი გახდა ბორბლების ამოძრავებაც. ამას სხვადასხვა მნიშვნელოვანი სიახლე მოჰყვა:

1801 წელს რიჩარდ ტრევითიკმა ორთქლის ეტლი გამოიგონა;

1814 წელს ჯორჯ სტეფენსონმა პირველი ორთქლმავალი ააგო. ორთქლმავალს ვაგონები შეაბეს. ამ ახალ სატრანსპორტო საშუალებას გადასაადგ-



სურ. 3 პირველი რკინის ხიდი შროპშირში, ინგლისში, 1781 წ. დღეს ეს ხიდი ინდუსტრიული რევო-ლუციის სიმბოლოა.

ილებლად სპეციალური გზა სჭირდებოდა. მალე გაჩნდა პირველი რკინიგზაც; ცვლილებები შეეხო საზღვაო ტრანსპორტსაც. ორთქლის ძრავას გამოგონებასთან ერთად იალქნიანი გემების ხანაც დასრულდა. სახმელეთო ტრანსპორტის მსგავსად, გემებშიც დაიწყეს ორთქლის ძალის გამოყენება.

მანქანა-დანადგარების რაოდენობის მატებას ლითონზე მოთხოვნილების გაზრდა მოჰყვა. შესაბამისად განვითარება დაიწყო მეტალურგიამაც. მაგ., 1830-1847 წლებში ინგლისში ლითონის წარმოება 3-ჯერ გაიზარდა. მრეწველობის გარდა, ლითონის გამოყენება დაიწყეს საინჟინრო ნაგებობებში.

ამ გამოგონებებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა მსოფლიოს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირი. XIX საუკუნეში ევროპასა და ამერიკას შორის გაცხოველებული სატრანსპორტო მიმოსვლა გაჩაღდა. ამერიკისკენ მიგრანტების ნაკადი და საწარმოო პროდუქცია მიედინებოდა, იქიდან კი ნედლეული, სხვადასხვა პროდუქტი, განსაკუთრებით, ხორბალი, გადმოჰქონდათ. სარკინიგზო ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო მიწის სულ უფრო მეტი ფართობის ათვისებასა და სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებას. ტვირთის რაოდენობის ზრდის პარალელურად სწრაფად ეცემოდა მისი ტრანსპორტირების ფასი.

1885 წელს გერმანელმა ინჟინერმა კარლ ბენცმა ბენზინის საწვავზე მომუშავე ავტომობილების წარმოება დაიწყო. პირველი ავტომობილი ველოსიპედს ჰგავდა. შემდგომ ავტომობილის მოდელი თანდათან დაიხვეწა.

1904 წელს ამერიკამ ხარისხიანი და იაფი ავტომობილების გამოშვება დაიწყო. იქ აღიარებული ლიდერი ჰენრი ფორდი გახდა. მის სახელთანაა დაკავშირებული ავტომობილების პირველი კონვეიერული წარმოება.

1825 წ. – ინგლისში პირველი რკინიგზა გაიყვანეს.

1837 წ. – სემიუელ მორზემ გამოიგონა ტელეგრაფი – აპარატი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ მანძილზე.

1876 წ. – ამერიკაში ალექსანდრ ბელმა გამოიგონა ტელეფონი.

1880-იან წლებში დაიწყეს ელექტროენერგიის გამოყენება.



სურ. 4 ბრაუნშვაიგის ძველი ბაზარი. კორნელის სფრიგერი, XIX ს.



სურ. 5 რაინის ლუდვიგსჰაფენი. რობერტ ფრიდრიხ სტილერი, XIX ს.

19. ნახატების მიხედვით იმსჯელე, რა გავლენა მოახდინა ინდუსტრიალიზაციამ ქალაქების იერსახეზე? როგორ ფიქრობ, კიდევ რა ცვლილებებს გამოიწვევდა ქალაქის ცხოვრებაში? მოჰყვებოდა თუ არა ცვლილებები საზოგადოებაში? შენი აზრით, აისახებოდა თუ არა ეს პროცესები ხელოვნებაში? მოვლენების შენეული ხედვა წარმოადგინე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სახით.

თუ ადრე, როგორ წესი, რესურსებისა და პროდუქტების ნაკლებობა იყო, სამრეწველო გადატრიალებამ უპრეცედენტო ეკონომიკური ვითარება შექმნა. სავაჭრო საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად მისი ფასი სულ უფრო ეცემოდა. ინდუსტრიული სახელმწიფოების მცხოვრებლებისთვის, პრაქტიკულად, ბევრი სხვადასხვა საქონელი გახდა ხელმისაწვდომი. გაჩნდა ისეთი მაღაზიები, რომლებშიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საქონლის ყიდვა შეიძლებოდა. საყიდლებზე სიარული დასვენების ერთ-ერთი ფორმა გახდა.



სურ. 6 ლონდონელი ქალები ჰაროდსის სავაჭრო ცენტრის ვიტრინებთან სეირნობენ. უცნობი მხატვარი, 1908 წ.

20. როგორ ფიქრობ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნებოდა მეწარმეებისთვის სავაჭრო საქონლის სწრაფ გავრცელებასა და ფასების დაცემას?

21. შენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო მეწარმე მზარდი კონკურენციის პირობებში.

22. შენი აზრით, როგორ ავრცელებდნენ ინფორმაციას მეწარმეები საკუთარი პროდუქციის შესახებ?

23. შენი აზრით, როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო ინდუსტრიულ ეპოქაში საქონლისა და მომსახურების არჩევანი? წარმოიდგინე, რომ XIX საუკუნეში ცხოვრობ და სამეწარმეო ან მომსახურების სფეროში საკუთარი საქმიანობის დაწყება გინდა. რა ახალ მომსახურებას ან პროდუქტს შესთავაზებდი მომხმარებელს?



სურ. 7 ომნიბუსში. ჯორჯ უილიამ ჯოი, 1895 წ.

ომნიბუსი (ლათ. „ყველასთვის“) – ცხენებშებმული მრავალადგილიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელსაც გარკვეული მარშრუტით დაჰყავდა მგზავრები.

24. ითვლება, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანმდევმა სოციალურმა და მსოფლმხედველობრივმა ცვლილებებმა ე.წ. „მომხმარებელი საზოგადოების“ ფორმირება განაპირობა. ივარაუდე, როგორ შეეცდებოდნენ კომპანიები გავლენა მოეპოვებინათ „მომხმარებელ საზოგადოებაზე“?



სურ. 8 ლონდონის ქუჩა. ჯონ ორლანდო პერი, 1835 წ.



სურ. 9 XIX საუკუნის გაზეთების გვერდები

25. დეტალურად ჩამოთვალე, რა ინფორმაცია მოგაწოდა ნახატებმა (სურ.6-8) იმდროინდელ საზოგადოებაზე, ყოფაზე და ა.შ., როგორც ისტორიულმა წყარომ. შეავსე ცხრილი (**მოსწავლის რვეული, დავ. 82**).

26. რატომ იქნება საინტერესო ისტორიკოსისთვის იმდროინდელი პრესა?

27. სურათებიდან გამომდინარე იმსჯელე, კიდევ რა ტიპის ნაბეჭდი პროდუქცია გაჩნდებოდა ინდუსტრიულ ეპოქაში და რა მნიშვნელობა ექნებოდა მათ კვლევისას?

28. რით განსხვავდება ახალი დროის ისტორიული წყაროები წინა ეპოქის ისტორიული წყაროებისგან?

29. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სურათებს (სურ. 7-9): ა) გამოთქვი ვარაუდი, რა შეიძლება იყოს ომნიბუსის ჭერზე გამოსახული და რა მიზნით? ბ) შენი აზრით, რას შეიძლება აკრავდეს ლონდონის ქუჩაში კედელზე სურათის ცენტრში მდგომი კაცი? რატომ არის ეს კედელი ასე აჭრელებული? გ) როგორ გამოიყურება იმდროინდელი გაზეთების გვერდები? რა ინფორმაციას შეიძლება გვაწვდიდეს ეს იმდროინდელ საზოგადოებაზე?

XIX საუკუნის უდიდეს გამოგონებად ითვლება ფოტოგრაფიაც. მისი დაბადების თარიღად მიჩნეულია 1839 წლის 19 აგვისტო, როცა ფრანგი მეცნიერი დომინიკ არაგო საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაგეროტიპიის შესახებ სიტყვით წარსდგა.

საუკუნის ბოლოს დაიბადა სინემატოგრაფიც და შესაძლებელი გახდა კადრების ამოძრავება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალებებიც.

დაგეროტიპია – ფოტოგრაფიის თავდაპირველი წესი, რომელიც გამოიგონა ფრანგმა მხატვარმა და გამომგონებელმა ლუი დაგერმა. თუმცა მალევე ეს წესი უფრო იაფი და უსაფრთხო ფოტოგრაფიული პროცესებით შეიცვალა.

სინემატოგრაფი – მოძრავი გამოსახულების გადასაღები და საჩვენებლი აპარატი ერთ-ერთი პირველი ფილმი გადაიღეს ძმებმა ლუმიერებმა.

30. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ექნებოდა საზოგადოებისთვის ფოტოგრაფიის, სინემატოგრაფიისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობების გამოგონებას? კიდევ რა სახის მომსახურების სფერო გაჩნდებოდა ბაზარზე?

31. ისტორიულ წყაროებში ცალკეა გამოყოფილი კინო-, ფოტო- და ფონო (აუდიო)-დოკუმენტები. იმსჯელე: რა შეცვალა ფოტოგრაფიის გამოგონებამ? რამდენად სანდო წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ისინი? მაგ., ფოტოზე აღბეჭდილი ფაქტის ემოციური აღქმა ხომ არ უშლის მოვლენის ობიექტურად შეფასებას? პასუხი დაასაბუთე.

32. რა შესაძლებლობა მისცა კინო-, ფოტო- და ფონო- დოკუმენტებმა ისტორიკოსებს?

33. XIX საუკუნეში ევროპის ქვეყნებში დაარსდა ისტორიული საზოგადოებები, ჟურნალები. თეორიულ მუშაობასთან ერთად დაიწყო ისტორიული მასალის შენახვის პროცესი. გაიხსნა ახალი მუზეუმები და ხელნაწერთა და დოკუმენტთა შესანახი არქივები. შენი აზ-რით, კიდევ რა გავლენას მოახდენდა ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე წყაროების გამრავალფეროვნება?

34. ქვემოთ მოცემულია XIX საუკუნის სხვადასხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია.

მათი გაცნობის შემდეგ ა) უნდა ჩამოთვალო ნაბეჭდი პროდუქციის სახეები;

ბ) იმსჯელო, რა ინფორმაციას გვაწვდის ნაბეჭდი პროქუცია, როგორც ისტორიული წყარო?

გ) როგორ შეიცვალა ისტორიულ წყაროთა ტიპები ახალ დროში?

დ) შეარჩიო ერთ-ერთი იმდროინდელი რეკლამა და შეადარო დაახლოებით იმავე ტიპის პროდუქციისა თუ მომსახურების თანამედროვე რეკლამას; შედარების შემდეგ იმსჯელო, რით განსხვავდება რეკლამები ერთმანეთისგან; რა თვალსაზრისით განვითარდა ამ ხნის განმავლობაში რეკლამა.



სურ. 1 მულენ რუჟი (ფრანგული კაბარე). ქვემოთ წარწერაა: სპექტაკლი, კონცერტი, მეჯლისი.



სურ. 2 სახლის სარეცხი მანქანა და საწური. ქვემოთ მიწერილია მისამართი: ბერკლის 13, ნიუ იორკი.



სურ. 3 ლ.ვაინერის ორბორბლიანი და სამბორბლიანი ველოსიპედები.



სურ. 4 ჰოლცერის მოდის მაღაზიის პოსტერი



სურ. 5 ილუსტრაცია XIX საუკუნის გაზეთიდან



სურ. 6



სურ. 7 გაზეთი „პოლიციის ამბების“ თავფურცელი. ონდონი. 1867 წ.

ცვლილებები ისტორიოგრაფიაში

ახალ დროში ცვლილებები შეეხო ყველა სფეროს, მათ შორის ისტორიოგრაფიასაც. XIX საუკუნეში ევროპის ქვეყნებში დაარსდა ისტორიული საზოგადოებები, ჟურნალები. თეორიულ მუშაობასთან ერთად დაიწყო ისტორიული მასალის შენახვის პროცესი. გაიხსნა ახალი მუზეუმები და ხელნაწერთა და დოკუმენტთა შესანახი არქივები. ყველაზე ცნობილი მიმ-დინარეობა, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ევროპულ ისტორიოგრაფიაში იყო გავრცელებული, პოზიტივიზმია. პოზიტივისტ-ისტორიკოსთა საპროგრამო დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს გაბრიელ მონოს (1844-1912 წწ.) სტატია, რომელიც 1876 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ისტორიულ მიმოხილვაში“. გაბრიელ მონო ისტორიკოსთა უპირველეს მიზნად ზუსტი ფაქტების განსაზღვრას სახავდა. მისი თქმით, მეცნიერი მხოლოდ სანდო ისტორიული წყაროებით უნდა შემოიფარგლოს. მართალია, პოზიტივისტებმა ისტორიული ფაქტების დადგენის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, მაგრამ ისტორიული მეცნიერება სერიოზულ კრიზისში შეიყვანეს. ისტორიკოსები უფრო ფაქტების შემკრებნი გახდნენ.

ცნობილმა პოზიტივისტმა ოგიუსტ კონტიმ ისტორიის პერიოდიზაციის თავისებური გაგება შემოგვთავაზა. მისი აზრით, საზოგადოებამ განვითარების სამი ეტაპი გაიარა – თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური (მეცნიერული). თეოლოგიური ეტაპი მოიცავდა



პერიოდს უძველესი დროიდან 1300 წლამდე და ამ დროს ადამიანი ყველაფერს ზებუნებრივი ძალით ხსნიდა; მეორე პერიოდში, რომელიც კონტიმ 1300-1800 წლებში მოაქცია, მოხდა რეფორმაცია, რევოლუციები, მოღვაწეობდნენ განმანათლებლები, გაჩნდა ახალი იდეები, დაიძლია ძველი რელიგიური წარმოდგენები. XIX საუკუნეს, როდესაც თავად მოღვაწეობდა, ცალკე გამოყოფდა და მეცნიერულს უწოდებდა. კონტი თვლიდა, რომ ამ დროიდან კაცობრიობის განვითარებას მეცნიერება განსაზღვრავდა. ადამიანი ყველა მოვლენას აკვირდებოდა, შეისწავლიდა და მათ ახსნას რელიგიით ან იდეების საფუძველზე კი არ ცდილობდა, არამედ დაკვირვებისა და განსჯის შედეგად.

ისტორიული აზრის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა გერმანელმა ისტორიკოსმა ლეოპოლდ ფონ რანკემ, რომელიც თვლიდა, რომ ისტორიკოსი ძირითადად ისტორიულ დოკუმენტებს უნდა დაეყრდნოს და კრიტიკულად განიხილოს თითოეული ტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმდინარეობის მიმდევარი იყო დიდი ქართველი ისტროიკოსი ივ. ჯავახიშვილი.

პოზიტივიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო XIX ს-ის ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი. იმავე პერიოდში მოღვაწეობდა ანტიკური ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი, გერმანელი თეოდორ მომზენი.

ისტორიისადმი საკუთარი მიდგომა ჰქონდა დიდ იტალიელ მოაზროვნეს ბენედეტო კროჩეს. ის თვლიდა, რომ ისტორია ობიექტური მეცნიერებაა და მასში სუბიექტურობა არ უნდა ყოფილიყო.

ისტორიის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ინგლისელმა რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა (XIX-XX სს.), რომელიც თვლიდა, რომ ისტორიის ცოდნა ადამიანს თვითშემეცნებაში ეხმარება.

წყარო ა) ლეოპოლდ ფონ რანკე, გერმანელი ისტორიკოსი, „ახალი ისტორიკოსების კრიტიკისათვის“, XIX ს.

„უკვე დადგა დრო, რომ ისტორიული კვლევა ამა თუ იმ მოვლენის თვითმხილველი ისტორიკოსის ცნობებს დაეყრდნოს. მით უმეტეს, არ უნდა გავითვალისწინოთ ის ნაშრომები, რომლებიც მომხდარი ამბისგან დიდი დროითაა დაშორებული. ისტორიკოსმა უნდა გამოიყენოს ოფიციალური დოკუმენტები და თვითმხილველთა ნაამბობი.“

წყარო ბ) ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ისტორიკოსი, „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები ძველად და ახლა“, XX ს.

„რასაკვირველია, თუ რომ ისტორიკოსი გარკვეულსა და გამოურკვეველს ერთი-ერთმანეთში დომხალივით არევს, მაშინ ამგვარ ნაწარმოებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ, თუ მეცნიერი იმას, რაც უკვე კრიტიკულად გამორკვეული და შესწავლილია, თავს მოუყრის და ჩაუკვირდება, ამნაირი შრომა სასარგებლოც არის და მეცნიერების წარმატებას ხელს უწყობს.

მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს, თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს.“

„საჭიროა, ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა... გაზვიადებული, ყალბი.“

წყარო გ) ბენედეტო კროჩე, იტალიელი ფილოსოფოსი, „ისტორიისა და ისტორიოგრაფიის თეორია“, XIX-XX სს.

„გსურთ, გაიგოთ ლიგურიის ან სიცილიის ნეოლითის დროინდელი მცხოვრების ნამდვილი ისტორია? შეეცადეთ, თუ შეძლებთ, წარმოდგენაში გახდეთ ნეოლითის პერიოდის ლიგურიელი ან სიცილიელი. თუ თქვენ ამის ძალა არ შეგწევთ ან არ გსურთ, მაშინ დაკმაყოფილდით მხოლოდ იქ აღმოჩენილი თავის ქალების, იარაღის, ნახატების უბრალო აღწერით და გარკვეული თანამიმდევრობით დახარისხებით. გინდათ, გაიგოთ ბალახის ღეროს ისტორია? შეეცადეთ, გახდეთ ბალახის ღერო და, თუ თქვენ ამას ვერ შეძლებთ, დაკმაყოფილდით მისი ნაწილების ანალიზით და, შესაძლოა, ამ ნაწილებისგან იდეალური ან წარმოდგენითი ისტორიის



35. შეაფასე ისტორიკოსთა შეხედულებები. გამოიყენე როგორც ტექსტი, ისე სამივე წყარო.

36. რა ცვლილება განიცადა XIX საუკუნეში ისტორიულმა აზროვნებამ?

37. რა ჰქონდა ამ ცვლილებას დადებითი?

38. XIX-XX საუკუნის ისტორიკოსებს შორის (წყაროები ა, ბ, გ) რომლის პოზიცია მიგაჩნია უფრო მისაღებად? პასუხი დაასაბუთე.

„ანალების სკოლა“

XX საუკუნეში ისტორიოგრაფია უკვე სხვა მიმართულებით განვითარდება. მასზე დიდ გავლენას იქონიებს სტრასბურგში მარკ ბლოკისა და ლუსიენ ფევრის მიერ დაარსებული ჟურნალი „ანალები“. ამ ჟურნალის გარშემო თავს მოიყრიან ის ისტორიკოსები, რომლებიც სრულიად ახალ მიმდინარეობას ჩაუყრიან საფუძველს. მათი ყურადღების ცენტრში სოციალურეკონომიკური პრობლემები მოექცევა და მთავარი მიზანი ადამიანის პრობლემების შესწავლა გახდება.

პოლიტიკური ისტორიის მშრალი მოვლენებისა და ფაქტების აღნუსხვის მაგიერ მარკ ბლოკმა და ლუსიენ ფევრმა, ხოლო მათ შემდეგ მათმა მიმდევრებმა: ფერნან ბროდელმა, ჟაკ ლეგოფმა, ემანუელ ლე რუა ლადიურმა და სხვებმა ისეთი პრობლემატიკის შესწავლა დაიწყეს, რომელიც მანამდე უცხო იყო ისტორიული მეცნიერებისათვის: შუა საუკუნეების ადამიანის აზროვნება (მენტალიტეტი); ისტორია და ფსიქოლოგია; სამედიცინო წარმოდგენები შუა საუკუნეებში; სიყვარული, ქორწინება, ნათესაობა, ოჯახი; ადამიანი და მისი გარემო; ადამიანი და მისი ყოველდღიურობა; ადამიანის წარმოდგენები და რწმენა; სტიქიური უბედურებები და ადამიანი და სხვ. „ანალების“ სკოლამ ისტორიულ მეცნიერებას ახალი პერსპექტივები დაუსახა. ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა სოციოლოგიას, ეკონომიკას, ფსიქოლოგიას, გეოგრაფიას და სხვა სამეცნიერო დისციპლინებს.

წყარო დ) ლუსიენ ფევრი, XX ს.

„უნდა ვაიძულოთ უტყვი საგნები, ალაპარაკდნენ და მოგვითხრონ თავიანთ შემქმნელებზე ის, რასაც ისინი თავად არ გვიამბობენ. სწორედ ეს მუდმივი მცდელობა წარმოადგენს ჩვენი – ისტორიკოსების – ხელობის ყველაზე მიმზიდველ მხარეს.“

39. გაიხსენე, რა გზა გაიარა ისტორიოგრაფიამ ძველიდან ახალ დრომდე? როგორ იცვლებოდა ისტორიული აზრი ეპოქების მიხედვით და რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი?

§ 54. „ვიქტორიანული ეპოქის“ კულტურა

1837-1901 წლებში დიდ ბრიტანეთს დედოფალი ვიქტორია მართავდა. დედოფალ ვიქტორიას ტახტზე ასვლასთან ერთად ინგლისის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ძირეული პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო და ეკონომიკური გარდაქმნების პერიოდი დადგა. ამ გარდაქმნებმა ინგლისის ძველი არისტოკრატიული წყობილება თანდათანობით თანამედროვე დემოკრატიული მიდგომებით შეცვალა. ამგვარად, დიდ ბრიტანეთში სოციალური სისტემა რევოლუციის გარეშე, ევოლუციური ცვლილებების გზით შეიცვალა. ეს პერიოდი ისტორიაში ვიქტორიანული ერის სახელით არის ცნობილი.



სურ. 1 დედოფალი ვიქტორია

წყარო ა) ადამ სმითი (1723-1790), შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“:

„მეცნიერული განათლების სიიაფე, უეჭველია, ისეთი უპირატესობაა, რომელიც ხელს უწყობს უარყოფითი გარემოებების გამოსწორებას. მოსახლეობას აქედან მეტი სარგებლობა ექნებოდა, სკოლები და კოლეჯები უფრო გონივრულად რომ იყოს მოწყობილი, ვიდრე ამჟამად არის ევროპაში... უბრალო ხალხის განათლება უფრო დიდი საზოგადოებრივი საზრუნავია, ვიდრე მაღალი ფენის ადამიანების განათლება, რომელთაც დასაქმება იშვიათად ან საერთოდ არ აწუხებთ. განათლების ნაკლებობა მთავარი წყაროა უთანასწორობისა, რომელიც ბავშვის ცხოვრების პირველივე წლებში აისახება. განათლება ხელს შეუწყობს მთლიანი ეკონომიკური სისტემის მუშაობას, რადგან განათლებული ადამიანები უფრო მეტად წავლენ რისკზე, გადავლენ ერთი სამსახურიდან მეორეზე, გათავისუფლდებიან დოგმებისა და ცრურწმენებისგან და გახდებიან დამოუკიდებელი არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ საქმითაც. განათლებით ხალხი უფრო მეტად შეაფასებს საკუთარ თავს და პირად ინტერესს. ისინი უფრო ნათლად დაინახავენ, რა არის მათი ინტერესი და რატომ... მასების განათლება, განათლებული საზოგადოება პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა“...

1. XVIII საუკუნის შოტლანდიელი განმანათლებლის ადამ სმითის ნაშრომის მიხედვით, რა გამოწვევების წინაშე იდგა ინგლისის საგანმანათლებლო სისტემა?

2. როგორ შეაფასებ ადამ სმითის მიერ დანახულ პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად შემოთავაზებულ გზებს?

დიდი ცვლილებების ხანა

დედოფალ ვიქტორიის ხანა იმ ცვლილებების კულმინაცია იყო, რომლებიც ინგლისში ხდებოდა. პირველ რიგში, ეს ცვლილებები განათლებას შეეხო. ინგლისში მოსახლეობის მხოლოდ მაღალ ფენას შეეძლო რაიმე სახის განათლების მიღება. გოგონები სარგებლობდნენ გუვერნანტის სწავლებით, რომელიც სახლში მიდიოდა ან მათთან ცხოვრობდა. განკვეთილების ძირითადი არსი იყო ეტიკეტის შესწავლა, ის სოციალური უნარები, რომლებიც გოგონებს ქალბატონებად აქცევდა: კითხვა, მანერა, მეტყველება, მუსიკა, ხატვა, დაკვრა. ბიჭები დამატებით სწავლობდნენ არითმეტიკას, ისტორიას ან გეოგრაფიას.

საუკუნეების მანძილზე ოქსფორდისა და კემბრიჯის უძველეს უნივერსიტეტებს მიღების სამი ბარიერი ჰქონდათ: განმცხადებელი უნდა ყოფილიყო 1. მამაკაცი; 2. უცოლო; 3. ინგლისის რომელიმე ეკლესიის წევრი. თუ მეორე და მესამე მოთხოვნის აცილება რამენაირად შეიძლებოდა, პირველის შემთხვევაში ეს ვერ მოხერხდებოდა. დედოფალ ვიქტორიის დროს

ინგლისში დამატებით არაერთი უნივერსიტეტი გაიხსნა, რომლებიც რელიგიური მოთხოვნა არ არსებობდა. 1828 წელს გაიხსნა ლონდონის უნივერსიტეტი, 1832 წელს – დარემის უნივერსიტეტი, 1851 წელს – მანჩესტერის კოლეჯი, 1900 წელს – ბირმინგემის უნივერსიტეტი. 1878 წელს ლონდონის უნივერსიტეტის ორმა კოლეჯმა – ედფორდის კოლეჯმა და როიალ-ჰოლოვეიმ, რომელიც უშუალოდ დედოფალმა გახსნა ქალებისთვის 1866 წელს, პირველად დაუშვა ქალები სასწავლებლად.



სურ. 2 როიალ-ჰოლოვეი – ლონდონის უნივერსიტეტი დღეს

საყოველთაო განათლება – უფასო დაწყებითი სკოლები ბავშვებისათვის

მაღალი ფენის მოსწავლეებს კერძო სკოლები ჰქონდათ, სკოლები არსებობდა ეკლესიაშიც, თუმცა ისინი ძალიან ცოტა იყო. უფასო დაწყებითი საქველმოქმედო სკოლები ღარიბი ბავშვებისათვის პირველად გაჩნდა ამ პერიოდის ინგლისში. ეს სკოლები მთლიანად საზოგადოებრივ ქველმოქმედებაზე იყო დაფუძნებული, რომელშიც სახელმწიფო არ იღებდა მონაწილეობას. სკოლების მიზანი იყო, ესწავლებინათ ყველა ბავშვისთვის, მოსწავლეებს შეესწავლათ რელიგიური და მორალური საფუძვლები. სკოლები ღარიბ მოსწავლეებს საშუალებას აძლევდნენ, ეცხოვრათ შენობაში, სადაც საკვებსა და ტანსაცმელსაც მიიღებდნენ. 1861 წელს ბრიტანეთში დაახლოებით 176 ასეთი სკოლა იყო. 1860-იან წლებში მთავრობამ გადამწყვეტი ექსპერიმენტი ჩაატარა: დაამტკიცა ალტერნატიული სკოლების პოლიტიკა, რაც ნიშნავდა სკოლების დახმარებას ფინანსურად, ასევე სასწავლო გეგმის სტანდარტიზებას. სკოლები დასწრებასა და პროდუქტიულობაზე გახდა დამოკიდებული. მასწავლებლებს ევალებოდათ, წერას, კითხვას, არითმეტიკას დაყრდნობოდნენ. ჩყოველი სასწავლო წლის ბოლოს ბავშვებს უტარდებოდათ გამოცდა, როდესაც სკოლის ინსპექტორები წიგნიერების დონეს აფასებდნენ. თუ მოსწავლე გამოცდას ვერ ჩააბარებდა, მთავრობა სკოლას აჯარიმებდა. 1875 წლისთვის საგნების რაოდენობა გაიზარდა. ისწავლებოდა ინგლისური გრამატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ლათინური ენა, მათემატიკა, მეცნიერებები, შიდა ეკონომიკა და თანამედროვე ენები. თუმცა შედეგებზე ორიენტირებული მასწავლებლები გადაიქცნენ დამსჯელებად, რომლებიც მხოლოდ ერთი იდეით იყვნენ შეპყრობილი – მოსწავლეებს გამოცდა ჩაებარებინათ და თავად ხელფასი არ დაჰკლებოდათ. მოსწავლეები ზეწოლას განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, საუკუნის ბოლოს ახალგაზრდების უმრავლესობამ წერა-კითხვა იცოდა. გარდა ამისა, საყოველთაო განათლების დაწყებამ პროგრესის ეპოქაში ყველა ბავშვი, განურჩევლად მათი სოციალური დონისა, წინსვლის მთავარ წყაროდ აქცია.



სურ. 3 მე-19 საუკუნის ბრიტანული სკოლა

3. პირველი საყოველთაო განათლების სკოლები ღარიბი ბავშვებისათვის საზოგადოების საქმიანობის შედეგი იყო. როგორ წარმოჩნდება ამ მოვლენით ინგლისის საზოგადოება?

4. რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მთავრობამ გადაწყვიტა ღარიბების სკოლების დაფინანსება?

5. როგორ შეაფასებ მთავრობის მიერ განხორციელებულ განათლების ექსპერიმენტს?

დასვენება-გართობა

გვიან ვიქტორიანულ ეპოქაში დასვენების, გართობის „დრო“ გაჩნდა. ეს დრო ყველა ქალაქში გართობებისათვის იყო განკუთვნილი და მასში ყველას შეეძლო მონაწილეობა, რადგან იაფი იყო. ასეთი ღონისძიებები იყო სპორტული, მუსიკალურ დარბაზებში, თეატრებში თუ გარეთ. 1880 წლისთვის ფეხბურთი ელიტარული სპორტი აღარ იყო, ის ერთნაირად იზიდავდა ყველას: მდიდრებსა თუ ღარიბ მუშათა ფენას. სპორტიდან შემოსული კაპიტალი სახელმწიფო ბიუჯეტის 3%-ს შეადგენდა. სპორტული აქტივობები ქალებისთვისაც ნებადართული გახდა ზოგიერთ სახეობაში: ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ბადმინტონში, ტანვარჯიშში. ქალებს შეეძლოთ ვარჯიში სპორტულ დარბაზებში.



სურ. 4 XIX საუკუნის ბრიტანეთის რეკლამა, რომელიც განთავსებული იყო დიდ საშობაო ბაზრობაზე ლონდონის სამხრეთით. იგი გიგანტურ ატრაქციონებს ჰპირდებოდა მოსახლეობას

1886 წლის გაზეთის პირველი გვერდის ფოტო: „მომავალი საუკუნის დადგომამდე უკვე აღიარებული იქნება, რომ ველოსიპედის გამომგონებელმა უფრო მეტი გააკეთა კაცობრიობის რევოლუციისთვის, ვიდრე ჩვენი დროის ყველა ფილოსოფოსმა“, წერდა ინგლისური ყოველდღიური გაზეთი.



სურ. 5 ინგლისის ყოველდღიური გაზეთის “Pall Mall”-ის ყდაზე გამოსახული ფოტო, 1886 წელი.

1832 წელს 16 წლის მოსწავლემ უილიამ უებ ელისმა ფეხბურთის თამაშის დროს წესი დაარღვია, ბურთს ხელი დასტაცა და მეტოქის კარისაკენ გაიქცა. ასე დაიწყო რაგბის ისტორია.



სურ. 6 რაგბის თამაში. 1887 წელი. ჩანახატის ავტორი სტენლი ბერკელეი

ლიტერატურა

ვიქტორიანულ ეპოქაში რომანების პოპულარულობაში წვლილი შეიტანა თავისუფალმა, განათლებული საშუალო ფენის მკითხველმა, მოსახლეობის ზრდამ და სახელმწიფო ბიბლიოთეკების ზრდამ. სხვა არაერთ გამორჩეულ მწერალთან ერთად ამ ეპოქაში დაიბადნენ უილიამ თეკერეი – 1811 წელს, ჩარლზ დიკენსი – 1812 წელს, შარლოტა ბრონტე – 1818 წელს, ჯორჯ ელიოტი – 1819 წელს.

ვიქტორიანული ინგლისის ლიტერატურის საფუძველი გახდა კრიტიკული რეალიზმი – სინამდვილის მკვეთრი კრიტიკა. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა მხატვრულ ნაწარმოებებში მწვავე სოციალური პრობლემის წამოჭრა, საზოგადოების მანკიერებებისთვის განაჩენის გამოტანა, დაჩაგრული ფენების ცხოვრების ასახვა და არსებულის კრიტიკა.



სურ. 7 „ოლივერ ტვისტის“ ილუსტრაცია. უცნობი მხატვარი

ჩარლზ დიკენსის რომანი „ოლივერ ტვისტი“ ასახავს ლონდონის გაღატაკებული მოქალაქეების ცხოვრების სინამდვილეს და ამხელს ლონდონის გაღატაკებული მოქალაქეების ცხოვრების სინამდვილეს – თავშესაფარში ბავშვების რეალურ ცხოვრებას. დიკენსი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ რეალობას, მძიმე სამყაროს, სადაც მშიერი, ცემისგან გადაღლილი ბავშვები დაშინებულ პატარა არსებებად იქცეოდნენ.

შარლოტა ბრონტეს „მასწავებელი“ ასახავს სოციალურ უთანასწორობას, შეუწყნარებლობას, სწავლა-აღზრდის არასწორ მეთოდებს. მწერალი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებსა და ტრადიციებს. რომანი ეფუძნება მწერლის გამოცდილებას ბრიუსელში, სადაც ის 1842 წელს მასწავლებელი იყო.



სურ. 8 შარლოტა ბრონტე. 1840 წელი



უილიამ თეკერეის „ამაოების ბაზარი“ მისი ყველაზე ცნობილი რომანია, რომელმაც გამოცემისთანავე დიდი პოპულარულობა მოიპოვა. მოქმედება ვითარდება გოგონათა აკადემიაში, სადაც მთავარი მოქმედი გმირები სწავლას ამთავრებენ და სკოლის მიღმა აგრძელებენ ცხოვრებას.

სურ. 9 უილიამ თეკერეის მიერ დახატული წიგნის ყდა. იგი თავის ზოგიერთი წიგნის ილუსტრაციას თავადვე ქმნიდა.

6. დაახასიათე ვიქტორიანული ეპოქის ინგლისი. შეფასებისას გამოიყენე კვლევა. გამოიყენე ქვემოთ მოცემული ელექტრონული მისამართები. შეაფასე დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამოიტანე დასკვნა.

ამ ელექტრონულ მისამართებზე შეგიძლია გაეცნო ვიქტორიანული ეპოქის თემებს:

- სპორტული დარბაზები და ტრენაჟორები: .http://oxotv.com/index.php?newsid=6245
- არქიტექტურა: https://www.thespruce.com/victorian-architecture-4769162
- მოდა – ჩაცმის სტილი: https://www.historic-uk.com/CultureUK/Victorian-Fashion/
- ბავშვთა შრომა: http://www.primaryhomeworkhelp.co.uk/victorians/children/working.htm
- ინგლისის ღარიბული ნაწილი: https://www.dailymail.co.uk/news/article-7035869/Harrowing-images-capture-plight-poor-Victorian-Britain.html

§ 55. სოციალური ცვლილებები საზოგადოებაში. მუშათა მოძრაობის გააქტიურება.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად დაწინაურებულ ქვეყნებში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული ადამიანები – მუშები – შეადგენდნენ. მათი რიგები ქალაქის ღარიბი მოსახლეობისა და სოფლიდან ქალაქში გადასული თუ მემამულისგან გათავისუფლებული გლეხებისგან ივსებოდა. ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში ფეოდალური ურთიერთდამოკიდებულება უკვე გაუქმებული იყო. მუშები თავისუფალი ადამიანები იყვნენ, რომლებიც საკუთარი შრომის ფასად ანაზღაურებას იღებდნენ.

1. როგორ ფიქრობ, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება და ქალაქში მოსახლეობის სწრაფი ზრდა რა საჭიროებების წინაშე დააყენებდა ქალაქს?

2. შენი აზრით, რამდენად დაცული შეიძლებოდა ყოფილიყო მუშათა უფლებები?

თავიდან მუშების დიდი ნაწილი გამოუცდელი და სათანადო უნარებს მოკლებული იყო. მხოლოდ მუშაობის პროცესში აგროვებდნენ ისინი გამოცდილებას. ფაბრიკის მფლობელებს ბევრი მუშახელი სჭირდებოდათ, ამიტომ კაცებთან ერთად სამუშაოდ ქალები და ბავშვებიც აჰყავდათ. ამას გარდა, ქალებს კაცებთან შედარებით ნაკლებ ხელფასს უხდიდნენ, ბავშვებს კი – კიდევ უფრო ცოტას. ფაბრიკაში მანქანა-დანადგარებთან მუშაობა გამოუცდელი ადამიანისთვის უსაფრთხო არ იყო, მფლობელი მასზე პასუხს არ აგებდა.

წყარო ა) პამფლეტი, 1832 წელი.

მქსოველი, რომელსაც ფანჯარა ღია ექნება – 1 შილინგი
მქსოველი, რომელიც სამუშაოს დროს დაისვრება – 1 შილინგი
მქსოველი, რომელიც სამუშაოს დროს იბანს – 1 შილინგი
მქსოველი, რომელიც უსტვენს – 1 შილინგი
მქსოველი, რომელიც ბოლო ზარის დარეკვიდან 5 წუთით დაიგვიანებს – 1 შილინგი
მქსოველი, რომელიც ავად გახდება და შემცვლელს ვერ ნახავს, გადაუხდის მფლობელს დღის ანაზღაურებას – 1 შილინგს.

3. რაზე მეტყველებს პამფლეტი? რა ინფორმაცია მოგვაწოდა, როგორც ისტორიულმა წყარომ?

4. რა შემთხვევაში იხდიდნენ მუშები ჯარიმას? საით არის მიმართული პამფლეტის სარკაზმი?

5. როგორ შეიძლებოდა ეპასუხა ფაბრიკის მფლობელს ამ პამფლეტისთვის?

6. ქვემოთ მოცემული ფოტოებით დაახასიათე ინდუსტრიული რევოლუციის დროინდელი მუშა ბავშვების ყოფა.



სურ. 1



სურ. 2

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით განვითარების მიუხედავად, პრობლემად რჩებოდა მუშათა უფლებები, არ არსებობდა შრომითი ინსპექცია, ქარხნები არასრულწლოვანთა შრომას იყენებდნენ, ხშირად სათანადო ანაზღაურებას არ უხდიდნენ, საწარმოო ტრამვის შემთხვევაში არ არსებობდა კომპენსაციები, არ არსებობდა დადგენილი სამუშაო დრო.

სხვადასხვა დარგის მუშებმა გაერთიანება და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა დაი წყეს. ხშირად ისინი გაფიცვებსაც აწყობდნენ და მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე მუშაობაზე უარს აცხადებდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისში გაჩნდა ლუდიტური მოძრაობა. ლუდიტებმა სახელი თავიანთი ლეგენდარული ლიდერის ნედ ლუდის სახელის მიხედვით დაირქვეს. პირველად ეს მოძრაობა ნოტინგემშირში ფეიქრებმა წამოიწყეს. საქსოვი დაზგების შემოტანამ ისინი უმუშევრები დატოვა, რადგან მათ სამუშაოს მანქანები ასრულებდა. უმუშევრად დარჩენილებმა საპროტესტო მოძრაობა დაიწყეს: ქარხნებში იჭრებოდნენ და საქსოვ დაზგებს ანადგურებდნენ. მათ მომხრეები სხვა ქალაქებშიც გაუჩნდათ – იორკშირში, ლანკაშირსა და დერბიშირში. საბოლოოდ ლუდიტების მცდელობები მარცხით დასრულდა. ინგლისის ხელისუფლებამ პროტესტი რეპრესიებით ჩაახშო, მათ შორის ბევრი ლუდიტი სიკვდილით დასაჯეს. დღეს ლუდიტებს ხშირად იმ პირებს უწოდებენ, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს ებრძვიან.



სურ. 3



სურ. 4

სურ. 1-4 მუშა ბავშვები
www.rarehistoricalphotos.com/child-labor-america/



სურ. 5 ლუდიტები ამსხვრევენ დაზგას, გრავიურა, 1812 წ.

7. მოიყვანე არგუმენტები ლუდიტური მოძრაობის საწინააღმდეგოდ და სასარგებლოდ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ინგლისში მუშათა ახალი – „ჩარტისტების“ – მოძრაობა დაიწყო. მოძრაობის მთავარ მიზანს ქვეყანაში საპარლამენტო რეფორმების ჩატარება წარმოადგენდა.

ჩარტისტული მოძრაობა მიმართული იყო ქვეყანაში გამეფებული ინდუსტრიული და პოლიტიკური უსამართლო კანონების წინააღმდეგ. ჩარტისტებმა ბრიტანეთის პარლამენტს სამჯერ, 1839, 1842 და 1848 წლებში, წარუდგინეს პეტიცია, იგივე ქარტია (ინგლისურად Charter), რის გამოც თვით ამ მოძრაობის წევრებს დაერქვათ ჩარტისტები. იმ დროისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც ათი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ქონება ჰქონდა, რაც იმ დროის ინგლისში საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენ-და და საშუალო ფენასაც კი არჩევნებში ხმის მიცემის საშუალება არ ეძლეოდა.



სურ. 6 „ჩარტისტული ფრესკა“, მოზაიკა ნიუპორტში. ქენეთ ბადი, 1978 წ. მხატვარმა ეს ნამუშევარი მიუძღვნა 1839 წელს ნიუპორტში ჩარტისტების გამოსვლას, რომლის დროსაც პოლიციასთან შეტაკებაში 22 დემონსტრანტი დაიღუპა.

წყარო ბ) ჩარტისტების 1839 წლის მოთხოვნები:

საყოველთაო საარჩევნო უფლება 21 წელს ზემოთ მამაკაცებისათვის;
ფარული ხმის მიცემა ბიულეტენებით;
დეპუტატობის კანდიდატებისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმება;
თანაბარი საარჩევნო რაიონები;
პარლამენტის წევრებისათვის ხელფასის დაწესება;
პარლამენტის ერთი წლის ვადით არჩევა.

1842 წელს ჩარტისტებმა გამოაქვეყნეს ახალი პეტიცია, რომელშიც ისინი სამუშაო დღეებისა და გადასახადების შემცირებას და ხელფასების გაზრდას მოითხოვდნენ. 1848 წელს ლოდონში, კენსინგტონ-პარკში, ჩარტისტული მოძრაობის მომხრეები შეიკრიბნენ, დაახლოებით 150 000 კაცი. მთავრობამ არეულობის თავიდან ასაცილებლად პოლიციის მობილიზება მოახდინა. მომიტინგეები და პოლიცია ერთმანეთს შეეჯახნენ. ჩარტისტული მოძრაობა დამარცხდა, თუმცა საარჩევნო რეფორმები დიდ ბრიტანეთში მოგვიანებით, XIX საუკუნის 60-იან და 80-იან წლებში, მაინც გატარდა.

8. რა განსხვავება იყო ლუდიტურ და ჩარტისტულ მოძრაობებს შორის?

9. კლასში იმუშავეთ ჯგუფურად და შექმენით ლუდიტური და ჩარტისტული პლაკატები. დაიტანეთ მათზე ორივე მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები.

10. როგორ ფიქრობ, რატომ იქნებოდა მნიშვნელოვანი ისტორიკოსისთვის იმდროინდელი პლაკატები?

11. მუშათა მოძრაობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო დაიწყო, თუმცა ჩარტისტების მოთხოვნებს შორის პოლიტიკური მოთხოვნები ჭარბობდა. შენი აზრით, რატომ?

12. შენი აზრით, შეძლებდა თუ არა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოპოვება მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას? პასუხი დაასაბუთე.

13. წყარო ბ)-ს მიხედვით, ჩარტისტების მოთხოვნებს შორის რომელი მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად?

14. დროის ხაზზე დაიტანე საზოგადოების სოციალური ცვლილება შუა საუკუნეებიდან ახალი დროის ჩათვლით. ასევე აღნიშნე ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც საზოგადოების ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი (**მოსწავლის რვეული, დავ. 83**)

მუშების როლი 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციაში

1848 წლიდან ევროპას რევოლუციების ტალღამ გადაუარა. საფრანგეთში გამოსვლები მოჰყვა მეფე ლუი-ფილიპ ორლეანელის გადაწყვეტილებას, აეკრძალა შეკრებები. პარიზში მოქალაქეები ქუჩაში გამოვიდნენ და ბარიკადები აღმართეს. მათი ნაწილი მეფის სასახლესაც კი მიუახლოვდა. ამით შეშფოთებულმა მეფემ მინისტრები დაითხოვა, გვარდიას კი დახმარებისკენ მოუწოდა, თუმცა ეროვნული გვარდიის წევრები მეფეს არ დაემორჩილნენ. 24 თებერვალს ლუი-ფილიპი იძულებული გახდა, ტახტი დაეტოვებინა და ინგლისში წასულიყო. 25 თებერვალს შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც შეძლებული ბურჟუაზიითა და რესპუბლიკელებით დაკომპლექტდა.

15. როგორ ფიქრობ, შეძლებდა თუ არა დროებითი მთავრობა ერთიანობის შენარჩუნებას და რა მიმართულებით განვითარდებოდა ქვეყანა, თუ დროებითი მთავრობის წევრები ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ?

წყარო გ) დროებითი მთავრობის განცხადება, 1848 წლის 25 თებერვალი

„საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა იღებს ვალდებულებას, რომ მუშების საარსებო პირობები გარანტირებული იქნება მათთვის სამსახურის უზრუნველყოფით. მთავრობა ამ გარანტიას აძლევს ყველა მოქალაქეს“.
4. 1

ახლად არჩეულმა დროებითმა მთავრობამ მუშათა საკითხების მოსაგვარებლად ჩამოაყალიბა კომისია ლუი ბლანის მეთაურობით.

წყარო დ) ლუი ბლანის უმუშევრობის დაძლევის სქემა:

„მთავრობა უნდა გახდეს ქვეყნის წარმოების მთავარი რეგულატორი და ამისათვის მას უნდა მიენიჭოს დიდი ძალაუფლება. ეს ამოცანა უზრუნველყოფს კონკურენციასთან ბრძოლას და საბოლოოდ მის დაძლევას. ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს ვალები და შემოსავლები, რის საშუალებითაც უნდა დააარსოს სახელოსნოები ეროვნული მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგებისათვის. რადგან ამ დაწესებულებებს დასჭირდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები, საწყის ეტაპზე მათი რაოდენობა მკაცრად უნდა შეიზღუდოს. თუმცა მომავალში, როგორც ვნახავთ, ისინი შეძლებენ გაფართოებას.

მთავრობამ, როგორც სახელოსნოების ერთადერთმა დამფუძნებელმა, უნდა დააწესოს კანონმდებლობა მათ სამართავად. ამ საკანონმდებლო აქტებს, რომლებსაც მოსახლეობის მიერ არჩეული მათივე წარმომადგენლები დააწესებენ, უნდა ჰქონდეს კანონის ძალა.

ნებისმიერი მუშა, შეიძლება დასაქმდეს ამ სოციალურ სახელოსნოებში იმ დრომდე, ვიდრე არ მოაგროვებს საწყის კაპიტალს სამუშაო იარაღების შესაძენად. სახელოსნოების დაფუძნების პირველ წელს სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს დასაქმების მოცულობა. პირველი წლის შემდეგ ეს საჭირო აღარ იქნება, რადგან შემდეგ საკმარისი დრო იქნება მუშების სამუშაოს შესაფასებლად. ამასთან ერთად, როგორც მალე ვნახავთ, თითოეულ მათგანს ინტერესი ექნება.

სოციალური სახელოსნოს ყველა წევრს შეეძლება, ისარგებლოს შრომის შემოსავლით, თავისი შეხედულების მიხედვით; კაპიტალისტებსაც შეეძლებათ ამ ასოციაციებში შესვლა და ჩადებული ფულის პროცენტების მიღება. მაგრამ ისინი ვერ მიიღებენ მოგებას, თუ იმავდროულად იქ არ იმუშავებენ“.

16. წყარო გ)-ს მიხედვით, რა იყო მუშათა მთავარი მოთხოვნები?

17. რაზე მეტყველებს, რომ დროებითი მთავრობა ამ ტიპის განცხადებას აკეთებს?

18. რა როლი უნდა ჰქონოდა მთავრობას ამ სახელოსნოების მუშაობაში?

19. როგორ უნდა შეენარჩუნებინათ ეს სახელოსნოები მათი დაარსების შემდეგ?

20. შენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფდა ეკონომიკურ ზრდას კონკურენციის დაძლევა? პასუხი დაასაბუთე.

21. როგორ ფიქრობ, რამდენად მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ლუი ბლანის უმუშევრობის დაძლევის სქემა ფაბრიკების მფლობელებისთვის? პასუხი დაასაბუთე.

ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად დროებითმა მთავრობამ მალევე შემოიღო ე. წ. ეროვნული სახელოსნოების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პარიზში ყველა მსურველის დასაქმებას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხელისუფლების ამ გეგმამ არ გაამართლა. ამის გამო ივნისში მთავრობამ პროვინციებიდან ჩამოსული მუშები სამსახურებიდან დაითხოვა და გვარდიაში სამსახური შესთავაზა, ეროვნული სახელოსნოები კი დახურა. მუშებმა პარიზში ბარიკადები აღმართეს, ისინი სამუშაოზე დაბრუნებას მოითხოვდნენ.

წყარო ე) 4 ივნისს ეროვნული სახელოსნოების მუშების მიერ გამოქვეყნებული პეტიცია:

„ჩვენ არ ვითხოვთ ქველმოქმედებას. რესპუბლიკა დაგვპირდა სამუშაოს, რათა მის შვილებს ჰქონოდათ საარსებო საშუალება... ასე რომ, მოგვეცით სამუშაო, რომ ვიცხოვროთ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა. ნუ დაგავიწყდებათ, მონარქისტებო, ჩვენ მესამე რევოლუცია იმისთვის არ მოგვიხდენია, რომ თქვენს მონებად დავრჩენილიყავით“.

22. მოაწყვეთ კლასში დისკუსია და იმსჯელეთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაზე.

23 ივნისს პარიზელი მუშების შეიარაღებული აჯანყება დაიწყო მთავრობამ აჯანყების ჩასახშობად ჯარი გაგზავნა. შეტაკებებს ორივე მხრიდან 10 ათასი ადამიანი შეეწირა, 11 ათასი კი დააკავეს.

მთავრობამ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომლის თანახმად პარლამენტი საყოველთაო არჩევნებით უნდა არჩეულიყო, აღმასრულებელი ხელისუფლება კი პრეზიდენტის ხელში გადადიოდა. საპრეზიდენტო არჩევნებში ლუი ნაპოლეონმა (ნაპოლეონის ძმისშვილმა) გაიმარჯვა. მაგრამ რევოლუცია ამით არ დასრულებულა.

1852 წლის 2 დეკემბერს ლუი ნაპოლეონმა ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომლის მიხედვითაც სენატისა და სახელმწიფო საბჭოს ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში გადადიოდა.

§56. იდეოლოგიები და მოძრაობა ქალთა უფლებებისთვის



სურ. 1 კონსერვატიზმი – წარსულს!
ლიბერალიზმი – აწმყო!
სოციალიზმი – უფრო შორს!
1924 წლის ლიბერალური პარტიის პოსტერი. დიდი ბრიტანეთი

ლიბერალიზმი

ჯონ ლოკი, მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობის შესახებ, 1690 წელი

„იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ პოლიტიკური ძალაუფლება... უნდა განვიხილოთ ის მდგომარეობა, რომელშიც ყველა ადამიანი ბუნებრივად იმყოფება: როდესაც თითოეულს სრული თავისუფლება აქვს, ბუნების კანონების საზღვრებში თავად გადაწყვიტოს, რა აკეთოს – ისე მოექცეს თავის საკუთრებას და სხვა ადამიანებს, როგორც თვითონ უნდა და საამისოდ არავის სთხოვოს ნებართვა და არავისზე იყოს დამოკიდებული“.

ჯორჯ ვაშინგტონი, 1776 წ.

„გავამხნევოთ ერთმანეთი, ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ბრძოლა აუცილებელია, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარი მიწის თავისუფლებისთვის იბრძვის, აღემატება დაქირავებული მონების ერთობლიობას დედამიწაზე“.

თომას ჯეფერსონი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1776 წ.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ჭეშმარიტებები აშკარაა: რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანაბარი და განუყოფელი უფლებებით, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“.

1. ამ ციტატების წაკითხვის შემდეგ როგორ ახსნით, რას ნიშნავს ლიბერალიზმი?

ლიბერალიზმი თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად ადამიანის თავისუფალ ნებასა და საზოგადოების ყოველი წევრის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მიიჩნევს. ლიბერალებს სჯერათ დემოკრატიის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, პიროვნების უფლებების, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის. მათ სურთ, გამოიყენონ სამართლებრივი გზები პოლიტიკური კონტროლის მისაღწევად. ლიბერალური იდეოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერთოს ინდივიდების ცხოვრებაში და მხოლოდ ის სფეროები განაგოს, რომელთა მოწესრიგებაც ინდივიდებს არ შეუძლიათ.

მთლიანობაში ლიბერალიზმი შემდეგს ამტკიცებს:

- ხალხის ირჩევს მთავრობას ხმის მიცემის გზით;
- საყოველთაო ხმის მიცემის უფლება – ყველა ადამიანს აქვს უფლება გარკვეული ასაკის შემდეგ მისცეს ხმა;
- ამომრჩეველს უნდა შეეძლოს არჩევანის გაკეთება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შორის;
- მკაფიო ბალანსის დაცვა უფლებებსა და მოვალეობებს შორის;
- ყველა უნდა დაემორჩილოს კანონებს, მათ შორის მთავრობა;
- პიროვნების თავისუფლების დაცვა, სიტყვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, პროფკავშირებში გაწევრიანების უფლება;
- კაპიტალისტურ პრინციპზე დამყარებული ეკონომიკა, კერძო საკუთრების დაცვა;
- თავისუფალი ვაჭრობა ერებს შორის (ტარიფებისა და სავაჭრო ბარიერების გარეშე).

ევროპული ლიბერალიზმი XIX ს.-ში შეიქმნა. ხალხი უკმაყოფილო იყო ცუდი ცხოვრებით, სამუშაო პირობების სიმძიმით, უმუშევრობით. მუშათა ფენამ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად დაიწყო ბრძოლა. მათ თავად შექმნეს პროფკავშირები. პიროვნების ინდივიდუალური პოზიცია ერთად მოქმედების იდეას უთმობდა გზას. ლიბერალიზმი ღიაა ყველანაირი პროგრესული სიახლისა და რეფორმისათვის, რის გამოც ლიბერალურ იდეოლოგიას, ტრადიციულად, კონსერვატივიზმს უპირისპირებენ ხოლმე.

კონსერვატიზმი

ლიბერალიზმის საპირისპიროდ, კონსერვატიზმი ტრადიციული ფასეულობების პატივისცემას უსვამს ხაზს. შესაბამისად, კონსერვატორები ფიქრობენ, რომ სოციალური უთანასწორობა ბუნებრივი მოვლენაა და მისი სრული აღმოფხვრა შეუძლებელია. კონსერვატორებისთვის კერძო საკუთრება წმინდაა და მასში რაიმე ფორმით ჩარევა გამორიცხულია, კატასტროფის ტოლფასია. ამით იგი სოციალისტურ იდეოლოგიას უპირისპირდება. კონსერვატიზმი, ლიბერალიზმის მსგავსად, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, თუმცა, ლიბერალიზმისგან განსხვავებით, პიროვნების თავისუფალი ნებისა და ინდივიდუალური თავისუფლებების წინ ძლიერ სახელმწიფოს აყენებს და პრიორიტეტად უსაფრთხოებას და წესრიგს მიიჩნევს.

ისტორიკოსი რასელ კირკი ასე აყალიბებს კონსერვატივიზმის პრინციპებს:

- კონსერვატივიზმი წეს-ჩვეულებების, შეთანხმებების თანამიმდევრულობის მომხრეა;
- კონსერვატორები აფასებენ ძალაუფლების იერარქიაზე დაფუძნებული სტაბილური საზოგადოების შექმნას და შენარჩუნებას;
- მათთვის მთავარია ტრადიციული ღირებულებებისა და ინსტიტუტების, მაგალითად, მთავრობისა და რელიგიის, უდიდესი პატივისცემა;
- ისინი ფიქრობენ, რომ განსხვავებულობა ფენებისა თუ მატერიალური მდგომარეობის მიხედვით მნიშვნელოვანია. თანასწორობის ერთადერთი სწორი ფორმა კანონის წინაშე თანასწორობაა. თუ ეს დაირღვა, მაშინ გზა გაეხსნება ტირანიას და ოლიგარქიას, რომელიც ახალი სახის უთანასწორობას შექმნის;
- კონსერვატორებს სჯერათ, რომ თავისუფლება და საკუთრება პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან;
- კონსერვატორი აცნობიერებს ადამიანისა და ხელისუფლების მიმართ შეკავების მექანიზმების აუცილებლობას. ცდილობს, ისე დააბალანსოს პოლიტიკური ძალაუფლება, რომ ხელი შეუშალოს ტირანიისა თუ ოლიგარქიის ჩამოყალიბებას;
- კონსერვატორს არ უყვარს სიახლეები, მაგრამ თუ ცვლილებას განიხილავს, ეს მხოლოდ ბუნებრივად უნდა მოხდეს, ევოლუციურად და არა რევოლუციური ჩარევით.

2. „კონსერვატორი არის ადამიანი, რომელსაც ორი იდეალური ფეხი აქვს, თუმცა არასოდეს უსწავლია, როგორ წავიდეს წინ“ – ფრანკლინ ელანო რუზველტი (რადიოსაუბარი, 1939 წ.). როგორ აფასებს ამერიკის პრეზიდენტი კონსერვატორულ იდეოლოგიას? ეთანხმები თუ ეწინააღმდეგები მის მოსაზრებას?

სოციალიზმი

კონსერვატორებსა და სოციალისტებს შორის კამათის ძირითადი თემა სოციალური გაუმჯობესებისათვის ბრძოლაა. კონსერვატორები სოციალური გაუმჯობესების წინააღმდეგი არ არიან, თუმცა ფიქრობენ, რომ, როდესაც საზოგადოება ზოგიერთი კუთხით პროგრესირებს, ამავდროულად რაღაცას კარგავს კიდეც. სოციალიზმი XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და წვრილი მეწარმეების ინტერესებს გამოხატავდა, რომელსაც მალევე მუშათა ფენაც შეუერთდა. მათთვის სოციალიზმი მიმზიდველ იდეას წარმოადგენდა, რადგან კერძო საკუთრების სრულ უარყოფასა და ქონებაზე საერთო საკუთრების დამყარებას მოითხოვდა. ამ იდეოლოგიის ფუძემდებელი იყო გერმანელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი კარლ მარქსი (1818-1882). მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი, ისევე როგორც მისი წინამორბედი სოციალურ-ეკონომიკური სისტემები, გარდაუვალად წარმოშობს შინაგან დაპირისპირებას, რაც მას საბოლოო დაცემამდე მიიყვანს. კაპიტალიზმს სოციალიზმი ჩაანაცვლებს და კაცობრიობას უსახელმწიფოო, უკლასო საზოგადოებამდე მიიყვანს. ასეთ სისტემას კომუნიზმი ეწოდება. მარქსის აზრით, იმისათვის, რომ **პროლეტარიატმა** თავის საწადელს მიაღწიოს, მან უნდა დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა, მოიპოვოს პოლიტიკური ხელისუფლება და გააუქმოს კერძო საკუთრება. თუმცა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული სოციალიზმში რეფორმისტული მმართველობაც გამოიკვეთა.

პროლეტარიატი – (ლათ. „პროლეტარიუს“) – დაქირავებული მუშა, რომელსაც ქონება, კერძო საკუთრება არ გააჩნია. ეს ტერმინი კარლ მარქსმა შემოიღო.

სოციალისტების ძირითადი პრინციპებია:

- საზოგადოებრივი ერთობა, ძმობა-კოლექტივიზმი, ინდივიდუალიზმზე მაღლა კოლექტივის დაყენება;
- სოციალისტური თანასწორობა მატერიალური კეთიდღეობის თვალსაზრისით;
- მოთხოვნილება - მატერიალური ქონება საზოგადოებაში მოთხოვნილებების მიხედვით უნდა განაწილდეს და არა უნარისა თუ შრომის მიხედვით. ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების – შიმშილის, წყურვილის, საკუთარი ჭერის, უსაფრთხოების – დაკმაყოფილება ღირსეული არსებობის წინაპირობაა (კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი);
- საერთო საკუთრება (თანამედროვე სოციალიზმი ამ პრინციპს ემიჯნება);
- შრომის პირობების გაუმჯობესება;
- შრომის ანაზღაურების გაზრდა;
- პროფკავშირებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნა;
- საპარლამენტო გზით სოციალიზმზე მშვიდობიანად, თანდათანობით გადასვლა.

3. მოცემული იდეოლოგიებიდან გამოყავი ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები.

4. როგორ ფიქრობ, რატომ ჩამოყალიბდა ეს იდეოლოგიები სწორედ XIX საუკუნეში?

5. იმსჯელე, შენთვის რომელი იდეოლოგიაა საინტერესო, რომელი ნაკლებად – საინტერესო.

6. გარდა წარმოდგენილი იდეოლოგიებისა, რომელი იდეოლოგიები გაგიგია?

7. ახალი იდეოლოგიები დაუკავშირე ახალ დროში საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებსა და სოციალურ ფენებს. შეავსე სქემა (**მოსწავლის რვეული, დავ. 84**)

8. დავალება: დაიყავით 4-5-კაციან ჯგუფებად. შექმენით ჯთქვენი „უტოპიური საზოგადოება“. წარმოადგინეთ დავალება თქვენთვის ხელსაყრელი ნებისმიერი 5-წუთიანი ფორმატით. ეს შეიძლება იყოს პრეზენტაცია, სიტყვა, ტრეილერი.....

გაითვალისწინეთ:

- როგორი იქნება ცხოვრება თქვენს უტოპიურ საზოგადოებაში?
- ვინ იცხოვრებს იქ?
- იქნება თუ არა რამე კანონები ან წესები? მოიყვანე მაგალითი (მაგალითები).
- როგორი გარემო იქნება?
- სად იცხოვრებს ხალხი?
- როგორი ურთიერთობა ექნებათ აქ მცხოვრებლებს ერთმანეთთან?
- იქნება თუ არა თავისუფლება?

წარდგენის შემდეგ განიხილეთ, რომელი „ქვეყანა“ ან „საზოგადოება“ მოგეწონათ და რომელი არა.

იყო თუ არა წარმოდგენილი ისეთი მაგალითები, რომლებიც რეალურად ვერასოდეს შეისხამდა ხორცს?

იყო თუ არა თქვენ მიერ წარმოდგენილი უტოპიური საზოგადოებიდან რეალისტური ელემენტები?

ბრძოლა ქალთა უფლებებისთვის

ახალ დროში საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, ქალების მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში ისეთივე იყო, როგორიც წინა საუკუნეებში.

ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისკენ

1776 წლის „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ განმანათლებლობის ეპოქის იდეებს ასახავს, რომლის თანახმადაც: ყველა ადამიანი გონიერია და თავისი ცხოვრებით სწორედ გონების განვითარებისკენ უნდა ისწრაფოდეს. თუმცა იმ ეპოქის მოაზროვნეები ცნება „რაციონალურ ადამიანში“ მხოლოდ კაცებს გულისხმობდნენ. მაგრამ XVIII საუკუნეში იყვნენ ქალები, რომლებიც ქალთა უფლებებისთვის იღვწოდნენ.

მერი უოლსტონკრაფტი (1759 — 1797) – ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი. დაუპირისპირდა ქალის ბუნების, აზროვნების, უნარებისა და დანიშნულების შესახებ არსებულ მოძველებულ შეხედულებებს. თავისი...ნაშრომით „ქალის უფლებების დაცვა“ მან გაკვალა ბილიკი, რომელსაც თანასწორი ღირებულების აღიარებიდან თანაბარ უფლებებამდე მივყავართ. სწორედ მისმა მოღვაწეობამ და გაბატონებული ნორმების კრიტიკამ გახადა შესაძლებელი ქალების განათლება და მათი დაშვება ცოდნისა და აზროვნების სფეროებში.

ოლიმპია დე გუჟი (1748 — 1793) – ფრანგი მწერალი, რევოლუციონერი, „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაციის“ ავტორი. ოლიმპია ცდილობდა, საზოგადოების ყურადღება ქალთა უფლებების საკითხისკენ მიეპყრო, რადგან რევოლუციას ქალისა და კაცის უფლებრივი გათანასწორება არ მოჰყოლია.

1793 წელს ოლიმპია დე გუჟს პოლიტიკური პუბლიკაციებისთვის ბრალი წაუყენეს და სიკვდილით დასაჯეს.

XIX საუკუნეში დაწყებულმა მუშათა საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლამ და საპროტესტო გამოსვლებმა ქალებიც აიყოლია. მათ ლიდერობის შესაძლებლობა მიეცათ.



ამერიკის შეერთებულ შტატებში ობერლინის კოლეჯი იყო პირველი სასწავლებელი, რომელმაც 1837 წელს ქალებს სწავლების ნება დართო. ამ წელს კოლეჯში ჩარიცხულმა ოთხმა ქალმა სწავლის დასრულების შემდეგ სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. მალე ქალები ობერლინის კოლეჯში სტუდენტთა საერთო რაოდენობის მესამედს შეადგენდნენ.

სურ.8 ობერლინის სტუდენტები (1850-იანი წლები)

ელიზაბეთ კედი სტენტონი (1815-1902 წწ.) ამერიკელი აქტივისტი, აბოლიციონისტი და ფემინისტური მოძრაობის წამომწყები იყო. მან 1848 წელს დაწერა „გრძნობათა დეკლარაცია“, რომელიც „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“ ეფუძნებოდა და ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის მნიშვნელობაზე საუბრობდა. დეკლარაცია ამერიკელი ქალების პირველი პოლიტი-კური და სოციალური განაცხადი იყო, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი წინააღმდგეობა მოჰყვა. ამის მიუხედავად, მან დასაბამი მისცა აშშ-ში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლას. 68 ქალმა და 32 მამაკაცმა, მათ შორის აბოლიციონისტმა ფრედერიკ დუგლასმა, ხელი მოაწერა დოკუმენტს.



Yᵉ MAY SESSION OF Yᵉ WOMAN'S RIGHTS CONVENTION—Yᵉ ORATOR OF Yᵉ DAY DENOUNCING Yᵉ LORDS OF CREATION.

სურ. 9 1848 წელს ნიუ-იორკში, სენე-კა-ფოლსში, ელიზაბეთ სტენტონის ორგანიზებით 300-მდე ადამიანი შეიკრიბა. შეკრებილთაგან 68 ქალმა და 32 კაცმა ხმამაღლა წაიკითხა „გრძნობათა დეკლარაცია“. ეს შეკრება აშშ-ში ქალთა უფლებებისთვის ეროვნული მოძრაობის პირველ მცდელობად ითვლება.

ფრედერიკ დუგლასი (1818-1895) — ამერიკელი აბოლიციონისტი. მონად დაბადებული, 20 წლის ასაკში გაიქცა და მონობის საწინააღმდეგო მოძრაობის მსოფლიოში ცნობილი აქტივისტი გახდა. დუგლასის, როგორც რეფორმატორის, მოღვაწეობა გამოირჩევა ქალთა უფლებების დაცვაში აქტიურობით. „როდესაც მონობის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი ისტორია დაიწერება, ქალი დიდ ადგილს დაიკავებს, რადგან მონის საქმე ქალის საქმესაც ნიშნავს“, – წერდა იგი თავის ავტობიოგრაფიაში.

ამგვარად, XIX საუკუნეში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი მსოფლმხედველობა – ფემინიზმი, რომლის მიხედვითაც ქალებს უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. ამ მიზნის მისაღწევად ქალებს ხანგრძლივი, წინააღმდეგობრივი და საინტერესო გზის გავლა მოუხდათ.

9. იმსჯელე, რატომ არ გადაისინჯა ქალთა უფლებები განმანათლებლების მიერ, ვერ პოვა ასახვა „დამოუკიდებლობისა“ და „ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების“ დეკლარაციებში?

10. რატომ გააქტიურდა ეს თემა XIX საუკუნეში?

11. როგორ ფიქრობ, რომ არ ყოფილიყო განმანათლებლობა, ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ან საფრანგეთის რევოლუცია, დაიწყებოდა თუ არა ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა?

§ 57. ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომი (1861-1865 წწ.)

XIX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში 7 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. მათ შორის მილიონზე მეტი შავკანიანი მონა იყო. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ძირეული პრინციპი – ადამიანთა თანასწორობა – მათზე არ ვრცელდებოდა. რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში ბევრი პოლიტიკური ლიდერი ფიქრობდა, რომ მონობა თავისით დაკარგავდა აქტუალურობას და გაუქმდებოდა. ეს ასე არ მოხდა. მონობა მნიშვნელოვან პრობლემად დარჩა და ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის ეროვნული დაპირისპირების საფუძვლად იქცა. მონობისადმი განსხვავებული დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატების ეკონომიკური მოწყობის თავისებურება იყო. ჩრდილოეთის შტატებში გრილი კლიმატის გამო გავრცელებული იყო წვრილფერმერული მეურნეობა, რომელსაც მონათა შრომა არ სჭირდებოდა; განვითარებული იყო მრეწველობა და მანუფაქტურები და ფაბრიკა-ქარხნები ძირითადად აქ იყო თავმოყრილი. სამხრეთის ცხელი კლიმატის პირობებში კი, სადაც მრავალ ჰექტარზე იყო გადაჭიმული ბამბის, შაქრის ლერწმისა და თამბაქოს პლანტაციები, მონების შრომის გამოყენების გარეშე უფრო ძნელი იყო მოსავლის მოყვანა. მონები აფრიკის ქვეყნებიდან შემოჰყავდათ.

1808 წელს ჩრდილოეთის შტატების ინიციატივითა დ ზეგავლენით კონგრესმა აკრძალა აფრიკასთან მონებით ვაჭრობა და ახალი მონების შემოყვანა. ამერიკაში საკმაოდ ძლიერი იყო **აბოლიციონისტური** მოძრაობა.

აბოლიციონიზმი – საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია რომელიმე კანონის გაუქმება. ტერმინი პოლიტიკურ მეცნიერებებში დამკვიდრდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებში გავრცელებული მოძრაობის გავლენით, რომელიც მიზნად ისახავდა მონებით ვაჭრობისა და საერთოდ მონობის აკრძალვას.

XIX ს.-ის პირველ მეოთხედში ამერიკის შეერთებული შტატები ინტენსიურად ფართოვდებოდა.

მიწების ნაწილი ამერიკელებმა საფრანგეთისა და ესპანეთის მთავრობებისგან იყიდეს (ლუიზიანა, ნიუ-ორლეანის ნაწილი, ფლორიდა); ტერიტორიების ნაწილი (კალიფორნია, ნიუ-მექსიკო, ტეხასი) მექსიკასთან ომით მოიპოვეს. ახალი ტერიტორიების ათვისებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თვით ამერიკელთა მიგრაცია დასავლეთისკენ. ამ პროცესში ჩართული იყვნენ როგორც ჩრდილოეთის თავისუფალი, ისე სამხრეთის მონათმფლობელური საზოგადოებები. ამგვარად ჩამოყალიბდა ახალი

შტატები: მონობისაგან თავისუფალი ინდიანა, ილინოისი, მენი და მონათმფლობელური მისისიპი, ალაბამა და მისური. მონობის საკითხი გამწვავდა ახალშემოერთებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად იქცა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის წონასწორობის შენარჩუნება. 1818 წლისათვის, როდესაც ილინოისი შტატებს შეუერთდა, 10 შტატში მონობა იყო დაშვებული, 11-ში კი – აკრძალული. მონათმფლობელური ალაბამის შემოერთებამ წონასწორობა აღადგინა. 1819 წელს კავშირში შესვლა ითხოვა მისურის შტატმა. ჩრდილოეთმა მას მონობის გაუქმება მოსთხოვა, რამაც მონათმფლობელური შტატების პროტესტი გამოიწვია. კონგრესი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1820 წელს პოლიტიკური კრიზისი დაიძლია ე. წ. „მისურის კომპრომისით“.

მონათმფლობელობა დაუშვეს მისურისა და არკანზასის ტერიტორიებზე, თუმცა აიკრძალა მისი გავრცელება მისურის დასავლეთით და ჩრდილოეთით. წონასწორობის აღსადგენად აშშ-ს შეუერთდა თავისუფალი მენის შტატი. თუმცა წინააღმდეგობა ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის თანდათანობით ღრმავდებოდა და მას „გარდაუვალი კონფლიქტი“ ეწოდა.

1850 წელს კონგრესს კიდევ ერთი კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება მოუხდა. შტატებს შეუერთდა თავისუფალი კალიფორნია, ხოლო იუტისა და ნიუ-მექსიკოს მცხოვრებთ

უფლება მიეცათ, თავად გადაეწყვიტათ მონათმფლობელობის საკითხი. ასეთივე უფლება მიეცა 1854 წელს კანზასს, რამაც მონობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები გამოიწვია.

1. რატომ იყო თითოეული მხარისთვის ასე მნიშვნელოვანი კონგრესში თანაფარდობის დაცვა?

1856 წელს არც ისე მკვეთრი პოლიტიკური პოზიციის მქონე ვიგების პარტია დაიშალა და მის ადგილას წარმოიშვა რესპუბლიკური პარტია, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს აბოლიციონიზმს.

რესპუბლიკელების თვალსაჩინო ლიდერი იყო აბრაამ ლინკოლნი. ჯერ კიდევ 1854 წელს ლინკოლნმა ილინოისში წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ მონობის დაშვება-არდაშვება ახალ ტერიტორიებზე ეხებოდა არა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ მთელ შეერთებულ შტატებს. 1858 წელს სენატის საარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული სიტყვები ამერიკის ისტორიის განმსაზღვრელად იქცა: „დაპირისპირებულ მხარეებად გაყოფილი სახლი დაინგრევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმწიფო ვერ იქნება მუდამ ნახევრად მონათმფლობელური და ნახევრად თავისუფალი“.



სურ. 1 აბრაამ ლინკოლნი

1860 წელს რესპუბლიკურმა პარტიამ საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატურად აბრაამ ლინკოლნი დაასახელა. ლინკოლნმა გაიმარჯვა, რამაც ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა. სამხრეთის შტატებმა ქვეყნისგან გამოყოფა და ცალკე სახელმწიფოს დაარსება გადაწყვიტეს (ამერიკის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ცალკეული შტატის გამოყოფას კავშირიდან, თუმცა კონსტიტუციაში არც ამის საწინააღმდეგო ჩანაწერი არსებობდა).

1861 წლის თებერვალში 11-მა მონათმფლობელურმა შტატმა (34 შტატიდან) დააფუძნა ახალი სახელმწიფო, ამერიკის კონფედერაციული შტატები. ახალმა სახელმწიფომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის საფუძველსაც მონათმფლობელობა წარმოადგენდა. კონფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ჯეფერსონ დეივისი – ყოფილი სენატორი მისისიპის შტატიდან.

წყარო ა) კონფედერატი სენატორი სტივენსი: მონათმფლობელობა – შტატების კონსტიტუციის ქვაკუთხედი

ახალმა კონსტიტუციამ (კონფედერაციის 1861 წლის კონსტიტუციამ) სრულად გადაწყვიტა ყველა ამაღელვებელი საკითხი, რომლებიც ჩვენს პირად დაწესებულებას – აფრიკულ მონობას და ჩვენს ცივილიზებულ საზოგადოებაში შავკანიანების მდგომარეობას ეხებოდა. ჯეფერსონი თავისი პროგნოზებით გვაფრთხილებდა, რომ მონობა ის საძირკველია, რომელზედაც ძველი კავშირი დაიშლება. ის მართალი იყო, მაგრამ, რაც მისთვის ვარაუდი იყო, ახლა მომხდარი ფაქტია...

ჯეფერსონისა და იმ დროის წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეებისთვის კონსტიტუციის შექმნის დროს უპირატესი იყო იდეა, რომლის თანახმად, აფრიკელთა დამონება ბუნების კანონების დარღვევა იყო, რომ ეს სოციალური, მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით უსამართლოა. მონობა მათთვის იყო ბოროტება, რომელსაც, არ იცოდნენ, როგორ მოჰქცეოდნენ. მათი იდეები პრინციპულად არასწორი იყო იმიტომ, რომ ისინი რასების

თანასწორობის აღიარებას ეყრდნობოდა. ეს შეცდომა იყო. ჩვენი ახალი მთავრობა სრულიად საწინააღმდეგო იდეებზეა დაფუძნებული. მის საფუძველს, ქვაკუთხედს წარმოადგენს უდიდესი ჭეშმარიტება, რომ შავკანიანი თეთრი ადამიანის თანასწორი არ არის, რომ მონობა და უმაღლესი რასისადმი შავკანიანის მორჩილება – ეს მათი ბუნებრივი და ნორმალური მდგომარეობაა.



სურ. 2 კონფედერაციის ბეჭედი

2. რა ინფორმაციას შეიცავს კონფედერაციის ბეჭედი? შენი აზრით, რა მცენარეებია მასზე გამოსახული?

3. რას ეფუძნება სენატორ სტივენსის გამოსვლა და რაში ეწინააღმდეგება „ამერიკის დამფუძნებელ მამებს“?

4. როგორ ფიქრობ, 1787 წელს, კონსტიტუციის შემუშავებისას, რატომ არ აკრძალეს მონობა?

ამერიკის შეერთებული შტატები სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე დადგა. 4 მარტის საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტი ლინკოლნი დაჰპირდა სამხრეთის შტატებს, რომ ძალადობრივად არ გააუქმებდა მათ ტერიტორიაზე მონობას, თუმცა ქვეყნიდან გასვლის უფლებას არავის მისცემდა და მოუწოდებდა, დაბრუნებოდნენ შეერთებულ შტატებს. ლინკოლნის მიმართვას შედეგი არ გამოუღია.

წყარო ბ) „ნიუ-იორკ თაიმსი“

„ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს ერთი დღეც კი, თუ დაუშვებს მშვიდობიანი გაყოფის დოქტრინას, რადგან ასეთ შემთხვევაში მას შეუძლებელია ჰქონდეს უსაფრთხოებისა და მომავლის განცდა. შტატის გამოყოფა ნიშნავს, რომ ის აჯანყებულია, გამოყოფის მომხრეები კი მოღალატეები არიან. თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას აჯანყების ჩასახშობად კანონიერი საშუალებების მთელი არსენალის გამოყენება არ შეუძლია ე. ი. სიმხდალეს ავლენს და არღვევს დადებულ ფიცს“.

წყარო გ) მისურის „ფრი თრეიდერი“

„რუბიკონი გადალახულია. უნდა ვიმოქმედოთ. თუ კავშირში შტატების თანასწორობის დაცვა არ შეგვიძლია, მაშინ მას კავშირის გარეთ მივიღებთ და ეს იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა სამხრეთი შეერთებული შტატებისა“.

5. საგაზეთო სტატიების ამონარიდების მიხედვით, იმსჯელე, როგორია ორივე მხარეს არსებული განწყობა? რაზე მეტყველებს ეს სტატიები?

6. იმსჯელე, რა მნიშვნელობა აქვს რომელიმე საკითხის შესწავლისას იმდროინდელი პრესის გაცნობას? როგორ ეხმარება ეს სტატიები ისტორიკოსებს?

7. საგაზეთო სტატიების მიხედვით, რაში ადანაშაულებს თითოეული მხარე მოწინააღმდეგეს?

8. იმსჯელე, რამდენად გამრავალფეროვნდა ახალ დროში ისტორიული წყაროები. ჩრდილოეთის შტატებმა არ ცნო ახლად შექმნილი კონფედერაცია და სამხრეთელები მეამბოხეებად გამოაცხადეს.



■ *სურ. 3 1850-იანი წლების ამერიკული პლაკატი*

წარწერები პლაკატზე:

– ჩვენ, ჩრდილოელები, შეიძლება ცრუ ცნობებით ვიყავით მოტყუებული. რატომ არ ვეწვიეთ სამხრეთს მანამ, სანამ უსიამოვნებას გამოვიწვევდით ჩრდი-ლოელებსა და სამხრეთელებს შორის?

– ასე ექცევიან მონებს სამხრეთში?

– ძირითადად ასეა, მცირე გამონ-აკლისის გარდა. როდესაც ჩემი მონა 4-5 საათში განსაზღვრულ სამუშაოს შეასრულებს, შემდეგ ნებას ვრთავ, როგორც სურს, გაერთოს.

– ვფიქრობ, სტუმრები დაბრუნების შემდეგ განსხვავებულ ისტორიას მო-ჰყვებიან ჩრდილოეთში.

10. შენი აზრით, რა მიზნითაა შექმნილი პლაკატი? რის წარმოჩენას ცდილობს?

11. რატომ დასჭირდა ამ თემის წინ წამოწევა ავტორს?

12. როგორ ფიქრობ, სად არის პლაკატი შექმნილი: ჩრდილოეთში თუ სამხრეთში? პასუხი დაასაბუთე.

13. მოკლედ, გზავნილის სახით გადმოეცი პლაკატის მთავარი სათქმელი.

14. იმსჯელე: პლაკატი – პროპაგანდისტული საშუალება და იმავდროულად – ისტორიული წყარო.

აბრაამ ლინკოლნმა და კონფედერაციის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ჯეფერსონ დეივისმა სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადეს. პირველი შეტაკებები ჩარლსტონის პორტში მოხდა. ორივე მხარეს სწრაფი გამარჯვების იმედი ჰქონდა. ჩრდილოეთის 23 შტატი 22-მილიონიანი მოსახლეობით დაუპირისპირდა სამხრეთის 11 შტატს 9-მილიონიანი მოსახლეობით. ამასთან ჩრდილოეთის შტატებს გაცილებით განვითარებული მრეწველობა და ინფრასტრუქტურა ჰქონდა.

სამხრეთის უპირატესობა პატრიოტული მუხტი იყო. ისინი თავდაცვით ომს აწარმოებდნენ საკუთარ ტერიტორიაზე და გამოცდილი სამხედრო მეთაურები ჰყავდათ. ომის პირველ წლებში სამხრეთი ხშირად იმარჯვებდა ბრძოლებში. გარდამტეხი იყო გეტისბერგის ბრძოლა, როდესაც სამხრეთელების განთქმულმა გენერალმა ლიმ გადაწყვიტა, ვაშინგტონი აეღო. მან პენსილვანიაში შეჭრა შეძლო. გადამწყვეტი ბრძოლები ქალაქ გეტისბერგთან გაიმართა. კონფედერაციის ჯარმა დაახლოებით 25 000 მეომარი დაკარგა, ხოლო მათმა მოწინააღმდეგემ – დაახლოებით 23 000. კონფედერაციის ჯარებმა წარმატებას ვერ მიაღიეს და უკან დახევა დაიწყეს. ამის შემდეგ კონფედერაციის ჯარები ხშირად მარცხდე-ბოდნენ და ჩრდილოეთმა ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვა.



სურ. 4 გეტისბერგის ბრძოლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მარკა

15. 1963 წელს აშშ-ში გეტისბერგის ბრძოლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მარკა გამოუშვეს. ერთი მხრივ, მარკა, როგორც ისტორიული წყარო, გეტისბერგის ბრძოლის შესწავლაში არ გვეხმარება, მაგრამ, შენი აზრით, რით არის ისტორიკოსებისთვის საინტერესო?

1863 წელს ლინკოლნმა ხელი მოაწერა მონობის გაუქმების **პროკლამაციას** – მას კანონით მონობის გაუქმების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ 1865 წლის იანვარში კონგრესმა კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა. გაჩნდა კონსტიტუციის მე-13 დამატება, რომლის ძალითაც მონობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა.

1865 წლის 9 აპრილს კონფედერაციის მთავარსარდალი გენერალი რობერტ ლი იძულებული გახდა, დანებებოდა კავშირის მთავარსარდალს ულის გრანტს. ამერიკის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი, რომელმაც 600 000-ზე

პროკლამაცია – 1) პოლიტიკური ხასიათის არალეგალური მოწოდება; 2) რისამე გამოქვეყნება, საყოველთაოდ გამოცხადება. ამ შემთხვევაში: აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება, განკარგულება. აშშ-ის პრეზიდენტის პროკლამაციებს კანონის ძალა აქვს კონგრესის თანხმობის შემდეგ.

მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (ამ რიცხვში არ შედის მშვიდობიანი მოქალაქეები), 1861 წლის 14 აპრილს დასრულდა.

ვაშინგტონის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. 14 აპრილის საღამოს, წითელ პარასკევს, პრეზიდენტი ლინკოლნი, რომელიც 1864 წელს მეორე ვადით აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად, მეუღლესთან ერთად ვაშინგტონის ფორდის თეატრში სპექტაკლზე დასასწრებად გაეშურა. მაყურებელი ოვაციებით შეხვდა საყვარელ პრეზიდენტს. სპექტაკლის მიმდინარეობისას პრეზიდენტის ლოჟაში იარაღიანი მამაკაცი შეიჭრა, ესპანურად დაიყვირა: „ასე დაემართებათ ტირანებს!“ და პრეზიდენტს ესროლა. დაჭრილი ლინკოლნი დილით გარდაიცვალა. პრეზიდენტის მკვლელი, კონფედერატების მომხრე ვირჯინიელი მსახიობი ჯონ უილკს ბუთი, რამდენიმე დღეში დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. პრეზიდენტის პოსტი ვიცეპრეზიდენტმა ენდრიუ ჯონსონმა დაიკავა.



სურ. 5 ლინკოლნის მკვლელობა. ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში დაბეჭდილი ილუსტრაცია

1. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა პოლიტიკური ერთიანობა.

2. ამერიკა გათავისუფლდა იმ სამარცხვინო მოვლენისგან, რომელსაც მონობა ერ ქვა, თუმცა შავკანიანთა რეალურ თანასწორობამდე კიდევ გრძელი გზა იყო, რომელიც 100 წელს გაგრძელდა.

4. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციის მე-13 (მონობის გაუქმება) და მე-14 (სამოქალაქო უფლებების გარანტიები ყველასთვის, ვინც ამერიკაში დაიბადა) შეს-წორებებს. თუ წინა შესწორებები ამცირებდა ფედერალური ხელისუფლების უფლებებს, ამ შესწორებებით, პირიქით, ძალზე გაიზარდა.

5. ქვეყნის ეკონომიკა გაერთიანდა, ამჯერად უკვე ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ ბაზაზე.

8. ბევრი ამ ომს ამერიკის მეორე რევოლუციასაც უწოდებს, რომლის შედეგად ყველა ადამიანს (კანის ფერის მიუხედავად) შორის თანასწორობის საფუძველზე ახალი ერი დაიბადა.

16. ზემოთ ჩამოთვლილი შედეგებიდან რომელი მიგაჩნია მნიშვნელოვნად?

17. როგორც ხედავ, სამოქალაქო ომს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. შენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას მსოფლიოსთვის?

18. დაასახელე პარაგრაფში გამოყენებული ყველა ისტორიული წყარო და გააგრძელე ჩამოთვლა, კიდევ რა ტიპის ისტორიული წყაროები შეიძლება დაგვეხმაროს საკითხის შესწავლაში.

19. წარმოიდგინე, რომ ისტორიკოსი ხარ და აშშ-ის სამოქალაქო ომს იკვლევ. შეადგინე სამოქმედო გეგმა: 1) ჩამოწერე, რა ტიპის წყაროების მოძიება დაგჭირდება თემის შესასწავლად; 2) ასევე აღნიშნე, სად უნდა მოიძიო.

20. შეავსე სქემა. შეაფასე მონობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური შედეგი, გამოიტანე დასკვნები. **(მოსწავლის რვეული, დავ. 85)**

კომპლექსური დავალება:

წარმოიდგინე, რომ სოციოლოგი ხარ და სოციალური ისტორიის საკითხებს იკვლევ. კვლევითმა ორგანიზაციამ, რომელშიც დასაქმებული ხარ, დაგავალა მომზადო ანალიტიკური ესე, რომელიც XIX საუკუნეში ევროპასა და ამერიკაში მომხდარ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ გარდაქმნებს შეეხება. ეს გარდაქმნები სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან (ინდუტრიალიზაციასთან, საფრანგეთის 1948-49 წწ. რევოლუციასთან, მონობის გაუქმებასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში) დაკავშირებული. გადაწყვიტე, რომ შეისწავლო ისტორიული წყაროები და მათზე დაყრდნობით მოამზადო ნაშრომი.

ანალიტიკურ ესეში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა სახის ისტორიული წყაროები გვაქვს ევროპაში ინდუსტრიალიზაციის დაწყების შესახებ და რა ინფორმაციას გვაწვდის ისინი იმ ეპოქის საზოგადოების ინტერესების, საზრუნავისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ?
- როგორ იბრძოდა ევროპაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (მაგ., „ჩარტისტები“, მუშები, ქალები) უფლებების მოპოვებისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის?
- რომელი სოციალური ფენები არსებობდნენ სამოქალაქო ომის წინარე ეპოქის ამერიკაში და რა დამოკიდებულება ჰქონდა სრულუფლებინ საზოგადოებას მონობის მიმართ?
- რა განსხვავებული წყაროები არსებობს აშშ-ის სამოქალაქო ომის მიზეზებისა და შედეგების შესახებ და როგორ აფასებენ ამ მოვლენებს ისტორიკოსები?

§ 58. გერმანიის გაერთიანება

1815 წელს, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილ გერმანიის კავშირში 39 გერმანულენოვანი სამეფო-სამთავრო იყო გაერთიანებული, რომლებსაც სუვერენიტეტი ჰქონდათ მინიჭებული. მათ შორის ორ მთავარ ძალას პრუსიის სამეფო და ავსტრიის იმპერია წარმოადგენდა. კავშირის მთავარი დანიშნულება ამ სამეფო-სამთავროებში ერთიანი ეკონომიკური სისტემის შექმნა იყო. მათი პოლიტიკური გაერთიანება ვენის კონგრესის მიზანი არ ყოფილა, პირიქით, კავშირის რეალური მიზანი ავსტრიასა და პრუსიას შორის ბუფერული ზონის შექმნა და გერმანული სახელმწიფოების დანაწევრება იყო.

ქვემოთ მოცემულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონიკა.

1818 – დაარსდა სრულიად გერმანიის სტუდენტთა კავშირი. მისი წევრები გერმანიის გაერთიანებას ისახავდნენ მიზნად. მათ თავიანთ სიმბოლოდ სამფეროვანი დროშა (შავი, წითელი, ოქროსფერი) აირჩიეს;

1819 – შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის საბაჟო გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ პრუსია და მისი მიმდებარე მცირე სახელმწიფოები; კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის საბაჟო გადასახადები აღარ მოქმედებდა;

1820-იან წლებში ჩამოყალიბდა სამხრეთგერმანული სახელმწიფოების კავშირი;

1832 – ბავარიაში გაიმართა დიდი ზეიმი, სადაც მოითხოვდნენ გერმანიის გაერთიანებას.

1834 – დაარსდა კიდევ ერთი საბაჟო კავშირი, სადაც წამყვან როლს პრუსია ასრულებდა. მასში 18 გერმანული სახელმწიფო გაერთიანდა. 1842 წლისთვის მათმა რაოდენობამ ოცდარვას მიაღწია; 1840 – პრუსიის ტახტზე ავიდა ფრიდრიხ ვილჰელმ IV, რომელმაც სახელმწიფოში რეფორმების გატარება დაიწყო;

1847 – ფრიდრიხ ვილჰელმმა მოიწვია ეროვნული ასამბლეა (ლანდტაგი), რომელიც პრუსიის პროვინციების საკრებულოების დეპუტატებისაგან შედგებოდა.

1. გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე, რა საერთო მახასიათებლები ჰქონდათ გერმანულ სამეფო-სამთავროებში მცხოვრებ ხალხებს და როგორ შეუწყობდა ეს ხელს მათ პოლიტიკურ გაერთიანებას?

2. როგორ ფიქრობ, რამდენად გამოხატავდა ვენის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილება გერმანელი ერის ინტერესებს?

3. როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა გერმანიაში სტუდენტური და საბაჟო კავშირების ჩამოყალიბება?

4. შენი აზრით, რა იყო ამ გაერთიანებების შექმნის უმთავრესი მიზეზი – ეროვნული თუ ეკონომიკური?

1848 წელს ევროპაში რევოლუციური მღელვარების დროს გამოსვლები იყო გერმანიასა და ავტრიაშიც. გამოსვლების მთავარ მიზანს, საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, ქვეყნის გაერთიანება წარმოადგენდა. ავსტრიის რევოლუციას იტალიელი პოლიტიკოსი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჯუზეპე მაძინი გამოეხმაურა.

საუმჯობესებლად იმავე წელს... ისინი იბრძოდნენ და ახლაც ყველა იბრძვის და მთელ მსოფლიოს უცხადებს, რომ ისინიც ცხოვრობენ, ფიქრობენ, უყვართ და შრომობენ ყველას საკეთილდღეოდ... და ისინი ითხოვენ თავისუფალ გაერთიანებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, უცხოური მბრძანებლობის გარეშე, რათა ჩამოაყალიბონ და გამოხატონ საკუთარი იდეები... ეს ევროპული მიზნების ორგანიზებაა... სამეფო არისტოკრატიის ნაციონალიზმი დაფუძნებულია შემდეგ პრინციპზე: ნებისმიერი ერი, რომელსაც თავისი ძალის უპირატესობითა და გეოგრაფიული მდებარეობით ჩვენთვის ზიანის მოყენება შეუძლია, ჩვენი მტერია. ნებისმიერი ერი, რომელსაც ჩვენთვის ზიანის მოყენება არ შეუძლია, მაგრამ თავისი ჯარების რაოდენობითა და მდებარეობით ზიანის მიყენება შეუძლია ჩვენი მტრისათვის, ჩვენი მოკავშირეა. ხალხის ნაციონალობა არ არის ასეთი საშიში. მისი შექმნა შესაძლებელია საერთო ძალისხმევით და საერთო მოძრაობით; მისი შედეგი ურთიერთგაგება და თანამშრომლობა იქნება“.

5. რატომ გაავლო პარალელი ჯუზეპე მაძინიმ ლომბარდიასა და ავსტრიას შორის?

6. რაზე მეტყველებს ეს წერილი? რა ინფორმაციას გვაწვდის 1848 წლის რევოლუციური გამოსვლების შესახებ?

7. შენი აზრით, რატომ არ ადარებს წერილის ავტორი ავსტრიისა და იტალიის გამოსვლებს საფრანგეთის რევოლუციას?

1848 წლის რევოლუციები გერმანიასა და ავსტრიაში დამარცხდა. შესაბამიად, ყველა პრობლემა, რაც გერმანელებს აწუხებდათ, დღის წესრიგში დარჩა. იმის მიუხედავად, რომ გერმანიის კავშირში შემავალ ყველა სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობა გერმანელები იყვნენ, არსებობდა განსხვავებებიც, რომლებიც ამ სამთავროების გაერთიანებას უშლიდა ხელს, კერძოდ: მმართველობის სისტემები, ეკონომიკა და რელიგია. სამხრეთ გერმანულ სახელმწიფოებში მთავარ რელიგიურ მიმართულებას კათოლიციზმი წარმოადგენდა, ჩრდილოეთ სახელმწიფოებში კი – პროტესტანტიზმი.



სურ. 1 ვილჰელმ I

8. იმსჯელე, რატომ შეიძლება გამხდარიყო რომელიმე ფაქტორი ქვეყნის გაერთიანებისთვის ხელისშემშლელი? მოიყვანე ისტორიიდან ერთი მაგალითი, როცა ეკონომიკურმა ფაქტორმა დაშლას ან გაერთიანებას შეუწყო ხელი?

1861 წელს პრუსიის სამეფო ტახტზე ვილჰელმ I ავიდა (1861-იდან პრუსიის მეფე იყო, 1871-იდან 1888-მდე – იმპერატორი). ერთი წლის შემდეგ პრუსიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ოტო ფონ ბისმარკი დანიშნეს. ბისმარკი მსოფლმხედველობით კონსერვატორი და მონარქისტი იყო, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ლიბერალებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა. მას სჯეროდა, რომ გერმანიის გაერთიანება „ზემოდან“ უნდა მომხდარიყო და არა რევოლუციით. ის ამბობდა: „რევოლუციას გენიოსები ამზადებენ, ფანატიკოსები ახდენენ, ხოლო მისი ნაყოფით ავაზაკები სარგებლობენ“.



სურ. 2 ოტო ფონ ბისმარკი

წყარო ბ) ბისმარკის მიერ ლონდონში წარმოთქმული სიტყვები (დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრის ბენჯამინ დიზრაელის მოგონებებიდან)

„სულ მალე იძულებული გავხდები, სათავეში ჩავუდგე პრუსიის მთავრობას. ჩემი უპირველესი ამოცანა, **ლანდტაგის** დახმარებით ან მის გარეშე, არმიის რეორგანიზაცია იქნება. მას შემდეგ, რაც ჯარი იმ დონემდე დაიხვეწება, რომ პატივსაცემი გახდეს, პირველივე შემთხვევას გამოვიყენებ, რომ ომი გამოვუცხადო ავსტრიას, დავშალო გერმანიის კავშირი, დავიქვემდებარო მცირე სახელმწიფოები და პრუსიის ხელმძღვანელობით გავაერთიანო გერმანია“.

ლანდტაგი – გერმანიაში მხარის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო.

ახალარჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში ძირეული რეფორმების გატარება დაიწყო. მის დანიშვნას წინ უძღოდა სამხედრო რეფორმის მცდელობა, რომელიც ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებდა, თუმცა პარლამენტმა ეს რეფორმა არ დაამტკიცა. თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ბისმარკმა დაითხოვა პარლამენტი და რეფორმის დაწყება ბრძანა. 1860-იანი წლების დასაწყისში გატარებული რეფორმის შედეგად პრუსიის ჯარი თანამედროვე არმიად იქცა.

პრუსიის სამხედრო რეფორმა

- სამსახურის პირობები – მამაკაცები ვალდებული იყვნენ, 3 წლის განმავლობაში ემსახურათ რეგულარულ არმიაში, ამის შემდეგ 4 წელი – სარეზერვო ჯარში და შემდეგ – მილიციაში (სამოქალაქო თავდაცვა).
- ორგანიზაცია – შეიქმნა გენერალური შტაბი, რომელიც იკვლევდა საომარი მოქმედებების სტრატეგიებს და გეგმავდა სიტუაციური ოპერაციების სქემებს.
- ტრანსპორტირება – პრუსიის რკინიგზის მზარდი სისტემა პირდაპირ დაუკავშირდა სამხედრო ოპერაციების სქემას და მას ზედამხედველობას სამხედრო ოფიცრები უწევდნენ. ახალი სარკინიგზო ხაზები ისე გაიყვანეს, რომ ერთდროულად დაეკმაყოფილებინათ როგორც სამხედრო, ისე კომერციული ინტერესები.
- ტექნოლოგია — გენერალური შტაბის პროფესიონალი ოფიცრები მუდმივად ეძებდნენ ახალ ტექნოლოგიურ უპირატესობებს და შექმნილი ტექნოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს.

9. რატომ მიიჩნევდა ბისმარკი, რომ გერმანიის გაერთიანება „ზემოდან“ უნდა მომხდარიყო?

10. რა პოლიტიკური პროცესები განვითარდებოდა პრუსიის ხელისუფლებაში ბისმარკის მოსვლით და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მისი გეგმა? რატომ?

11. როგორ ფიქრობ, რატომ არ დაამტკიცა პრუსიის პარლამენტმა სამხედრო რეფორმა?

12. შეაფასე ბისმარკის გადაწყვეტილება პარლამენტის დათხოვნის შესახებ. მოიყვანე არგუმენტი, რომლითაც ამ გადაწყვეტილებას გაამართლებ/გააკრიტიკებ.



სურ. 3 კარიკატურა სათაურით: ტრიუმფატორი



VII. Am Steuer: Die liberale Speiche: »Sobald der Wind sich dreht, bin ich wieder oben.«

სურ. 4 კარიკატურა: სანამ ქარიშხალია, საჭესთან ვიქნები. საჭეში სამი ადამიანია მოკალათებული. მათ გასწვრივ საჭეზე წარწერებია: კონსერვატორი, ლიბერალი, ულტრა-ნაციონალი.

13. გამოთქვი ვარაუდი, ბისმარკის რეფორმებიდან გამომდინარე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი გეგმა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით?

14. რას აშარჟებენ კარიკატურის ავტორები? როგორ გვიხატავენ ბისმარკს? შეეცადე, ახსნა თითოეულის შინაარსი.

15. კარიკატურიდან გამომდინარე იმსჯელე: როგორი მმართველი იყო ბისმარკი? რატომ შეიძლება უწოდონ ტრიუმფატორი?

16. შენი აზრით, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა კონსერვატორების, ლიბერალებისა და ულტრანაციონალისტების გაძლიერებას?

გერმანიის გაერთიანებისათვის ბისმარკს მეზობელ ქვეყნებთან სამი ომი დასჭირდა. 1864 წელს პრუსიამ ავსტრიასთან ერთად ომი გამოუცხადა დანიის სამეფოს. ომის მიზანი შლეზვიგისა და ჰოლშტაინის შემოერთება იყო. ეს ორი სამთავრო ტრადიციულად დანიის სამეფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ეს ტრადიცია 1850-იანი წლების რამდენიმე საზავო ხელშეკრულებითაც იყო გამყარებული. რვათვიანი ომის შემდეგ დანია დამარცხდა. შლეზვიგი პრუსიას გადაეცა, ჰოლშტაინი კი – ავსტრიას.

1815 წელს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილი გერმანიის კავშირის ორ უძლიერეს ქვეყანას პრუსია და ავსტრია წარმოადგენდა. შესაბამისად, ბისმარკს ესმოდა, რომ გერმანიის გაერთიანებისათვის მას აუცილებლად მოუწევდა ავსტრიასთან დაპირისპირება, რადგან პრუსიის მსგავსად, ავსტრიის იმპერიასაც ჰქონდა გერმანიის თავის გარშემო გაერთიანების ამბიცია. 1866 წელს, მას შემდეგ, რაც ბისმარკი დარწმუნდა, რომ საფრანგეთი და რუსეთი არ ჩაერეოდნენ პრუსიისა და ავსტრიის ომში, მან იტალიასთან სამხედრო ალიანსი გააფორმა და ივნისში პრუსიის ჯარებმა ჰოლშტაინი დაიკავეს. ავსტრია ომში ჩაება, ერთი მხრივ, იტალიის და, მეორე მხრივ, პრუსიის წინააღმდეგ. საბოლოოდ, 1866 წლის ივლისში, სადოვის ბრძოლაში პრუსიის ჯარებმა გაიმარჯვეს. აგვისტოში დადებული საზავო

ხელშეკრულების თანახმად, ავსტრიას უნდა გადაეხადა 300 მილიონი ფრანკის ოდენობის კონტრიბუცია. პრუსიამ შეირთა ჰანოვერი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ჰესენ-კასელი, ნასაუ და ფრანკფურტი.

წყარო გ) ფრაგმენტი ბისმარკის მოგონებებიდან ავსტრიასთან წარმოებული ომის შესახებ

„ჩვენ თავიდან უნდა აგვეცილებინა ავსტრიის ძლიერად დაჭრა, ჩვენ უნდა მოვრიდებოდით ავსტრიაში შურისძიების სურვილის გაჩენას. პირიქით, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ კვლავ დავმეგობრდეთ ჩვენს მოწინააღმდეგესთან... ავსტრია ძლიერ რომ დაშავებულიყო, ის საფრანგეთის ან სხვა ჩვენი მოწინააღმდეგის მოკავშირე გახდებოდა... ჩვენი **ამოცანა გერმანული ეროვნული ერთობის ჩამოყალიბება იყო პრუსიის მეფის ხელმძღვანელობით**“.

17. რატომ იყო ბისმარკისთვის შლეზვიგისა და ჰოლშტაინის შემოერთება მნიშვნელოვანი?

18. რატომ უპირისპირდება ბისმარკი ყოფილ მოკავშირეს?

19. როგორ შეაფასებ ავსტრიის მმართველთა საგარეო პოლიტიკას?

20. რა საფრთხე შეიძლებოდა დამუქრებოდა პრუსიას ავსტრიის შურისძიების შემთხვევაში?

21. ევროპის ისტორიიდან დაასახელე ბისმარკის მსგავსი პოლიტიკური ფიგურა და დაიმოწმე ორი ფაქტი ამ მსგავსების დასასაბუთებლად.

ავსტრიასთან ომში გამარჯვების შემდეგ პრუსიაში მოღვაწე ლიბერალებმაც და კონსერვატორებმაც ერთხმად აღიარეს ბისმარკის პოლიტიკური და დიპლომატიური მიღწევები. ბისმარკი კი, თავის მხრივ, ორივე ჯგუფთან თანამშრომლობდა და ხშირად მათ საბოლოო მიზნის მისაღწევადაც კი იყენებდა. ახალი ტერიტორიების შემოერთების შემდეგ ჩამოყალიბდა ჩრდილოგერმანული კავშირი; შეიქმნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც კონსტიტუციური მონარქიის მოდელზე იყო დაფუძნებული. კავშირის პრეზიდენტი იყო პრუსიის მეფე. შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი.

ბისმარკის შემდეგ ამოცანა სამხრეთგერმანული სახელმწიფოების შემოერთება იყო. ამ სამფლობელოებზე დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა საფრანგეთს. შესაბამისად, ამ ამოცანის გადასაწყვეტად ბისმარკს საფრანგეთთან დაპირისპირება მოუწევდა, რომელიც, თავის მხრივ, შეშფოთებული იყო თავის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან ძლიერი გერმანული კავშირის არსებობით. საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ იჩქარა და თავად გამოუცხადა პრუსიას ომი. კარგად ორგანიზებულმა და ომში გამოწვრთნილმა პრუსიის გენერალურმა შტაბმა ჰელმუთ მოლტკეს ხელმძღვანელობით მოკლე დროში მოახერხა მილიონამდე ჯარისკაცის მობილიზება, საფრანგეთმა კი მხოლოდ 250 ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი. ნაპოლეონი იმედოვნებდა, რომ პრუსიას სამხრეთგერმანული სახელმწიფოები არ დაეხმარებოდნენ, მაგრამ შეცდა. საბოლოოდ, 2 სექტემბერს სედანის ბრძოლაში საფრანგეთის 100-ათასიანი არმია და თვით ნაპოლეონიც ალყაში მოექცა და ომშიც დამარცხდა. 1871 წლის მაისში ფრანკფურტში დაიდო საზავო ხელშეკრულება პრუსიასა და საფრანგეთის მთავრობას შორის. საფრანგეთს 5 მილიარდი ოქროს ფრანკის გადახდა დაეკისრა. ამ თანხის სრულად გადახდამდე საფრანგეთის ტერიტორიას გერმანული სამხედრო ნაწილები დაიკავებდნენ. პრუსიამ საფრანგეთს ჩამოაცილა ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ორი სტრატეგიული რეგიონი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში — ელზასი და ლორენი (იგივე ლოთარინგია). იმავე წელს ვერსალის სარკეებიან დარბაზში გერმანელმა მეფე-მთავრებმა ვილჰელმ I გერმანიის იმპერატორად გამოაცხადეს. ახალი იმპერია 4 სამეფოს, 18 სამთავროს, 3 თავისუფალი ქალაქის (ჰამბურგის, ბრემენისა და ლიუბეკის) და 1 საიმპერატორო პროვინციის – ელზას-ლოტარინგიისაგან შედგებოდა.



■ *რუკა 32. გერმანიის გაერთიანება*

?

22. შენი აზრით, რატომ ცდილობდა ბისმარკი კონსერვატორებთან და ლიბერალებთან თანამშრომლობას?

23. როგორ ფიქრობ, რატომ აირჩიეს სახელმწიფოს მმართველობის ფორმად კონსტიტუციური მონაქია და არა, მაგალითად, რესპუბლიკა?

24. როგორ ფიქრობ, რატომ დაეხმარნენ პრუსიას სამხრეთგერმანული სახელმწიფოები?

25. რა მიმართულებით გაფართოვდა პრუსია?

26. რომელ სახელმწიფოებს ესაზღვრებოდა?

27. როგორ ფიქრობ, შექმნილ ვითარებაში: ა) არსებობდა თუ არა რამე საფრთხე გერმანიისთვის მეზობლების მხრიდან? ბ) თავად გერმანიის გაერთიანება წარმოადგენდა თუ არა მეზობლებისთვის საფრთხეს?

28. შენი აზრით, რა საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა აერჩია გერმანიას გაერთიანების შემდეგ?

29. რატომ იყო გერმანიისთვის მნიშვნელოვანი ელზასისა და ლორენის შეერთება?



სურ. 5 ნაპოლეონ III და ბისმარკი. ვილჰელმ კამპჰაუზენი, XIX ს.



სურ. 6 ნაპოლეონ III. ვილჰელმ კამპჰაუზენი, XIX ს.

30. ნახატების მიხედვით გადმოეცი ნაპოლეონ III-ის განწყობა. რის თქმა სურს მხატვარს მომხდარის შესახებ?

31. მოიფიქრე ნახატებისთვის სათაურები, რომლებშიც სედანის ბრძოლის შეფასება გამოჩნდება.

1860-იანი წლებიდან მოყოლებული გერმანიის იმპერია ვილჰელმ I-ისა და ბისმარკის მიერ წარმოებული რეფორმების შედეგად იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მაჩვენებლებით.

სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა, შენდებოდა ახალი რკინიგზა, იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი. მზარდმა ინდუსტრიამ ქალაქების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

გერმანული სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები 1850-1870 წლებში

მიმართულება	1850	1870
თუჯის წარმოება (ათასი ტონა)	210	1261
ქვანახშირის წარმოება (ათასი ტონა)	5500	26398
ორთქლის მანქანების სიმძლავრე (ათასი ცხენის ძალა)	260	2480
რკინიგზა (კილომეტრები)	5856	18876
ბამბის სართავი დაზგა (1000 ცალი)	940	2600

32. დააკვირდი მაჩვენებლებს, გააანალიზე სტატისტიკური მონაცემები და იმსჯელე, წარმოების რომელ მიმართულებებზე აკეთებდნენ გერმანული სახელმწიფოები აქცენტს და რა ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს მოიტანდა მათი განვითარება გერმანიაში.

იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ გერმანიის ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. საფრანგეთის მიერ კონტრიბუციის სახით გადახდილი თანხის უმეტესი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდა. ევროპაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ბისმარ-

კი თავს მშვიდად სულაც არ გრძნობდა. მართალია, საფრანგეთი მისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, მაგრამ არსებობდა საშიშროება, რომ დამარცხებული ქვეყანა შეეცდებოდა, მოკავშირე ეპოვა და მასთან გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო. ამიტომ ბისმარკის საგარეო პოლიტიკა საკმაოდ ფრთხილი იყო. ის ყველა ევროპულ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა, რათა საფრანგეთს რომელიმესთან კავშირი არ შეეკრა.

იმ დროს, როცა ყველა ევროპული სახელმწიფო კოლონიური სამფლობელოების გაზრდისთვის იბრძოდა, ბისმარკს მიაჩნდა, რომ კოლონიური პოლიტიკა გერმანიისთვის უმთავრესი არ იყო, პირიქით, ის ქვეყნისთვის სარისკო იქნებოდა. მაგრამ გერმანიაში არსებობდა ისეთი ეკონომიკური წრეები, რომლებიც კოლონიური პოლიტიკით იყვნენ დაინტერესებული.

სანამ გერმანიის პირველი იმპერატორი, ვილჰელმ I ცოცხალი იყო, ბისმარკი საგარეო პოლიტიკას მკაცრად აკონტროლებდა და მართვის სადავეებიც ხელში ეკავა. ბისმარკის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და გერმანიამ მოკავშირეებიც შეიძინა. 1879-1882 წლებში მან კავშირი შეკრა ავსტრია-უნგრეთთან და იტალიასთან. ხელშეკრულების თანახმად, ეს სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ, ომის შემთხვევაში (უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთთან) ერთმანეთს დახმარებოდნენ. ამ სამხედრო გაერთიანებას „სამთა კავშირი“ ეწოდა. კარგა ხნის განმავლობაში ბისმარკის პოლიტიკის წყალობით საფრანგეთს არც ერთ ძლიერ ევროპულ სახელმწიფოსთან სამხედრო კავშირი არ დაუდვია.

1888 წელს ვილჰელმ I-ის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის იმპერატორი გახდა ვილჰელმ II (1859-1941 წწ.). ახალგაზრდა და ამბიციურ იმპერატორს ბისმარკის პოლიტიკა შეზღუდულად და ძველმოდურად მოეჩვენა. 1890 წელს მან ბისმარკი გადააყენა და სახელმწიფოს მართვა საკუთარ ხელში აიღო.



სურ. 7 XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში გავრცელებული კარიკატურა, რომელზეც დენთით სავსე კასრის გარშემო სიმბოლურად იყვნენ გამოსახული გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია.

33. რატომ ცდილობს ბისმარკი საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ევროპულ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას?

34. იმსჯელე, რატომ მიისწრაფოდა ყველა ინდუსტრიული სახელმწიფო კოლონიების გაზრდისკენ?

35. რატომ მიაჩნდა ბისმარკს, რომ გერმანიის დაინტერესება კოლონიებით მისთვის სარისკო იქნებოდა? რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას?

36. შენი აზრით, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო კოლონიებით გერმანიის დაინტერესება შემაშფოთებელი?

37. როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული ავსტრია და იტალია გერმანიასთან მოკავშირეობით?

38. შენი აზრით, რატომ გამოსახა კარიკატურის ავტორმა ეს სახელმწიფოები დენთით სავსე კასრის გარშემო?

39. შეავსე ცხრილი, რომელშიც შეაჯამებ გერმანიის გაერთიანების ისტორიულ პროცესს (**მოსწავლის რვეული, დავ. 86**).

§ 59. იტალიის გაერთიანება

იტალიელ ხალხს ქვეყნის გაერთიანებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სხვადასხვა ინტენსივობით და აქტიურობით 1870 წლამდე გაგრძელდა და საბოლოოდ იტალიის გაერთიანებით დასრულდა. იტალიელი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ისტორიაში შესულია „რისორჯიმენტოს“ სახელით, რაც იტალიურ ენაზე აღდგენას, განახლებას ნიშნავს.

1815 წელს, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით, აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე იტალიური სამეფო-სამთავროები – პიემონტ-სარდინიის, ლომბარდიის, ვენეციის, ტოსკანის, ორივე სიცილიის (იგივე ნეაპოლის) და სხვა წვრილი სამთავროები – ავსტრიას გადაეცა და ჰაბსბურგთა დინასტიის კონტროლის ქვეშ მოექცა. მათ შორის იყო პაპის ოლქიც, რომელიც განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა. ეს იყოს რომის კათოლიკური ეკლესიის სამფლობელო, რომელიც იტალიის ცენტრალურ რაიონს მოიცავდა. პაპის ოლქს, როგორც წესი, მცირე არმიაც ჰყავდა, თუმცა მის უსაფრთხოებას XIX საუკუნეში ევროპის ორი უდიდესი კათოლიკური სახელმწიფო – ავსტრია და საფრანგეთი – უზრუნველყოფდა. XIX საუკუნეში პაპობა მხოლოდ რელიგიური ინსტიტუტი არ იყო. პაპის ოლქი, როგორც აპენინის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი სამთავრო, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა.



რუკა 33. იტალია ვენის კონგრესის შემდეგ

?

1. შენი აზრით, რა უპირატესობას აძლევდა ავსტრიასა და საფრანგეთს ის ფაქტი, რომ ისინი პაპის ოლქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ?

2. დეტალურად ჩამოთვალე, რა დაბრკოლების გადალახვა მოუწევდათ იტალიელებს, თუ დღის წესრიგში გაერთიანების საკითხი დადგებოდა.

3. რუკის მიხედვით იმსჯელე, რომელ იტალიურ სამეფოს შეიძლებოდა ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იტალიის გაერთიანების პროცესში და რატომ?

4. ივარაუდე, ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იტალიური სამეფო-სამთავროებისთვის რომელ სახელმწიფო/სახელმწიფოებს შეიძლებოდა გაეწია მოკავშირეობა? პასუხი დაასაბუთე.

წყარო ა) ნაწყვეტი ჯუზეპე მაძინის ნაშრომიდან „ნაციონალიზმი“

„ევროპას აღარ გააჩნია საერთო რწმენა, მისია და მიზანი. ასეთი ერთობის არსებობა აუცილებელია მსოფლიოში. აი ეს არის კრიზისის მიზეზი. ამ ახალი ერთობის თითოეული ელემენტის მშვიდი გონებითა და დაკვირვებით შესწავლა ყველას ვალია. ხოლო ის, ვინც თვლის, რომ ძალმომრეობისა და იეზუიტური წესრიგის მეშვეობით ძველი ერთობის შენარჩუნებაა აუცილებელი, უფრო მეტად აღრმავებს კრიზისს...

ევროპაში ორი ძირითადი პრობლემა დგას, უფრო სწორად ხელისუფლების მოპოვების, ანუ რევოლუციის, ორი პრობლემა. ერთი სოციალურია, მეორე – ნაციონალური. პირველი საკითხი ყველაზე მძაფრად საფრანგეთში დგას, მეორე კი – ევროპის სხვა ხალხებში. პირველი საკითხი, სოციალური, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ნებისმიერი დიდი რევოლუცია დღემდე სოციალურ ხასიათს ატარებდა. რევოლუცია ვერ წამოჭრის რელიგიურ, პოლიტიკურ ან ნებისმიერ სხვა პრობლემას სოციალური ურთიერთობებისა და ქონების განაწილების საკითხის გარეშე. სწორედ ეს არის ამჟამინდელი რევოლუციის მთავარი საკითხი საფრანგეთში. დღეისათვის მთავარი ამოცანა მშრომელებსა და კაპიტალისტებს, წარმოებასა და მოთხოვნას, დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობების მოგვარებაა.

ნაციონალური საკითხი ევროპის ახალ ინიციატივად უნდა იქცეს, რომელიც იმპულსს მისცემს მომავალ ღონისძიებებსა და კვლევებს... ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა 1815 წელს მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმებით, ევროპის რუკის შეცვლითა და სახალხო სამართლის დამკვიდრებით იქნება შესაძლებელი. ნაციონალური საკითხი ხალხის კავშირს გულისხმობს; ძალთა თანაფარდობა ახალ საფუძველს უნდა დაეყრდნოს, ამის ორგანიზება ევროპამ უნდა განახორციელოს“.

?

5. მაძინის აზრით, რა იყო ევროპის მთავარი პრობლემა? რატომ?

6. მოყვანილი წყაროდან გამოარჩიე სოციალური და ნაციონალური იდეის შემცველი ფრაზები. რომელი ჭარბობს?

7. როგორ ცდილობს მაძინი ნაციონალური და სოციალური მოთხოვნების გაერთიანებას? რას უწოდებდი მის იდეოლოგიას?

8. შენი აზრით, რატომ შეიძლება სოციალური მოთხოვნები აისახოს და გამოვლინდეს ნაციონალიზმში?

9. რას გულისხმობდა მაძინი 1815 წლის გადაწყვეტილებებში? როგორ ფიქრობ, რამდენად ითამაშა ამ გადაწყვეტილებებმა როლი ნაციონალური საკითხების გააქტიურებაში? პასუხი დაასაბუთე.

50-იანი წლებიდან დაიწყო იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი. ახალ მოძრაობას ორი მთავარი ლიდერი ჰყავდა – პიემონტ-სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი კამილო დი კავური, რომელიც ლიბერალურ კურსს მისდევდა და ჯუზეპე გარიბალდი, ის რევოლუციური მიმდინარეობის მომხრე იყო. იტალიის გაერთიანებისათვის კამილო კავურმა დაიწყო ეფექტიანი რეფორმების გატარება პიემონტის სამეფოში. მის დროს გაიზარდა რკინიგზის მშენებლობა, შალის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების წარმოება; კავური ეფექტიანად იყენებდა საგარეო სესხებს. დაგროვებული სახსრებით მან მოახერხა ჯარის მოდერნიზაცია.

წყარო ბ) ფრაგმენტი კამილო კავურის პროგრამიდან, 1846 წელი

„ნებისმიერი ეპოქის ისტორია ადასტურებს, რომ ვერც ერთი ერი ვერ მიაღწევს ინტელექტისა და მორალის მაღალ დონეს, თუკი მასში მძლავრად არ იქნება განვითარებული ეროვნული გრძნობები. ეს ბუნების კანონზომიერებაა... ამიტომ, თუ ჩვენ მოვითხოვთ იტალიის გათავისუფლებას, ამ დიდი მიზნის მისაღწევად სხვა მცირე საკითხები, რომ-

ლებიც ერთმანეთს გვაშორებს, უნდა დავივიწყოთ. ამისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ იმის თქმა, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა ავაშენოთ და გავაძლიეროთ, არამედ ჩვენი სამშობლო ინტელექტუალური და მორალური განვითარების ისეთ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ, რომ ყველაზე ცივილიზებულ ერებს გავუთანაბრდეთ...

ნაციონალიზმი უკვე დამკვიდრდა საზოგადოებაში, ის დღითი დღე იზრდება და საკმაოდ გაძლიერდა იმისათვის, რომ შემოიკრიბოს იტალიის ყველა ნაწილი, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა“.

10. ბ) წყაროს მიხედვით, რა იყო იტალიის გაერთიანების მთავარი პრობლემა ქვეყნის შიგნით?

11. შენი აზრით, რომელი ფაქტორები წარმოადგენდა იტალიის გაერთიანებისთვის უფრო ძნელად გადასალახავ ბარიერს: საშინაო თუ საგარეო?

12. შენი აზრით, რომელი კურსი უფრო მეტად შეუწყობდა ხელს იტალიის გაერთიანებას: რევოლუციური თუ ლიბერალური? რატომ?

13. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა კამილო დი კავურის რეფორმებს და შეიძლებოდა თუ არა ეს იტალიის გაერთიანების წინაპირობა ყოფილიყო? რატომ?

კავურს ესმოდა, რომ იტალიის გაერთიანებისთვის ერთი ძლიერი ევროპული სახელმწიფოს მხარდაჭერა მაინც იყო აუცილებელი. იმ დროისათვის ევროპაში პოზიციებს იმყარებდა ნაპოლეონ III, რომელიც ცდილობდა, ევროპის მთავარი არბიტრი ყოფილიყო.

1858 წელს კავურსა და ნაპოლეონს შორის საიდუმლო შეხვედრა შედგა. იმპერატორი კავურს სამხედრო დახმარებას დაჰპირდა იმ პირობით, რომ ნიცა და სავოია საფრანგეთის მფლობელობაში გადავიდოდა.

წყარო გ) ფრაგმენტი კამილო დი კავურისა და ნაპოლეონ III-ის შეხვედრის ანგარიშიდან, 1858 წ.

„იმპერატორმა საუბარი დაიწყო იმით, რომ მან გადაწყვიტა, დაეხმაროს სარდინიას მთელი თავისი სამხედრო ძალებით ავსტრიის წინააღმდეგ ომში, თუ ომის დაწყების მიზეზად რევოლუციური მოძრაობა არ იქნება დასახელებული. ამ შემთხვევაში ეს ომი საფრანგეთისა და ევროპის დიპლომატიის, განსაკუთრებით კი მოსახლეობის თვალში სამართლიანი იქნება“.

14. როგორ ფიქრობ, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთისთვის ნიცისა და სავოიის ფლობას?

15. ივარაუდე, საფრანგეთი მხოლოდ ნიცისა და სავოიის დათმობის სანაცვლოდ დათანხმდა პიემონტ-სარდინიას დახმარებას, თუ სხვა გათვლებიც შეიძლებოდა ჰქონოდა?

16. შენი აზრით, რატომ სურს ნაპოლეონ III-ს იმის დაფარვა, რომ იტალიაში რევოლუციურ მოძრაობას ეხმარება?

17. იმსჯელე, რატომ შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთისა და ევროპის დიპლომატიისა და მოსახლეობის თვალში მხოლოდ სარდინიისთვის დახმარება სამართლიანად? (ანუ რის მოთხოვნა ჩაითვლებოდა სარდინიისთვის სამართლიანად?)

18. იმსჯელე, მართებული იყო თუ არა კავურის გადაწყვეტილება, მიეღო ნაპოლეონ III-ის წინადადება? მოიყვანე ორივე პოზიციის განმამტკიცებელი არგუმენტი.

„1859 წლის 29 აპრილს დაიწყო ომი ავსტრიასა და პიემონტ-სარდინიას შორის. ნაპოლეონ III რევოლუციის მომხრე ჯუზეპე გარიბალდისთან კავშირის წინააღმდეგი იყო. ამის მიუხედავად, 1859 წელს კავურთან საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე ომში მონაწილეობა მიიღო ჯუზეპე გარიბალდიმაც თავისივე შეკრებილი მოხალისეებით. მაჯენტისა და სოლფერინოს ბრძოლებში დამარცხების შემდეგ ავსტრიის ჯარმა უკან დაიხია. 1859 წლის ნოემბერში ციურიხში დადებული ზავით ლომბარდია პეიმონტს შეურთდა, ხოლო ვენეცია კვლავ ავსტრიელებს დარჩათ. ომის პარალელურად ჩრდილოეთ და ცენტრალურ იტალიურ სამთავროებში – პარმაში, ტოსკანასა და მოდენაში – საფრანგეთის ჯარების ზედამხედველობით ჩატარდა **პლებისციტი** და ეს რეგიონებიც პიემონტს შეურთდა.

წყარო დ) ფრაგმენტი კავურის მიერ პიემონტის დეპუტატების წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან, 1858 წ.

1849 წელს რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩვენთვის გამოიკვეთა ორი გზა.

ჩვენ შეგვეძლო, ყველაფერი უიღბლობისათვის დაგვებრალებინა და უარი გვეთქვა იმ მისწრაფებებზე, რომლებისკენაც მეფე კარლო ალბერტი თავისი მმართველობის უკანასკნელ წლებში მიილტვოდა. ჩვენ შეგვეძლო, გამოვკეტილიყავით ჩვენს საზღვრებში და მხოლოდ ამ ქვეყნის (პიემონტ-სარდინიის) მატერიალურ და მორალურ ინტერესებზე გვეზრუნა... მეორე მხრივ, ჩვენ შეგვეძლო, გადაგვეტანა ყველა სიძნელე, რაც თავს დაგვატყდა და... გაგვეაქტიურებინა პოლიტიკური ქმედებები იმის მისაღწევად, რის გამოც ომში დავმარცხდით. ამის გამო ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ შევეცადეთ, მოგვესპო ის დაბრკოლებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისათვის არსებობდა... და გვემოქმედა, როგორც იტალიელი ხალხის წარმომადგენელსა და დამცველს“.



ჯუზეპე გარიბალდი (1807 – 1882 წწ.) – იტალიის სახალხო გმირი, გენერალი.

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა განმათავისუფლებელ ბრძოლაში 1830-იანი წლებიდან 1870-იან წლებამდე.

ილია ჭავჭავაძემ სწორედ ჯუზეპე გარიბალდის მიუძღვნა ცნობილი ლექსი: „მესმის, მესმის სანატრელი...“.

წყარო ე) ფრაგმენტი ჯუზეპე გარიბალდის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან მოხალისე ჯარისკაცების წინაშე, 1860 წ.

ყველამ შემართეთ იარაღი!.. ეს ხალხი საკუთარი თავის პატრონია. მას სხვა ერებთან ძმობა სურს, მაგრამ ისე, რომ სიამაყით გაუსწოროს მათ თვალი და არ ხოხავდეს მათ ფეხებთან თავისუფლების მისაღებად. ის აღარ გაჰყვება იმ ადამიანებს, რომელთა გულიც მოწამლულია. არა! არა! არა! თითოეული იტალიელი მის (ვიტორიო ემანუელის – პიედმონტ-სარდინიის მეფის) გარშემო უნდა გაერთიანდეს. ვიტორიო ემანუელის გვერდით ყოფნისას ყველა კამათი უნდა დაივიწყოთ და ყველა უთანხმოება უნდა გაქრეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ყველამ შემართეთ იარაღი, ყოველმა თქვენგანმა!.. ყველანი შემოგვიერთდით, ვინც მშიშარა და მონა არ არის. დაე ყოველმა ჩვენგანმა უკანასკნელი დარტყმა მიაყენოს ტირანიას დასანგრევად... ამ სიტყვებს მე გულის სიღრმიდან წარმოვთქვამ დიდი სიყვარულით... ბრძოლის დროს თქვენ გვერდით, იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებულების გვერდით ვიქნები. მხოლოდ ისინი გაბრუნდნენ უკან, ვისაც აუცილებელი მოვალეობის შესრულება უწევს სახლში ან ვინც თავისი დიდებული ჭრილობებით სამშობლოს პატივისცემა უკვე დაიმსახურა... დანარჩენები კი დარჩით აქ და დაიცავით ჩვენი დიდებული დროშა“.

19. შენი აზრით, რას შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა პლებისციტის შედეგებზე? რატომ?

20. შენი აზრით, რატომ იყო დაინტერესებული საფრანგეთი იტალიის გაერთიანებით?

21. შეადარე ერთმანეთს კავურისა და გარიბალდის მიერ წარმოთქმული სიტყვები. დაახასიათე ისინი, როგორც პოლიტიკოსები.

22. გაიხსენე, რა ერქვა ილია ჭავჭავაძის იდეებზე შექმნილ პარტიას საქართველოში და პარალელი გაავლე მაძინის იდოლოგიასთან, რომლის საფუძველი ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული დამოუკიდებლობა იყო.

1860 წელს გარიბალდი 1000 მოხალისესთან ერთად კუნძულ სიცილიაზე გადავიდა, სადაც ანტისამთავრობო გამოსვლები იყო დაწყებული. გარიბალდიმ ჯერ პალერმო აიღო, შემდეგ კი მთელი კუნძულიც. 1860 წლის სექტემბერში კი მან მთელი ნეაპოლის სამეფო დაიკავა. კავური შიშობდა, რომ გარიბალდის ასეთი აქტიური მოქმედება ავსტრიისა და საფრანგეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა და შეიძლებოდა, მიღწეული წარმატება დაკარგულიყო. ამიტომ კავურმა სიცილიაში მცირე ჯარი გაგზავნა. თავის მხრივ, გარიბალდიც მოერიდა სისხლისღვრას და სამოქალაქო ომის დაწყებას და, საბოლოოდ, ნეაპოლის სამეფო პიემონტის მეფეს ვიტორიო ემანუელ II-ს გადასცა.

1861 წელს იტალიის პირველმა პარლამენტმა ვიტორიო ემანუელი სრულიად იტალიის მეფედ გამოაცხადა.

წყარო ვ) ფრაგმენტი იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელ II-ის გამოსვლიდან, 1861 წ.

„თავისუფალი და თითქმის სრულად გაერთიანებული... ცივილიზებული ერების მოსაზრება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ახლა ევროპაში სამართლიანი და ლიბერალური პრინციპები ჭარბობს, რომლებიც ჩვენთვისაც მისაღებია. თავად იტალიაც გახდება წესრიგისა და მშვიდობის გარანტი და კვლავაც იქნება საერთო ცივილიზაციის ქმედითი იარაღი... ეს ფაქტი მოსახლეობას უღრმავებს რწმენას, რომ თვითონ შეუძლიათ საკუთარი ბედის მართვა. მე სიხარულით ვუზიარებ იტალიის პირველ პარლამენტს იმ სიამოვნებას, რომელსაც გრძნობს ჩემი – მეფისა და ჯარისკაცის – გული“.

23. როგორ ფიქრობ, რატომ შეიძლებოდა დაწყებულიყო ანტისამთავრობო გამოსვლები სიცილიაში?

24. ახსენი კავურისა და გარიბალდის საქციელი. იმსჯელე, რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ მათგანს იტალიის გაერთიანების საქმეში.

25. შეავსე სქემა. შეაჯამე იტალიის გაერთიანების პროცესი (**მოსწავლის რვეული, დავ. 87**).

რომი და ვენეცია ჯერ კიდევ ცალკე სამთავროებად რჩებოდა. ვენეციას ავსტრიის ჯარები აკონტროლებდნენ, რომს კი, საფრანგეთის გარნიზონზე დაყრდნობით – პაპი პიუს IX. 1866 წელს ავსტრიასა და პრუსიას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ ვენეცია ვიტორიო ემანუელის მფლობელობაში აღმოჩნდა.

1870 წლის სექტემბერში ნაპოლეონ III-ის პრუსიელებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ახალმა მთავრობამ



სურ. 1 კარიკატურა სათაურით „კარგი შეთავაზება“. გარიბალდის უჭირავს ქუდი, რომელზეც აწერია თავისუფლება და პაპ პიუს IX-ს აწვდის სიტყვებით: „ეს ქუდი დაიხურე. ეს უფრო მოხერხებულად გექნება, ვიდრე შენი“.

რომიდან ჯარი გაიწვია. ევროპის წამყვან კათოლიკურ ქვეყნებთან შეთანხმებით იმავე თვეში, პაპ პიუს IX-ის სიტყვიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომში იტალიის ჯარები შევიდნენ. შედეგად იტალია სრულად გაერთიანდა. ვატიკანში დარჩენილმა რომის პაპმა უარი განაცხადა გაერთიანებული იტალიის მეფის აღიარებაზე, თუმცა მთავარი მფარველის, საფრანგეთის, დამარცხების გამო რეალური წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოახერხა. იტალიის გაერთიანების პროცესი დასრულდა

26. როგორ გამოიყენა იტალიამ ვენეციისა და რომის შეერთების საქმეში საერთაშორისო ვითარება? რომელი კონფლიქტებით ისარგებლა?

27. იმსჯელე, რამდენად მოახერხებდა იტალია მიზნის მიღწევას: ა) საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და კავშირებში მონაწილეობის გარეშე, ბ) ქვეყნის შიგნით არსებული განწყობების გარეშე.

28. რატომ ეწინააღმდეგებოდა პაპი გაერთიანებულ იტალიაში რომის შესვლას?

29. ახსენი კარიკატურის შინაარსი.

30. შეაფასე იტალიის გაერთიანების ისტორიული პროცესი და გამოთქვი აზრი, რა მნიშვნელობა ექნებოდა მას ევროპისთვის? რა გავლენას მოახდენდა ევროპაში ნაციონალურ განწყობებზე?



რუკა 34. იტალიის გაერთიანება

§ 60-61. რუსეთის იმპერია და აღმოსავლეთის საკითხი. კოლონიური პოლიტიკა

პეტრე I-ის დროიდან მოყოლებული რუსეთი საზღვრების გაფართოებას რამდენიმე მიმართულებით ცდილობდა. მის დროს ჩამოყალიბდა ცნობილი „სამი ზღვის თეორია“, რომლის მიხედვითაც, რუსეთს არსებობისთვის სამ – ბალტიის, კასპიისა და შავ ზღვაზე გასასვლელი სჭირდებოდა.

პეტრე I-მა შვედეთთან ომი წარმატებით აწარმოა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა.

მეორე ომი ოსმალეთთან ჰქონდა. ამ ომის მიზანიც ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო, თუმცა მხოლოდ აზოვის ზღვამდე მიაღწია. პეტრე I-მა მესამე ომი კასპიის ზღვისთვის ირანის წინააღმდეგ წამოიწყო, სამხრეთ კასპიისპირეთამდე მიაღწია, თუმცა მალევე უკან დაბრუნდა. დაპყრობითი ომების მორიგი ეტაპი ეკატერინე II-მ დაიწყო, ალექსანდრე I-მა კი უკვე სამხრეთ კავკასიამდე მოაღწია.

1. როგორ ფიქრობ, რომელი სახელმწიფოებისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო შემაშფოთებელი რუსეთის პოლიტიკური კურსი?

2. იმსჯელე, რატომ ითვლებოდა რუსეთის იმპერიისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად ზღვებზე გასასვლელის მოპოვება.

3. რა როლი ჰქონდა სამხრეთ კავკასიას რუსეთის მასშტაბურ გეგმებში?

XVIII საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიამ დასუსტება დაიწყო. ევროპული სახელმწიფოებისთვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთს თავისი სამფლობელოების შენარჩუნება გაუჭირდებოდა, ამიტომ მათ გასანაწილებლად ბრძოლა დაიწყო. ამ პროცესს დიპლომატებმა „აღმოსავლეთის საკითხი“ უწოდეს.

„აღმოსავლეთის საკითხი“ დიპლომატიასა და ისტორიულ ლიტერატურაში პირობითად მიღებული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს XVII-XX ს.-ის დასაწყისის საერთაშორისო წინააღმდეგობებს, დაკავშირებულს ოსმალეთის იმპერიის მოახლოებულ დაშლასთან და ევროპის დიდი სახელმწიფოების (ავსტრიის (1876 წლიდან ავსტრია-უნგრეთი), დიდი ბრიტანეთის, პრუსიის (1871 წლიდან გერმანია), რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის, მოგვიანებით – აშშ-ის) ბრძოლას ოსმალეთის სამფლობელოების დასანაწილებლად.

აღმოსავლეთის საკითხში სამ პერიოდს გამოყოფენ. პირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო ახლო აღმოსავლეთში რუსეთის უპირატესი გავლენა. ოსმალეთთან ომებში (1768-74; 1787-91; 1806-12; 1828-29 წწ.) გამარჯვების შედეგად რუსეთმა დაიმტკიცა სამხრეთ უკრაინა, ყირიმი, **ბესარაბია**, კავკასიის ნაწილი, მტკიცედ მოიკიდა ფეხი შავი ზღვის სანაპიროებზე, მოიპოვა აგრეთვე უფლება, ბოსფორსა და დარდანელში გაეტარებინა სავაჭრო გემები... შემდეგ სამხედრო გემებიც“.

ბესარაბია – ისტორიული ოლქი აღმოსავლეთ ევროპაში, მდინარეებს დნესტრსა და პრუტს შორის.

4. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე XIX საუკუნის I მესამედის რუსეთ-ოსმალეთის ომები და მათი შედეგები. როგორ შეიცვალა ამ ომების შედეგად პოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში?

5. გაიხსენე, რომელ წლებში და როგორ მოხდა ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთება. დაუკავშირე ეს მოვლენები რუსეთ-ოსმალეთის ომებს.

6. რატომ იყო რუსეთისთვის მნიშვნელოვანი, რომ მის სავაჭრო და სამხედრო გემებს თავისუფლად ეცურათ ბოსფორ-დარდანელის სრუტეებში?

რუსეთის იმპერია, ოსმალეთის გარდა, ომებს აწარმოებდა ირანთანაც. 1804 წელს რუსული ჯარი განჯის სახანოშიც შევიდა, რამაც ირანის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მან რუსეთს ომი გამოუცხადა. რუსეთ-ირანის ომი 1813 წლამდე გაგრძელდა. ირანი დამარცხდა და იძულებული გახდა, ეცნო რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოებისა და დაღესტნის, ყარაბაღის, დარუბანდის, ყუბისა და თალიშის სახანოების რუსეთთან შეერთება.



რუკა 35. კავკასია XIX ს.-ის დასაწყისში

7. დააკვირდი რუკაზე იმ სახანოების მდებარეობას, რომლებიც რუსეთმა ირანთან ომის შედეგად მიიერთა. სამხრეთ კავკასიის რა ნაწილი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში? სახანოებიდან რომელს ჰქონდა რუსეთისთვის განსაკუთრებით სტრატეგიული მნიშვნელობა? როგორ ფიქრობ, მიაღწია თუ არა რუსეთმა ამ ომით თავის მიზანს? პასუხი დაასაბუთე.

8. რატომ ცდილობდა ირანი აქტიურად რუსეთის წინსვლის შეჩერებას სამხრეთ კავკასიაში? რატომ იყო წარუმატებელი მისი მცდელობა? რა წინააღმდეგობებს შეხვდებოდა რუსეთი კავკასიის სახანოებზე იმპერიული კონტროლის დამყარების პროცესში?

1826 წელს ირანმა დათმობილი პოზიციების დაბრუნება სცადა და რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. 60-ათასიანმა ირანულმა ჯარმა დაიკავა ყარაბაღი და განჯა, ალყაში მოაქცია

ბაქო და საფრთხე შეუქმნა თბილისსაც. თუმცა რუსებმა შეტევა მოიგერიეს და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. 1828 წელს ომი ირანის დამარცხებით დასრულდა. ირანმა რუსეთის იმპერიას გადასცა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები. კასპიის ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება ექნებოდათ რუსეთს და ირანის მხოლოდ სავაჭრო ხომალდებს; სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება კი მხოლოდ რუსეთს ექნებოდა.

11. პოლიტიკურის გარდა, რა ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა 1828 წელს ირანთან დადებულ ზავს?

12. რა შედეგი მოჰყვებოდა საქართველოსთვის სამხრეთ კავკასიის სახანოების რუსული ხელისუფლების ქვეშ მოქცევას?

13. რა პერსპექტივას უქმნიდა რუსეთის იმპერიის ვაჭრობას კასპიის ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება?

14. შენი აზრით, რა იყო სამხრეთ კავკასიის სამეფო-სამთავროების მარცხის მიზეზი?

15. რა შედეგებით დასრულდა რუსეთის იმპერიისთვის „აღმოსავლეთის საკითხის“ პირველი პერიოდი?

16. გაიხსენე ვენის კონგრესის დასკვნითი აქტი. რა შედეგები ჰქონდა მას რუსეთისთვის?

17. იმსჯელე, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის იმპერიისთვის როგორც სამხრეთით, ისე დასავლეთით შეერთებულ მიწებს?

„აღმოსავლეთის საკითხი“, მეორე პერიოდი

რუსეთ-ოსმალეთს შორის ყირიმის ომით (1853-1856 წწ.) დაიწყო „აღმოსავლეთის საკითხის“ მეორე პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის დამლევს დასრულდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესები ოსმალეთის იმპერიის მიმართ. მათი მიზანი ბალკანეთის რეგიონში რუსეთის მზარდი გავლენის შეჩერება იყო.

ყირიმის ომში ინგლისი, საფრანგეთი და მოგვიანებით, სარდინიის სამეფოც, ოსმალეთის მხარეს ჩაებნენ. რუსეთი დამარცხდა. ომი 1856 წელს პარიზის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის ძალითაც რუსეთმა დაკარგა დუნაის შესართავი და სამხრეთ ბესარაბიის ნაწილი.

ყირიმის ომი პარიზის ხელშეკრულებით დასრულდა.

წყარო ა) ამონარიდი პარიზის ხელშეკრულებიდან

„მუხლი 11. შავი ზღვა ცხადდება ნეიტრალურად. იგი და მისი პორტები ღია იქნება როგორც მოსაზღვრე, ისე სხვა ქვეყნების სავაჭრო ხომალდებისთვის, ხოლო სამხედრო ხომალდებისთვის სამუდამოდ იქნება ჩაკეტილი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა.

მუხლი 13. შავი ზღვის ნეიტრალურად გამოცხადების შედეგად აღარ არის საჭირო მის სანაპიროებზე სამხედრო-საზღვაო არსენალების არსებობა. რუსეთი და თურქეთი იღებენ ვალდებულებას, არ დატოვონ და არ შეიტანონ შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო-საზღვაო არსენალი.

მუხლი 14. რუსეთი და თურქეთი დებენ კონვენციას, რომელიც განსაზღვრავს იმ მსუბუქი ხომალდების რაოდენობას, რომლებსაც მხარეები იყოლიებენ შავ ზღვაზე“.

18. როგორ დაეხმარა თურქეთის იმპერიას გადარჩენაში დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წანააღმდეგობები? რა იყო იმპერიებს შორის დაპირისპირების მიზეზები?

19. შენი აზრით, რატომ უჭერდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები მხარს ოსმალეთის იმპერიას?

20. რას ნიშნავდა შავი ზღვის ნეიტრალურად გამოცხადება? როგორ ზღუდავდა ეს მუხლები რუსეთის იმპერიას? რატომ იყო ისინი ევროპული სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი?

1877-78 წლების ომი

1871 წელს შავი ზღვის ნეიტრალური სტატუსი გაუქმდა და რუსეთს შავი ზღვის სანაპიროზე სამხედრო სიმაგრეების მშენებლობისა და ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის საშუალება მიეცა. რუსეთს ყირიმის ომის შემდეგ დაკარგული გავლენის აღდგენა სურდა, ამიტომ 1877 წელს კვლავ წამოიწყო ომი ოსმალეთთან. როგორც ადრე, ამჯერადაც ომი ორ – ბალკანეთისა და კავკასია/მცირე აზიის – ფრონტზე მიმდინარეობდა, თუმცა მთავარი ბალკანეთის ფრონტი იყო. რუსებს მხარს რუმინეთისა და ბალკანეთის სლავები (სერბები, ჩერნოგორიელები, ბულგარელები) უჭერდნენ.

1878 წელს დაბა სან-სტეფანოში მხარეებს შორის წინასწარი ხელშეკრულება დაიდო.

წყარო ბ) ამონარიდი სან-სტეფანოს საზავო შეთანხმებიდან

მუხლი 2. ბრწყინვალე პორტა (ოსმალეთი) საბოლოოდ ცნობს ჩერნოგორიის სამთავროების დამოუკიდებლობას.

მუხლი 3. სერბეთი ცხადდება დამოუკიდებლად.

მუხლი 5. ბრწყინვალე პორტა ცნობს რუმინეთის დამოუკიდებლობას.

მუხლი 6. ბულგარეთი ქმნის თვითმმართველ სამთავროს ქრისტიანული მთავრობით და საერო ლაშქრით, თურქეთისათვის ხარკის გადახდის პირობით. ბულგარეთის საბოლოო საზღვარს დაადგენს რუსეთ-თურქეთის ერთობლივი კომისია.

მუხლი 7. ბულგარეთის მთავარს აირჩევს მოსახლეობა და დაამტკიცებს სულთანი. ბულგარეთში ახალი მმართველობის ჩამოყალიბებაზე 2 წლის განმავლობაში მეთვალყურეობა დაევალება რუსეთის იმპერატორის მიერ დანიშნულ კომისიას. ერთი წლის შემდეგ, თუკი ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული, ევროპის ქვეყნებს, რუსეთთან და თურქეთთან შეთანხმებით, შეუძლიათ საქმეში ჩართონ თავიანთი წარმომადგენლები.

მუხლი 8. თურქეთის ჯარები ბულგარეთში ამიერიდან აღარ იქნებიან. ყველა ადრინდელი ციხესიმაგრე უნდა დაინგრეს. საერო ლაშქრის შექმნამდე, რომელიც საკმარისი იქნება წესრიგის, უშიშროებისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ქვეყანას დაიკავებს რუსეთის ჯარი. მათი ყოფნა იზღუდება 2 წლით.

მუხლი 17. ომში მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად რუსეთის სასარგებლოდ თურქეთს ეკისრება, საერთო ჯამში, 410 მილიონი მანეთის გადახდა. ითვალისწინებს რა თურქეთის ფინანსურ სიძნელეებს, რუსეთი თანახმაა, ფულის ნაცვლად მიიღოს ტერიტორიები. რუსეთს აგრეთვე შეუძლია, სხვა ტერიტორიების მაგიერ მიიღოს ის ტერიტორიები, რომლებიც პარიზის ტრაქტატით დაკარგა ბესარაბიაში.

არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი... გადაეცემა რუსეთს.

მუხლი 24. ბოსფორი და დარდანელი როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს ღია იქნება ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემებისთვის, რომლებიც რუსეთის პორტებისკენ მიემართებიან და პირიქით.

ბრწყინვალე პორტა ამიერიდან აღარ მოაწყობს შავი და აზოვის ზღვის პორტების ბლოკადას.

21. ომში ვის წარმატებებზე მიუთითებს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება? მოიყვანე ამის დამდასტურებელი ადგილები წყაროდან.

22. რატომაა ხელშეკრულებაში ასე გამახვილებული ყურადღება ბალკანეთსა და მის მომიჯნავე ჩრდილოეთის ქვეყნებზე?

23. შენი აზრით, რა უპირატესობა ჰქონდა რუსეთს ბალკანეთზე თურქეთთან შედარებით?

24. ხელშეკრულების რომელი პუნქტი გამოიწვევდა ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს? რატომ?

ზავის პირობები ევროპული სახელმწიფოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათ გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის თავმჯდომარეობით ბერლინში მოიწვიეს საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც სან-სტეფანოს ზავი გადაისინჯა და ახალი ტრაქტატი დაიდო.

წყარო გ) ბერლინის ტრაქტატი (1878 წ.)

მუხლი 1. ბულგარეთი ქმნის თვითმმართველ სამთავროს სულთნის ქვეშევრდომობაში და უხდის მას ხარკს.

მუხლი 2. ბულგარეთის საზღვრებს დაადგენს ევროპის კომისია.

მუხლი 3. ბულგარეთის ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე მის დროებით მმართველობას განახორციელებს რუსეთის კომისარი თურქეთის კომისრისა და ევროპის სახელმწიფოთა კონსულის ხელშეწყობით.

მუხლი 4. დროებითი მმართველობა არ შეიძლება გაგრძელდეს 9 თვეზე მეტ ხანს.

მუხლი 13. ბალკანეთის სამხრეთით ყალიბდება პროვინცია სახელწოდებით „აღმოსავლეთი რუმელია“, რომელიც რჩება სულთნის უშუალო პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების ქვეშ ადმინისტრაციული ავტონომიის პირობით. მას ეყოლება ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი.

მუხლი 15. სულთანს აქვს უფლება, ააგოს ამ პროვინციაში ციხესიმაგრეები და იყოლიოს მათში გარნიზონები.

მუხლი 25. ბოსნიასა და ჰერცეგოვინას დაიკავებს ავსტრია-უნგრეთი.

მუხლი 26. ბრწყინვალე პორტა ცნობს ჩერნოგორიის დამოუკიდებლობას.

მუხლი 34. მოლაპარაკების მონაწილე ქვეყნები ცნობენ სერბეთის დამოუკიდებლობას.

მუხლი 43. მოლაპარაკების მონაწილე ქვეყნები ცნობენ რუმინეთის დამოუკიდებლობას იმ პირობით, რომ რუმინეთი უთმობს რუსეთს ბესარაბიის იმ ნაწილს, რომელიც რუსეთს ჩამოსცილდა პარიზის 1856 წ. ტრაქტატით.

მუხლი 58. ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთს აზიაში არდაგანს, ყარსს, ბათუმს თავისი პორტით.

მუხლი 60. ალაშკერტის დაბლობი და ქალაქი ბაიაზეთი, რომელიც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით რუსეთს გადაეცა, თურქეთს უბრუნდება.

25. ტრაქტატიდან მოიყვანე კონკრეტული ადგილები, რომლებიც რუსეთის მონაპოვრის შემცირებაზე მიუთითებს.

26. ვისი უფლებები გაიზარდა რუსეთის მონაპოვრის შემცირების ხარჯზე? მოიყვანე შესაბამისი ადგილები.

27. სან-სტეფანოს ზავის რა პირობები დაადასტურა ბერლინის კონგრესმა?

28. კიდევ რომელი სახელმწიფოების ინტერესები გამოიხატა ბერლინის ტრაქტატით?

29. რა შეიცვალა „აღმოსავლეთის საკითხის“ მეორე პერიოდში?

30. გამოთქვი ვარაუდი, ბერლინის ტრაქტატი განმუხტავდა თუ, პირიქით, გაამწვავებდა ბალკანეთში არსებულ დაპირისპირებას? პასუხი დაასაბუთე.

31. როგორ განსხვავდებოდა რუსეთის გაფართოების პოლიტიკა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკისგან?

32. შეავსე სქემა, რომელშიც განიხილავ „სამი ზღვის თეორიას“. კონკრეტული მიმართულებებით რუსეთის დაინტერესების საფუძველსა და მოსალოდნელ რისკებს. (**მოსწავლის რვეული, დავ. 88**)

რუსეთის იმპერია – ეს ტიპური სახმელეთო იმპერია იყო, რომელიც თავისი მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობითა და მიერთების შედეგად ფართოვდება. ერთადერთი ზღვისგაღმა ტერიტორია — ალასკა — რუსეთმა ვერ აითვისა და 1867 წელს აშშ-ს მიჰყიდა. რუსეთი თავს ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიის მემკვიდრედ მიიჩნევდა და დასავლეთ რომის იმპერიის მემკვიდრის — საღვთო იმპერიის (1806 წლიდან ავსტრიის, ხოლო 1867 წლიდან ავსტრია-უნგრეთის) მეტოქედ მოიაზრებოდა, რომელიც ასევე სახმელეთო იმპერიას წარმოადგენდა.

33. რა საერთო დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება ჰქონდეს სახმელეთო იმპერიებს? შენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა რუსეთმა ალასკის ათვისება?

34. რა ტიპის იმპერიები შეიძლება დაუპირისპირდეს თავისი შინაარსით სახმელეთო იმპერიას?

რუსეთის მიერ დაპყრობილი მიწების კოლონიზაცია

XIX ს. 20-იანი წლების მიწურულიდან რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების წარმატებით დამთავრების შემდეგ, რუსეთის მთავრობას შედარებით მეტი საშუალება მიეცა, დაეწყო სამხრეთ კავკასიის ათვისება ისე, რომ პოლიტიკურად სანდო ყოფილიყო, ხოლო ეკონომიკურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პოლიტიკის განხორციელებას იმპერია სხვადასხვა გზით ცდილობდა.

მეორეული წყარო გ) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5

„XIX ს. 30-იანი წლებიდან „სულ უფრო და უფრო გახშირდა ხმები სამხრეთ კავკასიაში რუსული კოლონიების და კერძოდ, სამხედრო დასახლებათა შექმნის აუცილებლობის შესახებ. ეს უკანასკნელი უნდა შეექმნათ სამსახურიდან გადამდგარი დაოჯახებული ჯარისკაცებისაგან, რომელთაც მთავრობა უზრუნველყოფდა მიწის საჭირო რაოდენობით და სამუშაო იარაღებით. კოლონისტებს მთავრობა განიხილავდა როგორც საყრდენ ძალას, რომელიც განსაცდელის ჟამს მუდამ მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო... 1837 — 1860 წწ. პერიოდში სამხრეთ კავკასიაში სულ 10 სამხედრო კოლონია შეიქმნა (საქართველოში – წაღვერში, მანგლისში, კოჯორში, ახალციხის რაიონში).

მხარის კოლონიზაცია რუსული ელემენტებით ხორციელდებოდა არა მარტო სამხედრო დასახლებების შექმნით. 1830 წ. კანონით სამხრეთ კავკასიაში დაიწყეს ისეთი ხალხის ჩამოსახლებაც... რომელთა დატოვება რუსეთის შიდა გუბერნიებში სასურველად არ იყო მიჩნეული.

...1856 წლისთვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხული იყო სულ 21 რუსული სოფელი“.

წყარო დ) პასკევიჩის წერილი გრაფ კონკრინს (1830 წ.)

„განა საქართველო არ უნდა განვიხილოთ, როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს უხეშ მასალას... ჩვენი ფაბრიკებისთვის, რუსეთიდან კი ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს? საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნელის კავშირ-ურთიერთობა რუსეთთან“.

წყარო დ) ბარონ განის მოხსენებიდან (1837 წ.)

„ნაწარმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე ამიერკავკასიაში სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის დაბანდებით ჩვენ დიდ მოგებას გვპირდება; ამიტომ უთუოდ საკმარისი იქნება, რომ მთავრობა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ მიწათმოქმედების წაქე-

ზებით ყველა მისი დარგითურთ და მოაშენოს ის ნედლი მასალა, რაც შეესატყვისება აქაურ ნიადაგსა და კლიმატს. რაც შეეხება ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შემოღებას, ეს წაგვართმევდა დიდ ძალ-ღონეს, რაც ესოდენ აუცილებელია მიწათმოქმედებისა და ადგილობრივი მხარისათვის, ყოველგვარი სარგებლობის გარეშე ხელს შეუშლიდა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას (რადგან მარტო მათ შეუძლიათ მოიხმარონ აბრეშუმი, ბამბა, ზეთოვანი მცენარეები, საღებავი ნივთიერებანი და კავკასიის სხვა მდიდარი ნაწარმი“.

35. საქართველოს ისტორიიდან გაიხსენე, როგორი იყო დაპყრობის შემდეგ რუსული იმპერიული მმართველობის სისტემა.

36. მოყვანილი წყაროების მიხედვით იმსჯელე კოლონიებში რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და მეთოდებზე.

37. რატომ არ არის რუსეთი დაინტერესებული კოლონიაში მანუფაქტურული წარმოების განვითარებით? მოიყვანე ანალოგიური მაგალითი მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობიდან.

38. ჰქონდა თუ არა ქართულ ეკონომიკას განვითარების საშუალება რუსული კოლონიური პოლიტიკის წყალობით? რატომ?

რუსული და ინგლისური კოლონიალიზმის შედარება

XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი ევროპა იყო. ევროპულ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებული ადგილი დიდ ბრიტანეთს ეჭირა, რომელიც XIX საუკუნეში კოლონიების ხარჯზე უზარმაზარ იმპერიად გადაიქცა, თუმცა მონარქი იმპერატორის ტიტულს არ ატარებდა. იმპერიის ვრცელი მიწების შესანარჩუნებლად ბრიტანელებს მსოფლიოში საუკეთესო ფლოტი ჰყავდათ.

ექსპანსიის გეოპოლიტიკური ფორმები და მათი გავლენა კოლონიზაციის ხასიათზე

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთმანეთს შეეჯახა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიული ინტერესები. შუა აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა „ფრონტის“ – დაპირისპირების ოთხი ხაზი: პამირის, სომხეთის, სპარსეთისა და ბალკანეთ-კონსტანტინოპოლის. ტერიტორიები, რომლებიც უკვე ერთ ან მეორე იმპერიაში შევიდა, თითქოს საზღვრისპირა სიმაგრეებად გადაიქცა. რუსეთის იმპერიისათვის დამახასიათებელი იყო მიტაცებული ტერიტორიების უშუალო მართვა, ამ ტერიტორიებზე მმართველობის ერთგვაროვანი სტრუქტურების შექმნა, განსხვავებით დიდი ბრიტანეთისაგან, რომელიც მიტაცებულ ტერიტორიებზე მართვის განსხვავებულ ფორმებს ქმნიდა. მართვა იქ **პროტექტორატის** ფორმას ატარებდა. ამის მიუხედავად, ვერც რუსებმა შუა აზიაში და ვერც ბრიტანელებმა ინდოეთში ვერ შეძლეს მართვის მათთვის დამახასიათებელი მოდელის გატარება. რუსეთი ცდილობდა, მთელ იმპერიაში ცხოვრების ერთნაირი წესი დაემყარებინა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ, მაგალითად, თურქმენეთში ისინი იძულებული გახდნენ, **შარიათის** მმართველობის ბევრი არსებული ფორმა დაეტოვებინათ. ინგლისთან ურთიერთობა აიძულებდა რუსეთს, მისგან თავისთვის უკიდურესად უცხო, მაგრამ შედარებით მოქნილი პროტექტორული მმართველობის ფორმა გადაეღო.

პროტექტორატი – დაფუძნებულია ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც, ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს მეორე მხარეს საგარეო თავდასხმის შემთხვევაში. ამის საპასუხოდ პროტექტორატში მყოფი სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, არ იმოქმედოს პროტექტორის წინააღმდეგ და მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობაში გაითვალისწინოს პროტექტორი სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფო, რომლის მიმართაც ხორციელდება პროტექტორატი, არ კარგავს თავის სახელმწიფოებრიობას.

შარიათი – ისლამური სამართლის კოდექსი; რჯულის კანონი, რომელსაც „ისლამურ ქვეყნებში“ სახელმწიფო სამართლის სტატუსი აქვს.

39. რა უპირატესობა ჰქონდა პროტექტორულ მმართველობას დაპყრობილი ტერიტორიების უშუალო მმართველობასთან შედარებით? რა გართულება შეიძლებოდა მოეტანა მეტროპოლიისთვის როგორც ერთ, ისე მეორე ფორმას?

ქვემოთ მოყვანილი წყაროები გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნის ინგლისურ კოლონიურ პოლიტიკაზე.

ა) ინდოეთის გენერალ-გუბერნატორის დალჰუზის მოხსენება ოსტინდოეთის კომპანიის დირექტორთა პალატაში (1856 წ.)

ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ „პოლიტიკის ან სარგებლის მიღების საკითხი აღარ არის. ის ეროვნული უშიშროების საკითხი გახდა“.

ბოლო 8 წლის განმავლობაში ბრიტანეთის სამფლობელოები შესამჩნევად გაიზარდა. ამ დროს ინგლისის დედოფლის ხელისუფლებაში მოექცა 4 სამთავრო.

– დაპყრობის შედეგად შემოგვიერთდა პენჯაბისა და პეგუს სამთავროები.

– ნაგპურის სამთავრო ბრიტანეთის ტერიტორია გახდა კანონიერი მემკვიდრის არარსებობის გამო, როგორც უპატრონო სამფლობელო.

– სატარის სამთავრო შეუერთდა ბრიტანეთის ტერიტორიას უპატრონო სამფლობელოს კანონის საფუძველზე.

– აუდის სამთავრო გადავიდა ოსტინდოეთის კომპანიის მმართველობაში.

– აღნიშნული ტერიტორიული მონაპოვრების წყალობით... შემოსავალი გაიზარდა 4 მილიონი ფუნტი სტერლინგით.

ბერარისა და ნაგპურის მეზობელი ოლქების შეერთებით ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ინდოეთის ტერიტორიაზე არსებული საუკეთესო მინდვრები ბამბის მოსაყვანად. ამან გახსნა ნედლეულის უზარმაზარი დამატებითი წყარო, რის წყალობითაც აღმოიფხვრა საგრძნობი დეფიციტი ინგლისის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის.

ამ წლებში... ინდოეთში შეაღწია სოციალური პროგრესის სამმა დიდმა მამოძრავებელმა ძალამ. მხედველობაში მაქვს რკინიგზა, საფოსტო მომსახურების ერთიანი სისტემა და ელექტრონული ტელეგრაფი.

განგის არხი, რომლის მთავარი მიმართულება გაიხსნა 1854 წ., უდიდესი საირიგაციო სისტემაა, რაც კი კაცობრიობას მანამდე უნახავს.

როცა პენჯაბი ბრიტანული პროვინციის ნაწილად გადაიქცა, ნათელი გახდა, რომ დიდი ცენტრალური გზის მშენებლობა... პირველხარისხოვანი ამოცანა იყო.

სამოქალაქო ინჟინრების კოლეჯი გაიხსნა კალკუტაში, მეორე იქმნება მადრასში, მივიღეთ უფლება მესამე კოლეჯის დასაარსებლად ბომბეიში.

40. რატომ თვლის დალჰუზი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას ბრიტანეთის ეროვნული უშიშროების საკითხად?

41. რა მეთოდებით ითვისებდნენ ინგლისელები სამთავროთა ტერიტორიებს?

42. ტერიტორიული გაფართოების რა სარგებელზე ლაპარაკობს დალჰუზი?

43. იმის მიუხედავად, რომ ინდოეთში დიდი ბრიტანეთისთვის დამახასიათებელი პროტექტორული მმართველობა არ იყო, მონახე რუსული კოლონიალიზმისგან განსხვავებული როგორც ტერიტორიების მიერთების, ისე კოლონიზაციის ნიშნები.

44. რატომ აარსებდნენ ინგლისელები დაპყრობილ ტერიტორიაზე უნივერსიტეტებს? რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლებოდა ჰქონოდა კოლონისტი ქვეყნის მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

45. იმსჯელე, რამდენად განაპირობა ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოწინავე ქვეყნების მიერ დანარჩენი სამყაროს კოლონიზაცია.

46. ვენის დიაგრამის საშუალებით შეადარე ერთმანეთს ინგლისური და რუსული კოლონიალიზმი. იპოვე მსგავსება-განსხვავებები (**მოსწავლის რვეული, დავ. 89**)

§ 58. საერთაშორისო ვითარება XX საუკუნის დასაწყისში

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა იმ წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობა იყო, რომლებიც ერთმანეთთან საერთაშორისო ურთიერთობების სისტემით იყვნენ დაკავშირებული. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერის როლი დიდი ბრიტანეთიდან თანდათანობით ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ხელში გადადიოდა. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვს შეუერთდა იაპონიაც, რომლის საერთაშორისო პრესტიჟი განსაკუთრებით რუსეთთან ომში გამარჯვების შემდეგ გაიზარდა. XX საუკუნის დასაწყისში ყალიბდება სახელმწიფოს მიერ სოციალურად რეგულირებადი ეკონომიკა. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა მსოფლიო ომმა, რევოლუციებმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა.



1890 წ.



1913 წ.

წამყვან სახელმწიფოთა პროცენტული წილის ცვლილება მსოფლიო ეკონომიკაში

XIX საუკუნეში დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ განაპირობა მოსახლეობის სწრაფი ზრდა და სოციალური სტრუქტურის მკვეთრი ცვლილება. 1900 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 1,617 მლრდ-ს შეადგენდა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ინგლისურმა ენამ მსოფლიო „ლინგვა ფრანკად“, ანუ საერთაშორისო ენად, ჩამოყალიბება. წარმოების განვითარებაში დიდი როლი მიენიჭა მიგრანტ თავისუფალ მუშახელს, რომელთა რაოდენობა XX ს.-ში სულ უფრო იზრდებოდა. მხოლოდ 1880-1910 წლებში 17 მილიონმა ევროპელმა მიაშურა სამუდამო საცხოვრებლად კანადასა და აშშ-ს.

XIX ს.-ში წარმოების ახალი დარგებისა და პროფესიების შექმნამ და ურბანიზაციის მაღალმა ტემპმა განაპირობა საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რომელმაც შემდგომში დაფუძველი დაუდო სამოქალაქო საზოგადოებას. „საშუალო ფენა“ ძალიან ჭრელი იყო და მოიცავდა წვრილ მეწარმეებს, „თავისუფალი პროფესიების“ (იურისტები, ექიმები, ინჟინრები...) წარმო-მადგენლებს, სახელმწიფო მოხელეებს. საუკუნის დასაწყისისთვის დიდ ბრიტანეთში „საშუალო ფენას“ მოსახლეობის 10-15% მიეკუთვნებოდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თანდათან უმჯობესდებოდა ცხოვრების დონე დიდ ქალაქებში, საკვებისა და წყლის ხარისხი. დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელი ეპიდემიები თანდათან დავიწყებას ეძლეოდა. მაგალითად, ქოლერამ პარიზში უკანასკნელად 1884 წელს იფეთქა. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემცირდა ბავშვთა სიკვდილია-ნობა. იმავდროულად მოდაში შემოვიდა ოჯახის დაგეგმვა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში XIX ს. 70-იან წლებში ოჯახში საშუალოდ 6 შვილი ჰყავდათ, მხოლოდ ერთი თაობის შემდეგ კი, 1915 წელს, ეს მაჩვენებელი 2-3 ბავშვამდე დავიდა. განსაკუთრებით შემცირდა შობადობის მაჩვენებელი მაღალ და საშუალო ფენაში.

ახალი საზოგადოების სათავეში მოექცა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც, ძველი არისტოკრატიისგან განსხვავებით, დამქანცველი მუშაობის შემდეგ დასვენებასა და გართობას ვიწრო ოჯახურ და სამეგობრო წრეში ამჯობინებდა და არა ხმაურიან წვეულებებზე.

1880-1914 წლები მსოფლიო ისტორიაში კლასიკური იმპერიალიზმის ეპოქადაა მიჩნეული. ეს იყო ეპოქა, როდესაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები სრულ ეკონომიკურ დაქვემდებარებაში აქცევდნენ ჩამორჩენილ რეგიონებს, მეტროპოლია სრულად სარგებლობდა კა-პიტალის ინვესტირების შედეგად მიღებული სიკეთეებით, კოლონია კი ვერ ვითარდებოდა.



რუკა 36. მსოფლიო ეკონომიკა 1914 წლისთვის



რუკა 37. მსოფლიოს კოლონიები XIX ს.-ის ბოლოს

1. როგორ შეიცვალა ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების წესი?

2. სამყაროს რომელი ნაწილები იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ კოლონიზებული?

3. რატომ ეძებდა ევროპელი მუშახელი თავშესაფარს და სამუშაოს ამერიკასა და კანადაში?

4. იმსჯელე, როგორ მოხდა, რომ დანარჩენი სამყარო ევროპის წამყვან სახელმწიფოებზე გახდა დამოკიდებული.

მსოფლიო ომის წინაპირობები

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი ევროპა იყო. აღმოსავლეთით რუსეთის უზარმაზარი იმპერია მდებარეობდა, დასავლეთით – პრუსიასთან ომის შედეგად დაკნინებული ავსტრია-უნგრეთის იმპერია და საფრანგეთთან ომში გამარჯვებული და გაძლიერებული გერმანიის იმპერია. გერმანიას სურდა, სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად მოეპოვებინა კოლონიები აფრიკასა და აზიაში. სხვადასხვა კოლონიურ კონფლიქტში გერმანელები ეხმარებოდნენ საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებულ ერებს, რის გამოც გერმანიის ურთიერთობა ბრიტანეთთან და საფრანგეთთან სერიოზულად დაიძაბა. საფრანგეთი ელზასისა და ლოთარინგიის (ლორენის) დაბრუნებაზე ოცნებობდა. მიუხედავად ამისა, ევროპის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ მაინც ბრიტანეთი რჩებოდა. ბრიტანეთის იმპერიას დედამიწის მეექვსედი ნაწილი ეჭირა. იმპერიის შესანარჩუნებლად ბრიტანელებს მსოფლიოში საუკეთესო ფლოტი ჰყავდათ.

ევროპის გარეთ არსებობდა ორი ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია. ბოლო ათწლეულების მანძილზე აშშ-ის ეკონომიკა საგრძნობლად წავიდა წინ და ქვეყანაში არ წყდებოდა იმიგრანტთა დინება. იაპონია კი, რომელიც XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ახლა ცდილობდა, დასავლეთ ევროპას დასწეოდა სამხედრო და ტექნოლოგიურ სფეროში. მათ ომში დაამარცხეს ჩინეთი და რუსეთი, რამაც გაზარდა მათი ამბიციები. ბალკანეთის ნახევარკუნძული დასუსტებულ ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა. ავსტრიას და რუსეთსაც ჰქონდათ ამ რეგიონში თავ-თავისი ინტერესები. 1912 წელს ბალკანეთში გამათავისუფლებელი ომი დაიწყო, რაც 1913 წელს თურქების ევროპიდან განდევნით დასრულდა, მაგრამ ახლად ჩამოყალიბებული ბალკანური სახელმწიფოები უკმაყოფილონი დარჩნენ, სერბეთსაც და ბულგარეთსაც სურდათ მეზობლების ხარჯზე საკუთარი ტერიტორიების გაფართოება. დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობების მოუგვარებლობამ ხელი შეუწყო პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებას. ევროპის დიდ სახელმწიფოთა კოლონიალურმა კონფლიქტებმა ევროპაში რამდენიმე მტრული ბანაკის ჩამოყალიბება გამოიწვია. უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო დიდი სახელმწიფოების გაერთიანება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში. 1879 წელს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაიდო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. 1882 წელს ამ ხელშეკრულებას შეუერთდა იტალია. ასე შეიქმნა ევროპაში პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – სამხედრო ბლოკი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია), რომელსაც „სამთა კავშირს“ უწოდებდნენ. მოგვიანებით სამთა კავშირს თურქეთიც შეუერთდა. პარალელურად მიმდინარეობდა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება. 1891-1892 წლებში დადებული ხელშეკრულებებით გაფორმდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1904-1907 წლებში დაიდო დიდი ბრიტანეთ-საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთ-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებები. ჩამოყალიბდა მეორე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი (საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი), რომელსაც „ანტანტას“ („გულითად კავშირს“) უწოდებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის წინ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთს შორის არსებული წინააღმდეგობების მოგვარება მშვიდობიანი გზით არ სურდათ. ომი გარდუვალი გახდა. გერმანიის საიმპერატორო კარი თვლიდა, რომ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში „სამთა კავშირი“ შეძლებდა „ანტანტის“ დამარცხებას.

„სამთა კავშირის“ მიზნები:

გერმანია: ბელგიის აღმოსავლეთ პროვინციების (ლიეჟისა და ანტვერპენის) დაკავება, კოლონიების განაწილება (დათმობები დიდი ბრიტანეთისა და რუსეთისგან), ჰეგემონია ცენტრალურ ევროპაში.

ავსტრია-უნგრეთი: სერბეთისა და რუმინეთის ნაწილის მიერთება.
თურქეთი: აღმოსავლეთში ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების შენარჩუნება.

„ანტანტის“ სახელმწიფოთა მიზნები:

დიდი ბრიტანეთი: მსოფლიო ჰეგემონის სტატუსის განმტკიცება და შენარჩუნება, კოლონიური გავლენის ზრდა.

საფრანგეთი: ელზას-ლოთარინგიის (ლორენის) დაბრუნება, კოლონიებზე გავლენის ზრდა.

სერბეთი: ბოსნიას ითხოვდა ავსტრიისგან.

რუსეთი: ტერიტორიული გაფართოება და ბოსფორ-დარდანელის სრუტეების კონტროლი.

იტალია: ირედენტიზმის პოლიტიკა (იტალიელებით დასახლებული მოსაზღვრე მიწების მიერთება).



რუკა 38. დაპირისპირებული ალიანსები

5. რა ძირითადი ტენდენციები ახასიათებდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკას და საზოგადოებრივ ყოფას XX ს.-ის დასაწყისში?

6. შენი აზრით, რატომ არ სურდათ დიდ სახელმწიფოებს ურთიერთშორის წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით მოგვარება?

7. ევროპის რომელი რთული რეგიონი შეიძლებოდა გამხდარიყო იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების საგანი? რატომ ფიქრობ ასე?

8. როგორ ფიქრობ, რატომ გაერთიანდნენ ერთ ბლოკში ისტორიული მეტოქეები?

9. პოლიტიკურ რუკაზე დაკვირვებით დააზუსტე „სამთა კავშირისა“ და „ანტანტის“ სახელმწიფოთა მიზნებისა და ინტერესების შეჯახებათა არეალი. იმუშავე კონტურულ რუკაზე (**მოსწავლის რვეული დავ. 90**).



სურ. 1 ანტანტის წევრი სახელმწიფოები: საფრანგეთი, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი. რუსული პლაკატი 1914 წ.

10. შენი აზრით, დღევანდელ მსოფლიოში შესაძლებელია თუ არა, ევროპულმა სახელმწიფოებმა ომი გამოუცხადონ ერთმანეთს? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

11. შენი აზრით, რამდენად სერიოზული მიზეზები არსებობდა I მსოფლიო ომის დაწყებისთვის?

კომპლექსური დავალება

წარმოიდგინე, რომ რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ხარ. სწავლობ ისტორიის კურსს, რომელიც „ხანგრძლივი XIX საუკუნის“ (1789-1914 წწ.) საკითხებს მოცავს. საგნის სწავლების ფარგლებში დაგევალა რეფერატის მოზადება ამ ეპოქის აქტუალურ საკითხებზე: გერმანიისა და იტალიის ჩამოყალიბება, „აღმოსავლეთის საკითხი“, ევროპის დიდი სახელმწიფოების ბრძოლა ტერიტორიული და კოლონიური ინტერესებისათვის.

რეფერატში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რა მიზეზებმა შეუწყო ხელი გერმანიისა და იტალიის გაერთიანებას და როგორ მოხდა ამ ხალხების ერთიან სოციალურ-კულტურულ სივრცეში მოქცევა?
- რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვის ოსმალეთისა და ირანის აზიურ და ევროპულ სამფლობელოებს და რა საერთაშორისო ფაქტორები ახდენდა გავლენას მის პოლიტიკაზე?
- რატომ და როგორ ახდენდნენ რუსეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ახალი ტერიტორიების კოლონიზაციას და რა მოსაზრებები არსებობს ისტორიკოსებს შორის მათ კოლონიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით?
- რა ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა I მსოფლიო ომს?

დანართი 1
XII-XIII საუკუნეების ევროპისა და წინა აზიის რუკა


ევრაზია და წინა აზრია XIII
რუსის პრინციპი სალიანები
ქალაქი
დედაქალაქი
1 ნავარის სამეფო
2 მეინედის სამეფო
3 ლიეუსფორის იეპისკოპოსი
4 არგონეას იეპისკოპოსი
5 კალეარის იეპისკოპოსი
6 გალურას იეპისკოპოსი
7 ვენეციის რესპუბლიკა
8 პიზაროსის სამეფო
9 იერუსალიმის სამეფო
10 ტრიპოლის სამრავო
11 ანტიოქიის სამთავრო
12 არეულები
ბალტიის ზღვა
შავი ზღვა
ხმელთაშუა ზღვა
წითელი ზღვა
სპარსეთის ყურე
ატლანტის ოკეანე
ევროპა
აზია
აფრიკა
ბალკანეთის ნახევარკუნძული
სკანდინავიის ნახევარკუნძული
ესპანეთის ნახევარკუნძული
იტალიის ნახევარკუნძული
ანატოლიის ნახევარკუნძული
არაბეთის ნახევარკუნძული
ალპები
პირინეები
ტავრის მთები
ზაგროსის მთები
ურალის მთები
ნილოსი
ევფრატი
ტიგროსი
დუნაი
ვოლგა
დნეპრი
ნემანი
ვისლა
ელბა
რაინი
ოდერი
ლუარა
ტაგუსი
გვადიანა
ბეტიკა
ნარბონა
ბორდო
ბურგუნდია
ფლანდრია
ნორმანდია
ბრეტანი
ანჟუ
პროვანსი
ტოსკანა
ლომბარდია
ვენეცია
ბოჰემია
ბავარია
ფრანკონია
ტურინგია
საქსონია
ბრანდენბურგი
პომერანია
ლიტვა
ლივონია
ესტონია
ნოვგოროდი
სმოლენსკი
კიევი
ჩერნიგოვი
ვლადიმირ-სუზდალი
რიაზანი
ტვერი
მოსკოვი
ბულგარეთი
სერბეთი
ბოსნია
ტრანსილვანია
ვალაქია
მოლდოვა
ყირიმი
ოქროს ურდო
ხაზარეთი
ალანია
ჩერქეზეთი
აბაზგია
ლაზიკა
ქართლი
კახეთი
ჰერეთი
ალბანეთი
სომხეთი
ვანანდი
ეგრისი
ოსეთი
ბიზანტია
ნიკეა
ტრაპიზონი
ეპირი
ლათინთა იმპერია
ვენეციის რესპუბლიკა
ანტიოქიის სამთავრო
ტრიპოლის სამრავო
იერუსალიმის სამეფო
ალეპო
დამასკო
ბაალბეკი
ტიბერიადა
აკრა
ტირე
ბეირუთი
ტრიპოლი
ანტიოქია
ალექსანდრეტა
ტარსუსი
ადანა
ლაოდიკია
ტარტუსი
ალეპო
ბალისი
ჰამა
ჰომსი
ბაალბეკი
დამასკო

დანართი 2
XV საუკუნის ევროპისა და წინა აზიის რუკა

